

ცივილიზაციის ისტორია ერებსა თუ შიგა დაჯგუფებებს შორის ურთიერთდაპირისპირების, ბრძოლის კონსტატაციას წარმოადგენს. ეს დაპირისპირება უდიდესი სიმძაფრითა და სისასტიკით, ყოველგვარი საშუალებებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. ამ წინააღმდეგობას ეწირებოდა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და ქონება. ამ ბრძოლას, უმრავლეს შემთხვევაში, რაღაც აბსოლუტურ, დიად აზრს ანიჭებდნენ, რათა აურაცხელი მსხვერპლი გაემართლებინათ და საკუთარი მიზნისათვის მიეღწიათ. ყოველი ასეთი იდეა საზოგადოებრივი ცხოვრების ქვენაგრძნობებს მოიცავს, რადგან, სხვაგვარად იდეისთვის ასე ბრმა, უაზრო თავგანწირვა უბრალოდ წარმოუდგენელია.

არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებისას, როდესაც ისტორიული ფაქტების გააზრებასა და ჩვენს სასიკეთოდ გამოყენებას ვცდილობთ, ალაღებდზე კი არ უნდა ვიმოქმედოთ, არამედ უნდა შევჩერდეთ და გავიაზროთ – **საიდან მოვლივართ, სად ვიმყოფებით და საით მივლივართ.**

პიროვნება, ანუ „მე“ ცხოვრობს და აღიქვამს სიცოცხლეს. რაც შეეხება ცნებას „ჩვენ“, ის, თითქოს „მე“-ების სუბიექტური სინთეზია, ანუ აბსტრაქტულად გაერთიანებული „მე“-ები. ასეთი გააზრება ყველა ბრწყინვალე გონებაში პროტესტის გრძნობას იწვევდა და ეს თემა სოკრატეს, პლატონის დროიდან დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. დისკუსიისას ერთნი ამტკიცებენ, რომ „ჩვენ“ სუბიექტური ცნებაა; „ჩვენ“ „მე“-ების უბრალო, სუბიექტური ჯამია. ისინი იდეას, როგორც ასეთს, საერთოდ უარყოფდნენ. ასეთი აზროვნების ადამიანებს, როგორც აღვნიშნეთ **ნომინალისტები** ეწოდებოდა.

ინგლისელი თეოლოგი **ვილჰელმ რაიტი (1281-1349)** ნომინალისტური აზროვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია. ის ცნება „იდეის“ ფილოსოფიაში შემოტანის წინააღმდეგი იყო; ამ ტერმინს ზედმეტად მიიჩნევდა; მისი სიტყვებით რომ ვთქვათ – საგანს „ფსევდო-ასლი“ არ სჭირდება; ალბათ, მარქსმა მას პირველი მატერიალისტი სწორედ ამიტომ უწოდა.

რაიტის აზრით, ცოცხალ „შემეცნების ხეს“ პარაზიტი, დაობებული ტერმინები აუცილებლად უნდა მოვაშოროთ, ისევე, როგორც მებაღე სხლავს ხეს სამართებით. აქედან ცნობილი გამოთქმა „რაიტის სამართებით“. ამ ლოზუნგების მიუხედავად, მის მიერ გამოყენებული ტერმინების რაოდენობა დეკარტესა და ჰეგელის მიერ გამოყენებულ ტერმინთა ერთად აღებულ რაოდენობას მკვეთრად აღემატება.

საპირისპიროს მტკიცებას ცდილობენ **რეალისტები**. მათი აზრით, ყველაფერს აქვს მისი შესაბამისი იდეა. ამ ადამიანებს, როგორც ვიცით, იდეალისტებს უწოდებენ. ნომინალისტებსა და რეალისტებს შორის უსსოვარი დროიდან მიმდინარეობს დავა უნივერსალიებზე და ეს დავა ჯერ არ დასრულებულა.

არსებობს რაღაც შუალედური გააზრების ხედვის კუთხე, რომლის მიხედვით, უნივერსალიები არ არსებობს, მაგრამ თუ რაიმე საკითხის გააზრებაში „იდეა“, უნივერსალიები დაგვეხმარება, მაშინ შეიძლება მათი გამოყენება. ასეთი აზროვნების მიმდევრებს **კონცეპტუალისტები** ეწოდებათ.

ნომინალისტების აზრით, საზოგადოების მართვა, რეფორმების ჩატარება, ახალი ნორმების შემოტანა-დამკვიდრება კონკრეტულ ადამიანზე შემოქმედებითაა შესაძლებელი. საზოგადოების მართვისათვის საჭიროა ნების სიმტკიცის გამომჟღავნება. საკმარისია, კონკრეტულ ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფს, არსებული წესრიგის დამრღვევთ ენერგიულად შეეუბნოთ, დაავიჯოთ, გაანადგუროთ და ნათელი მომავალი გარანტირებული გვექნება. გავიხსენოთ, ჩვენს უახლეს ისტორიაში ყველა პოლიტიკოსობას მოწყურებული სუბიექტი კორუფციის აღმოფხვრას სწორედ ამ გზით გვპირდება. არსებული სოციალური უბედურების გამოსწორების საშუალებად ყველა კორუმპირებულის ციხეში გამომწყვდევას მიიჩნევს. ასეთი შეხედულება არახალია.

საფრანგეთში ქურდობამ დიდი მასშტაბები მიიღო; შეწუხებულმა მოქალაქეებმა ლუი XIV-ს, მეფე „მზეს“, გავრცელებული დანაშაულის აღკვეთა მოსთხოვეს. ლუი XIV განაცხადა, რომ ამ პრობლემას ის მარტივად გადაწყვეტდა. შესაბამისად, გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით, ყველა ქურდობაში შემჩნეული ინდივიდი ქალაქის მოედანზე, მოქალაქეთა თვალწინ უნდა ჩამოეხრჩოთ.

მონარქი დარწმუნებული იყო, რომ უკიდურესი სასჯელის შიშით ქურდობას აღმოფხვრიდა. ქალაქის მოედანზე სახრჩობელა დაუყოვნებლივ აღიმართა და პირველივე დაკავებულ ქურდს ჩამოხრჩობა მიუსაჯევს. პარიზის მოქალაქეთა უმრავლესობა სერიის საყურებლად შეიკრიბა. მოხდა არც თუ ისე საოცარი ფაქტი. მოქალაქეების ყურადღება ეგზეკუციისაკენ იყო მიმართული, ამით ისარგებლა კრიმინალურმა სამყარომ და მოედანზე შეკრებილნი პირწმინდად გაქურდა. ეს მაგალითი პრობლემისადმი ნომინალისტური მიდგომის არასრულფასოვნებას ნათლად ადასტურებს.

რეალისტური, ანუ იდეალისტური თვალსაზრისით, აუცილებელია პრობლემის ზოგადი განხილვა და შემდეგ კონკრეტულის გააზრება. ანუ კორუფციის პრობლემის რეალისტური გადაწყვეტა მოითხოვს უპირველესად არა კორუმპირებულების განადგურებას, არამედ კორუფციის არსში, იდეაში გარკვევას. უნდა დადგინდეს, რა იწვევს ამ სოციალურ ავადმყოფობას და კონკრეტული მოქმედების გეგმა მხოლოდ ამის შემდეგ შემუშავდეს და დაიწყოს ქმედება.

ჩვენი აზრით, ნომინალისტური მიდგომა მცდარია, ხოლო ორთოდოქსი „ნომინალისტების“ ფენა კი, რომელიც საზოგადოებას „მეების“ ჯამად განიხილავს – სოციალურად საშიში.

ხომ უნდა დადგეს დრო, როცა აბსოლუტურ სიკეთესა და მაქსიმალურად მიღწევად სიკეთეს შორის, დიდსა და მცირე ბოროტებას შორის განსხვავების მოძებნა შეეძლოს. უნდა მივხვდეთ, რომ ცალკე აღებული კონკრეტული ღოზუნგი – „დავამყაროთ წესრიგი“, „ავამაღლოთ ეკონომიკა“, „აღმოვფხვრათ კორუფცია“ და სხვა, საერთო იდეალს არ მოიცავს. ამის გარეშე კი თვითგანვითარებადი საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოუდგენელია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღოზუნგმა – „ავამაღლოთ ეკონომიკა“, ანუ აბსოლუტურად გათავისუფლებულმა ბიზნესმა შესაძლოა ქაოსამდე, დაუცველობამდე, არნახულ ჩაგვრამდე, მეცნიერებისა და ხელოვნების განადგურებამდე მიგვიყვანოს, რაც ეკონომიკის განვითარების გარეშეც მშვენივრად მოვახერხეთ. უნდა გვესმოდეს და გვანსოვდეს, რომ ბიზნესის განვითარების მცდელობა, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების გარეშე, განწირული, მკვდრად შობილი ბავშვია. იქამდეც კი დავედით, რომ პრიმიტიულ ძარცვასა და ქურდობას ბიზნესს ვარქმევთ.

რა ძირითად პრინციპებს უნდა შეიცავდეს საერთო იდეალი, რომ ქვეყანაში ადამიანური ცხოვრება დამკვიდრდეს? – ალბათ, ეს იდეალი უმაღლესი ფასეულობის – ადამიანის ხედვის კუთხიდან უნდა იქნას განხილული.

პიროვნების ცხოვრება არა საკუთარი ეგოისტური ნების დამკვიდრებას, არამედ სხვისთვის ღვაწლის გაღებას უნდა წარმოადგენდეს, მისი ადამიანურობის „ხარისხი“ იმით განისაზღვრება, თუ რამდენად შეუძლია მას ბუნებრივ ინსტინქტებზე ამაღლდეს, და რა დაბალიც უნდა იყოს ეს „ხარისხი“, ადამიანი ინსტინქტებს აბსოლუტურად, პასიურად მაინც არ ემორჩილება.

ადამიანის ეგოისტური მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილი მისი არსიდან გამომდინარეობს. სამწუხაროდ, მათი სურვილის „ხარისხი“ კლებულობს, როდესაც საქმე ეხება ოჯახს, შვილს და ამ სურვილის „ხარისხი“ კიდევ უფრო დაბალია, თუ საქმე ერისა და სამშობლოს ინტერესებს ეხება.

როგორც აღვნიშნეთ, ღვაწლის გაღება ანუ ადამიანურობის „ხარისხის“ ამაღლება, პიროვნების თანდაყოლილი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია საზოგადოება დავარწმუნოთ, რომ ყველა ის იდეალი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ღვაწლის გაღების ფენომენს ეხება, ბუნებრივ კანონზომიერებაში ეწერება, ანუ რეალურია.

ადამიანი ის არსებაა, რომელსაც უნარი შესწევს საკუთარ თავს სძლიოს, ამაღლდეს, ანუ თვითგადალახვის აქტი ადასრულოს. ალბათ, ეს არის უმაღლესი ჭეშმარიტების, მარადისობის კანონი და სამართლიანობის დამკვიდრების ერთადერთი რეალური გზა.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობა, უკეთეს შემთხვევაში, თვლის, რომ მარადისობის კანონი მას არ ენება. თითქოს მათი აზრთა წყობა რაღაც ლოგიკას ექვემდებარება, რაც შემდეგში მდგომარეობს: „მე ერთადერთი ვარ, შესაბამისად, ჩემთვის ჩემზე ამაღლებული არაფერია, ყველაფერი მე მეწინააღმდეგება, ამ წინააღმდეგობაში ან ვიმარჯვებ, ან ვმარცხდები. მინდა ვიყო გამარჯვებული და სხვა არაფერი მაინტერესებს. დაბადებიდანვე ვცდილობ ჩემი ადგილი ვიპოვო იმ მორევში, სადაც სხვებთან ერთად ვტრიალებ; ყველაფერი, რასაც ვეხები, ცდილობს თავისი არსებობა, მნიშვნელოვნება მაგრძნობინოს“. ყველა მზადაა საკუთარი თავის დასაცავად გარე სამყაროსთან წინააღმდეგობაში შევიდეს. თვითდამკვიდრების მიზნით, სამყაროში გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობს: გამარჯვებული მბრძანებელი ხდება, დამარცხებული – ხელქვეითი; და მეც მინდა ვიყო გამარჯვებული. გონებაში ჩაკირულია აზრი:

„ფეხებზე მკიდია სხვა, მინდა ვიყო ჩემი ცხოვრების უმაღლესი განმკარგველი“.

ასეთი ინდივიდების ერთობაში, საზოგადოებაში გამეფებულია აზრი:

ადამიანის ცხოვრება მისივე საკუთრებაა, მას უფლება აქვს სხვისი ნება-სურვილი უგულებელყოს და საკუთარი სურვილის მიხედვით იცხოვროს.

ეს აზრი, საბოლოო ჯამში, ლოზუნგად ყალიბდება:

თუ მე არ გავიმარჯვებ, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა.

ეს ლოზუნგი მისაღები და ბუნებრივია მისთვის. მას ნებისმიერი განსხვავებული იდეალი, აზრი სიგიჟედ, აზრობრივ სიმახინჯედ, ანაქრონიზმად, გაუნათლებლობად, რელიგიურ სიბნელედაც კი ეჩვენება. ის ვერ ხვდება, რომ ამაღლებული საწყისის უარყოფით ავტომატურად, სტიქიური ვნებების მონად იქცა. მისი აზრით, მან მშვენიერი ლოზუნგი შეარჩია, მაგრამ შედეგი მისთვის პარადოქსულია. მართლაც, მისი ცხოვრება ამ „იდეალის“ შესაბამისად წარიმართება და გამარჯვების ნაცვლად, გონების ჩათვლით, ყველაფერს კარგავს, და ბოლოს, სხვისი ძალადობის მსხვერპლიც კი ხდება. მისი ცხოვრების თანმდევა მუდმივი კითხვაა: რატომ მოხდა ასე?

საჭიროა მას გავაგებინოთ, რომ ადამიანი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ისეთივე განმკარგველია, როგორც თავისი ბიოლოგიური სიცოცხლისა. რა თქმა უნდა, მას შეუძლია აკეთოს ის, რაც უნდა, მაგრამ საკუთარი ცხოვრების შენარჩუნებისა და დამკვიდრებისთვის ის იმ ხელშეუხებელ კანონზომიერებას უნდა დაექვემდებაროს, რომელიც მის ბუნებას მართავს და განსაზღვრავს.

მაგალითად, ის მორჩილად უნდა დაექვემდებაროს მისი ნებისაგან დამოუკიდებელ კანონებს, თუნდაც ჰიგიენის წესს, რომელიც მისი ფიზიოლოგიური ბუნების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. მან შეიძლება „გაიგიჟოს თავი“, აღიაროს საკუთარი ნების უზენაესობა და კბილები არ გაიხეხოს ან დაბინძურებული საკვები მიიღოს და მეტი თავის მტვრევა არ დასჭირდება, რათა, უკეთეს შემთხვევაში, კბილის ტკივილით ან მუცლის ტიფით, უარეს შემთხვევაში კი, შიდასით იტანჯოს, ანუ დაკარგოს ყველაფერი, სიცოცხლის ჩათვლით.

საოცრება ისაა, რომ მეორე მიდგომა გაცეხას და ირონიას არ იწვევს. პირველი კი მისთვის მიუღებელი, ცინიზმის ობიექტია.

ამიტომ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა რეზერვის გამოყენებით, მას უნდა გავაგებინოთ, რომ ყოფისა და სიკეთის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის საკუთარი ნება უნდა დაუუმორჩილოთ იმ უზენაეს კანონს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას განკარგავს.

სხვა შემთხვევაში ბოროტების ციტადელი არ დაინგრევა, რადგან უმძლავრეს საფუძველს – ადამიანთა უმრავლესობის უგუნურობას – ეყრდნობა.

შევეცდებით, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი მოგვიანებით, უფრო ღრმად გავაანალიზოთ, ახლა კი შემოვიფარგლოთ მოკლე განმარტებით, რომელიც, ჩვენი აზრით, დისკუსიას არ ექვემდებარება.

იმისათვის, რომ სამართლიან საზოგადოებაში ვიცხოვროთ, ჩვენი ბედი და ცხოვრება ვმართოთ, აუცილებელია საკუთარ თავზე, საკუთარ ნებაზე, სტიქიურ, ბუნებრივ ინსტინქტებზე ვბატონობდეთ.

ვიმეორებთ, საზოგადოების მეტ-ნაკლებად განათლებულმა ნაწილმა უნდა გაიაზროს:

ადამიანის ადამიანურობის „ხარისხი“ საკუთარი ნების შეზღუდვასა და ღვაწლის გაღებაში გამოიხატება, ანუ იმ ჭეშმარიტების სამსახურში, რასაც კაცობრიობამ მარადისობის კანონი უწოდა.

აქედან დასკვნა: ღვაწლის გაღება მოვალეობაა, ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანის ზნეობის უმაღლესი, ჭეშმარიტად პირველი კატეგორია და არა ადამიანის უფლებამოსილების დამკვიდრება, ანუ ძალადობის საწყისი. ადამიანის პირადი უფლებები მხოლოდ მეორადია, მოვალეობის წარმოებულ და ანარეკლია.

აქედან გამომდინარე, ადამიანს უფლება არა აქვს, კონკრეტულ პიროვნებას უბრძანოს ან საზოგადოებას საკუთარი ნება ძალით მოახვიოს თავს, ეს ერთის მხრივ. მეორე მხრივ კი, არც საზოგადოებას აქვს პიროვნებაზე ძალადობის უფლება.

თუ საზოგადოება პიროვნებისაგან კაცობრიობის მიერ ჭეშმარიტებად აღიარებულ ღირებულებათა სამსახურს ითხოვს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა იყოს ამ მოთხოვნის შესრულება კონკრეტული ადამიანის მოვალეობა.

განსაკუთრებით იმაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ საზოგადოების, „ხალხის ნება“ შეიძლება ისეთივე უსაფუძვლო, უაზრო და დანაშაულებრივი აღმოჩნდეს, როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის ნება.

გაუაზრებლად არც კონკრეტული ადამიანის ნებას, არც საზოგადოების ნებას არ უნდა მივანიჭოთ ტიტული – „წმინდა“, „უმაღლესი“, „განუმეორებელი“.

კაცობრიობის მიერ აღიარებული ადამიანის უფლებები, საბოლოო ჯამში, პირდაპირ და ირიბად, მოვალეობის შესრულების, ანუ ღვაწლის გაღების ერთადერთი, „თანდაყოლილი უფლებისგან“ გამომდინარეობს.

დასკვნა: მთავარია უმაღლესი პრინციპისადმი სამსახური – ღვაწლის გაღება.

ასევე უმნიშვნელოვანესია დიდი ყურადღება მიექცეს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობას, ანუ „მე“ და „ჩვენ“-ის, როგორც შეკრული სისტემის ერთობას.

საზოგადოება – „ჩვენ“ და კონკრეტული პიროვნება – „მე“, როგორც მოწინააღმდეგენი ერთმანეთს საზოგადოებრივი ყოფის „რინგზე“ ხვდებიან და ორივეს საკუთარ აბსოლუტურ პირველადობაზე, აბსოლუტურ საწყისზე აქვს პრეტენზია. ეს იმ დროს, როცა მათი ერთობის დამკვიდრება, როგორც თვითგადარჩენის აუცილებელი ელემენტი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

“მე“-ში გაიაზრება აბსოლუტური ყოფა, სიცოცხლე და ეს გააზრება მის თვითრწმენამდე დადის. „მე“ საზოგადოებას და სამყაროს აღიქვამს, როგორც თვითდამკვიდრების საშუალებას, ამიტომ ის საზოგადოებას საკუთარი სურვილების განხორციელების იარაღად მიიჩნევს.

თითქოს ასეთი მიდგომა ბუნებრივია, ამიტომ ძნელია ამგვარი გააზრება უხეშ ეგოიზმთან გაიგივოთ. „მე“ თავისი არსის სიღრმეში გრძნობს, რომ ის ერთადერთი, განუმეორებელი, უმაღლესი ფასეულობაა და ამის უარყოფა არ შეუძლია, და ალბათ, არცაა საჭირო. აქ იწყება საბედისწერო კონფლიქტი საზოგადოებას – „ჩვენ“-ს და პიროვნებას – „მე“-ს შორის, ანუ კონკრეტული პიროვნებისა და „ხალხის“ ნებას შორის.

საზოგადოების და პიროვნების დაპირისპირება დაძაბულობას ქმნის, ეს კი პირდაპირი გზაა ძალადობამდე. შესაბამისად, ამ ორ სურვილს შორის ჰარმონიის დამყარება აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი საზოგადოება განწირულია იმ მუდმივად არასტაბილურ მდგომარეობაში

ყოფნისათვის, რასაც ამ ორ ნება-სურვილს შორის მერყეობისას აქვს ადგილი. ხან „ხალხის“ ნება იმარჯვებს, ხან – „მე“-ს ნება. პირველ შემთხვევაში, ანუ ამ რხევის ერთ უკიდურეს წერტილში, ვიღებთ „ხალხის“, „საზოგადოების“ ნების მაქსიმალურ გაბატონებას, ანუ დესპოტურ (ფაშისტური, ბოლშევიკური) სახელმწიფოს. მეორე უკიდურეს მდგომარეობას, ანუ „მე“-ს ნების გაბატონებას კი ანარქიულ ქაოსურ საზოგადოებამდე (საქართველო) მივყავართ.

პრობლემას ის ართულებს, რომ ერთ საწყისს არ შეუძლია გამოეყოს მეორეს. ამ შემთხვევაში ყველაფერი აზრს კარგავს. შეუძლებელია ერთმა მეორის დაჩაგვრით გამარჯვება იხეიძოს. ნებისმიერ, ექსტრემალურ თუ არაექსტრემალურ პირობებში, ეს ორი საწყისი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. ერთის უფსკრულში გადაჩენვას, მეორის ავტომატური დაღუპვა მოჰყვება.

აქედან გამომდინარე, პიროვნებისა და საზოგადოების მთლიანობის, ერთობის დამკვიდრება უნდა იყოს იმ უმაღლესი მიზნის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც საზოგადოების ყველა წევრი უყოყმანოდ უნდა ემსახუროს.

თავდაპირველად ჩნდება აზრი, რომ ორივემ რაღაც დათმოს, მაგრამ ამ შემთხვევაში კომპრომისიც არაფერს გვიშველის, რადგან შემადგენელი ნაწილების შემცირება, მთელის შემცირებას გამოიწვევს; შემცირებული მთელი კი საწყისი ენერგიის მატარებელი აღარაა.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ არც „ხალხის“ და არც „პიროვნების“ ნება, საზოგადოებრივი ურთიერთობების განმსაზღვრელი, მარეგულირებელი არ შეიძლება იყოს.

ვიმეორებთ, ყოველ ჩვენგანს, ანუ „მე“-ს სურს ბედნიერი ცხოვრება. ასეთივე სურვილი აქვს იმასაც, რასაც „ჩვენ“-ს ვუწოდებთ. შედეგი სახეზეა – გაუსაძლისი ყოფა. გამოდის, რომ ადამიანის საკადრისი ცხოვრება არც „მე“-ზე, არც „ჩვენ“-ზე არაა დამოკიდებული.

შესაბამისად, სოციოლოგიაში – „მესამის“, „მე“-ზე და „ჩვენ“-ზე ამაღლებული სისტემის, მატრიცის შემოტანა აუცილებლობას წარმოადგენს.

ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ იმ ზესისტემას, რომელიც არა მარტო „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის არსებულ პრობლემას ერთიანობის დაურღვევლად გადაწყვეტს, არამედ ბუნებრივ და ხელოვნურ ადამიანებს შორის ჰარმონიასაც დაამყარებს. ამ სისტემამ ამაღლებული პრინციპებისადმი სამსახური იდეალად უნდა აქციოს. სხვა სიტყვებით, არსებულ დეფექტურ საზოგადოებრივ სტრუქტურასა და მომავლის მონოლითურ, ამაღლებული წესრიგის საზოგადოებას შორის გარდამავალი სოციალური კრისტალური ფენა, მატრიცა უნდა შექმნას. მატრიცა საკუთარ თავში, შეძლებისდაგვარად დათრგუნავს ყველა იმ სოციალურ დეფექტს, რომლითაც არსებული სოციუმი ხასიათდება; და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ახალი, თვისობრივად განსხვავებული საზოგადოების მშენებლობა.

მხოლოდ ასეთ მატრიცას შეუძლია პოზიტიურ სამართალსა და სიმართლეს შორის დიאלოგს შეუწყოს ხელი და სოციუმის განვითარების ხელშემშლელი დაპირისპირება მოხსნას. მხოლოდ მატრიცას ხელეწიფება დღევანდელი უსუსური დემოკრატიული მმართველობის არსი იმ აუცილებელი და საჭირო ამაღლებული ფენით შეავსოს, რაც საზოგადოების განვითარების საფუძველს შექმნის. ეს სისტემა საკუთარ არსში დემოკრატიის ყველა დადებით თვისებას გაითავისებს და განდევნის არასასურველ ვირუსებს, დეფექტებს. დემოკრატიას ინვალიდად, საზოგადოების განვითარების ხელშემშლელ მექანიზმად სწორედ ეს ვირუსი აქცევს.

შესაბამისად, მატრიცის უპირველესი ამოცანაა საკუთარ თავში ამაღლებული პრინციპების დასამკვიდრებლად აუცილებელი თვისებები განავითაროს; და ეს იქნება ჩვენი კეთილდღეობის ძირითადი საფუძველი, რადგან საზოგადოებაში აღმშენებლობა მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც სიმართლისადმი, მარადიული ჭეშმარიტებისადმი მსახურება გააზრებულ ქმედებას ეყრდნობა და არა უტილიტარიზმს.

უმრავლესობა იტყვის: ეს ჭეშმარიტება ხომ მეც ვიცი, ეს მეც მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება.

კიდევ ერთხელ გავისხენოთ ბარუხ სპინოზა – ჩვენ იმდენ ჭეშმარიტებას ვფლობთ, რომ ბედნიერი ცხოვრებისათვის მისი მეათასედიც საკმარისი იქნებოდა. თუმცა, ერთია ჭეშმარიტების ცოდნა და მეორე – ჭეშმარიტად ცხოვრების მცდელობა.

მართლაც, თუ ბედნიერი ცხოვრება მეც მინდა და თქვენც არ ხართ წინააღმდეგი, მაშინ რა გვიშლის ხელს იმ პრინციპების გააზრება-დამკვიდრებაში, რომელიც ღირსეული ადამიანის საკადრის ცხოვრებას ქმნის?!

კაცობრიობის ისტორიის ზედაპირული ანალიზიც კი ნათლად აჩვენებს, რომ ადამიანთა ურთიერთობის საფუძველი შინაგანი სიახლოვის არაცნობიერი შეგრძნებაა. ესაა ორ ინდივიდს შორის ინტუიციური ურთიერთგაგება. ამის შემდეგ იწყება ცნება „ჩვენნიანის“ – საზოგადოების დაბადება, და არა აქვს მნიშვნელობა, ეს განუვითარებელი ველური ტომია, თუ ცივილიზებული საზოგადოება, სახელმწიფო.

ადამიანთა ურთიერთობის ქვაკუთხედი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ნდობა და პატივისცემაა. ამ ურთიერთობის ძირითადი არსი ისაა, რომ ჩემი ბედი შენზეა დამოკიდებული და, პირიქით. ეს ის უდრეკი და მარადიული პრინციპია, რომლის გარეშე არავითარი საზოგადოება არ არსებობს.

საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებაზე „მჭევრმეტყველთ“ მიერ გადმოფრქვეული „ჭეშმარიტი“ აზრები, ან „უახლესი“ მოდერნისტული თუ დაობებული, დახვეწილი თუ დაუხვეწავი თეორიები, საზოგადოების არსს ვერც შეცვლიან და ვერც გააუქმებენ.

ასეთ „მჭევრმეტყველთ“ მხრიდან, საზოგადოებაში ეჭვის გაღვივების მცდელობა მარტივი გააზრებითაც კი შეიძლება დაიმსხვრეს. თავის მხრივ, ამ თეორიების შემქმნელიცა და დამკვეთიც – კრიმინალურ-პოლიტიკური ფენა – უზნეო, სულიერ-მატერიალურ კანიალთა ერთობას ეფუძნება. ბოლშევიკურ თუ ფაშისტურ მსხვილ კრიმინალურ გაერთიანებასა და ჩვენს უბადრუკ, კრიმინალურ-პოლიტიკურ ბანდაშიც სწორედ ეს „ჩვენნიანის“ პრინციპი ბატონობს.

ამრიგად, „ჩვენ“-ს გათითოკაცებას ცდილობენ და თვითონ კი კომპლიმენტარობის პრინციპით ერთიანდებიან.

პარადოქსია, რომ მათ „ჩვენნიანის“ ცნება უმაღლეს რანგში აჰყავთ, ხოლო კეთილი ნების, ინტელექტუალური, მაღალზნობრივი ადამიანები „ჩვენნიანის“ ცნების გათავისებას, ერთობის მიღწევას ვერ ახერხებენ. სწორედ ესაა პრობლემის ძირითადი არსი.

დავუბრუნდეთ ცნება „ჩვენნიანის“ სიცოცხლისთვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ისეთი მძაფრი დაპირისპირების შემთხვევაშიც კი, როგორცაა ომი, მხედველობაშია მიღებული, რომ მოწინააღმდეგეც ჩემი ახლობელი ბუნებისაა, ამიტომ ომის წარმოებასაც კანონები მიუსადაგეს.

ეს გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო სამართალში, თუმცა, პარადოქსს აქაც აქვს ადგილი: თითბერის ან სპილენძის გარსით დაუფარავი ტყვიის გამოყენება აკრძალულია (ნუ შევეხებით ასეთი ტყვიის ტექნიკურ უპირატესობას). საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს, რომ დამცავი ფენის გარეშე ტყვია ადამიანის ორგანიზმის მოწამვლასაც გამოიწვევს. ეს იგივეა, რომ ჯალათმა მსხვერპლის ჯანმრთელობაზე იზრუნოს და თავის მოკვეთამდე ნაჯახის სტერილიზაცია უზრუნველყოს. რას იზამთ, სწორედ ესაა პოზიტიური, არაბუნებრივი სამართალი.

დავუბრუნდეთ კეთილი ნების ადამიანთა ერთობის პრობლემას.

საზოგადოება მცირერიცხოვანი „ჩვენნიანების“ დაჯგუფებებისგან შედგება; ცნება „ჩვენნიანის“ პირველ საფეხურს წარმოადგენს ოჯახი, რომლის საფუძველია ინტიმური სიახლოვე, ნათესაობა. ასევეა მეზობლობა ან საერთო საქმე, პროფესიული სიახლოვე, გემოვნებათა დამთხვევა, ჩემი ეზოს, საღარბაზოს, ქუჩის, ქალაქის სიყვარული, ადგილობრივი ადამიანი, დიალექტი, სიმღერა . . .

აქედან ნათლად ჩანს, თუ რა მნიშვნელოვანია ცალკეული ნაწილების, სისტემების ჰარმონიული ურთიერთობა; თუ რამდენად ღიაა, ურთიერთშელწევადია სისტემები. საზოგადოების, სახელმწიფოს სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ ნებისმიერ ინსტანციაში შედწევადობის ხარისხი რამდენად მაღალია. რამდენად გამჭვირვალეა ადმინისტრაციული სტრუქტურები, სამართალწარმოება . . .

საზოგადოებაში ადამიანების პირადი, ცოცხალი, აქტიური კავშირი და საზოგადოების, როგორც მთელის ერთობის შეცნობა-გააზრება, ცოცხალ ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის ტოლფასია. ამის გარეშე მთელის სიცოცხლისუნარიანობა წარმოუდგენელია. საზოგადოების რეალური არსებობის საფუძველს სწორედ ერთობის დამკვიდრება განაპირობებს.

აქ იბადება ბუნებრივი კითხვა: ზემოხსენებულ საზოგადოების არეალში ხომ არ დევალვირდება კონკრეტული ადამიანის თავისუფლება? ხომ არ შებოჭავს ეს სისტემა თავისუფლების უღიადეს ფენომენს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა თავისთავად თავისუფლების ცნებაში გარკვევას მოითხოვს.

თავისუფლება

თავისუფლება ადამიანის სულს სჭირდება! თუმცა, არა მხოლოდ სული, სხეულიც თავისუფლებას ითხოვს.

რას ვგულისხმობთ თავისუფლებაში?

ადამიანებს სხვადასხვაგვარად ესმით თავისუფლება.

ზოგს თავისუფლება ასე ესმის: როცა რესტორანს გვერდით ჩაუვლით და ძვირფასი საკვების არომატს შევიგრძნობთ, მაშინ ჩვენს კუთვნილ პურის ნაჭერს შეურაცხყოფად აღვიქვამთ და თავისუფლების დაუოკებელი სურვილი გვიჩნდება.

რისგან გვინდა გათავისუფლება?

იმ უხარისხო, იაფფასიანი პურის ნაჭრისგან?

მაშ, გადააგდე პურის ნაჭერი და გახდი თავისუფალი.

კრიმინალთა სასახლეების დანახვისას, როცა ჩვენი უსინათლო, გაყინული, არაკომფორტული, უბადრუკი ბინა გვახსენდება, როცა მათ ძვირფას ტანსაცმელს ჩვენსას ვადარებთ, შენიღბული სისასტიკე გვეუფლება.

მაშ, რად არ ვთავისუფლდებით მისგან? რად არ მოვისვრით ტანსაცმელსაც პურის ნაჭერივით? მაგრამ თუ მოვისვრით, მივხვდებით, რომ თურმე ამ ნივთებისგან გათავისუფლება კი არა, ფეშენებელურ რესტორანში, ნახევრადგადაწოლილ მდგომარეობაში უზრუნველად განცხრომას ვესწრაფვით; და ეს სურვილი იმდენად ძლიერია, რომ გვიჩნდება „ბუნებრივი მოთხოვნა“ – სახელმწიფომ, საზოგადოებამ, ხალხმა, კეთილი ინებოს, და ეს ყველაფერი ჩემს საკუთრებად აქციოს, აბა სხვანაირად როგორ?

მეორე მხრივ, ჩვენი საზოგადოების, სახელმწიფოს ფილანტროპობის უკვე არავის სჯერა, რადგან ადამიანი არაცნობიერად გრძნობს, რომ სხვაც ასევე ფიქრობს და ამგვარ თავისუფლებას მიელტვის. თუ დაფიქრდებით, მივხვდებით, რომ ჩვენ თავისუფლება კი არა, ყოველგვარი სიკეთის თავისუფლად ფლობა გვსურს. ფაქტიურად, ჩვენ „სიკეთის“ ერთპიროვნული მფლობელობა, მესაკუთრეობა გვინდა. ცარიელი თავისუფლება ჩვენ არაფერს გვმატებს და, ალბათ, არც ვიცით, რა თავში ვიხალთ ასეთი უშინაარსო თავისუფლება.

ცხადია, ვიდაც ახერხებს ამ „თავისუფლების“ მოპოვებას. გამოდის, რომ თავისუფლებისაგან ხეირის მიღება „მე“-ს განსაკუთრებულობაზეა დამოკიდებული.

ვიყოთ თავისუფალი – ვისგან ან რისგან?

რა თქმა უნდა, ბევრია გადასაგდები, ჩამოსაბერტყი, თუნდაც, მონური ლოდინი, ალოგიკურობა, სიზარმაცე . . .

თუმცა, ჩამობერტყვისას მივხვდებით, რომ ჩვენს გარშემო უფრო შავად იქუფრება ძალადობის ღრუბლები. ჩამოვიბერტყოთ შიში და მოვიპაროთ ან შევიძინოთ „პიედრო ბერეტას“ სისტემის იარაღი. შემდეგ?! გავიღეთ ქუჩაში? მაგრამ ვაი, თუ პოტენციურ მსხვერპლს „უზის“ სისტემის ავტომატური იარაღი აღმოაჩნდეს? . . .

და ეს იქნება ჩვენი პირველი აღმოჩენა, თუ მივხვდებით, რომ **რაც უფრო მეტ ფოლადს ჩავიდებთ ჯვებში ან ჩამოვიკიდებთ, მით უფრო დაუცველ და უსუსურ სამიზნედ გადავიქცევით.** არა, ეს არ არის თავისუფლება.

განუვითარებელი ადამიანი ვერ გრძნობს იმ ჩარჩოებს, რომელსაც ინტელექტუალური პიროვნება ნათლად ხედავს და შეიგრძნობს. ამიტომ, რომ პირველი უფრო „თავისუფლად“ გრძნობს თავს, ამ ჩარჩოებიდან გადის და უსუსური, უბადრუკი, მონა, მათხოვარი ან უბრალოდ, სისხლიანი გვამი ხდება.

რაც მეტ „თავისუფლებას“ მოიპოვებს ადამიანი, მით უფრო მძიმე, რთული ამოცანა დგება მის წინაშე. ჩვენ ქოლერის, შავი ჭირისა და მორალისაგან გაკათავისუფლდით და შიდასივრცეში გამოჩნდა. ცხადია, რაღაცისგან გათავისუფლება, რაღაცის მოცილებას ნიშნავს. თუ ვინმე თავის ტკივილისგან საშუალოდ გათავისუფლდა, ალბათ, მან ან თავი მოიცილა, ან არასდროს ჰქონია. შეეყვარებულს მუდამ გული აწუხებს, გინდა გათავისუფლდე ამ ტკივილისაგან? ნუ შეიყვარებ.

ამრიგად, მე არ შემიძლია ვიყო „თავისუფალი“, რადგან ასეთი „თავისუფლება“ არაფერში მჭირდება. ის შიშს ბადებს. რჩება მხოლოდ სურვილი, ოცნება თავისუფლებაზე. მე მომწონს ოცნება, მხოლოდ ოცნება მინდა, ანუ ილუზორული „სიზმრის თავისუფლება“, რომელიც დილით, მზის სხივებთან ერთად ნისლივით ქრება.

„რევოლუციონერებს“ რევოლუციაც მხოლოდ ილუზორული თავისუფლების შეგრძნებას ანიჭებს. რეალურად კი მათი ბრძოლის შედეგი არა თუ თავისუფლება, არამედ ხშირად ადრინდელთან შედარებით, გაცილებით სასტიკი მონობაა.

და თუ უინტელექტო სუბიექტი ამას მიხვდება, მაშინ თავისუფლების „მცირე დოზით“ მოთხოვნა უნდა — ბევრი არა, მაგრამ ცოტა თავისუფლება კი უნდა. ეს უკვე ვაჭრობაა. თავისუფლების ნაგლეჯი თავისუფლებას აღარ წარმოადგენს. და თუ ის ამასაც მიხვდა, მაშინ ამ მძიმე ტვირთს — „თავისუფლებას“ — იშორებს, მიწაზე ანარცხებს, რათა შემსუბუქდეს და იწყება „ფეხმსუბუქობა“, მონობა.

თავისუფლება, ეს უნიკალური სიტყვათა შერწყმა, საკუთარ არსზე, ადამიანის პირველ-საწყისზე უფლებამოსილებას გამოხატავს.

მაიქციეთ ყურადღება, „მე“ არ არის „ჩვენ“-ის წარმოებულ. „მე“ პირად ცხოვრებას, საკუთარ ყოფას ქმნის და მისი არსი ჭეშმარიტ თავისუფლებაში, თვითმყოფადობაში გამოიხატება. ამაშია მისი ორიგინალობა და სილამაზე. შესაბამისად, „მე“-ს სულის თავისუფლების „ხარისხი“ საზოგადოების განვითარების დონეს, ყოფას განაპირობებს და მის ძირითად საფუძველს წარმოადგენს და, პირიქით.

საზოგადოებრივი წესრიგის მექანიკა მხოლოდ ზედნაშენია, კავშირის მექანიზმი, რომელიც ადამიანთა სულიერი ცხოვრებითა და თავისუფლების ხარისხით ხდება ქმედუნარიანი.

ამრიგად, **საზოგადოებრივ ყოფას, მისი განვითარების ეფექტურობას განსაზღვრავს საზოგადოების პირველსაწყისის — „მე“-ს — თავისუფლების „ხარისხი“ და თვით „მე“-ს მიერ თავისუფლების ცნების გააზრების სიღრმე.**

და თუ ადამიანის არსი ღვაწლის გაღებაა — თავისუფლება — ადამიანის უპირველესი მოვალეობაა და არა „თანდაყოლილი“, აბსოლუტური უფლება.

თავისუფლება – ღვაწლის გაღების უფლება ადამიანის ცხოვრების აზრი და საფუძველია.

თავისუფლება ემპირიულსა და ტრანსცენდენტურ ყოფას, ანუ ცდისეულ შეგრძნებასა და თანდაყოლილ გონიერებას შორის შემაერთებელი კვანძი, სახსარია.

ადამიანი თავისუფალია, როცა მისი ჟინი, ვნება, ინსტინქტი გონებას ემორჩილება, გონება კი – სიმართლეს.

თავისუფლება ადამიანის პიროვნებად ქცევის საფუძველი, თანდაყოლილი თვისებაა. შეუძლებელია პიროვნებას თავისუფლება საზოგადოებამ, სახელმწიფომ მიანიჭოს. ნებისმიერი საზოგადოება, თუ მას ტოტალიტარული პრეტენზიები არ გააჩნია, ვალდებულია ადამიანის, პიროვნების თავისუფლება აღიაროს. აი, ესაა ღვთიური სამართლის არსი და ჭეშმარიტება. შესაბამისად, საზოგადოებას, სახელმწიფოს თავისუფლების შეზღუდვის უფლება არაა აქვს.

ჩვენი აზრით, ცნება თავისუფლებაში ადამიანის პიროვნებად შედგომისაკენ სწრაფვა იგულისხმება. და თუ ეს ასეა, მაშინ საზოგადოებაში გავრცელებული ფრაზა – შენი თავისუფლება თავდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება, მიუხედავად ზედაპირული მომხივებლულობისა, ვიშორებთ, თავის არსში სიკეთის უარყოფას მოიცავს. თავისუფლების სხვა გაგება ესაა მცდელობა პოზიტიური, მოქმედი სამართლის მხრიდან, ანუ საზოგადოების, სახელმწიფოს მხრიდან ადამიანს, პიროვნებას თავისუფლების საზღვრები დაუდგინოს. თავისუფლება ერთადერთია, რაც არ შეიძლება საზღვრებში მოექცეს, რადგან თავისუფლება ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანის პრეროგატივაა. ესაა ღვთიური სამართალი და არა ის, რასაც ბუნებრივ „სამართალს“ უწოდებენ. დავფიქრდეთ და მივხვდებით, რომ – ბუნება არავითარ სამართალს არ ადგენს. სწორედ ამის გაუაზრებლობამ და დაუფიქრებულებამ მიიყვანა ადამიანები, „ბუნებრივი სამართლის“ სახელით, რევოლუციებამდე. და მონობის ერთი ფორმის ახალი მონობის ფორმით შეცვლამდე.

უდიდესი სულიერი რევოლუცია იყო ქრისტიანობის დამკვიდრება. მან მიახლოვა ადამიანი სულიერ საწყისთან, რომელიც საზოგადოების, ბუნებისა და სამყაროსაგან დამოუკიდებელია – მას მხოლოდ ღმერთი განკარგავს. ქრისტიანობამ ადამიანი სულიერად გაათავისუფლა „ბუნებრივ სამართალზე“ დაფუძნებული საზოგადოების, სახელმწიფოს განუსაზღვრელი ძალადობის უფლებისაგან. სწორედ ამის უგულებელყოფამ მიიყვანა გონებადაქვეითებულნი ინდივიდუალური და სოციალური მორალის გაყოფამდე.

ჩვენთვის გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება იყოს ადამიანი პირად ცხოვრებაში მორალური, ქრისტიანი, და იმავდროულად, აფერისტი და ამორალური – საზოგადოებრივში.

კრიზისი მაშინ იწყება, როცა უაღრესად მცდარი აზრი ჩნდება – ქრისტიანობა პიროვნების გადარჩენის რელიგიაა. აი აქ თავდება ურთიერთობა „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის და იწყება ის, რასაც დღევანდელი საქართველო ჰქვია.

ჩვენი აზრით კი, ქრისტიანობა არის არამართო „მე“-სა და „ჩვენ“-ის, არამედ მთელი სამყაროს გადარჩენის რელიგია.

ადამიანი, ჭეშმარიტებისაკენ მუდმივი სწრაფვის გარეშე, ამ სიბრძნეს ვერ შესწავდება.

მან გვითხრა – შეიცან ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებს შენ. . .

ის მოგვმართავს: ჭეშმარიტება მოგანიჭებთ თავისუფლებას. . . და ჭეშმარიტების ძიება თავისუფალთა პრეროგატივაა.

„შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე 8, 32)

ესაა ის უმძლავრესი ბერკეტი, სულიერი საწყისი, რაც მან ადამიანს დაანათლა. იკრება უდიადესი წრე – ჭეშმარიტებიდან თავისუფლებისკენ და თავისუფლებიდან ჭეშმარიტებამდე. და ეს წრე ღვთით იხსნება.

თავისუფლების იგნორირება სულის შეხუთვის ნიშნავს და ამ „ჭაერის“ გარეშე ადამიანი განწირულია.

შესაბამისად, ესაა ზოგადი და უმაღლესი აუცილებელი პირობა, რათა ადამიანმა ყველა დანარჩენი მოვალეობის აღსრულება შეძლოს.

ამრიგად, ჩვენი მტკიცე რწმენით:

- თავისუფლება უწმინდესი მოვალეობაა;
- თავისუფლებისგან განდგომა სულიერი თვითმკვლელობაა;
- სხვის თავისუფლებაზე ყოველგვარი თავდასხმა მკვლელობის მცდელობის ტოლფასია;
- სამყაროს მამოძრავებელი ძალის ქვაკუთხედი შემოქმედებითი იმპულსის მფლობელ თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებაა;
- თავისუფალი ადამიანი შეიძლება ფიზიკურად გაანადგუროთ, მაგრამ მისი მონად გადაქცევა შეუძლებელია.

როგორი ხარისხისაც უნდა იყოს იძულება, ადამიანის (და არა პიროვნების) ნებაზე გარეგანი ზეწოლა, არაფერი გამოვა, რადგან ამ ზეწოლის შედეგად მხოლოდ მკვდარ სოციალურ ფენას მიიღებთ. ამრიგად, თუ საზოგადოებრივი ცხოვრება ჩამკვდარია, მაშინ შესაძლოა თამამად განვაცხადოთ, რომ ამ საზოგადოებაში მონათა, არათავისუფალთა რიცხვი დიდია.

კრიმინალური დიქტატურა იმდენად არის ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რამდენადაც, აქტიური ადამიანების გმირობის წყურვილის ან სპეციალურად შექმნილი თავისუფლების ოაზისების ხარჯზე კვების საშუალება გააჩნია.

ამრიგად, ცხადია, რომ ადამიანის სიღრმიდან მომავალ ამ უსაზღვრო ძალაზე დისციპლინის ან მკაცრი, უხეში ზეწოლის გამოყენება საზოგადოებას წარმატებას არ მოუტანს.

ყველაზე მკაცრ სამხედრო ან პოლიტიკურ-კრიმინალურ ტერორს მხოლოდ არსებული საზოგადოების დროებითი მართვა შეუძლია და არა საზოგადოების შექმნა.

საზოგადოებას თავისუფალთა ნება ქმნის.

აზრსმოკლებულია თავისუფლებაწართმეულ ადამიანს (მონას, ჭანჭიკს) ეკონომიკური აღმავლობა, მეურნეობის განვითარება მოსთხოვო.

საზოგადოება თავისუფლების წართმევით მხოლოდ აღვირახსნილ თვითგამოთავყენებამდე, დაუნურ პასიურობამდე ან მხეცურ ბუნტამდე – რევოლუციამდე შეიძლება დაეშვას.

ამრიგად, სახედაკარგული ადამიანი არ შეიძლება იყოს საზოგადოების წევრი ან საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილე. ასეთი შეიძლება მხოლოდ გარეული, ან შინაური, მოთვინიერებული ცხოველი გახდეს. ასეთ შემთხვევაში დამყარდება სისხლისმსმელ, მტაცებელ მხეცთა ბატონობა მოუხეშავ, მცოხნავ ცხოველებზე. კრიმინალურ ელიტას ავიწყდება ის რეალობა, რომ მოთვინიერება მანც ფარდობითია და მცოხნავ ცხოველსაც, ნებისმიერ მომენტში, აგრესიის მთელი სისასტიკით გამოძულავნება შეუძლია.

ასეთ საფუძველზე შექმნილი საზოგადოება განწირულია, რადგან ის ძირითადად ტლანქი, გამათხოვრებული სუბიექტებისგან შედგება. ამგვარ საზოგადოებაში გამეფებულია შენობიერი ქაოსი, არაკონტროლირებადი ანარქია. შესაბამისად, პოლიტიკურ-კრიმინალური ჯგუფი საზოგადოების უმეტეს ნაწილს ბრმა იარაღად იყენებს. შედეგად ვიღებთ საზოგადოებრივი ცხოვრების სწრაფ დაქვეითებას, სოციალურ აპათიას, შინაგანი ორგანოების, კუნთების ტონუსის დაცემას. მედიცინაში ეს დიაგნოზი სიტყვა – „ატონიით“ აღინიშნება. ამ დროს დაგროვილი შინაგანი პოტენციალის გამოთავისუფლება მხოლოდ არსებული საზოგადოებრივი წყობის ნგრევასა და ანარქიის მომძლავრებას იწვევს.

განათლებულს, უნდა ესმოდეს, რომ ადამიანში თავისუფლების შეზღუდვა მძინვარე თვითდამკვიდრებას განავითარებს.

ისტორიიდან ცნობილი, სოციალურ ნიადაგზე წარმოქმნილი ყველა დაპირისპირება, ფაქტიურად, თავისუფალი შემოქმედის მონად ქცევის მცდელობა იყო (და ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს შეუძლებელია), მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკური ლოზუნგი ელო მას საფუძვლად.

ამიტომაც დამანგრეველი ყოველგვარი ძალადობა, რევოლუცია.

ვიმეორებთ – თავისუფლება პიროვნებისათვის მხოლოდ ღვაწლის გალების თავისუფლებას უნდა ნიშნავდეს.

ამრიგად, რათა ავმადლდეთ სამებადღე – მამული, ენა, სარწმუნოება – ღვაწლის, ერთობის, თავისუფლების არსის შეძლებისდაგვარად სიღრმისეული გააზრება აუცილებლობას წარმოადგენს.

შესაბამისად, ყველა მენსიერებაშენარჩუნებულმა, საზრიანმა ადამიანმა, ვისი არსიც ქვეყნის სიყვარულია, ვისაც მატრიცის შექმნა ხელეწიფება, მატრიცის ახალ სოციალურ ფენაში ერთობის, ფოლადისებური სულიერი სიმტკიცის დამკვიდრების მექანიზმი უნდა გაიაზროს.

ისევე ბუნებრივ კანონზომიერებას დავუბრუნდეთ და ერთობის სიმტკიცის საიდუმლოში გავერკვეთ. მოდელად, სიმბოლოდ „ფოლადი“ შევარჩიოთ.

თვით რკინა, რომლისგანაც მიიღება ფოლადი, საკმაოდ რბილი, პლასტიური მასალაა, რომელიც ზეწოლას ადვილად ემორჩილება. მისი დეფორმირება სიმნელეს არ წარმოადგენს და, ასე ვთქვათ – დეფორმაციას „იმასოვრებს“. გაღუნული რკინის ღერო, ლურსმანი პირველსაწყისი მდგომარეობის დაბრუნებას არ ცდილობს და გაღუნულ მდგომარეობაში რჩება. დიდი ფანტაზია არაა საჭირო, რათა რკინასა და ჩვენს შორის მსგავსება აღმოაჩინოთ. დღეს ჩვენი სოციუმი საკმაოდ რბილი, დეფორმაციის მიძღები სისტემაა, რომელიც გაღუნულ, დაჩოქილ მდგომარეობაში იმყოფება.

ფოლადს კი მსგავსი რამ არ ახასიათებს. ის ეწინააღმდეგება დეფორმაციას. რკალად მოხრილი, მაღალი ხარისხის ფოლადის მახვილი საოცარი სილამაზითა და მისთვის დამახასიათებელი ულამაზესი ელასტიურობით ფორმას მყისიერად იბრუნებს და უნარი აქვს რკინა ძეხვივით აკუწოს.

ნუ ვიჭნებით ძეხვი, ვიქცეთ ფოლადად!

საკმარისია, რკინისა და ფოლადის სტრუქტურა მძლავრ მიკროსკოპში დავათვალიეროთ, რომ მათ შორის თვისებების განსხვავებას დავაფიქსირებთ; რკინა მსხვილი ბლოკებისაგან შედგება, რომელთა შორის სიცარიელები, დისლოკაციებია, რომლებიც რკინის მასაში ადვილად გადაადგილდებიან. დეფორმაციისას ბლოკებს შორის არსებული ყველა სიცარიელე ყველაზე დაძაბულ ადგილებში იყრის თავს. თუ გაღუნულ ლურსმანს დააკვირდებით, გაღუნვის არეში ნახეთქებს, სიცარიელის ღარებს ჩვეულებრივი ლუპითაც კი დაინახავთ. ეს ის სიცარიელეა, რომელიც რკინის სიღრმედან მის ზედაპირზე გამოდის. ადამიანებმა რკინის ეს თვისება უძველეს დროში აღმოაჩინეს; ამის გათვალისწინებით, დამასკოში რკინას საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ჭედდნენ – აბრტყელებდნენ, კეცავდნენ და ისევე მრავალგზის აბრტყელებდნენ. ამ პროცედურის მიზანი რკინაში არსებული მოცულობითი დეფექტების ბლოკების დანაწევრება იყო. იმავდროულად, მიმდინარეობდა რკინის ცეცხლზე გახურება, რომლის დროსაც ხეში არსებული ნახშირბადი დიდი რაოდენობით გადადიოდა რკინაში და ბლოკებს შორის არსებულ სიცარიელეს ავსებდა. რკინაში შესული ნახშირბადის მთავარი დანიშნულება სიცარიელის დისლოკაციის, გადაადგილებისთვის ხელის შეშლა გახლდათ. ასე იბადება ფოლადი.

დაუუკვირდეთ, ჩვენი საზოგადოება სოციალური ჯგუფებისაგან, ბლოკებისაგან შედგება და მათ შორის საკმაოდ დიდი ზომის ფსიქოლოგიური, მენტალური, იდეოლოგიური შეუთავსებლობის „სიცარიელეა“. შესაბამისად, მატრიცის შესაქმნელად აუცილებელია დაიმსხვრეს დიდი გაერთიანებები, ბლოკები, ანუ მატრიცის შემადგენელ სოციალურ ჯგუფებს შორის სიცარიელე შემცირდეს. ეს, მართლაც, მხოლოდ „ჭედვით“ – ერთმანეთს შორის დიალოგით, აზრთა შეჯერებით, ფასეულობათა გადაფასებით – არის შესაძლებელი. ჩვენს შორის სიცარიელეთა შემცირება იწყება. იმავდროულად,

იდეათა ველში შესვლისას გამოკვეთილი უმთავრესი იდეა ნახშირბადით ავსებს სიცარიელეს. სწორედ იდეა ავსებს ჩვენს შორის არსებულ დეფექტებს. და რაც მეტად ვითავისებთ იდეას, მით მცირეა დეფექტებისაგან გამოწვეული დაძაბულობანი. იდეა არ შეიძლება ელასტიური იყოს. ის ალმასივით უდრეკია, ანუ თვით ფოლადზე მტკიცეც.

ჩვენ იდეურად ალმასივით სიმტკიცე მოგვეთხოვება და იდეის აღსრულებაში კი – ალესილი ფოლადივით ელასტიურობა. მხოლოდ ასე იქმნება უმაღლესი ხარისხის მატრიცა, ის სისტემა, რომელსაც თავისუფლების, ერთობის გააზრება, დამკვიდრება შეუძლია.

– საიდან დავიწყით მატრიცის შექმნა?

ალბათ, უმთავრესით – კონკრეტული ადამიანის არსის შეძლებისდაგვარად გააზრებით. შეძლებს კი სახელმწიფოს მოქმედ, პოზიტიური სამართლის მარწუხებში მოქცეული ადამიანი ამ მისიის შესრულებას?

ბუნების გვირგვინი

რას წარმოადგენს ადამიანი, ის უნიკუმი, რომელიც სოციუმს, სახელმწიფოს ქმნის?

არც ერთი საკითხის განსჯისას ისე ახლოს არ მისულა ერთმანეთთან მეცნიერება და რელიგია, როგორც ადამიანის შეფასების საკითხში. ჰკითხეთ ბიოლოგს, ფუნდამენტური მედიცინის წარმომადგენელს და გეტყვით, რომ ადამიანი ბიოლოგიური სამყაროს უნიკუმი, გვირგვინია.

ამ თემაზე არა მარტო მეცნიერება, არამედ უკიდურესად დაპირისპირებული რელიგიებიც კი ერთ აზრამდე მიდიან. დავიწყით ბიბლიით.

– „ადამიანი ღმერთმა შექმნა ხატად თავისა“ და დანიშნა თევზების, ცხოველების, ხეების . . . უფროსად

იუდაიზმი: – „მთელი სამყარო შექმნილია მხოლოდ მართალი ადამიანისათვის. ის იწონის იმდენივეს, რამდენსაც მთელი სამყარო“. . .

ყურანი: – „ნუთუ არ ნახეთ, რომ ალაჰმა დაგიქვემდებარათ ის, რაც ცაშია, რაც მიწაზე და მოგცათ გამოკვეთილი სიკეთე . . .“

კონფუციანიზმი – ათეისტური რელიგია – რიტუალების წიგნი: – „ადამიანი არის შუა წერტილი უმაღლეს კანონზომიერებასა და ამ ცოდვილ მიწას შორის“.

ამრიგად, ყველა რელიგია და მეცნიერება მიმტკიცებს, რომ მე ვარ ყველაფრის გვირგვინი. თქვენი არ ვიცი, მაგრამ სარკესთან პირისპირ რომ ვრჩები, ვხვდები რა „გვირგვინიც“ ვარ. გვირგვინი კი არა, ერთი უსუსური ინფუზორია ვარ, რომელსაც ამ ცხოვრებაში, ბოროტების იოტისოდენა შემცირებაც არ შეუძლია.

თუმცა, მარტო მე არ გამჩენია ეს აზრი. არ არსებობს ერი, ეთნოსი, რომელსაც ზეადამიანზე მითი, ლეგენდა არ შეექმნას. თუ ადამიანები სამყაროს გვირგვინები არიან, ზეადამიანზე ოცნება რატომ დასჭირდათ? ადამიანი ადამიანზე ძლიერ სახეობას უნსოვარი დროიდან ეძებდა. მართლაც, საიდან ჩნდება მათ ფანტაზიებში ატლანტები, გიგანტები. . . ძველი ბერძნები ისე სერიოზულად განიხილავდნენ ამ საკითხს, რომ ოლიმპოს მთა ისეთი არსებებით დაასახლეს, რომლებიც ჩვენ უფრო გვეკანან, ვიდრე ღმერთებს.

მითებში შემონახულია ბუნების და ადამიანის გონების მცდელობა, როგორმე ჰომო საპიენსის შემდეგი საფეხური აღმოეჩინათ.

არსებობს თქმულება, რომ ტიბეტის მთების მღვიმეში, მსოფლიო კატასტროფის შემთხვევაში გენოფონდის გადასარჩენად, ზეადამიანის სხეულია გაქვავებული; რომელიც სულმა დროებით დატოვა (სომატები) და რომელსაც განდობილები იცავენ.

ბიბლია – . . . ბუმბერაზები იყვნენ იმ ხანებში ქვეყნად და მას მერეც, როცა ღვთისშვილები შედიოდნენ ადამიანის ასულებთან, რომლებიც უშობდნენ მათ. ძლიერები იყვნენ ისინი, ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი (დაბადება 6,4.)

გამოდის, რომ ადამიანს საკუთარი უსუსურობა დასაბამიდან აწუხებდა. მართლაც, უსუსურია ის, რასაც ჩვენ ჰომო საპიენსს (ის სხვა პრიმატებისგან შემოქმედების ნიჭით გამოირჩეოდა), ანუ მოაზროვნე ადამიანს ვუწოდებთ. ამიტომ ეძებდა ადამიანის გონება უფრო უკეთესს, ვიდრე ჰომო საპიენსია. ნუთუ, მართლაც, მასზე ძლიერი არაფერია? ნუთუ იმის იქით სიჩუმეა?

ჩვენთვის ადამიანთა ისტორია სამ ფაზად იყოფა.

პირველი ფაზა – დასაბამიდან – ადამ და ევადან ქრისტემდე;

მეორე ფაზა – ის უდიდესი მადლი, ის სამი წელი, როდესაც ქრისტე ზემიწიერ ცოდნას ავრცელებდა;

მესამე ფაზა – ქრისტეს ამალელებიდან დღემდე.

ამ მესამე ფაზის – ოცი საუკუნის – განმავლობაში, ადამიანი ქრისტეს მიერ ზეციდან ჩამოტანილი უდიადესი სიბრძნის გააზრებას ცდილობდა, ცდილობს და ეს მცდელობა ალბათ, დიდხანს გაგრძელდება.

ჩვენც ვცადოთ.

დავიწყოთ პირველი ფაზით.

ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად, მსგავსად. თუ ეს ასეა, მაშინ სად არის თვითგანვითარების უდიდესი იმპულსი? რატომ ვერ გაეცდით ჰომო საპიენსის ზღვარს? და თუ ღმერთმა თავიდანვე ჩალო ჩვენში განვითარების პოტენციალი, რატომ დასჭირდა ქრისტეს ამ ცოდვილ მიწაზე ჩამოსვლა? აი, კითხვა, რომელიც მოაზროვნე ადამიანს უნდა აწუხებდეს. ოდესმე, ოდნავ მაინც თუ მიუვახლოვლებით იმ სიბრძნეს, რაც მან ჩამოგვიტანა?

მართლაც, ვცადოთ, იქნებ მცირედს მაინც შევწვდეთ.

მოგეხსენებათ, რომ ქრისტიანობაში ხალხისგან 12 ადამიანი – მოციქული – გამოიკვეთა. ამ ცოდვილ მიწაზე განკაცებული ღმერთი ჩამოდის და ჩვენგან, უსუსურებისაგან 12-ს აგროვებს. ვილაც მეთევზეს ეუბნება: „დაანებე თავი თევზის ჭერას და გამომყევი“. მებაჟეს ან ლელვის ხის ძირას მჯდომ ადამიანს ამჩნევს და მოწაფედ ირჩევს, ვილაცას ვილაცა მოჰყავს და გროვდება 12. დავფიქრდეთ, რატომ თორმეტი და არა ათი ან თოთხმეტი?

იქნებ მხოლოდ თორმეტი დგას უდიადესსა და ჩვენს შორის? მართლაც, იქნებ თორმეტი და არა ერთი ადამიანია შუაწერტილი უდიადეს კანონზომიერებას, აბსოლუტურ გონსა და ამ ცოდვილ სამყაროს შორის?

შევეცადოთ თორმეტის არსს მიწიერი ახსნა მოვუძებნოთ.

გააზრება ადამიანებს შორის არსებული ფსიქოლოგიური განსხვავებებიდან დავიწყოთ.

ჩვენი გარემომცველი სამყაროს ნებისმიერი რეალური ობიექტი: ხე, ქვა, პლანეტები . . . იზოლირებული არ არის. ის აუცილებლად სხვა ობიექტებთან ურთიერთკავშირშია. პლანეტები ერთმანეთს იზიდავენ. სხვადასხვა ნივთიერების ატომები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ და სხვადასხვა სტრუქტურებს ქმნიან: ლითონს, ქვას, ჰაერს . . . ამ ურთიერთკავშირში ობიექტის თვისებები ნათლად ვლინდება. მაგალითად: რკინა ადვილად შედის რეაქციაში ჟანგბადთან და თავდაპირველ თვისებებს იცვლის. ოქრო კი არ იჟანგება და საკუთარ თვისებებს ინარჩუნებს, ამიტომ მას კეთილშობილ ლითონს უწოდებენ.

ცხადია, რომ გარემომცველი სამყაროს ობიექტების ურთიერთქმედების უსასრულო კომბინაციები არსებობს და მათში გარკვევა უდიდესი პრობლემაა.

მეცნიერებმა ამ ურთულესი პრობლემის გამარტივება შეძლეს. ეს ურთიერთქმედება ჯგუფებად დაჰყვეს. მაგალითად, ვიცით, რომ ყველა ნივთიერება ატომებისგან შედგება, მაგრამ ისინი შეიძლება დაჯგუფდეს მყარ, თხევად და აირად მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებად. როდესაც საუბარია ალმასზე, თქვენ უკვე იცით, რომ ის მყარია, კონიაკი კი თხევადი ნივთიერებაა.

დაჯგუფება იმდენად ეფექტურია, რომ მეცნიერებმა მთელი გარე სამყაროს შემადგენელი ელემენტების კლასიფიცირება შეძლეს და ერთ ფურცელზე დაიჭანეს (ელემენტების პერიოდულობის სისტემა).

რა თქმა უნდა, დაჯგუფება იმის მიხედვით ხდება, თუ რა გვანტერესებს. მაგალითად, ძაღლების დაჯგუფება შეიძლება სიმაღლის ან ფერის მიხედვით, მაგრამ ამ ერთგული ცხოველების მოყვარულნი მათ სხვაგვარად ჰყოფენ: მონადირე, დეკორატიული . . .

ჩვენი პრობლემიდან გამომდინარე, ადამიანთა დამოკიდებულება გარემოსთან შესაძლოა სხვადასხვა კომბინაციებით დაჯგუფდეს.

ადამიანი არც ცხოველია და არც ატომი. უსასრულოა ადამიანთა დახასიათების ვარიაცია, რადგან ყოველი მათგანი ინდივიდუალურად უნიკალურია.

ჩვენს მიზანს ადამიანების არსში გარკვევის რაიმე საშუალების გამონახვა წარმოადგენს.

ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ჯერ ჩამოვყალიბდეთ და შემდეგ დავადგინოთ, თუ რომელ თვისობრივ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ესა თუ ის სუბიექტი.

შევეცადოთ, ადამიანთა თვისობრივი დაჯგუფებისთვის სისტემური ანალიზი გამოვიყენოთ. იმის მიუხედავად, რომ მიზანი დიფერენციაციაა და არა პიროვნებათა დისკრიმინაციის მცდელობა, მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს. სიფრთხილე მეცნიერული გაგებით, რადგან შეიძლება წარმოგვექმნას ასეთი პრობლემა: როდესაც თქვენ ცდილობთ მსმენელს გააგებინოთ თქვენი მოსაზრება მას შეიძლება ეჭვი შეეპაროს, არ დაიჯეროს, უბრალოდ ვერ გაიგოს ან არ მოეწონოს თქვენი თეორია. ეშვება ფარდა, თქვენ აღარ გისმენენ. ეს კი ხელს უშლის გაგებას.

ასეთი პრობლემა ფუნდამენტურ მეცნიერებაში შემდეგნაირად არის გადაწყვეტილი: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თეორია მოსაწონია თუ არა, დახვეწილია თუ დაუხვეწია, ჯანსაღი აზრის ჩარჩოში ეტყვა, თუ არა.

მთავარი ისაა, რომ თეორიას უკვე მომხდარი მოვლენის ახსნა, მოვლენისა და მისგან გამომდინარე შედეგების წინასწარმეტყველება შეეძლოს, ანუ ახსნას რაც მოხდა, რაც ხდება და იწინასწარმეტყველოს რა მოხდება. ეს კვანტური აზროვნებაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შევეცდებით ადამიანები ოთხ ძირითად ჯგუფად წარმოვიდგინოთ:

ტრანსცენდენტული, ენტელექტური, პასიონარული, ინდიფერენტული.

ტრანსცენდენტული – კანტის ფილოსოფიიდან. ადამიანი, რომელიც ახერხებს გაარღვიოს ღვთის მიერ თანდაყოლილი აპრიორული გონის ჩარჩო, გავიდეს მიღმა და გადავიდეს აპოსტერიორულ გონში (ჩვენი აზრით, კვაზიაპოსტერიორულ გონშიც), არის ტრანსცენდენტული, ანუ ჩარჩოში ჩაუტყვევლი ადამიანი.

ურთულესია ამგვარ ადამიანთა დახასიათება-განხილვა.

მართლაც, იბადება, თითქოს ჩვეულებრივი ბავშვი და უკვე მოცარტია.

ვინ აგვიხსნის, როგორ გაჩნდა ვაჟა ფშავში?!

ვინ ჩაატია მოკვდავში – გალაკტიონი, დავითი, ტატო, ვან გოგი, აინშტაინი, ბახი, ბეთჰოვენი, მიქელანჯელო. . . ?!

მიქელანჯელოს მოსეს ქანდაკებით აღფრთოვანებული მოკვდავი ქანდაკებას ეკითხება:

- ვინ შეგქმნა ასეთი სრულყოფილი, ღმერთმა?
- არა, მიქელანჯელომ.
- სული ვინ შთაგბერა, ღმერთმა?
- არა, მიქელანჯელომ.
- ღმერთო, შენ რაღა შეჰქმენი?
- მიქელანჯელო!

ღვთისგან მომადლებული გენია. სხვაგვარი ახსნა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

ენტელექიური – არისტოტელეს ფილოსოფიიდან. მიზანდასახული, მიზანმიმართული მამოძრავებელი ძალის, აქტიური საწყისის, შესაძლებლობათა რეალურად განმანორციელებელი ადამიანი.

პასიონარი – შარლ ფურიეს ფილოსოფიიდან. მისი აზრით, საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა ჟინის, ვნების, მგზნებარების, დაუდგრომლობის მქონე ადამიანი. პასიონარის ძირითადი ნიშან-მახასიათებელი, ანუ დომინანტი პიროვნების (ცნობიერი ან გაუცნობიერებელი) დაუოკებელი შინაგანი სწრაფვა ქმედებისკენ. ის ადამიანის ფსიქიკური კონსტიტუციის ნიშან-თვისებაა. მას ეთიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ის ბადებს, როგორც გმირობას, ასევე დანაშაულს, შემოქმედებასა და ნგრევას, სიკეთესა და ბოროტებას.

ინდიფერენტული – გულგრილი.

უფრო დაწვრილებით:

ტრანსცენდენტული ადამიანები

ტრანსცენდენტული, როგორც ხვდებით, ისეთი ბუნების ადამიანია, რომელსაც თვითგანვითარების შემოქმედებითი უნარი ახასიათებს. თითოეული ასეთი ინდივიდი, ტრანსცენდენტულობით ისეთ პოტენციალს აღწევს, ისე ამჟღავნებს ღვთისგან მინიჭებულ მადლს, რომ მათი სიკვდილის შემდეგ, საუკუნეების განმავლობაშიც კი ცივილიზაციასა და კულტურას შეუფერხებლად ავითარებს. იმასაც კი არა აქვს მნიშვნელობა მათი სახელი ვიცი, თუ არა. რა საოცარიც უნდა იყოს, იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, მისი შემოქმედების ნაყოფი დღეს კიდევ შემორჩენილია თუ არა. ასეთი შემოქმედება არ ქრება. ის შემდეგი თაობების შემოქმედებაში გადადის. მხოლოდ მის აზრობრივ მხრებზე შემდგარნი იყურებიან შორს, ქმნიან ახალს. ამ ადამიანების მიერ არის შექმნილი სამყაროს შვიდი საოცრება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აღარ არსებობს.

პარადოქსია: მათი უზარმაზარი პოტენციალის კვალიც კი აღარ არის, მაგრამ მგრძნობიარე ადამიანები შემოქმედის პოტენციალით აღფრთოვანებულნი, უზარმაზარ ემოციურ დატვირთვას განიცდიან.

მაგალითად, ჩვენ განცვიფრებულნი ვართ როდოსის კოლოსის უნიკალურობით, რომელიც არც გვინახავს. თუ ტრანსცენდენტული ადამიანის შემოქმედების დროის მსახვრალი ხელის მიერ წაშლილი კვალი თქვენში აღფრთოვანებას არ იწვევს, მაშინ წადით და ნახეთ ჯერ კიდევ წარუშლელი სამთავისის ეკლესია! ან სადღაც, წიგნებში ჩაკარგული ტატოს „მერანი“, ვაჟას „ხმელი წიფელი“! ვერ იპოვეთ?! მაშინ გვერდით მდგომს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკეთ და თუ ეს მოახერხეთ, მაშინ გაიხსენეთ, რომ ეს იმ უდიდესი პოტენციალის მქონე ადამიანის მოღვაწეობის შედეგია, რომელსაც დავით აღმაშენებელი ერქვა. იქნებ მაშინ დაიჯეროთ, რომ მისი სული თითოეულ ჩვენგანშია განაწილებული.

ენტელექიური ადამიანები

ამ ჯგუფში ჰარმონიულად თავსდება ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც მიზნის მიღწევისადმი სწრაფვის დიდი პოტენციალითაა დაჯილდოვებული.

ასეთი იყო მაგ., ჟანა და არკი. გთხოვთ, კიდევ ერთხელ წარმოიდგინოთ შუა საუკუნეები, სადაც გაუპარსავ ნაიარევ და მძიმე მახვილით შეიარაღებულ, ნახევრად კრიმინალურ ბრბოში გამოჩნდა სუსტი, უწლოვანი ქალიშვილი, რომელიც მშობლიურ ენაზეც კი ცუდად ლაპარაკობდა და განაცხადა:

„მე მიყვარს საფრანგეთი, მე მას გადავარჩენ!“ ღიას, მან გადაარჩინა საფრანგეთი! ის სწორედ, მიზანის აღსრულებისათვის დაიფერულა.

იმის მიუხედავად, რომ ამ ტიპის ადამიანები უდიდეს როლს ასრულებენ სოციუმის განვითარებაში, ერთმანეთს ჟანა დ' არკივით კოცონზე ასვლას მაინც ნუ მოვთხოვთ. საერთოდ, სოციალური მოტივით გმირობა სახელმწიფოს არ უნდა სჭირდებოდეს.

ბედნიერია ის ერი, რომელსაც გმირი არ სჭირდება.

ასეთი სახის გმირობა ყოველთვის ზემდგომი მმართველი სტრუქტურების ან საკუთარ შეცდომათა მცდელობის შედეგია. თუ მწყობრიდან გამოსული თვითმფრინავი იღუპება და ამ დროს პილოტი უკანასკნელ წამს, საკუთარი სიცოცხლის (გმირობის) ფასად მანქანას არაწონასწორული მდგომარეობიდან გამოიყვანს, ამით ის კონსტრუქტორის, მომსახურე ტექნიკურ პერსონალის ან საკუთარი შეცდომის გამოსწორებას ცდილობს. რაც უფრო გააზრებულია მოქმედების გეგმა, მით დაბალია გმირობის გამოვლენის საჭიროება.

მართვაზე პასუხისმგებლობის შერჩევა უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ადამიანთა დასავგუფებლად სისტემურ ანალიზს სწორედ ამიტომ ვიყენებთ.

ჩარლზ გუდარი – XIX საუკუნეში ცივილიზაციის განვითარებამ კაუჩუკისაგან ისეთი მასალის შექმნა მოითხოვა, რომელიც ტემპერატურის ცვლილების მიმართ მუდგომას გამოავლენდა; ვინაიდან, ბუნებრივი კაუჩუკი ზამთარში მსხვერველად მასად გარდაიქმნებოდა, ზაფხულში კი დნებოდა და წებოვანი ხდებოდა. თავდაპირველად, ამ პრობლემის გადაჭრით დაკავდა იმდროინდელი სამეცნიერო საზოგადოების დიდი ნაწილი: სამეცნიერო ინსტიტუტები, სხვადასხვა უნივერსიტეტები. . . და დაფინანსებამ უდიდეს ნიშნულს მიაღწია. 5 წლის განმავლობაში უშედეგო მცდელობის შემდეგ ეს აღტკინება მინელდა და დაფინანსებაც შეწყდა. ამის მიუხედავად, ერთმა არაფრით გამორჩეულმა პიროვნებამ მიზნად დაისახა ეს გლობალური პრობლემა გადაეჭრა. ის არც დროს, არც ენერჯიას არ იშურებდა, არც უსახსრობას შეუშინდა; სპონსორის საძიებლად უცხო ქალაქში ჩასულმა, სასტუმროს 5 დოლარი ვერ გადაიხადა, რის გამოც ციხეშიც კი მოხვდა. ის შეუჩერებლად განაგრძობდა მცდელობას და ყველაფერს, რასაც იშოვიდა გასურებულ კაუჩუკს ახელდა; ქიმიური მასალების დევიციტისას მარილისა და წიწკის შეხედაც კი სცადა. . . და ერთხელაც, ზამთარში, პატარა გაყინულ ოთახში ნახშირის ლუმელთან მდგარი, კაუჩუკში მორიგი მასალის გოგირდის შეხელას ცდილობდა; მან სიცივისგან გაშეშებული თითები ვერ დაიმორჩილა და ხელიდან გაუვარდა საცდელი მასალა. . . ეს მასალა ლუმელს დაეცა და ოთახში გაუსაძლისი, ლაყე კვერცხის სუნი დატრიალდა. . . გამწარებულმა ექსპერიმენტატორმა აკანკალებული ხელებით აიღო ეს მასა, გამოაღო ფანჯარა და თოვლში მოისროლა. . . ძლივს გამთბარი ოთახი გაანიავა . . . მეორე დღეს გარეთ გამოსულმა შემთხვევით წინა ღამეს გადმოვადებული მასა შენიშნა და მის ასახეად დაიხარა. . . და ის ხელში იღებდა არა საცდელი კაუჩუკის ნაგლეჯს, არამედ იმ მილიარდობით დოლარს, რომელიც ამ გამოგონების პატენტმა მოიტანა. დღეს ამ პროცესს ვულკანიზაციას უწოდებენ; გამოგონების ავტორი კი ჩარლზ გუდარი გახლავთ. ნუ დაიზარებთ და საკუთარი მანქანის საბურავს თვალი შეავლეთ, შესაძლოა მას გუდარი ეწეროს. . .

აი, რას ნიშნავს მიზანდასახული ადამიანი.

უინსტონ ჩერჩილი – მისი მიზანი ინგლისის პრემიერმინისტრობა იყო და მისი ბიოგრაფიიდან ცხადია, თუ რა ძალისხმევა დასჭირდა ამ მიზნის მისაღწევად; მან ამ პოსტის ორჯერ დაკავება შეძლო.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა ენტელექიური დაქვეითებული აზროვნების ადამიანებიც იყვნენ, მაგ., სოლომონ ისაკიჩ მეგლან-უაშვილი.

ზოგიერთ ენტელექიურ ადამიანს მიზნის მისაღწევად, შესაძლებლობების გამოსავლენად კომფორტული პირობები არ სჭირდება. თუმცა, არც იმან უნდა შეგვაშფოთოს, რომ ზოგიერთ მათგანს კომფორტული პირობები სჭირდება.

მაგალითად, უდიდესი მოჭადრაკე რობერტ ფიშერი მიზანს ვერ აღწევდა, ნიჭს სრულყოფილად ვერ ავლენდა, თუ განათების ინტენსივობა ან ოთახის ტემპერატურა მისთვის არაკომფორტული იყო.

ასევე, არსებობს ისეთი ტიპის ენტელექიური ადამიანიც, რომელსაც საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად აბსოლუტური წესრიგი ესაჭიროება. ის იდეალურად, ეფექტურად მუშაობს, როცა ყველაფერი თავის ადგილზეა. საკმარისია, საწერ მაგიდაზე ფანქარი იქ ვერ აღმოაჩინოს,

სადაც მისი აზრით უნდა იდოს, რომ ის სტრესს განიცდის და მისი შრომის ეფექტურობაც იკლებს. იმ დროს, როდესაც ზოგიერთი მხატვრის სახელოსნოში რაიმე ნივთის, მაგ., ფუნჯის მოძებნას გამოცდილი დეტექტივი სჭირდება, მაგრამ ეს ხელოვანში შემოქმედების დაქვეითებას არ იწვევს.

პასიონარი

არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა მოუსვენრობა და დაუდგრომლობა ყველას აოცებს; ასეთი პიროვნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას: ფეხით მიდის იტალიიდან მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების (სადაც ყოველი ბუჩქის უკან სიკვდილია ჩასაფრებული) გავლით ჩინეთში და ცივილიზებული ევროპისათვის კომპასის, ქალაღის, დენტის დამზადების ტექნოლოგიები ჩამოაქვს (მარკო პოლო). არაფერს ვამბობ საპნის დამზადების ტექნოლოგიაზე, რომელიც ევროპაში ასევე პასიონარმა ადამიანმა ჩამოიტანა.

მანამდე, განათლებული ევროპის ფავორიტი ქალები მაღალი ტონის დარღვევას ერიდებოდნენ, ამიტომ პარაზიტებით შეწუხებულნი, პარიკის ქვეშ ფრჩხილით კი არ იფხანდნენ თავს, არამედ კეთილშობილი ლითონებითა და ქვებით გაწყობილი სპეციალური საფხანი ჩხირებით.

პასიონარები ისეთი მოუსვენარნი არიან (ქრისტეფორე კოლუმბი), რომ მათთვის კომფორტული პირობები: მყუდრო ოთახი, სავარძელში უშფოთველი თვლემა ინკვიზიციური წამების ტოლფასია.

როგორ ეხვეწებოდა ქალბატონი პენელოპე თავის მეუღლეს – ოდისევსს, დარჩი სახლში, მშვენიერ სადილს და საუკეთესო ღვინოს მოგართმევითო. არა! მას მცირეოდენი მიზეზი სჭირდება, რათა ცალთვალა და ცალტვინა ციკლოპებთან საომრად წავიდეს.

ასევე გავიხსენოთ ის ადამიანები, ვინც კოლუმბის შემდეგ სამხრეთ ამერიკას ითვისებდნენ. ამ ადამიანების 85% პირველივე წელს ავადმყოფობით, შიმშილით, აბორიგენებთან ბრძოლით, ერთმანეთთან შუღლის გამო იღუპებოდა. რისთვის? - გეთანხმებით, ოქრო! მაგრამ მათთვის ოქრო ფასეული იყო, არა როგორც ოქრო, არამედ, როგორც მიზნის მიღწევის მტკიცებულება. ამ ადამიანების 15% სამშობლოში ისეთი გადაღლილი და იმუნურსისტემადაქვეითებულნი ბრუნდებოდნენ, რომ ნაშოვნის სიმდიდრის გამოყენების თავიც აღარ ჰქონდათ.

ასეთ მდგომარეობაში დაბრუნდა ამაზონის აღმომჩენი ორელანაც. ამ აღმომჩენისთვის მას მარკიზის ტიტული მიანიჭეს, მისცეს სოლიდური ჯილდო ფულის სახით და იცით, რა გააკეთა ორელანამ? – მიღებული ფული ახალი ექსპედიციის მოწყობაში დახარჯა და ისევ ამაზონისკენ გაემართა, სადაც, თუ არ ვცდები, ალიგატორებმა შეჭამეს.

ძნელია, სახელმწიფოს მართვა საკუთარი მიზნისადმი ასე ექსტრემალურად მეტროდ ადამიანს ვანდოთ. მიზნისთვის ასეთი დაუნდობელი ბრძოლა მხოლოდ ქალაღზე ერთობ რომანტიკული, მაგრამ ასეთი ადამიანისათვის ისეთი ფაქიზი მექანიზმის მართვის მინდობა, როგორიცაა სახელმწიფო, მეტი რომ აღარაფერი ვთქვათ, საშიშია.

ინდიფერენტული, ანუ გულგრილი – ყველაზე მეტად გავრცელებული ადამიანის ტიპი. მათზე ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ჩვენ ვცადეთ ადამიანთა ტიპების დადგენა და გამოგვივიდა ოთხი ტიპის ადამიანი:

ტრანსცენდენტული;

ენტელექიური;

პასიონარი;

ინდიფერენტული.

ეს მსჯელობა სრულყოფილი არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი არაა ერთგანზომილებიანი არსება. ის ერთდროულად ფიზიკური, ასტრალური და მენტალური სამებაა. აქედან გამომდინარე, ადამიანი შეიძლება იყოს მკვეთრად გამოკვეთილი მენტალურად ტრანსცენდენტული. მაგ., იმანუილ კანტი – ფიზიკურად საკმაოდ სუსტი ადამიანი. მასში ემოციები, მგრძობელობა, ასტრალურობა, მენტალობასთან თანაფარდობაში არც ისე მაღალია. მისგან განსხვავებულია ტრან-

სცენდენტული მოცარტი, რომლის ასტრალურობა, მგრძობელობა უფაქიზესია, მაგრამ მისი მენტალურობა და ფიზიკური შესაძლებლობები არც თუ ისე სახარბიელოა. ნუ დაგვავიწყდება ისეთი ტრანსცენდენტული ადამიანებიც, როგორცაა პელე, მარადონა. . . მათი ფიზიკური მონაცემები, ჰარმონიული პლასტიკურობა ჩვენს ფანტაზიაზე მაღლაც კი დგას. მათი მგრძობელობა და მენტალობა, ფიზიკურ მონაცემებთან შედარებით, ძალზე უფერულად გამოიყურება. ამ მსჯელობიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, სამი ტიპის ტრანსცენდენტული მდგომარეობა არსებობს – მენტალური, ასტრალური და ფიზიკური. იგივე ეხება ენტელექიურ, პასიონარულ და ინდიფერენტულ ტიპებს. შესაბამისად, ვლებულობთ ადამიანთა ტიპის 12 კომბინაციას:

- მენტალურად ტრანსცენდენტული**
- ასტრალურად ტრანსცენდენტული**
- ფიზიკურად ტრანსცენდენტული**
- მენტალურად ენტელექიური**
- ასტრალურად ენტელექიური**
- ფიზიკურად ენტელექიური**
- მენტალურად პასიონარი**
- ასტრალურად პასიონარი**
- ფიზიკურად პასიონარი**
- მენტალურად ინდიფერენტული**
- ასტრალურად ინდიფერენტული**
- ფიზიკურად ინდიფერენტული**

ცხადია, ადამიანებს ყველა ეს თვისება მეტ-ნაკლები დოზით ახასიათებთ; აბსოლუტურად ტრანსცენდენტული, აბსოლუტურად ენტელექიური, აბსოლუტურად პასიონარი ან აბსოლუტურად გულგრილი ადამიანი არ არსებობს; როგორც ბატონი აინშტაინი ამბობდა, – ყველაფერი ფარდობითია.

დაუუკვირდეთ და შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ქრისტეს მიერ შერჩეულ 12 მოწაფეში სხვადასხვა დოზით ყველა ზემოთ აღწერილი თვისება, გულგრილობის ჩათვლით, თავიდანვე იყო ჩადებულნი. როდესაც პეტრე სამჯერ ამხილეს, – შენც ქრისტეს გვერდით იყავი, – შეიმინებულმა სამჯერვე უარყო უმადლესი. გამოდის, რომ პეტრე ასტრალურად (შიში) გულგრილი იყო.

ურწმუნო თომა. დაუკვირდით, ის უკვე ამადლებულსაც კი ეუბნება, – სანამ ჭრილობაში თითს არ შემაყოფინებ, არ დაგიჯერებ, რომ ქრისტე ხარო. მას რწმენისათვის ფიზიკური ფაქტი, კონტაქტი სჭირდება; შესაბამისად, შეიძლება თომას ფიზიკურად გულგრილი ვუწოდოთ.

ამადლება მათი სვლა გულგრილობიდან სიკეთისაკენ, უმადლესისაკენ მხოლოდ შემდეგ იწყება.

თუმცა, არაფერი ეშველება მენტალურად გულგრილს; მისი უკანასკნელი ნაბიჯი 30 ვერცხლის გადაყრა და უახლოეს ხეზე საკუთარ ქამარზე თავის ჩამოხრჩობაა.

დავფიქრდეთ, ხომ არ არის ადამიანთა სოციუმისთვის თორმეტი (გულგრილის ჩათვლით) ის კრიტიკული რიცხვი (N_{kr}), საიდანაც იწყება სიცოცხლე, თვითგანვითარება, უდიდესი ენერჯის შექმნა. ქრისტეს მიერ შერჩეული თორმეტი ადამიანის ერთობა ხომ არ შეადგენს ერთ მთლიანს, რომელიც უკვე ზეადამიანია?

აქ მთავარია, – თუ ჩვენ ღმერთმა სწორედ ეს მიგვანიშნა, – მაშინ ეს ბუნების კანონია და ყველაფერში უნდა გამოიქვლიან; არა აქვს მნიშვნელობა, ეს ორგანული ბუნება იქნება, თუ არაორგანული.

მართლაც, ბიოლოგიაში შემჩნეულია საინტერესო ფაქტი: წარმოიდგინეთ აკვარიუმი, რომელშიც მოთავსებულია ორი (დედალ-მამალი) თევზი. რა კომფორტული პირობებიც უნდა შეუქმნათ ამ თევზებს – საკვების, წყლის ტემპერატურის, ჟანგბადის მიწოდების სახით – მათ თითქმის არც კი

გაახსენდებათ სიცოცხლის განვითარებისათვის აუცილებელი, ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიური პროცედურა; თუმცა, საკმარისია იმავე აკვარიუმში მესამე თვეში მოათავსოთ (არა აქვს მნიშვნელობა ეს მესამე დედალია, თუ მამალი), აქტივობის ამადლება იწყება. ე.ი. ამ პრიმიტივ არსებებსაც ახასიათებთ კრიტიკული რიცხვი (N_{kr}) – ამ შემთხვევაში 2, რომელსაც თუ ემატება ერთი თვეში, როგორც იდეა ($N_{kr}+1$), იწყება თვითგანვითარება.

ყველა მეფუტკრემ იცის, რომ ფუტკართა ოჯახის შესაქმნელად აუცილებელია მათი რაღაც კონკრეტული, კრიტიკული რიცხვი, რომლის შემდეგაც სკამში რეგენერაცია თვითრეგულაცია, თვითგანვითარება, ანუ აქტიური ცხოვრება იწყება.

როგორ იბადება ტყე? რამდენიმე ერთად დარგული ხე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ტყის დაბადებას. აქაც არსებობს ხეთა რაღაც კრიტიკული რიცხვი, რომლის შემდეგ იწყება მათი განვითარება და ინტენსიური გამრავლება, ანუ წარმოიქმნება ტყე. ასევეა ჭიანჭველებში, კალიებში . . .

მთელი სამყარო მრავალნაწილაკობრივ ერთიანობის ჰარმონიას წარმოადგენს. ორგანული და არაორგანული ბუნება – ადამიანთა სოციუმი, ფრინველები, მგლების ზოგვა, ხეები ტყეში, ოკეანეში თევზების გუნდი . . . – მრავალნაწილაკობრივ სისტემას წარმოადგენენ; და მათ რაღაც კანონზომიერება, ჰარმონია ახასიათებთ, რომელიც შეუიარაღებელი თვალთაც შესამჩნევია. აქედან გამომდინარე, იკვეთება ამოცანა: თუ მართლა არსებობს ეს ზოგადი კანონზომიერება, ის, როგორც ორგანულ, ასევე არაორგანულ ბუნებაში ერთნაირად უნდა გამოჟღავნდეს.

მართლაც, კრისტალოფიზიკაში ცნობილია, რომ კრისტალი ჩანასახიდან იბადება, რომელიც კრისტალის შემადგენელი ატომების კრიტიკული რიცხვისგან შედგება და მის გარშემო ხდება კრისტალის, როგორც მთლიანის ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი ფაქტი ჩვენთვის დიდ მნიშვნელობას იქონს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამყაროს შექმენების მოდელიდან გამომდინარე, ღვთის გონი, მისი უმაღლესი კანონზომიერება განჭოლავს ზერეალურ, ირეალურ, რეალურ სამყაროს, მის სუბსტანციებს. ირეალურის უმაღლესი, მერვე სუბსტანცია, ანუ ირეალური კანონზომიერება განჭოლავს კვაზიაპოსტერიორულ, იდეათა, ასტრალურ, პლანეტურ, აირის, თხევად და მყარ სუბსტანციებს. ე.ი. ირეალური კანონზომიერება, ღვთის უმაღლესი კანონზომიერების მცირე ანარეკლი, ყველაფერში უნდა გამოჟღავნდეს. მისი აღმოჩენა ყველგან უნდა შევძლოთ.

იეროფანია

როგორც აღვნიშნეთ, ყოველი ზედა სუბსტანცია განჭოლავს ქვედა საფეხურებს. უმაღლესი – ღმერთი კი – ყველაფერს, ხილულს და უხილავს.

რაა ეს უმაღლესი?

არა, ეს არაა ფილოსოფოსთა ღმერთი. ეს არაა რაღაც იდეა, აბსტრაქტული ცნება, უბრალო მორალური ალეგორია. ის ყველაფრის საწყისი, უმაღლესი აბსოლუტური გონი, აბსოლუტური სიკეთე აბსოლუტური თავისუფლება, აბსოლუტური სიყვარული, აბსოლუტური კანონზომიერებაა . . .

ის ქმნის ყველაფერს, ყველაფრის ერთობას, სიცოცხლეს, უდიადეს ჰარმონიას.

ის ყველაფერს მოიცავს.

მისი სიწმინდე სამყაროს ყოველ ელემენტში მჟღავნდება. შესაბამისად, სამყაროს დაყოფა ხილულ და უხილავ ნაწილებად, პირობითია.

უმაღლესი კანონზომიერების უგულვებელყოფა, იგნორირება თავისთავად იმ უმძიმესი სატანჯველის მოვლინებას განაპირობებს, რასაც მარტივად ღვთის „რისხვას“ უწოდებენ.

ადამიანი მის გარემომცველ სივრცეში გამჟღავნებულ, ხილულისაგან განსხვავებულ სიწმინდეს გრძნობს და აღიქვამს. ის ამ ფენომენის შემეცნებას კაცობრიობის ჩამოყალიბება-განვითარების ყველა ეტაპზე ცდილობდა.

სწავლულსა და განათლებულს მხოლოდ ამ შემეცნების სიღრმე და ხარისხი განასხვავებს. სწავლულს, ვინმეს მხრიდან ქვასა თუ ხეში სიწმინდის შეგრძნება აოცებს. მას არ ესმის, რომ აქ ადგილი აქვს არა ქვის ან ხის გაღმერთებას, არამედ იმას, რასაც ე.წ. იეროფანია, ანუ საგანში სიწმინდის გამოვლენა ჰქვია.

ცხადია, რაშიც სიწმინდეს არ აღიქვამ, ვერც შეიფარებ და შესაბამისად, ვერც სიღრმისეულად შეისწავლი.

რელიგიის ისტორია იეროფანიის აღწერაა დაწყებული ქვიდან, დამთავრებული ღმერთის ქრისტეში გამოძვლავნებით. იეროფანია „არახილულის“, „იმქვენიურის“ რეალურში, „ბუნებრივში“ გადმოსვლით აღსრულებული საიდუმლოებრივი აქტია.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაზე ელემენტარული იეროფანიის წარმოქმნის საიდუმლოსაც კი ვერ შევწვდებით. რთულია გავერკვეთ, თუ როგორ ხდება საგანში, ერთი მხრივ, სიწმინდის გამოვლენა, და იმაღეროულად, როგორ რჩება იმად, რაც იყო, ანუ გარემომცველი კოსმიური სამყაროს ობიექტად.

პირველყოფილი საზოგადოების ადამიანიც კი შეძლებისდაგვარად, იმ საგნებისაკენ ისწრაფვოდა, რომლებშიც სიწმინდის გამოვლინებას აღიქვამდა. ეს ტენდენცია სავსებით გასაგებია. ძველად „პრიმიტიული“ ადამიანისათვის „წმინდა“ და „სიმძლავრე“ სინონიმებს წარმოადგენდა, რადგან „წმინდა“ საზოგადოებას თავის გარშემო იკრებდა, მას აძლიერებდა. შედეგად საზოგადოება იმარჯვებდა (სამწუსაროდ ამ ჭეშმარიტებას ჩვენი დღევანდელი, „განათლებული“ საზოგადოება რატომღაც ვერ ხვდება). შესაბამისად, იეროფანია მათთვის სრულ რეალობას წარმოადგენდა, ყოფიერება სიწმინდით იყო გაჟღერებული. სიწმინდის სიმძლავრე ერთდროულად რეალობა, შეურყენელობა და ეფექტურობა იყო. რა ხარისხითაც ასერხებდა ადამიანი, საზოგადოება ამის გააზრებას, ამ სიმძლავრის შეთვისებას, იძენდა უძლეველი ხდებოდა ის; და თუ რომელიმე სწავლულს ამაში ჯერ კიდევ ეპარება ეჭვი, გაიხსენოს ამ ფენომენის რეალური შედეგი – ძველი ეგვიპტე, რეალურისა და ზერეალურის ერთობა.

ძველ ენებში ცნებები „რეალური“ და „ზერეალური“ არ არსებობდა, ეს ერთი და იგივე იყო. განსწავლულებმა ეს განსხვავება მოგვიანებით შემოიღეს.

განათლებული ადამიანისათვის სივრცე არაერთგვაროვანია. არის სივრცე წმინდა და არის ისეთი, რაც, თითქოს უსტრუქტურო, უშინაარსო და ამორფულია. ამ ამორფულში სიწმინდის დანახვა, შემეცნება სივრცის არაერთგვაროვნების, წყვეტადობის, გამორჩეული ადგილის დაფიქსირებაა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ათვლის წერტილის, ანუ ორიენტირის, სიცოცხლისათვის აუცილებელი ცენტრალური ღერძის პოვნა. სხვა გზით, ათვლის წერტილის გარეშე, ქაოსიდან სამყარო არ იქმნება. ღერძის გარეშე მხოლოდ დანაწევრებული სამყაროს ნამსხვრევებია.

იეროფანიის სიმძლავრე იქიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული არაერთგვაროვნება, წყვეტადობა ყოველთვის რაღაც სიდიადით მჟღავნდება.

ყველაზე ორთოდოქსი ათეისტიც კი იმის მიუხედავად, თუ რა ხარისხით არის მისთვის სამყარო დესაკრალიზებული, ამ ფენომენისაგან ბოლომდე მაინც ვერ თავისუფლდება. მას მუდამ თან სდევს ის რაღაც ერთადერთი, რაც მისთვის ათვლის წერტილად, ორიენტირად იქცევა: მშობლიური პეიზაჟის ანარეკლი, ადგილი, სადაც დაიბადა, სადაც „უყვარდა“; შესაბამისად, ის მაინც „კრიპტორელიგიურ“ სივრცეში ხვდება.

დაფიქრდეთ, რა შინაარსი ღვეს ცნება „საცხოვრებელ ადგილში“. გავიხსენოთ საცხოვრებელი სახლის ზღურბლი და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ქცევის წესები. ძველ აღმოსავლეთში (ბაბილონი, ეგვიპტე, ისრაელი) ზღურბლზე გამოჰქონდათ განაჩენი (ვერდიქტი) – ესაა გარდასვლის სიმბოლო.

რატომღა ერთისათვის კვება, სექსი მხოლოდ ფიზიოლოგიური აქტი, მეორისათვის კი ყველაფერი ეს გაჯერებულია იმ მოკრძალებით, რასაც მაგდასთან ქცევის წესი, სექსში სიყვარულის საიდუმლოს საფუძველი ჰქვია. და, თითქოს ფიზიოლოგია საერთოდ ქრება. აი, ეს არის პირველი, და არა, უკანასკნელი განსხვავება ნასწავლსა და განათლებულს შორის. ანუ ის პირველი საფეხური, როცა ადამიანი ხვდება, რომ არსებობს წმინდა სივრცე და არსებობს სხვა სივრცეც, რომლის სტრუქტურა, არსი, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არ აღმოგვიჩინია; და ამ ქაოსში ნათლად გამოხატული სიწმინდე ავტომატურად ხდება ორიენტირი, ცენტრალური ღერძი. არაორიენტირებულ სამყაროში მხოლოდ მიზანგამოცლილი „ბრმა“ გრძნობს თავს კომფორტულად.

განათლებულისათვის ეკლესია სხვა სივრცეა, ვიდრე თუნდაც ის ქუჩა, სადაც ეკლესიაა აშენებული. ეკლესიის კარები ამ ამორფული სივრცის დასასრულს აღნიშნავს. ზღურბლი ორი სამყაროს გამყოფი, ბარიერი, საზღვარი, დისტანციაა ორ სამყაროს შორის. ეკლესიის შიგა ოთხი ნაწილი სამყაროს ოთხი მხარის სიმბოლოს წარმოადგენს, შიგა სივრცე მთელი სამყაროს სიმბოლოა. საკურთხეველი – სამოთხის სიმბოლო, აღმოსავლეთითაა. საკურთხევის კარი – „სამოთხის კარი“, პასექისას მთელი კვირა ღიაა. ქრისტე აღსდგა და სამოთხის კარი გაგვიხსნა. საკურთხეველი ღვთის კარია, სადაც ციდან მიწაზე ჩამოსვლა ხდება. დასავლეთი კი მწუხრის მხარეა. იქ სხეულის აღდგომას და ღვთის სამსჯავროს ელიან.

მესოპოტამიაში, დღევანდელი დამასკოს ახლოს, მდინარე ეფრატსა და ხავორომს შორის არის ქალაქი ხარანი. სწორედ აქ ნახა სიზმარში იაკობმა ის კიბე, რომელიც ცაში ადიოდა და მიხვდა, რომ ეს ცის კარიბჭეა, ხოლო ქვა, რომელზეც თავი ედო მძინარს, მიიტანა კარიბჭესთან და ამ ადგილს ბეთელი (ღვთის სახლი) დაარქვა (დაბ. 28, 11-21).

მართლაც, რა არის ჩვენთვის გოლგოთა?

განათლებული ადამიანისათვის ბუნება არასდროს არაა „ბუნებრივი“. ის უფრო მეტია და ეს ჩვენთვის გასაგებია, რადგან სამყარო, კოსმოსი ღვთის ქმნილებაა. შესაბამისად, ღვთაებრიობით არის გააუღენთილი.

სამყარო შემეცნებას იმდენად ემორჩილება, რამდენადაც ის გვეხსნება, როგორც წმინდა.

მაშ, რა არის სამყაროს ოთხი ელემენტი – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, ის რეალური, სადაც ზერეალური მჟღავნდება? ის, რაც უმაღლესითაა გააუღენთილი?

ჰაერი. ის უფეროა ოთახში. გადით გარეთ და აიხედეთ, ის ცისფერია. ის თვით გეტყვის ყველაფერს. ცა – თავისი „ბუნებრივი სახით“, არსით, უკვე იეროფანია რეალობაში. მისგან უსასრულობა, მიუღწევლობა, გზა ვარსკვლავებისაკენ, ღმერთისაკენ იწყება.

წყალი. ის, სადაც სიცოცხლე გაჩნდა. ესაა წარღვნა და ახალი დაბადება, ნათლობა.

მიწა. ასევე „გამჭვირვალე“. მისი უმაღლესი ფორმა – ქვა – კრისტალი. სიმძლავრე, სიმტკიცის გამომსახველობა, ერთგულება საკუთარი თავის მიმართ. მასში არის რაღაც აბსოლუტური, ურღვეობის ანალოგი – ყოფის აბსოლუტური ხასიათი, რომელსაც შეუძლია დრო დაამარცხო. მის საზღვრებს გასცდეს.

ცეცხლი – ყოველი ფორმის დამანგრეველი და შემქმნელი, თავისი პოტენციით განმწმენდი ფუნქციის მატარებელი. ის არა მარტო სითბოს, არამედ იმედის მოძვეცი საოცრებაა. ცეცხლი არ იტყუება, ის გეხმარება, ის ანათებს. დაუკვირდით, ცეცხლი, თითქოს ღვთის აღმწერი მეტაფორაა. ცეცხლი ღმერთების ის საიდუმლოა, რაც პრომეთემ ადამიანებს ჩამოუტანა.

ჩვენს პირობებში მეხუთე სუბსტანციის (ეთერი) ღრმად გააზრების საშუალებას იძლევა ბუნების ისეთი საოცრება, როგორცაა კრისტალი, დაწყებული აღმასიდან, ყველასათვის ცნობილი მარილით გათავებული. ეს ის კრისტალებია, რომლებიც ადამიანთა განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს უხსოვარი დროიდან იმსახურებდნენ. ამ კრისტალთა მიმართ ჩვენს ინტერესს მათი საოცრად მოწესრიგებული სტრუქტურა განაპირობებს. აქ ნაკლებ მნიშვნელოვანია, კრისტალური სტრუქტურა ერთი ტიპის ატომებისგანაა შექმნილი – ალმასი (ნანშირბადი), თუ სხვადასხვა ატო-

მებისგან – სუფრის მარილი (ნატრიუმი და ქლორი). ატომთა შორის მკაცრად განსაზღვრული მანძილებია და კრისტალის გამჭოლი ეთერი, თითქოს ამ ატომთა იდეალურ წესრიგშია მომწყვდეული. ატომებს შორის ურთიერთქმედება ეთერის (ასტრალური) სივრცის მეშვეობით ხდება, მეცნიერებმა დიდი ხანია შექმნეს მრავალი მეთოდი, რათა ამ უმცირეს მოწესრიგებულ სივრცეში ორი ნაწილაკის ურთიერთქმედება თვალნათლივ დაგვეჩვენა.

ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი მეთოდის არსი შემდეგშია: კრისტალს ანათებენ, ასხივებენ მაღალი ენერგიის სინათლით, მაგ., ულტრაიისფერით და როცა ეს დასხივდება შეწყდება, კრისტალი ამ „შეშფოთებაზე“ უკვე საკუთარი, მეორადი გამოსხივებით პასუხობს. ეს მხოლოდ საოცრად ლამაზი კი არა, საკმაოდ შემეცნებითი პროცესია. კრისტალის გამოსხივება შედგება ულტრაიისფერი, იისფერი, ლურჯი, წითელი . . . ფერისაგან და ეს ფერები საოცარი კანონზომიერებით გამოირჩევა. სხვადასხვა კრისტალს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერთა წყობა ახასიათებს. ფერთა ამ წყობით კრისტალი „გველაპარაკება“ თუ რა ხდება მის შიგნით, რა აწუხებს, დაძაბულია თუ არა, როგორ გრძნობს თავს ზამთარში, ზაფხულში. . .

და ეს საუბარი, არა „გადატანითი“, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით კრისტალსა და მეცნიერს შორის მიმდინარეობს; და რა საოცარიც უნდა იყოს, ეს ნათლად გასაგები საუბარია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ კრისტალი ბგერებით ვერ ლაპარაკობს და ჩვენ იძულებულნი ვართ მისი ფერთა ენა ვისწავლოთ. მათი ულამაზესი ფერთა ენის შესწავლას დაახლოებით 10 წელი სჭირდება, თუმცა გამოგიტყდებით, რომ ჩინურზე ადვილია და ინგლისურზე ძნელი. და თუ იცით რა არის აქ დასაფასებელი? – კრისტალი არასოდეს იტყუება და ვერ იტანს, როცა მის მოტყუებას ცდილობენ. ამიტომ მასთან ძალიან ფრთხილი და ზრდილობიანი საუბარია საჭირო. თავდაპირველად კრისტალი გაცნობთ საკუთარ თავს (არ ვხუმრობთ). საკმარისია მასთან კონტაქტში შეხვიდეთ, ანუ დაასხივოთ და იმ წამსვე მხოლოდ მისთვის მახასიათებელი გამოსხივებით გიპასუხებთ (სპექტრი). თქვენთვის ცნობილი ალმასი, ფიანიტი, ცინკიტი. . . ერთი შეხედვით, გარეგნულად თითქმის განურჩეველია, მათი სპექტრი კი მკვეთრად განსხვავდება. მაგ., ოქროს ბირჟაზე ადვილად შეიძლება მოტყუედეთ და ალმასი ფიანიტში აკერიოთ. მაგრამ თუ დაასხივებთ, ის აუცილებლად წარმოგიდგებათ. საკმარისია მეცნიერმა დახედოს მისი გამოსხივების სპექტრს და გეტყვით, რომ ეს არის ალმასი და არა ფიანიტი, ან პირიქით. ფერთა ეს წყობა ისეთივე ინდივიდუალურია კრისტალისათვის, როგორც თითების ანაბეჭდი ადამიანისათვის. აქ შეცდომა გამორიცხვულია. კრისტალს შეუძლია გითხრათ რამდენად სუფთაა ის; საკმარისია თუნდაც უმცირეს მინარევს შეიცავდეს, ის აუცილებლად გეტყვით ამას. მაგ: რამდენია ნატრიუმის, ან ვერცხლის მინარევი მასში. როგორი სიფაქიზით არის გაჭვდილი ის ბეჭდის გვირგვინში, აწუხებს თუ არა ეს.

დავბრუნდეთ გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ახალი აზროვნების სტილი ჩამოყალიბდა.

ფილოსოფიური თვალსაზრისით, კვანტური ფიზიკა ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპით დაიწყო.

ზუსტი მეცნიერების კორიფეებმა პირველად მიაქციეს ყურადღება ანტიკურ ფილოსოფიაში გავრცელებულ აზრს, რომელიც არისტოტელეს შრომებში ნათლადაა ჩამოყალიბებული: „**სანამ არაფერი არ იყო – იყო შესაძლებლობა.**“

ეს იყო ის საფუძველი, რამაც კვანტური ფიზიკის შესაბამისი, ახალი აზროვნების განვითარებას დაულო სათავე.

გავიხსენოთ, ჩვენი სამყაროს შემეცნების მოდელი და ლავუკვირდეთ პირველ სუბსტანციას – მყარს. მას ყველა დანარჩენი სუბსტანცია განჭოლავს. ამით, თითქოს ღმერთი მიგვანიშნებს, რომ ადგილი აქვს უდიდესი წრის შეკვრას უმაღლესსა და უმაღლეს სუბსტანციებს შორის. შევეცადოთ, ამ სუბსტანციაში აღმოვაჩინოთ მოდელი, რომელიც კრიტიკული რიცხვის გააზრებაში დაგვეხმარება;

განვიხილოთ პირველი სუბსტანციის – მყარის არსის ყველაზე მკვეთრად გამომსახველი ფენომენი კრისტალი, მაგალითად, ალმასი.

სიტყვა ალმასი, იგივე ანდამატი, ბერძნულად ადამას – დაუმარცხებელს ნიშნავს, ინგლისურად – დაიმონდ; ალმასი წარმოებულია სანსკრიტულიდან „dya“ და ნიშნავს „მნათ არსებას“ (დავუკვირდეთ, სიტყვა „არსებას“). ალმასი არის მზის, სინათლის, ბრწყინვალეების სიმბოლო. რეალურ სამყაროში ის ყველაზე მტკიცე სტრუქტურაა, ამიტომ მარადიულობასა და სიმტკიცესთან ასოცირდება. ალმასი მორალურ და ინტელექტუალურ ფასეულობათა სიმბოლოდ განიხილება, მასში აისახება აბსოლუტური სიწმინდე, სულიერება და ერთგულება. ინდოეთში ალმასი უკვდავების სიმბოლოდ აღიქმება. პლატონის აზრით, დედამიწის ღერძი ალმასია. ალმასს სამყაროს ნათების მისტიურ ცენტრად განიხილავენ. ალმასი გამარჯვების სიმბოლოა, ხოლო ზოგიერთ ძველქრისტიანულ ტექსტებში ის თვით ქრისტეს სიმბოლოდაა წარმოდგენილი.

ალმასი – საქართველოს სიმბოლო

ადამიანი უხსოვარი დროიდან ყველაფერში სიმბოლოს ხედავდა. თვით სიტყვა სიმბოლო (სიმბოლონი) ბერძნული წარმოშობისაა და არსით საკმაოდ ფაქიზი და კეთილშობილურია. თავდაპირველად ის მადლიერების გამოხატვის პროცესს აღნიშნავდა. მადლიერი ადამიანი გულისხმიერებისთვის, სიკეთისათვის რაიმე საგანს, მაგალითად, ფერად ქვას, მინერალს ორ ნაწილად ტეხდა. ერთ ნაწილს თვითონ იტოვებდა, მეორეს კი სიკეთის მქმნელს აძლევდა. ამით სიკეთის არდავიწყების რიტუალს ქმნიდა. ეს საგანი ხანდახან შემდეგ თაობებსაც გადაეცემოდა. მოგვიანებით, სიტყვამ და მისმა მნიშვნელობამ არსი შეიცვალა. სიმბოლო – გატეხილი, გაყოფილი, ერთ დროს მთელი, შემდეგ დაკარგული ერთობის ნიშნად იქცა. შეიძლება ვინმესთვის ეს მითია. სამწუხაროდ, დღეს მითი იქცა რაღაც მითურად. ეს არაა კალამბური, რადგან მითი დღეს არარეალურად აღიქმება, ანუ იმად, რასაც არ გააჩნია საფუძველი, შესაბამისად, ის არააქტუალურია. მისგან გამოიქარა, გამოშრა ყველანაირი თეოგონიური და კოსმოგონიური შინაარსი და დარჩა სიტყვიერი ქერცლი.

სიმბოლოთა სამყარო შესაბამისობის შუალედური სამყაროა. ეს არის არც წყლის ზედაპირი და არც ნარცისი, არამედ წყალში არეკლილი ნარცისი. ანარეკლი არ ეკუთვნის არც მიწას და არც ქვესკნელს. მართლაც, წყლის გუბეში ზოგი ტალახს და კენჭებს ხედავს, ზოგი კი ცის ანარეკლს. ეს არის რუსთაველის, ტატოს, გალაკტიონის სულის სარკეში ანარეკლი საქართველო; ვაჟას სარკის მიღმა სამყარო; პოეზიის ყველა თავგანისმცემელი გამიგებს, რა მინდა ვთქვა. არათავგანისმცემლებსთვის კი ასე ვიტყვოდი, – ეს არის გარდამავალი და გარდამქმნელი სამყარო, რომლითაც უხილავი ხილული ხდება, არაცნობიერი – ცნობიერი; ეს არის სიკვდილის სიცოცხლეში გარდამქმნელი; ეს არის მუსიკის, ფერწერის, სკულპტურის, არქიტექტურის ენა; ეს სიჩუმის ენაცაა. ყველაფერი ეს ბადებს შეგრძნების მთლიანობას, სადაც ერთმანეთთანაა შერწყმული მხედველობა, სმენა, გრძნობა. აუწერელის აღწერა მხოლოდ ასეთ სინთეზს შეუძლია. რელიგია სიმბოლოთა თანმიმდევრული გაშლის სისტემაა. სიმბოლოს ვერ შეცვლი სუროგატით – ემბლემით, ჟეტონით. ყოფიერების გააზრება სიმბოლოთი ხდება, რადგან სიმბოლო გაჟღერთილია ყოფიერებით. სიმბოლოს არსი მოიცავს რეალურს, ირეალურს და ზერეალურსაც.

შუა საუკუნეებში სიმბოლო აღიქმებოდა, როგორც ადამიანის სულიერი – საგანში, მოვლენაში შენიღბული არსის დანახვის უნარი. ცხადია, ადამიანებს სამყაროს სიმბოლური აღქმის განსხვავებული უნარი გააჩნიათ. ადამიანთა ერთი ნაწილი მასში ხედავს მაგიას, საიდუმლოს. მაგ., ვაშლში ბოროტების სიმბოლოს ხედავს. თეთრ ვარდში – ქალწულის სიმბოლოს, ბივრილში – გამჭვირვალე

კრისტალში – ქრისტიანობის, ხოლო წითელ სარდიონში – ხალხისათვის ქრისტეს მიერ დაღვრილი სისხლის სიმბოლოს.

მთელი სამყარო სიმბოლოთა მრავალფეროვნებაა.

მეცნიერები ცდილობენ, სიმბოლოში საიდუმლოებრივად არსებულ მნიშვნელობას შექვდნენ. გავიხსენოთ, თუნდაც, არქეოლოგია, იეროგრაფია.

შუა საუკუნეებში სიმბოლო ფილოსოფიის პრინციპი ხდება. სამწუხაროდ, მოგვიანებით ის კარგავს მნიშვნელობას, რადგან ყველაფერი, რაც ადამიანურია სიმბოლოთი აღიქმება, ხოლო არა-ადამიანურთან (არაბუნებრივთან), სიმბოლოს საქმე არა აქვს. ჩვენ საგნის მიღმა შენიღბული არსის დანახვა უნდა ვისწავლოთ, თუ გვინდა ადამიანებად დავრჩეთ. ამიტომ სიმბოლიზმის, როგორც ფილოსოფიური პრინციპის რენესანსი აუცილებელია.

რელიგია, როგორც ზნეობრივ სფეროში, ისე სიმბოლიზმში ჩვენი პირველი აღმზრდელი უნდა იყოს.

სიმბოლიზმის დაქვეითება უკვალოდ არც ჩვენთვის ჩაივლის. ნუ დაინახავთ ქალში სიფაქიზის, სილამაზის სიმბოლოს და მას ვერასდროს შეიყვარებთ. მხოლოდ ფიზიოლოგიურ არსებად დარჩებით. ნუ მიანიჭებთ სახლს, მაგ., პარლამენტის შენობას ადამიანზე ზრუნვის სიმბოლოს და მიიღებთ იმას, რაც გვაქვს.

ღიან, ჩვენ უნდა შევძლოთ, გავახილოთ თვალი და აღმასში დავინახოთ ქართული სულის, ქართული სახელმწიფოს სიმბოლო ისევე, როგორც ეს დავითმა შეძლო.

სამყარო სიმბოლოებით გვესაუბრება. გვეყოს გონება და მის მიღმა დავინახოთ, თუ რა მართავს სამყაროს, ბუნების რა ფუნდამენტურ კანონს ემორჩილება ის, რასაც ჩვენ ხან სისასტიკედ, ხან მშვენიერებად აღვიქვამთ. არსებობს თუ არა ბუნებაში უზენაესი კანონი, რომელიც ყველაფერს, და მათ შორის, ჩვენს სურვილს, ნებისყოფას, სიკეთეს მართავს?

და ჩვენთვის ყველაზე უმნიშვნელოვანესი: ვრცელდება თუ არა ეს უზენაესი კანონი სახელმწიფოს, საზოგადოების ჩამოყალიბება-მართვაზე? და თუ ეს ასეა, რა კანონია ეს? შეძლებს ადამიანის გონება ჩაწვდეს მას და რაციონალურად გამოიყენოს?

უხსოვარი დროიდან ყველა მოაზროვნე, აქტიური ადამიანი ბუნების ამ უდიდეს კანონზომიერებაში გარკვევას ცდილობდა.

ძველი ეგვიპტის, ანტიკური პერიოდის, შუა საუკუნეებისა თუ თანამედროვეობის აქტიური გონების ადამიანები დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ, სიცოცხლესაც კი სწირავდნენ, რათა ამ უმაღლეს ჭეშმარიტებაში გარკვეულიყვნენ.

ერთნი, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებას მექანიკურ სისტემად, მექანიზმად, მანქანის მოდელად მიიჩნევდნენ და სახელმწიფოს მართვას მექანიკის კანონებით ცდილობდნენ; მეორენი კი სახელმწიფოს ბიოლოგიურ სისტემად წარმოიდგენდნენ და მისი მართვის საფუძვლად გულის, ფილტვების, კუჭისა და თირკმელების. . . მუშაობის პრინციპებს განიხილავდნენ. სახელმწიფოს არსში გარკვევის მიზნით ატომისტური თეორიების გამოყენების მცდელობასაც კი ჰქონდა ადგილი.

კიდევ მრავალი განსხვავებული მოდელი არსებობდა და ყველა მათგანს ერთი და იგივე პრინციპი ელო საფუძვლად. ამ მოდელთა (სიმბოლოთა) ავტორთ სწამდათ, რომ საზოგადოების განვითარების მოდელი ბუნების კანონებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამას ჯერ კიდევ ძველი ბერძნები და ჩინელები ამტკიცებდნენ.

კიდევ ერთხელ ლაო ძი:

„ადამიანის მიერ დაღვრილი წესები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს, აუცილებელია ჩაეწვდეთ ბუნების კანონებს, რათა გავიგოთ, როგორ ცვლის აწმყოს მომავალი.“

ამას გვირჩევდა სპინოზაც:

„სანამ ბუნების ნაწილი ხარ, დაემორჩილე მის კანონებს!“

და თუ ამ რჩევებს არ გავითვალისწინებთ, არ ავმალღებთ, ამ კანონზომიერებაში გასარკვევად განათლება არ გვეყოფა, დავიღუპებით, რადგან:

„ყველაფერი ამაზრზენი, რაც ჩვენ გარშემო ხდება, გაუნათლებლობის ბრალია!“ (კონ ფუ ძი).

ყველა საზოგადოებრივი კანონი, თუ ის ბუნების უღიადესი კანონიდან არ გამოდინარეობს, არაბუნებრივი, ანუ ხელოვნურია და შესაბამისად, განწირულიც.

დავფიქრდეთ რა გვტანჯავს?

უწესრიგობა!

ჩვენი ყველა ტრაგედია – სულიერი თუ მატერიალური სიღატაკე, უსუსურობა, ბოროტება უწესრიგობისგან წარმოებული, მეორადი რეფლექსია. ჩვენი სოციუმის უმთავრესი დეფექტი ის არის, რომ ჩვენ უწესრიგობაში კომფორტის შეგრძნება ვისწავლეთ. **დადგა დრო წესრიგში შევიგრძნოთ კომფორტი.**

წესრიგის დამკვიდრება ყველა იმ პრობლემის გადაჭრის საწინდარია, რაც ჩვენს მრავალტანჯულ მიწაზე სიკეთისა და ბედნიერების ზეობას უძლის ხელს.

ამიტომ, ჩვენი უპირველესი ამოცანაა:

უზნეობიდან – ზნეობისკენ!

უწესრიგობიდან – წესრიგისკენ!

შევეცადოთ და გავიაზროთ, როგორ ახერხებს ბუნება უწესრიგობიდან წესრიგზე გადასვლას?

ჩვენი ხედვის კუთხიდან სამყარო ნაწილაკობრივია. გალაქტიკები ვარსკვლავებისგან შედგებიან, მზის სისტემა – პლანეტებისგან, ტყე – ხეებისგან, მინდორი – ბალახისგან, საზოგადოება – ადამიანებისგან და ეს ყველაფერი „აწყობილია“ ატომებისგან. ცხადია, ნაწილაკთა ერთობა რაღაც ზოგად კანონზომიერებას უნდა ემორჩილებოდეს და არა აქვს მნიშვნელობა ეს ნაწილაკები ატომებია, პლანეტები, თუ ადამიანები.

შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად გავერკვეთ იმ ზოგად კანონზომიერებაში, რაც მართავს ნაწილაკთა ერთობას.

როგორც აღვნიშნეთ, გარე სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოებას ერთი რამ აქვთ საერთო – ორივე იმ ელემენტების, ანუ ნაწილაკებისგან შედგება, რასაც პირველ შემთხვევაში ატომს, მეორეში კი ადამიანს ვუწოდებთ. ერთსაც და მეორესაც მრავალფეროვნება ახასიათებს: როგორც ადამიანები, ასევე ატომებიც იმყოფებიან ალგზნებულ და დეპრესიულ, დაქვეითებულ, „სალათას ძილის“ მდგომარეობაში; მათ შორისაც არიან დონორები – გამღებნი და აქცეპტორები – მიმღებნი, მიმტაცებელნი; გვხვდებიან გულგრილნიც, რომელთაც არაფერი აინტერესებთ და არაკონტაქტურობით გამოირჩევიან. მაგ., ჰელიუმში, არგონი . . . ისინი რეაქციაში არავისთან შედიან; არიან მოუხეშავი, მძიმე და მსუბუქი, ისეთი ცნობისმოყვარე ატომებიც, რომლებიც ყველგან და ყველაფერში ძვრებიან, ეჩხირებიან იქ, სადაც მათ არავინ ეპატიჟებათ. ქაოსური, უწესრიგო მოძრაობა ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობის ატომებისთვის საერთოა, ანუ ისინიც ჩვენსავით თავქარიანები არიან.

როგორ ახერხებს ბუნება ამგვარი უწესრიგობისგან ისეთი წესრიგის შექმნას, რასაც კრისტალი, მონოლითი ჰქვია, ანუ იმ წესრიგისა და სიმეტრიის შექმნას, რომელიც ბრწყინვალე მშვენიერებაში გადადის?

შესაძლებელია კი ამ ზოგადი კანონიდან გამოდინარე, საზოგადოებაში წესრიგის დამყარების მოდელის შექმნა?

დავუკვირდეთ თოვლის ფიფქს; აუცილებლად ჩავგაფიქრებს მისი განუმეორებელი სილამაზე, რაც მის სიმეტრიულობასა და მოწესრიგებულ ფორმაში გამოიხატება. ნუთუ შევძლებთ იმის გააზრებას, თუ რატომაა ამ პატარა, ბრწყინვალე, თეთრი ვარსკვლავის ყველა ქიმი აბსოლუტურად ერთნაირი? საიდან იცის ფიფქის ერთმა ქიმმა, როგორ იზრდება მეორე?

მართლაც, როგორ ახერხებს ბუნება ერთი და იმავე ნახშირბადის ატომებისგან უდიდესი სიმტკიცის, გამჭვირვალე ალმასისა და სუსტი გრაფიტის შექმნას?

წარმოიდგინეთ დედამიწის გული. იქ, მაგმაში, ანუ აუტანელ სიცხესა და წნევის პირობებში წარმოუდგენელი ქაოსია, სადაც ერთმანეთშია არეული ელემენტების პერიოდულ სისტემაში აღნიშნული ძირითადი 105 (117) ელემენტი. მაგმა ოქროს, კალიუმის, პლატინის, რკინის . . . ატომებისგან შედგება. ელემენტების პერიოდულ სისტემაში ყველა მათგანი რიგითი ნომრითა და ატომური წონითაა წარმოდგენილი. არსებობენ ისეთი მძიმე ელემენტები, კეთილშობილი ლითონები, რომელთა შთამბეჭდავი დასახელებები: პლატინა, ოქრო, ვერცხლი ადამიანებში ბუნდოვან ოცნებებს აღძრავს. მათ ეთაყვანებიან, რელიგიად აცხადებენ, უჩოქებენ. მაგ., პლატინას ახასიათებენ ატომური წონით – 195, ოქროს – თითქმის 197, ვერცხლს – 107. არიან დაბალი წონითი რიცხვის ელემენტებიც, რომელთაც ადამიანთა უმრავლესობა საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. ასეთია, მაგალითად, არაფრით გამორჩეული ნახშირბადი, წონითი რიცხვით – 12. ის, ჩვენსავე, უბრალო ადამიანებით, დიდი რაოდენობითაა გავრცელებული დედამიწაზე. ნახშირბადი არის ყველგან: ხეში, ჰაერში, ჩვენს ორგანიზმში, სიგარეტის ფერფლში . . . და ხდება საოცრება, ბუნება არა ვერცხლისგან, არა ოქროსა თუ პლატინისგან, არამედ არაფრით გამორჩეული, დაბალი – 12 ატომური წონის მქონე ნახშირბადისგან ქმნის გამოგნებული სილამაზისა და სიმტკიცის კრისტალს – ალმასს.

უბრალოდ ვთქვათ, რომ ალმასი მტკიცეა, ეს არაფრის თქმას ნიშნავს.

წარმოიდგინეთ უმტკიცესი ფოლადისგან შექმნილი წნეხი, მასში მოათავსეთ წყლის წვეთით მბრწყინავი ალმასის უდეფექტო კრისტალი და ეს წნეხი მთელი სიმძლავრით ააშუშავთ (60 ატ. წნევაც საკმარისია). შედეგი საოცარია: ალმასი უმტკიცეს ფოლადში ისევე იოლად შეიჭრება, როგორც დანა კარაქში. მიკროსკოპით დათვალიერეთ თქვენი ქმედების შედეგი. თქვენ მხოლოდ ფოლადის ნამსხვრევებს აღმოაჩენთ და თუ ძალა და მოხერხება გეყოფათ, ამოგლიჯეთ, უფრო სწორად, ამოანგრეთ ფოლადიდან ეს მბრწყინავი კრისტალი და ისიც მიკროსკოპით დათვალიერეთ. მასში ჩამონატეხსა და ბზარს კი არა, ნაკაწრსაც ვერ აღმოაჩენთ. ის ისეთივე ბრწყინვალე დამთრგუნველი მშვენიერება იქნება, როგორიც ამ ბარბაროსული ცდის ჩატარებამდე იყო.

ამრიგად, ბუნება არა „ელიტარული“ – ოქროსა და პლატინისგან, არამედ არაფრით გამორჩეული ნაწილაკებისგან ისეთი მტკიცე მონოლითის შექმნის საილუმლოს ფლობს, რომელსაც ჩვენი ფანტაზიაც ვერ შესწვდება. იქნებ სოციუმშიც სიმტკიცე არა „ელიტისგან“, არამედ საშუალო, თითქოს არაფრით გამორჩეული, შემეცნებადინტერესებული ადამიანებისგან იქმნება?

შევეცადოთ, გავერკვეთ იმ უდიადეს კანონზომიერებაში, რომელიც სოციუმში წესრიგს ამყარებს, რათა ყველა დროის მოაზროვნე ქართველის ოცნება ალვასრულოთ და ისეთი მტკიცე მონოლითი შევქმნათ, რომელიც ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს სამარადისოდ, ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყვეტს.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვიბადებით სამყაროში, სადაც ჩამოყალიბებული ტრადიციები, გარკვეული ცხოვრების წესი გვხვდება. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე და პრობლემებზე უამრავი მსგავსი, თუ რადიკალურად განსხვავებული აზრები და თეორიები არსებობს. ამ თეორიათა ურთიერთკავშირის ხარისხი განსხვავებულია. ეს თეორიები, თითქოს განლაგებულია რაღაც კვანძებში, რომელთა ერთობლიობა წარმოსახვით ბადებს ქმნის. თითოეული კერძო მეცნიერის მიერ რომელიმე თეორიის ახლებური გადაზრება, ცვლილება, სხვა თეორიებზე გავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, იბადება ახალი იდეები და შესაბამისად, ეს იდეები ცვლის არსებულ თეორიებს. თითქოს ეს ცვლილება ამ წარმოსახვითი ბადის რხევით ვრცელდება და პროგრესს ან რეგრესს განაპირობებს.

უფრო დაწვრილებით: არსებობს კლასიკური თერმოდინამიკა და მისი მეორე კანონი, რომლის ფორმულირება მოგვცა ფრანგმა მეცნიერმა სადი კარნომ. თერმოდინამიკის მეორე კანონის არსი შემდეგია – ჩაკეტილი, იზოლირებული სისტემა უწესრიგობისაკენ მიისწრაფის, ანუ იზრდება ენტროპია – უწესრიგობის ზომა. უფრო ნათლად, – ჩვენი სამყარო უნდა მიისწრაფოდეს ქაოსისაკენ, „გაციებისაკენ, სიკვდილისაკენ“. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს სამყაროს

შემადგენელი ნაწილი – ცოცხალი სისტემა, ფაუნა, ფლორა, სადაც ნათლად ჩანს, რომ ეს სისტემა მოწესრიგებულია.

ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ავსტრიელმა ბიოლოგმა ბერტალანფმა (**კარლ ლუდ-ვიგ ფონ ბერტალანფი** 1901-1972 ცხოვრობდა და მუშაობდა კანადასა და აშშ-ში 1949 წლიდან). მისი მოსაზრებით თერმოდინამიკის მეორე კანონი ცოცხალ სისტემებს არ ახასიათებს, რადგან ღია სისტემას გარე სამყაროდან ენერჯის მიღება-გაცემის და ბალანსის დამყარების უნარი აქვს, რომელიც არა მარტო წესრიგის შესანარჩუნებლად, არამედ განვითარებისთვისაც აუცილებელია. ბერტალანფის ეს გააზრებები 1970-ან წლებში სრულყო ბელგიელმა მეცნიერმა ილია პრიგოჟინმა თავის დისიპაციური სტრუქტურების თვითორგანიზაციის თეორიაში.

იქმნება სისტემური აზროვნების საფუძვლები.

ცოცხალი სისტემა, მაგ., ტყე, ადამიანი, საზოგადოება ქვესისტემების ინტეგრირებულ სისტემას წარმოადგენს. მთელის თვისებები აბსოლუტურად განსხვავდება შემადგენელი ნაწილების თვისებებისგან. მაგ., ადამიანი, როგორც მთელი, მისი შემადგენელი ნაწილების – ღვიძლის, ფილტვის, სისხლის, გულის, ტვინის . . . თვისებებს არ იმეორებს.

მთელი ქვესისტემებისგან შემდგარი რთული სისტემაა. სისტემური აზროვნების მიხედვით, მთელს ნაწილებისგან სრულიად განსხვავებული ახალი თვისებები აქვს. მთელი შემადგენელი ნაწილების ორგანიზებული ურთიერთობებით ხასიათდება. მთავარია მთლიანობის აღქმა და ნაწილების მთელის გათვალისწინებით გააზრება.

სისტემა ირღვევა, როცა ქვესისტემები იზოლირებულნი ხდებიან, ანუ მათ შორის კავშირი წყდება.

სისტემური აზროვნებისგან განსხვავებით, დაქვეითებული მექანიკური აზროვნებიდან გამოდის, რომ მთელის თვისებები შეიძლება მისი ნაწილების თვისებების გამოკვლევით გაიზაროს. სისტემური მეცნიერება გვიჩვენებს, რომ მექანიკური აზროვნებით ცოცხალ სისტემას ვერ მივუდგებით.

აქ, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, ჰეგელის უდიდესი როლი სისტემური აზროვნების მეთოდის ჩამოყალიბებაში.

ჰეგელმა განავითარა ფილოსოფიური აზროვნების ის მეთოდი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მანამდე არსებული შემეცნების ფორმებისაგან, როგორიცაა მსჯელობითი, მექანიციზმი, ფორმალურიზმი. ჰეგელის ფილოსოფია მეცნიერებს ამაღლებისა და სამყაროს აზრობრივად შემეცნების არნახულ საშუალებებს უხსნის.

ღია, ჰეგელის ფილოსოფიაში აბსტრაქტულიდან კონკრეტულსაკენ სვლის გააზრება არის ის თეორიული მეთოდი, რომლის გარეშე საგნის შინაგანი სტრუქტურის, მისი შემადგენელი ნაწილების მრავალფეროვანი ურთიერკავშირების ასახვა შეუძლებელია.

მექანიკურ აზროვნებით სამყარო არის ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან დაჯახებისა და ურთიერთობის კონგლომერატი. აქ მთელი წარმოგვიდგება, როგორც მისი შემადგენელი ნაწილების უბრალო არითმეტიკული ჯამი.

ჰეგელისათვის, ისევე, როგორც არისტოტელესათვის, მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. მთელი საკუთარ თავში ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელ ერთობას მოიცავს. ამ ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები არსებობენ არა დამოუკიდებლად, თავისთავად, არამედ „ცოცხალი ორგანიზმის სულის ჩამდგმელი კავშირის“ შესაქმნელად. მაგ., ადამიანის ხელს არ შეუძლია არსებობა სხეულის გარეშე. ამპუტირებული ხელი უბრალოდ იხრწნება, ღებება და გარეგან ფორმასაც კი კარგავს. მხოლოდ მთელის შემადგენელი ნაწილების ცოცხალი ურთიერთკავშირი ქმნის იმას, რასაც ჰქვია თვალები, ხელი, გული, ფილტვები . . . თუ ორგანიზმს დაეშლით, ანატომიურად დავანაწევრებთ, მაშინ ვერასდროს გავიგებთ, თუ როგორი ადამიანი იყო ის.

ასევე სოციუმიდან განცალკევებული ადამიანი, რომელიც არ მონაწილეობს ერთობის შექმნაში, საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენის გარეშე „იხრწნება, ღებება“.

პლატონისა და ჰეგელის მსგავსად, ვაჟასთვის სამყარო ცოცხალი, მოაზროვნე მთელია.

ამრიგად, სისტემური ანალიზი გარე სამყაროს შეფასებისა და აღქმის ფილოსოფიაა.

ეს ნათლად აჩვენა კვანტურმა ფიზიკამ, სადაც ცალკეული ნაწილი საერთოდ არ განიხილება. ის, რასაც ჩვენ ნაწილს ვუწოდებთ, მთლიანი სისტემისაგან განუყოფელია. ყოველი ნაწილაკი მნიშვნელოვანია, როგორც არა ცალკე აღებული, არამედ მთლიანთან თანაარსებით ურთიერთქმედი. გარკვეული აზრით, ეს ჰგავს „წამყვანი როლის მქონე ფიგურის გადაყვანას ფონში“, ანუ ობიექტები იმდენად მთავარი აღარ არიან, რამდენადაც მათი ურთიერთობები.

მექანიკური მსოფლმხედველობით სამყარო დამოუკიდებელ ობიექტთა ნაკრებია. რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ, თუმცა, ეს ურთიერთობა მეორეხარისხოვნად განიხილება.

სისტემური ანალიზით კი ურთიერთქმედება პირველადია. მთელი სამყარო ურთიერთობათა მოვლენების ქსელია. არც ერთი ნაწილის თვისება ამ ქსელში არაა ფუნდამენტური, ისინი სხვა ნაწილების თვისებებიდან გამოდიან და მთელი ქსელის სტრუქტურას საერთო თანხმობა და ურთიერთობა განსაზღვრავს. ამრიგად, არც ერთი ნაწილი სხვაზე ფუნდამენტური არაა.

სამწუხაროდ, ჩვენთან, პირველ ადგილზეა ობიექტი (სუბიექტი), ხოლო ურთიერთობა მხოლოდ მეორადად აღიქმება.

დადგა დრო, რომ პირველადობა ურთიერთობას მივანიჭოთ და ობიექტი (სუბიექტი) მეორადის სტატუსს დასჯერდეს.

სწორედ, ურთიერთობათა მნიშვნელოვნების უარყოფა ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი. მართლაც, საქართველოს სუბიექტები არასდროს აკლდა – რუსთაველი, ილია, მაჩაბელი. . . ამ სუბიექტების მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, საქართველოსთვის უმთავრესია არა ის, თუ რა შეძლო კონკრეტულმა სუბიექტმა – ილიამ, მაჩაბელმა. . . , არამედ, ის, თუ მათმა ურთიერთობამ რა შედეგი მოუტანა სამშობლოს. შედეგიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, მათ ბევრი ვერაფერი შეძლეს.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუნდაც ფიზიკა არაა უფრო ფუნდამენტური, ვიდრე ბიოლოგია ან ფსიქოლოგია. აქ მთავარია მათი ერთიანობა, ერთმანეთზე ზეგავლენის ხარისხი. როცა ჩვენ ხეს ვუყურებთ, ვხედავთ ფოთლებს, ტოტებს, ვარჯს და ყველაფერს ვეძახით „ხეს“. ხის დახატვისას ფესვები იკარგება და ეს მაშინ, როცა ტყეში ხეების ფესვებს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს. ფესვთა სისტემა ერთიან მიწისქვეშა ბადეს, ურთიერთობის ქსელს ქმნის.

ჩნდება გაურკვეველობა – თუ ყველაფერი ყველაფერთან კავშირშია, რაიმე კონკრეტულში როგორ გავვერკვეთ? – დიანხ, მეცნიერება სამყაროს ვერასდროს შეიმეცნებს სრულად და ცალსახად. როცა სხეულის ვარდნას განვიხილავთ და პროცესის აღწერას ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის მიხედვით ვცდილობთ, ხშირად, ჰაერის წინააღმდეგობას უგულვებელყოფთ. ჰაერის წინააღმდეგობის გათვალისწინებით ფორმულა გართულდება. თუ გავიხსენებთ, რომ თვით ჰაერის წინააღმდეგობა დამოკიდებულია ტემპერატურასა და წნევაზე, ამით უფრო რთულდება ფორმულა. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რაზეა დამოკიდებული ტემპერატურის ცვლილება . . . ამ სირთულეთა გამო დანაწევრდა სამყაროს ზოგადი შემეცნება – ფილოსოფია მეცნიერებებად. და შესაბამისად, თითოეული მეცნიერების კვლევის საგანიც დადგინდა. დიანხ, მეცნიერება მიახლოებითი აღწერით იზღუდება.

აღბათ, ეს ინფორმაცია მავანისათვის მეცნიერებისა და მეცნიერეთა მიმართ განხილვის მიზეზად იქცევა, თუმცა, სისტემური აზროვნების ადამიანისათვის სრული სურათის, ურთიერთობის ქსელის მიახლოებითი გააზრება რწმენისა და ნდობის საფუძველია.

არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი ბადე, ქსელი – პროცესუალური აზროვნება.

სისტემური აზროვნება პროცესუალური აზროვნებაა, რადგან ყველა სტრუქტურა პროცესით ვლინდება. გაიხსენეთ ჰერაკლიტე, – ყველაფერი მიედინება. ბერტალანფი ამის გააზრებამ ღია სისტემების თეორიასთან, მასში მიმდინარე პროცესების ანალიზთან მიიყვანა. სისტემური, პროცესუალური აზროვნება, ანალიზი მთლიანობის მეცნიერებაა.

ახალი არაეკვილიური გეომეტრიის თეორიის დაბადებამ არა მარტო ზუსტი მეცნიერების ყველა სხვა თეორიაზე, არამედ ფილოსოფიაზეც იქონია გავლენა. ამ ცვლილებამ კანტის ფილოსოფიის ახლებური გააზრებაც კი გამოიწვია. ასევე, პირიქით, – ჰუსერლის ფილოსოფიამ დიდი გავლენა მოახდინა ზუსტ მეცნიერებათა თეორიების განვითარებაზე. ყველასთვის ნათელია, რენტგენის X სხივის აღმოჩენის მედიცინაში გამოყენების შედეგები.

მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ, თითქოს თეორიათა სიმრავლე რაღაც ბაღეს ქმნის და ერთი თეორიის ცვლილებაც კი ამ ბაღის მეშვეობით მრავალი თეორიის თავიდან გააზრების მიზეზს იძლევა.

უკვე გასაგებია, თუ რა სახიფათოა ჯერ კიდევ დაუდგენელ, ცვლად, ბოლომდე ჩამოუყალიბებელ თეორიაზე დაყრდნობა და მისგან გამომდინარე, ახალი თეორიების შექმნა; მითუმეტეს, თუ ადამიანთა ბედთან გვაქვს საქმე. ჩვენ ახალ სოციალურ თეორიას ვქმნით. შესაბამისად, დრო და ენერჯია არ დავინანეთ, რათა მის საფუძვლად არსებულ ცვალებად თეორიათა ოკეანიდან ისეთი ფუნდამენტური გააზრებები ამოგვეჩია, რომლებმაც დროში შედგობა გამოამჟღავნეს. ეს თეორიები, სხვა თეორიების ცვლილების ფონზე, მუდმივობას ინარჩუნებენ. მათგან შერჩეულ იქნა სამი, ჩვენი აზრით, ისეთი უდიდესი გააზრებები, თეორიები, პრინციპები, რომლებსაც ვაჟას სიტყვებით, – **„კლანჭი არსაიდან გამოედება“**.

უპირველესი გახლავთ **უმცირესი ქმედების პრინციპი**, რომელიც **მოპერტიუმ** მექანიკაში შემოიტანა, **ბოლცმანმა** თერმოდინამიკაში გამოიყენა, ხოლო **რიჩარდ ფენიმანმა** კვანტურ ფიზიკას მიუსადაგა. მრავალმა სხვა მეცნიერმა ამ პრინციპზე დაყრდნობით ბუნების ამა თუ იმ საიდუმლოს გახსნა შეძლო. ეს მოაზროვნენი ამ პრინციპის უცვლელობაში ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი. მაგ., ბოლცმანმა მეცნიერთა მომავალ თაობებს შემოუთვალა, – **„თქვენ ყველა თეორიას მოუძებნით სისუსტეს, მოახდენთ მათ რევიზიას, თავიდან გადაიზრებთ, განავითარებთ, მაგრამ უმცირესი ქმედების პრინციპს ერთ სიტყვასაც ვერ დაუმატებთ“**.

გეთანხმებით, ძალიან თამამი განცხადებაა, მაგრამ ფაქტია, – შეიცვალა თეორიები, მაგ., ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი აღარ არის წრფე, როგორც ევკლიდეს ეგონა. შეიცვალა ნიუტონის უნიკალური მექანიკის კანონები . . ., მაგრამ მუდმივია უმცირესი ქმედების პრინციპი. თითქმის ასორმოცდაათზე მეტი წელია ამ პრინციპს, მართლაც, ერთი სიტყვაც ვერაინ დაამატა. უმცირესი ქმედების პრინციპით არა მარტო ნივთიერებათა წარმოქმნის ქიმიური რეაქციები, ატომთა ურთიერთქმედება, არამედ ჭიანჭველების, ვეშაპების, ადამიანთა, პლანეტებისა და გალაქტიკების ურთიერთობის არსიც იხსნება.

მეორე უდიდესი პრინციპი, რომელიც ჩვენი თეორიის საფუძვლად იქნა გამოყენებული, გახლავთ ე. წ. **ლე შატელიეს პრინციპი**. ამ პრინციპებზე მოგვიანებით გვექნება საუბარი.

მესამე კი თქვენთვის უკვე ცნობილი, ნილს ბორის **დამატებითობის პრინციპია**.

რა თქმა უნდა, მაქსიმალური ყურადღება დაეთმო იმ პრინციპთა პრინციპს, იმ არამიწიერ ცოდნას, რაც მოცემულია ოთხთავში.

ძირითადად ამ პრინციპებს ეყრდნობა ჩვენ მიერ შექმნილი ახალი, სახელმწიფოს წარმოქმნისა და დანერგვის მატრიცული თეორია, რომლის მართებულობის დასაბუთებას ქვემოთ შევეცდებით.

ახლა კი გავერკვეთ, როგორ ქმნის ბუნება ქაოსიდან წესრიგს?

როგორც აღვნიშნეთ, დედამიწის ქერქში (უფრო ღრმადაც) ყველა სახის ატომი, ნაწილაკი ერთმანეთშია არეული. ვულკანური პროცესები, წნევა, ტემპერატურა ამ ნაწილაკებს დაუნდობლად და შეუსვენებლად ურევს ერთმანეთში, სწორედ ისე, როგორც ჩვენ გვაბრუნებს ცხოვრების მორევი. მიუხედავად ამისა, რაღაც საოცრებით ამ უსასრულო, ქაოსურ მასაში ქლორის ატომი, რატომღაც, მინცდამინც, ნატრიუმს პოულობს, უერთდება და ქმნის კრისტალს, რომელსაც სუფრის მარილს ვუწოდებთ.

მართლაც, რა მოსაზრებით ეძებს აღმასის შექმნისას ნახშირბადი მეორე, თავის მსგავსს? ან უფრო უცნაური, იგივე ნახშირბადის ატომებიდან რა მოსაზრებით წარმოიქმნება ისეთი რბილი ნივთიერება – გრაფიტი, რომელსაც ბავშვიც კი დაფშენის?

რატომ იერთებს ერთი ნაწილაკების ატომთა ჯგუფი მაინცდამაინც გარკვეული სახის ნაწილაკებს, ატომებს და გააფთრებით ეწინააღმდეგება, თავიდან იშორებს ყველა სხვას?

დავუკვირდეთ, რატომ ვირჩევთ ერთს მეგობრად და გავუბრვივართ მეორეს? რატომ ვქმნით საზოგადოებას, ჯგუფს, ბანდას, რომელშიც ერთს სიხარულით ვიღებთ, ხოლო მეორეს დაუნდობლად ვიცილებთ თავიდან? არის თუ არა რაღაც მსგავსება ამ პროცესებში? ერთი და იგივე კანონი ხომ არ მართავს ამ პროცესებს?

ღიას, მართავს და შეეცდებით ამაში დაგარწმუნოთ.

კაცობრიობას ამ უდიდესი კანონის აღმოსაჩენად დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ **უმცირესი ქმედების პრინციპიდან** გამომდინარეობს ე. წ. უნივერსალური **თავისუფალი ენერჯის მინიმუმის კანონი**. აქ ცოტა დაკვირვება გვჭირდება, რათა ამ კანონის რაციონალური მშვენიერება შევიცნოთ.

შეიძლება ეს კანონი მარტივად გავიაზროთ.

ბუნებაში წესრიგი მხოლოდ იმიტომ იქმნება, რომ ერთი ნაწილაკი ისეთ მეორე ნაწილაკს ეძებს, რომელთანაც თავს კომფორტულად იგრძნობს, რადგან ის დაწყნარებისკენ, ანუ ენერჯის მინიმუმისკენ მიისწრაფვის. ის მესამე ატომსაც ამ მოსაზრებით იერთებს, შემდეგ კი დანარჩენებს და საინტერესო ეფექტი იწყება: წარმოიქმნება მცირე რაოდენობის ატომებისგან შექმნილი ჩანასახი. ის თავიდან არამდგრადია და ნებისმიერი გარე ზემოქმედება მას შლის. მაგრამ, თუ ასეთი ჩანასახი საწყის მომენტში მისდამი მტრულად განწყობილ ძალებს გადაურჩა, ანუ იმ ზომას მიაღწია, რასაც მეცნიერები კრიტიკულს უწოდებენ, მაშინ ის უკვე მდგრადი სისტემა ხდება, სიცოცხლეს იწყებს და მისი დაშლა უკვე დიდ ძალისხმევას მოითხოვს. დავუკვირდეთ, – **დიდი ენერჯია და კომფორტული პირობები აუცილებელია მხოლოდ ჩანასახის შექმნის პროცესში, ხოლო შექმნის შემდეგ იგი უკვე ნაკლები ენერჯის ხარჯვას ითხოვს და კრისტალის პერმანენტული ზრდის პროცესი თავისთავად მიმდინარეობს.**

აქ მთავარი ის არის, რომ თავდაპირველი ჩანასახის წარმოქმნაში სიცოცხლის წყურვილით ზომიერად აღზნებული ატომები იღებენ მონაწილეობას. წყნარი, გულგრილი, დაუნურ მდგომარეობაში მყოფი ატომები კი შორიდან, მთქნარებით უმზერენ ამ პროცესს. რა თქმა უნდა, იქვეა ზომაზე მეტად აღზნებული, შიზოფრენიული აქტიურობით შეპყრობილი ატომებიც, რომლებიც ამ ჩანასახის დანგრევას ცდილობენ. სწორედ ისინი ქმნიან გარემოს, რომელსაც არასასურველი აგრესიული ზემოქმედება ვუწოდებთ. ამ გავლენის შედეგად სიცოცხლისმოყვარე ატომიც აღიზნება, რადგან მას ქაოსი არ მოსწონს. ის ცდილობს უწესრიგობასა და უაზრობაში ისეთი ადგილი მოძებნოს, სადაც მას არეულობა ნაკლებად შეაწუხებს და თუ იპოვის, იქ მყარად თავსდება და წყნარდება.

ამრიგად, კრისტალიზაციას, როგორც ყველა სხვა პროცესს, თავისუფალი ენერჯის მინიმუმის, ანუ **უმცირესი ქმედების პრინციპი** განაპირობებს. შედეგად სისტემა მაღალი თავისუფალი ენერჯეტიკული მდგომარეობიდან დაბალენერჯეტიკულ მდგომარეობაში გადადის. ამის გარდა, აუცილებლობას წარმოადგენს ჩანასახური მექანიზმის განვითარებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნაც. მაგ., მკაცრად განსაზღვრული ტემპერატურა, წნევა და სისტემის (სივრცე, სადაც ამ კრისტალის შექმნა მიმდინარეობს) იზოლაცია. ნებისმიერი ფლუქტუაცია კი, თუნდაც ტემპერატურის მეთაფი გრადუსით ცვლილება, მცირე ვიბრაცია, ანუ სისტემის უმცირესი შემფოთებაც კი კრისტალიზაციის პროცესს საერთოდ წყვეტს.

აქ მნიშვნელოვანია ერთი, უაღრესად საინტერესო ფაქტი: ჩანასახის შექმნისას, როგორც ვთქვით, მიმდინარეობს ატომების გარკვეული წესით დალაგება. მაგალითად, იკრიბება რაღაც წესით

ნახშირბადის ატომები და ქმნიან ალმასის კრისტალის ჩანასახს. ის, თავისი წყობით, თითქოს უკვე ალმასია, მაგრამ მას ჯერ არ ახასიათებს უმთავრესი თვისება – სიმტკიცე. ის სულის შებერვითაც კი იშლება და აქ ხდება საოცრება: როგორც კი ჩანასახის შემქმნელი ნახშირბადის ატომების რიცხვი მიაღწევს რაღაც კრიტიკულ რიცხვს – $(N_{Kr}+)$ (ცხადია, ეს კრიტიკული რიცხვი – $(N_{Kr}+)$ სხვადასხვა კრისტალებისთვის სხვადასხვაა), ალმასის ჩანასახი ჯერ კიდევ ახალდაბადებული ბავშვით სუსტია, მაგრამ თუ ამ რიცხვს დაემატება ერთადერთი, ვიმეორებ, ერთადერთი ნახშირბადის ატომი, ანუ ერთით გადასცდება ჩანასახის რიცხვს – $N_{Kr} + 1$, ხდება, მართლაც, საოცრება – რაღაც თვისების კვანტური ნახტომი და თქვენ წინაშეა უკვე არა სუსტი, არამედ გასაოცარი სიმტკიცის მქონე ალმასის პირველადი მარცვალი, რომლის დამშლელი ამ ქვეყანაზე უკვე აღარაფერია. ეს კიდევ არაფერი, ამ მარცვალს, უკვე მკვეთრად გამოსახულ სისტემას, ასევე კვანტური ნახტომით უჩნდება მეორე უნიკალური თვისება – თვითრეგულაცია, თვითგანვითარება და მის განვითარებაზე ენერჯის ხარჯვა აღარაა საჭირო. ის უკვე თვითონ იზრდება და ვითარდება.

როგორც ხვდებით, ამ საოცრებას მართავს – **უმცირესი ქმედების პრინციპი** და მისგან გამოდინარე **თავისუფალი ენერჯის მინიმუმის კანონი**.

ეს პრინციპი ხსნის, თუ რატომაა მტკიცე ალმასი. დავუკვირდეთ, ამგვარად შექმნილი ატომთა ჯგუფი, კრისტალის ჩანასახი, ახალ ატომს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ამ აქტის შემდეგ ჩანასახის ალგზნება, შემფოთება შემცირდება. მას ერთ ატომსაც ვერ წაართმევთ, „ჩამოატეხთ“, თუ ეს პროცედურა მთელი კრისტალის შემფოთებას გაზრდის.

ასევეა ადამიანი, ჯგუფი, საზოგადოება.

მართლაც, საკუთარი ცხოვრების ასაფორიაქებლად რომელი ჭკუათამყოფელი პიროვნება დაიჭრის საქმეს ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანთან, რომელსაც თქვენს ცხოვრებაში შემფოთების გარდა არაფრის მოტანა შეუძლია; ან რომელი ადამიანი, ჯგუფი მიიღებს „სალათას ძილში“ მყოფ ადამიანს?!

უმცირესი ქმედების პრინციპი ბიოლოგიურ სისტემაშიც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ყველა მუქთახორა ფუტკარი თუ ჭიანჭველა, ან მათ სისტემაში შემთხვევით თუ მიზნობრივად მოხვედრილი სხვა არსება, რომელიც სისტემის აფორიაქებას იწყებს, აუცილებლად განადგურებული ან განდევნილი იქნება სისტემიდან, მაგ., ფუტკრების სკიდან.

დიახ, ვიმეორებთ, – ალმასიც კი ემორჩილება **უმცირესი ქმედების პრინციპს**, რომლის თანახმად, ის ნახშირბადის ახალ ატომს განსაზღვრულ ადგილზე იმ შემთხვევაში მიიერთებს, თუ მისი მიერთებით მთლიანის, ანუ კრისტალის შემფოთება, ალგზნება შემცირდება. როგორც აღვნიშნეთ, კრისტალი იმიტომაა მტკიცე, რომ ამავე პრინციპის თანახმად, ის ერთი ატომის მოგლეჯასაც კი არ დაუშვებს, თუ ამით უფრო აფორიაქებულ მდგომარეობაში გადავა.

სწორედ ამიტომაა ალმასი მტკიცე, რომ ის ნაწილის ჩამოტეხვას კი არა, ერთი ატომის წართმევასაც კი უკიდურესად ეწინააღმდეგება. იმის შემდეგ, როდესაც კრისტალის შემადგენელი ნაწილაკების რიცხვი მიაღწევს – $N_{Kr} + 1$ კრისტალი უკვე სისტემაა და აქ ერთვება ე.წ. **ლე შატელიეს პრინციპი**, რომლის არსი შემდეგშია:

თუ სისტემა (ჩვენს შემთხვევაში კრისტალი) განიცდის გარედან რაღაც ძალის ზემოქმედებას, მაშინ სისტემაში (კრისტალში) სტიმულირდება ძალა, რომელიც ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს მასზე მომქმედ ძალას.

შევეცადოთ ღრმად ჩავწვდეთ ამ პრინციპის არსს.

წარმოიდგინეთ ჩვეულებრივი დგუმი, რომელშიც მოთავსებულია გაზი და ვილაცა ცდილობს ეს გაზი დგუმის საშუალებით შეკუმშოს. დროებით (და არა სამუდამოდ) შევიდეთ გაზის მდგომარეობაში. გაზი არის თავისთვის, არხეინად და უცბად, ვილაცა სულელს თავში მოსდის აზრი, – შეაწუხოს ის, ანუ შეკუმშოს. გაზი შეწუხებულია და სამყაროს ჩვენი შეხედვების მოდელის შესაბამისად, გადადის ალგზნებულ, ანუ ასტრალურ

მდგომარეობაში. იწყებს „ღიალოგს, ანუ დიალექტიკას საკუთარ თავთან და იმ იდეამდე მიდის, რომ მის შემწუნებელს წინააღმდეგობა გაუწიოს“. როგორ? – გადადის იდეათა ველში, წინააღმდეგობის გაწვევის მრავალი იდეიდან ირჩევს ერთს, მაგალითად, იმას, რომ თუ ვაზი გათბება, ის გაფართოვდება და ამით შეაჩერებს მასზე შემოქმედებას. მას უკვე რაღაც ბიოლ-მარიოტ, ვეილ-ლუსაკის, ვინმე მენდელეევი-კლაპეირონის კერძო განტოლებების ცოდნა აღარ სჭირდება, რადგან მიხვდა ზოგადს და ამ კანონების „ცოდნის“ გარეშე იწყებს გათბობას და მასზე არასასურველ შემოქმედებას ეწინააღმდეგება.

თვით აიზექ ნიუტონის კონკრეტული კანონი, – ქმედება იწყებს უკუქმედებას, – ლე' შატელიეს უფრო სრულყოფილი პრინციპიდან გამომდინარეობს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს: აღმასი იქმნება ნახშირბადის ატომების გარკვეული წესით დალაგებისას. აღმასი კრისტალდება ე.წ. ოქტაედრული სახით, თუმცა გვხვდება კუბის სახითაც. საკმარისია შეიცვალოს ნახშირბადის ატომებს შორის მანძილი, ანუ ერთი პარამეტრი, რომ მისგან მიიღებთ არა კრისტალს, არამედ თვისობრივად სხვა სისტემას, მაგალითად, რბილ გრაფიტს. ე.ი. ერთი და იგივე ელემენტი – ნახშირბადი – ერთ შემთხვევაში ქმნის უდიალეს სიმტკიცეს, მეორე შემთხვევაში – სუსტ გრაფიტს. თუმცა აქ მართლაც ნახშირბადში (ობიექტში) არ არის საქმე. მთავარია ურთიერთობა, – **განლაგების წესრიგი, წყობა.**

სიმტკიცეს, მონოლითურობას წყობა განსაზღვრავს.

აქ უნებურად გახსენდება დიალოგი აღმასსა და გრაფიტს შორის

– რატომ ხარ ასეთი მტკიცე? – ჰკითხა ნახშირმა აღმასს.

– რატომ ხარ ასეთი რბილი? – კითხვითვე უპასუხა აღმასმა (ფრიდრიხ ნიცშე).

მართლაც, – **რატომ ვართ ასეთი რბილები, ამორფულები?**

შემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნა ერთია:

ბუნების კანონზომიერება გვიჩვენებს: სიმტკიცე, მონოლითი არა „ელიტარული“, არამედ, თითქოს არაფრით გამორჩეული ნაწილაკებისაგან, ჩვენს შემთხვევაში ნორმალური, საშუალო ადამიანებისგან შექმნათ.

“საშუალოთაგან“ სისტემის შექმნა არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა. საკმარისობისათვის აუცილებელია იმის გააზრება, თუ ამ საშუალოთა ერთობა როგორაა „დალაგებული“, რა პრინციპითაა შექმნილი.

გაიხსენეთ არისტოტელეს რჩევა – საშუალო ადამიანებისგან შემდგარ ჯგუფს ემართა საზოგადოება (გაიხსენეთ, ნახშირბადი „ელიტარული“ არ გახლავთ).

არავის ეწყინოს საშუალოთა კლასში მოხვედრა. თუ მაინცდამაინც გაწუხებთ სიტყვა „საშუალო“, მაშინ თარგმნეთ ის ლათინურად და მიიღებთ სიტყვა მედიუმს – ადამიანი, რომელიც ხალხსა და სამყაროს სულს შორის დამაკავშირებელი უნარიანთა დაჯილდოებული.

დაუუკვირდეთ, ადამიანთა ისტორიაში (გარდა ფეოდალური, მონარქიული პერიოდისა, სადაც თვით სისტემა მონარქებს აქტიურობას აიძულებდა) ყველა მძლავრი, ზნეობრივი და უზნეო ცვლილება ძირითადად არაფრით გამორჩეული, „საშუალო“ ადამიანთა მეშვეობით ხდება.

გაიხსენეთ უწლოვანი, სუსტი, პროვინციელი გოგონა, რომელმაც საფანგეთი გადაარჩინა.

გაიხსენეთ გორელი ლოთი მეწადის შვილი ან კორსიკელი ბიჭი. . .

ვინ იყო ვაჟა, გალაკტიონი, ნიკალა . . .

ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

არც ერთი მათგანი არ იყო „ელიტარული“ წრიდან და ამასაც ახსნა უნდა მოვუძებნოთ.

აქ კონკრეტული ადამიანი არაფერ შუაშია და არა აქვს მნიშვნელობა ის ბიოლოგიურად, თუ სოციალურად რა წარმოშობისაა. აქ მთავარია ამ ადამიანის იდენტურობის ხარისხი მის გარშემო არსებულ ე.წ. „არისტოკრატიულ“ გარემოსთან. მას დაბადებიდან უნერგავენ სხვასთან შედარებით უპირატესობის შეგრძნებას. მისი არსი თავიდანვე ივსება იმ აზრით, რომ ის „გამორჩეული ობიექტია“. ამ სუბიექტს ლაო ძის (ასევე უბრალო, საშუალო წარმოშობის) ლოგიკა ავიწყდება, – ჭიქის

არსი, მისი გამოყენების შესაძლებლობა, მის სიცარიელეშია, ტაძრის არსი, მის სიცარიელეშია, ბორბლის არსი, მისი გამოყენების შესაძლებლობა, მის სიცარიელეშია, ადამიანის არსი, მისი სოციუმში გამოყენების შესაძლებლობა, მის სიცარიელეშია. მართლაც, როგორ გამოიყენებ ჭიქას, რომელიც უკვე სავსეა? მასში ხომ ვერაფერს ჩაასხამ? სიცარიელის გარდა აუცილებელია კიდევ ერთი პირობა – ჭიქაში ვერაფერს ჩაასხამ, თუ ის დოქის ზევითაა და არა ქვევით, ანუ თავდაპირველი პირობაა დაქვეითება, თავმდაბლობა. შეუძლებელია ადამიანმა მიიღოს ახალი ცოდნა, თუ ის ძველი, ტრადიციული ცოდნითა და იდეებით არის გადავსებული. შეიძლება ეს მსჯელობა ვინმესთვის მიუღებელია. აქ ჩვენდამი აგრესია უმისამართოა. პასუხი ლაო ძის მოსთხოვეთ.

რატომ შეარჩია ქრისტემ მოწაფეები საშუალოთაგან?

დიან, ეს ბუნების კანონია.

გინდათ ამაღლება? მაშინ უნდა დაივიწყოთ თქვენი გამორჩეულობა, „ელიტარულობა“.

ვისაც ჰგონია, რომ სხვის გარეშე რაღაცას მიაღწევს, – ცდება.

ვისაც ჰგონია, რომ მის გარეშე არაფერი გაკეთდება, – ის ორჯერ ცდება.

ამაღლებისათვის ღვთისგან ერთადერთი უფლება გაქვთ მონიჭებული, – თქვენი განსაკუთრებული თვისებები საზოგადოების საკეთილდღეოდ, ანუ საერთო ამაღლებისათვის გამოიყენოთ. როგორც აღვნიშნეთ, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, არავისა აქვს უფლება თავი ელიტარულად მიიჩნიოს, რადგან დღევანდელი დაქვეითებული ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში მისი წვლილის შედეგი არ ჩანს და რადგან ეს ასეა, რომელ ელიტარულობაზეა საუბარი?!

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი: კრისტალოფიზიკის თეორიის მიხედვით, ბუნებაში კრისტალური წესრიგის 7 სინგონია (კრისტალთა დაყოფა კონფიგურაციათა მიხედვით) ცნობილი. რაგინდ საოცარიც უნდა იყოს, სახელმწიფოთა წარმოქმნის ისტორიაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოთა წარმოქმნის ასევე 7 კომბინაციას, თეორიას განიხილავს (თეოლოგიური, პატრიარქალური, პატრიმონიული, ძალადობრივი, ხელშეკრულებითი, ორგანული, ფსიქოლოგიური). შემთხვევითობაა? გეთანხმებით, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გამოჩნდება, ბუნების უზენაეს კანონთა უნივერსალობა, ანუ ფუნდამენტური კანონების სოციოლოგიაში გამოყენების მცდელობის რაციონალიზმი, ამ დამთხვევის გარეშეც ნათელია.

შევხედოთ კრისტალს სხვა თვალთახედვითაც.

დავფიქრდეთ, რითი იზიდავს კრისტალი, ალმასი ადამიანს?

იშვიათობა, სიმტკიცე, მუდმივობა, სილამაზე.

დაუუკვირდეთ ოთხ უნიკალურ თვისებას, რომლისკენაც ნებისმიერი, ნორმალური განვითარების ადამიანი აზრობრივად მიისწრაფვის. დიან, ეს ოთხი თვისება უკვე ქმნის იმ კატეგორიას, რასაც ჩვენ **კეთილშობილებას** ვუწოდებთ.

გარდა ამ თვისებებისა, კეთილშობილი ქვა, ანუ კრისტალი საკუთარ არსში მოიცავს იმასაც, რაც მრავალი მითისა და ლეგენდის საფუძველი გახდა.

ამ კუთხით საინტერესოა ალმასი, სახელწოდებით „ცისფერი იმედი“. ის მილიონი წლის განმავლობაში იყო ჩამარხული ინდოეთის მიწაში, ოთხიოდე საუკუნის წინ იპოვეს და საკმაოდ დროის განმავლობაში ინდურ ღვთაება სიტას ქანდაკებას ამშვენებდა. ამ პერიოდის განმავლობაში, მას რელიგიური ადამიანებისათვის სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია. ავანტიურისტმა ჟან ბატისტამ, 1642 წელს, ალმასი ღვთაებას მოჰპარა და აქედან იწყება ყველა მისი შემდგომი მფლობელის (და არა მარტო მფობელის, არამედ ნებისმიერის, ვინც ერთხელ მაინც შეეხო მას) ტრაგედია – ჟან ბატისტამ ალმასი საფრანგეთში გასაყიდად ჩამოიტანა. მალე ის ქუჩაში გამვლელების თვალწინ ძაღლებმა დაგლიჯეს; ალმასის საფრანგეთში ჩამოტანას თან მოჰყვა შავი ჭირი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა; 1679 წელს ალმასი ლუი XIV-მ მარკიზა დე-მონესპანს აჩუქა – მარკიზა დაავადდა, ლუი XIV განგრენით გარდაიცვალა; შემდეგი მფლობელი მარკიზა დე-პომპადური ფილტვების ანთებას შეეწირა; შემდეგ ალმასი გადადის ლუი XVI –სა და მარია ანტუანეტას ხელში. ერთხელ დედოფალმა ალმასი პრინცესა ლამბალს ათხოვა დროებით. როგორც ცნობილია, მეფე-დედოფალს თავები მოჰკვეთეს, პრინცესა კი, პირდაპირი გაგებით, გამხეცებულმა ბრბომ დაგლიჯა. თავს აღარ შეგაწყნოთ, გეტყვით ერთს – პირადად მე, ამ ალმასის – „ცისფერი იმედის“ (დაუკვირდით მის

სახელში რაოდენ დიდი ირონიია) ოცამდე მფლობელი დაეთვალე. ნებისმიერი, ვინც მიეკარა აღმასს, ცხრა წლის ბავშვით დაწყებული, მსახურით, ოუველირით და ხელოსნით დამთავრებული ან გონებას კარგავდა, ან ტრაგიკულად იღუპებოდა. დღეს „ციხვერი იმედი“ ა.შ.შ.-ს ნაციონალურ მუზეუმშია გამომწყვდეული და ალბათ ყველა (ვინც მისი ისტორია იცის) შორიდან უელის მას.

საინტერესოა, აქვს თუ არა ამ ლეგენდებს რაიმე ლოგიკური, ანუ მეცნიერული საფუძველი.

ერთი მხრივ, ეს რა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესო საკითხია, მეორე მხრივ კი, გარკვეულ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

მართლაც, ურთულესია მეცნიერული იდეების პოპულარულად განხილვა. სირთულე იმ მომენტიდან იწყება, როდესაც იდეის ასახსნელად ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო მაგალითების მოყვანა საკმარისი აღარაა. იძულებულნი ვხდებით მეცნიერული ცნებების განმარტების თუნდაც მარტივ ენაზე გადავიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივალთ აზრის დამახინჯებად, ინფორმაციის დაკარგვამდე; შედეგი – საკითხი აუხსნელი და გაუგებარი დარჩება.

აიღოთ თუნდაც სიტყვა – კოსმოსი.

ქალბატონებს ვთხოვ, დახედონ იმ ძვირფას ან ნახევრად ძვირფას, ან საერთოდ იაფფასიან ხელოვნურ კრისტალს, რომელიც ახლა თითზე, ყელზე, ყურზე ან ჭიპზე უკეთიათ.

კრისტალის სახით საკუთარ სხეულზე თქვენ კოსმოსს ატარებთ და იცით რატომ? – იმიტომ, რომ სიტყვა კოსმოსი ვარსკვლავებიდან უსაზღვრო სივრცეს აღნიშნავს. მეცნიერულ „ყარგონზე“ კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, სიტყვა – კოსმოსი იმ იდეალურ წესრიგს ნიშნავს, რაც ვარსკვლავებს, პლანეტებს . . . ახასიათებს. ანუ კოსმოსი წესრიგს ნიშნავს და უპირისპირდება სიტყვა ქაოსს. ამრიგად, კოსმოსი ქაოსის ანტონიმია.

ხილულ სამყაროში ყველაზე მოწესრიგებული კრისტალია. შესაბამისად, შეუძლებელია თქვენი კრისტალი (მიკროკოსმოსი) არ იყოს რაღაც კავშირში, ჰარმონიაში იმ უდიადეს წესრიგთან (მაკროკოსმოსთან), რაც, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ჩვენ ზევითაა; თუნდაც იმიტომ, რომ იგივე კატეგორიას წარმოადგენს, რასაც კოსმოსი ჰქვია. ირლვევა ეს ჰარმონია, ირლვევა ის, რასაც ჩვენ სიკეთეს ვუწოდებთ. ბოროტება ხომ არშემდგარი, აღუსრულებელი სიკეთეა.

რათა გავერკვეთ იმ სიკეთესა და ბოროტებაში, რაც ამ კოსმოსურმა კავშირმა შეიძლება მოუტანოს ჩვენს ჯანმრთელობას, ფსიქიკას, ბედს, ამ საინტერესო საკითხზე ოდნავი მობილიზება მოგვიწევს.

ჩვენ კრისტალთა წარმოქმნის პროცესზე ვიმსჯელებთ. თუმცა, ერთიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კი, კრისტალის ჩანასახის შემადგენელი ნაწილაკები მიაღწევს $N_{kr} + 1$ -ს, კრისტალს უჩნდება მახსოვრობა. დიახ, მახსოვრობა პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით. რატომ არიან დარწმუნებულნი ამაში მეცნიერები? ახლავე მოგახსენებთ.

როგორც აღვნიშნეთ, კრისტალის შემადგენელ ატომთა შორის მკაცრად განსაზღვრული მანძილებია. რეალურ სამყაროში ის ყველაზე მოწესრიგებული სისტემაა და ამიტომ საკვლევად ყველაზე მოსახერხებელი ობიექტია. ასტრალური ველი, რომელიც განმსჭვალავს ამ ატომთა იდეალურ წესრიგს, ყველაზე ნათლად თავს მასში ამჟღავნებს, ისევე, როგორც ჩვენი გამოსახულება ყველაზე ნათლად ჩანს იდეალურ, სუფთა სარკეში.

კრისტალის ასტრალურ ველში, ანუ მის ატომთა შორის სივრცეში არსებობს ე. წ. „ხაფანგი“, რასაც ჩვენ, ფიზიკოსები ჩამჭერ-ღონეებს ვუწოდებთ. მათი რაოდენობა კრისტალში შეიძლება მილიარდზე მეტიც კი იყოს. ამ უნიკალურ მექანიზმს, „სეიფის“ მაგვარ ღონეებს, შეუძლია დაიმასსოვროს (თითქოს სეიფში შეინახოს) მასზე ზემოქმედი ენერჯის ნაწილი. „ხაფანგების“ რაოდენობა ნათლად აჩვენებს, თუ რა რაოდენობის ინფორმაციის შენახვა შეუძლია კრისტალს. როცა კრისტალი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, მიუხედავად იმისა, ეს ზემოქმედება ჩვეულებრივი სინათლის სხივია, მაღალი ენერგეტიკული, თუ ინფრაწითელი (სითბური) გამოხსნივება, კრისტალი ამ დასხივების ნაწილს უკან აბრუნებს, ხოლო ნაწილს ამ „ხაფანგ“, ჩამჭერ ღონეებში ინახავს, ანუ იმასსოვრებს შემოთუბას, იმ გაღიზიანებას, რაც მას თავს გადახდა. ეს დამასსოვრებული ენერჯია მან შეიძლება გამოხსნივების სახით დააბრუნოს რამდენიმე წამის, წუთის, კვირის ან რამდენიმე საუკუნის შემდეგ.

დღეს ამ ფენომენის შესწავლის დახვეწა მიმდინარეობს, რათა იმ არქეოლოგიური საგნების ასაკი განსაზღვრონ, რომელიც კრისტალურ სხეულებს შეიცავენ (მაგ., კერამიკული საგნები). წარმოდგინეთ

ბევრი ეგვიპტე და მექონე, რომელიც კერამიკული თიხისაგან ამზადებს ქოთანს. თიხაში ყოველთვის არის კრისტალური ნაწილაკები. ცხადია, დამზადების შემდეგ ხდება ქოთნის მალალ ტემპერატურაზე გამოწვა. შესაბამისად, თიხაში არსებული კრისტალური ნაწილაკები მალალი ტემპერატურისაგან შემფორმებულ განიციდან და იმასსოვრებენ. როგორც აღენიშნეთ, კრისტალის მასსოვრობისთვის 30, 50 საუკუნე არაფერია, მას არაფერი ავიწყდება. საკმარისია მეცნიერმა სპეციალური პირობები შეუქმნას კრისტალს, ის იწყებს ფერთა ენაზე მეცნიერთან „საუბარს“, კრისტალი 50 საუკუნის წინ დამასსოვრებულ ინფორმაციას აწვდის მკვლევარს. აი, ის მცირედი, რაც არაორგანული ნივთიერების, კრისტალის გამოსხივებას შეეხება. უნდა აღინიშნოს, რომ არანაკლებ საინტერესოა ორგანულ ნივთიერებათა გამოსხივებები.

დღეს ცნობილია, რომ ყოველ ბიოლოგიურ სისტემას, მათ შორის მის უმცირეს ნაწილაკს – უჯრედს ანასიათებს გამოსხივება, თავისი სიხშირით, ფაზით, პოლარიზაციით. ამაზე აზრი პირველად მეცნიერმა გურვიჩმა გამოთქვა. ეს არის ზეფაქიზი გამოსხივება, რომელსაც გურვიჩმა მიტოგენეზი უწოდა. მისი აზრით (რაც ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოსაა), ბიოლოგიური ნორმალური განვითარება, უჯრედთა შორის ურთიერთქმედება ამ გამოსხივებით განისაზღვრება. თუ უჯრედების გამართიანებელი ფერთა მუსიკის რიტმი ირღვევა, ორგანიზმში პათოლოგიური პროცესები იწყება.

ძირითადად სამკაული ადამიანის ასტრალური სხეულის, მგრძობილობის ამაღლებული კონცენტრირების წერტილებშია განთავსებული. ესაა თითები, ყურის ბიბილო, ყელი. არ დაგავიწყდეთ, რომ, თითქოს არაკრისტალური მასალები – ოქრო, მელქიორი, სპილენძი, ვერცხლი და ა.შ. რეალობაში პოლიკრისტალურია, ხოლო მათი ზედაპირი, ლითონის ოქსიდები, ასევე კრისტალები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. წარმოიდგინეთ, თქვენ ანტიკვარულ სამკაულს ატარებთ, მას თქვენამდე მრავალი პატრონი ჰყავდა. ყველა მათგანს ჰქონდა ექსტრემალური, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ემოციები, რაც უჯრედების დონეზე ასტრალური ველის, იგივე მიტოგენეზური რხევების, ვიბრაციების სახით წარმოვიკვებება. როგორც აღენიშნეთ, ის განსაკუთრებით ინტენსიურია თითების, ყელის, ყურის ბიბილოების მიდამოებში. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს რხევა, ეს ვიბრაცია კრისტალმა თავისი უნიკალური მასსოვრობის მექანიზმით დაიმასსოვროს და განსაკუთრებულ პირობებში, უკვე თქვენს თითზე ყოფნისას გამოასხივოს. რამდენად დადებითად ან უარყოფითად იმოქმედებს ეს თქვენს ასტრალურ, ანუ უჯრედშორის სივრცეზე, ფსიქიკურ, თუ ბიოლოგიურ დონეზე, ეს უკვე სხვა მსჯელობის საკითხია. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის ფორმატი არ იძლევა საშუალებას დღეს ამ საინტერესო საკითხზე ვისაუბროთ. ვერც იმაზე შეგვირდებით, როგორ ავიცილოთ არასასურველი ვიბრაციები და, პირიქით, როგორ გავაძლიეროთ დადებითი რიტმები. ამაზე სხვა დროსა და ფორმატში ვისაუბროთ.

ძვირფას ქვებთან დაკავშირებულ ლეგენდებსა თუ მითებს გარკვეულ წილად ლოგიკური საფუძველი აქვს. ამდენი მსჯელობის შემდეგ, ალბათ, თვით მკითხველი გამოიტანს დასკვნას.

როგორც ვხედავთ, კრისტალი (ალმასი) ის საინტერესო ფენომენია, რომელიც საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მოდელად გამოგვადგება.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ კიდევ ერთი ზოგადი დასკვნა, რომელიც სამართლიანია ყველა სახის სისტემისათვის, შესაბამისად საზოგადოებისათვის:

1. ნაწილაკობრივ სისტემაში (და არა ნაწილაკთა ქაოსურ გროვში), არსებობს რაღაც N_{Kr} რიცხვი – ჩანასახი, რომელსაც თუ დაემატა თუნდაც ერთი ნაწილაკი, იწყება თვითგანვითარება, წესრიგი;

2. სისტემის შექმნისას უდიდესი ყურადღება ექცევა არა მარტო იმას, რა ელემენტებისაგანაა შექმნილი ეს სისტემა, არამედ იმას, როგორი წყობითაა დალაგებული ეს ელემენტები, რომელიც, თავის მხრივ, უმცირესი ქმედების პრინციპით განისაზღვრება;

3. ნაწილაკობრივ სისტემაში, როდესაც მისი შემადგენელი ნაწილაკები მიღწევს ($N_{Kr}+1$) რიცხვს, იკვეთება სისტემა, რომელიც ლე შატელიეს პრინციპს ემორჩილება. შესაბამისად, გარე ძალების ზემოქმედებისას უდიდესი წინააღმდეგობის გაწევის უნარი უჩნდება;

4. როგორც კი, სისტემის (მაგ., კრისტალის) ჩანასახის შემადგენელი ნაწილაკები მიღწევს – ($N_{Kr}+1$) რიცხვს, სისტემას უჩნდება უნიკალური, კოლექტიური მასსოვრობა, ანუ განვითარებისათვის აუცილებელი პირობა.

თავისთავად იბადება კითხვა, – რამდენად ეხება ჩვენ მიერ განხილული ნაწილაკობრივი სისტემების კანონზომიერება ადამიანთა ჯგუფს, სოციუმს, ეთნოსს, ერს, საზოგადოებას, სახელმწი-

ფოს? ადამიანი ხომ არც ატომია, არც თევზი და არც ჭიანჭველა. აბსოლუტურად გეთანხმებით. ადამიანი არაა ფუტკარი – ადამიანი გაცილებით ზარმაცია; ადამიანი არაა ატომი – ატომი ჩვენზე გაცილებით მტკიცე და მდგრადია, მაგრამ თქვენც უნდა დამეთანხმოდით, რომ საზოგადოება, სახელმწიფო ნაწილაკობრივი სისტემა და ჩვენ ამ სისტემის შემადგენელი ნაწილაკები ვართ.

მართლაც, იქნებ კრისტალშია მოქცეული სამყაროს კანონზომიერების საიდუმლოს ის ნაწილი (და არა მარტო), რაც ნაწილაკობრივ სისტემაში მონოლითის, წესრიგის, სიმტკიცის, მშვენიერების ბუნებრივ მოდელზე მიგვანიშნებს. ვცადოთ, ამ მოდელის გააზრება სოციუმთან მიმართებაში.

ჩვენი აზრით, კრისტალიზაციის თეორიის გამოყენება სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესების მოდელირებისათვის ეფექტური და მოსახერხებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ჩანასახის წარმოქმნა ფაქიზი მექანიზმია და განსაზღვრულ, „კომფორტულ“ პირობებშია შესაძლებელი. ამრიგად, ჩანასახის ანალოგიურად საზოგადოებრივი მონოლითის შექმნაც მკაცრად განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს.

მართლაც, დაუკვირდეთ, პირველი მძლავრი სოციალური, სახელმწიფოებრივი ჩანასახების წარმოქმნა სწორედ იქ მოხდა, სადაც მრავალმხრივ კომფორტული პირობები იყო. ჩანასახის განვითარებას იზოლირებული, წყნარი გარემოს არსებობა სჭირდება.

ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო (ეგვიპტე) ჩრდილო-აფრიკაში წარმოიშვა, რომელიც ჩრდილოეთიდან ხმელთაშუა ზღვით, აღმოსავლეთიდან წითელი ზღვით, სამხრეთიდან ლიბიის უდაბნოთი იყო იზოლირებული. ანუ სოციალური ჩანასახის წარმოქმნას დაბალგანვითარებული აგრესიული ტომები ხელს ვერ უშლიდნენ. ასევე იზოლირებული იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე, ადრიატიკისა და ეგეოსის ხმელთაშუა ზღვით შემოსაზღვრული, ანტიკური საბერძნეთიც.

რომი – აპენინის ნახევარკუნძული, ჩრდილოეთიდან ალპები, სხვა მხრიდან ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვები.

ამრიგად, ცივილიზაცია იქმნება იქ, სადაც სოციალური ჩანასახის წარმოქმნას ხელს არ უშლის მეტ-ნაკლებად აგრესიული გარემო, ანუ იმ პირობას აკმაყოფილებს, რასაც ზუსტ მეცნიერებაში ჩაკეტილ, იზოლირებულ სისტემას ვუწოდებთ და მხოლოდ იქაა შესაძლებელი კრისტალიზაცია, ანუ მონოლითის შექმნა.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ადამიანთა მკაცრად განსაზღვრული, კრიტიკული რაოდენობა, რაც ჩანასახის წარმოსაქმნელადაა საჭირო.

ალბათ, მომავალი რომის იმპერიის ჩანასახი ძმები რომისა და რომულის გარშემო შემოკრებილი 500-მდე თანამოაზრეც, კრიტიკულ რაოდენობას შეესაბამებოდა. ამ მონოლითზე შექმნილმა სახელმწიფომ, ბიზანტიის ჩათვლით, რეკორდული დროით იარსება.

სწორედ ასეთივე რაოდენობის თანამოაზრენი შეიკრიბნენ ჩინგიზ-ხანის გვერდით, რომელთაც „გრძელი ნებისყოფის ადამიანები“ ეწოდათ, კარლოს დიდის გარშემო – ბარონები, დავითის გარშემო – ერთგულები . . .

რა პიროვნული თვისებებიც გააჩნდა რომულს და მის 500-მდე მეგობარს, ანუ როგორც იყო ჩანასახი, ისეთი იყო რომის იმპერია;

როგორც იყვნენ ჩინგიზ-ხანი და მისი „გრძელი ნებისყოფის“ თანამებრძოლნი, ისეთი მონოლითი შექმნეს;

როგორც იყვნენ დავითი და მისი ერთგულნი, ისეთი იყო საქართველო.

სამწუხაროდ, შემდგომმა თაობებმა ქვეყნის აღმშენებლობის საფუძველი, არსი მიივიწყა.

ცხადია, თავდაპირველად გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ სიბტყეზე არსებობს სოციუმის რაღაც მოუწესრიგებელი ჯგუფები, ანუ საწყისი ბაზა, მასალა, სისტემა, რაზეც შესაძლოა შეიქმნას ახალი, ამადლებული, გაცილებით უკეთესი წესრიგი, ანუ დაიბადოს მონოლითი.

შესაბამისად, განვიხილოთ უკვე არსებული, არც თუ ისე მოწესრიგებული კრისტალი და განვიხილოთ მასზე ახალი, უფრო მოწესრიგებული კრისტალური ფენების შექმნის ფენომენი, მოვ-

ლენა. კრისტალის ჩანასახური თეორიის თანახმად, გარკვეულ სიბრტყეზე ან სივრცეში – ბაზაზე მონოლითის შექმნისას წარმოქმნილ ჩანასახთა რიცხვი შეზღუდული არ არის, ანუ თავდაპირველი ე.წ. ბაზური, არასრულყოფილი კრისტალის ზედაპირზე სხვადასხვა წერტილში მრავალი ჩანასახი ჩნდება. ზოგიერთი ჩანასახი იშლება და შესაძლოა ამ დაშლილი ჩანასახის ნაწილები სხვა, უფრო მძლავრ ჩანასახს მიუერთდეს. ეს პროცესები სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას პარტიული თუ საზოგადოებრივი ჩანასახების სიმრავლეს მოგვაგონებს. როგორც კრისტალიზაციისას, ამ შემთხვევაშიც, პარტიულ ჩანასახთა რაოდენობა დაშლითა და სხვა პარტიებთან მიერთებით მცირდება. ასევე, რამდენიმე მძლავრი ჩანასახის გაერთიანებით ახალი კრისტალური ბლოკის (მსხვილი გაერთიანების) წარმოქმნაცაა შესაძლებელი.

სოციუმში ასეთი ბლოკების წარმოქმნის მოდელად შეიძლება განვიხილოთ ძველ საბერძნეთში ორი მძლავრი ბლოკის – ათენისა და სპარტის – წარმოშობა. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ ეთანადება ჩანასახური თეორია სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ მონოლითი ფარდობითი ცნებაა. აბსოლუტურ მონოლითს ვერც ბუნებაში და შესაბამისად, ვერც სოციალურ სისტემაში აღმოაჩენთ. რეალურ სამყაროში ბლოკებისაგან (მცირე ზომის კრისტალებისგან) შექმნილ კრისტალურ სისტემასთან გვაქვს საქმე (მას პოლიკრისტალს უწოდებენ) და თუ რომელიმე ბლოკის სიდიდე შთაბეჭდავია, მაშინ ის შეიძლება მონოკრისტალად ჩაითვალოს.

კრისტალიზაციისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესებს შორის კიდევ მრავალი ანალოგიის მოძებნაა შესაძლებელი, ჩვენ კი ერთ საინტერესო მოვლენაზე შევჩერდეთ.

წონასწორულ პირობებში (ანუ კლასიკურად წყნარად, მღორედ მიმდინარე პირობებში), კრისტალის შექმნის დაჩქარება შესაძლებელია, მაგრამ ბუნებას ვერ მოატყუებ და თქვენს სულსწრაფობაზე ბუნება მაშინვე ახალ კრისტალურ ბლოკებში დეფექტთა რიცხვის გაზრდით გაპასუხებთ. მათ კრისტალო-ფიზიკაში დისლოკაციებს უწოდებენ (მაგ., საფეხურებრივი წანაცვლება, უცხო მინარევების დიდი კონცენტრაცია. . .), რაც წესრიგის, მონოლითურობის ხარისხს ამცირებს.

ანუ ხელოვნური დაჩქარებით კრისტალის მონოლითურობის ხარისხი მკვეთრად ეცემა – იღებთ მოჩვენებით სიმტკიცეს, რომელიც დროთა ვითარებაში რეგრესს განიცდის, მასში შენიღბული დეფექტები მკვეთრად ამჟღავნებენ თავს. კრისტალი სერიოზულ გარე და შიგა დაძაბულობას ვერ უძლებს და იშლება.

– ბუნებას ვერ მოატყუებ – ეს, ბუნების ფუნდამენტური გააზრებიდან გამომდინარე, დაუწერელი კანონია.

ამ პროცესის შესატყვისი ფორსირებული მეთოდით სოციუმში მონოლითის შექმნის, ერთი შეხედვით, მტკიცე მაგალითებია: ალექსანდრე მაკედონელის, იოსებ სტალინის, ჰიტლერის იმპერიები.

როგორც აღვნიშნეთ, ბუნებას ვერ მოატყუებთ და არაბუნებრივი არსის საფუძველზე არამდგრადი სისტემა იქმნება.

შესაბამისად, ჩანასახური პროცესით მონოლითის წარმოქმნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საზოგადოების მამოძრავებელი ძალა შუალედურ ენერგეტიკულ არეალშია, ანუ საზოგადოების წევრთა უმეტესი ნაწილი არც საღათას ძილშია და არც მაქსიმალურად აღზნებულ მდგომარეობაში.

ამავე დროს, შეგახსენებთ, რომ სოციუმის შემთხვევაში სწორედ საზოგადოების აზროვნების დონე – პარადიგმა – წარმოადგენს საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნის საფუძველს, არსს; და როდესაც პარადიგმა არაბუნებრივად მკვიდრდება, შექმნილი სისტემის

არსიც სწორედ ამ არაბუნებრივ პარადიგმას ეფუძნება; შესაბამისად, საზოგადოება არაგან-
ვითარებადია, ხოლო სისტემა – სახელმწიფო – ხელოვნური.

ხელოვნურ სახელმწიფოში კი საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ შემოქმედების განმავითარებელ „ოაზისებში“ შესაძლებელია. შესაბამისად, ასეთი სახელმწიფოს სიცოცხლის ხანგრძლივობა „ოაზისების“ რაოდენობასა და თავისუფლების ხარისხზეა დამოკიდებული. ხელოვნური სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნება სხვა სახელმწიფოთა ხარჯზე ხდება და თუ დახმარება შეწყდა, სახელმწიფოც იშლება.

აღექსანდრე მაკედონელის გვამი გაციებულიც არ იყო, რომ მისმა იმპერიამ დაშლა დაიწყო, იოსებ სტალინი კი ეტყობა ისეთ დიდ ენერჯიას ფლობდა, რომ მის „გაციებას“ ათეული წლები დასჭირდა.

გავისხენით არაბეთის ნახევარკუნძულის ტრამალებში ნახირის მწყემსობით დაკავებული, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ეთნოსი. მათი ერთი ნაწილი პალესტინაში მკვიდრდება, ნაწილი კი ეგვიპტეში. სწორედ აქ ახერხებს ერის სიყვარულით ამაღლებული იოსები ეგვიპტის მმართველობის უმკაცრეს იერარქიაში მაღალი თანამდებობის დაკავებას. ამ თანამდებობას ის არა საკუთარი სურვილით, არამედ თანამემამულეთა დაცვა-პატრონობისათვის იკავებს. თუმცა მან მიწასა და ცას შორის ღესპანის როლის შესრულება ბოლომდე ვერ შეძლო, ვერ შეიცნო ის ზეციური „მესამე“, რაც მის ერს დაიცავდა. იცვლება ფარაონი და მასთან ერთად იცვლება ებრაელთა მიმართ ფარაონთა დამოკიდებულებაც. იწყება მონობა, გაუსაძლისი ტანჯვა, ბავშვების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და ამ სისხლიან ორგიაში, ღვთის მადლით, გადარჩა მოსე. ის, ვინც მოგვიანებით კაცობრიობას ზეციდან უმაღლეს ჰუმანიტებას – ერთ ღმერთსა და ათ მცნებას, ანუ მატრიცათა მატრიცას ჩამოუტანს. იწყება იმ სულიერი მონოლითის შექმნა, რომელიც ვერც სისხლმა და ვერც გავის კამერებმა ვერ შეარყია. საოცარია, რაც უფრო ღრმად ესმოდათ ამ ადამიანებს მონოლითის არსი, მით მეტი იყო სიძულვილი მათ მიმართ.

- რატომ ხარ სულით ძლიერი?
- რატომ აქციე საკუთარი ერის ისტორია რელიგიად?

ყველა დროსა და სივრცეში სწორედ ეს იყო ზნედაცემული, გაუნათლებელი ბრბოს სიძულვილის მიზეზი ებრაელი ხალხის მიმართ.

ადამიანთა ისტორიაში გაუნათლებელი ხალხის ზიზღი არა მარტო ებრაელების, არამედ ყველა მოწინააღმდეგე სისტემის მიმართ მკვეთრად იკვეთება. ცხადია, წესრიგი ქმნის სიმძლავრეს. ამ სიმძლავრის ფონზე ნათლად ჩანს გაუნათლებელთა სისუსტე, ქაოსი. შესაბამისად, მათ საკუთარი სისუსტე კი არა სხვისი სიმძლავრე ეზიზღებათ.

დავუბრუნდეთ საზოგადოებრივი სისტემის ჩამოყალიბების საკითხს.

შესაძლოა სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ისტორიული ფაქტების ჩანასახური თეორიით ახსნათამამ ნაბიჯად მოგეჩვენოთ, რადგან ისტორია ისეთი დარგია, რომლის ღრმად გაუცნობიერებლად გამოყენება სასიფათოა; მით უმეტეს, თუ საქმე ოდესღაც ცოცხალი, კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ცხოვრებისა და ქმედების რეკონსტრუქციის მცდელობას ეხება. ადამიანის ბუნება მრავალფეროვანია და ქმედების, მოტივების, გრძნობების, აზრების რეკონსტრუქცია (თანაც რეკონსტრუქცია მხოლოდ სიტყვიერი, აზრობრივი ფორმით) ძალიან საეჭვოა და ამ მიმართულებით მსგავსების დანახვა რეალობასა და ისტორიას შორის იგივეა, რაც ხეოფსის პირამიდასა და ქალაქის პირამიდას შორის მსგავსების აღმოჩენა.

ჩვენი აზრით, ისტორია იმდენადაა მეცნიერება, რამდენადაც უპირატესად აწმყოსა და მომავლის ორიენტირის ძიებისკენაა მიმართული და არა წარსულისაკენ. ამიტომ ვთვლით მას ერთ-ერთ მძლავრ ფუნდამენტურ მეცნიერებად და რადგან ის ფუნდამენტური მეცნიერებაა, ემოციებს ვერ ეთვისება. შესაბამისად, აღფრთოვანებული ისტორიკოსი ან უსარგებლოა, ან საშიში. ამიტომ მარტივი როლია

ბოლომდე რეალურად გავიაზროთ რა მოტივი, რა აზრი, რა მიზანი ამოქმედებდა რომულს, კარლოს დიდს, ჩინგიზ-ხანს.

ჩვენი თეორიის გასამყარებლად უახლესი ისტორიული მაგალითების მოყვანა უფრო დამაჯერებელი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ მკვლევარის შორსმხედველობის აბერაციას მაინც გამოვრიცხავთ.

ანტიკური და შუა საუკუნეების სახელმწიფოთა წარმოქმნის ისტორია სერიოზული გააზრებისთვის ნაკლებინფორმაციულია და შესაბამისად, ლოგიკის ნაცვლად, ემოციების გაძლიერებას იწვევს. აქედან გამომდინარე, შედარებით ახლო პერიოდში, ცივილიზებული ევროპის თვალწინ ჩამოყალიბებული, სუპერსახელმწიფოს წარმოქმნის ისტორია განვიხილოთ. აქ ფაქტებში ეჭვის შეტანის ნაკლები საფუძველი გვაქვს.

კრიტიკული რიცხვი

ერთი შეხედვით, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე სუპერსახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარების შესახებ გავრცელებული აზრი ჩანასახობრივ თეორიას ეწინააღმდეგება.

მართლაც, როგორ უნდა აიხსნას ავანტიურისტ და კრიმინალ ევროპელ ემიგრანტთა გაუნათლებელი ბრბოს სოციალურ ჩანასახზე შექმნილი ასეთი მოწესრიგებული სახელმწიფოს შექმნა?

ამ საკითხით ოდნავ დაინტერესებულ მოაზროვნე ადამიანს ბუნებრივი ეჭვი უჩნდება: ნუთუ თაღლითებმა და დილიჟანსის მძარცველებმა მოახერხეს ამ მდგრადი სახელმწიფოს ჩანასახის შექმნა?

ვინ და როგორ მოიპოვა და გადაამუშავა რეკორდული რაოდენობის მადანი და საწვავი?

ვინ დააგო უმაღლესი ხარისხის თვალუწვედნელი გზატკეცილები?

ვინ და როგორ აწარმოა ასტრონომიული მასშტაბის რკინაბეტონის მასა, რაც ამ ქვეყნის ამენებას დასჭირდა?

ვინ შექმნა ეფექტური, ქმედითუნარიანი კონსტიტუცია?

და ბოლოს, რატომ მაინცდამაინც იქიდან გახდა შესაძლებელი ადამიანის ცაში აფრენა, ან მთვარეზე ფეხის დადგმა?

მითი, რომ ჩრდილო-ამერიკაში სოციალური ჩანასახი ცივილიზებული ევროპისთვის უსარგებლო ადამიანებმა შექმნეს და შესაბამისად, დღეს თუ არა ხვალ, ამ გათახსირებულ ხალხს, „სახელმწიფო“ თავზე დაენგრევა, მე-16 საუკუნის ინგლისში გაჩნდა. ამ მითის გავრცელებას საფუძვლად პოლიტიკური მოსაზრებები დაედო. თავის მხრივ, სხვა ქვეყნებში არსებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა ეს მითი თავის სასარგებლოდ, უკვე განსხვავებული მოსაზრებებით, განავითარეს: ასეთი მძლავრი ქვეყანა ბანდიტებმა შექმნეს, ახლა ჩვენც გვაცალეთ თქვენი ძარცვა და ხვალ თუ არა ზეგ, ამისთანავე სახელმწიფოს შევიქმნით და გაგაბედნიერებთ.

ჩვენ კი ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, ვაცხადებთ, — ეს მითი ძალიან შორსაა რეალობისგან! უბრალოდ რომ ვთქვათ, გვატყუებენ.

არა, ამ სუპერსახელმწიფოს ჩანასახი დეგრადირებულ სუბიექტებს არ შეუქმნიათ!

ამ მითის წარმოშობის ისტორიული სათავეა 1585 წელი. არამზადების ჯგუფი ბრიტანეთის სამეფოს ადმირალის ჩინით შეკვული მეკობრის — სერ უოლტერ რელის — მეთაურობით, ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ სანაპიროს მიაღწა, შემდგომში მათ ახალმოსახლენი ეწოდათ. ასე დაარსდა პირველი კოლონია დღევანდელი ვირჯინიის ტერიტორიაზე. ეს მათ ნახეს პირველად თვალუწვედნელი, ნაყოფიერი, ყამირი მიწა და უკიდევანო ტყეები.

მართლაც, უკეთესი რა უნდა ინატროს მშრომელმა ადამიანმა რაციონალური ცხოვრების დასაწყებად?! — დიას, ამ ავანტიურისტთა ჯგუფმა პირველი კოლონია კი დააარსა, მაგრამ არც ადმირალსა და არც მის მეკობრებს ამ სიმდიდრის ასათვისებლად არავითარი ენთუზიაზმი არ გამოუჩენიათ. მათ მთელი ცხოვრება

ერთმანეთის ძარცვას, ნადირობას, პრიმიტიული წესით არყის გამოხდა-სმასა და მახლობელ ტყეში ინდიელი ქალების დევნას შეაღიეს. ერთმანეთის შუღლით იქმნებოდა და ნადგურდებოდა ახალ-ახალი კოლონიები. (კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის შესაბამის ნაწილს).

ეს პროცესი 1620 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა, სანამ გემმა „May Flower“ ინგლისელ პურიტანელთა 122 კაციანი ჯგუფი არ ჩამოიყვანა. ისინი ინგლისიდან განდევნილი ქრისტიანული სექტის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც საკუთარ თავს ღვთის რჩეულებად თვლიდნენ. ისინიც, მოსეს ებრაელთა მსგავსად, საკუთარ თავს მისიონერებად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ღვთისგან მინიჭებული მისია ახალი სახელმწიფოს ცივილიზაციის შექმნა-განვითარებაში მდგომარეობდა. სწორედ ეს წარმოდგენდა სამშობლოდან მათი განდევნის ძირითად მიზეზს.

ჯერ კიდევ გემბანზე ყოფნისას, ახალ მიწაზე ღუზის ჩაშვებამდე, მათ ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ **ერთმანეთის გატანით იცხოვრებდნენ, პატივს სცემდნენ თითოეულის ღირსებას, არ შეზღუდავდნენ სხვა რწმენის ადამიანებს. სწორედ, ამ არსით ჩამოყალიბდა მძლავრი სისტემა.**

ეს ის ოცნება იყო, რაც მათ ევროპაში ვერ აისრულეს.

გემი „May Flower“ სანაპიროს მიაღდა და მასაჩუსეტსში დაარსდა ახალშენი, სადაც ურთიერთ-გატანის მკაცრი დისციპლინა დამკვიდრდა და რომლის ყოველდღიური ცხოვრების წესს ლოცვა და მუხლჩაუხრელი შრომა წარმოადგენდა.

ასე განვითარდა ჩრდილო ამერიკაში პირველი კეთილგონივრულ იდეოლოგიაზე, მატრიცაზე და-ფუძნებული ჩანასახი; შემდეგ კი, სწორედ აქ, ამერიკელი ერის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის აუცილებელი მონოლითი წარმოიქმნა.

ამ თვალთახედვიდან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოთა წარმოშობის თეორიების რაციონალურობის შესახებ მუდმივი დისკუსია შესაძლოა შედეგიდან გამომდინარე იქნას განხილული; ჩამოყალიბებული საზოგადოების, ქვეყნის სტრუქტურებიდან გამომდინარე, შეიძლება გავიაზროთ, თუ რომელ თეორიას შეესაბამება აქ განვითარებული ჩანასახი და, შედეგიდან გამომდინარე, რამდენად რაციონალურია.

თუ აშშ-ს სახელმწიფოს შექმნის პირველსაწყისად გემი „May Flower“-ის გემბანზე 122 კაცის მიერ დადებულ ფიცს გავაანალიზებთ ($(N_{Kr} + 1) - 122 + 1$, ფიცი, იდეა), მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ მათ არც ფსიქოლოგიური თუ ორგანული, პატრიმონიული, ძალმომრეობითი, არც პატრიარქალური თეორია აურჩევიათ. ალბათ, ეს თეორიები არც გახსენებიათ. მათი ფიცი, იდეოლოგიაა, მათი ჩანასახიც ამ იდეოლოგიის მიხედვით ვითარდებოდა; იდეოლოგიური საწყისი მატრიცა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების დაბადება-განვითარების საფუძველი.

იდეოლოგიურ ჩანასახზე შექმნილ ახალშენს მოსახლეობა უწყვეტად ემატებოდა; მათ საფუძველად ზემოაღწერილი ცხოვრების წესი ხვდებოდათ. ჩანასახი სიმტკიცეს ავლენდა და ახალჩამოსულ ჯგუფებს სხვა ცხოვრების წესის შანსს არ უტოვებდა. იქ დამკვიდრებული ცხოვრების წესის უგულებელყოფა არსებულ კონკურენციაში მყისიერი დამარცხების საწინდარი იყო. ამრიგად, მხოლოდ პატიოსანი, რაციონალური ცხოვრების გზა რჩებოდა. ნებისმიერი, სხვა პრინციპის საფუძველზე შექმნილი ჩანასახი, სწრაფად იშლებოდა და იმ ჯგუფების წარმომადგენლებს მოჯამაგირეობის ან ცხენების ქურდობის გარდა აღარაფერი რჩებოდათ. ემიგრანტთა ამგვარი ბუნებრივი, იდეოლოგიური მრწამსით შერჩევა 150 წლის მანძილზე მიმდინარეობდა.

აქ უმთავრესია გავითვალისწინოთ, რომ იმ პერიოდში ევროპას ძირითადად ის ხალხი ტოვებდა, რომელიც იმდროინდელ ევროპაში არსებულ დაბალ სულიერ მდგომარეობას და თავისი შესაძლებლობის შეზღუდვას ვერ ეგუებოდა. ცხადია, ემიგრანტთა შორისაც მრავლად იყვნენ ავანტიურისტები და კრიმინალები, მაგრამ ჩანასახი ამგვარ ემიგრანტთა აღზევებისთვის თავისუფალ არეალს არ ტოვებდა. უბრალოდ, პურიტანული საზოგადოებრივი ჩანასახისათვის მათი ცხოვრების წესი მიუღებელი იყო. ყოველგვარი ავანტიურული ქმედება და იდეა თვითმმართველობის მკაცრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე სიმყიფეს ავლენდა და მყისიერად იფუძნებოდა.

მართლაც, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი 150 წლიანი სელექცია, ბუნებრივი შერჩევა. ამრიგად, ჩამოყალიბდა მძლავრი ჩანასახი, რომელმაც პურიტანული ცხოვრების არსისა და წესის მქონე ლიდერები აირჩია.

საზოგადოებამ, რომელსაც ზნეობა და რაციონალიზმი მართავდა, სახელმწიფო ლიდერები პოპულისტებიდან და აფერისტებიდან კი არ ამოირჩია, არამედ ტიპოგრაფიული მუშებიდან (ბენჯამენ ფრანკლინი), მიწისმზომელებიდან (ჯორჯ ვაშინგტონი), ტყის მჭრელებიდან (აბრაამ ლინკოლნი). აი, მათი გმირები, რომელთაც ჩანასახი იმ მონოლითად აქციეს, რასაც დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატები ჰქვია.

ამ ახალმა ერმა მსოფლიო კულტურის ათვისება-შესწავლა დაიწყო; პროფესია შემოქმედებად აქცია, პროფესიონალიზმი კი უმაღლეს ფასეულობად, სიყვარულად იყვანა. ეს ამ ადამიანებს გენებით ჩამოჰყვიათ და სწორედ, ეს გენები განავითარეს.

ამრიგად, შეიქმნა დიდი, შრომისმოყვარე ოჯახი, მოყვარული შვილებითა და მშობლებით, სადაც ჯანმრთელი პატივმოყვარეობა განვითარდა და არა ნარცისიზმი. აქ დამკვიდრდა კეთილი საქმის დასრულებით გამოწვეული სიამაყე, სხვისი წარმატების სიხარულით მიღება და ყველაზე მთავარი – ცხოვრება რელიგიური რწმენით.

ფრანკლინისა და ლინკოლნის ოჯახებს საკმაოდ ხანგრძლივი რელიგიური ისტორია ჰქონდათ. ინგლისში, ვაშინგტონის გვარი სწორედ მეფის – კარლოს პირველისა და სარწმუნოების – კათოლიციზმის ერთგულების გამო იდევნებოდა.

მართლაც, როცა იაზრებ ამ ჩანასახზე, მატრიცაზე აღმოცენებულ წმინდა კაპიტალიზმს, რომელიც ამ ხალხმა ჩრდილო-ამერიკაში შექმნა, კარლ მარქსის შრომებში – „საქონელ-ფულის ფეტიშიზმზე“ გამოთქმული აზრები, უბრალოდ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს. აქ, მგონი ბატონ კარლს ჩრდილო-ამერიკული კაპიტალისა და ფინიკიელების, არაბების, სპარსელების, ინდოელების „საქონელ-ფულის ფეტიშიზმი“ ერთმანეთში აერია. სწორედ „საქონელ-ფულის ფეტიშიზმი“ იყო ის, რაც ჯვაროსნული ომის მონაწილეებმა ამ ქვეყნებიდან ჩამოიტანეს და ევროპაში გარკვეული სოციალური ფენების დეგრადირება გამოიწვიეს. სწორედ ამას ვერ შეეთვისა ის სოციალური ფენა, რომელმაც ჩრდილო-ამერიკაში ახალმოსახლეთა ჩანასახი შექმნა.

პროტესტანტული შრომის ეთიკის შემქმნელმა, ახალი ტიპის წარმოებითა კაპიტალიზმმა ევროპა დაღუპვას გადაარჩინა. შრომის ეთიკის ფეტიშიზმმა, თანამედროვე სოციოლოგიისა და ისტორიოსოფიის წარმომადგენელი მაქს ვებერიც აღაფრთოვანა (ამაში ბატონი კარლ მარქსიც მორცხვად გამოტყდა). ნეტავ ბატონი კარლი ამ საკითხზე უფრო ღრმად დაფიქრებულყო, მაშინ ხომ ჩვენც გვეშველებოდა და მის იდეას შეწირულ ათეულობით მილიონ ადამიანსაც.

მხოლოდ ზემოაღწერილ ჩანასახზე იზრდება ის სოციალური მონოლითი, რომლის დაშლა კი არა გაკაწვრაც, ალმასივით, შეუძლებელია.

სამწუხაროდ, ეს ბევრს ჯერ კიდევ არ ესმის. გადის ასი წელი, მონოლითი იზრდება, სტრუქტურა კი უცვლელია. შეუძლებელია ის შეიცვალოს! ამერიკა იცვლება, მისი არსი უცვლელია! იმარჯვებს დამოუკიდებლობა, არნახულად იზრდება მეურნეობის სიმძლავრე, რა თქმა უნდა, იქ, სამხრეთში არსებობდა მეორე, დესპოტური ჩანასახიც და იწყება ამ ჩანასახთან ბრძოლა, იწყება ბრძოლა დესპოტური მეტროპოლიის წინააღმდეგ.

1775 წელს ამ ბრძოლაში ებმება 3,5 მილიონი ადამიანი. **მონოლითი წესიერ ადამიანებს იზიდავს.** 1860 წელს ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობს 22 მილიონი ადამიანი, სამხრეთში მხოლოდ 9 (დაუკვირდით ჩანასახთა ზრდის სიჩქარეს, მიუხედავად კლიმატური კომფორტისა) შემდგომი ასი წელი კვლავ იზიდავს მშრომელ ადამიანებს, ჩრდილოეთი უკვე 40 მილიონია. ჩამოყალიბდა ის მატრიცა, რომლის საზოგადოებასაც მხოლოდ შრომისმოყვარე ადამიანები, მათი პროფესიული ოსტატობა აღაფრთოვანებს. საკუთარ ლიდერებზე ხალხი მითებს ქმნიდა.

სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას, თუ რატომ აიყვანა ამ საზოგადოებამ უმაღლეს რანგში ტყისმჭრელი ლინკოლნი, ადამიანი, რომელმაც შემდგომში თქვა: „**შრომა კაპიტალის წინაპირობაა და არ არის მასზე დამოკიდებული. კაპიტალი მხოლოდ შრომის ნაყოფია და ვერასოდეს იარსებებდა, შრომა მასზე ადრე რომ არ ყოფილიყო. შრომა კაპიტალზე უფრო მაღლა დგას და შეუდარებლად მეტ პატივისცემას იმსახურებს.**“

ეს სიტყვები რომ ფასეულობას წარმოადგენს, ა.შ.შ-ის ისტორიაში ვაშინგტონის გვერდით ლინკოლნისთვის მიჩენილი ადგილით მტკიცდება. თვით **ვაშინგტონი** აღზევდა არა იმიტომ, რომ ის მდიდარი პლანტატორი იყო, აღზევდა არა როგორც ომის გმირი, (როგორი გენერალი იყო, ეს ჩვენზე კარგად ამერიკელმა ხალხმა იცის), არამედ, როგორც პიროვნება, **რომლის წარმოებულ თამბაქოს შემოწმება არ სჭირდებოდა, რადგან ის უმწიკვლო შრომის ნაყოფი იყო.**

აი, ეს აღაფრთოვანებდა პურიტანებსა და კვაკერებს. მისი, როგორც პრეზიდენტის როლი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ის, თავისი არსით, ამ მონოლითის მატრიცას იმეორებდა. ეს მატრიცა კი დამფუძნებელმა პილიგრიმმა მამებმა შრომის რესპუბლიკის მორალურ-იურიდიულ ბაზაზე შექმნეს. ესაა დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატები – ყველა მშრომელის, მეცნიერის, ინტელექტუალისთვის მისაღები სისტემა.

აი, ამიტომ აღაფრთოვანებდა ხალხს ვაშინგტონი, ფრანკლინი და ლინკოლნი; ეს ის გმირები იყვნენ, რომლებსაც ენდობოდნენ და არა მხოლოდ ზოგადში, არამედ წვრილმანშიც მიჰყვებოდნენ.

ლინკოლნის დარიგება, – „იშოვეთ წიგნები, იკითხეთ და ისწავლეთ მანამ, ვიდრე არ გაერკვევით ძირითად პრობლემებში. ეს მთავარია. ყველაზე გადამწყვეტია წარმატებათა მოპოვებისკენ დაუმცხრალი სწრაფვა.“

მოყვანილ მაგალითში, ჩრდილო-ამერიკის განვითარების იმ კონკრეტულ პირობებსა და სივრცეში, სწორედ 122 კაცი იყო ის კრიტიკული რაოდენობა, რომელზეც განვითარდა ჩანასახი.

ზემთ აღწერილმა ისტორიულმა ფაქტებმა სხვადასხვა ეთნოსისა თუ ერისათვის განსხვავებული ჩანასახური რიცხვი (500, 122 . . .) აჩვენა. აქ, თითქოს არ ფიგურირებს რიცხვი 12. საქმე იმაშია, რომ ისეთ მრავალრიცხოვან სისტემაში, როგორიცაა ადამიანთა ბიოლოგიური სოციუმი, ზემოაღნიშნული 12 ტიპის ადამიანის მოძიება და შემდეგ ერთად შეკრება ურთულესი ამოცანაა; სირთულე თუნდაც იმაში მდგომარეობს, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანი ვერ ავლენს მასში პოტენციურად არსებულ ბუნებრივ შესაძლებლობებს და თუ გამოავლინა, ხშირად თანამემამულენი ვერ, ან არ აღიარებენ მას.

ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი მწერლის ერთი მოთხრობა, სადაც, მისი ბრწყინვალე იუმორით საუკეთესოადა აღწერილი მოცემული პრობლემა. მოთხრობის არსი შემდეგია: სიკვდილის პირას მისული ინდივიდი დიდად არ განიცდის ამ ცხოვრებასთან განშორებას, თუნდაც იმიტომ, რომ მას აქვს ოცნება – საიქოში ნახოს ის უდიდესი „ოლიმპოს მთა“, ის პირამიდა, ის იერარქიული კიბე, რომელიც შევსებულია გარდაცვლილი უდიდესი პოეტებით და მწერლებით. ის, წინასწარ, ამ გრანდიოზული პირამიდის ხილვის მოლოდინითაც კი სიამოვნებას განიცდის. მან იცის, რომ პირამიდის წვერში ჰომეროსს დაინახავს, ცოტა ქვევით დანტე ალიგიერს, სადაც იქვე – სენეკას და ა.შ.

გარდაცვალების შემდეგ, ღმერთთან შესვედრა იწყება თხოვნით – პირამიდას ხომ ვერ მაჩვენებდით? ღმერთმა გზა მიასწავლა. ის გულისფანცქალით უახლოვდება ამ პირამიდას და დაზაფრული გაშემდება. პირამიდის წვერში ზის არა ჰომეროსი, არამედ მისი მეზობელი, რამდენიმე წნის წინ გარდაცვლილი ფერმერი და ვაშლს მიირთმევს. თურმე, რა ჰომეროსი, რის ჰომეროსი ის ყველა არსებულ პოეტთა შორის უდიდესი პოეტი ყოფილა. უბედურება ის არის, რომ მას ლექსის დაწერა აზრად არ მოსვლია და რომც დაეწერა, ამ ლექსის წამკითხველი ამ ქვეყნად არავინ იყო.

ეს ერთის მხრივ, არის მეორეც – ზოგი ისეთი პოტენციალითაა დაჯილდოებული, დროს იმდენად უსწრებს, რომ მის თანამედროვეთა უმრავლესობა ამ ადამიანის პოტენციალის შედეგის აღქმას, უბრალოდ, ვერც ახერხებს.

როდესაც ქ-ნ მერი შერვაშიძეს წაუკითხეს: „მესმოდა შენი უცნო ფიცი . . . „ – მან აღშფოთებით, ოფიციალურად განაცხადა, რომ ის ამ ყმაწვილს საერთოდ არ იცნობს და შესაბამისად, მას უფლება არ ჰქონდა მასზე ასეთი სტრიქონები დაეწერა.

მოუხედავად მისი ქალური ბრწყინვალეობისა, ჩვენც ოფიციალურად ვაცხადებთ – ერთადერთი მანსი, რომ ქ-ნი მერის სახელი კაცობრიობის ისტორიას შემორჩება, მხოლოდ იმ ყმაწვილის ყურადღებითაა განპირობებული.

მიქელანჯელო, თავის სონეტებში უდიდესი ნაღველით აღნიშნავდა, რომ ამ ქვეყნიდან ქალბატონთა ღიმილის დამსახურების გარეშე მიდის. იმავდროულად, განვითარებით ინფუზორიის ღონეზე მყოფი სუბიექტები დღეში ათჯერ მაინც იმსახურებენ ამ საოცნებო ღიმილს.

ვიმეორებთ, ნიკალამ საკუთარი ნახატების დღევანდელი ღირებულება რომ იცოდეს, ვინსეტ ვან გოგვივით, ყურს მოიჭრიდა; ხოლო ვინსეტმა (მან ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ნახატი გაყიდა), რომ შეიტყოს საკუთარი ტილოების დღევანდელი ღირებულება, არავინ იცის სხეულის შემორჩენილი ნაწილებიდან რომელს მოიჭრიდა.

ილიას შემთხვევით ტატოს რვეულში გაკრული ხელით ჩანაწერი ბჭკარები რომ არ გადაეკითხა, მსოფლიო კულტურა რა სიმდიდრეს დაკარგავდა, ძნელი წარმოსადგენია.

ალბათ, დიდია მათი რიცხვიც, ვინც დაუფიქსირებელი გენიალური აზრები, გამოუყენებელი პოტენციალი საფლავეში ჩაიყოლა, ამის დადგენა, უბრალოდ, ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

დანის ფეხბურთის ნაკრების გოლკიპერს ცხოვრების მიზნად ფეხბურთის მწვრთნელობა რომ აერჩია, რას მოიგებდა ამით ფეხბურთი, ამჟამად დაუდგენელია; ხოლო თუ რას დაკარგავდა, ნილს ბორის სახით მსოფლიო ინტელექტი, ამაზე მრავალტომიანი შრომების შექმნაც კი შეიძლება.

ასევე, ადამიანთა თანდაყოლილი ზნეობრივად ამაღლებული ენტელექტიურობა და პასიონარულობა მოუწესრიგებელ საზოგადოებაში ვერ მჟღავნდება. შესაბამისად, ჩვენ ვერასდროს გავიგებთ ამ მიზეზით რამდენი გამოუმჟღავნებელი ვაჟა ან გალაკტიონი მიდის ჩვენგან.

საზოგადოების მხრიდან ამ გაუგონარი უყარათობის თავიდან აცილება ურთულესი პრობლემაა. სწორედ ამ პრობლემის შეძლებისდაგვარად გადაწყვეტა არის ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

ჩვენი აზრით, ყოველი კონკრეტული ერისათვის, მისი თვისებებიდან გამომდინარე, არსებობს სისტემის წარმოქმნის ე.წ. კრიტიკული რიცხვი. ეს ის რიცხვია, რომელიც მოცემულ ერს, კონკრეტულ სივრცესა და დროში ახასიათებს და ერთი მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა იმ მინიმალურ რაოდენობას აღნიშნავს, სადაც ზემოაღნიშნული თორმეტის გამოკვეთის ალბათობა მაქსიმალურია.

ამ რიცხვის გამოთვლა კონკრეტული ერის, საზოგადოების მრავალი მახასიათებელი პარამეტრის გათვალისწინებას მოითხოვს. გეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ დიდი რაოდენობის განტოლებათა სისტემაა. მაგრამ არსებობს ე. წ. ბრაუერის მეთოდი (ეს მეთოდი მრავალნაწილაკობრივი სისტემის მათემატიკური ამოცანის გასამარტივებლად გამოიყენება), რომელიც ამ ამოცანას მკვეთრად ამარტივებს. მიღებული შედეგები საკმაო სიზუსტით ემთხვევა ისტორიულად ცნობილ ადამიანთა იმ მინიმალურ რიცხვს, რომლებმაც დიდი სოციალური ცვლილებების სტიმულირება შეძლეს.

ჩვენი აზრით, საქართველოში, არსებულ სივრცესა და დროში, კრიტიკული რიცხვი შემეცნებად-აინტერესებულ 300 ადამიანს შეადგენს. ალბათობა იმისა, რომ ამ 300 ადამიანში აღმოჩნდება 12 ტაპის (მენტალურად, ასტრალურად და ფიზიკურად ტრანსცენდენტული, ენტელექტიური, პასიონარი და გულგრილი) ადამიანი საკმაოდ მაღალია. და თუ ასეთი თვისებები ადამიანებში მკვეთრად არაა გამოხატული, სისტემა თვითორგანიზაციით გაააქტიურებს, აამაღლებს და გამოამჟღავნებს აღნიშნულ თვისებებს. ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ არავინ უწყის კონკრეტულ ადამიანში რა უდიადესი პოტენციალია ჩადებული ღვთის მიერ. ამ თვისებების გამოვლენა, მიზნით გაერთიანებულ სისტემაშია შესაძლებელი.

სოციუმის ეს კრიტიკული რიცხვი, ნათლად გამოსახული მიზნის შემთხვევაში, ისეთი სისტემის, საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნის ინტელექტუალურ პოტენციალს ფლობს, რომელშიც ლე-შატელიეს პრინციპი იწყებს ქმედებას. ამგვარად შექმნილ სისტემას, თუ ის ბუნებრივ კანონზომიერებასთან შეთავსებადია, უნარი აქვს უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიოს მასზე ზემოქმედებას და შექმნილი საზოგადოება, სახელმწიფო შეინარჩუნოს და განავითაროს.

ცხადია, ჩვენთვის მიზნის ნათლად ჩამოყალიბება და სისტემის, საზოგადოების საყრდენი, ზნეობრივი საფუძველი უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ცხადია, მასში დეფექტთა კონცენტრაცია მიზნობრივად უნდა იქნას დაყვანილი.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩანასახური მექანიზმით კრისტალის ზრდის პროცესში დეფექტთა მართვა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. განვიხილოთ, რა როლს ასრულებს ბუნებაში დეფექტი და შესაძლებელია თუ არა მისი მართვა, მონოლითის ჩამოსაყალიბებლად?

როგორც აღვნიშნეთ, ბუნებამ კრისტალი იმიტომ შექმნა, რომ ეს მდგომარეობა, მოცემულ პირობებში მისთვის ყველაზე კომფორტულია; თუ ბუნების ლოგიკას მივყევით, იგი, მთელი არსით, ამ მდგომარეობის შენარჩუნებას შეეცდება, ანუ, თუ ის კრისტალია, შეეცდება კრისტალად დარჩეს. ნუ დავივიწყებთ, რომ კრისტალი, ეს მონოლითური სისტემა, ქაოსის პირობებში, ანუ უაზრო ძალადობის პირობებში იქმნება და ის, ამ გარემოსაგან სასტიკ ზეგავლენას განიცდის, მას ხომ ქაოსურად მოძრავი ნაწილაკები შეუჩერებელი ეჯახებიან.

წარმოვიდგინოთ დედამიწის ქერქის სიღრმეში, ლავაში მიმდინარე პროცესებისას წარმოქმნილი მონოლითი და ამ დროს კრისტალზე მოქმედი ენერგია. ცხადია, მონოლითში ამ ენერგიის თანაბრად გადანაწილება რომ მომხდარიყო, ანუ ყველა შემადგენელი ნაწილაკი თანაბრად აღგზნებულიყო, მონოლითი მდგრად სტრუქტურას ვერ შეინარჩუნებდა და უბრალოდ, დაიშლებოდა.

გავიხსენოთ, ბუნების უდიდესი, ენერგიის მინიმუმის კანონისა და ლე შატელიეს პრინციპების არსი: თუ სისტემაზე, რაღაც სტრუქტურაზე, გარე ზემოქმედება ხდება, მაშინ სისტემა (ჩვენს შემთხვევაში მონოლითი) ამ ზემოქმედებას მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით ეწინააღმდეგება. რა საშუალებები გააჩნია მონოლითს ამ პრინციპის შესასრულებლად?

არსის შესანარჩუნებლად კრისტალი უნიკალურ, გონებაამახვილურ ხერხს მიმართავს. იმისთვის, რომ ის მთლიანად არ დაიშალოს, სისტემა ახერხებს ყველა ატომის აღგზნების ნაცვლად, მხოლოდ ზოგიერთი ალაგზნოს. მას ურჩევნია ალაგზნებულმა ატომმა მისთვის განკუთვნილი ადგილი დატოვოს და გაეწიროს იქ, სადაც მისი ადგილი არ არის, ანუ მცირე დეფექტები შექმნას, ვიდრე კრისტალი მთლიანად დაიშალოს. ამრიგად, ბუნება არსის შესანარჩუნებლად მცირე დათმობაზე მიდის.

არსის შესანარჩუნებლად საზოგადოებას ან სახელმწიფოს მრავალ დათმობაზე უხდება წასვლა; ალბათ, ამიტომ ითმენს ცივილიზებული საზოგადოება ყოველივე იმას, რაც უმრავლესობისთვის მიუღებელია: მაგ., „ბანკებს“, „როკერებს“, უზრდელებს, გულგრილებს და ა.შ.

შესაბამისად, სოციალური მონოლითის შექმნისას გარკვეული რაოდენობის დეფექტების არსებობა დასაშვებია, რადგან ეს ბუნების კანონს არ ეწინააღმდეგება. მთავარია დეფექტთა რაოდენობამ დასაშვებ მაქსიმუმს არ გადააჭარბოს.

ამ ხედვის კუთხით, ბუნება უფლებას გვიტოვებს დეფექტთა წარმოქმნა საზოგადოებრივი მონოლითის არსებობის თანმდევ მოვლენად განვიხილოთ.

იმ შემთხვევაში, როდესაც დეფექტთა რაოდენობა დასაშვებ ზღვარს აჭარბებს, იშლება, როგორც კრისტალური მონოლითი, ასევე სახელმწიფო თუ საზოგადოება. აქედან გამომდინარე, როგორც კრისტალი, ასევე საზოგადოება ცდილობს მონოლითის დაშლას დეფექტთა რაოდენობის კონტროლისა და მართვის გზით შეეწინააღმდეგოს.

ამჟამად, საქართველოში საზოგადოების ნაწილი უკიდურესად აღზნებულ მდგომარეობაშია, უმრავლესობას კი საღათს ღრმა ძილით სძინავს, ანუ ერთნიცა და მეორენიც იმ თავისუფალი ენერჯის უმცირესი ქმედების პრინციპის არეალიდან გადიან, სადაც შესაძლებელია დეფექტური ფუნქციის ჩანასახური გზით წარმოქმნა. ეს ნათლად მჟღავნდება ჩვენში უსაზღვროდ მომრავლებული ელიტარულ-კრიმინალური ფუნქციის, ბანდების არსებობით. განუსაზღვრელია ის შემოფოტება, რასაც ჩვენ მათი ზემოქმედებით განვიცდით. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ასევე უდიდესია ზოგიერთი გარე, ჩვენდამი აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოების ზეწოლა და შეუნიღბავი აგრესია.

ამრიგად, ცხადია, რომ დღეს საქართველოს იზოლირებულ სისტემად განხილვა, სამწუხაროდ, აბსოლუტურად გამორიცხულია.

შესაბამისად, ჩვენს პირობებში საზოგადოების მონოლითის ჩანასახური მექანიზმით წარმოქმნა შეუძლებელია; და თუ ვინმე ამ გზით რამის სასიკეთოდ შეცვლას ცდილობს, ალბათ ავიწყდება, რომ უსტრუქტუროდ, უპრინციპოდ, სუბიექტური სურვილით გაერთიანებული წარმონაქმნების ჩანასახად განხილვა, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, შეუწყნარებელი შეცდომაა.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩანასახური მოდელით მონოლითური სახელმწიფოს შექმნა-განვითარება, განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. საწყისი მომენტი, როდესაც ჩანასახი ფორმირდება, ანუ სანამ კრიტიკულ ზომას მიაღწევს, მკაცრად განსაზღვრულ კომფორტულ პირობებს საჭიროებს, გარეშე ძალების ზემოქმედება მინიმუმამდე უნდა დავიდე. კრიტიკული რიცხვის გადაჭარბების შემდეგ კი პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს და მონოლითის მშენებლობა თავისთავად, თვითრეგულაციით ვითარდება. საწყის ეტაპზე გარემო პირობების მცირე ცვლილებაც კი (გარე აგრესია, შიდა ამლილობა, ეკონომიკური დონის დაქვეითება) ჩანასახის ჩამოყალიბება-განვითარების პერიოდს მკვეთრად ზრდის.

კაცობრიობის ისტორიიდანაც ნათლად ჩანს, რომ აგრესიული გარემოს არსებობა მდგრადი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხელს უშლის და შესაძლოა ეს პროცესი, რამდენიმე საუკუნის განმავლობაშიც კი, უშედეგოდ გაგრძელდეს; და ხშირად უგუნური პატრიოტების მიუღწეველ ოცნებად გარდაიქმნება.

თავისთავად ცხადია, ეს ჩვენში გულისტკივილს იწვევს, რადგან ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა იზოლირებული სისტემის შექმნისა და ჩვენს საზოგადოებაში არსებული დეფექტების ზღვარს გადასული რაოდენობის შემცირების იმედს არ იძლევა.

აქედან გამომდინარე, ჩანასახური მოდელით მდგრადი სახელმწიფოს მატრიცის ჩამოყალიბება საქართველოსათვის პრაქტიკულად გამოუსადეგარია.

და სწორედ ეს მდგომარეობა გვაფიქრებს!

აქ ჩნდება დამთრგუნველი აზრი, რომ განწირულები ვართ და ვერასდროს შევქმნით ისეთ ჩანასახს, მატრიცას, რაც სახელმწიფოს საფუძვლის – მონოლითის წარმოსაქმნელადაა საჭირო.

არა.

ბუნება, მისი კანონზომიერება, უსასრულო შესაძლებლობების არეალია. მთავარია ადამიანის გონება ამ უდიდესი საგანძურის მცირედს მაინც შეწვდეს. ჩვენ მიერ განხილული საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნისა და ჩამოყალიბების ჩანასახური გააზრება ეხებოდა სახელმწიფოთა ე.წ. წონასწორულ პირობებში წარმოქმნას. ბუნებას ასევე პროცესების არაწონასწორული განვითარების გზებიც ახასიათებს. სწორედ ამ უკანასკნელით არის ბუნება ძალიან საინტერესო.

განვიხილოთ ყველას გააზრებისათვის მისაწვდომი ბუნების ისეთი წონასწორული მოვლენა, როგორცაა ნიავის წარმოშობა. თუ სივრცის ერთ ნაწილში ტემპერატურა მაღალია და იმავდროულად მის მიმდებარე სივრცის მეორე ნაწილში ტემპერატურა იკლებს, მაშინ ადგილი აქვს ჰაერის წნევით სხვაობას და ცხა-

დია, ჰაერის მასა მაღალი წნევის სივრციდან იწყებს მისთვის კომფორტულ, დაბალი წნევის სივრცისაკენ გადაადგილებას. ცხადია, თუ ტემპერატურის ეს განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ ნიადაგის ერთ ნაწილი, თავისი შემადგენლობიდან გამოდინარე, მზის ენერგიით უფრო თბება, ვიდრე მეორე ნაწილი, რომელიც, ეთქვით უფრო ნესტიანია, მაშინ ტემპერატურათა სხვაობა ნელა მყარდება და ჰაერის ნაკადის გადაადგილება წყნარად მიმდინარეობს. შესაბამისად, ადგილი აქვს ნიაგის წარმოშობას. ამ პროცესს გარკვეული ზედვის კუთხიდან შესაძლოა თითქმის წონასწორული პროცესი ვუწოდოთ. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზით სივრცის ერთ ნაწილში ადგილი აქვს ტემპერატურის მკვეთრ დაცემას, მაშინ ჰაერის მასები იწყებენ სწრაფ გადაადგილებას და ამ შემთხვევაში ქარიშხალს ვიღებთ, ასეთ პროცესს არაწონასწორული ეწოდება.

მართლაც, ჩვენ მიერ განხილული ეგვიპტისა და რომის სახელმწიფოთა წარმოქმნა წონასწორულ პირობებში ხანგრძლივად მიმდინარეობდა. ასევე კრისტალთა წარმოქმნის (მაგ., ე.წ. ეპიტაქსიური მეთოდი) ჩვენ მიერ განხილული ჩანასახობრივი პროცესი რეალურად უკიდურესად კომფორტულ, წყნარ პირობებში მიმდინარეობს, სადაც უმცირესი ვიბრაციებიც კი დაუშვებელია; ტემპერატურა ყოველ ორ საათში მეთუდი გრადუსით იცვლება; ეს პროცესი იმდენად მდორედ მიმდინარეობს, რომ ხანდახან რამდენიმე მილიგრამი კრისტალის მისაღებად საჭიროა ერთკვირიანი უწყვეტი პროცესი, ანუ დაახლოებით 170 საათი და საკმაოდ მაღალი ტემპერატურა. სწორედ ასეთ პროცესს ვუწოდოთ თითქმის წონასწორული.

თუმცა, კრისტალის, მონოლითის შექმნა შესაძლებელია არაწონასწორულ პირობებშიც. 90-იან წლებში, ჩვენ მიერ აღმოჩენილ იქნა ბუნების კანონი, რომელიც დეფექტთა მართვისა და მონოლითის უჩანასახო მექანიზმით, უმოკლეს დროში წარმოქმნის საშუალებას იძლევა (პატენტი №GE P 2000 2215 B). ბუნების ამ კანონის არსებობა ჩვენ ჯერ თეორიულად გავიზარეთ და შემდეგ ექსპერიმენტით დავადასტურეთ.

ამ თეორიის ძირითადი არსი შემდეგშია: ჩვენ ბაზური კრისტალის გარშემო შევქმენით ისეთი სპეციფიკური გარემო, რომელიც არსებული დეფექტური, არასრულყოფილი, არამონოლითური კრისტალიდან ამოარჩევს აქტიურ, ჩვენთვის სასურველ ატომებს. მათგან დეფექტური კრისტალის ზედაპირზე იქმნება შედარებით მაღალი წესრიგის მქონე ერთი კრიტიკული მონოლითური, არა-ჩანასახური ფენა, რომელიც ბაზური კრისტალის დეფექტებს აღარ იმეორებს. სწორედ ეს ფენა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს არსებულ დეფექტიან ბაზურ კრისტალსა და უკვე მასზე მიღებულ ახალ, დეფექტების უმცირესი რაოდენობის მქონე თითქმის იდეალურ კრისტალს შორის. **სწორედ ამ გარდამავალ ფენას ეწოდება მატრიცული ფენა, რადგან მასზე, როგორც მატრიცაზე ახალი, მისი წესრიგის შესაბამისი კრისტალური მონოლითი იზრდება. აქედან, ჩვენი სოციალური თეორიის სახელწოდება.**

ამრიგად, შესაძლებელია არაწონასწორულ პირობებში უდიდესი სიმტკიცის, ზესუფთა, მაღალი ხარისხისა და უნიკალური თვისებების მქონე მტკიცე მონოლითის მიღება.

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ფასდაუდებელია შემდეგი გარემოება. ასეთი მონოლითის შექმნას აღარ სჭირდება კომფორტული პირობები, მაღალი ტემპერატურა. მაგალითად, თუ წონასწორულ პირობებში კრისტალის მისაღებად საჭიროა 2000 გრადუსამდე ტემპერატურა და 170 საათი, ჩვენი მეთოდით მონოლითის მისაღებად საკმარისია 250 გრადუსი და 15 წუთი. აქ ვიბრაცია, შემფოთება, სისტემაზე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენს.

ამრიგად, ბუნებაში არსებობს, როგორც წონასწორულ (ჩანასახი), ასევე არაწონასწორულ (უჩანასახო) პირობებში მონოლითის წარმოქმნის შესაძლებლობა.

სწორედ კრისტალთა შექმნის ეს არაწონასწორული, მატრიცული მოდელი დაედო საფუძვლად ახალი სახელმწიფოს შექმნისა და დამკვიდრების ჩვენეულ გააზრებას.

რა თქმა უნდა, ამ მოდელში ვითვალისწინებთ, რომ ადამიანები ატომები არ არიან.

არავის ეგონოს, რომ ჩვენ ადამიანებს, თევზებს, ატომებსა და ჭიანჭველებს ვაიგივებთ. არა. ჩვენ ვეძებთ იმ ბუნებრივ, ზოგად კანონზომიერებას, რომელსაც ნაწილაკობრივი სის-

ტემები – ატომთა წყობა, წეროების გუნდი, ვარსკვლავები, გალაქტიკები და, რა თქმა უნდა, ადამიანთა საზოგადოებაც ემორჩილება.

მართლაც, ადამიანი კვანტური ნაწილაკი – ატომი არ არის და, შესაბამისად, საზოგადოება გაცილებით მაღალი ხარისხის უწესრიგობით ხასიათდება, ვიდრე ატომთა უწესრიგობაა.

ამიტომ, ადამიანთა უწესრიგო საზოგადოებიდან წესრიგში გადასვლა, გაცილებით მეტ სირთულეებს მოიცავს, ვიდრე კრისტალის შემთხვევაში იყო.

არაწონასწორულ პირობებში ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების კანონზომიერების დადგენას უფრო ღრმა გააზრება სჭირდება, ვიდრე წონასწორული პროცესისას.

წონასწორული პროცესისას საზოგადოების რეგრესი მიმდინარეობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მდორედ, რამდენიმე თაობის განმავლობაში, ისე, რომ საზოგადოების წევრთა უმრავლესობა თავდაპირველად ვერც კი ამჩნევს დაქვეითებას. შემდეგი თაობა იბადება და იზრდება დაქვეითებული პოტენციალის საზოგადოებაში და მას ეს ჩვეულებრივად, ნორმალური ცხოვრების წესად ეჩვენება. მართლაც, რა მოხდა, თუ ხელისუფალი კორუმპირებულია, თუ არავინ იკლავს თავს განათლების, წარმოების განვითარებაზე. ეს ხომ სულ ასე იყო. აი, მეც ოდესმე მივალ ხელისუფლებაში და იგივეს გავაკეთებ. ეს ხომ ცხოვრების ჩვეული წესია. ყალიბდება ამ წესის შესაბამისი ფასეულობები და ვერავინ ხვდება, რომ სისტემა ირღვევა, სისტემას ბზარი გაუჩნდა. ყველა საღათს ძილშია, გარდა ბუნების კანონზომიერებისა, გარდა ლე შატელიეს პრინციპისა, რომლის თანახმად, თუ სისტემას ბზარი გაუჩნდა, მაშინ მასში აღარ სტიმულირდება ის ძალა, რომელიც გარე ზემოქმედებას წინააღმდეგობას გაუწევს; და მერე გვიკვირს, ჩვენს ისტორიაში ცნობილი ჯალალ ედინის, საჭურისი აღა-მაჰმად ხანის „ძლიერება“, რაც ჩვენი ქვეყნის აზრებაში გამოიხატა. ჩვენი თავად-აზნაურების რომანოვის ერთგულებაზე დაფიცება, ტერიტორიების დაკარგვა, მეცნიერებისა და ხელოვნების განადგურება.

ჩვენ კი ჯიუტად, გულგრილად გვერდს ვუვლით ამ „იდიოტურ“ უმცირესი ქმედების, დამატებითობისა თუ ლე შატელიეს პრინციპების საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნისათვის გამოყენებას და არც ვიაზრებთ, რომ ჩვენი სამშობლოს ყველა მტერს ჩვენივე გულგრილობა, ჩვენი სიმტკიცის ბზარი აძლიერებს.

როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, სოციალური მონოლითის შექმნის ძირითადი ბარიერია როგორც გარე ძალების აგრესიული ზემოქმედება, ასევე, ჩვენს საზოგადოებაში არსებული დეფექტის – ინდიფერენტიზმი, გულგრილობა – სიჭარბე (სისტემის ბზარი).

გამოდის, რომ ისეთი მაღალი უწესრიგობის მქონე სოციალურ უმცირესობაში, როგორც ჩვენია, ჰარმონიის, წესრიგის და განვითარებისათვის აუცილებელია ის მატრიცა, ადამიანთა ის კრიტიკული რიცხვი, რომელთა მიზნით ერთობაც ახალი, ზნეობრივი, მონოლითური საზოგადოების ასაშენებლად საჭირო ჰარმონიას ქმნის.

როგორც აღვნიშნეთ, მატრიცის ფენის წარმოქმნას დიდი ენერგია სჭირდება, მაგრამ თუ ეს აღსრულდება, შემდეგ პროცესი თვითრეგულაციით და თვითგანვითარებით მიმდინარეობს. როდესაც ჩვენ ვინილავთ სისტემას, მაგალითად, ადამიანთა ტიპებს – ტრანსცენდენტული, ენტელექტური, პასიონარი, ინდიფერენტული და მათგან შექმნილ კრიტიკულ რიცხვს – $N_{Kr} + 1$ ანუ $12+1$, ცხადია (+1) – ში იგულისხმება უდიდესი, აბსოლუტური გონის ის მცირედი მაინც, რისი შექმნებაც ადამიანს ხელეწიფება.

თავისთავად ჩნდება კითხვა: ამ კრიტიკულ რიცხვში ტრანსცენდენტული ტიპის ადამიანს ხომ არ უკავია დომინირებადი მდგომარეობა? – მართლაც, როგორც აღვნიშნეთ, ტრანსცენდენტულობა

თანდაყოლილი გონისა და ემპირიული გონის კვაზიაპოსტერიორულში გადასვლაა. ეს, მართლაც, ღვთის მადლია და ეს ყველა შემეცნებადანიტერესებულ პიროვნებას ხელეწიფება.

“ჩემში მხოლოდ ერთი პროცენტია ნიჭი, დანარჩენი კი შრომისმოყვარეობაა” – ალბერტ აინშტაინი. დიახ, ტრანსცენდენტულობა დიდ შრომისმოყვარეობას მოითხოვს.

ცხადია, ტრანსცენდენტულობა იმპულსს, საწყისს, საფუძველს, იდეას ქმნის. ამ იდეის გათავისებებას, დახვეწას მიზანდასახული, ენტელექტური ადამიანი სჭირდება. იდეის აღსრულებაში დიდი როლი ენიჭება პასიონარ ადამიანს. (გავისხენოთ – მთავარია არა ობიექტი, არამედ ურთიერთობა) ნურც ის შეგვაძფოთებს, თუ ტრანსცენდენტული პიროვნება ზომაზე მეტ სიმკაცრეს იჩენს.

ფილიპე II-მ, ალექსანდრე მაკედონელის მამამ, შვილის აღსაზრდელად არისტოტელე მოიწვია. როდესაც მან შეამჩნია, რომ არისტოტელე პატარა ალექსანდრეს, გააკეცის მიზნით, ცივ მდინარეში ცურვას აიძულებდა (რაც ცხადია, ბავშვის ისტერიკას იწვევდა), განრისხებულმა მამამ არისტოტელეს უთხრა: „შენ ჩემი შვილი არ გიყვარს!“ პასუხი, არისტოტელეს მხრიდან, ტრანსცენდენტულის შესაფერი იყო:

„მე ისე ძლიერ მიყვარს შენი შვილი, რომ აღარ მეცოდება“.

ისიც ცხადია, რომ თუ ტრანსცენდენტულობა გაზავებული არ იქნება ენტელექტურობითა და პასიონარულობით, ღვთის ეს საჩუქარი საზოგადოებას ისეთივე სარგებელს მოუტანს, როგორსაც ტელესკოპი – გოჭებს.

ამ უყარათობის თავიდან აცილების საშუალებებს მოგვიანებით გავიაზრებთ.

როგორც აღვნიშნეთ, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ამ ჯგუფთა კომბინაცია.

აიზეკ ნიუტონი – ტრანსცენდენტული ადამიანის თვალსაჩინო მაგალითი. მისი უზარმაზარი შემოქმედებითი პოტენციალი ყველასთვის ნათელია, მაგრამ მას მხოლოდ ორი რამ აინტერესებდა: ფიზიკა-მათემატიკა და აპოკალიფსი. მთელი თავისი სიცოცხლე ამ ორ პრობლემას შეაღია. ცოლი არ მოუყვანია, სიმდიდრე არ დაუგროვებია და თუ თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, იმაზე ფიქრობდა, რა მეთოდებით გაენადგურებინა კათოლიკები (თვითონ პროტესტანტი იყო).

მეფე კარლოს II-მ მას პერობა უბოძა და ის პარლამენტის სხდომებს კეთილსინდისიერად ესწრებოდა. პარლამენტში მთელი თავისი „პოლიტიკური მოღვაწეობისას“ მხოლოდ ერთხელ გააქტიურდა და ორი სიტყვა თქვა: „დახურეთ ფანჯარა“ (ორპირმა ქარმა შეაშფოთა). ამრიგად, ძნელია სახელმწიფოს მართვა მხოლოდ ტრანსცენდენტულობით დაჯილდოვებულ ადამიანებს ანდო.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ჩარლი ჩაპლინის პრემიერ-მინისტრობა ან პრეზიდენტობა, თუმცა ეკრანზე, ცივილიზებული საზოგადოებისთვის სამუდამოდ დიდ დიქტატორად დარჩება.

ასევე ძნელია საკუთარი ბედის მართვა მხოლოდ პასიონარ ადამიანებს ანდო – რომეოს მხოლოდ ჯულიეტა უყვარს, სხვა არაფერი აინტერესებს. ეს გასაკებია. დასაფიქრებელია გულგრილთა როლი ადამიანთა საზოგადოების, სისტემის ჩამოყალიბებაში.

როგორც აღვნიშნეთ, არაორგანულ სისტემაში – კრისტალში – დეფექტის არსებობა აუცილებელია, რადგან სისტემაზე შემოქმედებისას ის თავის თავზე იღებს შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს, თვითონ „დეფორმაციას“ განიცდის და ამით მთლიან სისტემას გადაარჩენს.

საზოგადოებაში დეფექტს, გულგრილობას, როგორც ცოდვას, ბოროტებას, ცდუნებას ვერ ავცდებით. ის ბუნების კანონზომიერებაში ეწერება. გავისხენოთ: „შეუძლებელია, რომ არ მოვიდეს ცდუნებანი, მაგრამ ვაი მას, ვისი მეშვეობითაც მოვა.“ (ლუკა 17, 1).

დეფექტთა არსებობა, დაძაბულობა წინააღმდეგობას ბადებს, რაც ასევე კანონზომიერია და შესაბამსად, განვითარებისათვის აუცილებელიც.

შიდა თუ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში გარკვეული უარყოფითი განწყობა, დაძაბულობა ჩნდება. ამ დაძაბულობას საკუთარ თავზე იღებს საზოგადოებაში არსებული დეფექტები. ამრიგად, საზოგადოებას უარყოფითი დაძაბულობა, შეშფოთება უმცირდება და სისტემა მთლიანობას ინარჩუნებს.

აქედან დასკვნა – ბუნებაში არაფერია უსარგებლო, თვით უსარგებლოც კი.

დიალექტიკა – ბუნების, საზოგადოების და აზროვნების ზოგადი კანონების განვითარების მეცნიერება, დამყარებულია ურთიერთსაწინააღმდეგოს (სიკეთე, ბოროტება) ერთობისა და ბრძოლის საფუძველზე.

გავიხსენოთ, ურთიერთსაწინააღმდეგოს ერთობისა და დაპირისპირების თემას უდიდესი ადგილი უჭირავს ლაო ძის მოძღვრებაში; როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დაო ბადებს ერთს, ერთი შობს ორს, ორი კი – მესამეს, მესამე – ყველაფერს.“

„ერთში“ იგულისხმება კოსმოგონიური ქაოსი; „ორში“ – ბნელისა და ნათელის განცალკევება. „მესამეში“ – ბნელის (გულგრილობის) და ნათელის (სიკეთის) ჰარმონია. ბნელისა და ნათელის ჰარმონიით „იბადება ყველაფერი არსებული“.

ამგვარად, ზღვარზე, ნათელი საწყისი ბნელში გადადის, ბნელი – სინათლეში.

„როცა ცისქვეშეთში ყველა გაიგებს, რომ ლამაზი ლამაზია, მაშინ ჩნდება უმსგავსო, მახინჯი. როცა ყველა გაიგებს რომ სიკეთე სიკეთეა, ჩნდება ბოროტება. – ამიტომ ყოფიერება და არაყოფიერება ბადებენ ერთმანეთს, ძნელი და ადვილი ქმნიან ერთმანეთს . . . წინა და შემდგომი ერთმანეთს მიჰყვებიან“.

აქ მოცემულია შეხედულება ურთიერთწინააღმდეგობებზე, რომლებიც „ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძვიან“ და „ურთიერთობით ქმნიან ერთმანეთს“.

„კეთილი ადამიანი მასწავლებელია არაკეთილის. არაკეთილი ადამიანი კეთილის ჯილდოა. თუ არაკეთილი არ აფასებს კეთილს და კეთილს არ უყვარს არაკეთილი, ორივე ცდება“. ანუ არაკეთილი იცავს კეთილს შეცდომისაგან.

ო! უბედურებაჲ შენ საფუძველი ხარ ბედნიერების. ბედნიერებაში იმალება უბედურება. ის, რაც არ ეთანადება დაოს, დროზე ადრე იღუპება.

ამ მხრივ საყურადღებოა ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ვილჰელმ ლაიბნიცის მსჯელობა გულგრილობაზე, ანუ ბოროტებაზე. მისი აზრით: „ღმერთისგან შექმნილი სამყარო საუკეთესოა ყველა შესაძლო სამყაროთაგან, რადგან აქ ღვთაებრივი ჰარმონია მეფობს.“

„ბოროტი განზრახვა ახასიათებს და შეესაბამება არა ღმერთს, არამედ არასრულყოფილ და შეზღუდულ ქმნილებებს, რომლებიც თავისი ქმედებებით ბოროტებას ამკვიდრებენ. ასეთი უწესრიგობა, არასრულყოფილება, შეზღუდულობა, მეორე მხრივ მთლიანის სილამაზეს საოცარი სახით ააშკარავებს, ისევე, როგორც რაღაც, გააზრებულად დაშვებული დისონანსი ჰარმონიას უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს“.

ბოროტება ფონია, რომელიც სიკეთეს მთელი სიმკვეთრით წარმოაჩენს.

ღმერთს არ სურს მორალური და ფიზიკური ბოროტება. ფიზიკური ტკივილი, „სასჯელი“, გაფრთხილებაა უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. ბოროტებას ხშირად სიკეთის ამაღლებულ შეგრძნებასთან მივყავართ.

ცხადია, ეს არ ნიშნავს ბოროტების, გულგრილობის წახალისებას. ყველა მოაზროვნე ადამიანი დაეთანხმება ლაიბნიცს – „ნუ ჩაიდნებ ბოროტებას, რათა მიაღწიოთ სიკეთეს“.

როგორც ჩანს, დევექტი – გულგრილობა აუცილებელი მხარეა მიწიერი სიცოცხლისათვის. მაგრამ აქ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ლაო ძის განმარტებაში სიტყვა „ჰარმონიას“, ანუ პროპორციას ბნელსა და ნათელს შორის, გულგრილობასა და სიკეთეს შორის.

ჩვენი აზრით, სწორედ ქრისტეს მიერ შერჩეულ 12 მოწაფეში ერთის, მენტალურად გულგრილის არსებობა, ანუ სისტემაში ერთი მეთორმეტედი დევექტი (8,3%), ის პროპორცია, ის ჰარმონიაა, რომელიც თვისობრივად ახალ ცხოვრებას ბადებს. თუ ეს პროპორცია ირღვევა ბოროტების, გულგრილობის სასარგებლოდ, დეგრადაცია, რეგრესი იწყება.

საოცრება ისაა, რომ კრისტალი მის მახასიათებელ ძირითად თვისებებს იმ შემთხვევაში ინარჩუნებს, თუ მასში არსებული დეფექტთა რიცხვი არ აჭარბებს დაახლოებით 8%-ს.

ჩვენი ქვეყნის მმართველობაში გულგრილების დიდი პროცენტის გამო სად მივედით, ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ვიღებთ პარადოქსს – ადამიანთა ტიპებიდან ცალკე აღებული არც ერთი, აღნიშნული თვისების მატარებელი ინდივიდი არ გამოდგება იმ მონოლითის შესაქმნელად და სამართავად, რასაც სრულყოფილი საზოგადოება ეწოდება. აქ ყველა ნორმალური განვითარების ადამიანს მოუვა თავში ამ პრობლემის გადაჭრის ერთი ბანალური გზა. თუ ცალ-ცალკე, თორმეტიდან ერთი არ იძლევა ეფექტს, იქნებ მათმა სინთეზმა ან ერთობამ მოგვცეს შედეგი, თუ დაუფიქრდებით სიტყვა სინთეზს, ეს აზრი სულაც არ მოგეჩვენებათ ბანალურად.

მართლაც, სიტყვა სინთეზი, ქართულად შეერთებას ნიშნავს, ერთობისაგან განსხვავებით. მართლაც, რთული წარმოსადგენია თორმეტის კი არა, თუნდაც ორი ადამიანის შეერთება. ეს რაღაც ფანტასტიკურად ჟღერს ისევე, როგორც ორი განსხვავებული ადამიანისაგან სიამის ტყუპების შექმნა. ასევე დასაფიქრებელია ორი განსხვავებული ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანთა ერთობის წარმოდგენა. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მიჭირს წარმოვიდგინო ზნეობრივად და განათლებით ამდლებული ადამიანის მაგ., ილია მართალია და ქილერი ბერბიჭაშვილის ერთობა. მე შემიძლია კომმარულ სიზმარში რაღაც მიზნის მისაღწევად მათი მცირე დროით გაერთიანება წარმოვიდგინო (გზაზე დაგდებული მორის გადათრევა), მაგრამ მათი ერთობის წარმოდგენა ადამიანთა კეთილდღეობის დამკვიდრებაში, ჩემი ფანტაზიის შესაძლებლობებსაც კი სცილდება.

მონოლითის, ერთობის გააზრება ურთულესი პრობლემაა, რომელიც ადამიანს შეიძლება თავიდან, მართლაც, ბანალურად მოეჩვენოს.

დავფიქრდეთ.

ადამიანი, როგორც ცალკე აღებული სუბიექტი, ინდივიდი, აგრესიული გარემოდან მოქმედ, ქაოსურ ძალებზეა დამოკიდებული. ამ ძალების არსი და რიცხვი უსასრულოა. შეიძლება ეს ვილაციის მხრიდან დაუქსახურებელი შეურაცხყოფა, ირონია, მიწისძვრა, შემთხვევით გასროლილი ტყვია ან ჩვეულებრივი ვირუსი იყოს. ჩვენ შეგვიძლია ეს აგრესიული ძალები, ფსიქოლოგიური თვალთახედვით, რაღაც სისტემაში მოვიყვანოთ ან არსის მიხედვით დავალაგოთ, აღვრიცხოთ, წარმოსახვითი და რეალური თეორიები შევქმნათ, ვიმსჯელოთ; თუმცა, ამ ძალების სრულად შეცნობა და „ლოგიკისადმი“ ან „გამჭრიახობისადმი“ დამორჩილება შეუძლებელია, რადგან მკაცრად კონსტრუირებულ, მკვრივ, აგრესიულ ქაოსში ვართ ჩაჭედნილი. შემთხვევითობა ქაოსის, ალოგიკურობის მახასიათებელია და თუ ამ სივრცეში შემთხვევით ადგილი გავვითავისუფლდა, შეიძლება მიზნისადმი ორიენტირებული სვლაც მოვახერხოთ.

გამოდის, რომ ვილაციის კინოვარსკვლავად ქცევა, საბანკო მაქინაციებით გამდიდრება, პრეზიდენტობა, გათხოვებაც კი შემთხვევითობაა. ამრიგად, ორიენტირებული სვლა ქაოსის შემცირებას, ანუ წესრიგის ოაზისების ზრდას მოითხოვს.

ნუთუ ყველაფერი შემთხვევითობაა! – თუ ეს, მართლაც, ასეა, მაშინ ამ ქაოსის ტრიადაში – „ცა, ადამიანი, მიწა“, ადამიანის „ცენტრალური“ სტატუსი, მის მდგრად მდგომარეობას სულაც არ აფიქსირებს.

„ცა“ და „მიწა“, თითქოს ამ ორ უკიდურესობას შორის ჭეშმარიტება უნდა იყოს.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ორ უკიდურესობას შორის ჭეშმარიტება კი არა, პრობლემაა. ადამიანთა უმრავლესობას „ცა“ არ ესაუბრება, „მიწაზე“ კი მას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. გამოდის, რომ ადამიანი ცენტრალური პრობლემაა.

მართლაც, თუ დავუფიქრდებით, ეს ორი უკიდურესობა ჩვენთვის შეუცნობელ, ჩვენს განმკარგავ ორ უდიადეს ძალის არსებობაზე მიგვანიშნებს.

ადამიანისთვის გაუგებარი ციური და მიწიერი ძალების მფარველობა შეუცნობადია და რაც უნდა ბევრთად არწმუნოთ, რომ მან თავი კომფორტულად უნდა იგრძნოს, ანუ „თავის ადგილზე დაეჭიოს“, მისთვის ეს უიმედო და უძნელესი საქმეა. მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ გარემოს წინააღმდეგობა გაუწიოს, – ცინიზმს – ირონიით, შეურაცხყოფას და ძალადობას კი ხელების და ფეხების ქნევით უპასუხოს და ამით დაკმაყოფილდეს. თუმცა, ბუნდოვნად იმასაც ხვდება, რომ ადამიანურ არსს თანდათან სცილდება. სხვადასხვა ეპოქა მას ქაოსური მდგომარეობიდან გამოსვლის სხვადასხვა ვარიანტებს სთავაზობს და ხშირად ურთიერთგამომრიცხავს.

ეს მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი მხოლოდ ადამიანია და არა პიროვნება.

საშუალო განათლებაც საკმარისია, რათა ადამიანის აღწერა შევძლოთ, მისი ანატომია შევისწავლოთ, გავერკვეთ, თუ რა როლენობის ნახშირბადის, ფოსფორის, რკინის . . . ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ურთულესია გაიაზრო ადამიანი, როგორც პიროვნება, რადგან პიროვნება შეუცნობადი, თავისუფალი სულის, უღრმესი არსის მქონეა. საკუთარი „მე“-ს რეალობას, თვით ადამიანი აბსოლუტურ ფასეულობად აღიარებს. ადამიანი თავისი არსით, შესაძლებლობებით ამოუწურავია და საკუთარი ფაქტობრივი მდგომარეობით არასდროს კმაყოფილდება. პიროვნების პოტენციული ჭეშმარიტების ძიების ჟინში მუდამ ვხვდებით და ეს ზეციური ზემოქმედების შედეგია. ეს შინაგანი, ზეციური ხმა ის იდეალური ძალაა, რომელიც მისი არსის გარდამქმნელ ინსტანციას წარმოადგენს. პიროვნება თავის ჭეშმარიტ მისიას ამ ზეციური ხმის აღქმისას აცნობიერებს.

ეს კი ის საფუძველია, რაზეც ქაოსის ძალა ემსხვერვა;

ქაოსი დაუძლეველია, თუ საზოგადოებას ცასა და მიწას შორის დესპანი, ანუ რეალური სამყაროს კანონზომიერების შეცნობის მსურველი და აღმქმელი არა ჰყავს, ასეთი საზოგადოება დევრადაციისთვისაა განწირული!

ამიტომაც აუცილებელია დესპანის, ანუ „მესამის“, მატრიცისა და მისთვის დამახასიათებელი ერთობის შექმნა.

აქედან იწყება ამაღლება!

პიროვნების არსი ამაღლების მცდელობაშია. ის თვითგადალახვას, თვითგანვითარებას სწორედ ამ ზეციური ძალის გავლენით, ერთობით, ქრისტიანული სიყვარულით აღწევს.

მხოლოდ ასეთ ადამიანს ხელეწიფება შეძლოს შეუძლებელი, განასხვავოს, აირჩიოს, განსაჯოს, შეძლებისდაგვარად გათავისუფლდეს ილუზორული სამყაროსა და მისი „კანონზომიერებისგან“.

მას, როგორც ბუნების ნაწილს, ამ უსაზღვრო ქაოსში წესრიგის, სიყვარულის ახალი თაზისების შექმნა და ამაღლება, გაზრდა შეუძლია.

როგორ შევქმნათ ამ ცოდვილ მიწაზე „მესამე“, მატრიცა, რომელიც ბუნებრივ კანონზომიერების მიმართ ჰარმონიაში მყოფ საზოგადოებას დაამკვიდრებს, რომლის გარეშე განვითარება აბსოლუტურად შეუძლებელია.

ჩვენს გააზრებებიდან გამომდინარე, მივევლით დასკვნამდე, რომ ჩვენს პირობებში ჩანასახური გზით საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა თითქმის შეუძლებელია. რჩება მეორე გზა; ჩვენ მიერ აღწერილი სოციალური ფენის შექმნა, სადაც ადამიანთა გარკვეული კრიტიკული რიცხვი ერთიან-ნასახოვან, მთლიანის მთავარ ქვესისტემას ქმნის. სოციუმში ეს არაა მხოლოდ კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული გარკვეული ჯგუფი, პარტია ან რომელიმე სოციალური ფენა, არც პირადული ვიწრო ინტერესებია მათი შეკრების მიზანი. ეს სისტემა, როგორც ერთი მთლიანი, ყველა განსახილველ პრობლემას ზოგადი თვალთახედვით უდგება. მთავარი ქვესისტემა ყველა კონკრეტულ პრობლემას ზოგადის გააზრებით ჭრის.

მოგეხსენებათ, კლასიკური წყობის პარტიული მცირე „პირამიდები“ თვითგანვითარების მიღწევამდე, გარეგანი ზეწოლის შედეგად ადვილად იშლებიან. დაუკვირდით, მათ შესაძლოა თავიდან, მართლაც, აქვთ რაღაც სისტემის, საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების სურვილი; თუმცა, ჩანასახის შექმნის პროცესში, როდესაც შიდა თუ გარე ზემოქმედებას განიცდიან, ამ ჩანასახში შიგა დაძაბულობა ვითარდება, დეფექტთა დიდი რაოდენობის წარმოქმნა (პირადული, ეკონისტური ინტერესების აღზევება) ხდება და ჩანასახი იშლება, თავდაპირველი ჩანაფიქრის არსი კვამლივით ქრება. იწყება შემგუებლობა გარე და შიგა წინააღმდეგობებთან, რაღაც გამოსავლის, კომპრომისების ძიება. ამას ჩანასახის განადგურებასთან უცილობლად მივყავართ. შედეგად სახეზეა, ჩვენს უახლეს ისტორიაში, ვერც ერთმა „პარტიამ“, ვგუშმა დამკვიდრება ვერ შეძლო. ეს არშემდგარი ჩანასახები ერთმანეთს ანადგურებენ.

შესაბამისად, ჩვენ ვალდებული ვართ მონოლითის შექმნის მეორე გზა, მეთოდი ავირჩიოთ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, არაწონასწორულ პირობებში სწრაფად მიმდინარეობს; ის გაცილებით ნაკლებადაა დამოკიდებული გარეგან ძალებზე და უჩანასახო მექანიზმით ვითარდება; და რაც მთავარია, უმცირეს დროში აღწევს იმ კრიტიკულ მდგომარეობას, რომლის შემდეგ იწყება რეგენერაცია, თვითგანვითარება, თვითორგანიზაცია და მისი დამანგრეველი ძალა არ მოიძებნება. ის უკვე არსით „აღმასია“, ხოლო ფორმით კი „ნახშირბადმერეული, ალესილი ფოლადი, მახვილი“.

ეს ფენა ისეთი ჩანასახია, რომელიც დეფექტური კრისტალის (დეფექტური საზოგადოების) მთელ ზედაპირზე ერთ უთხელეს ფენად იშლება და დეფექტთა მცირე რაოდენობით ხასიათდება. სწორედ ის წარმოადგენს გარდამავალ ფენას უწესრიგო სისტემასა და იმ მოძავლის მოწესრიგებულ საზოგადოებას შორის, რომელიც არსითა და ფორმითაც „აღმასია“ იქნება. ჩვენ ასეთი გარდამავალი ფენის წარმოქმნის მექანიზმი აღვწერეთ კრისტალებისათვის. სამყაროს შემეცნების მოდელიდან გამომდინარე, ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ფენის წარმოქმნის მექანიზმი, როგორც ნაწილაკობრივი სისტემის კანონზომიერება, მოდელად, საზოგადოებრივი მონოლითის შესაქმნელად გამოვიყენოთ, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ ნაწილაკობრივ სისტემათა შორის, ადამიანთა ნაწილაკობრივი სისტემა ყველაზე რთული სისტემაა.

როგორც აღვნიშნეთ, ბუნების კანონზომიერებიდან გამომდინარე, დაქვეითებული, საღათას ძილით გაბრუნებული საზოგადოების გამოფხიზლებაში, აღორძინებაში ებმებიან ისეთი ფაქიზი ასტრალური ველის მქონე ადამიანები, რომელთა მენტალური პოტენციალი შედარებით მაღალია და პასიონარებისაგან განსხვავებით, უნარი შესწევთ თავისი ალგზების პოტენციალი პრობლემის გააზრებაში გადაიტანონ.

მაგალითად, ბიოლოგებს დიდი ხანია აინტერესებდათ, თუ რა მექანიზმით გრძნობენ მწერები, ჭიანჭველები გაზაფხულის დადგომას, ანუ აქტიური ცხოვრების დაწყების დროს. მართლაც, საინტერესო საკითხია. მოგეხსენებათ ჭიანჭველების ბუდე მიწაშია და ზამთრის დადგომის პერიოდში, თბილსისხლიანებისაგან განსხვავებით, როცა მათ აკლდებათ გარედან მიღებული სითბო, ისინი დაქვეითებულ მდგომარეობაში – „საღათას ძილში“ გადადიან. აღმოჩნდა, რომ ჭიანჭველათა საზოგადოებაშიც მოიძებნება რამდენიმე, ამაღლებული ენერჯის მქონე ჭიანჭველა, რომლებიც რიგრიგობით ამოდიან ბუდიდან ზედაპირზე და შემდეგ ისევ უკან, ბუდეში ბრუნდებიან. ეს პროცესი მთელი ზამთრის განმავლობაში მიმდინარეობს. ბოლოს დგება გაზაფხული და ასეთი, უკიდურესად გადაღლილი „მზვერავები“, გარედან სითბოს, ენერჯიას იღებენ და ბუდეში დაბრუნებული იწყებენ უფრო აქტიურ მოძრაობას, თანამოძმეთა შეწუხებას. მათი ენერჯია გადაეცემა „საზოგადოების“ რაღაც ნაწილს, ისინიც იწყებენ ზევით სვლას, ენერჯიის მიღებას და ეს პროცესი გადაეღება ჭიანჭველათა მთელ „საზოგადოებას“. იწყება ახალი სიცოცხლე.

როგორც ხედავთ, უმაღლესი კანონზომიერება ერთნაირად ვრცელდება, როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ ბუნებაზე და ცამდე მართალი იყო სპინოზა, რომელიც გვიჩვენდა – თუ გინდათ სი-

ცოცხლე, დაემორჩილეთ ბუნების კანონზომიერებას, სანამ მისი ნაწილი ხართ. რა თქმა უნდა, ვინც თავს ბუნების ნაწილად არ თვლის ეს მათ არ ეხებათ. მათთვის სპინოზა არავითარ რჩევებს არ იძლევა, მარტივად რომ ვთქვათ, ზრდილობიანად შემოგითვალათ – თავშიც ქვა გიხლიათო.

შესაბამისად, საზოგადოებაში ახალი სიცოცხლის დასაწყებად უდიდეს მნიშვნელობას იძენს ტრანსცენდენტული, თანდაყოლილი განსჯის, ანუ არაცდისეული ცოდნის წვდომის უნარის მქონე ინდივიდი. ისინი უკუნეთ ღამესა და სიცივეში „გაზაფხულსა და მზის ამოსვლას“ პირველნი გრძნობენ. მართლაც, მინერვას ბუ ფრენას ღამე, სიცივეში იწყებს. შემდეგ მათი ენერგია გადაეცემა ენტელექტიური არსის მატარებელ ადამიანებს. მათ, როგორც აღვნიშნეთ, მიზნისაკენ სვლისას ვერავინ შეაჩერებს. პასიონარების გარკვეულ ნაწილს, რომელიც ჭარბ ენერგიას ავანტიურისტული მიზნების მისაღწევად უაზროდ ხარჯავდა, უჩნდება ორიენტირი. ინდიფერენტული ადამიანების უმოქმედო წინააღმდეგობა, მათი ლოზუნგი „მოგცლია თუ ძმა ხარ, არ გეზარება? შენ ამ ქვეყანას ვერ გამოასწორებ“, ისე აღიზიანებს ტრანსცენდენტულ, ენტელექტიურ და პასიონარ ადამიანებს, რომ სინათლისაკენ სვლას გაათაკეცებული ენერგიით იწყებენ. გამოდის, რომ ინდიფერენტულნი დანარჩენი ტიპის ადამიანების მიზნის განხორციელებაში „დოპინგის“ როლს ასრულებენ, ეს კრავს და აძლიერებს სისტემას.

ამ კანონზომიერებას უფრო მკაცრად შევხედოთ.

რთულ პრობლემას მარტივი გადაწყვეტა არ გააჩნია, ანუ თუ ვინმეს ჰგონია, რომ სამართლიანობა მარტივად მისაღწევია, უბრალოდ ცდება. პრობლემის გადაჭრა დაეიწყეთ იმ გააზრებით, რომ ნებისმიერ დევრადირებულ საზოგადოებაში აუცილებლად არსებობენ (შესაძლოა ძალიან მცირე, მაგრამ მაინც) ისეთი ამაღლებული ასტრალური ველის მქონე, მგრძობიარე ადამიანები, რომლებიც უსამართლობას ვერასდროს შეურიგდებიან. აქ, უმთავრესია, რომ ამაღლებული მგრძობელობის მქონე ადამიანებს ეყობ ნებისყოფა საზოგადოების დაქვეითების არსში გასარკვევად და რაც მთავარია, იმ „მესამის“, მატრიცის იდეის გასააზრებლად, რაზეც ჩვენი და ჩვენი მოძავლის ბედია დამოკიდებული.

ჩვენს საზოგადოებას, თითქოს ყველა ის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი გააჩნია, რომლის პირდაპირი მოვალეობა საზოგადოებაში ელემენტარული წესრიგის დამკვიდრებაა. მშვენივრად გაფორმებული და მრავალტირაჟიანი კონსტიტუციაც გვაქვს, ასევე, მისი აღსრულების მექანიზმიც – პოლიცია, შინაგანი ჯარი, უშიშროების სამსახური, სასამართლო ხელისუფლება. . . ე.ი. ყველაფერი გვექონია. დიახ, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს და ადამიანის ღირსების შესაფერისი ცხოვრების გარდა, მართლაც, ყველაფერი გვაქვს და ეს დეფიციტი ყველა ზემოაღნიშნულ სტრუქტურას პაროდიულ სისტემად აქცევს.

მართლაც, გვაქვს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ არ არსებობს ის ფენომენი, რასაც ზნეობა, სიმართლე და მისგან გამომდინარე – სამართალი ეწოდება და არც შეიძლება არსებობდეს.

რადგან არა გვაქვს ის რაღაც მთავარი, თუნდაც საზოგადოების განსწავლული ნაწილის ერთობა, რაც სამართალს ზნეობასთან ჰარმონიაში მოიყვანს და უწესრიგობიდან წესრიგისაკენ სვლის დაწყებას შეგვაძლებინებს.

ჩვენ, ბავშვობიდან დაწყებული დღემდე ვუკიყინებთ, ვასწავნებთ ერთმანეთს, რომ ძალა ერთობაშია. ეს ლოზუნგი ღერბზეც, ლომების გამოსახულების ქვევით ამოგვიტვიფრეს. არ არსებობს ჯგუფი, გაერთიანება, რომლის წევრები ერთმანეთს არ უხსნიდნენ ერთობის აუცილებლობას. სამწუხაროდ, სიღრმისეულად არავის აინტერესებს, რატომ ვერ ვაღწევთ ერთობას.

დიდი ხანია გავარკვიე, მივხვდი, რომ ძალა ერთობაშია და აღარ გეწინააღმდეგებთ, ახლა რჩება უკანასკნელი

– ვინ გამაგებინებს, თვით ერთობა რაშია?

ამ რთული ფენომენის გააზრება ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, რადგან ამ ფენომენის არსის გააზრების გარეშე ყველაფერი აზრს კარგავს.

ამიტომ დაგვეჭირდა ნაშრომში ადამიანთა ისტორიის იმ შრეების წარმოდგენა, რომლის ანალიზი ამ ფენომენის გააზრებაში დაგვეხმარება, ამიტომ დაგვეჭირდა რეალური და ირეალური სამყაროს, ბუნების კანონზომიერებისა და ბუნებრივი და ხელოვნური, ანუ პოზიტიური სამართლის განხილვა. რადგან სამართლი და სახელმწიფო ორგანული ერთობაა, შესაბამისად, ვიღებთ ბუნებრივ და ხელოვნურ სახელმწიფოებს. თავისთავად ცხადია, ამ ლოგიკით მივდივართ თვით ადამიანის ბუნებრივ და ხელოვნურ არსთან, რადგან ადამიანი ის მთავარი საფუძველია, ვისთვისაც შეიქმნა სახელმწიფო.

ამ ურთულეს საკითხში გასარკვევად ისევ ბუნების კანონზომიერებას უნდა მივმართოთ და ვკითხოთ მას, როგორ ახერხებს ბუნება, მაგალითად, შვიდი განსხვავებული – იისფერი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი ფერებისაგან მზის სინათლის შექმნას. აქ არ ხდება ფერთა სინთეზი, რასაც კლასიკური ფიზიკის სახელმძღვანელოებში ხშირად წაიკითხავდით, რადგან ერთი, მაგალითად, ლურჯი სინათლის კონა ისე გადის (განჭოლავს) ყვითელი სინათლის კონაში, რომ იგივე ლურჯ ფერად რჩება. ე.ი. ისინი ერთმანეთთან არ ურთიერთობენ, არ გრძნობენ ერთმანეთს და მათ შეერთებაზე, სინთეზზე საუბარი უაზრობაა. იმავდროულად, ლურჯი ფერი და ყვითელი ფერის ზედდება ადამიანისათვის ქმნის მწვანე ფერს. ადამიანი აღიქვამს მას მწვანედ, როგორც იდეას, რადგან ბუნებაში არ არსებობს ლურჯი, ყვითელი ან მწვანე ფერი. არსებობს სხვადასხვა ენერჯის მქონე ფოტონი (სინათლის ნაწილაკი). ამ ენერჯიათა სხვადასხვაობას აღიქვამს ადამიანი ფერებად. აქ არც ერთობას აქვს აზრი, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ფერის სინათლეები არ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, შვიდი ფერი, როგორც ცნობილია ქმნის მზის სინათლეს. თუ ბუნებაში, ანუ მატერიალურ სამყაროში ფერი არ არსებობს და ის მხოლოდ ადამიანის გონებაში იბადება, მაშინ ის იდეაა.

ეს ერთი მაგალითია იმ უსასრულო საინტერესო ფენომენებიდან, რომლის გააზრება დღეს მხოლოდ კვანტურ აზროვნებას შეუძლია.

ანალოგიით წარმოიდგინეთ, რომ თუ შევძლებთ ბუნების კანონზომიერების გააზრებას, მაშინ იმ ჭრელ საზოგადოებასაც კი, რომელიც ჩვენ გვყავს, უდიდესი წინსვლის გამოწვევა შეუძლია. აი, ამოცანა, რომლის გადაჭრის უფლებას თვით ბუნება გვაძლევს! კვანტური აზროვნების გარეშე, დღეს ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ არა მარტო ე.წ. ნანოტექნოლოგიების განვითარებაში, არამედ სოციალურ ფილოსოფიაშიც კი, რადგან ორივე, თანამედროვე კვანტური ფიზიკის კანონზომიერებას ემორჩილება.

ასეთი თანამედროვე აზროვნება უკვე გასული XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში არა მარტო ცივილიზაციამ, არამედ ეთიკამ და მისმა ნაწილმა ესთეტიკამაც მოითხოვა. ეს უკვე აღარაა კონკრეტულად ფიზიკის უძლიერესი იარაღი, ის თანამედროვე აზროვნების აუცილებლობა, სიმძლავრის შექმნის ერთადერთი პირობაა, რაზეც ჩვენი და თქვენი ბედნიერებაა დამოკიდებული.

ადამიანთა აზროვნება აღარ ეტევა კლასიკური აზროვნების ჩარჩოში, რადგან ცხოვრებამ ადამიანის სხვა სიმაღლე მოითხოვა. კვანტური აზროვნების ჩამოყალიბება თავდება XX საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო მისი დახვეწა, უსასრულო პროცესია და დღესაც დიდი ძალისხმევით მიმდინარეობს. შესაბამისად, დღეს, კვანტურმა ფიზიკამ, მისმა ორიგინალურმა აზროვნების დონემ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ მისი ლოგიკის გარეშე სოციალური ფილოსოფიის შემდგომი განვითარება შეუძლებელი ხდება.

კვანტური მიდგომით შევეცადოთ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანის – ერთობის, მონოლითის შექმნისა და დამკვიდრების პრობლემის გააზრებას.

ადამიანი, სხვა ადამიანებთან მიმართებაში არსებობს არა მარტო სულიერი, არამედ ბიოლოგიური კავშირებითაც. დედასა და შვილს შორის ოდესღაც ფიზიოლოგიური ერთობა ამ ჯაჭვის უწყვე-

ტობას ამტკიცებს. ამ ფიზიოლოგიური ერთობიდან იწყება ადამიანთა ერთობა, როგორც ფესვიდან იწყება სიცოცხლის სიმბოლო – ხე.

სამყაროს შემეცნების მოდელის თანახმად, მატერიალური სამყარო ბუნებრივად, ჰარმონიულად გადადის იდეალურ სამყაროში და ამ ირეალური სამყაროს პირველი სუბსტანცია არის ასტრალური ველი. ეს სუბსტანცია უსასრულო რაოდენობის რიტმების, ვიბრაციების, რხევების სუპერპოზიცია, ზედდება. ეს რიტმები გამოსხივების სახით ვრცელდება სივრცეში. შესაბამისად, შეუძლებელია რაიმე სისტემის შექმნა, თუ მისი შემადგენელი ნაწილების რიტმების, რხევების სინქრონიზაციას არ ექნება ადგილი.

ცოცხალ ორგანიზმში სინქრონიზაცია უჯრედის დონეზე (გენომის დონეზე) მიმდინარეობს. ეს გამოსხივება სივრცულია. დამოუკიდებელი უჯრედები ქმნიან ანსამბლს და მისთვის დამახასიათებელ რიტმს, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილების რიტმთა ჯამია და ამ რიტმით, ვიბრაციით ზემოქმედებენ, ქმნიან და კავშირს ამყარებენ მთლიანი ორგანიზმის რიტმთან. ამგვარად წარმოქმნილ ერთიან ორგანიზმს, მაგალითად, კონკრეტულ ადამიანს, ცხადია, ახასიათებს უკვე მისთვის დამახასიათებელი რიტმი, სინშირე, გამოსხივება. შესაბამისად, ყოველ ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ სისტემას ახასიათებს გამოსხივება, თავისი სინშირით, ფაზით, პოლარიზაციით. თუ რამდენიმე სისტემის (ადამიანის) გამოსხივება სინშირით, ფაზით ემთხვევა, მაშინ წარმოიქმნება ახალი სისტემა (ადამიანთა ჯგუფი) და მას უკვე ექნება ახალი, საკუთარი რიტმი, სინშირე, გამოსხივება. ანუ, თუ ერთი ადამიანის რიტმის სინშირე ემთხვევა მეორისას, იქმნება საზოგადოებრივი ჯგუფი. თუ ჯგუფთა რიტმები ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ წარმოიქმნება უფრო და უფრო რთული სისტემები – ეთნოსი, ერი. აქ რეზონანსს, კოჰერენტულობას დიდი მნიშვნელობა აქვს. რეზონანსისთვის აუცილებელია ურთიერთკავშირი, რომელიც სინქრონიზაციით მიიღწევა.

ბიოლოგიაში სინქრონიზაციისათვის აუცილებელი პირობა ცალკეულ უჯრედებს, ორგანოებს და მთლიან ორგანიზმს შორის, ადამიანსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის ინფორმაციის გადაცემაა. ინფორმაციაში იგულისხმება ერთი სისტემის მიერ მეორე სისტემის რიტმის აღქმა და, პირიქით.

ე.ი. ადამიანის თითოეული ორგანოს, მთელი ორგანიზმის, სოციალური ორგანიზმების, ოჯახის, ეთნოსის, სახელმწიფოს ფუნქციონირება მიმდინარეობს რიტმთა გამოსხივების ინტერფერენციული ურთიერთდამოკიდებულებით. ეს რაღაცით ჰოლოგრამას ჰგავს, რომელსაც საინტერესო თვისება ახასიათებს – მთლიანი ჰოლოგრამის (ჩვენს შემთხვევაში ერის) ნებისმიერი წერტილიც კი (ჩვენს შემთხვევაში ადამიანი) ინახავს მთელის (ერის) ინფორმაციას. გარკვეულ კლასს (ადამიანები ცხოველები, მცენარეები) აქვს გამოსხივების შესაბამისი ველის სტრუქტურა. სისტემის, ადამიანის, ადამიანთა ჯგუფისათვის დამახასიათებელ რიტმში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყველაზე მძლავრ გამოსხივებას – სიყვარულს, რწმენას. დიახ! სიყვარულს თავისი გამოსხივება აქვს. ამ გამოსხივებით ვგრძნობთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს. ეს გამოსხივება ამოძრავებს სოციუმს, ფორმირდება ახალი სივრცული სტრუქტურები.

როგორც აღვნიშნეთ, ქვესისტემების გამოსხივება ქმნის ზესისტემას, ანუ ადამიანთა ჯგუფი ქმნის ეთნოსს, ეთნოსი – ერს, ერი – სახელმწიფოს.

როგორც ადამიანს, ასევე ეთნოსს, ერს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სივრცული გამოსხივების ველი, რიტმი – ნაციის სული. ეს სული გარედან მოქმედებს ჯერ კიდევ არდაბადებულ ბავშვზე. **ეროვნული რიტმი, გენეტიკურ კოდთან ერთად, ქმნის ემბრიონის პროგრამას.** ე.ი. ბავშვი სრულყოფილად ვერ განვითარდება, თუ ის ჩასახვიდან სოციუმის შესაბამისი გამოსხივების ველში არ იმყოფება. ყოველგვარი ტარზანები, მაუგლები მხოლოდ ლამაზი ზღაპრებია და თუ მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ განუვითარებელ სუბიექტს ვიღებთ, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირეა. საზოგადოებრივი, კონგენიალურთა გამოსხივების გარეშე განვითარების მცდელობა სისულელეა.

დაუკვირდით, რა არის ქართული ენა. ეს არაა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, ეს ჩვენთვის უდიდესი რიტმი, ვიბრაცია, ჰარმონიაა. ამ ჰარმონიით აღვიქვამთ უმაღლესს, ღმერთს. ქართველს ღმერთი ქართულად ელაპარაკება. გერმანელს – გერმანულად. ეს განსხვავებული, ჰარმონიული, რიტმული კავშირი ღმერთთან ერებს და მათ შორის კავშირებს აყალიბებს. რა რიტმითაც შედიხარ კავშირში უმაღლესთან, ისეთი ხარ თავად. ჩვენთვის მხოლოდ ქართული რიტმი იძლევა რეზონანსს, სინქრონიზაციას. ამ რიტმით ხდება ჰორიზონტალური ურთიერთობა მსგავსთა შორის. ამავე რიტმით ხორციელდება ვერტიკალური ურთიერთობა უფრო რთულ და უფრო მარტივ სისტემებთან. მახინჯდება ან სუსტდება ეს რიტმი და წამსვე იწყება სისტემის რღვევა, დისჰარმონია.

საკმარისია ორგანიზმის უჯრედებს შორის სინქრონიზაცია დაირღვეს და იწყება ქაოსი. ქვესისტემები, უჯრედები დამოუკიდებლად, შეუთანხმებლად იწყებენ გამრავლებას და ვიღებთ ორგანიზმის განუკურნებელ დაავადებას. აქ უდიდეს მნიშვნელობას იძენს სისტემის მთავარი რიტმი, ნაციის სული. შეიძლება რომელიმე ქვესისტემა დაილუპოს, მაგრამ თუ სისტემის რიტმი ძლიერია, სისტემა ცოცხლობს, ის შეეცდება აღადგინოს დანაკარგი. მაგალითად, ადამიანის რიტმი არეგულირებს სისხლის შემადგენელი ნაწილების ბალანსს. მცირედი დარღვევა, მაგ., ერთროციტების კონცენტრაციის მცირე გადახრა არაფერია, თუ სისტემის საერთო რიტმი მძლავრია. ალკოჰოლი, სიგარეტი ვილაცას ღუპავს, ვილაცას – არა.

მაგრამ, როცა საქმე გვაქვს ერთდროულად რამდენიმე ქვესისტემის მოშლასთან, სინქრონიზაცია უკვე მკვეთრად ეცემა. ადგილი აქვს დისბალანსს. ჩნდება ის კრიტიკული წერტილი, რომლის იქით ორგანიზმი იღუპება. ბუნებას არ უყვარს დისბალანსი, ის საოცრად რაციონალური სისტემაა.

ბუნება საოცარი მრავალფეროვნებით გვიმუდავნებს თავს, საოცარი სილამაზით და სინატიფით გვიმხელს თავის საიდუმლოს. მის აღქმას შესაბამისი ნატიფი რიტმი, ასტრალური სხეული სჭირდება.

შეგვიძლია კი ამ მშვენიერების მთლიანად, სრულად აღქმა?

როგორია ეს სისტემა, რა კანონზომიერება ახასიათებს ბუნებას, სამყაროს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ზემოთ უკვე ვცადეთ, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ კვლავ მივუბრუნდებით ამ საკითხს და დავაკვირდებით, ჩვენში არსებული რესურსებიდან გამომდინარე, სწორად ვიგებთ, თუ არა მას და თუ არა, რა გვიშლის ხელს?

მხოლოდ აზროვნების მაღალ საფეხურზე მდგარი ადამიანი უსვამს საკუთარ თავს კითხვას იმ საშუალებათა ქმედითობაზე, რომლებითაც ის აღჭურვა ღმერთმა გარემოსთან კონტაქტის დასამყარებლად, ანუ იმ სამყაროს გასააზრებლად, სადაც მან მისთვის საკადრისი ადგილი უნდა მოძებნოს.

რაზეა ჩვენი ცნობიერება დამყარებული? რა თქმა უნდა გრძნობის ორგანოთა მონაცემებზე. ის კი, სამწუხაროდ, არასრულყოფილი მექანიზმია, და შესაბამისად, რეალურ სამყაროსა და ჩვენ მიერ აღქმულ სამყაროს შორის განსხვავება დიდია.

იბადება მეორე კითხვა – არსებობს საშუალება, მტკიცებულება, საბუთი, რომ საერთოდ მივალწევთ რაიმე კავშირს რეალობასთან?

ჩვენი სამყაროს შექმენების მოდელიდან გამომდინარე, ზერეალური სამყარო ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობად წმინდა ენერგიას წარმოადგენს, რომლის უმთავრესი შემადგენელია აბსოლუტური გონი, უმაღლესი კანონზომიერება. ეს ყველა არსებულის პირველწყაროა, ამ სამყაროს გამაერთიანებელი და გამამთლიანებელია, და ბოლოს, ესაა სიცოცხლის საფუძველი. ეს წმინდა ენერგია ყველა სუბსტანციებს და მათ შორის ადამიანის გონს განჭოლავს.

ადამიანს ამ წმინდა ენერგიის საკუთარ არსში აღქმისა და მასთან ჰარმონიული კავშირის დამყარების ღვთისგან თანდაყოლილი უნარი აქვს. ამიტომ, **მართლაც, ნუ ვეძებთ ღვთის სამეფოს ნურც ცაში, ნურც მიწიერ სამოთხეში, ის თითოეული ჩვენგანის არსშია. საკმარისია ადამიანმა ამ უდიდესი ენერგიის, უმაღლესი კანონზომიერების, ჭეშმარიტების ძიება საკუთარი „მე“-ს გარეთ დაიწყოს და ის უკვე ფეხით თელავს იმას, რასაც ეძებს.**

ურთულესია იმ სამყაროს, იმ ჭეშმარიტების გააზრება, რასაც აბსოლუტური გონი განჭოლავს და არეგულირებს. როგორც აღვნიშნეთ, ღვთის მიერ შექმნილი სამყარო მრავალგანზომილებიანი, შესაძლოა უსასრულო განზომილების მქონე უნიკალური ფენომენია, რომელსაც ჩვენთვის მისაწვდომ უბადრუკ, სამგანზომილებიან „სარკეში“ აღვიქვამთ.

ღმერთი უსასრულო შესაძლებლობისა და უსასრულო განზომილების სუბსტანციათა სუბსტანციაა. მის სამებას მე აღვიქვამ მხოლოდ იმიტომ, რომ „ჩაჭვდილი“ ვარ სამგანზომილებიან სამყაროში და ვწუხვარ, რომ ჩემი უბადრუკი აზროვნება მას უსასრულობის ერთიანობად ვერ აღიქვამს. თუმცა, არიან ადამიანები, რომელთაც სამების გააზრებაც კი არ უნდათ, რაც მიწიერი აუცილებელი საფეხურია, რათა ღმერთში აბსოლუტური უსასრულო შესაძლებლობა დაინახონ. ისინი ამას არა თუ ვერ გრძნობენ, არამედ ღმერთს ორის ერთობად, ან საერთოდ ერთი სახით წარმოიდგენენ.

ერთი მხრივ, ჩვენი ცნობიერება ამ სამყაროს რეალურად ვერ აღიქვამს. ჩვენი ცნობიერების სარკეში მხოლოდ მის მცირე ნაწილს, მის ანარეკლს ვხედავთ. სამწუხაროდ, ეს სარკე იდეალური მექანიზმი როდია, ის არასრულად და დამახინჯებულად არეკლავს მას. შესაბამისად, ჩვენს სამყაროზე ილუზიური წარმოდგენა გვექმნება. მეორე მხრივ, ღმერთმა ჩვენ არაცნობიერის სრულყოფილი მექანიზმიც დაგვანათლა. ამ უნიკალურ მექანიზმს რეალური სამყაროს აღქმა შეუძლია. ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა, მაგ., ჰიპოკრატემ უკვე იცოდა, რომ არსებობს „შინაგანი გონი“, ანუ არაცნობიერი. არაცნობიერის მეშვეობით აბსოლუტურ გონთან, უმაღლეს კანონზომიერებასთან მყარდება კავშირი.

როგორც აღვნიშნეთ, ცნობიერისგან არარეალურად, დამახინჯებულად აღქმული კანონზომიერება ქოსად გვეჩვენება და გვიკვირს, რატომ არ არის წესრიგი ამ „სამყაროში“, რატომ არის ბოროტება, უსამართლობა ამ ცოდვილ მიწაზე, რატომ იმარჯვებს უზნეო ზნეობრივზე? და შეშინებულნი, ეჭვის თვალთ ვიყურებით ზევით, ღვთისაკენ და გვავიწყდება, რომ ღმერთი და მისი უმაღლესი კანონზომიერება საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. ვიმეორებთ, ამ კანონზომიერების გარეთ ძიებას, ჩვენმიერვე გამოგონილ არაკანონზომიერებამდე, ქოსამდე მივყავართ.

ღიას, ამ ქოსისგან გვიცავს არაცნობიერი, რადგან ის რეალურად აღიქვამს სამყაროს და მის კანონზომიერებას. ცნობიერი გაცილებით სუსტია, ვიდრე არაცნობიერი, ამიტომ ის გვაწვდის მხოლოდ იმას, რისი „გადამუშავება“, აღქმა შეუძლია ცნობიერს. შესაბამისად, არაცნობიერი ასრულებს აქტიურად დამცველ ფუნქციას და გვაწვდის იმას, რასაც საჭიროდ და ცნობიერისთვის არასაშიშად თვლის, რათა ჩვენი ფსიქიკა ჩვენივე ილუზიებისგან არ განადგურდეს. ამასთან, ზოგიერთისთვის არაცნობიერი უმაღლესი კანონზომიერების შეწვდომის, წმინდა ენერჯის ზიარების უმძლავრეს იარაღად იქცევა, ხოლო ზოგიერთისთვის – უბრალოდ, ციხედ, შეზღუდვის მექანიზმად.

ჩვენი ცნობიერი ამ „ციხის“, შეზღუდული სივრცის, არასრულყოფილ „სარკეში“ არეკლილი ილუზორული სამყაროს დატოვების საშუალებას არ გვაძლევს. უფრო ნათლად წარმოსადგენად, განვიხილოთ მაგალითი: მცირე ზომის აკვარიუმში თევზი მცირე რადიუსზე მოძრაობს. თუ მას გადავიყვანთ დიდ აკვარიუმში, ის, გარკვეული დროის განმავლობაში, მაინც მცირე რადიუსზე ცურვას განაგრძობს. დროა საჭირო, რათა მან სივრცე „იგრძნოს“. ის თავისივე გამოგონილ წარმოსახვით „ციხეშია“ გამომწყვდეული. ასევე ვართ ჩვენც.

როგორ შევიგრძნოთ უსასრულო სამყარო? როგორ გავიღეთ ამ „ციხიდან“? ვიმეორებთ, ჩვენივე ცნობიერი არ იძლევა ჩვენ მიერ გამოგონილი პატარა სამყაროდან გასვლის საშუალებას. ჩვენს მიწიერ არსს სწორედ ეს, ჩვენივე აღქმული მცირე ილუზორული მიკროსამყარო, „სივრცე“ აყალიბებს. ერთმანეთისგან ამით განვსხვავდებით. ღვთიურ სამყაროსაც ამიტომ აღვიქვამთ განსხვავებულად. ჩვენი მცირე სივრცე, გარემო, მშობლები, მეგობრები, სკოლა . . . ზემოქმედებს ცნობიერზე, კონსტრუირებას უკეთებს მას და ქმნის მცირე ილუზორულ სამყაროს. ღიას, უკვე აქედან, დიდი სხვაობაა რეალობასა და ჩვენს სამყაროს შორის. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს ცუდი ან კარგია. ეს აუცილებლად გასავლელი ეტაპია, რათა რეალურ სამყაროს შევწვდეთ. მთავარია, ჩვენ მიერ აღქმული ილუზორული სამყარო რამდენად სიცოცხლისუნარიანი და გამოყენებადია, რამდე-

ნად გვაძლევს საშუალებას უდიადეს ღვთიურ სამყაროს, მის კანონზომიერებას მცირედით მაინც ვეზიაროთ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ღვთიურ სამყაროსთან, აბსოლუტურ გონთან არაცნობიერით ვართ დაკავშირებულნი. არაცნობიერი მის ნაწილს შეადგენს. ცნობიერი კი არაცნობიერიდან იღებს ინფორმაციას და ამ ინფორმაციის არაობიექტურ, არასრულყოფილ დამკვირვებლად და რეცენზენტად გვევლინება. ცხადია სამყაროს, მომხდარი მოვლენის, ფაქტის აღქმას ცნობიერი არაცნობიერთან შედარებით მცირე დაგვიანებით აფიქსირებს. შესაბამისად, ფენომენის ანალიზი დროში იგვიანებს. ცალსახად არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩამორჩენა და სამყაროს არაობიექტურად აღქმა მხოლოდ ნეგატიურია. ზოგჯერ, ის ჩვენში იმ ლამაზ ილუზიას ქმნის, რაც შემოქმედების საფუძველს წარმოადგენს.

„ჩვენ ყველა უფრო უდიდესი მხატვრები ვართ, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია“ (ნიცშე). თუმცა, შესაძლებელია იგივე ჩამორჩენამ უაზრობასთან, შესაბამისად უბედურებასთანაც მიგვიყვანოს. ჩვენი ასტრალური ველი ცნობიერისა და არაცნობიერის ჰარმონიულ კავშირს ამყარებს.

ღვთიური სამყარო ყოველ წამს უდიდეს ინფორმაციულ ნაკადს ასტრალური ველის საშუალებით გვაწვდის. გარე სამყაროს ხუთი ცნობილი გრძნობის ორგანოს მეშვეობით აღიქვამთ – მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და გემო. მაგალითად, ადამიანის სმენა მხოლოდ 20–20000 ჰერცს (რხევათა რიცხვი წამში) აღიქვამს; ადამიანის სმენის ორგანო დახშულია ყოველი ბგერისათვის, რომელიც ამ სიხშირის დიაპაზონში არ თავსდება (ინფრა და ულტრა ბგერა). ამის მიუხედავად, ის ბგერები ჩვენზე გავლენას ახდენს. ცნობილია, რომ ადამიანზე ულტრა და ინფრა ბგერები, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად მოქმედებს. მათ ცნობიერი ვერ აღიქვამს, თუმცა, არაცნობიერი მშვენივრად გრძნობს. შესაბამისად, უფრო მართებულია თუ ვიტყვი, რომ, თითქოს ადამიანი, „არასასურველი“ რხევებისაგან ღვთის მიერ „შეგნებულადაა“ დაცული; თუნდაც იმიტომ, რომ ცნობიერისთვის უფრო ფართო დიაპაზონის სიხშირის დაფიქსირება, აღქმა, ანალიზი, ადამიანის განვითარების ამ ეტაპზე, გარემომცველ სამყაროში ჩვენს ადაპტაციას უფრო გაართულებდა.

სინათლე რხევების, ტალღების უსასრულო სპექტრია, რომლის მხოლოდ უმცირეს ნაწილს, 380 – 680 (ნმ) დიაპაზონს აღიქვამს ადამიანი. ამ დიაპაზონის გარეთაა ე.წ. ულტრაიისფერი და ინფრაწითელი გამოსხივება, რომლის დანახვა ადამიანს არ შეუძლია, თუმცა ულტრაიისფერი გამოსხივების შედეგს ადამიანი კანის გარუჯვით, ალპური სიბრძავით შეიგრძნობს, ხოლო ინფრა გამოსხივებას კი – სითბოს სახით. ასევე ადამიანს შეუძლია აღიქვას ტემპერატურის მხოლოდ ერთი გრადუსით ცვლილება, ხოლო მაგ. კობრას გრადუსის ერთი მეათასედით ცვლილების აღქმაც შეუძლია. ეს მგრძობელობა კობრას საკვების, მღრღნელების ადგილმდებარეობის აღმოჩენაში ეხმარება. წარმოიდგინეთ, ჩვენ ინფრა გამოსხივების ასეთივე აღქმა რომ შეგვეძლოს, მაშინ ერთმანეთის სახის ამოცნობა გავეჭირდებოდ; რადგან სახის კანზე თუნდაც ერთი ახლადწარმოქმნილი მცირე ნაკაწრი, (რომელიც ანთებითი პროცესის წყაროა და ჩვეულებრივი თვალისთვის შეუძინველია), ინფრა გამოსხივების დიაპაზონში ისეთ რთულ, ცვალებად დიდ ლაქად მოგვეჩვენება, რომ ადამიანის სახის გამომეტყველებას საერთოდ შეცვლის.

დასკვნა ერთია – ცნობიერი სამყაროს უსასრულო რაოდენობის რხევებს, ვიბრაციებს, რიტმს სრულყოფილად ვერ აღიქვამს, ხოლო არაცნობიერი ყოველივეს სრულყოფილად შეიგრძნობს.

გამოდის, რომ სამყაროს რხევები, ანუ სამყაროს წმინდა ენერგია ჩვენში ცნობიერისგან დამოუკიდებლად შემოდის. წმინდა ენერგიის ეს კანონზომიერება არეგულირებს ჩვენს სასიცოცხლო რიტმს. მართლაც, ჩვენი ცნობიერის ჩაურევლად ხდება ორგანიზმში გულის ცემა, სისხლის წნევის რეგულირება, ნივთიერებათა ცვლა და კიდევ მილიონობით ფიზიოლოგიური პარამეტრების მართვა. დიახ, ყოველივე ამას ჩვენგან დამოუკიდებლად ჩვენი არაცნობიერი ახერხებს. არიან ადამიანები, რომელნიც ცნობიერით არაცნობიერს სხვებზე მეტად შეწვდნენ; როგორც აღვნიშნეთ, არაცნობიერს,

ყველაფერი შეუძლია. შესაბამისად, ასეთები ტკივილის ან დაბალი ტემპერატურის შეგრძნების დაბლოკვას, ასევე ჭრილობის სწრაფად შეხორცებას ახერხებენ.

ამასთან, ისიც ნათელია, რომ არაცნობიერის უდიდესი ინფორმაციის რაღაც ნაწილი ცნობიერში გადადის. ცხადია, ამ გადასვლას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომაც, რომ სამყაროს აღქმაში ცნობიერი ჩამორჩება არაცნობიერს. ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთკავშირი ერთიან სისტემას ქმნის, რომელიც უმაღლეს კანონზომიერებაში ეწერება და სამყაროს აღსაქმელად უნიკალურ მექანიზმს წარმოადგენს. თუმცა, არაცნობიერიდან, როგორც სისტემის მთავარი ქვესისტემიდან, ინფორმაციის ნაწილი ცნობიერში არასრულად გადადის და ეს აუცილებელია, რათა ცნობიერის „გადატვირთვა“ არ მოხდეს. სხვა სიტყვებით – ღმერთმა ჩვენზე უკეთ იცის რას აკეთებს.

„კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ვეღარ იტვირთავთ“ (იოანე 16.12.).

ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო, ჩვენი ცნობიერის და არაცნობიერის ჩათვლით, სრულყოფილი სისტემაა. როგორც ჩანს, რეალური სამყაროს სრულყოფილად აღქმისათვის ადამიანის ცნობიერი ან ჯერ მზად არ არის, ან ადამიანის ასტრალური ველი ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისგან. მას ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი სენსორული მექანიზმი გააჩნია და ალბათ, ეს შეზღუდვა ჩვენი არსებობისათვისაა აუცილებელი. ადამიანის ასტრალური ველი რაღაც აქტიურად დამცავი „ფილტრი-სარკის“ როლს ასრულებს და ჩვენი ცნობიერის საკმაოდ სუსტ მექანიზმს ინფორმაციული „შემოტევისგან“ იცავს.

ჩვენს არაცნობიერს გადაწყვეტილების სწრაფად და შეუცდომლად მიღების უნარი აქვს. რას ვგულისხმობთ ამაში? გახსოვთ, პირველად რომ დაჯექით ავტომობილის საჭესთან? ამ დროს ნერვული აღგზნება, დაძაბვა ძალზე მაღალი იყო. გადის დრო და ამ კომპარულ დატვირთვას ჩვენი არაცნობიერი საკუთარ თავზე იღებს. იგი სიტუაციაზე მომენტალურად ახდენს რეაგირებას და უკვე ავტომატურად მართავთ ავტომობილს.

მოჭადრაკე რობერტ ფიშერი წერდა: „კულმინაციურ მომენტში მომგებიანი სვლა მომენტალურად ფეთქდებოდა ჩემს ტვინში. მე მის ანალიზს ვიწყებდი, ყველა შესაძლო კომბინაციას, სხვა ვარიანტებს ვიხილავდი, უძვირფასეს დროს ვკარგავდი, და ბოლოს, მე იძულებული ვიყავი შევარჩეინა, რომ ის პირველი, თითქოს გაუაზრებლად თავში მოსული სვლა ყველაზე მომგებიანი იყო“. ეს იმას ნიშნავს, რომ არაცნობიერი იდეალური მექანიზმია.

არაცნობიერში არსებული ინფორმაცია საჭირო მომენტში, გასაოცარი სისწრაფით და სიზუსტით იწყებს ამოქმედებას. დიას, არაცნობიერი ცნობიერზე გაცილებით ძლიერია.

ყოველივე ზემოთქმული მოითხოვს ასტრალურ ველს ამ ხედვის კუთხიდან შევხედოთ. როგორც აღვნიშნეთ, არაცნობიერიდან ცნობიერში არასრულყოფილი ინფორმაცია გადადის. ეს ინფორმაცია რაღაც დონით დამახინჯებულია, თითქოს განზოგადებულია. იბადება კითხვა: – რა დონეზე მიმდინარეობს ინფორმაციის დახარისხება? ეს თვით არაცნობიერში, ასტრალურ ველში, ან ცნობიერში უნდა ხდებოდეს. გავიხსენოთ მარტივი მაგალითი: მიწაზე დაგდებულ ერთი მეტრის სიგანის ბეტონის ფილაზე ყველა ადვილად გაივლის, რა სიგრძისაც უნდა იყოს ის; თუმცა, იგივე ფილა, ასი მეტრის სიმაღლეზე ატანილი, უკვე უძრავლესობისათვის გადაულახავი ბარიერია. მასზე გავლა უკვე საკმაოდ საშიშია.

ცხადია, განსხვავება ამ ორ პოზიციას შორის სიმაღლეა. ანუ ცნობიერი სიმაღლეს სიცოცხლისათვის საშიშად აღიქვამს: იბადება კუნთები, ეცემა ელასტიურობა და თქვენ ფილაზე ფეხი არ შეგიდგამთ და უკვე „ჩამოვარდნილი“ ხართ.

მართლაც, ცნობიერში იბადება „დაუსაბუთებელი შიში“ თუ არაცნობიერი გვაფრთხილებს საშიშროების შესახებ?

თუ არაცნობიერი სრულყოფილი მექანიზმია, მაშინ მასში ალოგიზმი არ უნდა არსებობდეს. მართლაც, თუ მიწაზე დაგდებულ ფილაზე ადამიანმა შეიძლება მთელი დღე იაროს და ფეხი არ

დაუცდეს, მაშინ ასი მეტრის სიმაღლეზე გადებულ იმავე ფილაზე ერთხელ გავლისას რატომ უნდა ჩამოვარდეს? გაიხსენეთ, სომნამბულიზმი (მთვარეულობა). ეს ის მდგომარეობაა, როცა ცნობიერი გათიშულია, არ ფუნქციონირებს. ადამიანი მხოლოდ არაცნობიერს ეყრდნობა. ამ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, მთვარეულები სახლის კარნიზებზეც (ლავეგარდანი) კი მშვენიერად დასეირნობენ; საკმარისია, ამ დროს ვინმემ ყვირილით გამოაფხინზლოს მთვარეული, ანუ გააქტიურდეს ცნობიერი, რომ ადამიანი ჩამოვარდეს. გამოდის, რომ ალოგიზმი ცნობიერში უნდა ვეძებოთ.

მართალია, ცნობიერი არაცნობიერს დროით ჩამორჩება, მაგრამ გააზრებისთვის მანც გვაქვს დრო. აქაც საკმარისია ცნობიერის არაცნობიერში შეღწევა და ადამიანს სიმაღლის შიში უქრება. ამ კუთხით, ცირკის მსახიობები ჩვენგან არ განსხვავდებიან. ერთ დროს, მათაც ჩვენსავით სიმაღლის შიში ჰქონდათ, ხოლო შემდეგ, ლოგიკით, გააზრებით, ვარჯიშით ერთი მეტრის სიგანის ფილაზე კი არა, ორი ცათამბჯენის სახურავს შორის გაჭიმულ ბაგირზეც კი აუღელვებლად გადადიან.

გამოცდილი ალპინისტებისათვის ათასი მეტრის სიმაღლეზე ხელით პატარა ქვის ქიმზე დაკიდება ჩვეულებრივი პროცედურაა. საინტერესოა პარაშუტისტების მომზადება სიმაღლის შიშის დასაძლევად. უპირველესად, ისინი ეჩვევიან 25 მეტრის სიმაღლის კოშკიდან ხტომას. ამ დროს პარაშუტი მეტი საიმედოობისათვის ბაგირზეა გამობმული. აქ ჩამოვარდნა უბრალოდ გამორიცხებულია. ამას ლოგიკურად ხვდება მომავალი პარაშუტისტი და თანდათან შიში უკვალოდ ქრება. შემდეგ, ის უკვე თვითმფრინავის ბორტიდან (1000 მეტრის სიმაღლიდან) გადმოხტომას ახერხებს. გადის დრო და ის უკვე პროფესიონალია. მისთვის 5000 მეტრის სიმაღლიდან ხტომა უკვე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. აი, აქ იწყება საოცრება. ამ პროფესიონალს უჩნდება შიში იმ 25 მეტრის კოშკიდან გადმოხტომისას, საიდანაც მან ვარჯიში დაიწყო. აღმოჩნდა, რომ მას აშინებს მიწის ზედაპირის 25 მეტრიანი სიახლოვე იმ დროს, როცა 5000 მეტრის სიშორე მისთვის არაფერია, იმის მიუხედავად, რომ კოშკიდან ხტომისას ის ბაგირზეა გამობმული და პარაშუტი უბრალოდ თითქმის დეკორაციის როლს ასრულებს. მას ეშინია, რადგან იცის, რომ 25 მეტრში პარაშუტი გახსნას ვერ მოასწრებს, თუმცა ისიც იცის, რომ კოშკის პარაშუტს გახსნა არ სჭირდება, ის თავიდანვე გახსნილია.

ამ კონკრეტული მაგალითიდან ჩანს, რომ ცნობიერის არაცნობიერში შეღწევა შესაძლებელია ლოგიკით, ვარჯიშით და იბადება აზრი, – თითქოს არაცნობიერი გვაფრთხილებს, – სწრაფი გადაწყვეტილება არ მივიღოთ, სპეციალურ მომზადებას გვაიძულებს და როდესაც „დარწმუნდება“, რომ თქვენი გადაწყვეტილება ურყევია (ეს თქვენთვის აუცილებელია), მაშინ გიხსნით თავის „სამყაროს“, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, რეალობა ერთი ერთზე აღიქმება და ამ რეალობაში შიში არ არსებობს.

არის განსხვავებული შემთხვევაც, როდესაც ადამიანი უეცრად საშიშროების წინაშე აღმოჩნდება და არაცნობიერი ცნობიერთან შეთანხმების გარეშე, თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. ამ დროს ადამიანი მომენტალურად ისეთ ქმედებას ახორციელებს, რასაც ჩვეულებრივ პირობებში ვერ გაბედავდა. შიში მერე ჩნდება, როცა ცნობიერი „აზრზე მოვა“ (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ჩვენი დაუსაბუთებელი უმოქმედობის მიზეზი, რომელიც მრავალ ჩვენგანს საკუთარი ცხოვრების, საზოგადოების და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღების საშუალებას არ გვაძლევს, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შიშია.

გამოდის, რომ დაუსაბუთებელი შიშის საფუძველი არც ცნობიერშია და არც არაცნობიერში; ალბათ, ამის მიზეზი ასტრალური ველის მიერ სამყაროს კანონზომიერების განსხვავებულ, ილუზორულ აღქმაშია. თუმცა, ეს ილუზორული აღქმა სულაც არაა ნეგატიური მოვლენა. ის აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის. ასტრალური ველი არაცნობიერის მეშვეობით გვიცავს უგუნური ქმედებისაგან – მოუმზადებლად ეიფელის კოშკის უკანასკნელი სართულის მოაჯირზე ყირის გაკეთებისაგან, რაც ცნობილმა აკრობატმა გააკეთა, თანაც სახით ქალაქის მხარეს. ამრიგად, ადამიანი არაცნობიერისა და ცნობიერის ურთიერთკავშირით თავდაცვის საკმაოდ მძლავრ მექანიზმს ფლობს.

მართლაც, თუ ჩვენი ასტრალური ველი დამახინჯებული „ფილტრი-სარკის“ როლში გვევლინება, ესეც ღმერთის კანონზომიერებაა.

. . . ვინაიდან, ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად . . . (I.კორ. 14, 12).

გამოდის, რომ ეს არასრულყოფილი „ფილტრი-სარკე“; რომლითაც „ვხედავთ“ სამყაროს, ჩვენი სუსტი ფსიქიკისა და ცნობიერისთვის აქტიურად დამცავი სისტემის როლს ასრულებს და თანდაყოლილი ღვთის მადლია, ანუ ის ჩვენ დაბადებიდან გვაქვს მოცემული და ის განვითარების კანონზომიერებას წარმოადგენს.

აქტიურად დამცავი „ფილტრი-სარკეების“ (სიმარტივისთვის უბრალოდ სარკე ვუწოდოთ) რაოდენობა ჩვენს ასტრალურ ველში, ალბათ, საკმაოდ ბევრია. განვიხილავთ სამ ძირითად აქტიურად დამცავ „სარკეს“ – ინდივიდუალურს, ნაციონალურს და საზოგადოებრივს.

ინდივიდუალური აქტიურად დამცავი „სარკე“.

ცხადია, ადამიანები განსხვავდებიან ასტრალური ველით, ინდივიდუალური სენსორული მექანიზმით. მაგალითად, მამაკაცებს მცირე დალტონიზმი ახასიათებთ, მწვანისა და ლურჯი ფერის გარჩევა უჭირთ. არაფერს ვამბობთ სრულ დალტონიზმზე, როდესაც ადამიანი გარე სამყაროს შავ-თეთრად აღიქვამს. როგორც აღვნიშნეთ, ხუთი სენსორული მექანიზმის აღქმის ხარისხი სხვადასხვა ადამიანში განსხვავებულია. შესაბამისად, რეალურ სამყაროს, მის ჰარმონიას სხვადახვანაირად აღვიქვამთ. ყველას თავისი ილუზორული სამყარო გააჩნია და ეს არ არის კატეგორიულად უარყოფითი მხარე. სწორედ, ამით არის საინტერესო თითოეული ჩვენგანი.

ეროვნული აქტიურად დამცავი „სარკე“.

ჩვენს ასტრალურ ველს აყალიბებს არა მარტო ბიოლოგია, არამედ ენა, ეროვნება, ადათი, ტრადიციები, მშობლიური გარემო, პეიზაჟი . . . რა თქმა უნდა, ენა ჩვენი ასტრალური, მგრძნობიარე ველის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს. აქ არ არის საუბარი ენაზე, როგორც კომუნიკაციის საშუალებაზე; ენაში ერის რიტმი, ვიბრაცია უდიდესი ჰარმონიაა. გალაკტიონის პოეზიის სრულყოფილი აღქმა მხოლოდ ქართული ენით, ანუ ჩვენთვის უდიდესი რიტმითაა შესაძლებელი. ამ რიტმს მხოლოდ ჩვენი ასტრალური ველის ის მთავარი მექანიზმი აღიქვამს, რასაც ქართველობას ვუწოდებთ. ვიმეორებთ, აქ საუბარი არ არის იმაზე, თუ რა ინფორმაცია ჩადო გალაკტიონმა თავის პოეზიაში, არამედ იმ გამოგნებულ რიტმზე, რაც მის პოეზიას თან სდევს.

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს. . .

ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს“.

ათასჯერ წაკითხული, ათასჯერ მოსმენილი, ათასჯერ გულში გამეორებული . . . რატომ მგერის ყრუანტელს ათასმეერთეჯერ?

ნუთუ ამ სტრიქონებში ამინდის შესახებ არსებულმა ინფორმაციამ ამაღლევა?! – არა, აქ ინფორმაცია სადღაც შორს იკარგება. ჩემში ამ უდიდესი პოეზიიდან სიცოცხლის მჩქეფარე რიტმი შემოდის; ეს ჩემი რიტმია, ჩემი ჰარმონია, ჩემი ქართული ენის მუსიკა. თუმცა, მოიძებნება ისეთი ქართველიც, რომელშიც გალაკტიონის, ვაჟას. . . პოეზია სულიერ აღტკინებას არ იწვევს; და ეს ფაქტი, მის მხოლოდ „ბიოლოგიურ ქართველობას“ ადასტურებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ქართველობის მიუხედავად, გიიომ აპოლინერის პოეზია თუ ვინსენტ ვან გოგის შემოქმედებაც დიდ ემოციურ მუხტს მაძლევს და იმავდროულად, მაინც ქართველად ვრჩები. ასევე, ვაჟას შემოქმედებით ფრანგი მსახიობი აღენ დელონიც აღფრთოვანდა. როგორც მან ინტერვიუში აღნიშნა, ღებრესიდან, სწორედ, ვაჟას შემოქმედებამ გამოიყვანა. ამის მიუხედავად, ცხადია, ის ფრანგია.

მშობლიური პეიზაჟიც ასეთივე გავლენას ახდენს ჩემზე; არ ვიცი რა დავარქვა იმ უცნაურ, აუხსნელ ფენომენს, რომელიც მთელი ცხოვრება მომყვება: ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემში ენერგია, სიცოცხლე იწრითება და ენერჯის აღსადგენად არც დასვენება, არც გაძლიერებული კვება

არ მშველის; მაშინ, გავდივარ არაგვის პირას და არა აქვს მნიშვნელობა სუსხიანი ზამთარია თუ ზაფხული; ჩემთვის არაგვი ხელების ჩაყოფაც საკმარისია, რათა ნათლად ვიგრძნო, თუ როგორ შემოდის სიცოცხლის, სიყვარულის ენერგია; ცხადად ვგრძნობ ჩემში ქართველობის ზეობას. ამრიგად, ჩემში ეროვნული რიტმის აღმქმელი აქტიურად დამცავი ასტრალური „ფილტრი-სარკე“ არსებობს, რომელიც ამ რიტმს უნიკალურად აღიქვამს, მიიღებს. თუმცა, ხმელთაშუა ზღვაში ხელების ჩაყოფა კი არა ჩაყვინთვაც კი ასე არ აღმაფრთოვანებს.

ამრიგად, ცხადია, რომ ნაციონალური აქტიურად დამცავი „ფილტრი-სარკის“ ფენომენი, მოვლენა მოქმედებს. ეს „ფილტრი-სარკე“ ერის რიტმს, სულს ქმნის. და ის მე რეალურ სამყაროს „ილუზორული“ ეროვნული ხედვით აღმაქმევინებს. სწორედ „ფილტრი-სარკე“ გვაერთიანებს და ეს ბედნიერებაა, რადგან ამით ვარ ქართველი. და ჩემი ქართველობით „ილუზორულ“, უბრწყინვალეს მსოფლიო მრავალფეროვნებას ვქმნი. თუმცა, ის სამყაროს რეალურად აღქმის საშუალებას არ მძლევს. ამიტომ ვძღვებით: „რაც კარგები ვართ ქართველები ვართ . . .“ და სამწუხაროდ, არ გვსურს ვაღიაროთ – რაც ცუდები ვართ ისიც. . .

სოციალური აქტიურად დამცავი „სარკე“

აღამიანი სოციალური არსება და ის მიკროსოციუმს ქმნის; სწორედ **სოციალურ აქტიურად დამცავ „ფილტრი-სარკეში“** სამყაროს ანარეკლის ერთნაირი აღქმა აერთიანებს ადამიანებს. მიკროსოციუმში – მეგობრები, საერთო ინტერესები . . . – სოციალურ ემოციებს, ჩვევებს, ინტერესებს, ხასიათს, სიმპათიებს, ანტიპათიებს აყალიბებს. ნელ-ნელა, მეთოდურად ყალიბდება ქცევის ნორმებიც. მიკროსოციუმში ქმნის ასტრალურ სოციალურ „ფილტრი-სარკეს“ და იბადება ჯგუფი, რომელიც მაგ., თვლის, რომ პეღე უდიდესი ფეხბურთელია და ხანდახან სხვა ჯგუფის მიმართ, რომელიც უპირველეს ფეხბურთელად დიეგო მარადონას მიიჩნევს, აგრესიას ამჟღავნებს.

სოციალური „ფილტრი-სარკე“ ერს პარტიებად, განსხვავებული შეხედულებების საზოგადოებებად ყოფს; ქალაქს – უბნებად. ამ „ფილტრი-სარკით“ იქმნება „ილუზორული“ სახელმწიფო – სამყარო, რომელიც რეალურისაგან დიდად განსხვავდება და ჩვენს ცხოვრებას, ბედს განაპირობებს.

სწორედ, ამ „ილუზორულ“ სამყაროში იბადება გულგრილობა, ჩვენი გაუსაძლისი ცხოვრების მიზეზი.

დასკვნა: არსებობს რეალური სამყარო უდიდესი კანონზომიერებით, აბსოლუტური გონით, რომელსაც ჩვენი არაცნობიერი ერთი ერთზე აღიქვამს. ცნობიერი კი, აქტიურად დამცავი „სარკეებით“ მისგან არასრულფასოვან ინფორმაციას იღებს.

შესაბამისად ვიღებთ ასეთ სურათს:

რეალური სამყარო

პირველი ფილტრი – ინდივიდუალური აქტიურად დამცავი „ფილტრი-სარკე“.

მეორე ფილტრი – ეროვნული აქტიურად დამცავი „ფილტრი-სარკე“.

მესამე ფილტრი – სოციალური აქტიურად დამცავი „ფილტრი-სარკე“.

და ილუზორულად აღქმული სამყარო.

ცხადია, რეალური სამყაროს კანონზომიერების თუნდაც მცირედით შესამეცნებლად აუცილებელია, ამ სამი ფილტრი-სარკის ზეგავლენით გამოწვეული სამყაროს აღქმის არაობიექტურობის როგორმე შემცირება; და ეს შესაძლებელია, რადგან ადამიანს აქვს თანდაყოლილი გონი, განსჯის უნარი და სამყაროს აღქმა შესაძლებელია არა მარტო ასტრალურად, არამედ გონით, დიალექტიკით, შემეცნებით.

სწორედ, დიალექტიკითაა შესაძლებელი ფილტრი სარკეების შეძლებისდაგვარად დაწმენდა და იმ არეალში შესვლა, რასაც არაცნობიერი ეწოდება, რომელიც პირდაპირ კავშირშია აბსოლუტურ გონთან. მან ყველაფერი იცის. არაცნობიერი სამყაროს ილუზორულად კი არა, რეალურად აღიქვამს. მხოლოდ არაცნობიერთაა შესაძლებელი „სიკეთისა და ბოროტების მიღმა გასვლა“.

დიახ, ადამიანი არაცნობიერით სამყაროს გონისაკენ მიისწრაფის. მთავარია, ფილტრი-სარკების გაწმენდა, რათა ჩვენი ილუზორული აღქმის მექანიზმის დეფექტთა რაოდენობა შემცირდეს და, შესაბამისად, აღქმის რეალობის ხარისხი გაიზარდოს.

ჩვენი პრობლემების სიმძიმეს სამყაროს ილუზორული აღქმა განაპირობებს.

ცხადია ილუზორულ სამყაროში მხოლოდ ილუზორული პროგრესის დამყარებაა შესაძლებელი.

ფსიქოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი მისთვის უცხო ობიექტს, მოვლენას თავდაპირველად ვერ აღიქვამს. უფრო ნათლად, – არსებობს მოსაზრება, რომ ამერიკის აბორიგენ მოსახლეობას კოლუმბის გემი ვერ უნდა დაენახა; თუმცა, წყლის ზედაპირზე გემის მიერ დატოვებულ კვალს ნათლად ხედავდა.

საქმე იმაში გახლავთ, რომ, როდესაც ინდივიდი მისთვის უცნობ საგანს, მოვლენას ხედავს, ის ცნობიერში მისი ანალოგის მოძებნას ცდილობს; და თუ მსგავსი ვერაფერი იპოვა, (ამერიკელ ინდიელებს კოლუმბამდე გემი არ ენახათ) მისი გონება ამ საგნისა თუ ფენომენის აღქმის მიმართ პროტესტს აცხადებს. ის, უბრალოდ, ვერ ხედავს ამ მისთვის უცნობ საგანს.

შეიძლება ეს მოსაზრება ზოგიერთისთვის სადისკუსიო აღმოჩნდეს; თუმცა, არის მოვლენა, რომლის არშემჩნევაც, უბრალოდ, შეუძლებელია. არსებობენ ადამიანები, რომელთაც ახალი საგნის, მოვლენის შემეცნებისას, ან აგრესია, ან აპათია (მთქნარება, ძილქუში) ეწყებათ.

ფსიქიატრიაში ახლის შემეცნებისას ფსიქიკის აშლილობის მოვლენას მიზონიეზმს უწოდებენ. ჩვენ საზოგადოებაში ახლის შემეცნება-დამკვიდრება, რაც არაილუზორული პროგრესის აუცილებელი პირობაა, ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, მარტივად რომ ვთქვათ, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა მიზონიეზმითაა დაავადებული.

რეალური სამყაროს კანონზომიერების მეტნაკლებად გააზრებას ჩვენი ილუზორული ეჭვები უშლის ხელს.

შესაბამისად, ჩვენს ბედსა თუ უბედობაზე პასუხისმგებლობაც ჩვენვე გვეკისრება.

და თუ ილუზორულ სამყაროს ჩვენ ვქმნით, მისი გარდაქმნაც ჩვენს ხელთაა. ჩვენს მიერ ამ ილუზორულად აღქმულ სამყაროს, შესაბამისი გამოგონილი, „ხელოვნური სამყარო“ ვუწოდოთ; ხოლო მის „კანონზომიერებას“ დაქვემდებარებულ ადამიანებს – „ხელოვნური ადამიანები“.

არსებობს ღმერთის მიერ შექმნილი უღიადესი კანონზომიერება, აბსოლუტური გონი, რომელიც მართავს იმ რეალურ სამყაროს, რასაც ჩვენ, „ბუნებრივი“ ვუწოდებთ. და არსებობს ჩვენს მიერ ილუზორულად აღქმული „ხელოვნური სამყარო“, რომლის მართვას ჩვენს მიერვე გამოგონილი კანონებით ვცდილობთ.

რამდენადაა შესაძლებელი სიცოცხლისათვის აუცილებელი და არასაჭირო ნაწილების გარჩევა-დახარისხება? ვინ უნდა იკისროს სოციალური განვითარებისათვის ხელშემშლელი ილუზორული სამყაროს გამოაშკარავების მისია? და როგორ დაარწმუნებს საზოგადოებას ილუზორული სამყაროს უარყოფითი, არასაჭირო ნაწილის მოცილების შესაძლებლობაში?

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო და სამართალი ორგანული ერთობაა. მოგეხსენებათ, არსებობს ღვთიური სამართალი და ჩვენ მიერ გამოგონილი „ბუნებრივი“ და პოზიტიური სამართალი. ამ უკანასკნელთა რეალობასთან არათავსებადობის შედეგი ჩვენს სოციალურ და პირად ცხოვრებაზე ნათლად აისახება. დიახ, ასეთია ჩვენი რეალობა, ჩვენ სამყაროს ილუზორულად აღვიქვამთ და, შესაბამისად, ილუზორულ სახელმწიფოს ვქმნით. თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს; თუმცა დგება მომენტი, როცა შინაგანი დისკომფორტის შეგრძნება ჩნდება. ვგრძნობთ, რომ არსებული გარემო ჩვენს შინაგან სამყაროს, თავისუფლებას არ ეთანადება. ცხადია, თვითგანვითარებადი სახელმწიფოს შესაქმნელად, მიწიერი ილუზორული ბუნებრივი სახელმწიფოს სამართალი ღვთიურთან მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს.

სადღაც შეცდომაა დაშვებული . . .

ცხადია, ობიექტურობის მიღწევა შეუძლებელია თუ ჩვენ სამყაროს ილუზორულად, დამახინჯებულად აღვიქვამთ.

ხეობიანი მხელი „ფილტრი-სარკეების“ მოდელი გვიჩვენებს, რომ ამ ფილტრების მაქსიმალურად შესაძლებელი დაწმენდა არაცნობიერთან, აბსოლუტურ გონთან, კანონზომიერებასთან გვახლოებს.

ეს შესაძლებელია მხოლოდ ამაღლებული ურთიერთობით, კონგენიალურთა სისტემის ჩამოყალიბებით, დიალექტიკით. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი სამყაროს რეალური სურათის წარმოდგენა და მისი შეძლებისდაგვარად უმაღლესი კანონზომიერებით გააზრება. ალბათ, ამ დროს ხდება „სიკეთისა და ბოროტების“, „ყოფიერებისა და არაყოფიერების“, სიმართლისა და სამართალის „მიღმა გასვლა“. ეს ის სამყაროა, სადაც ადამიანის არსი ღვთიური ნათელით გასხვივს. ალბათ, აქედან გაჩნდა ცნება განათლებული; ეს ცნება გაცილებით მაღალი კატეგორიაა ვიდრე ნასწავლი, რადგან ხშირ შემთხვევაში ნასწავლთა საგნის, მოვლენის არსში წვდომა არ ხელეწიფებათ. ამრიგად, განსწავლულობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა განათლებისათვის. ამ არეალის გარეთ მყოფთ, რაც გინდა ის უწოდეთ – ნასწავლი, ხელოსანი, ექიმი, მათემატიკოსი, წესიერი, კანონმორჩილი, . . . – მაგრამ არა განათლებული.

გავიხსენოთ სოკრატე – განათლება და ზნეობა იგავური ცნებებია.

ჩვენ კი ვიმეორებთ: მე – განათლება – ურთიერთობა – კონგენიალთა შემოქმედება – პროგრესირებადი სისტემა – ზნეობა – იგავური ცნებებია.

ჩვენი მოდელის მიხედვით პიროვნება ზნეობრივად ვერ ჩაითვლება, თუ ის არ არის განათლებული, მიზნის მისაღწევად არ შედის ამაღლებულ ურთიერთობაში, არ ქმნის კონგენიალურთა ერთობას, შესაბამისად, შემოქმედებით პროგრესირებად სისტემას.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი არაცნობიერი, ზერალურ სამყაროსთან უშუალო კავშირის მეშვეობით, ღვთიური კანონზომიერების შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობს; სამწუხაროდ, ჩვენი ცნობიერის არაცნობიერთან კავშირი არასრულფასოვანია. ღვთიური ჭეშმარიტების წვდომის სიღრმე ცნობიერის არაცნობიერთან კავშირის ხარისხით განისაზღვრება.

წინააღმდეგობრივი ცნებების – სიკეთე და ბოროტება, ბუნებრივი და პოზიტიური სამართალი – არსის წვდომა, დაბინდული ფილტრი-სარკეების არსებობით გამოწვეული არაობიექტურობის შემცირებას საჭიროებს. ობიექტურობის ასამაღლებლად კი ზოგადი კანონზომიერების, ღვთიური ჭეშმარიტების აღქმის ხარისხის გაზრდაა აუცილებელი. ამას კი ფილტრი-სარკეების დაწმენდით, არაცნობიერში გასვლით, ამაღლებით შევძლებთ. ამრიგად, მიღმა გასვლა ზოგადი კანონზომიერებისკენ სწრაფვას, არაცნობიერში ჩაღრმავებას ნიშნავს. ჩვენ ზერალურ სამყაროს უნდა მივუახლოვდეთ და ამ ცნებათა არსს იქიდან შევიცნობთ. სწორედ ამაღლების გზითაა შესაძლებელი ამ ცნებათა არსში წვდომა. მაშინ მივხვდებით რაა სიკეთე და რა – ბოროტება, რაა ბუნებრივი და რა – პოზიტიური სამართალი.

„გზას რომ დაადგა, ვიდაცამ მოიბრინა, მუხლი მოიყარა მის წინაშე და უთხრა: კეთილო მოძღვარო, რა ვქნა, რომ დავიმკვიდრო საუკუნო სიცოცხლე? – იესომ მიუგო: რატომ მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ერთის – ღმრთისა. ხოლო თუ სიცოცხლეში შესვლა გინდა, დაიცავი მცნებანი . . . არა კაც-ჰკლა; არა იმრუშო; არა იპარო; არა ცილი სწამო“ (მარკოზი 10, 17-19; ლუკა 18, 19-21; მათე 19, 16-18).

აქედან ნათლად ჩანს, რომ სიკეთის კეთება უმაღლესის პრეროგატივაა, ჩვენ კი მხოლოდ ბოროტების შემცირებას უნდა შევეცადოთ. ჩვენს მიერ, საკუთარ არსსა და გარემომცველ სამყარო-

ში, ბოროტების შექცევით გამოთავისუფლებულ არეალს ღმერთი თვითონ შეავსებს სიკეთით. გავიხსენოთ:

„ბოროტება ჰქვია იმას, რასაც ადამიანი მოიმოქმედებს და იმას, რასაც ადამიანი ითმენს. პირველი ცოდვაა, მეორე – სასჯელი . . . ადამიანი მოიმოქმედებს ბოროტებას, რომელიც სურს და ითმენს ბოროტებას, რომელიც არ სურს“ (აგრელიუს ავგუსტინე).

მართლაც, დაუკვირდით, რას ნიშნავს „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ გასვლა? სიკეთესა და ბოროტებაზე ამაღლება? ჩვენი დაქვეითებული სოციალური აზროვნების ღონიდან, ბოროტებაზე ამაღლება რაღაცნაირად შეიძლება გასაგები და მისაღებია, მაგრამ რას ნიშნავს – სიკეთეზე ამაღლება?! შეიძლება ეს მცდელობა მკრეხელობად მოგვეჩვენოს. ეს, ერთი მხრივ, ზოლო, მეორე მხრივ, როგორ გაიაზრებ სიკეთეს, თუ მას ობიექტურად, გარედან არ შეხედავ. როგორ შეიცნობ საკუთარ „მეს“, თუ მასზე არ ამაღლდი, თუ მას გარედან არ შეხედე? როგორ მიხვდები რა საზოგადოებაში, რა სახელმწიფოში ცხოვრობ, თუ მას გარედან ობიექტურად არ შეხედე. ასეთი ამაღლება, მიღმა გასვლა, ტრანსცენდენტია მხოლოდ განათლებულს შეუძლია.

ღიას, ჩვენ სიმართლისა და სამართლის (ბუნებრივი და პოზიტიური სამართლის) მიღმა გასვლა უნდა მოვახერხოთ; და მაშინ, იმ არეალში, იმ ველში მოვხვდებით, რომელიც უმაღლეს კანონზომიერებას შეიძლებისდაგვარად უახლოვდება. ამის გარეშე საკუთარი „მე“-ს შეცნობა, თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია. **სწორედ ამ კანონზომიერების ველში არსებულ მარადიულ კანონს ვუწოდებთ კანონზება კანონს, რომელსაც მიწიერ – ილუზორულ ბუნებრივ და პოზიტიურ – სამართალში ვერ აღმოაჩნით.**

ამგვარად, სამყაროს, ბუნებას, მასში მიმდინარე პროცესებს ობიექტური ხედვა, ღრმა ანალიზი სჭირდება. ამისათვის კი, ვიმეორებთ, ზემოხსენებული „სარკების“ გაწმენდა აუცილებელია. და ამას ერთი ადამიანი ვერ შეძლებს, ეს მხოლოდ სისტემის მეშვეობითაა შესაძლებელი.

როგორ მოვახერხოთ ეს?

დასაწყისისთვის ვცადოთ ჩვენი შინაგანი რესურსების მაქსიმალური მობილიზება და ბუნებას და საკუთარ თავსაც, შეძლებისდაგვარად, სხვა კუთხით შევხედოთ.

სიჭარბის პრინციპი

ზედაპირული დაინტერესებაც საკმარისია, რომ ბუნებაში სიჭარბის პრინციპი აღმოვაჩინოთ. დაუკვირდით, როგორაა დაინტერესებული აბსოლუტური გონი ამ სიჭარბით, როგორი უსასრულო რაოდენობითაა ყველაფერი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მართლაც, რაში დასჭიდა მას ცაზე ურიცხვი ვარსკვლავისა და პლანეტის შექმნა, თუ სიცოცხლეს მხოლოდ დედამიწაზეა? (სამწუხაროდ, ჯერ სხვა პლანეტებზე სიცოცხლე არ აღმოუჩენიათ) რა საჭიროა უამრავი ფოთოლი, ბალახი, ყვავილი, სასქესო უჯრედი. . ., როცა მიზანს ერთეულები აღწევენ? – პასუხი თვით კითხვაშია, იმიტომ, რომ მიზანს ერთეულებმა მანაც მიაღწიონ. ეს ხომ მთავარია სიცოცხლისთვის ბრძოლაში.

სიჭარბის არსი – მიზნის მიღწევის ალბათობის გაზრდაა. აბსოლუტურ გონს ეს არ ეშლება. ის, თითქოს, გამუდმებით წუხს, ფიქრობს, უდიდეს რეზერვს აგროვებს, რადგან რაღაც ნაწილმა, თავისი უგუნურობით, შეიძლება არ მიიღოს სიცოცხლისათვის საჭირო წმინდა ენერგია და შეიძლება დაიღუპოს, გაფუჭდეს.

სიჭარბის პრინციპი – საიმედოობაა.

უკვე დიდი ხანია, ყველაფერი არასაიმედო ევოლუციის სასაფლაოზე განისვენებს.

აბსოლუტური გონის მიერ ბუნებაში ჩადებული სიჭარბის პრინციპი შეგვიძლია გამოვხატოთ ფრაზით — **რაც მნიშვნელოვანია სიცოცხლისათვის, ის მრავალრიცხოვანია.**

ჩვენი ორგანიზმი სიჭარბის პრინციპს ექვემდებარება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ის, რომ ჩვენი გონების მხოლოდ მცირე ნაწილს (3–5%) ვიყენებთ, საწყენი და სასიხარულოც. სასიხარულოა იმიტომ, რომ ახალ აღმოჩენათა, მიღწევათა ბედნიერება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. საწყენი კი იმიტომ, რომ ნეირონების თუნდაც 5–15%-ით დატვირთვის შემთხვევაში, ყველა გენოსი გახდებოდა და თუ ყველა მოცარტი იქნება, ალბათ, სალიერობა მართლაც, სანატრელი გახდება. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ბატონიც მშვენიერი კომპოზიციური გახლდათ.

შესაბამისად, ადამიანის უდიდესი პოტენციალის, აბსოლუტურ გონთან კავშირის სისტემა (ჩვენს ტვინში არსებული ნეირონები), ფსიქიკა, უდიდესი პლასტიურობისა და ტევადობის უნდა იყოს.

ფსიქიკა ესაა ტვინის ფუნქცია, რომლის არსი სამყაროს შეგრძნებით, წარმოსახვით, აზრით აღქმაა. ის ჩვენი ქმედების ხარისხს განსაზღვრავს. ფსიქიკაში სამყაროს აღქმის ისეთი მძლავრი იმპულსია ჩადებული, რომ ის ცნობიერსა და არაცნობიერს შორის „სივრცეს“ ავსებს. სწორედ ფსიქიკაა ის არეალი, სადაც აქტიურად დამცავი ფილტრი-სარკეები იქნება. როგორც აღვნიშნეთ, ფილტრი-სარკეებს აქვს როგორც უარყოფითი (რეალური სამყაროს ილუზორულად აღქმა), ასევე დადებითი, მოცემულ დროსა და სივრცეში სიცოცხლის შენარჩუნება-განვითარებისათვის აუცილებელი თვისება. ფილტრი-სარკეების ზეგავლენით ყალიბდება ემოციები, რომელიც ჩვენს სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს. ემოციურობა, სამყაროს შექმნების იმპულსი ისეთი სიჭარბით აქვს ადამიანს, რომ ის მზადაა სიცოცხლის რისკის ფასად ოკეანის სიღრმეებში ჩაყვინთოს, სადაც წნევის ზეგავლენით ფოლადიც კი დეფორმირდება, ანდა გავიდეს კოსმოსში, სადაც უმნიშვნელო ფლუქტუაციაც კი საკმარისია, რათა ადამიანი ფერფლად იქცეს.

ჩვენი ზომიერ მეთი ემოციურობა — პასიონარულობაა. თუმცა, ეს უკანასკნელი შეიძლება, როგორც მხსნელი, გადამრჩენი, ასევე დამღუპველიც აღმოჩნდეს.

არსებობს ჭარბ ემოციათა გამოხატვის ორი ფორმა: ხილული და შენიღბული. ხილულია — ჩხუბი, როცა შესაძლებელია მოლაპარაკება; პანიკა, როცა საჭიროა ოპერატიულობა; სასოწარკვეთა, დეპრესია, როცა საჭიროა სიტუაციის გააზრება, ანალიზი.

რაც შეეხება შენიღბულს, სანამ უკიდურესობაში არ გადავა, ის შეუცნობადია; რომ გამჟღავნდება — უკვე გვიანაა. ეს იმ ტრაგედიის საფუძველია, რომელიც შიზოფრენიით ან ონკოლოგიური დაავადებებით მთავრდება.

ადვილი შესაძლებელია, რომ ესეც ჭარბი, დაუნარჯავი ემოციების შედეგი იყოს.

შენიღბული ჭარბი ემოციურობისას ჩხუბი მკვლელობაში გადადის, პანიკა — შოკში, სასოწარკვეთა — თვითმკვლელობაში.

ესაა ჭარბი ემოციის უარყოფითი მხარე. ჭარბ უარყოფით ემოციურობას არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვის ტანჯვამდეც მიყვარათ; ეს უკვე ფსიქოპათიაა (ეს ნახვერად ხუმრობით). საკუთარ თავს შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ და „მეცნიერულად“ აღვნიშნოთ, რომ უარყოფითი ემოციების სიჭარბე გავრცელებულია და სრული მრავალფეროვნებით ვლინდება.

ჭარბადაა ასევე დადებითი ემოციებიც; ასე რომ, შეშფოთების საფუძველი არა გვაქვს; თუმცა, თითქოს სიხარული ყოველთვის არასაკმარისია; დადებითი ემოციები, თითქოს ყოველთვის დეფიციტშია. უბრალოდ, ჩვენ მიერ დადებითი და უარყოფითი ემოცია განსხვავებულად აღიქმება.

მაგალითად, საყვარელ ქალბატონს მაშინ ვამჩნევთ, როცა ის ჩვენდამი ინტერესს კარგავს, მანამდე კი ვთვლით — არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ის ჩვენთვის ყველაფერს აკეთებს.

დადებითი ემოციაა მნიშვნელოვანი გამარჯვების, წვრილმანი მიღწევების დიდი რაოდენობით აღქმა, სიყვარული და საერთოდ, ყველაფერი ის, რაც სიცოცხლის ესთეტიკურ მხარეს ქმნის.

მართლაც, რა საჭიროა თხუთმეტმილიარდიანი ნეირონების უდიდესი ასტრალური ველი (გონის, ემოციურობისა და ნიჭის გამტარი არხი), თუ საშუალოდ მის ოთხ პროცენტს ვიყენებთ. რო-

გორც აღვნიშნეთ, ეს ციფრი შემაშფოთებელიც არის და სასიხარულოც; რამდენი რეზერვია, კიდევ რამდენის გაკეთება შეგვიძლია.

ასევე გვაქვს შიშის სიჭარბე. ის თვითგადარჩენის მექანიზმს ასაზრდოებს. თუ გვაკლია – ვილუპებით; ზედმეტი გვაქვს – მითუმეტეს, ვილუპებით.

მეცნიერება ყოველთვის იკვლევდა ადამიანის შესაძლებლობის ზღვარს. მას ექსტრემალურ პირობებში ადამიანის ქმედითუნარიანობის ფაქტორი აინტერესებდა და აინტერესებს.

მაგალითად, ოკეანეში მარტოდ დარჩენილი პიროვნების სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ბრძოლა.

მაშველებმა კარგად იციან, რომ, როდესაც წყლის ტემპერატურა თოთხმეტ გრადუსზე დაბალია და კატასტროფის ადგილზე მისვლას 30 წუთზე მეტი სჭირდება, მგზავრთა გადარჩენის იმედი უსაფუძვლოა. ხშირ შემთხვევაში, ერთი საათის შემდეგ სავახტო ჟურნალში საშინელი ფრაზა ჩნდება – „ჰორიზონტი სუფთაა“. მაშველთა ჟარგონით ეს ნიშნავს: ცოცხალი აღარავინაა.

ექვსი საათის შემდეგ იქაც იკარგება იმედი, სადაც ტემპერატურა მაღალია. სამი დღის შემდეგ კი ოკეანეში ვინმეს ცოცხლად პოვნა უნიკალურ შემთხვევად ითვლება.

ფრანგმა მეცნიერმა აღენ ბომბარდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ პირობებში ადამიანი, ძირითადად, შიშის გამო იღუპება. ცხადია, მას გამოუჩნდნენ ენერგიული ოპონენტები. აღენმა მათ გასაოცარი ექსპერიმენტით უპასუხა. ის ღია ოკეანეში ერთადგილიანი რეზინის ნავით გავიდა, არავითარი წყალი, არავითარი საკვები. ასეთ პირობებში სამოცდასამი დღე იმყოფებოდა! იკვებებოდა ნავში შემთხვევით ჩავარდნილი მფრინავი თევზებით, პლანქტონით. სასმელად იყენებდა წვიმისა და, რა საოცარიც უნდა იყოს, ზღვის წყალს. მას შეეძლო უფრო დიდხანს ყოფილიყო ოკეანეში, მაგრამ, როგორც ინტერვიუში იუმორით განაცხადა, მოსწყინდა, შხაპი და ჭიქა ყავა მოეწაფა.

რამი სჭირდება აბსოლუტურ გონს შიშის სიჭარბე, თითქოს გასაგებია. თუმცა, მაინც ჩნდება კითხვა: რატომაა სიჭარბე ზოგჯერ უკიდურესად დიდი ოდენობით? აქ, თითქოს ბუნებამ გადაამლაშა. რას იზამ? მაგ., ძალი თავისი ჭარბი ბალნით, ალბათ, ზაფხულში კომფორტულად ვერ გრძნობს თავს, მაგრამ ზამთარში? – ე.ი. აბსოლუტურმა გონმა იცის, რას აკეთებს.

ჭარბი ნეირონების რეზერვი, როგორც აბსოლუტურ გონთან კავშირის სისტემა, შეიძლება ნებისმიერი საჭიროებისას ამოქმედდეს და არ არის გასაკვირი, რომ სიყრმეში მორცხვი და ლიყიანი დემოსთენე უდიდესი ორატორი ხდება; რიჰარდ ვაგნერი ნოტების ჩაწერას მხოლოდ ოცი წლისა ახერხებს; ჰელმჰოლცის მასწავლებლები მის გონებაჩლუნგობაში ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი; ჯეიმს უაიტი და უოლტერ სკოტი სკოლაში დეგენერატებად ითვლებოდნენ; უოლტერ სკოტზე უნივერსიტეტში დაფიქსირებულია მისი პროფესორის აზრი: „ის სულელია, დარჩება სულელად ცხოვრების ბოლომდე“.

„შენ იქნები ჩვენი ოჯახის მუდმივი სირცხვილი“ – გამოუტანა დასკვნა ჩარლზ დარვინს მამამისმა.

ჰეგელის გონივრულობა არც გიმნაზიასა და არც თუბინგენის უნივერსიტეტში გამომჟღავნებულა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიღებულ დახასიათებაში მკაცრი, გამანადგურებელი ობიექტურობითა და ფიქსირებული: წესიერი, . . . ფილოსოფიაში თავი ვერ გამოიჩინა, ახასიათებს დაბალი იმპროვიზაციისა და მეტყველების უნარი. ის ამ პერიოდში საკუთარ მეგობრებს – ჰოლდერინს და შელინგს – ვერც შეედრებოდა. ჰეგელი აღიარებდა, – „მე შელინგის მხოლოდ მოწაფე ვარ“. ეს მაშინ, როცა შელინგი მასზე 5 წლით უმცროსი იყო და 23 წლის უკვე პროფესორი, წიგნის ავტორი და საკუთარი მიმართულების შემქმნელი გახლდათ. ჰეგელი მრავალი წლის განმავლობაში ოჯახის მასწავლებელი, ანუ რეპეტიტორი იყო.

მასზე შელინგი აღნიშნავდა, – ის ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აგროვებდა ცოდნას, როგორც ყირათიანი მეურნე, – ფენინგი-ფენინგზე, ამონაწერი-ამონაწერზე, ციტატა-ციტატაზე –

ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ჰეგელი თითქმის 50 წლის იყო, როცა ბერლინის უნივერსიტეტში მისთვის საკადრისი ადგილი მიუჩინეს.

ამის მიუხედავად, ზემოთ ნახსენებმა „დეგენერატებმა“ და „დაბალი იმპროვიზაციისა და მეტყველების უნარის“ მქონე ადამიანებმა ცივილიზაციის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს.

აი, რატომაა საჭირო ჭარბი ნეირონები; ეს უნიკალური მექანიზმია, რომელსაც ხელი მიუწვდება იმ საგანძურთან, რასაც აბსოლუტური გონის მიერ შექმნილ იდეათა ველს ვუწოდებთ.

აბსოლუტურმა გონმა ადამიანში უზარმაზარი შინაგანი რეზერვუარი შექმნა, რომელშიც შესაძლებელია წმინდა სასიცოცხლო ენერჯის დიდი რაოდენობით აკუმულირება. ეს ის ენერჯიაა, რომლის არსს ვერავითარი მიკრობიოლოგიური თუ ფიზიკური კანონებით ვერ ავხსნით. ჩვენ მხოლოდ მისი მეორადი გამოვლინების ბიოლოგიური და ფიზიკური ენერჯის მეტ-ნაკლებად შესწავლა და კანონზომიერების დადგენა შეგვიძლია.

წმინდა ენერჯია ქმნის ფარდობითობის თეორიას, მეხუთე სიმფონიას, ვაჟასა და გალაკტიონის პოეზიას . . . და ამას ვერავითარი მიწიერი კანონზომიერებით ვერ ახსნით. ჩვენ შეგვიძლია, ავხსნათ, როგორ მუშაობს როიალი, როგორ წარმოიქმნება სხვადასხვა სიხშირის ბეგრები, როგორ მუშაობს რეზონატორი, მაგრამ შეუძლებელია აიხსნას, თუ რა მოსდის ამ გაპრიალებულ ყუთს, როდესაც მას ოსკარ პიტერსონი, ან რისტერი მიუჯდება.

მართლაც, რატომაა, რომ ერთი გენიოსია, ხოლო მეორე – უბრალოდ, დეგენერატი (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით)?

თქვენ შეიძლება ტვინის ნორმალური მოქმედების დარღვევა გენეტიკური ან ინფექციური მიზეზით ახსნათ; მაგრამ როგორ ავხსნათ, როდესაც ერთი და იგივე ადამიანი დღეს საოცრად შედეგიანია (ფორმაშია), ხოლო გუშინწინ, მცდელობის მიუხედავად, ვერავითარი ფასეულობა ვერ შექმნა. ზოგჯერ, ყოველგვარი ახსნის გარეშე, ისეთ სისულელეებს ვაკეთებთ, რომ თვეობით განვიცდით და საკუთარ თავს დეგენერატს ვუწოდებთ (გადატანითი მნიშვნელობით).

რატომაა, რომ ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული ქალბატონი ხუთჯერ თხოვდება, როცა თითქმის სრულყოფა, ოჯახის შექმნას ვერ ახერხებს? ზოგიერთი, რომელსაც ლოგიკური აზროვნების ნასახი არ გააჩნია, ან პარლამენტარია, ან გამგებელი, როცა უამრავ განათლებულ და არაზარმაც პიროვნებას არსებობისთვის თავგანწირული ბრძოლა უხდება?

ერთადერთი, რითაც ზემოთ აღწერილი მოვლენები შეიძლება აიხსნას, თითოეულ ადამიანში არსებული უსაზღვრო პოტენციალია, რომელიც, რატომღაც, ზოგიერთებში „სიკვდილამდე“ შენარჩუნებული, ზოგიერთიდან კი უდროოდ იფანტება.

აქ იბადება ბუნებრივი კითხვები:

თუ ეს ასეა, არსებობს თუ არა, ერთი მხრივ, წმინდა ენერჯის პოტენციალის აკუმულირების, დაგროვების და მეორე მხრივ, ჩვენში არსებული ჭარბი დადებითი რეზერვის ამუშავების რაიმე შესაძლებლობა? აბსოლუტური გონი მხოლოდ გამორჩეულ პირებს ხომ არ აძლევს ამის საშუალებას?

– არა. აბსოლუტურ გონს, ღმერთს ყველა თანაბრად უყვარს.

რეზერვის ეფექტურად გამოყენების პრობლემა თვით სიტყვა რეზერვის არსში უნდა ვეძებოთ. სიტყვა რეზერვი, როგორც ცნება, შეიცავს მნიშვნელოვან არსს – რაც რეზერვშია, ის მდგრადი, დაცული უნდა იყოს – არ დაიშალოს, არ გაფუჭდეს . . . – მართლაც, თუ თქვენ საკვების შენახვას, რეზერვირებას აპირებთ, აუცილებელია ის დაზიანებისგან შეძლებისდაგვარად საიმედოდ დაცვათ.

უფრო ნათლად, როგორც ცნობილია, ნიტროგლიცერინში უდიდესი ენერჯიაა ჩადებული, თუმცა, მისი ასაფეთქებელ ნივთიერებად გამოყენება თითქმის შეუძლებელია. მის ასაფეთქებლად უმნიშვნელო ბიძგიც კი საკმარისია, ამიტომ მისი რეზერვირება საკმაოდ დიდი პრობლემა იყო.

გამოყენებადია მხოლოდ ისეთი ასაფეთქებელი მასალა, რომელიც შეიძლება მდგრად მდგომარეობაში დიდი ხნით შევიინახოთ. ეს მოახერხა ალფრედ ნობელმა, როდესაც ნიტროგლიცერინი

თეთრ თიხაში აურია და ღინამიტი მიიღო (ღინამიტი ბიძგით არ ფეთქდება). პირველმა მან შექმნა დიდი ენერგიის აკუმულირების შესაძლებლობა (სწორედ, მისი წარმოებით იშოვა ის უდიდესი თანხა, რომლის ნაწილი მისი სახელობის პრემიაზე დღესაც გაიცემა). ეს გამოგონებაც კი საკმარისად საიმედო არ აღმოჩნდა. დღესდღეობით მიმდინარეობს მხოლოდ ისეთი ასაფეთქებელი მასალების ძიება, რომლის ენერგია (მიაქციეთ ყურადღება) კრისტალურ სტრუქტურაში, მონოლითშია კონცენტრირებული.

დღევანდელი ასაფეთქებელი მასალები, როგორც აღვნიშნეთ, ისეა რეზერვირებული, რომ არც ბიძგით, არც გათბობით არ ფეთქდება. მაგრამ საკმარისია მასალაში შევიტანოთ სხვა ასაფეთქებელი მასალა, თუნდაც მცირე რაოდენობით (მაგ. ღენთი) და მოვახდინოთ მიკროაფეთქება (დეტონაცია), რომ ღინამიტი ფეთქდება, ანუ მასში აკუმულირებული უზარმაზარი ენერგიის მყისიერი გათავისუფლება ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, აბსოლუტურმა გონმა იცის, რა გააკეთოს. ადამიანში დაგროვილი ჭარბი შემოქმედებითი ენერგია იმეორდება შენახული, რომ ის ჩვეულებრივი ბიძგით, ზვეწით, ბრძანებით არ „ფეთქდება“, მას „დეტონაცია“ სჭირდება.

მხოლოდ უდიდესი სურვილი, მიზნისკენ უდიდესი სწრაფვა, გააზრებული ნებისყოფა, ანუ ენტილექტურ-პასიონარულიობა ასრულებს „დეტონატორის“ როლს; „აფეთქებული“ ენტილექტურ-პასიონარი კი უკვე ტრანსცენდენტულია.

სწორედ, ამით შეიძლება აიხსნას ვაჟას, გალაკტიონის, მიქელანჯელოს . . . შემოქმედება.

ამრიგად, ადამიანის შინაგანი ამაღლებული შემოქმედებითი ენერგია რომ აშუშავდეს, საჭიროა „დეტონაცია“, „აფეთქება“. ამ დროს უზარმაზარი შემოქმედებითი ენერგეტიკული პოტენციალი, რეზერვი თავისუფლდება.

თავისთავად ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ამოცანა.

ასლა კი, პირველადი იმპულსისათვის საჭირო შინაგანი ენერგიის გამოთავისუფლების პრობლემა, ანუ „დეტონატორის“ შექმნას შეეხებოთ. ჩვენი აზრით, ამ პრობლემაში გასარკვევად ადამიანის აურის ფენომენი უნდა განვიხილოთ.

დავუკვირდეთ, რა ხდება – ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ ობიექტს, ძირითადად ბიოლოგები და მედიკოსები იკვლევენ. ფიზიკოსები და ქიმიკოსები კი შეისწავლიან იმ გარემოს, რომელშიც ადამიანს უხდება არსებობა; მაგრამ არის უმნიშვნელოვანესი, უფაქიზესი, დამცავი, ადამიანის სხეულისა და გარე სამყაროს გამყოფი ფაზა, რომლის შესწავლა ყურადღების მიღმა რჩება. ეს საოცარი გარემო, ადამიანისა და სამყაროს ასტრალურ ველებს შორის უთხელესი, ზეფაქიზი საზღვარია, მთელ სამყაროსთან საკონტაქტო ფენაა.

ადამიანებმა საუკუნეების წინ მოუძებნეს ამ ფენას სახელი – აურა. აურა პირველია, რაც ადამიანისკენ წამოსულ ყველა სახის გამოსხივებას, რიტმს აღიქვამს და უკანასკნელი, რაც ადამიანში აკუმულირებულ უზარმაზარ შინაგან პოტენციალს აკავებს. დიან, ესაა, ჩვენ მიერ აღწერილი, აქტიურად დამცავი „ფილტრი-სარკე“, რომლითაც არა მარტო შემოდის ჩვენში გარე სამყაროს რიტმები, არამედ, ასევე მისი გავლით, ადამიანიდან მასში არსებული ენერგია მთელ სამყაროში გაედინება. ეს გასაგებია, რადგან ადამიანსა და კოსმოსს შორის რიტმთა ურთიერთკავშირი უნდა ხდებოდეს. □

რაც ნაკლები ყურადღება ექცევა მეცნიერთა მხრიდან აურას, მით მეტად ივსება მის შესახებ წარმოდგენა მისტიკითა და ლეგენდებით.

მას კაცობრიობა წმინდანთა ხატებზე შარავანდელით გამოსახავდა.

სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც აღვნიშნეთ, ვიბრაციისადმი, რხევებისადმი, რიტმისადმი, ჰარმონიისადმი საოცარი მიდრეკილება აქვს. სინათლე, ბგერა, ზღვის ტალღები, დღე-ღამის ცვალებადობა – ყველაფერი რხევაა. უწყვეტი ელექტრომაგნიტური რხევა სიცარიელეში

– ვაკუუმშიც მიმდინარეობს, აბსოლუტურ ნულზეც ე.წ. ნულოვანი რხევები გვაქვს. ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს, მაგრამ ძლიერ „უყვარს“ რიტმი. ყველა დიდი მეცნიერის, მათ შორის ალბერტ აინშტაინის, ოცნება იყო რიტმით მრავალსახეობის გაერთიანება – „დიდი“ გაერთიანების შექმნა.

მოაზროვნე ადამიანი ამ საოცარ ფენომენზე დასაბამიდან ფიქრობდა.

უკვე ანტიკურ ეპოქაში თვლიდნენ, რომ რიტმითაა გაჟღერებული მთელი სამყარო.

რენესანსის ეპოქაში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ რიტმი რაღაც ამაღლებულ საიდუმლოს შეიცავს. მათ სწამდათ, რომ რიტმს ჯადოსნური ძალა აქვს და მისი შემცველი არ არსებობს.

“ის საშუალებას გვაძლევს დავიჯეროთ, რომ უღიადესი ჩვენ გვეკუთვნის“ (გოეთე).

„რიტმი ყველაზე საოცარ საიდუმლოთა რიცხვს მიეკუთვნება“ (შელინგი).

ცოცხალ ბუნებაში რიტმითა უსასრულო სიმრავლეა: სუნთქვა, გულის ძგერა, სიარული – ეს არის ბიოლოგიური რხევების ხილული გამოვლინება, რომლის უკან რიტმული პროცესების უსასრულო რაოდენობა იმალება და არა აქვს მნიშვნელობა, ევოლუციის რა საფეხურზე იმყოფება კონკრეტული ცოცხალი ობიექტი.

წყდება რიტმი, წყდება განვითარება, არსებობა. განვითარებაც რიტმია. რიტმის შეცვლა სხვა ხარისხობრივ მდგომარეობაში გადასვლას ნიშნავს.

როდის ხდება ეს? – მაშინ, როცა ადგილი აქვს ორი რიტმის, ორი განსხვავებული ასტრალური ველის შეხვედრას. ამ დროს ან ორივე სუსტდება, ან შევსება-გაძლიერება, რეზონანსი ხდება, ერთი იმარჯვებს მეორეზე ან პირიქით.

განსაკუთრებული ყურადღებით განვიხილოთ კიდევ ერთი, თითქოს შეუმჩნეველი, მოვლენა: ერთი მიზნით გაერთიანებული ჯგუფის რიტმის ზეგავლენა პიროვნებაზე. **ჯგუფის შემადგენელ ინდივიდთა უამრავი ვიბრაციებიდან იკვეთება ერთი მაღალი ინტენსივობის მქონე რიტმი. ეს მაშინ ხდება, როცა ჯგუფის წევრები საერთო მიზნით, ერთი პროცესით, ერთი ინტერესით არიან დაკავშირებულნი.** ჯგუფის ამ რიტმს იგრძნობთ ეკლესიაში, სინაგოგაში, მეჩეთში, სამეცნიერო კონფერენციაზე . . .

ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ის მიზანმიმართული რიტმი, რომელიც საკურთხეველიდან, მომხსენებლის კათედრიდან, სცენიდან მოდის. არა. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ რიტმზე, რომელიც ახასიათებს ერთი კონკრეტული მოვლენის აღქმით დაკავებულ ინდივიდთა ჯგუფს – მლოცველებს, სემინარის მსმენელებს. . .

განვიხილოთ, საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, სადაც არც საკურთხეველია და არც სცენა. იქ მყოფი ადამიანები შემეცნებით არიან დაკავებულნი. შესაბამისად, დარბაზი გაჟღერებულია შემეცნებისთვის დამახასიათებელი რიტმით. იქ შემთხვევით მოხვედრილ სუბიექტს უჩნდება ბუნდოვანი, მისთვის ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი სურვილი, რაღაც წაკითხოს, რაღაც გაიგოს . . . ის მოკრძალებულად იქცევა, ხმადაბლა ლაპარაკობს, ფრთხილად გადაადგილდება და აზრადაც არ მოსდის, რომ ის მკითხველთა ჯგუფიდან წამოსულ უხილავ რიტმს ემორჩილება.

ასევე მიაქციეთ ყურადღება, როგორ იქცევა ეკლესიაში შემთხვევით მოხვედრილი სუბიექტი, როცა იქ არავინაა და როცა იქ მლოცველები არიან. პირველ შემთხვევაში მისი ქცევა შედარებით თავისუფალია, იგი თამამად გადაადგილდება, ნივთებს ეხება . . . მეორე შემთხვევაში მის ქცევას მლოცველთა რიტმის ზეგავლენა განაპირობებს – ის მოწიწებით იხელება აქეთ-იქით, შეიძლება პირჯვარიც კი გადაიწეროს.

აღწერილი შემთხვევის განხილვას, ერთი შეხედვით, არც თუ ისე უცნაურ დასკვნამდე მივყავართ: საერთო მიზნის მქონე ჯგუფის რიტმს შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს სუბიექტზე – მისი რიტმი დროებით მაინც შეცვალოს.

ერთი მიზნით გაერთიანებული ჯგუფის საერთო რიტმი გაცილებით ძლიერია ერთი ინდივიდის რიტმზე. ის, სიმძლავრიდან გამომდინარე, ადვილად აღწევს ინდივიდის აქტიურად დამცავ ფილტრ-სარკეში.

ფილტრი-სარკე არა მარტო ამრეკლავი, არამედ გამტარიცაა; მაგ. სარკისებრი მზის სათვალეები. ასეთ სარკეს ვიხილავთ ინდივიდუალურ აქტიურად დამცავი სარკის მოდელად.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანს ღვთისგან ჭარბად აქვს მინიჭებული ყველაფერი, რაც სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანია. აქ იგულისხმება შინაგანი სასიცოცხლო ენერჯია და ამ ენერჯიის მართვის მექანიზმი – ფსიქიქის სიმძლავრეც.

ზოგიერთ ადამიანში შინაგანი წმინდა ენერჯიის აკუმულირება, ანუ დაგროვება ვერ ხერხდება. შესაბამისად, მისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობა, ექსტრემალურ პირობებში სამუშაოდ მზად არ არის. ამ ენერჯიის დასაგროვებლად მას ძილისა და დასვენებისთვის გამოყოფილი დრო არ ჰყოფნის. ის კარგავს აქტიურობას. შესაბამისად, მას რაიმე მნიშვნელოვანის შექმნის უნარი არ გააჩნია. ასეთი ადამიანი ღებრესიაში ვარდება. ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ყველაფერს ახერხებს, ფულის შოვნიდან დაწყებული, ფარდობითობის თეორიის შექმნით დამთავრებული.

ინდივიდუალური აქტიურად დამცავი სარკის, აურის ფუნქციაა, ადამიანის ნებისმიერი არასასურველი გარეშე რიტმისგან დაცვა და მხოლოდ პოზიტიური რიტმის გატარება – სიცოცხლის წმინდა რიტმიდან დაწყებული, მზის ენერჯიისა და თქვენდამი კეთილად განწყობილი ადამიანის მიერ გამოსხივებული რიტმით დამთავრებული; თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი აურა არასრულყოფილია და ხშირად ნეგატიურ რიტმებსაც ატარებს.

ყველა ბიოლოგიური ობიექტი და რა თქმა უნდა, ადამიანიც „პატარა სიცოცხლეების“, ანუ უჯრედების ურიცხვ რაოდენობას შეიცავს. უჯრედში ცვლილებები თითქმის შეუმჩნეველი ელექტომანტიური მოვლენების თანხლებით მიმდინარეობს. ადამიანის მსგავსად, უჯრედები იბადებიან, ვითარდებიან, მრავლდებიან, იღუპებიან. მათაც აქვთ ფიზიკურ-ბიოლოგიური მახსოვრობა (დნმ) და რაც მთავარია, „ისიც“, რაც ჩვენი ცნობიერების მიღმაა.

ჩვენი ცნობიერი მაგ. ჭრილობას ტკივილით, ნერვული სისტემის მეშვეობით აღიქვამს. უჯრედები მომენტალურად გრძნობენ, რომ ტრავმისას მათი რაოდენობა შემცირდა და ცდილობენ ქსოვილის საწყისი მდგომარეობა აღადგინონ.

ფიზიკურ-ბიოლოგიური მახსოვრობის დაზიანება უჯრედის გადაგვარებას – მის „შიზოფრენიკად“ ჩამოყალიბებას – იწვევს (ასეთი შიზოფრენიკების მომრავლების შედეგია მაგ., ონკოლოგიური დაავადება). ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება ირღვევა. როგორც აღვნიშნეთ, მთელი ეს პროცესები რიტმის თანხლებით მიმდინარეობს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს შემადგენელ უჯრედებს, „პატარა სიცოცხლეებსაც“ გააჩნიათ აქტიურად დამცავი „პატარა ფილტრი-სარკეები“.

მსგავს პროცესს სოციუმშიც შევხვდებით, ამას ჩვენ სოციალური სისტემის მოშლას ვუწოდებთ. მთელის ნაწილებად დაშლა სწორედ მაშინ იწყება, როდესაც სოციუმში არამართვადი წრებრუნვა მკვიდრდება. დაშლის მამოძრავებელ ძალას კი ასინქრონული ნაწილების ინდივიდუალური ენერჯიების ზრდა წარმოადგენს. რომელიმე ნაწილის ენერჯიის მკვეთრი ზრდა კავშირის გაწყვეტას იწვევს. ამ ნაგლეჯის თავისუფალი ენერჯია კავშირის გაწყვეტაზე იხარჯება და შესაბამისად, მცირდება. მიიღება მრავალი ნაწილისგან შემდგარი ნანგრევების გროვა – ქაოსი. ალბათ, მიხვდით, რომ აქ ჩვენს მიერ აღწერილი სოციალური აქტიურად დამცავი ფილტრი-სარკეები, როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად მოქმედებს.

უჯრედი შეკრული, დამოუკიდებელი ელემენტია, მას ქმედების მექანიზმის საკუთარი კანონები აქვს, ანუ ის ჩვენი ცნობიერებისგან გამიჯნულია, თუმცა, არაცნობიერს ექვემდებარება. უჯრედები მუდმივ მოძრაობაში არიან – ერთიანდებიან, იშლებიან, „კეთილ სიცოცხლეში“ ნეგატიური – „ბოროტი სიცოცხლის“ შეჭრას (ვირუსებს) ებრძვიან. უჯრედი – ეს ის მასალაა, რომლითაც ნებისმიერი ჩვენგანია აწყობილი. ამიტომ, ჩვენ ერთმანეთს უნდა ვგავდეთ. ამის მიუხედავად, ზოგი

ადამიანი აქტიურია, ზოგი – არა, ზოგი გენიოსია, ზოგი – იდიოტი . . . ეს იმ დროს, როცა „სიჭარბის პრინციპიდან“ გამომდინარე, ყველა ჩვენგანი შინაგანი ენერჯის უსაზღვრო შესაძლებლობით, პოტენციალითაა დაჯილდოებული. რადგანაც ადამიანის შინაგანი ენერჯის მიღება-გადინება ხდება, უნდა არსებობდეს ამ ენერჯიათა ენერგეტიკული ბალანსიც.

ღვათებრივი სამყაროდან მოსულმა წმინდა რიტმმა შექმნა ადამიანი. ალბათ, ეს იგულისხმება წმინდა წერილებში ნახსენებ „სიცოცხლის სუნთქვა“-ში – რაც ღმერთმა ადამს ასტრალური ველის გავლით შთაბერა; რომელსაც ინდუსები „ჯივა“-დ – სიცოცხლის კვანტების გამტარ არხად – აღიქვამენ . . .

თავისთავად ცხადია, რათა ადამიანისგან ამ ენერჯის გადინება, გაფანტვა არ მოხდეს, საჭიროა მისი დაცვა. სწორედ, აურის, როგორც ერთერთი აქტიურად დამცავი სარკის, ერთ-ერთი ფუნქციაა ნეგატიური რიტმების შეძლებისდაგვარად არეკვლა (შეკავება) და ადამიანში პოზიტიური რიტმების შეშვება, ე.ი. ის ორმაგი, სეპარაციული (რიტმების განსხვავების უნარი) სარკე-ფილტრის როლს ასრულებს. სწორედ, სარკის ამ თვისებაზეა დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლის ქმედითუნარიანობა, ტრანსცენდენტულობა, ენტელექიურობა, პასიონარიზმი და, რა თქმა უნდა, გულგრილობაც.

მართლაც, დაუკვირდით, თუ „სარკე“ დაზიანებულია, არასრულყოფილია, ანუ მისი სეპარაციის უნარი დაქვეითებულია, მაშინ შესაძლოა ადამიანში გარედან ნეგატიური რიტმები შემოიჭრას, ხოლო შიგნიდან გაედინოს პოზიტიური სასიცოცხლო ენერჯია. ასეთ ადამიანს აქტიურობა, აზროვნება დაქვეითებული აქვს. შედეგი კი გაუნათლებლობა და სისულელეა, რომლის მასლობლად ამაზრუნენ გულგრილობასაც იპოვიან. იგი გულგრილია არა მარტო სხვის მიმართ, არამედ საკუთარი შემოქმედების უნარის მიმართაც.

როგორ გავხდეთ აქტიური, შემოქმედი, როგორ გავაძლიეროთ აურა?

ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ გავზარდოთ აურის, სარკის სეპარაციულად დამცავი ფენის როლი. მართლაც, როგორ მოვახერხოთ, რომ ნეგატიური რიტმების მიმართ აურა „ფოლადივით მტკიცე“ გახდეს და გაატაროს – პოზიტიური.

უმრავლესობის აურა სუსტია. ასეთებზე უარყოფითად იმოქმედებს, მაგალითად, გარემოს რხევები: ატმოსფერული წნევის ცვალებადობა, ამინდი, გარემოს ტემპერატურა, აგრეთვე, მის გარშემო მყოფი სხვა ინდივიდების არაკეთილი ზრახვების რიტმი.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანთა ჯგუფური რიტმი გაცილებით ძლიერია ინდივიდის რიტმზე; ამიტომ, საკმარისია დაქვეითებული აქტივობის ადამიანი ჯგუფის ამაღლებულ რიტმთა ველში მოხვდეს, რომ მისი აურის თვისებების გაუმჯობესება იწყება. ჯგუფური რიტმიდან შესული დადებითი ენერჯია გაცილებით აღმატება ინდივიდიდან გამოძვალ ენერჯიას. ამრიგად, ბალანსი დადებითი პროცესის სასარგებლოდ ირღვევა. მიღებული ენერჯია, უპირველესად, ბიოლოგიური არსებობისათვის საჭირო რეზერვუარს ავსებს; და იწყება ყველაზე საინტერესო – სად უნდა წავიდეს დანარჩენი, ჭარბი რიტმი, რაც მოდის ჯგუფიდან?

არის, თუ არა ადამიანში ისეთი რეზერვი, რომელიც ბიოლოგიური არსებობისათვის საჭიროზე მეტ რიტმს მიიღებს? – არის. ეს ის უდიდესი რეზერვუარია, რასაც ადამიანის გონს, ცნობიერებას, ინტელექტს ვუწოდებთ. მას განუსაზღვრელი ენერჯის მიღების საშუალება გააჩნია. აი, სწორედ, ეს რეზერვი იხსნება და ადამიანში შემოქმედებითი ამაღლება იწყება.

ადამიანთა ისტორიაში ასეთი ამაღლების უამრავი გასაოცარი ფაქტია. ამის ნათელი მაგალითია ცნობილი მეცნიერი ავოგადრო (ავოგადროს რიცხვი). ის პროფესიით ფიზიკოსი არ იყო, იურისტი გახლდათ. ავოგადრო შემთხვევით მოხვდა ტრანსცენდენტულ-ენტელექიური ფიზიკოსების მძლავრ რიტმულ ველში და, უმოკლეს დროში შექმნა ისეთი შედეგები, რომელიც კვანტური ფიზიკის განვითარებას დაედო საფუძვლად.

ასევე, გოგენი პროფესიით მხატვარი როლი იყო, მაგრამ იმპრესიონისტების რიტმმა ის უღიადეს მხატვრად აქცია. წარმოიღვინეთ, რა ეფექტს ექნება ადგილი, თუ ინდივიდის რიტმი ჯგუფისას ემთხვევა.

ამრიგად, ერთი მიზნით შეპყრობილ ადამიანთა ჯგუფური, მძლავრი, დადებითი რიტმის ზეგავლენით კონკრეტული ადამიანის ენერგია იზრდება; ის, თითქოს, „შიგნიდან აწვება“ ინდივიდუალურ აურას და მის სიმკვრივეს, სიმტკიცეს განაპირობებს. ვითარდება პოზიტიური რიტმების მიღება-შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი თვისება და იზრდება ენერგიის დაგროვების ალბათობაც. დგება ისეთი მომენტი, როდესაც ის ჩვენს რეზერვს ავსებს; ირთვება უნიკალური შემოქმედების დამბადებელი მექანიზმი; შედეგად, იქმნება „მერანი“, „ხმელი წიფელი“, სვეტიცხოველის ტაძარი, „ფაუსტი“, . . .

ასლა, მოკლედ შევეხოთ გულგრილ ადამიანებს.

გულგრილთა ჯგუფს ამაღლებული მიზანი არ გააჩნია, თუმცა, მათი რიტმის გავლენაც პალა-დინის რიტმების მსგავსად ხდება.

სამწუხაროდ, ჩვენ ვიმყოფებით განვითარების იმ ეტაპზე, სადაც საერთო სურვილით გაერთიანება უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთი აზრის გარშემო გაერთიანება; სურვილით გაერთიანება ენერგიის ხარჯვის გარეშე მატერიალური ფასეულობების მოპოვებასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ადგილი აქვს სურვილის, ორი განსხვავებული რიტმის შეჯახებას, მიზნის გაორებას: პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ენერგიის ხარჯვის გარეშე სიმდიდრის მოპოვება და მეორე, უფრო ძლიერი სურვილი – მოპოვებულიდან დიდი ნაწილის მითვისება. ეს უკანასკნელი რიტმი, ეგოდან გამომდინარე, იმდენად ძლიერია, რომ ამ მიზნის მისაღწევად ისინი ერთმანეთის განადგურებასაც არ ერიდებიან.

გაორებული მიზანი დამარცხება.

შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ ისეთი ადამიანები, რომელთა ინდივიდუალური აურა ძლიერ დასუსტებულია. მათ სასიცოცხლო პოტენციალის შესავსებად ენერგიის მიღება მუდმივად სჭირდებათ. ასეთი ადამიანი შეიძლება შევადაროთ პარაზიტს, რომელიც შანსს არ უშვებს ხელიდან არსებობისათვის საჭირო ენერგია, რიტმი სხვის ხარჯზე შეივსოს. მათ ენერგოვამპირებს უწოდებენ.

იმისთვის, რომ ენერგოვამპირმა ენერგია ვერ წაგვართვას, საჭიროა ჩვენი ინდივიდუალური აურის გაძლიერება. პალადინთა ველში ენერგოვამპირი თავს არაკომფორტულად გრძნობს; ის მათ ენერგიას ვერ ართმევს; პალადინებს მტკიცე აურა აქვთ, რაც „ნეგატიური სიცოცხლის“ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას აძლევს. ენერგოვამპირი მალევე ხვდება, რომ მათგან „ხერს“ ვერ მიიღებს და სხვა მსხვერპლის საძიებლად გარბის.

ჩვენი ორგანიზმი დაუსრულებლად აფრქვევს „სიცოცხლის“ პორციებს – კვანტებს, რომელიც ბუნებას ერწყმის, ან აძლიერებს, ან ასუსტებს მას. შესაბამისად, თუ გამოსხივებული „სიცოცხლის“ რიტმი, გამოსხივების მიმღები ობიექტის რიტმს ემთხვევა, მიმღები ობიექტის სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება.

ცხადია, თქვენდამი კეთილად განწყობილი ადამიანის რიტმი თქვენი დადებითი ემოციების რიტმს აძლიერებს. ეს კი, ადამიანისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ალბათ, მარტივად შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ უარყოფითად მოქმედებს თქვენზე თქვენდამი ბოროტად განწყობილი ნაცნობი, თუ უცნობი ინდივიდის რიტმი. ერთი ასეთი სუბიექტის შორიდან შემოხედვაც კი საკმარისია, რომ ხასიათი მთელი დღით გაგიფუჭდეთ და იმ დღეს არაფერი გამოგივიდეთ. თუ ადამიანის ინდივიდუალური აურის მახასიათებლები შესუსტებულია, ის ბოროტ, არასასურველ რიტმს წინააღმდეგობას ვერ უწევს. ასეთი რიტმის ნაწილი დასუსტებული ინდივიდუალური აურის გავლას, დაზიანებას ახერხებს და შინაგანი ენერგიის გადინება, დაქვეითება იწყება.

ამრიგად, აურის დასუსტება შეიძლება მოხდეს ორი გზით: დაზიანებული აურიდან თქვენი შინაგანი ენერგიის გადინებით, ან თქვენში შემოსული უარყოფითი ველის ურთიერთქმედებით თქვენს სასიცოცხლო შინაგან ველთან.

უმთავრესია, როგორ განვამტკიცოთ აურის დაცვის მექანიზმი. როგორც აღვნიშნეთ, განმარტობა, დასვენება ან ძილი ინდივიდუალური აურის გაძლიერებისთვის არასაკმარისია. რჩება ერთადერთი გზა – შინაგანი სასიცოცხლო ენერჯის, ანუ ტრანსცენდენტულ-ენტელექიურ-პასიონარული თვისებების ამაღლება.

მართლაც, დაუკვირდით, განა პალადინები ბოროტი ადამიანების ნეგატიური რიტმებით არ არიან გარემოცულნი? – ღიახ, რა თქმა უნდა. აქტიურ ადამიანს ხომ უფრო მეტი მოშურნე ჰყავს, ვიდრე გულგრილს; თუმცა, პალადინზე ნეგატიური რიტმი დიდ გავლენას ვერ ახდენს.

ადამიანთა ურთიერთობებში, ექსტრემალურ პირობებში, თავს იჩენს ერთობ საინტერესო მოვლენა, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

განვიხილოთ ორი დაპირისპირებული, პოზიტიური და ნეგატიური რიტმების კონფლიქტი, რომლის დროსაც მაგ., პასიონარის შინაგანი ენერჯია, ნებისყოფა თითქმის უსაზღვროდ იზრდება. გავიხსენოთ ჯალათისა და მისი მსხვერპლის (ინკვიზიცია და ჯორდანო ბრუნო) ან კიდევ, გესტაპოსა და „SS“-ის ხელში ჩაგარდნილ პასიონარ ადამიანებს შორის დამოკიდებულება. თითქოს არაფრით განსხვავებული პიროვნების ნებისყოფა იმდენად ძლიერდებოდა, რომ ის არაადამიანურ ტანჯვას უძლებდა.

შევეცადოთ ეს მოვლენა რიტმთა თეორიით ავსენათ.

ამისათვის, ფიზიკური სარკის (ჩვეულებრივი სარკის, გაპრიალებული ზედაპირის) ზოგად თვისებას შეგახსენებთ. განვიხილოთ საგანი და მისი ანარეკლი; ისინი ურთიერთშებრუნებულია, თქვენი მარჯვენა ხელის ანარეკლი მარცხენაა. სარკე სიმეტრიის ღერძის ფუნქციას ასრულებს. სიმეტრია ბუნების, სიცოცხლის უეჭველი, განუყოფელი მახასიათებელია. სიმეტრიის ხილული, ნათელი მაგალითებია: ფოთოლი, თოვლის ფიფქი, . . .

ახლა წარმოიდგინეთ ორი, აბსოლუტურად საპირისპირო, ანუ ორი „შებრუნებული“ (დადებითი და უარყოფითი) პასიონარი, ურთიერთდაპირისპირებული მიზნით შეპყრობილი ადამიანი. თითქოს, მათ შორის სარკეა და ისინი ამ სარკის – „სიმეტრიის ღერძის“ – სხვადასხვა მხარეს იმყოფებიან. თითოეულ მათგანს საკუთარი აურა აქვს და ეს „სიმეტრიულ სარკულ ანარეკლთა სისტემას“ ქმნის, რომლის ასახსნელადაც შეგახსენებთ ლე შატელიეს პრინციპს:

თუ სისტემა გარეგან ზემოქმედებას განიცდის, ამ ზემოქმედების გავლენით, სისტემაში გარეგანი ზემოქმედების მოწინააღმდეგე ძალა სტიმულირდება.

უფრო მარტივად: I პასიონარი განიცდის მისი მოწინააღმდეგის II პასიონარის ზეგავლენას და I-ში სტიმულირდება წინააღმდეგობის ძალები, ანუ მისი შინაგანი ენერჯია იზრდება, აურა მტკიცე ხდება.

განვიხილოთ ჯალათი და მისი მსხვერპლი, მაგ. ჯ. ბრუნო და ინკვიზიტორი, ანუ ამაღლებული ენტელექიურ-პასიონარი და გულგრილი პასიონარი. ამ ექსტრემალურ პირობებში ორივე გამოიმუშავებს შინაგან ენერჯიას და „სიმეტრიის სარკული სისტემით“ ორივეს ეს ენერჯია უკან უბრუნდება. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი დამატებითი, გამომუშავებული და უკან დაბრუნებული ენერჯიის მიმღები რეზერვუარი ჩვენი გონებაა, მაგრამ გონება ამ ენერჯიას მაშინ იღებს, თუ მას ამ ენერჯიის, ასე ვთქვათ, „მიღება-გადაამუშავება“ (ამაღლება) შეუძლია.

სასტიკ ექსტრემალურ პირობებში შემოქმედება აზრს მოკლებულია (ვერავითარ მუსიკას ვერ შექმნის მოცარტი, თუ მას შუბლზე გახურებული უთო აქვს მიღებული). ამ შემთხვევაში ერთგება მეორე, უნიკალური რეზერვი, რასაც ნებისყოფა ჰქვია. ცხადია, ნებისყოფის რეზერვუარს შეუძლია მიიღოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რხევები, რიტმი. ასევე, რა თქმა უნდა, არსებობს ბოროტი რიტმების მიმღები რეზერვუარი, მაგალითად, ნარკოტიკების, ალკოჰოლის, პათოლოგიისა და სხვა რიტმების მიმღები რეზერვუარი. ისიც ცხადია, რომ ამ რეზერვუარების მომეტებული ტევადობა ადამიანში ნებისყოფის ტევადობის სიმცირეზე მიგვანიშნებს. როდესაც ამ ორ პასიონარს შორის დაპირისპირება მაქსიმუმს აღწევს და „სიმეტრიული სარკული სისტემა“ უკან უბრუნებს

ორივეს გამოძევაზე უნდა ვიფიქროს, მაშინ ეს ენერგია გადადის, ბრუნის შემთხვევაში, მისი ნებისყოფის რეზერვუარში და მისი ნებისყოფა პერმანენტულად იზრდება. ის მართლაც, ფოლადივით მტკიცე ხდება. ჯალათში კი პათოლოგიის რეზერვუარი ივსება და ეს რიტმი აქვეითებს განსჯის, ლოგიკის, ზნეობის რიტმებს.

შესაბამისად, ბრუნის ნებისყოფა მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო მატულობდა მისადმი ზიზღით გაუღენთილი ინკვიზიტორების აგრესია.

ამრიგად, ენერგია ბრუნის შემთხვევაში ნებისყოფის, ხოლო ჯალათის შემთხვევაში კი პათოლოგიის რეზერვუარებში აკუმულირდება და ამ უკანასკნელის ფსიქიკის დარღვევას იწვევს.

ეს, დიდი ხანია, მშვენივრად იციან ჯალათებმა და შეძლებისდაგვარად იცავენ თავს. მაგ., სიკვდილმისჯილს თვალზე სახვევს აკრავენ არა იმიტომ, რომ მან მისკენ მიშვერილი ცეცხლსაროლი იარაღის ლულა არ დაინახოს, არამედ იმიტომ, რომ ჯალათმა არ დაინახოს მსხვერპლის თვალები. დიახ, ჯალათსა და მსხვერპლს შორის მიმდინარეობს სასტიკი ფსიქოლოგიური ბრძოლა, რომელიც უფრო დიდი შინაგანი ენერგიის მქონე მხარის გამარჯვებით თავდება.

ამ შემთხვევაში, მსხვერპლს ერთი „უპირატესობა“ ახასიათებს – ის გრძნობს, რომ განწირულია და წინააღმდეგობის გასაწევად, მთელი პოტენციალის, რეზერვის მობილიზაციას ახდენს; ჯალათის „სიბეჯით“ კი შემოსაზღვრულია, ის შეიძლება დაიღალოს და დაავიწყდეს, რომ ჯალათია.

შესაბამისად, ბრუნის ნებისყოფა მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო მატულობდა მისადმი ზიზღით გაუღენთილი ჯალათის აგრესია და, პირიქით.

ასეთი ამალგებულები, შემდგარი ადამიანის ფიზიკური განადგურება შეიძლება, მაგრამ მისი „გატეხვა“, დამარცხება შეუძლებელია.

ღირსეული ადამიანი დაუმარცხებელია!

“ადამიანი დამარცხებისთვის არ არის გაჩენილი; ადამიანი შეიძლება მოსპოთ, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია!” (ერნესტ ჰემინგუეი)

ასეთივე შენიღბული „სარკეთილი სისტემა“ ალპინისტსა და მყინვარს, მეზღვაურსა და ოკეანეს შორის, რაც ალპინისტისა თუ მეზღვაურის გასაოცარ უღრეკ ნებისყოფას ავითარებს. რა საშიშროებასაც არ უნდა შეიცავდეს მყინვართან შერკინება, არ არსებობს მიზეზი, რომ ალპინისტმა მისი დალაშქრა გადაიფიქროს.

ნაკლებად ექსტრემალურ მდგომარეობას დაუვებუნდეთ, სადაც შური სრული მრავალფეროვნებით გვევლინება.

როგორ გგონიათ, მსახიობ ბარბარა სტრეიზანდს მოშურნენი არ ჰყავდა? მათთვის ხომ მისი ფინანსური მდგომარეობაც საკმარისია, რომ მისი ნიჭი ბოროტი რიტმებით ჩაახშონ? ბარბარას ირგვლივ, ალბათ, უამრავი დაბოღმული კოლეგა არსებობდა შესაბამისი უარყოფითი რიტმებით; მაშ, როგორ შეინარჩუნა ბარბარამ შინაგანი ენერგია და ასეთ თავბრუდამხვევ წარმატებას როგორ მიაღწია?

ამ მხრივ, ფილოსოფიის ისტორიაც არაა გამონაკლისი.

სპინოზას აზრი დეკარტეზე – დეკარტეს საბუნებისმეტყველო პრინციპები, აბსურდულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, უსარგებლოა.

ჯონ ტოლანდი სპინოზაზე – სპინოზას მთელი სისტემა არა მარტო შეცდომაა, არამედ საერთოდ უსაფუძვლოა.

კანტი ფიხტეზე – ფიხტეს მეცნიერება აბსოლუტურად არშემდგარი სისტემაა.

გოტფრიდ ბენი – ჰეგელი, დარვინი, ნიცშე მილიონობით ადამიანის მკვლელობის მიზეზები არიან.

არტურ შოპენჰაუერი – ჰეგელს არა მარტო არ მიუძღვის რაიმე დამსახურება ფილოსოფიის მიმართ, არამედ პირიქით, უკიდურესად დამლუპველი, გამხრწნელი გავლენა იქონია მასზე. თუ მის ყველაზე ცნობილ შრომას – „სულის ფენომენოლოგიას“ ეცნობი და არ გიჩნდება გრძნობა, რომ ეს სულით ავადმყოფთა სახლში მყოფი ადამიანის დაწერილია, მაშინ, შენც იმავე ადვილსამყოფელის ღირსი ხარ.

ამის მიუხედავად, მათ ერთი უდიდესი მიზანი ჰქონდათ – სამყაროს შექმენა – და ფილოსოფია, სწორედ, ამ მიზნის შესაბამისმა რიტმმა განავითარა.

როგორ ხდება, რომ ნეგატიური რიტმებით ერთი ნადგურდება, მეორე – პირიქით, ძლიერდება?

ჩვენი აზრით, სოციუმისათვის უმნიშვნელოვანესია ერთი მიზნით გაჟღერებული ადამიანების ველის გაძლიერების ფენომენი.

აქ, თავისთავად, დაგებადებით კითხვა – როგორ, თანამოაზრეთა შორის განა შური არ არსებობს? – და მართალიც იქნებით – რა თქმა უნდა, არსებობს. მაგრამ შეგახსენებთ, რომ ეს ადამიანები ენტელექიური არიან. **მათთვის კი, როგორც განვმარტეთ, მიზანი უმთავრესია.**

ამიტომ, მათში ყველაზე ძლიერია მიზნის შესაბამისი რიტმი (წინააღმდეგ შემთხვევაში ის ენტელექიური არ იქნებოდა). ამ რიტმთან შედარებით, ყველა სხვა რიტმი უსუსურია. მთავარია, თქვენ მიზნის შესაბამისი ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის ველში მოხვედრით და თქვენ უდიდეს ენერჯიას შეიძენთ.

ჰოლივუდშიც ყველა ერთი მიზნის მისაღწევად იბრძვის. ეს მიზანია პოპულარობა. ისინი მზად არიან, პოპულარობისთვის სიცოცხლეც კი გაწირონ. შესაბამისად, მათში ეს ყველაზე მძლავრი რიტმია და ბარბარასადმი განწყობის მიუხედავად, მათი პოპულარობისკენ სწრაფვა ამ განწყობაზე ძლიერია. ბარბარასთვისაც მნიშვნელოვანია პოპულარობის შესაბამისი რიტმი. ერთნაირი რიტმები (ერთი მიზანი), როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთს აძლიერებენ. ამიტომაც ძლიერი ჰოლივუდის კინონდუსტრია.

მიუნჰენის უნივერსიტეტში, სადაც კვანტური ფიზიკა დაიბადა, მეცნიერები შეხმატებილებულად არსებობდნენ? – არა, მაგრამ მათ ერთი მიზანი ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, წარმატებაც უდიდესი იყო. ცხადია, მთავარი ქვესისტემის შექმნისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ რიტმის ჩამოყალიბებას, რაც ინდივიდში შემოქმედ ადამიანს გააღვიძებს.

აქ, ალბათ, გასახსენებელია იტალიელი რეჟისორის რობერტო როსალინის ფილმი „გენერალი დე ლა როვერე“ (სცენარის ავტორები: სერჯო ამიდეი, დიეგო ფაბრი, . . .). ფილმი ეხება გერმანელთა ოკუპაციის პერიოდს (1944 წ.).

იტალიამ ფაშისტური გერმანიის დისციპლინირებულ, მძლავრ არმიას პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა დაუპირისპირა. გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს იტალიელ პარტიზანთა ჯგუფი, რომელშიც, მათი ინფორმაციით, ერთ-ერთი პატრიოტული მოძრაობის ლიდერთაგანაც იყო (ჩვენი თანამემამულე, იტალიის გმირი – ფორე მოსულიშვილიც იქ იბრძოდა). პარტიზანული მოძრაობის ლიდერი დაპატიმრებამდე უნდა შეხვედროდა იტალიური არმიის გენერალს – დე ლა როვერეს, რომელსაც დიდი როლი უნდა შეესრულებინა პარტიზანული მოძრაობის კოორდინირებაში. გენერალი და პარტიზანული ჯგუფის ლიდერი ერთმანეთს არ იცნობდნენ. შეხვედრაზე მიმავალი გენერალი ვესტაჰოელებმა შემთხვევით მოკლეს.

გერმანელებმა გადაწყვიტეს მოკლული გენერალი ვინმე სულმდაბალი იტალიელით შეეცვალოთ, რომელიც გერმანელების აგენტობას დათანხმდებოდა. ის ციხის საკანში პატრიოტებთან ერთად უნდა მოეთავსებინათ და მას ლიდერის ვინაობა და სხვა პარტიზანული ჯგუფების ადგილმდებარეობა უნდა გაერკვია. როსალინის ფილმში ზნედაცემული აგენტი (ფილმში აგენტის როლს ბრწყინვალედ ასრულებდა ვიტორიო დე სიკა) იმდენად შედის გერმანელების მიერ დაკისრებულ როლში, რომ თავს, მართლაც, გენერალად აღიქვამს.

ფილმში ასახული ამბავი რეალურ ფაქტებს ეყრდნობა, რომლის არსი შემდეგშია: დაპატიმრებული პარტიზანული ჯგუფის წევრების ნებისყოფა არაადამიანურმა წაშლამ ვერ გატეხა. მათ ლიდერის ვინაობა არ გათქვეს. საკანში შეგზავნილი აგენტი პატრიოტებს წარუდგა, როგორც იტალიური „არმიის გენერალი“; „იტალიელი გენერლის“ მიმართ უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, პარტიზანებმა მაინც სიფრთხილე გამოიჩინეს და „გენერალს“ საიდუმლო არ გაუმხილეს. სულმდაბალი მორალატიე თავდაპირველად პატრიოტთა შეუპოვრობით გაოცებული იყო. პატრიოტთა თავგანწირვა მის ლოგიკაში არ ეტეოდა. მას ვერ წარმოედგინა, ადამიანმა რატომ უნდა გადაიტანოს უსასტიკესი წაშლა მისთვის გაუგებარი, რაღაც პატრიოტული მოსაზრებების გამო. გადიოდა დრო და მორალატიეზე თანდათან პატრიოტული ჯგუფის იმ უხილავმა რიტმმა დაიწყო მოქმედება, რომლის არსი სამშობლოს სიყვარულია. მისმა ასტრალურმა ველმა ამაღლება დაიწყო. პროცესის დაჩქარების მიზნით, გერმანელებმა პარტიზანთა დახვერვა ჩაიფიქრეს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დახვერვის წინ მაინც გამოამჟღავნებდა ლიდერი თავს, თუნდაც იმით, რომ „გენერალს“ გვერდში ამოუდგებოდა.

გერმანელებმა აგენტი გააფრთხილეს, რომ მისი და გამჟღავნებული ლიდერის გარდა, ყველას დახვრეტდნენ. ეგზეკუცია ხალხის თანდასწრებით უნდა მომხდარიყო. როცა პატრიოტები კედელთან დააყენეს, აგენტი მიხვდა, რომ ლიდერი, მის გვერდით დადგომით, მართლაც, გაამჟღავნებდა თავს. მოულოდნელად, მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და იქ შეგროვილ, შეძრწუნებულ ხალხს პატრიოტული სიტყვით მიმართა: მოუწოდა სამშობლოს გათავისუფლებისათვის თავდაუზოგავად ებრძოლა. მის ხმაში უკვე ფოლადი ჟღერდა. სამშობლოს სიყვარულის რიტმმა სულმდებლად სუბიექტში რეალური „გენერალი დელა როვერე“ მართლა დაბადა. ხალხმა აიტაცა მისი პატრიოტული რიტმი. — დიდება პატრიოტებს! ვაშა, იტალიას! — გრგვინავდა ხალხი. დაბნეულმა გერმანელმა ოფიცერმა ცეცხლის გახსნა ბრძანა. პირველი მკერდშენგრეული, უკვე რეალური დელა როვერე დაეცა და შემდეგ პატრიოტთა მიუღი ჯგუფი. ოფიცერი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. ბრძანების თანახმად, მას აგენტი არ უნდა დაეხვრიტა. ის მივიდა ამ ოპერაციის ხელმძღვანელთან და საკუთარი შეცდომა აღიარა. თავჩაქინდრულმა ხელმძღვანელმა მიუგო — ეს თქვენი კი არა, ჩემი შეცდომაა. დაიხ! ის მიხვდა, რომ შეცდა, რადგან არ გაითვალისწინა, რომ პატრიოტთა ჯგუფი სამშობლოს სიყვარულის შესაბამის ისეთ უდიდეს ენერგიას, რიტმს ქმნის, რომელსაც ყველაზე დაქვეითებულ სუბიექტშიც კი ასტრალის გაფაქიზება, წმინდა ენერგიის უდიდესი რაოდენობის მიღება და, შესაბამისად, გარწმობისაგან უდიდესი მამულიშვილის დაბადება შეუძლია.

აქედან — უმნიშვნელოვანესი დასკვნა:

ნებისმიერი ინდივიდი ინარჩუნებს საკუთარ თვისობრივ განსაკუთრებულობას, რჩება იმად, რაც იყო, სანამ მასში რიტმთა აღმქმელი ასტრალური ველი არ შეიცვლება. ასტრალური ველის ცვლილება კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი გარემომცველი ჯგუფის საერთო ენერგიის რიტმზე. ინდივიდში არსებული რიტმებიდან მისი ცხოვრების სტილის შესაბამისი რიტმების კომბინაცია მხოლოდ მას შემდეგ გამოიკვეთება, როდესაც ის ხვდება რაიმე მიზნით გაერთიანებული სოციუმის, ჯგუფის არეალში. სანამ მის გარშემო არსებული რიტმების კომბინაცია არ იცვლება — არ იცვლება ადამიანი და, შესაბამისად, არ იცვლება მის მიერ შექმნილი სულიერი თუ მატერიალური პროდუქტის ხარისხი.

შეუძლებელია დაქვეითებული სუბიექტის ამაღლება (სავლეს პავლედ გადაქცევა), თუ მისი არსი არ შეიცვალა. არსის შეცვლა ნიშნავს, უპირველესად, არსებული „მე“-ს უარყოფას, „დაცლას“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია ის მზად, გადავიდეს აზროვნების მაღალ დონეზე, სადაც მისი ახალი დაბადება ხდება. ეს მეტამორფოზა მხოლოდ ამაღლებული მიზნით განმსჭვალული ჯგუფის რიტმის ზეგავლენითაა შესაძლებელი.

დავიმასხვოროთ — ჩვენი ემოციები, სურვილები, აზრები, ნებისყოფა რიტმის სახით მატერიაში გადადის.

როგორც აღვნიშნეთ, მატერიაც სულის რიტმის გამომსახველია. სულის რიტმი არა მარტო სიცოცხლეს შთაბერავს, არამედ ორგანიზებას უწევს მატერიას. მის გარეშე მხოლოდ ქაოსია. ქაოსი კი მკვდარი სიწყნარეა. ყველა ჩვენი შეგრძნება ვიბრაციის, რიტმის შედეგია. სითბო, ფერი, სინათლე — უსასრულო რაოდენობის რიტმი, მთელ გარე სამყაროს განჭოლავს. აქედან, ადამიანის ცნობიერებაზე მხოლოდ უმცირესი აღწევს.

ძნელი წარმოსადგენია, ყველა რიტმის აღქმის უნარი როგორ გრანდიოზულ ცვლილებებს გამოიწვევდა ადამიანში. ყველა რიტმის შექმნელი და აღმქმელი მხოლოდ ღმერთია.

ადამიანში რიტმის აღქმის პროცესი, ხან თანდათან და თანაბრად (**სულიერი ევოლუცია**), ხან ნახტომისებურად (**სულიერი ჰიპერ-ევოლუცია**) ვითარდება.

ამრიგად, სულიერი ევოლუცია, იმისდა მიხედვით მიმდინარეობს, თუ რა სიმძლავრისაა იმ სოციუმის განვითარების რიტმი, რაშიც ადამიანს არსებობა უწევს; **ასეთი სულიერი ევოლუციის დადასტურებაა რუსთაველის ფენომენი**, ის ხომ მძლავრ საქართველოში იბადება. სოციუმში ამ რიტმის დაქვეითებასაც აქვს სახელი — რევრესი, განადგურება. **სულიერი ჰიპერ-ევოლუციის შემთხვევები სოციუმის რევრესის დროსაც დაიშორება, როდესაც კონკრეტული პიროვ-**

ნებისა და საზოგადოების განვითარების დონეები მკვეთრად განსხვავებულია (მაგ. ვაჟა, გალაკტიონი, ილია, . . .).

ერთადერთი განსხვავება განუვითარებელ და ცივილიზებულ სუბიექტს შორის ის არის, რომ ამ უკანასკნელს უფრო მეტი რიტმის აღქმა შეუძლია. ცხადია, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც წინ უსწრებენ საზოგადოებას და მათ, ჩვენთვის მიუღწეველი, უფრო ნაზი და ფაქიზი რიტმის აღქმა შეუძლიათ (სწორედ, ახალი რიტმის შეცნობა შეძლეს იმპრესიონისტებმაც).

ადამიანის მიერ რიტმის აღქმის გაუმჯობესება მისი აზროვნების სპექტრის გავრცობას იწვევს; ალბათ, ოდესმე, ის ეფექტურად გაიაზრებს ფიზიკური სამყაროს მიღმა არსებულ რიტმებსაც.

ქვეყნის ბედზე მოფიქრალ ადამიანს რიტმის აღქმის ამაღლებული უნარი უნდა ახასიათებდეს. ადამიანში სიცოცხლის პოტენციური ენერგია, მისი ოდენობა სურვილის, რაციონალურობის, მენტალობის ქმედუნარიანობას განსაზღვრავს.

რიტმის აღქმის საზომი კი ინტელექტია.

განუვითარებელი ადამიანის ინტელექტი დაბალია. სხვათა აზრები, ემოციები მისთვის ძნელი აღსაქმელია. რაც რთულია აზრი და ემოცია, მით ფაქიზი ასტრალური ველია საჭირო მის აღსაქმელად; სამწუხაროდ, დაბალი ინტელექტის მქონე სუბიექტში რიტმის მიღების, აღქმის მექანიზმი პრიმიტიულია. ასეთი ადამიანი ბაზის, გალაკტიონის, ვან გოგის, ნილს ბორის, აინშტაინის . . . შემოქმედების რიტმს იბულებითაც ვერ აღიქვამს.

როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, ადამიანთა ურთიერთკავშირი, ზეგავლენა რიტმის მეშვეობით ხორციელდება. ცხადია, ერთნაირი ინტელექტის ადამიანებს ერთნაირი რიტმების კომბინაცია გააჩნიათ.

ადამიანი არა მარტო ბიოლოგიურად, არამედ სულიერადაც სოციალური არსებაა. საკმარისია ამ მოსაზრებაში დამეთანხმოთ და, შემდგომი მსჯელობით, აუცილებლად მივალთ იმ აზრობას, რომ ერთი კონკრეტული ადამიანის სული, ვიბრაცია შეუძლებელია თვითკმარი სისტემა იყოს. ადამიანის სულის გენეზისი სრულყოფას მხოლოდ ადამიანთა ჯგუფში, ეთნოსში, ერში, სახელმწიფოში ახერხებს. შესაბამისად, ადამიანის სული მთლიანის, ანუ სახელმწიფოს, ერის სულის მცირე ნაწილია (გაიხსენეთ ჰეგელის გააზრება სახელმწიფოზე). ყოველივე ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივდივართ:

ჩვენი სული მიწიერ სრულყოფას მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს სულის ჩამოყალიბების შემდეგ მიაღწევს.

ამ სრულყოფისაკენ სვლა, როგორც აღვნიშნეთ, უახლოეს ადამიანებთან სულიერი კავშირით, სიყვარულით იწყება.

ქრისტემ, სწორედ, ეს ღვთიური სიბრძნე ჩამოგვიტანა ზეციდან.

ღიახ, ერის, სახელმწიფოს სულის გენეზისი ჩვენი – სახელმწიფოს შემადგენელი – სულთა ჰარმონიით იქმნება. ამგვარად დაბადებული სახელმწიფოს სული უკუკავშირით ჩვენს სულს აძლიერებს, ის, თავის მხრივ – სახელმწიფოს სულს და ამ უდიდესი კავშირითა და უკუკავშირით გუანლოვდებით უდაოდესს, უმაღლესს – ღმერთს.

შესაბამისად, ის პირველი ჩანასახი, საიდანაც რეგენერაცია, თვითგანვითარება, თვითორგანიზაცია იწყება, ადამიანისა და მისი სამშობლოს სულის გამოკვეთის პირველსაწყისიც უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ამ ჩანასახს ტრანსცენდენტული, ენტელექტიური, პასიონარული, ინდიფერენტული ადამიანების რიტმთა სუპერპოზიცია ქმნის. სწორედ, ამგვარად იბადება ის დამოუკიდებელი, ორგანული მთლიანობა, რაც საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობაა. ღიახ, მრავალმა შეიძლება შექმნას ერთი მთლიანი, რომელიც აღარ იმეორებს მისი შემადგენელი ნაწილების თვისებებს და თვისობრი-

ვად განსხვავდება. სწორედ, მას უჩნდება მძლავრი რეგენერაციის, თვითგანვითარებისა და თვითორგანიზაციის უნარი, რაც მისი შემადგენელი ნაწილების უნარისგან განსხვავდება.

უფრო ნათლად, არსებობს არისტოტელეს ლოგიკის სამი კანონი (ე.წ. ფორმალური ლოგიკა):

1. იგივეობის კანონი (უნდა შეგვეძლოს გავაიგივოთ და განვასხვაოთ საგნები).

2. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი (აზრი უნდა ვითარდებოდეს არაწინააღმდეგობრივად).

3. გამორიცხული მესამის კანონი (ორ ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობაში ერთი ჭეშმარიტია, მეორე მცდარი და მესამე გამორიცხულია).

განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ არისტოტელეს გამორიცხული მესამეს კანონზე, რომლის არსი ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ – ერთდროულად, ერთ საკითხზე, საგანზე გამოთქმულ მოსაზრებებში არ შეიძლება არსებობდეს ორი ჭეშმარიტება. ერთი შეხედვით, აქ რამეში ეჭვის შეტანა უადგილოა.

მაგალითად $1+1=2$ და დისკუსია ამ საკითხზე, თითქოს უაზრობაა.

მართლაც, **A** ან არის **A**, ან არ არის **A**, მესამე გამორიცხულია.

ორ ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობაში $1+1$ არის 2 და $1+1$ არ არის 2, ერთი მსჯელობა ჭეშმარიტია, მეორე მცდარი, მესამე გამორიცხულია.

ცხადია, ვინც იმის მტკიცებას შეეცდება, რომ $1+1=1$ ან $1+1=3$, არანორმალურის შთაბეჭდილებას დატოვებს. ეს მხოლოდ გაღიზიანებას გამოიწვევს და ჩვენ მას ინტრიგანად ჩავთვლით; და თუ საქმე რაიმე მნიშვნელოვანს ეხება, შეიძლება თავი ვეღარ შევიკავოთ და აგრესიაზე გადავიდეთ.

მართლაც, ერთს მიუვმატოთ ერთი ორია. მორჩა და გათავდა! ჩვენი გონება პროტესტს აცხადებს – დისკუსია უაზრობაა, რადგან აქ ყველაფერი ნათელი და გასაგებია.

არა, ღრმად პატივცემულო გონება! რა საოცარიც უნდა იყოს, აქ შეიძლება გაგებულში უდიდეს გაუგებრობას, არამართებულ გაგებას წავაწყდეთ; და აღმოვაჩინოთ უფრო მეტი საოცრებაც – შეიძლება მართებულობა, სწორედ, გაუგებარში ვიპოვოთ.

რა თქმა უნდა, ცალსახად არ უნდა გავივით რომ $1+1=2$ არამართებულია. უბრალოდ, ის სრულად არ ასახავს ჭეშმარიტებას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ალბათ, სიტყვა მართებულობის მაგივრად სხვა ტერმინი უნდა ვიხმაროთ. მაგრამ ახალმა ტერმინებმა შეიძლება უფრო გაართულოს ტექსტის გააზრება.

უფრო ნათლად – თეოლოგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ როდესაც თეოლოგიურ მსჯელობებში მსგავს პრობლემას წააწყდნენ, მაშინ თომა აქვინელმა კონკრეტული ტერმინების შემოტანა სცადა და მის მიერ გამოყენებულმა სიტყვათა რაოდენობამ 13 000 000 მიაღწია (სრულყოფილ ენებში სიტყვათა რაოდენობა დაახლოებით ნახევარ მილიონს შეადგენს). თუმცა, მართლაც ბევრი ტერმინი აქვს შემოტანილი აქვინელს, მაგრამ ეს ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია მაინც ეჭვს ბადებს. ცხადია, მათი დამასსოვრება ურთულესი პრობლემაა. გამოსავალი ერთია – უნდა შევეცადოთ სიტყვის არსი კონტექსტიდან გამომდინარე გავივით.

ჩვენში გავრცელებული თვალსაზრისი – ერთ მოვლენასა თუ საგანზე გამოთქმული ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებიდან მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი, მეორე კი მცდარია; ამგვარი მიდგომა საზოგადოების განვითარების შემაფერხებელია. სწორედ, ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება ყოველგვარ აღმოჩენას.

არისტოტელეს ლოგიკის არამართებულად გაგებამ, ღოგმად ქცევამ, ერთი მხრივ, რამდენი ბოროტება, სისხლი, კოცონზე დამწვარი, დაზარებულნი, . . . და მეორე მხრივ, რამდენი ცოდვილი ჯალათის შექმნა გამოიწვია, ვერავინ დათვლის.

და ნაკლები ყურადღება ექცეოდა თვით არისტოტელეს თვალსაზრისს, რომ შესაძლებელია „**მთელი უფრო მეტი იყოს, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი**“ (გამოდის, რომ $1+1$ შეიძლება იყოს სამი, ან უფრო მეტი). ამ აზრის არაფორმალურ ლოგიკურობას განათლებულნი არისტოტელემდეც, არისტოტელეს დროსაც და მის შემდგომაც ხვდებოდნენ.

წარმოდგინეთ, რა საშინელ დღეში ჩავარდებოდა გენიოსი ფიზიკოსი ნილს ბორი, რომელიც საკუთარი აზრის დაცვას არაფორმალური ლოგიკით შეეცადა. გავიხსენოთ, მისი დიალოგი ოპონენტებთან, როდესაც საქმე ცივილიზაციის ურთულეს პრობლემას, ატომის აგებულებასა და გამოსხივებას შეეხო. იმდროინდელი ლოგიკის კანონის მიხედვით, ელექტრონს ატომის ბირთვის გარშემო დიდი ხნის განმავლობაში ვერ უნდა ებრუნა. ის ბირთვს უნდა დასცემოდა. ბორმა „ლოგიკის“ დარღვევა გაბედა და განაცხადა:

- ელექტრონს ბირთვზე დაცემა უნდა ავუკრძალოთ!
- რას ბრძანებთ? – აღშფოთდნენ „ლოგიკით აღსავსე“ ოპონენტები – როგორ თუ ავუკრძალოთ?

ელექტრონსა და ბირთვის შორის ხომ მიზიდულობის ძალები მოქმედებენ?

- დიას!
- აღიწერებიან თუ არა ისინი მაქსველის განტოლებებით?
- დიას.
- განა ელექტრონისა და ბირთვის ყველა თვისება ამ კანონით არ გამოითვლება?
- დიას.
- მაშასადამე, ელექტრონის ატომში მოძრაობა ამ კანონს უნდა დაექვემდებაროს.
- არა!
- როგორ? თან ექვემდებარება და თან არა?
- დიას!

დამეთანხმებით, რომ ასეთმა მსჯელობამ ყველაზე გაწონასწორებული ოპონენტიც კი შეიძლება მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

ნილს ბორი ბოროტებას გადაურჩა. მის „ლოგიკურობაში“ ადამიანებმა ჭეშმარიტების შეცნობა შეძლეს, მაგრამ რა ვუყოთ მეორე უდიდეს მეცნიერს – ლუდვიგ ბოლცმანს, რომელიც თვითმკვლელობამდე მიიყვანეს?

აქ სიყვარულსა და მოთმინებას ბოროტებამ აჯობა.

ასეა ახლაც; ვერ ვითმენთ და ზიზლით ვუყურებთ ადამიანს, რომელიც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ შეიძლება იყოს და არც იყოს . . .

მშვენიერად ესმოდა არაფორმალური ლოგიკა ჰერაკლიტეს – „ყველაფრის აზრი ურთიერთწინააღმდეგობაა“. „ჩვენში ერთდროულად არსებობს ცოცხალი და მკვდარი, სიფხიზლე და ძილი, ახალგაზრდა და მოხუცი“.

ლაო ძი – „მსუბუქის არსი მძიმეა“; „მოძრაობის არსი – უძრაობა“; „ჩემი სიტყვების გაგება და აღსრულება ადვილია, მაგრამ ხალხს არ ესმის და არ შეუძლია აღსრულება“; „ვუყურებ მას (დაოს) და ვერ ვხედავ, ამიტომ ვეძახი მას უხილავს. ვუსმენ მას და არ მესმის, ამიტომ ვეძახი მას გაუგებარს, ვცდილობ ხელი მოვკიდო და ვერ ვკიდებ, ამიტომ ვეძახი არაფერს“; „მართალი სიტყვები ჰგავს მის საწინააღმდეგოს“.

ჩუან ძი – „ერთი არის ერთი და ამავე დროს ერთი არ არის ერთი“.

შესაბამისად, არაფორმალური ლოგიკით, კვანტური აზროვნებით 1+1 შეიძლება იყოს ორიც, ერთიც და არაფერიც. ასევე 1+1+1+1+1+1+1+1+1+1 შეიძლება იყოს თორმეტიც და, ასევე, ერთიც.

ჩვენი აზრით, ფორმალური ლოგიკა, რომლის მიხედვით „. . . შეუძლებელია, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებები ერთად ჭეშმარიტება იყოს,“ წინააღმდეგობაში შედის ჰეგელის დიალექტიკასთან, რადგან ჰეგელის დიალექტიკა იღებებიდან ახალი იდეის დაბადებას გულისხმობს (ჰეგელის ტრიადა: თეზისი – ანტითეზისი – სინთეზი).

ლაო ძის სულიერი მოწაფე ჩუან ძი ლამაზად ხსნის ამ „პარადოქსს“ – წვიმის ერთ წვეთს მეორე წვეთი რომ მიეუმატოთ, ისევ ერთ წვეთს მივიღებთ (1+1=1).

მართლაც, ვთქვათ, რომ სვეტიცხოველის აშენებას ასი ათასი აგური სჭირდება. თუ ამ წინადადების აზრს ციფრებით ჩავწერთ, მივიღებთ, რომ 1+1+ . . . +1 უდრის ერთ სვეტიცხოველს. ანუ

როდესაც ასე ათას აგურს ემატება იდეა, არქიტექტურა, ხდება თვისების ნახტომისებური გადასვლა და 99 999 აგურს რომ დაემატება ერთადერთი აგური, მაშინ იბადება ერთი – სვეტიცხოველი.

ჰეგელის დიალექტიკის კანონს – რაოდენობის თვისობრივში გადასვლას – ასეთნაირად შევხედოთ – რაოდენობის, მკვეთრად გამოხატულ თვისებაში, ნახტომისებურ გადასვლას, რაოდენობის რაღაც განსაზღვრული კრიტიკული რიცხვი ($N_{Kr}+1$) სჭირდება.

როგორც ჩანს, ქრისტიანობის, როგორც უმაღლესი ფასეულობის, დასამკვიდრებლად ქრისტეს მიერ შერჩეული თორმეტი ადამიანის „ჯამი“ შეადგენს ერთი მთლიანის შესაქმნელად აუცილებელ მინიმალურ ორგანულ ერთობას – კრიტიკულ მასას. შერჩეული თორმეტი ადამიანის მიერ ქრისტეს იდეის რწმენით, განათებული გონით მიღება კონგენიალობას აყალიბებს და **ზეადამიანს ბადებს**. სწორედ, ეს ზეადამიანი დვას ჰომო საპიენსის მიღმა. ის ქმნის სიცოცხლის საწყისს. ზეადამიანს უკვე ხელეწიფება ისეთი სიმძლავრის შექმნა, რომლის წინაშე ყოველგვარი ბარიერი იშლება.

აქ, შემეცნებადინტერესებული ადამიანი ლოგიკით თუ არა, ინტუიციით მაინც უნდა მიხვდეს, თუ რა უღიადესი აზრია ჩადებული ამ თორმეტი ადამიანის უნიკალურ ერთობაში, ანუ ზეადამიანში. წარმოიდგინეთ, რომ ამ ზეადამიანის წინაშე რაიმე განსახილველი საგანი, მოვლენა, პრობლემა, . . . დვას.

არის თუ არა ზეადამიანის დაბადება, დამატებითობის პრინციპის ასამოქმედებლად, უნიკალური საწყისი პირობა? – განსახილველი საგანი თუ მოვლენა ამ თორმეტი ადამიანის განსხვავებული ხედვის კუთხიდან განიხილება. იწყება დიალოგი, მსჯელობა და შეთანხმება – სოკრატეს დიალექტიკა; ამას ჰეგელის დიალექტიკაც ემატება და თქვენს წინაშეა საგნის, მოვლენის არსის სრული ანატომია. დანარჩენი კი, როგორც ამბობენ, ტექნიკის საქმეა.

ცხადია, ამა თუ იმ საგნის არსის სრული ანატომირებისათვის, დამატებითობის პრინციპიდან გამომდინარე, გულგრილი ადამიანის ხედვაც კი უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

დიახ! ახალი იდეების გამარჯვება შესაძლებელია, თუ შემოქმედების უნარის მქონე ადამიანებისგან კრიტიკული რიცხვი შეიკრიბა, რომელსაც უკვე საკუთარი სტრუქტურისა და საერთო მიზნის შესაბამისი ინფორმაციული მატრიცის შექმნა შეუძლია. როგორც აღვნიშნეთ, შემოქმედთა „კრიტიკული მასა“ ჩვენთვის 300-ია. ახალი იდეები ურთიერთქმედებენ ინფორმაციულ მატრიცასთან, ძლიერდებიან, აირეკლებიან, წყაროს უბრუნდებიან, სხვებს გადაეცემათ და ხდება ერის გვირგვინის – სახელმწიფოს დაბადება; სწორედ, ამ შემთხვევაში იწყება ერის თვისობრივად ახალი გენეზისი, შემდგომი ამაღლება.

დიახ! სწორედ ასე იბადება კონგენიალურთა გონის ერთობა და იქმნება მთლიანი, რომელიც მის შემადგენელ ნაწილების ჯამზე მეტია.

შესაბამისად, ერთობის შესაქმნელად მინიმუმ ოთხი პირობაა აუცილებელი:

- სისტემაში კონგენიალურთა გონის, მანსოვრობის დაბადება;
- სისტემის – მთლიანის – პოტენციალი უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამის პოტენციალი;
- სისტემას რეგენერაციის, თვითგანვითარების, თვითორგანიზაციის უნარი უნდა გაუჩნდეს;
- ამ სისტემაში ლე შატელიეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს.

უმაღლესი კანონზომიერებისაკენ კვანტურ ნახტომს სისტემა მხოლოდ ამ შემთხვევაში ახერხებს; მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ღმერთთან მიახლოება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ღმერთთან, აბსოლუტურ გონთან, კანონზომიერებასთან შეძლებისდაგვარად მიახლოება. ამის გარეშე ბუნებრივი სახელმწიფო არ შეიქმნება.

ღმერთი სახელმწიფოს მხოლოდ იქ ქმნის, სადაც მისი მოთხოვნილებაა.

სახელმწიფოს შექმნის წინაპირობა საზოგადოების ჩამოყალიბებაა; საზოგადოების გენეზისი კი ამბლლებას მოითხოვს. . .

ამბლლებული ასტრალურობით იდეის წვდომის შემდეგ, კვაზიაპოსტერიორული გააზრებით კანონზომიერებათა ველში გადასვლა ხდება; ზერეალური სამყაროდან რწმენა შემოდის; იდეა იხვეწება, გასაგებ ენაზე „ითარგმნება“, სწრაფად და ხარისხიანად გავრცელება იწყება და იხსნება შესაძლებლობის ველი.

ეს ნათლად ჩანს ადამიანთა ისტორიიდან. თუმცა, თუ იდეით გაერთიანებულ ადამიანთა რიცხვი კრიტიკულზე მცირეა, იდეა რეალობაში ვერ ხორციელდება.

კვაზიაპოსტერიორულ ველში, ძველი და ახალი იდეების შერწყმისა და გააზრებისას, შემოქმედება იბადება.

ახალი იდეის წვდომის მცდელობისას, აუცილებელია სხვათა აზრების „ხმაურისაგან“ განმარტობა, ძველი, დრომოჭმული აზრებისაგან გათავისუფლება, დაცლა. შემდეგ თანამაზრეთა ჯგუფში სოკრატესეული და ჰეგელისეული დიალექტიკა, განსჯა. და თუ ეს მოხერხდა, ჯგუფის ყველა წევრი იდეის მიძღები და განმავითარებელია.

გავიხსენოთ იუნგის პარადოქსი, – როდესაც იკრიბებიან მხოლოდ ინსტინქტით შეპყრობილი ცხოველები, მწერები, . . . „კოლექტიური გონი“ წარმოიშობა; ვიკრიბებით გონიერი ადამიანები და კოლექტიური ინსტინქტი, უგუნურობა იბადება.

ცხოველები იდეათა ველს, თითქოს, ინსტინქტურად (არაცდისეულად და არაემპირიულად) გრძნობენ. „არააზრობრივი ცნობიერება“, ესაა ფორმულა, რომელიც აღნიშნავს – „მე ვიცი“ და ის თავისი რადიკალური ეფექტურობით განსხვავდება ჩვენი ფორმულისგან „მე ვიცი, რომ ვიცი“ და, ალბათ, „მე ვიცი“ – ესაა იდეათა ველთან მისვლის უფრო გამარტივებული გზა, რთაც ცხოველები ქცევის ინსტრუქციას, პროგრამას „იღებენ“. ამით ისინი ავსებენ იმ დანაკლისს, რასაც ჩვენ „გააზრებულ ცნობიერებას“ ვუწოდებთ.

საინტერესოა ის, რომ ცხოველები ინსტინქტურად გრძნობენ, თუ როგორ შექმნან კრიტიკული მასა, გაარღვიონ შესაძლებლობის ველი და იბადება „კოლექტიური გონი“.

ფრინველების, თევზების, კალიების, . . . სინქრონული, „გონივრული“ ქმედება სხვაგვარად არ იხსნება. თითქოს არსებობს რაღაც „გონი“, რომელმაც იცის მიმართულება და მიზანი და ის მართავს მათ. საყურადღებოა ის, რომ კალიების, წეროების, . . . ნაწილი, რომელიც რაიმე მიზეზით განცალკევდება, („იკარგება“ კრიტიკული რიცხვი) უსუსური, დეზორიენტირებული ხდება და იღუპება.

ჭიანჭველათა „საზოგადოება“ (რომელიც კრიტიკულ რიცხვს გადააჭარბებს), ასევე, იძენს „კოლექტიურ გონს“. ახლად დაბადებული ჭიანჭველა თავის „ბავშვობას“ სპეციალურ „ბაგა-ბალში“ პროფესიონალი „აღმზრდელის“ მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ატარებს, რეგულარულად გაჰყავთ ისინი „ბინიდან“ შემოგარენში; ავადმყოფებს უვლის „ექიმი“; ის ყოველდღე „პროფილაქტიკურ ღონისძიებებს“ ახორციელებს; აუცილებლობის შემთხვევაში ხდება „ჰოსპიტალიზაცია“. ტარდება „ოპერაციებიც“ – დაზიანებული კიდურების ამპუტაცია.

საინტერესოა, რომ ინდივიდუალური გონის მქონე ადამიანებს, ერთად შეკრებისას, იუნგის აზრით, უჩნდებათ კოლექტიური უგუნურობა, ინსტინქტი.

როგორ შევძლოთ კოლექტიური უგუნურობის დაძლევა?

აქ, თუ ბატონი იუნგი არ გვიწყენს, მის საკმაოდ დამაჯერებელ მოსაზრებას განვახილავთ.

დაუკვირდით, ცხოველებში, მწერებში იდენტურობის ხარისხი უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი. მათი ინსტინქტები (თვითგადარჩენა, გამრავლება, . . .), თითქმის, ერთგვაროვანია, განურჩეველია. სხვა სიტყვებით, მათ გააჩნიათ „ერთი მიზანი“, „ფასეულობათა“ შკალა და, შესაბამისად, ადვილად ქმნიან კოლექტიურ გონს.

ადამიანებში ინსტინქტები მეტ-ნაკლებად ერთნაირ ხასიათს ატარებს, მაგრამ ინდივიდუალიზმი, ეგო მკვეთრადაა გამოსახული. შესაბამისად, მათი იდენტურობა ურთულესი პრობლემაა. აქედან გამომდინარე, ადამიანებში საერთო სულიერ ფასეულობათა შკალის ჩამოყალიბება ძნელად მისაღწევია; ამის გარეშე კი კოლექტიური გონის შექმნა, უბრალოდ, შეუძლებელია.

ცხადია, ჩვენი მიზანი სულიერ ფასეულობებზე შეთანხმება და, შესაბამისად, სოციუმში აზროვნების დონის ამაღლებაა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი მიზნისადმი ამაღლებული მგრძნობელობის, არსითა და აზროვნებით მონათესავე ანუ კონგენიალური ადამიანების კრიტიკული რიცხვი შეიკრიბება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იბადება კონგენიალურთა გონი.

სოციუმში აზროვნების დონის ამაღლება, თავის მხრივ, ურთულესი ამოცანაა, რადგან ისეთ უმაღლეს ფასეულობებზეც კი, როგორცაა რწმენა, სიყვარული, მშვენიერება, სამშობლო, ერი, . . . მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები და თეორიები არსებობს.

შეგახსენებთ, რომ ყველა დარგი თეორიათა სიმრავლით ხასიათდება; და სოციალური მეცნიერება ამ მხრივ გამონაკლისი არ გახლავთ. როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოთა წარმოქმნის შესახებ შვიდი ურთიერთგამომრიცხავი თეორია არსებობს. მრავალი თეორიებიდან ერთის ამორჩევა, ან რამდენიმე თეორიის გაერთიანება არა მარტო განათლებას, არამედ შემოქმედებასაც ითხოვს.

სინერგეტიკა

სამწუხაროდ, ჩვენს სოციუმში შემოქმედთა რიცხვი და შესაბამისად, შემოქმედების ხარისხი მინიმუმამდე დავიდა. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება შემოქმედთა რიცხვისა და შემოქმედების ხარისხის ამაღლებას მოითხოვს; მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ქმედითუნარიანი სახელმწიფოს შექმნა და ეს ურთულესი პროცესია. როგორც აღვნიშნეთ, რთული პრობლემის მართვად გადაწყვეტა შეუძლებელია.

ცივილიზებულ ქვეყნებში რთული პრობლემის გადაჭრას ერთნი **დელუქციური მეთოდით ცდილობენ. დელუქცია** – დასკვნის გამოტანის მეთოდი – ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სხვანი, ამ პრობლემის გადაწყვეტისას, **ინლუქციურ** მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას.

ინლუქციური მეთოდი არის კონკრეტული, კერძო ფაქტების განზოგადებით მიღებული ლოგიკური დასკვნა; დასკვნის შედეგად ყალიბდება ახალი აზრი, რომლის საფუძველზეც ცდილობენ წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრას. ეს გზაც მისასალმებელია; თუმცა, დელუქციურ და ინლუქციურ მეთოდში **ჰერმენევტიკული წრე** იჩენს თავს – თუ კონკრეტული უცნობია, მთელს ვერ გავიგებთ და, პირიქით. ამ ჯაღოსნური წრის გარღვევა **რელუქციითაც** კი რთულია.

რელუქცია რთული გასააზრებელი პრობლემის გამარტივებას ნიშნავს. ცხადია, გამარტივება რაღაცის უგულებელყოფას გულისხმობს, ამიტომ ამ მიდგომამ შესაძლოა დიდ შეცდომასთანაც მიგვიყვანოს. დაშვებების, გამარტივების მეთოდის გამოყენება მისაღებია მათემატიკურ სისტემებში, მაგრამ სოციუმის შემთხვევაში, ასეთი გამოსარიცხი საკითხების გააზრება ურთულესია და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

მაგ. ასეთია ევთანაზიის საკითხი მედიცინაში. ამერიკაში ევთანაზიის შესახებ კანონის შემოღება სურდათ, რათა ავადმყოფის ტანჯვა დიდხანს არ გაგრძელებულიყო. მომაკვდავი პაციენტების კვლევის შედეგები შეჭყავედათ კომპიუტერში (კვლევის შედეგები სრულად ვერ ასახავს მთლიან პრობლემას) და თუ კომპიუტერული პროგრამით მიიღებოდა დასკვნა, რომ ავადმყოფის მკურნალობა აღარაა მიზანშეწონილი, სიცოცხლის შემანარჩუნებელი აპარატურა ითიშებოდა, ანუ ხდებოდა ევთანაზია. ეს პროცესი გრძელდებოდა, სანამ მედიცინის მუშაკებმა, სახელმწიფო პროგრამით, ექსპერიმენტის ჩატარება არ გადაწყვიტეს: ექსპერიმენტის თანახმად, ასეთ გადადებულ ავადმყოფებს მკურნალობის კურსი გაუგრძელდათ. შედეგი კი, მართლაც, უნიკალური აღმოჩნდა: 100 უმძიმესი ავადმყოფიდან 99 მდგომარეობიდან გამოვიდა და მხოლოდ ერთი გარდაიცვალა. ამრიგად, ცხადია, თუ რა საშიშროებას შეიძლება მოიცავდეს რთული პრობლემის მართვებზე დაყვანა.

ამ ჯგულის წრის გასარღვევად, განათლებულმა ადამიანებმა გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ბელგიელი მეცნიერის ილია პრიგოეინის მიერ შემოთავაზებულ უაღრესად საინტერესო თეორიას მიმართეს. ავტორმა ამ თეორიას **სინერგეტიკა** (ერთიანი ენერგეტიკა) უწოდა. სინერგია ბერძნული სიტყვაა და თანამშრომლობას, თანამეგობრობას ნიშნავს. ილია პრიგოეინის სინერგეტიკა თითოეული ჩვენგანის ენერჯის ღვთიურ ენერჯიასთან გაერთიანების პრობლემას ეხება.

სინერგეტიკის მეშვეობით შესაძლოა როდესაც არაწრფივ და თვითრეგულირებად სისტემებში გავრკვეთ. მაგალითად, ისეთ სისტემებში, როგორცაა ეთნოსი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო. სახელმწიფო ბუნებრივად, თვითორგანიზაციითაა წარმოქმნილი და სწორედ ასეთი ფენომენებს შეისწავლის სინერგეტიკა.

ამგვარად, წარმოქმნილ სტრუქტურებს, ანუ როდესაც სისტემების შემადგენელ ელემენტებს (მაგ., სახელმწიფოს შემთხვევაში ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციალური ჯგუფები) შორის, როგორც მათემატიკოსები იტყვიან, არაწრფივი დამოკიდებულებაა. მაგ., მცირე სოციალურმა დაძაბულობამ შესაძლებელია გამოიწვიოს მძლავრი ეკონომიკური დაქვეითება. ისიც გასაგებია, რომ არაწრფივ განვითარებას არა ერთი, არამედ რამდენიმე ალტერნატიული ევოლუციისა, თუ რეგრესის გზა ახასიათებს.

ყოველივე ეს დახლოებით შემდეგს ნიშნავს: მაგ., თქვენ ამ ნაშრომის ამა თუ იმ ნაწილს შეიძლება ყურადღებით ან ზედაპირულად გაეცნოთ, ან რამდენიმე გვერდი საერთოდ გამოტოვოთ. თითქოს არაფერი, მაგრამ ამ მომენტში შეიძლება არა მარტო თქვენი, თქვენთვის ძვირფასი ადამიანების, არამედ მთელი საქართველოს ბედიც გადაწყდეს. პირველ შემთხვევაში, შეიძლება თქვენ დაფიქრდეთ, შემდეგ აქ მიღებული შთაბეჭდილება განავითაროთ და ვინმეს გაუზიაროთ. მათ, თავის მხრივ, თავის ნაცნობებს გაუზიარონ, ამან იმოქმედოს საზოგადოების აზრზე და, ღვთის მადლით, დაიწყოს ექსპონენციალური პროგრესი. მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია ეს არ მოხდეს და ყველაფერი ძველებურად გავრძელდეს. მესამე შემთხვევაში კი, თქვენთვის გაუგებარი იქნება საკითხისადმი ასეთი მიდგომა, გაღიზიანდებით და ქმედებას უაზროდ მიიჩნევთ. ამ, თითქოს უმნიშვნელო, უარყოფითმა რიტმმა შეიძლება ისე იმოქმედოს თქვენს ნაცნობებზე და შემდეგ მთელ საზოგადოებაზე, რომ არსებულზე მეტი რეგრესი გამოიწვიოს და ვერც კი მიხვდეთ, რომ შედეგის – უბედურების – სათავე თქვენი ფრაზიდან მოდის: „რა საჭიროა ამდენი თავის მტვერვა“.

ამრიგად, ცხადია, რომ ჩვენი ქმედებიდან გამომდინარე, ცხოვრება შეიძლება სამი სხვადასხვა მიმართულებით განვითარდეს. თუ მესამე ვარიანტი – რეგრესი – განვითარდა, პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენ დაგვეკისრება; რადგან ჩვენი საზოგადოების უმრავლესობაში გავრცელებული უარყოფითი დამოკიდებულება შექმნებისადმი მთელი სიღრმით ვერ გავითვალისწინეთ.

ამრიგად, სისტემაზე მცირე ზემოქმედებასაც კი შესაძლოა მნიშვნელოვანი დადებითი ან უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. სისტემის ჰარმონიული განვითარებისათვის საჭიროა მასზე ისეთი გარე ზემოქმედება, რომელიც მის შინაგან თვისებებთან შეთავსებადი იქნება.

როგორც წესი, სისტემის თვითორგანიზაცია განისაზღვრება სისტემის ტენდეციით, გადავიდეს ერთი არაწონასწორული მდგომარეობიდან, ვთქვათ, სილატაკით გამოწვეული არაწონასწორული მდგომარეობიდან – მეორე, აღმშენებლობისათვის დამახასიათებელ ალგუნებულ მოუსვენრობაში. ამ უკანასკნელ მდგომარეობას თან ახლავს ენტროპიის, ანუ უწყესრიგობის შემცირება, რაც გამოიხატება ნევენტროპიაში, ანუ უწყესრიგობის მკაცრ უარყოფაში; შესაბამისად, იწყება ორგანიზებულიობის ამაღლება.

არაწრფივ სისტემებში ზვავისებური, ექსპონენციალური განვითარების პროცესი მიმდინარეობს. რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია საზოგადოების, სახელმწიფოს ჰიპერ-ევოლუცია, ანუ ჩვენი მიზნის აღსრულება.

აქ დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი ტერმინები, როგორცაა **ბიფურკაციის წერტილი და ატრაქტორი**.

ბიფურკაცია, ასე ვთქვათ, გეოგრაფიული ტერმინია და მდინარის დატოტვის, გამყოფ წერტილს აღნიშნავს. ეს ის წერტილია, სადაც მდინარის დელტა წარმოიქმნება.

ატრაქტორი მიმზიდველობას აღნიშნავს. აქედან, სიტყვა ატრაქციონი, ანუ მიმზიდველი. მაგალითად, ყვავილის სუნი ატრაქტორია, ანუ მიმზიდველია ფულტკრისათვის (და არა მარტო მისთვის).

უფრო ნათლად – წარმოიდგინეთ ტბა, წყალსაცავი, რომელიც დიდი რაოდენობის ნალექის შემთხვევაში შეიძლება გამდინარედ გადაიქცეს, ან დაიბადოს მდინარე და მან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მდებარე დასახლებული პუნქტი წალეკოს. ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად ორი გზა არსებობს:

პირველი – აშენდეს დამცავი რკინაბეტონის ჯებირები, რაც უდიდესი ენერჯის ხარჯვას მოითხოვს და, ამავე დროს, გარანტია მინც არ არსებობს, რომ ეს როდესაც ნაგებობა სტიქიას შეაკავებს.

მეორე – თუ გონება გვეყოფა, შეიძლება კვაზიაპოსტერიორულად გავიაზროთ მდინარის შესაძლო კალაპოტი და ის წერტილი (ბიფურკაციის წერტილი), სადაც საკმარისია რამდენიმე მანქანა ხრეშის დაყრა, რაც შეცვლის მდინარის მიმართულებას და ქალაქს უბედურებას ააცილებს. ბიფურკაციის წერტილი მდინარისათვის ქმნის ახალ, მიმზიდველ, ატრაქტორულ გზას და მდინარეც ამ გზას ირჩევს. გამოდის, რომ უმცირესი ენერჯის ხარჯვით მაქსიმალური შედეგის მიღება შესაძლებელია.

სოციალური ძალის დაბადების ტექნოლოგიის საიდუმლოც ასეთივეა. აუცილებელია, შეიქმნას უმრავლესობისათვის მისაღები იდეოლოგია, ატრაქტორი, რომელიც, თუ სოციალური ცხოვრების გზის განსაზღვრულ სივრცესა და დროში, ანუ ბიფურკაციის წერტილში იჭნება გამოყენებული, ცხოვრების განვითარებას, მინიმალური ენერჯის დანახარჯით, აღმავლობისკენ შეცვლის.

ცხადია, ატრაქტორის და ბიფურკაციის გააზრება უდიდეს ინტელექტუალურ პოტენციალს მოითხოვს.

ბიფურკაციის წერტილებში სისტემის განვითარების გზების განშტოება იწყება, რაც აძნელებს პროგნოზს, ანუ როდელია განსაზღვრვით, თუ სისტემა განვითარების რომელ გზას აირჩევს. ბიფურკაციის წერტილში მცირე, უმნიშვნელო ქმედებას შეუძლია სისტემის შესამჩნევ ცვლილებებთან მიგვიყვანოს. ბიფურკაციის წერტილი, ესაა კრიტიკული წერტილი.

ქაოსი სისტემებში უმნიშვნელოვან როლს ასრულებს. ქაოსი წინაპირობაა ევოლუციის განვითარების გზაზე. რეალობაში არც აბსოლუტური ქაოსი, არც აბსოლუტური წესრიგი არ არსებობს. ე.ი. სისტემა ამ ორ უკიდურესობას შორის იმყოფება. აქ, ქაოსი და წესრიგი განუწყვეტლივ განიცდიან ტრანსფორმირებას, ერთმანეთში გადადიან და ამით სისტემის პარამეტრები იცვლება.

სინერგეტიკა არაწრფივ დინამიურ ბუნებრივ სისტემებში ქაოსიდან თვითორგანიზაციით წესრიგის შექმნა-შენარჩუნების საკითხებს განიხილავს. სინერგეტიკა შეისწავლის სამყაროს მთლიანობას, არასტაბილურობას, შესაძლებლობას, სისტემის ზეგავისებურ განვითარებას.

სინერგეტიკულ სისტემებს ორი ფუნდამენტური თვისება ახასიათებს:

- 1) ინფორმაციის, ენერჯის, ნივთიერების გარე სამყაროსთან აუცილებელი გაცვლა.
- 2) მის ელემენტებს შორის აუცილებელი კოპერენტული (შეთანხმებული) ურთიერთქმედება.

სინერგეტიკულ სისტემებში მმართველი პარამეტრების თავისთავადი ცვლა მიმდინარეობს. შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული პარამეტრები წინასწარ განვსაზღვროთ.

დავიმანსოვროთ – რთულ სისტემებში (საზოგადოება, სახელმწიფო) წონასწორული მდგომარეობა, სტაგნაცია მეტასტაბილურია და გარე ძალების ზემოქმედების შედეგად ის აუცილებლად გადადის ან პროგრესში, ან რეგრესში.

ჰომოსტაზი არის მექანიზმი, რომელმაც სიცოცხლისათვის საჭირო პარამეტრები სასურველ საზღვრებში უნდა შეინარჩუნოს. ჰომოსტაზი არის ორგანიზმის რეაქციათა ერთობლიობა, რომელიც სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებას განაპირობებს. შესაბამისად, გარე ძალების ზემოქმედებისას, ორგანიზმი ადაპტირებას – არასასურველ გარე ზემოქმედებასთან შეგუებას ახდენს.

ნებისმიერი სისტემა (სოციალურიც) სიცოცხლისათვის აუცილებელ პარამეტრებს შეიცავს (აღმაიანისათვის – სისხლში შაქრის შემცველობა, ეკონომიკაში ინფლაციის ან საარსებო მინიმუმის დონე), რომელიც დასაშვები ზღვრული მდგომარეობით ხასიათდება. თუ ამ ნორმის ფარგლებს არ დავიცავთ, სისტემა დაილუპება, არამდგრადი და არასიცოცხლისუნარიანი გახდება. რეფორმაციის დროს ეს ზედმიწევნით აუცილებელია.

ჰომოსტაზის მოდელი საშუალებას გვაძლევს, დეგრადაციის გამომწვევი პირობები განვსაზღვროთ და ვებრძოლოთ მათ. სინერგეტიკისაგან განსხვავებით (რომელიც არაწონასწორულ მდგომარეობის მქონე სისტემებს შეისწავლის), ჰომოსტაზს შეუძლია სისტემა გადაარჩინოს სუსტი გარე ან შიგა ფლუქტუაციის დროს. მთავარია, წონასწორობის დროს სიცოცხლის მართვის პარამეტრების განსაზღვრულ ფარგლებში შენარჩუნება.

ჰომოსტაზი განვიხილოთ სისტემასთან მიმართებაში, რომელიც, თავის მხრივ, ქვესისტემებისგან შედგება. ცხადია, ქვესისტემა ცდილობს სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებას და სისტემაც იგივეს აკეთებს. შესაბამისად, ქვესისტემაში პროცესების დარღვევისას, სისტემა პრობლემის დარეგულირებას შეეცდება; თუმცა, თუ მდგომარეობა ზღვრულ ნიშნულს უახლოვდება, როდესაც ქვესისტემის გადარჩენა საფრთხეს უქმნის მთლიან სისტემას, ამ შემთხვევაში სისტემა თავს გადაარჩენს და ქვესისტემას იშორებს, ანადგურებს.

იმის გამო, რომ გარე სამყარო სისტემაზე გავლენას ახდენს, შეუძლებელია, შეისწავლო მხოლოდ ცალკე აღებული სისტემა. მართლაც, თუ გარე სამყაროში ქრება სისტემის რაიმე თვისებასთან დაკავშირებული ინფორმაციის „მოთხოვნა“, მაშინ სისტემაში ეს თვისება ქრება, იზოლირდება. სტრუქტურაში ვითარდება დეზორგანიზაციის გამომწვევი პროცესები, რომლებზეც ეს თვისებაა პასუხისმგებელი. იზრდება ენტროპია. მაგ. თუ აღმაიანს აქვს ტალანტი და საზოგადოებას ეს თვისება არაფერში სჭირდება; ტალანტი გამოუყენებელი რჩება და, შესაბამისად, იზოლირდება; რადგან ამ თვისების მიმართ სისტემის გარე სამყაროსთან

კავშირი ჩაკეტილია. თუ არ არის მეცნიერების მოთხოვნა, ის არც გამოვლინდება, ჩაიკეტება. და პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, ის გაიხსნება, სისტემასა და სამყაროს შორის (ამ ტალანტის მიმართ) კავშირი აღდგება. რაც, თავის მხრივ, ენტროპიის შემცირებას გამოიწვევს.

ქვესისტემები კონკრეტული თვისებებითა და სტრუქტურული მახასიათებლებით, კანონზომიერებებით იბადება. სტრუქტურის კანონზომიერებაა, მაგ. მზის სისტემისათვის – კეპლერის კანონები, ბიოლოგიაში – ბუნებრივი გადარჩევა, რელიგიურ სისტემაში – სამყაროს ღვთაებრივი საწყისის რწმენა.

სტრუქტურული ელემენტი შეიძლება ასე განვსაზღვროთ:

უნდა დავადგინოთ, რა სისტემა და მისი რომელი თვისება გვავინტერესებს (საქართველო, წესრიგი), შემდეგ უნდა ვიპოვოთ ის კანონზომიერება, რომელიც ამ თვისების განვითარებას უწყობს ხელს; შემდეგ ვიპოვოთ სისტემის უმცირესი ნაწილი, რომელიც სტრუქტურულ კანონზომიერებას მეტ-ნაკლებად ემორჩილება. აი, ეს იქნება სტრუქტურული ელემენტი, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება საკუთარ სტრუქტურულ ელემენტებს შეიცავდეს. მაგ. ცოცხალი ორგანიზმი – უჯრედი, ელემენტი.

სინერგეტიკის ძირითადი ამოცანაა იმ ზოგადი პრინციპების შემეცნება, რომელიც ბუნებაში მიმდინარე თვითორგანიზაციის პროცესებს უდევს საფუძვლად და არა აქვს მნიშვნელობა, ეს პროცესი ფიზიკურია, ბიოლოგიური, თუ სოციალური. ამ სტილის მეცნიერული შემეცნებაც სისტემურ აზროვნებაზე, სამყაროს ურთიერთსაპირისპირო კუთხიდან ხედვაზეა დაფუძნებული.

სისტემური აზროვნება არის პრობლემის სრული სურათის დანახვისა და არსებული ინფორმაციის სინთეზისა და შეჯერების უნარი. ცხადია, ინფორმაციის შეგროვებასა და გამოყენებას თავისი კულტურა აქვს.

ადამიანის არსის, საზოგადოების, სახელმწიფოს ერთიანი, სრული სურათის დანახვა მარტივი სულაც არ გახლავთ. აქ შეიძლება მთელის ინტუიციური ხედვის უნარი და ახალი მოდელების შექმნაც კი დაგვჭირდეს.

სწორედ, მთელის ინტუიციურმა ხედვამ მიიყვანა არისტოტელე დასკვნამდე: როულ სისტემებში **“მთლიანი მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი”**.

ძნელია, გადაჭარბებით შეაფასო მისი ეს გენიალური აზრი. ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, თითქოს პარადოქსთან გვაქვს საქმე.

მართლაც, იმისათვის, რომ რომელიმე როული ობიექტი, სისტემა (საზოგადოება, სახელმწიფო) გამოვიკვლიოთ, ჩვენ შინაგანად მზად უნდა ვიყოთ; რათა მისი, როგორც მთლიანის თვისებები და მთლიანი სისტემის მისსავე ელემენტებთან პრინციპული თვისობრივი შეუთავსებლობა, განსხვავება გავაზროთ. ქართულად ეს ნიშნავს შემდეგს: ყველას ესმის, რომ სახელმწიფოს, წესრიგის დამყარებისათვის, რაღაც აუცილებელი თვისება უნდა ახასიათებდეს. იმავდროულად, მის შემადგენელ ელემენტებს, ანუ ჩვენ, ეს თვისება საერთოდ არ გავგაჩნია. გამოდის, რომ ადგილი აქვს თვისებათა შეუთავსებლობას. ანუ მთლიანის თვისება სისტემის შემადგენელი ელემენტების თვისებებიდან არ გამოდინარეობს. მართლაც – თუ ჩვენ არ გვახასიათებს წესრიგი, მაშინ საიდან გაუჩნდება სახელმწიფოს ეს თვისება? – თითქოს კოლიზიას აქვს ადგილი.

რა საოცარიც უნდა იყოს, ეს მართლაც შესაძლებელია – მთელს შეიძლება ნაწილებისგან განსხვავებული თვისებები ჰქონდეს. იმისათვის, რომ საზოგადოება და შემდგომ სახელმწიფო ჩამოყალიბდეს, სულაც არაა აუცილებელი, რომ თითოეულ ინდივიდში მოწესრიგებულობა დომინირებადი თვისება იყოს (ასეთი ადამიანები საშინელი პედანტები არიან და იშვიათობასაც წარმოადგენენ). აუცილებელია, რომ სისტემის შემადგენელ რომელიმე ელემენტს, თუნდაც მცირე ფენას, ბუნებრივ კანონზომიერებას დაქვემდებარებული წესრიგის შინაგანი მოთხოვნილება ჰქონდეს. ეს წესრიგი თავისუფალი ნების საზრიანი ადამიანისათვის შესრულებადი, სამართლიანობის დამამკვიდრებელი და კომფორტის შემქმნელი უნდა იყოს. სწორედ, ასეთი წესრიგია მისასაღებელი სახელმწიფოშიც, რადგან საზოგადოებას მაქსიმალურად განვითარების საშუალებას ასეთი წესრიგი მისცემს.

დავუკვირდეთ, ცივილიზებულ ქვეყნებში, ჩვენგან არაფრით განსხვავებული ადამიანები მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ სისტემას – სახელმწიფოს ქმნიან; ჩვენ კი ქაოსის გარდა, არაფრის შექმნა არ შეგვიძლია. თითოეული ცივილიზებული ქვეყნის მოქალაქე, თითქოს, ჩვენგან არ განსხვავდება;

იქაც საკმაოდ ბევრია თავქარიანი ადამიანი და ჩვენთანაც; იქაც მოაზროვნეების დეფიციტია, და – ჩვენთანაც; მაშ, რატომ, რომ მათი მთელი (სისტემა, სახელმწიფო) ისეთ თვისებებს ფლობს, რომელიც მის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილებს არ ახასიათებს? – **მათ საკუთარი ერის არსის შესაბამისი ფენა, ქვესისტემა, ბუნებრივად შექმნეს და ქვეყნის მართვის ბერკეტები მას მიანდეს.** ამ ფენამ შეძლო მმართველობის ისეთი სისტემისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც მათ ქვეყანაში საზოგადოების თავისუფლების ხარისხის ამაღლებას უზრუნველყოფდა; ეს ქვესისტემა საზოგადოების განვითარების აუცილებლობას გრძნობდა და ბუნებრივ კანონზომიერებას ეყრდნობოდა. შედეგად, დამყარდა გენიალური უკუკავშირი: მთავარი ქვესისტემა იღვწის საზოგადოების განვითარებისათვის და საზოგადოება – მთელი სისტემის (სახელმწიფოს) დახვეწა-განვითარებაზე მუდმივად ზრუნავს.

მართლაც, თითქოს, ჩვენც განათლებულნი არ გვაკლია. მაშ, რატომ გვიჭირს სამყაროს რეალური კანონზომიერების აღქმა?

მაგალითად, რატომ, რომ ქართველ ფიზიკოსს, ექიმს, ინჟინერს, რომელსაც მეტ-ნაკლებად შეშვენილებული აქვს მეცნიერული კანონები და შეუძლია, საკუთარ დარგში პროცესების განვითარება იწინასწარმეტყველოს, სოციალური სისტემის განვითარების გააზრების არა მარტო სურვილი, არამედ გონებრივი პოტენციალიც არ გააჩნია. რაშია ჩვენი პრობლემა, რატომ გვეგონია, რომ ჩვენს ნაცვლად ვინმე გააზრებს, რა უნდა ვაკეთოთ, რომ ჩვენი სამშობლო არ აღიგავოს პირისაგან მიწისა? რატომ ვივიწყებთ იმ რეალობას, რომ ყველას საკუთარი პრობლემები აქვს და მათ ჩვენი პრობლემები მხოლოდ ზედაპირულად, გამოყენებითი კუთხით თუ აინტერესებთ? ალბათ, რეალობის აღქმა-გააზრების ისე გვეშინია, რომ საკუთარ თავს სიზარმაცის უფლებას ვაძლევთ და ამ საკითხებზე ფიქრს თავს ვარიდებთ.

როგორ გავიზნოთ რთული პროცესების მარტივ, შემადგენელ პროცესებად დაშლა? როგორ მოვახერხოთ თვითორგანიზება, ევოლუციური განვითარება?

დიახ, დღეს, როგორც არასდროს, ახალი მიდგომა, ახალი ხედვა მოგვეთხოვება. სწორედ, ამაში დაგვეხმარება თვითორგანიზაციის თეორია – სინერგეტიკა.

რით განსხვავდება სინერგეტიკული ხედვა ძველი შეხედულებებისაგან?

მრავალი ჩვენგანი დაფიქრებულა ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილ სისტემებში მიმდინარე პროცესებს შორის არსებულ საოცარ განსხვავებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველს, გარე ძალების ზემოქმედებისას საოცარი მედეგობა, თვითგანახლება, თვითსრულყოფისაკენ სწრაფვა, განვითარება, მის შემადგენელ ნაწილებს შორის უნიკალური ჰარმონიის დამყარების უნარი აქვს. მეორეს – გარედან მცირე შემოთხების შემთხვევაშიც კი, ფუნქციონირების დაქვეითება ახასიათებს.

დასკვნა ერთია – ჩვენ ორგანიზება ბუნებისაგან უნდა ვისწავლოთ და ის ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად გამოვიყენოთ. სინერგეტიკა ამ ბუნებრივი კანონზომიერების დადგენას ემსახურება. მის გარეშე შეუძლებელია რთული სოციალური, გლობალური ამოცანების გადაჭრა. ამას მხოლოდ შემოქმედ ადამიანთა ჯგუფი შეძლებს. ისინი მზად უნდა იყვნენ, ამ საკითხით დაინტერესებული ყველა ადამიანი შემოიკრიბონ და აქტიური აზროვნებითა და ქმედებით გადაწყვიტონ ეს პრობლემა.

შემოქმედთა ჯგუფი ზემოქმედებისადმი მდგრადი უნდა იყოს და ნებისმიერ სიახლეზე სწრაფი რეაგირება უნდა შეეძლოს. აქ გასათვალისწინებელია, რომ ცხოვრება რთულდება და საქმე გვაქვს რთულ არაწრფივ მოვლენებთან, სისტემებთან; შესაძლოა, რაიმე მცირე ცვლილებას გლობალური შედეგი მოჰყვეს, ან დიდი ძალისხმევითაც, ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწიოთ. აქ ცდის ჩატარების, „მონეტის აგლებით“, გადაწყვეტილების მიღების უფლება არა გვაქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ სისტემას, სოციუმს გარე ზემოქმედებისას სხვა თვისებები უჩნდება და ეს დინამიური, მუდმივად ცვლადი პროცესია.

სინერგეტიკის არსი მრავალი საუკუნის წინ ჩამოყალიბებულ ფილოსოფიურ გააზრებებს ემთხვევა, და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ის ერთობის პრობლემის ანალიზს ეხე-

ბა. ადამიანი უხსოვარი დროიდან ხვდებოდა, რომ ზოგადი გადადის კონკრეტულში, კონკრეტული უკუკავშირით ურთიერთობს ზოგადთან, ზოგადი აირეკლავს ნაწილის თვისებებს და ნაწილი კი – მთელისას.

უპირველესია, გავიაზროთ – გაუმართლებელია იმის მტკიცება, რომ მთელი უფრო რთულია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილი. ესაა ჩვენი ძირითადი შეცდომა. დავიმახსოვროთ – მთელი და ნაწილი უბრალოდ, სხვადასხვაა.

წარმატება მაშინ მოდის, როცა მთელის განხილვისას, უკიდურეს სიფრთხილეს გამოვიჩინოთ და მისი გათვალისწინებით, ქვესისტემების, როგორც მთელისაგან განსხვავებულის, შინაგან თვისებებში გარკვევას შევეცდებით. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი იმ კანონზომიერების აღმოჩენა, რომელიც მთელისა და მისი შემადგენელი ნაწილების ჰარმონიულ ურთიერთობას განსაზღვრავს. შესაბამისად, ჩვენი ქმედება ბუნების კანონზომიერებასთან, მის რიტმთან შეთავსებადი უნდა იყოს.

აქ უმნიშვნელოვანესია ჰეგელის გააზრება, – არც ერთი განსაზღვრება არ იქნება შინაარსობრივი, სანამ მასში შემავალი ყველა ცნება არ იქნება ნათლად შემეცნებული; და როცა ცნებები გარკვეულია, მაშინ განმარტება, უბრალოდ, ზედმეტი ხდება.

დაიხ, რთულ სისტემებს ახასიათებს პარადოქსულობა, რომელშიც ჩვენ აუცილებლად უნდა გავერკვეთ.

პირველი – მთლიანობის პარადოქსი. ეს ნიშნავს, რომ მთლიანს ვერ გაიგებ, თუ მისი ნაწილების ანალიზს არ ჩაატარებ. არსებობს სისტემის დაშლის (დეკომპოზიციის) ორი ხერხი. პირველი: როცა დაშლა ქვესისტემებად ისე ხდება, რომ ელემენტები მთლიანის თვისებებს არ ატარებენ. ასეთი დაშლა არაეფექტურია, გააზრებისათვის აუცილებელი ინფორმაცია იკარგება. მაგ., თუ ჭიანჭველებიდან გამოყოფთ ერთ ჭიანჭველას, მოათავსებთ ცალკე და შეეცდებით, მისი ქცევიდან განსაზღვროთ მთლიანის – ჭიანჭველათა ოჯახის თვისებები, ბევრს ვერაფერს დაადგენთ.

მეორე – „მთლიანური“ დაშლა: ისეთი დაშლა, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოიყოს ის ელემენტები, რომლებიც, სპეციფიკური ფორმით, მთელის თვისებებს ინარჩუნებენ. მაგ., გამოვყოთ ადამიანთა საზოგადოებიდან უნიკალურ ადამიანთა ისეთი ჯგუფი, რომელიც მთელი სისტემის, სახელმწიფოს, ერის თვისებებს ატარებს. თავისთავად ცხადია, რაოდენ რთულია ეს ამოცანა.

თვით რთულ სისტემას ახასიათებს ოთხი თვისება:

1. თვისება ეკუთვნის მთელს, მაგრამ არ ახასიათებს მის შემადგენელ ელემენტებს. მაგ., საქართველოს ახასიათებს სიცოცხლისუნარიანობა. მის შემადგენელ ელემენტებს, (საზოგადოებრივ გაერთიანებებს, პარტიებს) ანუ ჩვენ, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, ეს თვისება დაქვეითებული გვაქვს.

2. სისტემის არამთლიანური თვისება – თვისება ახასიათებს ელემენტებს, მაგრამ არ ახასიათებს მთლიანს. ჩვენს საზოგადოებაში მრავლადაა არაეთიკური ადამიანი, თუმცა, შეუძლებელია ეს თვისება მთელ ერს მივაწეროთ.

3. სისტემის მთლიან-არამთლიანი თვისება – თვისება ეკუთვნის მთლიანსაც და ელემენტებსაც. მაგ., საქართველოც თანდათან პატარავდება და ჩვენც.

4. არაყოფიერი თვისება – როცა თვისება არ ახასიათებს არც მთელს, არც ელემენტებს. დღეს არც საქართველო ბრწყინავს, არც ჩვენ.

მესამე – იერარქიის პარადოქსი.

ამოცანის ამოხსნა შეუძლებელია, თუ ჩვენთვის საინტერესო სისტემას უფრო დიდი სისტემის (ზესისტემის) ელემენტად არ განვიხილავთ. კერძოდ, ჩვენ ვალდებულნი ვართ საქართველო მთელი საზოგადოებრივი სამყაროს შემადგენელ ნაწილად – ქვესისტემად – განვიხილოთ, და იმავდროულად, აუცილებელია, ამ სისტემის, ანუ საერთო საზოგადოებრივი სისტემის, გააზრებისათვის შესაბამისი ინფორმაცია გვქონდეს.

ამრიგად, უპირველესად, აუცილებელია ზესისტემის, სამყაროს შემეცნება.

მეორე, ამ ზესისტემის შემაღლებული სისტემის, ანუ ობიექტის, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს შესწავლა. ობიექტის შესწავლა სისტემურ მიდგომას მოითხოვს. ეს სისტემური მიდგომა შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- ობიექტის გამოყოფა საერთო გარემოდან, ანუ მისი კონტურების დანახვა. საქართველოს მიზნისა და ინტერესების გააზრება სამშობლოს ბედზე მოფიქრალმა, ამაღლებული იდეის მქონე საზოგადოებამ უნდა იტვირთოს; და იმავდროულად, აუცილებელია, საქართველოს განვითარების სტრატეგიის შეთავსებადობის გააზრება-გათვალისწინება, გარემომცველი სამყაროს თვისებებთან.

- სისტემის ქმედების მიზანშეწონილობა. მაგ., ჩვენი მთლიანი საზოგადოების ქმედების გონივრულობა.

- სისტემაზე მოქმედი მთავარი ფაქტორების ანალიზი. მაგ., საქართველოზე სხვა ქვეყნების მხრიდან, მთავარი ზეწოლის არსის გააზრება.

სისტემის მოდელის შექმნა. მაგ., ჩვენთვის სასურველი, მომავალი სახელმწიფოს მოდელის შექმნა.

- სისტემის მუშაობის ოპტიმიზაცია.

- სისტემის მართვის სქემა.

- ამ სისტემის გარემომცველ სამყაროსთან კავშირი და უკუკავშირი.

როგორც ამ ყველაფერის გააზრება.

თუ თქვენ თვლით, რომ ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემის გადაწყვეტისათვის ასეთი სერიოზული მიდგომა აზრს მოკლებულია, მაშინ შეგახსენებთ:

ნებისმიერი ნაშრომი მათთვის იწერება, ვისაც, წარმოდგენილ პრობლემებზე, უჩვენოდაც უფიქრია; და თუ უფიქრია, უჩვენოდაც მიხვდებოდა, რომ ყველა ის უბედურება, რაც თავს დაგვატყდა, მარტივი, ემოციური ალტკინების შედეგია.

ჩვენი „ჯიშის“ მკითხველი დიდი ხანია მიხვდა, რომ საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების ურთულესი ამოცანის გადაწყვეტას, თქვენს წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პირველივე გვერდიდან, სინერგეტიკით ვცდილობთ.

მოვსინჯოთ სინერგეტიკის ინტელექტუალური სიმძლავრე, ანუ ვნახოთ, რამდენად ეფექტურია სისტემური აზროვნება ჩვენი პრობლემის გადაჭრისათვის.

სინერგეტიკის თეორიიდან შეიძლება საინტერესო კანონის გააზრება –

თუ თქვენ სისტემის ქმედუნარიანობის ამაღლებას მასზე გარეგანი ზემოქმედებით აპირებთ, მაშინ არაფერი გამოგივათ; მიზნის მისაღწევად, აუცილებელია, შეხვიდეთ სისტემაში; სადაც მრავალი ქვესისტემა დაგხვდებათ; შემდეგ უნდა გეყოთ გონება, რომ ქვესისტემებიდან მთავარი – მთლიანი სისტემის იდეის, არსის გამმეორებელი – ქვესისტემა ამოარჩიოთ; მხოლოდ ამ მთავარ ქვესისტემაზე ზემოქმედებითაა შესაძლებელი სისტემის ქმედუნარიანობის ამაღლება.

ამ როტულ კანონში გასარკვევად განვიხილოთ მაგალითი:

როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1651 წელს გამოცემულ ნაშრომში – „ლუვიათანი“ – თომას ჰობსმა სახელმწიფო შეადარა მანქანას, მექანიზმს. ის, თავისი სტრუქტურით, სამინისტროებით, დეპარტამენტებით და მათ შორის ხისტი კავშირებით, მართლაც, მანქანას მოგაგონებთ. თუ დროებით ჩავთვლით, რომ ეს ანალოგია მართებულია, მაშინ ჩვენი სახელმწიფო გამარცხული, დაჟანგული, დაშლილი, სოფლის გზაზე მიგდებული მანქანა იქნება. ვთქვათ, ჩვენი მიზანი მისი ამოქმედებაა (ამოძრავება, ერთი ადგილიდან მეორემდე მიყვანა). სინერგეტიკის კანონიდან გამომდინარე, მანქანაზე, ანუ სისტემაზე გარედან ზემოქმედებით არაფერი გამოგივათ. მართლაც, გარეგანი ზემოქმედებით მანქანის მხოლოდ გარეცხვა, გახეხვა, შეღებვა,

გაპრიალება შესაძლებელი. ის შეიძლება გარეგნულად მანქანას დაემსგავსოს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძვრება.

მიუხედავად ყურადღება, ჩვენს ხარჯზე აღებული ვალებითა და კრედიტებით სახლის ფასადები იღებება, ასფალტი იგება, შადრევნები იხსნება, თუმცა, რა საოცარიც უნდა იყოს, სახელმწიფო, მანქანა არაქმედუნარიანია. ამ შემთხვევაში, არ სრულდება სინერგეტიკის კანონის პირველი ნაწილი: სისტემაზე (მანქანაზე) მხოლოდ გარეგანი ზემოქმედებით მანქანა ადგილიდან არ დაიძვრება. თურმე, ამ კანონიდან გამომდინარე, აუცილებელია სისტემის შიგნით შეღწევა. ქართულად ეს ნიშნავს: ახადეთ მანქანას „კაპოტი“ და ჩაიხედეთ შიგნით. იქ უამრავი ქვესისტემა დაგვხვდებათ: გენერატორი, აკუმულიატორი, რადიატორი, ძრავა, უფრო ღრმად, შიგნით აღმოაჩენთ, აგრეთვე, ტრანსმისიას, ლიფერენციალს, . . . ახლა უნდა გვევოს გონება და მივხვდეთ, ამ ქვესისტემებში რომელია ის მთავარი ქვესისტემა, რომელიც მთელი სისტემის, ანუ მანქანის იდეას, არსს იმეორებს. მანქანის შემთხვევაში, ეს არც თუ ისე ძნელია – მთავარი ქვესისტემა არის ძრავა. შესაბამისად, თუ თქვენ მანქანის ამუშავება გსურთ, სინერგეტიკის კანონიდან გამომდინარე, ზემოქმედება, ანუ შეკეთება ძრავადან უნდა დაიწყოთ.

ეს კანონი საქართველოს მაგალითზე განვიხილოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარეგანი ზემოქმედებით საქართველო, როგორც სახელმწიფო, სისტემა არ ამოქმედდება. ამიტომ ნუ გვაქვს იმედი, რომ გარედან შემოსული ინვესტიციებით, რჩევებით რამე შეიცვლება. სინერგეტიკის კანონიდან გამომდინარე, სისტემაში, ანუ საქართველოში „შეძრომა“ აუცილებელია. ცხადია, ჩვენ უკვე დიდი ხანია ამ სისტემაში ვიმყოფებით. მიმოვიხედოთ და მრავალ ქვესისტემას, ანუ სოციალურ ფენას აღმოვაჩინოთ. მაგალითად, მკვეთრად ამოსახულ უდარდელ მოქიფეთა სოციალურ ფენას; იქვეა გულგრილთა მრავალრიცხოვანი ქვესისტემა, ფენა; აფერისტების ქვესისტემა, ფსევდოინტელექტუალები ფენა. ჭეშმარიტ ინტელექტუალებს ფენა რომ არსებობდეს, არც ამ ნაშრომის შექმნა დაგვჭირდებოდა; აქვეა ფსევდოპოლიტიკოსთა ფენა. აქაც შევჩერდეთ.

ნებისმიერ ენციკლოპედიაში, უცხო სიტყვათა ლექსიკონში სიტყვა „პოლიტიკა“ განიშარტება, როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება; და თუ ენციკლოპედიები არ ცრუობენ, მაშინ აბსურდადღე დავდივართ: ჩვენთან სახელმწიფო რეალურად არ არსებობს და ვიდაც შუღერები, ანუ ფსევდოპოლიტიკოსები გვარწმუნებენ, რომ მათ ამ არშემდგარი სახელმწიფოს უდიდესი ხელოვნებით მართვა შეუძლიათ. უფრო საინტერესოა არიან თბოზიციურად განწყობილი სუბიექტები, რომლებიც, თავის მხრივ, გვარწმუნებენ – გაყარეთ ისინი, აგვირჩიეთ ჩვენ და ამ არარსებულს, ჩვენ უფრო მეტი შემართებითა და ხელოვნებით ვმართავთ.

დასკვნა – უკვე გასაგები მიზეზების გამო, ჩვენში არ შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი პოლიტიკოსი. უბრალოდ, არსებობენ კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც ვაკლენის სფეროების გადანაწილებისათვის, ნებისმიერი ფორმით იბრძვიან მათ ინტერესს სულაც არ წარმოადგენს განვითარებადი სახელმწიფო ჩამოყალიბება და მართვა..

დავუბრუნდეთ ქვესისტემებს. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, არსებობს ფსევდომორწმუნეთა ქვესისტემა, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მატარებელთა ქვესისტემები . . . სინერგეტიკის კანონის თანახმად, ჩვენ უნდა შევძლოთ ამ ურიცხვ ქვესისტემებში ის მთავარი ქვესისტემა ამოვარჩიოთ, რომელიც საკუთარ თავში მთავარი ქვესისტემის, ანუ საქართველოს არსს, იდეას იმეორებს. ტყუილად ეძებთ, ვერ იპოვით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი ქვესისტემა არ არსებობს.

სინერგეტიკის თეორიიდან გამომდინარე, თუ მთავარი ქვესისტემა არ არსებობს, მაშინ უპირველესად ის უნდა შეიქმნას. მის გარეშე ქმედუნარიანი სახელმწიფოს შექმნაზე საუბარიც კი ინფანტილიზმია. ჩვენც, სწორედ, ამ მთავარი ქვესისტემის გააზრება-ჩამოყალიბებით დავიწყებთ.

ობიექტურობა მოითხოვს, არ დავიშალოთ სინერგეტიკის მეორე, პირველისაგან განსხვავებული გააზრება, კანონი. ამ კანონის მიხედვით, თურმე სადმე შეძრომა, ან რაღაცების მოძიება და გააზრება, თავის მტვრევა სულაც არაა საჭირო.

მეტყვი, „შე კაი ადამიანო“, თუ ასეთი კანონიც არსებობს, რას დაგვტანჯე ამ ქვესისტემებით? კვითხარი და ჩვენც ამოვისუნთქავთ და შენცო.

არ დაგიმალავთ, ახლავე მოგახსენებთ.

სინერგეტიკის ამ კანონით, მართლაც, არაა საჭირო თავის მტკრევა. გამოაცხადეთ **თქვენი სისტემა სხვა სისტემის ქვესისტემად და ის ადგილიდან დაიძვრება**. ანუ მოიყვანეთ ტრაქტორი, ჩაუბით ჩვენი დანგრეული სისტემა, მექანიზმი, მანქანა ბაგირით და ის სისტემა ჩვენს მანქანას გადაათრევს. ეს ნიშნავს, რომ საქართველო სხვა სისტემის ქვესისტემად, სატელიტ სახელმწიფოდ გამოაცხადოთ და, მართლაც, მეტი თავისმტკრევა აღარაა საჭირო. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ საქართველო წავა მხოლოდ იქ (იმ მიმართულებით), სადაც ტრაქტორის მძლოლი წაიყვანს.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები საუკუნეების მანძილზე ელიან, რომ მათი „პატრონი“ თავს შეიწუხებს და მათი უბადრუკი ქვეყნების განვითარებაზეც ოდესმე იზრუნებს. თუმცა, ეს ლოდინი უსასრულოდ გრძელდება.

ახლა გასაგებია, რატომ დარბიან ჩვენი ფსევდოპოლიტიკოსები თავქუდმოგლეჯილი – ზოგი ჩრდილოეთში, ზოგი დასავლეთში – ისინიც ტრაქტორს ეძებენ და ბაგირის ჩამბმელის როლს ეშუარებიან. ბაგირის ჩაბმა კი ზარ-ზეიმითა და ცეკვა-თამაშით – საპრეზიდენტო ინაუგურაციისას, საზეიმო სიტყვის წარმოთქმით, კონსტიტუციაზე დაფიცებით და მორეკილი ხალხის მიერ საჰაერო ბუშტებისა და პატარა ეროვნული დროშების კონვულსიური ფრიალით მიმდინარეობს. ვისაც გაგიხარდებათ, მიბრძანდით და საჰაერო ბუშტს თქვენც გაჩუქებენ, მოგვიანებით კი, შეიძლება უფასო სასადილოს წვნიანიც კი გერგოთ.

ჩვენ კი დიאלოგი განვაგრძოთ.

ცხადია, პოლიტიკური ფილოსოფიის მიზანია სახელმწიფოს მართვის რაციონალური თეორიის შექმნა. ვიმეორებთ – **პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაა**. აქედან გამომდინარე, პარადოქსთან გვაქვს საქმე – ჩვენი „პოლიტიკოსები“ არარსებულის, არშემდგარის მართვას აპირებენ, თანაც ამადლებული ხელოვნებით. ასეთი დაშლილი მანქანის ფინიშამდე მიყვანას მეც და მიშა (შუმახერი) ერთნაირი წარმატებით შევძლებთ. არარსებული სახელმწიფოს მართვის პარადოქსი მარტივი ასახსნელია. მათ სახელმწიფო კი არა, ხალხის ძარცვა აინტერესებთ. ეს უკვე გოჭისთვისაც გასაგებია. აქ გასაკვირი არაფერია. საკვირველია იმ ხალხის ლოგიკა, ვინც ასეთი „ბრძენი“ ფსევდოპოლიტიკოსების ხელმძღვანელობით, აწყობს კრებებს, მიტინგებს (სადაც ადამიანები ერთმანეთს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებენ).

ცხადია, ასეთი **ფსევდოპოლიტიკოსების** მიერ, მართვის სათავეებთან ათრეული, ან უკვე იქ მყოფი სუბიექტი, მხოლოდ სავარძელს უფრთხილდება და ხალხისთვის არაფერს გააკეთებს. სიკეთის ქმნის სურვილიც რომ ჰქონდეს, მას რეალური საფუძველი, აღსრულების მექანიზმი არ გააჩნია.

ამრიგად, **ცალკეული ბლოკების, ჭანჭიკების შეცვლა უაზრობაა. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, ჯერ ზოგადად სახელმწიფოს არსში გარკვევა და შემდეგ, მოცემული პირობებისა და დროის შესაბამისი სახელმწიფო მექანიზმის შექმნა**.

აუცილებელია, გავიგოთ, რა არის საზოგადოება, სახელმწიფო და რა კავშირია მათ შორის.

სახელმწიფო და საზოგადოება არაა სიმბიოზი, ეს ორი ორგანული სისტემის ერთობაა. საზოგადოების მიზანი სახელმწიფოს შექმნაა.

სიცოცხლე ექვემდებარება უმაღლეს კანონზომიერებას, რომლის ძირითადი პრინციპი ენტროპიის (უწესრიგობის) ზრდისათვის წინააღმდეგობის გაწევაა. საზოგადოება, სახელმწიფო არის ცოცხალი ბუნების ნაწილი, თავადაც ცოცხალი ორგანიზმი, და შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ენტროპიას ზრდის, სიცოცხლის მთავარ პრინციპს – კანონზომიერებას – ეწინააღმდეგება.

პლატონი, კონტი, სპენსერი, . . . საზოგადოებას ორგანიზმად წარმოიდგენენ.

თვით საბუნებისმეტყველო მეცნიერება ადამიანის სამგვარ ბუნებაზე მიგვანიშნებს – ბიოლოგიური, გენეტიკური მემკვიდრეობის მქონე არსება, ინდივიდუალური და სოციალური არსება. მეცნიერება უახლოვდება აზრს, რომ ბუნება გარკვეულ ზღვართან მივიდა, რომლის იქით, სიცოცხლის შემდგომი განვითარება მხოლოდ მკვეთრი, ამაღლებული თვისობრივი ცვლილებებითაა შესაძლებელი. ადამიანის არსის სამბუნებოვნება ამ ეფექტური ცვლილების მიმართულებას თავისთავად მიგვანიშნებს. ცხადია, სახელმწიფო სისტემისათვის ყველაზე სწრაფი და ეფექტური ცვლილებები ადამიანის სოციალური ბუნების განვითარებამ უნდა გამოიწვიოს. ალბათ, დადგა დრო, ხმამაღლა განვაცხადოთ ის, რაზეც აქამდე, ბოლომდე გაუაზრებლობის გამო, ვჭურჩულებდით. მაგალითად, სიტყვათა ისეთი წყობა, როგორცაა – განვითარებული საზოგადოება, საზოგადოების რეაქცია, საზოგადოების მენტალიტეტი, საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი სული. გამოდის, რომ ქვეცნობიერად ვალიარებთ – **საზოგადოება დამოუკიდებელი სისტემაა და არა ადამიანთა სუბიექტური ჯამი. ის, მართლაც, ობიექტური ერთეულია, რომელსაც მგრძობელობა, მენტალიტეტი, აზრი, სული ახასიათებს.** ამაზე, უფრო დავწვრილებით, ქვემოთ გვექნება საუბარი.

სხვა სისტემების მსგავსად, საზოგადოებაშიც იქნება ჩანასახი, რომელიც განვითარების უნარს ფლობს. მისი განვითარების უმაღლესი ფაზაა იმ სისტემის ჩამოყალიბება (სახელმწიფო), რომლის თვისებები მისი შემადგენელი ნაწილების თვისებებს აღარ იმეორებს. მას გააჩნია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სხვა, უფრო მაღალი დონის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თვისებები (საზოგადოება – სახელმწიფო).

ამჟამად კი, „საზოგადოება“ და „სახელმწიფო“ აბსოლუტურად გამიჯნული, გაუცხოებული და ანტაგონიზმით აღსავსეა. ასეთ დაპირისპირებას დევრადაციისკენ უცილობლად მივყავართ. ასეთი გამიჯვნისას, საზოგადოება, როგორც ბუნებრივი წარმონაქმნი, თვითწარმოების, სასიცოცხლო ენერჯის ფაქიზად რეგულირების თვისებებს კარგავს.

ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია – საზოგადოებამ, როგორც სისტემამ, თავის ქვესისტემებში მთავარი ქვესისტემა, მთავარი ქვესაზოგადოება უნდა გამოკვეთოს. ეს ქვესისტემა – პალადიუმი, ჩამოყალიბებული უნდა იყოს ამაღლებული მიზნის მქონე, გარკვეული კანონზომიერებით შერჩეული ადამიანებისაგან, რომლებიც ქვეყნის არსს, იდეას გააიზრებენ და ამ იდეის – პალადინის (მცველის) ფუნქციას იკისრებენ.

პალადიუმის იდეა იმ ძირითად ფასეულობებს ემყარება, რაც მოაზროვნე, კეთილი ნების, რწმენითა და სამშობლოს სიყვარულით დაჯილდოებული ადამიანებისათვის უმთავრესია. ადამიანი პალადიუმში იმ შემოქმედებით თვისებებს ამჟღავნებს, რომლის გამოვლენაც მას ცალკე არ შეეძლო. მხოლოდ პალადიუმშია ცალკე აღებულ ადამიანთა შესაძლებლობის, პოტენციალთა ჯამი გაცილებით მეტი, ვიდრე მათი არითმეტიკული ჯამი!

ამრიგად, პალადიუმი, როგორც მთავარი ქვესისტემა, საქართველოს იდეას, არსს იმეორებს. პალადიუმი თავისთავად უმაღლეს სულიერ ფასეულობათა მქონე **კონგენიალურთა გონის** დამკვიდრებას ნიშნავს, რომელიც მთელი სისტემის განვითარებას, საზოგადოების პრინციპულად ახალ ფაზაში გადაყვანას შეძლებს. პალადიუმს აქვს უნარი, გარდამავალ ეტაპზე საზოგადოების უფრო მაღალგანვითარებულ საფეხურზე გადასვლისათვის აუცილებელი ატრაქტორი შექმნას.

პალადიუმის მიზანია, ღირსეული ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოების ბაზაზე, სახელმწიფოს განვითარების იდეოლოგიის შექმნა-დამკვიდრება. ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც საზოგადოების თავისუფლების ხარისხს გაზრდის და ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოძლეავენისა და ღირსების შესაბამისად თვითდამკვიდრების საშუალებას მისცემს.

საზოგადოების, სისტემის იდეოლოგია იდეების, შეხედულებების, ჩვევების, ზნეობის, ტრადიციების ჯამია, რაც არსით, გარემოსთან, ერთმანეთთან, ღმერთთან, საკუთარ და სხვის ისტორიასთან ჩვენს დამოკიდებულებას გამოხატავს. იდეოლოგიაში, ირიბად ან პირდაპირ, სოციუმის განვითარები-

სა და ქმედების პროგრამა უნდა იყოს მოცემული. იდეოლოგია წმინდა პოლიტიკური ხასიათის მქონე არაა; ის ერის ისტორიული განვითარებისას მიღებულ და შემკვიდრებით გადმოცემულ სულიერ ფასეულობებს მოიცავს.

რა თქმა უნდა, საზოგადოების მიერ, იდეოლოგიის აღქმისა და რწმენის ხარისხს უდიდესი როლი ენიჭება.

საზოგადოებას, როგორც სისტემას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, განსაზღვრული თვისებები, განვითარების გარკვეული თანმიმდევრული ეტაპები ახასიათებს. ჩვენთვის სასურველი სისტემის შესაქმნელად, ამ სისტემაში – ორგანიზმში, თვისებებში, ეტაპებში – საფუძვლიანად უნდა გავერკვეთ.

საზოგადოებაში გარკვეული იერარქია კონკრეტული ადამიანიდან, ოჯახის გავლით, უფრო მაღალი და რთული სტრუქტურებისაკენ ნათლად გამოკვეთილი. თითოეულ დონეს, ეტაპს საკუთარი, მკვეთრად დამახასიათებელი, სისტემა აქვს; რომელთაც, თავის მხრივ, თვითგანვითარებისა და კვლავწარმოების დიდი პოტენციალი გააჩნია და, დროის რაღაც მონაკვეთში, საკუთარი ძირითადი პარამეტრების სტაბილურად შენარჩუნება შეუძლია.

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოება, ზოგადად, გარედან მიღებული ენერჯის მართვისა და ამ სასიცოცხლო „ნივთიერების“ ასიმილირების უნარით გამოირჩევა. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურია, როცა მისი სტრუქტურების, ქვესისტემების განახლება მიმდინარეობს. საზოგადოება, როგორც სისტემა, საჭიროების შემთხვევაში, დისპაციასაც – მისი ნაწილების გაბნევას – მიმართავს, რათა ამ გზითაც ენერჯია და „ნივთიერება“ მიიღოს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ მისი შემადგენელი ნაწილების ქმედება, ჯერ მთლიანი სისტემის სტრუქტურით განისაზღვრება და შემდეგ საკუთარი თვისებებით. სხვა სიტყვებით – ადამიანის ქცევა, უპირველესად, საზოგადოების, სისტემის კანონებისა და სტრუქტურის შესაბამისია და, მხოლოდ ამის შემდეგ, საკუთარი მოთხოვნებისა თუ სურვილების. სისტემა მთლიანობას, დაპირისპირებულთა ერთიანობას, მხოლოდ ამ შემთხვევაში ინარჩუნებს.

საზოგადოება უკიდურესად რთული ორგანიზმია, რომელსაც აქვს სხეული, სული, აურა, შემადგენელი ნაწილების დაბალანსებული ერთობა, გრძნობა, ინსტინქტები, ინტუიცია, რეფლექსები, იმუნიტეტი, რეგენერაციის უნარი. აურა მას უფრო გამოკვეთილი აქვს, ვიდრე მის შემადგენელ კონკრეტულ ადამიანებს. საზოგადოებას ხასიათიც გააჩნია, რაც წინაპრებთან, ისტორიასთან, ბუნებასთან მის დამოკიდებულებაში მჟღავნდება.

საზოგადოებას ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ველი ახასიათებს, რომელიც მისი შემადგენელი ადამიანებისა და მათ მიერ შექმნილი ქვესისტემების – ბიოველების – დამახასიათებელი, არაფორმალური ჯამია. საზოგადოების რომელიმე ნაწილს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. აუცილებელია, რომ მან ცალკეული ქვესაზოგადოებები შექმნას და მათ შორის ჰარმონია დაამყაროს; სიცოცხლისუნარიანი საზოგადოება მხოლოდ ამ შემთხვევაში იქმნება. ნაწილების ატროფია ან ჰიპერტროფია უკვე ავადმყოფობაა და თუ სისტემის თვითგანკურნება ვერ მოხერხდა, ის უცილობლად განადგურდება. მთელი სისტემის მკურნალი და მამოძრავებელი ძალა კი მთავარი ქვესისტემა – პალადიუმია.

და თუ საზოგადოება ცოცხალი ორგანიზმია, მას სულიც უნდა ჰქონდეს, რომლის გარეშეც, მის ცოცხალ ორგანიზმად განხილვა აზრს მოკლებულია; მხოლოდ ცოცხალი საზოგადოებაა ადამიანის მოაზროვნე არსებად შენარჩუნება-განვითარების გარანტი.

მხოლოდ ცოცხალ საზოგადოებას ახასიათებს აუცილებელი მოთხოვნები:

1. მთავარ ქვესისტემაში უნდა იყოს ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობა, რომელთაც აქვთ: საერთო ფასეულობები, ზნეობრივ-ტრადიციული კრიტერიუმები, ამაღლებული ეროვნული ასტრალურობა, პრობლემათა არსის წვდომისა და გადაჭრის შინაგანი პოტენციალი.

2. მძლავრი განვითარებისათვის აუცილებელი მენტალური, ფსიქოლოგიური და ბიოველთა ერთნაირი რიტმები, რომელთა ზედღება რეზონანსისთვის აუცილებელი პირობაა;

3. მთავარი ქვესისტემისა და მისი შემადგენელი ინდივიდების მენტალური, ფსიქოლოგიური, ბიოველის რეზონანსული რიტმების მდგრადი უკუკავშირის უნარი.

4. საზოგადოების მთავარი იდეოლოგიისა და მისი აღსრულების მექანიზმის განვითარების წინაპირობის შექმნა; რის საფუძველზეც მემკვიდრეობითი სისტემის ფორმირება ხდება.

შესაბამისად:

პალადიუმში ადამიანთა მინიმალური, კრიტიკული რაოდენობა მაინც უნდა შეიკრიბოს; რათა მის ბაზაზე, ბუნებრივ კანონზომიერებასთან შესაბამისი, მთავარი ქვესისტემა წარმოიქმნას, დაიბადოს, რომლის რეზონანსული რიტმი ქვეყნის მთავარი იდეოლოგიის დამკვიდრება-შენარჩუნებისაკენ იქნება მიმართული და, ცხადია, მისი ძირითადი მახასიათებლები საზოგადოების, სახელმწიფოს შესაბამისი იქნება.

პალადიუმისათვის თვითგანვითარებადი სახელმწიფოს შექმნა მიზნად უნდა გამოცხადდეს.

– პალადიუმის უპირველესი მოვალეობა იმ სოციალური ქვესისტემების ფორმირება-განვითარებაა, რაც საზოგადოებას ცოცხალ ორგანიზმად გარდაქმნის, რათა მთელი საზოგადოების ცალკეულ წევრთა რიტმების გაძლიერება და მათი საერთო რიტმისაკენ სწრაფვა დაიწყოს; რაც, რეალურად, თითოეული ჩვენგანის თანდაყოლილი ენერჯის შემოქმედებით ღვთიურ ენერჯიასთან შერწყმაა.

სხვა სიტყვებით:

პირველი ფაზა:

იქმნება პალადიუმის სისტემა და ის, მთლიანად, საქართველოს მთავარი ქვესისტემის ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, აღნიშნული სისტემა საზოგადოებას განვითარების საშუალებას აძლევს და აყალიბებს შესაბამის იდეოლოგიას. ყველაფერი ეს კი სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნის.

ამრიგად, შექმნილი თავდაპირველი სისტემის (სახელმწიფოს) თვისებები, რეზონანსული კავშირითა და უკუკავშირით, მის მთავარ ქვესისტემაში (პალადიუმში) აისახება. იმავდროულად, შესაძლოა, მთლიანი სისტემის თვისებები მისი შემადგენელი არამთავარი ქვესისტემების (სხვადასხვა ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და არაბუნებრივი დაჯგუფებების) თვისებებისგან განსხვავდებოდეს.

მეორე ფაზა:

ასეთი სისტემა (სახელმწიფო) უკვე სიცოცხლიუნარიანია, ე.ი. გააჩნია რეგენერაციის, თვითგანვითარების და თვითორგანიზაციის უნარი, ანუ მას უკვე უნდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ისეთი მძლავრი რიტმი, რომლის გავლენას ყველა ქვესისტემა გრძნობს. იმის გამო, რომ ბუნებრივ ქვესისტემებსაც აქვთ თვითგადარჩენის, ადაპტაციის, რიტმის ცვლილების უნარი, ის გადადის იმ ვიბრაციაში, რიტმში, რომელიც მთავარი რიტმის სინშირესთან რეზონანსში შედის და ძლიერდება; ხოლო არაბუნებრივი ქვესისტემა, რომელიც მხოლოდ გარედან (მთავარი სისტემის და სხვა ბუნებრივი ქვესისტემებიდან) მიღებული ენერჯის ხარჯზე არსებობს, დისკარმონიაში შედის მთელი სისტემის რიტმთან და მისი არსებობისთვის აუცილებელი არაბუნებრივი რიტმი ქვეითდება.

მესამე ფაზა:

სისტემა (სახელმწიფო) გადადის ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მის რიტმს ქვესისტემების უმრავლესობა იმეორებს.

ასეთი სისტემის სიცოცხლისუნარიანობის სიმძლავრე მკვეთრად იზრდება, რაც, ძირითადად, დროის ხანგრძლივობასა და განვითარების ხარისხში გამოიხატება. სისტემას, მის შემადგენელ ქვესისტემებთან (მთავარი ქვესისტემის ჩათვლით) შედარებით, გაცილებით დიდი სიცოცხლის ხანგრძ-

ლივობა აქვს. იბადება საერთო რიტმი – კონგენიალურთა გონი და სისტემა თვისობრივ კვანტურ ნახტომს – ზვავისებურ განვითარებას, ანუ ჰიპერევილუციას განიცდის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შედგება სახელმწიფო, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და მას უჩნდება:

სხეული, სული, ხასიათი, შემადგენელი ნაწილების ბალანსირებული ერთობა, გრძნობა, ინტუიცია, იმუნიტეტი და ის მკვეთრად გამოსახული აურა, რაც სისტემას წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან აღუღაბებს.

და თუ ეს ვერ შევძელით, არსებულ ჯოჯოხეთურ გარემოს უკეთესით ვერ შევცვლით. ამრიგად, ცნება „ერთობის“ არსია

– მთავარი ქვესისტემის მიერ მიზნის შესაბამისი იდეოლოგიის ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ამ იდეოლოგიისადმი რწმენის დამკვიდრება.

– მთავარ ქვესისტემაში კონგენიალურთა გონისა და კონგენიალურთა მახსოვრობის დაბადება.

– საზოგადოებრივი სისტემის მიერ გაცილებით მეტი სიმძლავრის შექმნა, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების, ქვესისტემების სიმძლავრეთა ფორმალური, არითმეტიკული ჯამია.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იბადება ერთობა და სისტემას უჩნდება რეგენერაციის, თვითგანვითარების და თვითორგანიზაციის უნარი. ამ პირობების შეუსრულებლობა პროგრესს გამოორიცხავს.

აქ ჩნდება მთავარი კითხვა: ვის შეუძლია ამ ერთობისა და მთავარი ქვესისტემის შექმნა? ეს არ შეუძლია:

არც სუბიექტს,

არც ინდივიდს,

და რა საოცარიც უნდა იყოს, არც ადამიანს,

ეს მხოლოდ პიროვნების პრეროგატივაა!

ჩვენ შევეცადეთ გავრკვეულიყავით ადამიანის არსში და მივხვდით, რომ ადამიანია ის, საიდანაც ამაღლებისკენ, ღმერთისკენ სვლა იწყება. სწორედ ასეთ ადამიანს აქვს პიროვნებად ქცევის შანსი. ადამიანი, როგორც უნიკალური ფენომენი, გამოცანაა არა როგორც ბიოლოგიური არსება, არა როგორც სოციალური არსება, არა როგორც ნაწილი ბუნების ან საზოგადოების, არამედ როგორც არსება, რომელსაც შეუძლია ამაღლდეს და გახდეს პიროვნება.

ამ უკიდევანო სამყაროში ადამიანს არაფერი შეედრება. ის საოცრებაა, რომელსაც დაუოკებელი სურვილი აქვს გაიგოს ვინაა, საიდან მოდის, სად არის, საით მიდის. ის მთელი თავისი არსით ცდილობს შეიმეცნოს სამყარო, აღმოაჩინოს საკუთარ თავში ორი ურთიერთგამომრიცხავი: ღვთიური ნათელი და გამაოგნებელი სიბნელე. დიახ, ადამიანი ცდილობს და სწამს, რომ ამას შეძლებს, რადგან ის, როგორც მთელი, თავის არსში ღვთის ხატსა და ცხოველს, ამაღლებულსა და დაქვეითებულს, თავისუფალსა და მონას მოიცავს. ეს ის საოცრებაა, ვისაც სვეტიცხოველისა და მომაკვდინებელი იარაღის შექმნა შეუძლია. ის ერთდროულად უდიდეს თავგანწირვისა და უსაზღვრო, სასტიკ ეგოიზმს ავლენს. ამის მიუხედავად, სწორედ ადამიანია ისიც, ვისაც ჯერ პიროვნებადღე, მერე კი ზეადამიანადღე ამაღლება ხელეწიფება. ამ შესაძლებლობის გარეშე, სამყაროში ის არაფრით გამორჩეული იქნებოდა. ადამიანი ამაღლებასა და სრულყოფილებებისკენ სწრაფვას საჭიროებს, ის შეიძლება გადაკეთდეს, განვითარდეს, გახდეს უკეთესი ვიდრე არის, ანუ არათვითკმარია.

ამიტომაც რომ სამყაროში პიროვნება, როგორც უნიკუმი, სხვას არაფერს გავს. პიროვნება ინდივიდში არასდროს აურით.

დიახ, ინდივიდი არაა პიროვნება ინდივიდი – ესაა ნაწილი მთელის. ის უსუსურია. მაქსიმუმში, რაც მას შეუძლია მთელის ანუ პიროვნების წინააღმდეგ უძლური აჯანყებაა. ჯანყი მხოლოდ მონის ხვედრია.

პიროვნება ესაა სამყარო – ერთადერთი, ყველაფრისგან გამორჩეული, განუმეორებელი. მან უარყო არსებული ყოფიერება და ქმნის მისგან განსხვავებულ საკუთარ, საჭირო, მომავლის სამყაროს. შესაბამისად, ის არ შეიძლება იყოს არც ყოფიერება არც ყოფიერების.

ადამიანის პიროვნებაზე ამალვებასთან ერთად სამყარო უკეთესობისაკენ იცვლება.

ამრიგად, ადამიანში ამალვების პოტენციალის არსებობა სამყაროს არსრულყოფილებასა და არათვითკმარობას ადასტურებს.

პიროვნება, ღვთის მსგავსად, სულის, თავისუფლების, შემოქმედების ერთობაა, რაც დიად მთელს ქმნის. სწორედ ამითაა ფასეული პიროვნების არსი. ამრიგად, მისი კონკრეტული არსის უგულვებლყოფა და ზოგადთან გაიგივება მიუღებელია. ამიტომ იბრძოდა ვაჟა უსახო ზოგადი ძალაუფლების წინააღმდეგ.

შემდგარი ადამიანი – პიროვნება უკვდავია, ის შექმნილია მარადისობისათვის. და რადგან სამყაროში მხოლოდ სიყვარულია მარადიული, სწორედ ისაა ერთადერთი, ვისაც სიყვარულით მარადისობის წვდომა შეუძლია.

სიყვარული მხოლოდ თავისუფალს შეუძლია. თავისუფლება ესაა საკუთარ თავში, საკუთარი „მე“-ს ამალვების უდიადესი, ღვთისგან მონიჭებული უფლება და სხვა არაფერი. შესაბამისად, თავისუფლება და ამალვება იგივეური ცნებებია. მონა იმიტომ არის მონა, რომ მან ღვთისგან მომალეებული ამალვების უფლება უარყო და ვერც კი მიხვდა, რომ ამით სიყვარულისა და თავისუფლებისაკენ გზა მოიჭრა.

პიროვნება არ შეიძლება იქცეს ნივთად, გახდეს მონა, მათ შორის – არც სიყვარულის, რადგან სიყვარული ეს არის: **ღისციპლინა, ნებისყოფა, მოთმინება, სიმამაცე, აქტიურობა. დიახ სიყვარული – რწმენის აქტია. ანუ ეს ის ფენომენია სადაც მონას არაფერი არ ესაქმება.**

ქრისტიანობა თავისუფალთა, სიყვარულის და ამალვების რელიგიაა.

ქრისტიანობის არსია ადამიანის სულით და ხორციტ აღდგომა, მთელის აღდგომა. ამით ის ეწინააღმდეგება სულის სპირიტუალური უკვდავების გაგებას. ეს ამქვეყნად ხდება სულისა და ხორცის განცალკავება, შემდგომი შეერთებისათვის, მუდმივი ცხოვრებისათვის. უკვდავება ნიშნავს ქრისტეში გახსნას. და ეს არ ეხება მხოლოდ იმთ, ვისაც სწამთ ქრისტე. ის მათაც სწყალობს, რომელთაც ის არ სწამთ.

დიახ, მის გარეშე არ იქნება არაფერი!

დიახ, მხოლოდ ამალვებულნი, სიყვარულს ნაზიარები პიროვნებები ქმნიან სისტემას.

კვლავ კითხვა – იყო თუ არა ადამიანთა ისტორიაში მთავარი ქვესისტემის, ერთობის აუცილებელი პირობის შეგნებულად, ან თუნდაც სპონტანურად წარმოქმნის (დაბადების) პრეკედენტი, თუ ჩვენ ის აღმოვაჩინეთ, რაც არ არსებობს?

აქ პასუხი ცალსახაა – მხოლოდ იმის აღმოჩენა შეიძლება, რაც არსებობს. ცხადია, არარსებულს ვერავინ აღმოაჩენს.

შესაბამისად, ჩნდება მორიგი კითხვა – არსებობდა თუ არა ადამიანთა ისტორიაში მთავარი ქვესისტემის წარმოქმნის ფაქტი და როგორ შეძლო ამ მთავარმა ქვესისტემამ, საკუთარი იდეის რწმენით, პიროვნებათა **კონგენიალურთა გონით**, ისეთი სიმძლავრის შექმნა, რომ შეძლო ურთულესი ამოცანის – არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფო სისტემის რეორგანიზაცია? ეს, მართლაც, ურთულესი ამოცანაა, რადგან ყველა დროსა და სივრცეში სახელმწიფო იმ სისტემას წარმოადგენდა, რომელიც, სტატუსის შესანარჩუნებლად, თავს ყველა საშუალებით იცავდა.

ერთობისა და რწმენის ძალა

მოაზროვნე ადამიანი, რომელმაც სიცოცხლის გარკვეული მონაკვეთი გაიარა და ინტელექტი შეინარჩუნა, განვლილი გზის შეფასების შინაგან აუცილებელ მოთხოვნას უნდა გრძნობდეს.

შეფასება უნდა დაიწყოს კითხვით – ეფექტურად გამოიყენა თუ არა მან ყველა ცხოვრებისეული შესაძლებლობა, რათა ის სულიერი და მატერიალური ფასეულობანი შეექმნა, რის გარეშეც შემდგომი ეტაპის გავლა შეუძლებელია. ეს ის მარტივი ჭეშმარიტებაა, რომლის იგნორირებაც ადამიანის ღვერდაცდას იწვევს.

ცივილიზაცია ყოველთვის ბევრს ითხოვდა მეხსიერებისგან. ჩვენც მოვითხოვთ და გავისხენოთ, რა სულიერი და მატერიალური ფასეულობა შევქმენით. მატერიალური ფასეულობანი თავიდანვე გამორიცხეთ! თუ ამ მხრივ რაიმე მოახერხეთ, მხედველობაში არ მიიღება, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, თქვენ ის კი არ შექმენით, არამედ მიითვისეთ. რაც შეეხება სულიერს, ნუ გგონიათ, რომ არაფერია შექმნილი. გეშლებათ, შექმნილია გაცილებით ნაკლები, ვიდრე არაფერი.

ჩვენ წარმოვადგენთ საზოგადოებას, რომელიც არაფერზე ნაკლები ფასეულობის შექმნას ახერხებს.

თავისთავად ცხადია, რომ სულიერ და მატერიალურ ფასეულობაში ვეულისხმობთ ისეთ პროექტს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობას მცირედით მაინც გააუმჯობესებს.

ერთეულთა თავგანწირვითა თუ შინაგანი ძალების არნახული მობილიზებით მიღწეული წარმატებები კი, სამწუხაროდ, ან ვერ აღიქმება მოსახლეობის მხრიდან, ან სხვა ქვეყნების ინტელექტუალურ და მატერიალურ გაძლიერებას ემსახურება.

მთავარია გავერკვეთ, რატომ ხდება ასე.

სამყაროს ბუნებრივ განვითარებას, ცხოვრებას შემთხვევითობა არ ახასიათებს. სამყაროში ყველა მოვლენა კანონზომიერად მიმდინარეობს; ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. ჩვენი ნებისმიერი ქმედება, აზრი, გრძნობა წარსულის გავლენას განიცდის და მომავალს უყრის საფუძველს.

ცხადია, არაფერზე ნაკლები ფასეულობის შემქმნელი ინდივიდისთვის წარსულიცა და მომავალიც ბუნდოვანია. მისთვის ამოუხსნელი ამოცანაა იმ მიზეზების ძიება, რამაც ჩვენი ცხოვრება სატანჯველად აქცია. **მას ერვენება, რომ ცხოვრება შემთხვევით, შეუცნობელი ქვესკნელიდან საზარელ ბედს გვიგზავნის.** ის ვერ ხვდება, რომ ეს გაუსაძლისი ყოფა ჩვენვე შევქმენით, რომ მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, სამართლიანობის მკაცრი კანონითაა განპირობებული.

ცნება – „შემთხვევითობა“, ჩვენმა უვიცობამ შექმნა და „შემთხვევითობათ“ სიმრავლე ჩვენი აზროვნების სისუსტის ხარისხის საზომია.

უფლის ნებით, ადამიანს ღვთაებრივი თვისებები აქვს მომადლებული. ამ ღვთაებრივი თვისებების გასაღვიძებლად და, რაც მთავარია, განვითარებისათვის, მას ბოძებული აქვს მოქმედების არეალი – მიწიერი სამყარო, სიცოცხლე.

ადამიანისათვის ცნობიერების ამაღლება შინაგანი აუცილებლობაა; იგი მიწიერ განცდათა აღქმის შედეგად, თვითშემეცნებადღე, სრულყოფამდღე აღწევს. საკუთარ ღვთიურ წარმოშობას მხოლოდ სრულყოფილი პიროვნება აცნობიერებს.

ყოფიერება და მოძრაობა – ეს ერთი და იგივეა, ერთი არსის მატარებელია.

სამყაროში ყოველგვარი ქმედება ურთიერთკავშირშია.

სამყაროს არსია – დიადი, უწყვეტი მოძრაობა, რომელსაც ჭეშმარიტი სიმართლის შეუვალე კანონები მართავს და ბედი აქ არაფერ შუაშია.

ადამიანი თვითონვე ქმნის, აშენებს საკუთარ სამყაროს, როგორც სახლს. პიროვნების ნებასურვილის მიხედვით, შესაძლებელია სახლს ფორმა შეეცვალოს, შესაძლოა, ის გაპარტახდეს ან დაიშალოს და თავიდან აშენდეს.

აღმშენებლობა შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანი ფიქრობს, გრძნობს, იღვწის. საკმარისია, ფიქრი შეეწყვიტოთ, უგრძნობნი გაეხდეთ და ყველაფერი ქვაკვება.

ეს გაქვავებული უაზრობა, პირიქით, იწყებს ჩვენს გარდაქმნასა და ნგრევას.

პიროვნება ხარ, თუ ფიქრობ, გრძნობ, იღვწი და თუ არა, ბედის მონა ხარ. რათა ადამიანი გახდეს, მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის.

გარეგანი ზემოქმედებით წარმოქმნილ ძალას, რომელიც ადამიანს ქმედებისკენ უბიძგებს, **სურვილი ეწოდება.** თუ ამ მამოძრავებელი ძალის წარმოქმნის წყარო ადამიანის შინაგანი გააზრებული არსია, **ეს უკვე ნებისყოფაა.**

სურვილი და ნებისყოფა ადამიანის მამოძრავებელი ძალის ორი პოლუსია.

სწორედ, სურვილი და ნებისყოფა ჩვენი გადარჩენის საფუძველი.

ეს პრობლემის ერთი მხარეა. მეორე და უმთავრესი ისაა, როგორ გავაღვიძოთ უძრავლესობაში სურვილი და ნებისყოფა. სწორედ, ამ ძალაზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას სახელმწიფო და მასში წესრიგი დამყარდეს.

შესაძლებელია ეს, თუ უტოპიაა? არსებობს თუ არა ადამიანთა ისტორიაში ასეთი მდგომარეობიდან უსისხლოდ გამოსვლის პრეცედენტები? საერთოდ, შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოში წესრიგის დამყარება? შესაძლებელია თუ არა ახალი იდეის გამარჯვება?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია, გავიხსენოთ და განვიხილოთ სახელმწიფოში წესრიგის დამყარების, ადამიანთა გაერთიანებისა და შემოქმედებითი აღზევების ისტორიული ფაქტები.

ვცალოთ, ზოგადად გავერკვეთ იდეის გამარჯვების ტექნოლოგიაში და ადამიანთა ისტორია ამ კუთხით გავაანალიზოთ.

“ისტორია“ მრავალსახოვანია. არსებობს ხელოვნების, ფილოსოფიის, ფიზიკის ისტორია, . . . და ავადმყოფობის ისტორიაც კი.

ამ მრავალფეროვნებიდან ჩვენთვის საინტერესოა „სახელმწიფოში წესრიგის დამყარების ისტორია“.

ასეთი სახელწოდების ისტორია ისეთ მძლავრ ინფორმაციულ წყაროშიც კი ვერ აღმოვაჩინეთ, სადაც, როგორც ცნობილია, მრავალი წიგნი კი არა, მრავალი ბიბლიოთეკა ინახება (ინტერნეტი).

ერთ-ერთი მოსაზრება – „ისტორია გვასწავლის იმას, რომ არაფერს გვასწავლის“. საკითხავია – თუ დახვეწილი, უნიკალური „ადამიანთა ისტორია“ არაფერს გვასწავლის, მაშინ რას უნდა ველოდეთ „სახელმწიფოში წესრიგის დამყარების“ არარსებული ისტორიისაგან? – გვერწმუნეთ, გაცილებით მეტს.

– პარადოქსია? – არა!

დედამიწაზე შექმნილია ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება – მახათიდან არ დაწყებული და კოსმოსური ხომალდით არ დამთავრებული. შექმნილია ისიც, რაც არ სჭირდება ადამიანს – ნარკოტიკიდან არ დაწყებული და ფაშიზმით არ დამთავრებული.

ქმნიან ყველაფერს, რაც სჭირდებათ და არ სჭირდებათ. არ ქმნიან იმას, რისიც ეშინიათ.

დეგრადირებულ სახელმწიფოში ასეთი ისტორიის შექმნის მცდელობას მმართველი „ელიტარული“ წრეები პირად შეურაცხყოფად თვლიან, ამიტომ გააფთრებით ებრძვიან მას. ასეთ ქვეყნებში არა-ელიტარული წრის, ანუ მოსახლეობის აზროვნება ისეთ ღონემდეა დაყვანილი, რომ მათთვის ცნება „წესრიგი სახელმწიფოში“ და „უტოპია“ სინონიმებია. ეს აზრი ისეა გამჯდარი ხალხის გონებაში, თითქოს ისეთი ქვეყნები, როგორცაა დანია, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, აშშ, . . . რეალურად არარსებული სახელმწიფოები იყოს.

ემინიათ იმის, რაც ეფექტურად არღვევს მათ არსს; ჯერ არარსებული ისტორიაც კი პანიკაში აგდებთ, ამიტომ ასეთი ისტორიისაგან გაცილებით მეტს უნდა ველოდეთ, ვიდრე უკვე არსებული „ადამიანთა ისტორიისგან“.

შევეცადოთ, ადამიანთა ისტორიაში ვიპოვოთ ის ელემენტები, რაც, ჩვენი აზრით, პრობლემაში გარკვევის ორიენტირი იქნება.

როგორც აღენიშნეთ, – **ისტორია გვასწავლის იმას, რომ არაფერს გვასწავლის.**

თუ ისტორია „მკვლევარს“ ვერაფერს ასწავლის, ეს ისტორიის კი არა, „მკვლევარის“ პრობლემაა. ამ ფრაზაში, იუმორის გარდა, საყურადღებო ისაა, რომ ისტორია არ ასწავლის იმას, ვისაც არ უნდა რაიმეს დანახვა. შეიძლება „მკვლევარის“ ეს დაუნახაობა, ანუ სიბრმავე, საზოგადოებას ძალიან ძვირი დაუჯდეს.

ისტორია წარსულზე უნივერსალური ცოდნაა. წარსული დაკავშირებულია აწმყოსთან, ორივე – მომავალთან.

სოფოკლესათვის ისტორია წრიული მოძრაობაა, თვით წრე კი მისთვის – მუდმივობისა და დროის სიმბოლო.

დრო და მუდმივობა.

ანტიკური ფლოსოფია უპირატესობას მუდმივობას ანიჭებს.

პლატონი – დრო მუდმივობის სახეა.

ჰერაკლიტე – სამყარო მონაცვლეობით, პერიოდულად აალება და ჩაქრობაა.

ვიკო ჯამბატისტა (1668-1744) – ყველა ხალხის ისტორია ერთიან კანონზმიერებას ექვემდებარება. ყველა ერთნაირ სტადიებს გადის: ბარბაროსული, გმირთა საუკუნე, ქალაქთა ეპოქა, იურიდიული და გონის ეპოქა. მერე, თითქოს, ისევ საწყისს ვუბრუნდებით, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე (სპირალი). ისტორიას არა აქვს საბოლოო წერტილი, ის დროის მიღმაა. ჩემი აზრით: კულტურა კვდება და თავისი სიკვდილით ახალ ცივილიზაციას ქმნის. ცივილიზაციაც ბერდება და ისევ რეანიმაციას (კულტივირებას) საჭიროებს – რენესანსი . . .

ჩვენ ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემას სხვა ასპექტით განვიხილავთ. წარსულის, ანუ ისტორიული ფაქტების გამოყენება დღევანდელი დღის ორიენტირად, რათა ზვალინდელი შევქმნათ, საკმაოდ სადისკუსიოა. პრობლემა მკვლევარშია, რადგან მას აზრობრივი შორსმხედველობის აბერაცია უშლის ხელს. ასევე, ახლომხედველობის აბერაციით, ის ვერ აანალიზებს გუშინდელ და დღევანდელ ფაქტებს, თუმცა, ეს კვლევის შეწყვეტის მიზეზი არ არის.

არანაკლები პრობლემაია ისეთ კონკრეტულ მეცნიერებაში, როგორცაა ფიზიკა. ფიზიკის პარადოქსი: თავდაპირველად, ჩვენ ახალგაზრდებს კლასიკურ ფიზიკას ვასწავლით. შემდეგ ვუხსნით, რომ ის, რაც ვასწავლეთ, უსარგებლოა ახალი, კვანტური ფიზიკისათვის. ვცდილობთ, დავავიწყოთ ჩვენს მიერ გულმოდგინედ ახსნილი კლასიკური აზროვნება და ამ „უსარგებლო“ მაგალითზე, გავავებინოთ კვანტური ფიზიკა.

– გაიგეთ რამე?

– ვერც ჩვენ.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი აბსურდისა, თანამედროვე ფიზიკა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გამოყენებითი მეცნიერებაა. შორს და ახლო ხედვის აზრობრივი აბერაცია ფიზიკაშიც ხელს გვიშლის. აქაც გვაქვს ზოგადი პრობლემა – ელექტრონი არცერთ ფიზიკოსს არ უნახავს, ისევე, როგორც ფარაონი ეხნატონი – არცერთ ეგვიპტოლოგს; როგორც ქართველ ისტორიკოსს არ უნახავს მტრის სისხლით მორწყული დიდგორის ველი და ნაპოლეონის ომების სპეციალისტს – ვატერლოოს ველზე მგრავინავი ქვემეხები.

ცხადია, ძნელი წარმოსადგენია გამარჯვებისა, თუ დამარცხების შემდეგ, მხედართმთავარი თავქუდმოგლეჯილი გარბოდეს საწერ მაგიდასთან და საკუთარი ხელით მომხდარზე ანგარიშის წერას იწყებდეს. ასეც რომ იყოს, ის აუცილებლად უნდა დაეყრდნოს თანამემწეთა მოხსენებებს.

აქ ვაწყდებით ახალ, ე.წ. თვითმხილველის პრობლემას. თვითმხილველი კი, თითქმის ყოველთვის, ილუზორულია.

ეს ყველაზე კარგად დეტექტივებმა იციან. მათ დიდი ხანია დაადგინეს – ყველა „მოწმის“ პირადი „ჩვენება“, უმრავლეს შემთხვევაში, რატომღაც, სხვის მონათხრობს, ან „მოწმის“ ფანტაზიას ეყრდნობა. ყველა გამოცდილმა დეტექტივმა იცის „თვითმხილველის“ ინფორმაციის ფასი, ამიტომ ის, ძირითადად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ მწირ ინფორმაციას, საკუთარ ანალიზსა და გარდასახვის უნარს ეყრდნობა. ის ცდილობს დამნაშავეს არსში გარდასახვას და მხოლოდ ამის შემდეგ ქმნის დამნაშავეს ქმედების ვერსიას. საოცრება ის არის, რომ განათლებული, გარდასახვის უნარით დაჯილდოებული დეტექტივის ვერსია რეალურ სურათს უდიდესი ალბათობით ემთხვევა.

ვცალოთ და ეს მეთოდი ისტორიულ მოვლენებში გასარკვევად გამოვიყენოთ.

გავერკვეთ, რა ძალამ, რა იდეამ შექმნა დიდგორის გმირთა ერთობა და საერთოდ, როგორ ხდებოდა იდეის ჩამოყალიბება და მისი რეალიზება – გამარჯვებამდე, რეალობამდე მიყვანა.

პრობლემის სრულყოფილად გააზრებისათვის, აუცილებელია ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ დროსა და სივრცეში გარდასახვა. მხოლოდ ამგვარად შეიძლება აღმოვაჩინოთ ამ პრობლემის გახსნის საიდუმლო.

გვერწმუნეთ, ისტორიის ნებისმიერი დროის მონაკვეთში, ვინმეს რამეში დარწმუნება ერთ-ერთ ყველაზე რთულ საქმეს წარმოადგენდა.

შევეცალოთ, ფაქტებზე დაყრდნობით გავერკვეთ, როგორ ახერხებდა პიროვნება ან მცირე-რიცხოვანი ჯგუფი იდეის გავრცელებასა და გამარჯვებამდე მიყვანას.

ქვემოთ განხილულ ისტორიულ მაგალითებში ჩვენ მსჯელობა გვექნება არა რელიგიაზე, რწმენაზე, არამედ იდეის გამარჯვების ტექნოლოგიაზე; ამიტომ გთხოვთ, ისტორიულ ფაქტებს არა რელიგიური, არამედ რაციონალური თვალსაზრისით მიუდგეთ.

ამ მხრივ, საინტერესოა ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორია.

შევეცალოთ, წარმოსახვით ანტიკურ რომში გადავინაცვლოთ.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისი . . .

რით იყო დაკავებული საშუალო შესაძლებლობის რომაელი? დილით, დაახლოებით 10 საათზე, მას მონა ქალი ნაზი მასაჟით აღვიძებდა. საფეთქლების დახეღვა აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან ქეიფის შემდეგ, დღე თავის ტკივილით იწყებოდა.

ასეთი თავის ტკივილით იღვიძებდნენ მასზე უფრო მდიდარნიც და ღარიბნიც. ეს ღარიბთა ფენა, ძირითადად, მლიქვნელობის შედეგად მდიდრების სუფრაზე მიპატიჟებით ირჩენდა თავს. სუფრასთან ვლინდებოდა მათი უსაზღვრო ნიჭი - ედიდებინათ სუფრის მეუფე. ბრბოს ამ ფენას „კლიენტები“ ეწოდებოდა. ამ სიტყვის აზრი შემდგომში შეიცვალა.

დავუბრუნდეთ ახლად გამოღვიძებულ რომაელს. მან მიირთვა წყალში გახსნილი მსუბუქი ღვინო და რამდენიმე მონის დახმარებით ჩაჯდა აკვიუმში (აბაზანაში). ის თანდათან „გონს მოდის“ და ტანტრეკვანით მიაქვთ აგორაში (მოედანზე) – ბაზარში (ეს იყო შეკრების ადგილი, სახალხო საკრებულო, სამსჯავრო; ბაზრისა და ჰაიდ პარკის მსგავსი). გზაზე მას უკვე აუღევნა კლიენტების ჯგუფი, რომელთაც პლუტარქე სამხარეულოს აბეზარ ბუზებს ადარებდა.

რომაელს ბაზარში საყიდელი არაფერი აქვს. ის, უბრალოდ, მისთვის საინტერესო ჭორების მოსასმენად მიდის. შემდეგ, სარგებლობს რა დილის სივრცით, ატრიუმში შეივლის, რათა კონსულს თხოვნით მიმართოს. თხოვნის შინაარსს მნიშვნელობა არა აქვს, უბრალოდ, იქნებ რამეს გამოკრას ხელი. შემდეგ ის ბრუნდება სახლში, ხის ჩრდილში მდგარ ტანტზე წამოწოლილი მითითმევეს გემრიელ სადილს და ამის შემდეგ წმიდათაწმიდა შუადღის ძილი იწყება. იქვე, ეზოსთან ათამდე კლიენტია გაბნეული, რომლებიც სადამოკამს „რესტორანში“ დაბატიუებას მოუთმენლად ელიან.

მოსაღამოვდა. დამთავრდა „სამუშაო“ დღე.

ჩვენი რომაელი იღვიძებს, . . .

პლინიუს უმცროსი წერდა: „საოცარი სანახავია, როგორ გადის დრო რომში. თითქოს თითოეულ დღეს რაღაც გაკეთდა; ვიღაცა ვიღაცას ანდერძის შესაღვენად გაჰყვა; სასამართლოში მოწმედ იყო; საქორწილო მზადებაში ეხმარებოდა მეგობარს; მაგრამ გადის თვეები და ხვდები, რომ არაფერი გაკეთებულა. იმ დღეთა უსუსურობას მთელი სიცხადით მაშინ შეიგრძნობ, როცა რომს ტოვებ“.

აი, ასეთი ჩვეულებრივი დღე მოათავა რომელიმე. მან უკვე გაიღვიძა და დროა, გაერთოს. გასართობი კი რომში ისეთი მრავალფეროვნებით იყო წარმოდგენილი, რომ ამ ბიზნესში დახელოვნებულ ჩვენს თანამოძმეებს არც დასიზმრებიათ.

რომაელი უპირველესად მიდის აბანოში; იქ ისევ ჭორები, მსუბუქი ორგია; ის უკვე ფორმაშია. გასართობად დიდი არჩევანი აქვს: გლადიატორთა ბრძოლა, საილოსა და მარტორქის შერკინება თუ „რესტორანი“, უფრო სწორად, სასტუმროს, რესტორნისა და კლუბის ნახავი ესტრადის თანხლებით. იქ უდიდესი ფანტაზიით იყო წარმოდგენილი ე.წ. ბზიკების ცეკვა, რაც დღევანდელი სტრიატივის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა.

იწყება დროსტარება. ნებისმიერი ასაკის, ფერის, ზომის, ეროვნების ქალბატონები, ორგია კლიენტთა თანდასწრებით და ეს ყველაფერი საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებში. კლიენტები „აღფრთოვანებას“ ვერ მალავდნენ ჩვენი რომაელის მჭვერმეტყველებით, მამაკაცური ღირსებით, ქეიფით. ბილოს ის გაღვნილი მივრალი მააქვთ სახლში. დილით ისევ თავის ტკივილით გაღვიძება და ყველაფერი თავიდან იწყება.

ვიღაც შეიძლება ადამიანის ასეთმა „ბედნიერმა“ ცხოვრებამ. ზოგს კი ასეთი ერთფეროვნება, შეიძლება, უბრალოდ, მოსაწყენად მოეჩვენოს.

მაშ, რით გაერთოს კაცი?

პოლიტიკა? – ცოტა სარისკო საქმეა.

ფილოსოფია? – ყველას არ შეუძლია.

მეცნიერება? – ათასწლეულის დასაწყისში მეცნიერებაში ზუსტად ისეთივე სურათი იყო, როგორც დღეს. საშუალო აზროვნების თუ ხარ, შეიძლება გრანტიც გიწილაღონ, შეგაქონ: შენ მოინდომე, მოითმინე, თარგმნე, ყველაფერს მიაღწევ, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანს, ორიგინალურს თუ შექმნიდი, თავს დაგატყდებოდა ყველა ის უსიამოვნება, რომლის მოფიქრებაც მხოლოდ ანტიკურ რომში იყო შესაძლებელი. ორიგინალური მეცნიერის გასანადგურებლად მოგონილი ხრიკების კომბინაციებს სახლვარი არ ჰქონდა.

გასართობად რჩებოდა პოეზიის საღამოები და, სწორედ, ამ უწყინარი საქმით იყო გატაცებული ყველა. ცხადია, პოეტს თავის გამოსაჩენად აუდიტორია სჭირდებოდა. ასეთ მსხვერპლს კი მხოლოდ დაავალებული ახლობელი ან მეგობარი თუ გაიღებდა.

ოვენალის სიტყვებით: „ასეთი პოეზიის მოსმენა ზრდილობისა და ტანჯვის ნარევეს წარმოადგენდა. ეს იყო ის უბედურება, რომელიც მხოლოდ სახლის ნგრევას ან ხანძარს შეიძლება შევადაროთ“; ამ ტანჯვას თუ ბოლომდე გაუძლებდი, ზემოთ აღწერილ რესტორანში დაპატიჟება გარანტირებული გქონდა.

კიდევ რით შეიძლება გაერთოს ადამიანი, რა არ არის რომში აკრძალული?

– დაახ, თქვენ სწორად მიხვდით, თეოლოგიური საუბარი დაშვებულია. არა, რომაელები რელიგიურები როდი იყვნენ, უბრალოდ, იმპერატორები თვლიდნენ, რომ იმპერიისათვის თეოლოგია საშიშროებას არ წარმოადგენდა. ამ მდგომარეობით სარგებლობდნენ მოაზროვნე, აქტიური გონებით დაჯილდოებული პირები, და, შესაბამისად, მრავლად იყვნენ წინასწარმეტყველნი.

ყველას მოგვსენებათ ქრისტიანული რელიგიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მაგრამ ამავე დროს, არსებობდნენ სხვადასხვა მიმართულების რელიგიური მიმდინარეობები, რომელთა შესახებ ჩვენ მწირი წარმოდგენა გვაქვს.

ასე რომ, ჩვენს რომაელს არჩევანი საკმარისზე მეტი ჰქონდა.

მაგალითად: იყვნენ აპოლონ ტაინების მიმდევრები, საკმაოდ საინტერესო იდეებით. ასევე ჰერმეს სამჯერ დიდებულის მიმდევრები. დიდების მიღწევა, დღევანდელის მსგავსად, მაშინაც, ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა, მან კი დიდება სამჯერ დაიმსახურა. რატომ? – ის მეცნიერების მამად, ორატორიის ფუძემდებლად ითვლება. მან შექმნა ალქიმია, ასტროლოგია, რომელმაც შემდეგ მიზანი შეიცვალა და დღეს ასტრონომიად იწოდება. ითვლება, რომ ის იყო მათემატიკისა და ფილოსოფიის წარმოშობის პირველწყარო, სათავე.

ჰერმეს სამჯერ დიდებულს ეკუთვნის ძირითადი პრინციპები:

“სამყარო არის ღმერთის – აბსოლუტური გონის – შემოქმედების შედეგი, ყველაფერი ურთიერთკავშირშია და თუ იცვლება რაღაც, იცვლება ყველაფერი.

ყველაფერი იმყოფება მუდმივ და უწყვეტ მოძრაობაში და მოძრაობის ცვლილება იწვევს რაღაცაში ცვლილების გამოვლინებას.

ყველაფერს აქვს საკუთარი წინააღმდეგობა, ანუ საწინააღმდეგო. ეს წინააღმდეგობები ერთნაირი ბუნებისაა და ერთმანეთისაგან მხოლოდ ხარისხობრივად განსხვავდება.

ყოველ მიზეზს საკუთარი შედეგი აქვს და ყოველ შედეგს კი – მიზეზი“.

ხომ არ გეცნობათ? – დიახ, ეს იდეები ჰერმეს სამჯერ დიდებულს ეკუთვნის.

მისი აზრები არ მოგწონთ? – მაშინ, მოუსმინეთ ფილონ ალექსანდრიელის მიმდევრებს. იგი საკმაოდ განათლებული ებრაელი თეოლოგი გახლდათ. სწორედ, მან შემოიტანა სულიერი და მიწიერი სამყაროს დამაკავშირებელი ცნება – „ლოგოსი“ – ღმერთის წინაშე ადამიანთა თანასწორობის იდეა; განავითარა სენეკას აზრი მიწიერი ცხოვრების უსუსურობაზე; მან პლატონიზმის ვარიანტების ბაზაზე ორიგინალური სისტემა შექმნა.

არ ეთანხმებით ამ მოსაზრებებს? – მაშინ გაეცანით ორი ებრაელი რაბინის – შამაისა და ჰამაილის შრომებს. ამ ორმა უგანათლებულესმა პიროვნებამ სისრულეში მოიყვანა თაღმული, რითაც ძველი ებრაული რელიგიის რეფორმა დასრულდა.

აი, რამდენი არჩევანი ჰქონდა რომაელს, რომელსაც უკვე მოსწყინდა ბავშვური რემინისცენცია – ბუნდოვანი მოგონებები ოუპიტერზე, იუნონაზე.

რომაელი ეცნობა სხვადასხვა იდეებს. მან უკვე გაიგო, რომ გარეუბანში იკრიბებიან მწყემსები, გლეხები და ისინიც რაღაცაზე მსჯელობენ. ყველაზე მეტი აქტიურობით ებრაული ფენის ერთი ნაწილი გამოირჩეოდა.

იმ პერიოდში ებრაელები დაყოფილნი იყვნენ ოთხ ჯგუფად. ერთ ნაწილს ფარისეელებად მოიხსენიებდნენ. ჩვენთვის სიტყვა ფარისეელი ნაცნობია; ამჟამად ამ სიტყვას შეცვლილი ელფერი, შინაარსი აქვს.

ფარისეელები, ვაჭრობაში საკმაოდ გაცნობიერებულ, მდიდარ ფენას წარმოადგენდნენ. ისინი მკაცრად იცავდნენ ძველ კანონებსა და ადათებს. ატარებდნენ გრძელ თმასა და ღვარცხნილ წვერს, თავზე – ოქროს რგოლს. სწავლობდნენ თორას, წმინდა წიგნებს. ისინი ვერ იტანდნენ ებრაული ფენების სხვა წარმომადგენლებს – საღუკეველებსა და სიკარიელებს.

მეორე ფენას საღუკეველები წარმოადგენდნენ. მათ ებრაული თითქმის არაფერი აინტერესებდათ. ეცვათ ჰიტონები, ბერძნულ ყაიდაზე იპარსებოდნენ, ლაპარაკობდნენ ბერძნულად და შვილებს არქმევდნენ არა აბრაამსა და იაკობს, არამედ არისტომაქსა და დიომიდეს. ისინი ფლობდნენ ფულს, მიწებს და იყვნენ განათლებული მხედართმთავრები.

მესამე ფენას სიკარიელებს (ხანჯლოსნებს) უწოდებდნენ. მართალია, ისინი მცირერიცხოვანი იყვნენ, მაგრამ შიმის ზარს სცემდნენ ყველას. ეს იყო დღევანდელი „მაფის“ მსგავსი ფენა. მათი კონსპირაციულ-დანაშაულებრივი ცხოვრების წესი დღევანდელი ბნელი სამყაროსათვისაც კი საოცნებოა.

ჩვენს ინტერესს ებრაელთა მეოთხე ფენა იმსახურებს, რომელიც გაუნათლებელი მწყემსებისა და გლეხებისაგან შედგებოდა. ისინი გარეუბნების გამოქვაბულებში იკრიბებოდნენ; მათ მესამე პირისაგან ჰქონდათ გაგებულება, რომ ბიბლიაში აღწერილია ბრძოლა ბნელსა და ნათელს შორის. სწამდათ, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს ნათელი, მიუვლინებათ მხსნელი, რომელიც გაყრის რომაელებს და დასჯის ფარისეელებს, საღუკეველებს, სიკარიელებს.

სწორედ, ეს ებრაული ფენა იყო პოტენციურად მზად, მიეღო ქრისტიანობა. მისმა ერთმა ნაწილმა ეს კიდევ შეძლო.

მაქციეთ ყურადღება, იდეათა ბრძოლაში რომის პროვინციებში გაბნეული, ყველაზე „დაბალგანვითარებული“ ებრაელთა ფენა ებმება.

ჩვენი რომაელი ამ ჯგუფით დაინტერესდა.

რატომ? – იმიტომ, რომ რომში გაჩნდა ჭორი, თითქოს ამ ფენის წევრებს მომავლის წინასწარმეტყველების უნარი შესწევდათ. წინასწარმეტყველების მთელი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ პიროვნება მათ იდეას არ მიიღებდა, ის ბედნიერებას ვერ ეღირსებოდა (გარდაცვალების შემდეგ).

პირველი ქრისტიანები, როგორც იდეის პროპაგანდისტები, შეუდარებელი აღმოჩნდნენ და შედეგამაც არ დააყოვნა.

რომაელი მრავალი იდეიდან, რატომღაც, ქრისტიანულ მოძღვრებას ირჩევს. გაისხენეთ, ზემოთ აღწერილი მისი ცხოვრების წესი. ხდება საოცარი გარდაქმნა. იგი უარყოფს ალვირანსნილ ცხოვრებას, მეუღლისადმი ერთგული და იდეისადმი თავგანწირული ხდება.

– დაუჯერებელია? – არა, ფაქტია!

სწორედ, იდეის გავრცელების ეს ფენომენია ჩვენთვის საინტერესო.

იდეის განვითარების ასეთმა მძლავრმა ფენომენმა, ცხადია, დააფიქრა იმპერატორი ტრაიანე. მან გამოსცა კანონი, რომლის თანახმად, ყოველგვარი შეკრება იკრძალებოდა. მეხანძრეთა საზოგადოების შეკრებაც კი აიკრძალა.

მეხანძრეების რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ აკრძალვამ ქრისტიანთა შეკრებას თავისებური მომხიბვლელთა შესძინა. კანონმა კანონმდებლისათვის უარყოფითი შედეგი გამოიღო.

ღრმად პატივცემულ იმპერატორ ტრაიანეს ველარ დავენხმარებით, ჩვენ კი დავიმახსოვროთ – თუ ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება იკრძალება, აღარ არსებობს ბარიერი, რომელიც მას შეაჩერებს.

ტრაიანემ კანონის გამკაცრება გადაწყვიტა. დაიბარა პროკურატორები და მათ მიერ წარდგენილ რომაელ ქრისტიანთა სიას გადახედა. ის მიხვდა, რომ ქრისტიანთა განადგურება რომის იმპერიაში ინტელექტის კრიზისს გამოიწვევდა.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ტრაიანემ შემდეგი შინაარსის კანონი გამოსცა: „სიკვდილით დაისჯება ყველა, ვინც პირადად გამოცხადდება პროკურატორთან და ქრისტიანებთან კავშირის აღიარებს“.

– ვინ გიყი მოვა ნებაყოფლობით? – დამწუხრდნენ პროკურატორები.

– მეც ეს მინდა – იყო იმპერატორის ლაკონური პასუხი.

კანონი ძალაში შევიდა.

მოხდა ის, რასაც ვერც პროკურატორები და ვერც ტრაიანი წარმოიდგენდნენ. მეორე დღეს პროკურატორებთან მიღებაზე ქრისტიანთა რიგები დადგა. ზოგიერთი უდისციპლინო ქრისტიანი პროკურატორთან შესვლას ურიგოდ ცდილობდა, რაც რიგში მდგომთა სამართლიან აღშფოთებას იწვევდა.

უფრო საინტერესო მოვლენასაც ჰქონდა ადგილი: წარმოიდგინეთ, გზაზე მიმავალი რომელი, რომელსაც ბუჩქებიდან გამოუხტება ექვსი ჯან-ლონით სავსე, კომბლებით შეიარაღებული ვაჟკაცი. ფერდაკარგული რომელი უსიტყვოდ უწვდის ქისას.

– როგორ გეკადრებათ?! ჩვენ მძარცველები არა ვართ! – პასუხობდა ჯგუფი.

– მაშ, რა გნებავთ?

– ჩვენ ქრისტიანები ვართ, აი, კომბალი და თავები დაგვიხეთქე!

– რას მეუბნებით? ქათამიც კი არ დამიკლავს . . . – წუხს რომელი.

– შეასრულე, რასაც გუბნებით, თორემ ტყავს გააძრობთ!

რომელი თავის გზას აგრძელებს; უკან კი ექვსი თავგახეთქილი გვაძი რჩება.

ქრისტიანებს იმდენად სწამდათ იდეის, რომლის მიხედვითაც მოწამებორები სიკვდილი სამოთხისკენ პირდაპირი გზაა, რომ სიკვდილს „ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ“.

იგივე თემასთან დაკავშირებით: რომი, 268 წელი ჩვწ-ალ-ით. გალაში ხდება აჯანყება. თავისთავად ცხადია, ამ აჯანყების ჩასახშობად იმპერიის ყველაზე მძლავრი, ორმოცი ათასი თავზეხელაღებული მეომრისგან შემდგარი, მეთუ ფიციანის ლეგიონი გაიგზავნა. ლეგიონის გალიასთან მიახლოებისთანავე გავრცელდა ჭორი, რომ აჯანყებულნი ქრისტიანები იყვნენ. ქრისტიანმა ლეგიონერებმა ერთმორწმუნეთა დასჯაზე უარი განაცხადეს.

იმ დროს ბრძანების შეუსრულებლობა სასტიკი კანონით – დეციმაციით ისჯებოდა. ამჟამად მივიწყებული ეს საშინელი სიტყვა ყოველი მეთის თავის მოკვლას ნიშნავს.

წარმოიდგინეთ ორმოცი ათასი მეომარი, არ იცით, მეთუ ხართ, თუ მეცხრე. საჩვენებლად ისჯება ყოველი მეთუ, ისევ ბრძანება, ისევ დაუმორჩილებლობა, ისევ დეციმაცია, ისევ და ისევ . . .

იდეის რწმენა მოვალეობაზე მაღლა იდგა.

არსებობს ეკლესიური დღესასწაული – ორმოცი ათასი მოწამის ხსოვნის დღე – ეს მეთუ ფიციანის ლეგიონის ხსოვნის დღეა.

დრო გადის და იმპერატორი კონსტანტინე რომის იმპერიის დროშაზე გამოსახულ არწივს ჯვრით ცვლის.

დასკვნა: არაფრით გამორჩეულმა, მაგრამ საკუთარ სიმათლელში დარწმუნებულმა ადამიანთა ჯგუფმა შეძლო ერთობის დამკვიდრება და იდეის გამარჯვებამდე მიყვანა.

შედეგი: გაუგონარი სიმძლავრის საზოგადოების შექმნა.

გადავინაცვლოთ სივრცესა და დროში.

570 წელი ჩვწ-ალ-ით. არაბეთი სამ ნაწილადა წარმოდგენილი – წითელი ზღვის ნაპირი, ქვიანი არაბეთი, ოაზისები, ფინიკის პალმები. აქ გადის საქარაუნო გზა ინდოეთიდან ბიზანტიაში. გამცილებლები, დუქნები, ფინიკითა და წყლით ვაჭრობა. მდიდრული არა, მაგრამ წყნარი და უშფოთველი ცხოვრება.

მეორე ნაწილი – უდაბნოს არაბეთი. უდაბნო ჰქვია, მაგრამ სამი მხრით ზღვა აკრავს, მაღალი ტენიანობა, ალაგ-ალგ მინდვრები, აქაც ოაზისები, აქაც წყნარი ცხოვრება.

მესამე ნაწილი – სამხრეთი. ეს არის ბედნიერი არაბეთი – იემენი. ტროპიკული ბაღები, ყავა, ჩვენთან „არაბიკად“ ცნობილი, სწორედ ის, რომელიც ბრაზილიაში გაამრავლეს. არაბებიც მთელი ნეტარებით მიერთმევენდნენ ყავას. კმაყოფილი ცხოვრება.

მეზობლები კი მოუსვენარნი ჰყავდათ. ერთი მხრიდან – აბისინიელები, მეორე მხრიდან – სპარსელები. სპარსელები არაბეთში რატომღაც აბისინიელებს მტრობდნენ და ცდილობდნენ მათ აფრიკაში განდევნას. მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო. არაბები მათ ბრძოლას მშვიდად, მთქნარებით ადევნებდნენ თვალყურს. მათ უკვირდათ სპარსელებისა და აბისინიელების დაუხარლობა, ენერგია, ბრძოლა, როცა შეიძლებოდა წყნარად, პალმის ქვეშ, ჩრდილში ნოხზე თვლეს.

ისმის კითხვა, რატომ არ ებრძოდნენ არაბებს ეს მოუსვენარი მეზობლები? – ამის მიზეზი ის იყო, რომ არაბეთზე სავაჭრო გზები გადიოდა ინდოეთიდან ბიზანტიისაკენ. ცხადია, უდაბნოს გადალახვისას სავაჭრო ქარავანისათვის წყლით მომარაგება მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი გახლდათ. ისიც ცხადია, რომ არაბების განაწევენება ქარავანის უწყლოდ დარჩენას გამოიწვევდა. წყაროების გასაქრობად კი ღამით ჭის ქვიშით ამოვსებავს საკმარისი იყო. ამიტომ არაბების შეწუხებას ვერავინ ბედავდა, და ამგვარად, არაბეთი,

ამჟამინდელი ტერმინოლოგიით, სავაჭრო დერეფნად იქცა (ჩვენი „პოლიტიკოსების“ ოცნება). არაბები ემსახურებოდნენ ქარაენებს. გზებზე არაბები აშენებდნენ დუქნებს. იყო გაცხველებული ვაჭრობა ფინიკით, წყლით, საკვებით, ქალებით. ყველა კმაყოფილი და „ბედნიერი“ იყო.

მექექსე საუკუნეში არაბები უწყინარი, არაფრით გამოჩენილი ხალხი იყო. უყვარდათ პოეზია. ვარსკვლავებს ღმერთებად თვლიდნენ. როცა ერთ ბელუნს ჰკითხეს, რომელ ტომს ეკუთვნის, მორცხვი და იშვიათი პასუხი მიიღეს: „მე იმ ხალხთან ვარ, სადაც თუ უყვართ – კვდება“.

მათ არააგრესიულობაზე მეტყველებს ერთი ისტორიული ფაქტი: უდაბნოს არაბეთში შემწვარი მწერის კერძი იყო გავრცელებული. ამიტომ, ვისაც არ ეზარებოდა, ამრავლებდა ამ ფრინველს.

ერთხელ, მეზობელი ტომიდან გადმოსული მოგზაურის აქლემმა, შემთხვევით, მწერის ბუდე გასრისა. პატრონს კონფლიქტი მოუვიდა მოგზაურთან და ამ კონფლიქტს შეეწირა. დამნაშავე გაიქცა. ცხადია, დაზარალებულმა ტომმა დამნაშავის გადმოცემა მოითხოვა. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. დაიწყო ომი, რომელიც ორმოც წელიწადს გაგრძელდა. ამ „სისხლისმღვრელ ომს“ სამი ადამიანი შეეწირა; დაზარალებული, მისი ახლობელი და კიდევ ვიღაც ერთი. თუმცა, გავრცელდა ჭორი, რომ ეს მესამე უბრალოდ ლეზერტი იყო.

ასე უშფოთველად ცხოვრობდნენ არაბები, სანამ 570 წელს არ დაიბადა ბიჭი. . . მას მამა დაბადებამდე გარდაეცვალა. დედა ექვსი წლისამ დაკარგა. მის ქონებას შეადგენდა ხუთი აქლემი, ერთი ჭა და თხები. ის ღარიბი, ძალიან ნიჭიერი, უაღრესად პატიოსანი კმაწვილი გახლდათ. ელ-ამინ – ერთგული, ასე უწოდებდნენ მას. მისი ნამდვილი სახელი იყო მუჰამედი. ოცდაოთხი წლის მუჰამედმა ორმოცი წლის საკმაოდ სიმპათიური, მდიდარი, ორგზის ქერივი ჰადიჯას ყურადღება მიიპყრო.

მუჰამედი ჰადიჯას მოურავი იყო და რადგან მათ სიყვარულს საზღვარი არ ჰქონდა, იქორწინეს. მუჰამედი ბედნიერი იყო. ჰადიჯას ექვსი ბავშვი ეყოლა. სამი ვაჟი ბავშვობაშივე დაკარგეს. სამი ქალიშვილი გადარჩა. უკანასკნელი ბავშვი ჰადიჯამ 51 წლისამ გააჩინა. ის, იმ დროისთვისაც კი საოცრად მომხიბლავი ქალბატონი იყო. სწორედ მეუღლემ შეუქმნა პირობები მუჰამედს, ყავის სმის გარდა, მაღალ იდეალებზეც ეფიქრა.

მუჰამედი მედინას ებრაელებისაგან გაეცნო ბიბლიას. ქრისტიანობას ალბათ – ეთიოპიელებისგან, სირიაში მოგზაურობისას. იმ პერიოდისათვის არაბული რელიგია ძირითადად მითოლოგია იყო.

ადამიანი, რომელიც მითებით დაინტერესების ასაკიდან გამოდის, ძიებას იწყებს. სწორედ ძიების პროცესში იყო მუჰამედიც. მისი აზრით, ყველა: მოსე, ქრისტე, მარიამი (იგულისხმება ღვთისმშობელი), ჭეშმარიტებას ამბობდა, მაგრამ ხალხმა ყველაფერი აურია და კარგად ვერაფერი გაიგო; ის კი ახლავე, ყველას ყველაფერს აუხსნის. მართლაც, ძალიან უბრალოდ ახსნა.

არ არსებობს ღმერთი, ღმერთის გარდა! (სურა IX, 130).

და მეტი არაფერი. ეს გახდა მუჰამედის მთავარი იდეა, რომელიც ყველაფერზე მაღლა იდგა.

ის უნიჭიერესი კაცი იყო. მას შეეძლო უფრო მხატვრულად აღეწერა, როგორ გაიპო ცა, როგორ გადმოიფრქვა ცეცხლი, როგორ გამოეცხადა ფრთიანი ან უფრთო ანგელოზი და ამცნო ღვთის ნება. ეს მას არ სჭირდებოდა. მან უბრალოდ თქვა, – **„არ არის ღმერთი, ღმერთის გარდა!“**

მუჰამედმა თქვა ის, რასაც გრძნობდა. სწორედ ეს არის პატიოსნება.

„მე თქვენთვის არ მითქვამს, რომ ვეზიარე ზეციურ თავისუფლებას, რომ ვიცი მისი საიდუმლო, მე გეტყვით მხოლოდ იმას, რაც ღმერთმა მთამაგონა“ (სურა VI, 50).

„არ არსებობს ღმერთი, ღმერთის გარდა!“ – და დაიწყო ამ იდეის გავრცელება. მოსახდენი მოხდა. მას არ უსმენდნენ, დასცინოდნენ. როგორც ჩანს, გულგრილი, ნიჰილიზმით დაავადებული ხალხი ყველა დროსა და სივრცეში საკმარისზე მეტია.

„უდაბნოს არაბებს ვერაფერში დაარწმუნებ. ყველაფერში სიცრუე ელანდებათ.“ (სურა IX, 98).

მუჰამედს მთელი არსით სწამდა ჭეშმარიტება - ღმერთი ერთია. მას მხოლოდ ორი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი.

პირველი – როგორ ემსახუროს მას?

და მეორე – რა გააკეთოს, როგორ გამოაფხიზლოს ადამიანები?

მან ორივე პრობლემა ერთი სიტყვით - ქადაგებით გადაწყვიტა.

ბედნიერება ის არის, რომ ყველა დროსა და სივრცეში, მართალია ცოტა, მაგრამ არსებობენ არაგულგრილი ადამიანებიც.

არაბეთშიც მოიძებნა რამდენიმე კაცი, ვინც მუჰამედს გვერდით დაუდგა. ესენი იყვნენ: მკაცრი აბუ ბეკრი, მართალი ომარი, კეთილი ოსმანი, მუჰამედის სიძე – გმირი და თავგანწირული ადამიანი და კიდევ სხვები, შემდეგ – რამდენიმე ათეული.

მათი მოწინააღმდეგე არაბების გულგრილობა აგრესიამ გადამიზარდა. არაბებს მუჰამედის მიმდევართა რწმენა აღიზიანებდათ. მათი პრეტენზიის ძირითადი არგუმენტი შემდეგი იყო: „ჩვენს ქვეყანაში გადის საქა-

რავნო გზები, ვაჭრობა მშვენიერად მიდის, ხომ შეიძლება, ვიღაცისათვის ღმერთი ერთი კი არა – ათასია; ხომ შეიძლება მას ეწყინოს და ქარავანი ჩვენს გზაზე აღარ გაატაროს? შემოსავალი დაგვაკლებს, ამიტომ, თქვენი ბოლო შეწყვეტეთ!”

მუჰამედს ყოვლისშემძლე ბიძა იცავდა. მაგრამ გავიდა დრო და მასაც გაუჭირდა მუჰამედის მფარველობა, ამიტომ მუჰამედს გაქცევა ურჩია.

მუჰამედმა დატოვა მექა. ჩავიდა მედინაში (მაშინ ამ ქალაქს ერქვა იასრიბი. მერე დაერქვა „წინასწარმეტყველის ქალაქი“ – მადინა რასულ ალაჰ, შემოკლებით – მედინა).

აქ გაჩნდა სიტყვა მუსულმანი. მუჰამედმა ხალხს გააგებინა, რომ არ შეიძლება ადამიანი იყოს მონა. ამისთვის საკმარისია იგრძნოს, „რომ არ არსებობს ღმერთი, ღმერთის გარდა!“ და დაიწყო ის, რაც ყველამ ვიცით. ამ იდეის გარშემო გაერთიანებულმა ხალხმა საოცარი ძალა შექმნა. ის უდიდესი ძალა, რამაც იმდროინდელი მსოფლიო შემრა, მათ შორის – ჩვენც.

დღესაც მსოფლიოს მესამედი ამ იდეის გარშემოა გაერთიანებული.

დასკვნა: არაფრით გამოჩნულმა, მაგრამ თავის სიმართლეში დარწმუნებულმა ადამიანთა ჯგუფმა, მთავარმა ქვესისტემამ შეძლო ერთობის დამკვიდრება და იდეის გამარჯვებამდე მიყვანა.

შედეგი: გაუგონარი სიმძლავრის საზოგადოების შექმნა.

623 წელი ჩვ.წ.-მდე, ინდოეთი

ყველა დროისა და ხალხის სურვილი და ოცნება – „სამოთხე“, უნიკალური მცენარეული საფარი. მიწის ზევით და ქვევით გაბნეული სიმდიდრე, იფუნქციონირებს მოცული საოცრება. აი, აქ გამოჩნდნენ უძველესი დროის არიელნი, რომლებმაც შემდგომში სახელად ინდუსები (ანუ ლურჯი, შავგვრემანი) დაირქვეს.

„სამოთხის“ გარდა მათ დახვდათ უცნაური ჭაობები – მომაკვდინებელი ავადმყოფობის ინკუბატორები; მძიმე კლიმატური პირობები; ჯუნგლები მძვინვარე მხეცებით.

ადამიანი იმარჯვებს უდიდესი ძალისხმევით. მათ შექმნეს და მაღალ ღონეზე აიყვანეს საკუთარი უნიკალური კულტურა და შეფერხდნენ, რადგან კულტურის განვითარება მათ მიერვე შექმნილი რელიგიური და მორალური ნორმებით დაითრგუნა.

ყველა ერს აქვს რეგრესის პერიოდი. არც ინდოეთი აღმოჩნდა გამონაკლისი. თვითმყოფადი კულტურის შემქმნელ ხალხს, იმ დროს უკვე აღარ აინტერესებდა ზოგადსაკაცობრიო პრობლემა – როგორაა ეს სამყარო მოწყობილი, რა არის ნათელი და რა – ბნელი.

630 წელი ჩვ.წ.-მდე. ინდოეთის ერთი ნაწილი – კაი, რომელსაც სამხრეთიდან შემოსაზღვრავს ვინისის მთები, ჩრდილოეთიდან – ჰიმალაი (დღევანდელი ბენარესის ახლოს). სამართლიანი მმართველის ოჯახში, შუდჰოდანასა და მის ულამაზეს მეუღლეს – მაიას (მაჰა-მაია – „დიდი მაია“) გაუჩნდათ შვილი, რომელსაც სიდჰარტა დაარქვეს, რაც „მოწოდების აღმსრულებელს“ ნიშნავს. შვილის დაბადებამდე მაიამ სიზმარში თეთრი სპილო იხილა, რომელიც ფერდში შეუვიდა. ბავშვი დედის ფერდიდან დაიბადა, დედა კი გარდაიცვალა.

განდევილმა, სახელად ასიტამ იწინასწარმეტყველა, რომ დაიბადა „სრულყოფილი, უფრო ზუსტად – დიადი, ანუ ბუდა“. მან ბავშვის ტანზე აღმოაჩინა 32 უმაღლესი და 80 მეორეხარისხოვანი ნიშანი, რაც ხალხური თქმულებით უდიდეს ადამიანს ახასიათებს.

ამ პერიოდში ინდოეთი უკიდურესად დასუსტებული იყო. ინდუსებს დაკარგული ჰქონდათ წინააღმდეგობის გაწვევის უნარი. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საშველი მაინც არ იყო, აუცილებლად მოვიდოდა მტერი და მათ ამოხოცავდა.

– რა რჩება მთავარი ამ შემთხვევაში? – ცხადია, სიკვდილისათვის მზადება. მათი ძირითადი საზრუნავი სულის გადარჩენა იყო. და იბადება შესაბამისი იდეა.

მათ სწამდათ სულთა გადასახლება (რეინკარნაცია). თუ შენ სიცოცხლეში წესიერად იქცევი, მაშინ შენი სული ისევ ადამიანში გადავიდოდა; თუ იცულებუტებდი, მაშინ ზღარბში ან ნიანგში. ეს კიდევ არაფერი, ხომ შეიძლება სული ციურ ღემონში – ბირტაში, ან კიდევ ქვესკნელის ღემონში გადავიდეს? – აი, ეს კი არაფრად ივარგებს.

ჩნდება პრობლემა; როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რათა მისი სული ადამიანში გადავიდეს? ან საერთოდ, აქვს ამას რაიმე აზრი? ამ პრობლემით იყვნენ დაკავებულნი იოგები, ბრაჰმანები, ასკეტური წესის მიმდევარნი. ამით დაინტერესდა ბუდაც.

მას იმდროინდელ ბრძენთა მსოფლმხედველობა არ აკმაყოფილებდა. მან შექმნა საკუთარი მოძღვრება – ნათელი, მარტივი და გასაგები.

ამ შემთხვევაშიც ისევე განვითარდა მოვლენები, როგორც ყოველთვის. ათასწლეულების შემდეგ ეს მოძღვრება წარმოუდგენლად გაართულეს. მისი მოძღვრების ძირითადი არსი იყო:

არსებობს სურვილისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, რაც, ფაქტობრივად ტანჯვას წარმოადგენს.

სულ ერთია, რა სურვილია ეს – საჭმელი, ფული, სექსი, თუ თანამდებობა. ეს სურვილი, როგორც აღვნიშნეთ, იწვევს ტანჯვას; ის, თავის მხრივ – სიკვდილს; ზემოთ აღწერილი გარდასახვით – ახალ, უფრო მეტ ტანჯვას.

– მაშ, რა უნდა ექნათ? – უნდა მოესპოთ სურვილი.

ეს, პრობლემის გადაწყვეტის, ნათელი და გასაგები საშუალება იქნებოდა. ასე ვთქვათ – გაჩნდა არაფრის სურვილის იდეა.

ახალგაზრდა ბუდა დავდა პალმის ქვეშ, ფეხები შეიკეცა და დაიწყო არაფრის სურვილი, მაგრამ ეს ვოჯოჯოტურად ძნელი საქმე აღმოჩნდა. დიდხანს იჯდა ასე. შემდეგ მდინარეში შევიდა. შიმშილისაგან დასუსტებულს, მდინარიდან გამოსვლა ძალიან გაუჭირდა. ამან დააფიქრა: „თუ ეს პატარა მდინარე ვერ დაძლია, მაშინ როგორ დაძლევს ყოფის უღიადეს მდინარეს“? მან ვერ მიაღწია სურვილის მოსპობას ე.ი. ვერ გაბრწყინდა და თქვა: „საკმარისია“!

ბუდა გამოვიდა მდინარიდან და ხის ძირას ჩამოჯდა. ჩაედინა, სიზმრად კოშმარი ნახა.

ექვსი წელი ებებდა გაბრწყინებას. ეს ექვსი წელი აღარ იყო სიზმარი. ეს რეალობა, სიზმრის კოშმარზე უფრო ღრმა კოშმარი იყო. იგი იმედგაცრუებამ მოიცვა. ის სამყაროს კარგად, ძალიან კარგად იცნობდა და არ უნდოდა სამყაროში დაბრუნება. აქ მას არაფერი დარჩენოდა და თანდათან, ტანჯვით ხვდებოდა, რომ ამ ქვეყნად აღარაფერი აქვს სასურველი. ის გასხვიოსნდა: გამოეცხადა ოთხი ჭეშმარიტება და დაერქვა ბუდა, რაც „გასხვიოსნებულს“ ნიშნავს.

ამის შემდეგ მან შექმნა სკოლა, სადაც უკვე სხვებს ასწავლიდა, როგორ მოეხერხებინათ ეს. რა თქმა უნდა, თორმეტი საოცრების აღსრულებაც მოახერხა.

დემონმა, სახელად მარამ, მას ყველანაირი კოშმარი, ურჩხული მოუვლინა. მაგალითად – ცოფიანი სპილო! როგორია? – ჯერ სპილო წარმოიდგინეთ და ისიც – ცოფიანი. მერე – ლამაზი, ფეხმსუბუქი ქალები და ა.შ.

ვერაფრით შეაცდინა. მან ყველა გამოცდას გაუძლო და გახდა, მართლაც, ბუდა – სრულყოფა. ამის გადამტან კაცს, თითქოს ვერაფერი მოერევა, თუმცა თავის უახლოეს მოწაფეებთან ურთიერთობის მოვკარება საოცრებათა აღსრულებაზე რთული აღმოჩნდა.

ერთმა მათგანმა, სახელად დევალატემ, იმის შემდეგ, როცა ბუდასაგან ყველაფერი შეისწავლა, გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ისურვო არაფერი, ძალიან ცოტაა. ამიტომ, ამ მდგომარეობას უნდა დაემატოს სასტიკი ასკეტიზმი: უნდა იმიშმილო, რაღაცეები შეირჭო სხეულში და ა.შ. ბუდამ მკაცრად გააკრიტიკა ეს თეორია და გამოთქვა აზრი, რომ ადამიანმა უნდა მიიღოს საკმარისი საკვები, ის ხსნისათვის არანაირად არ უნდა დაიტანჯოს!

ბუდამ მაგალითი მისცა თავის მოწაფეებს. მოითხოვა, რომ დღეში ერთხელ მისთვის მიერთმიათ ფინჯანი. ცარიელი კი არა, როგორც დევალატე ითხოვდა, არამედ მასში უნდა ყოფილიყო რაღაც, მაგალითად, ბრინჯი, თუ ბრინჯი არ იყო – ბოსტნეული. კარგი იქნებოდა, თუ ზემოდან ცოტა მცენარეულ ზეთს მოასხამდნენ.

დევალატე გაგიჟდა: რა აბზავია, ამდენი საკვები! თანაც კვირაში ერთხელ კი არა – ყოველდღე?! და თავის მხრივ, მკაცრად გააკრიტიკა მასწავლებელი.

ეს დისკუსია იმით დამთავრდა, რომ ბუდამ ცოტა გაართულა მოძღვრება: აკრძალა შეხება ოქროსთან, ვერცხლთან და, რა თქმა უნდა, ქალთან, გასაგები მიზეზების გამო.

დევალატემ ამ დათმობაზე ირონიული ღიმილით უპასუხა და დაიწყო ბუდიზმის სხვადასხვა მიმართულებებზე დაყოფა.

ბუხუნდავად ამისა, ბუდას მაინც ბევრი მიმდევარი შემორჩა. ცნობისმოყვარე მდიდარი ქალები სიამოვნებით ეპატიუებოდნენ მას – „კარგი, თუ ასე გინდა, ნუ გაგვეკარები“ – ეუბნებოდნენ ისინი, „სამაგიეროდ რამე მოგვიყევი“. თანაც, მის საზოგადოებას დიდძალ შესაწირს უძღვნიდნენ. თვით ბუდა არაფერს ეკარებოდა, მაგრამ მისი მოწაფეები ყველაფერს იღებდნენ და საქმის სასარგებლოდ იყენებდნენ.

საწყენი ისაა, რომ ამ საუბრების ჩანაწერები არ შემორჩა (ინფორმაცია ზეპირსიტყვიერად გადმოგვიცა) არა იმიტომ, რომ საუკუნეთა სუნთქვამ წააღწია, არა, ის უბრალოდ არც დაფიქსირებულა. ეს, მართლაც, სამწუხაროა...

ბუდას მიერ შექმნილი სისტემა აბსოლუტურად ლოგიკურია. ძნელია მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ბუდა არავითარ ცდუნებას არ აჰყოლია. მისი ცხოვრების ისტორია ძალიან გვიან, სამი საუკუნის შემდეგ აღადგინეს მისმა მიმდევრებმა. ცხადია, ისტორიის ობიექტურობის ხარისხი ძნელი დასადგენია.

ცხოვრება რთული რამ არის. მან ბუდაც არ დაინდო და საშინელი გამოცდა მოუწყო. სანამ ის ბენგალიაში, პალმის ჩრდილში იჯდა, მის საგვარეულოს თავს დაესხა მეზობელი ტომი და უღმობლად გაანადგურა.

ოთხმოცდახუთი წლის ბუდამ, მთელ ინდოეთში ყველაზე პატივსაცემმა ადამიანმა ეს ამბავი რომ გაიგო, ჯოხი აიღო და ამ საშინელების სანახავად წავიდა.

სურათი, მართლაც, ტრაგიკული იყო. ის სასახლე, სადაც იგი გაიზარდა, მთელი ნათესაობა, ბავშვიან-ქალიან-მოხუციანად აჩენილი, სისხლის მორევში ეყარნენ. მან ამ სანახაობას ველარ გაუძლო, ვერ დარჩა უგრძნობი და ნირვანაში (ნირვანა პირდაპირი გაგებით ჩაქრობას ნიშნავს. ესაა ის „არარაა“, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია) გადავიდა.

რა არის ნირვანა? – ნირვანა არის ცნება, რომლის გაგება ჩვენი ლოგიკით საკმაოდ ძნელია.

გავიხსენოთ, რომ ჩვენი მსჯელობა აშენებულია ე.წ. ფორმალური ფილოსოფიის საფუძვლებზე, კერძოდ, ჩვენ მიერ უკვე განხილულ არისტოტელეს ლოგიკის სამ კანონზე: იგივეობის კანონი, წინააღმდეგობის კანონი და ყველაზე მნიშვნელოვანი – მესამის გამორიცხვის კანონი. ამ უკანასკნელის თანახმად, არ არსებობს ისეთი რამ, რომელიც ერთდროულად შეიძლება იყოს და არ იყოს.

ამ ფორმალური ლოგიკის საწინააღმდეგო აზრები, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება როგორც დასავლურ, ასევე აზიურ ფილოსოფიაში, რომლის მიხედვით, რაიმეს არსებობა და იმავდროულად არარსებობა, შესაძლებელია.

ნირვანაში ყოფნა, ერთდროულად არსებობასა და არარსებობას ნიშნავს.

ამის გააზრებას ჩვენი „ლოგიკა“ ეწინააღმდეგება, ხოლო ინდოელებს კი რწმენით ესმით. თუ არ დავიზარებთ და ღრმად ჩაფიქრებით, მივხვდებით, რომ ეს მდგომარეობა (ნირვანაში ყოფნა), ჩვენი ლოგიკით, სიკვდილს ნიშნავს, ბუდისტებისათვის კი – არა.

ბუდას ნირვანაში შესვლა მის სიკვდილს არ ნიშნავს. არა, მან მხოლოდ შეიცვალა ცხოვრების, არსებობის არეალი, მდგომარეობის მოდუსი.

მოდუსი – ესაა საშუალება, გარდამავალი თვისება, რომელიც ნივთს რომელიმე მდგომარეობაში ახასიათებს, რაც ძირითადი მდგომარეობისაგან განსხვავდება.

ფიზიკაში ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც ნივთიერების გადასვლა პლაზმურ მდგომარეობაში.

ბუდა გადავიდა სანსარული – მუდმივ მოძრავი სამყაროდან ნირვანაში და ამ მოძღვრების თანახმად დღესაც იქ არის. ეს ნიშნავს იმას, რომ მან არაფერი იცის, ვერაფერს ხედავს, არაფერი ესმის, არაფერი უნდა. ის საუკუნო სიწყნარეშია. ის ბედნიერი არაა, მაგრამ არც უბედურია.

– რატომ? – იმიტომ, რომ ბედნიერება და უბედურება ფარდობითი ცნებებია. ნირვანაში არავითარი ფარდობითობა არ არსებობს.

ვერ ვიტყვით, იყო თუ არა ბუდა რელიგიური.

ერთი მხრივ ის აღიარებდა ღმერთებს, მეორე მხრივ, ლოცვის რეკომენდაციას არ იძლეოდა. „რა სალოცავნი არიან ისინი ...“ (ღმერთები ჰყავდა მხედველობაში).

ერთხელ, მოხუცმა ქალმა ჰკითხა ბუდას:

– მასწავლებელი, მე ვლოცულობ ღმერთ ინდრაზე, შეგიძლებ ამ გზით ხსნას?

– კი ბებია, ილოცე ინდრაზე, ხსნამდე მისვლა ამ გზითაც შეიძლება.

ერთი სიტყვით, მისთვის ეს მნიშვნელოვანი არ იყო.

ან კიდევ მას ჰკითხეს:

– როგორაა მოწყობილი ეს სამყარო?

– რა ფერის თმები აქვს ჯერ არდაბადებულ ბავშვს? – კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ბუდამ.

– რა სისულელეს გვეკითხები მასწავლებელი? რა ვიცით, რა ფერის თმები აქვს ჯერ არდაბადებულ ბავშვს?

– თქვენც სისულელეს მეკითხებით! სამყარო არარეალურია. რასაც თქვენ ხედავთ, არის ილუზია, შეგრძნების სიფაღბე, ტყუილი.

– მაშ, რაღა რეალური? – ისევ ჰკითხეს.

ამაზე რა უპასუხა, ჩვენ არ ვიცით, ეს არავინ იცის. მოგვიანებით, მისი მიმდევარი ბუდისტების შრომებიდან გამოირკვა, რომ სამყარო, მათი აზრით, არის დრამების ნაკადი.

სიტყვა „დრამას“ ორმოცზე მეტი განმარტება აქვს. ამ შემთხვევაში გამოდგება მისი ერთი მნიშვნელობა, ნიუანსი. ეს არის კანონზომიერების კვანტი. ეს არ არის მატერიალური ატომი, არც პლატონისეული იდეა. არა, ბუდისტების აზრით, სამყაროში არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომელიც იკვანტება.

მე ვერ ავიხსნით, როგორ ხდება ეს. მე გაწვდილ ინფორმაციას, რომელიც ბუდისტურ შრომებში ამოვიკითხე. დაკმაყოფილდეთ იმით, რომ „დრამა“ არის კანონზომიერების კვანტი. გარდა ამისა, „დრამა“ ნიშნავს კანონს.

ჰოდა, ეს დრამები ეჯახებიან ერთმანეთს. ხანდახან ეს ურთიერთქმედება წარმოქმნის „სკანდებს“. „სკანდები“, უფრო სწორად, მათი გარკვეული კომბინაცია ქმნის ადამიანის სულს, რომელმაც შესაძლოა, ნირვანულ მდგომარეობას მიაღწიოს ან – ვერა. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ცოცხელია, სული იშლება შემადგენელ ნაწილებად და კარგავს ინდივიდუალობას ე.ი. ნირვანას ვერ აღწევს. თითქმის ისევე, როგორც

ჰამსუნს აქვს აღწერილი თავის პიესაში, სადაც გიუნტს (პერსონაჟს) უცხადებენ: „თქვენ ძალიან ცუდად იქცეოდით, ამიტომ თქვენი სული გადაღნობას ექვემდებარება!“

ზემოაღწერილი პროცესის უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნით, უკეთეს შედარებას ვერც მოვიყვანთ. ამრიგად, ბუდიზმის აზრით, აუცილებელია სრულყოფის მიღწევა, ეს კი მარტო ადამიანს შეუძლია.

მართლაც, ავიღოთ ღმერთები. მათ ეს არ შეუძლიათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ევოლუციას არ განიცდიან, ისინი უკვდავნი არიან. მოკლედ, სრულყოფის გარეშეც კარგად გრძნობენ თავს.

სრულყოფამდე მისვლა ასურებსაც არ შეუძლიათ, იმიტომ, რომ მათი მთავარი საზრუნავი ღმერთებთან ბრძოლაა. მორიგი დამარცხების შემდეგ, ისინი კვლავ ბრძოლისათვის მზადებას იწყებენ. რა ღროს სრულყოფაზე ფიქრია?!

ცხოველებს გონება არა აქვთ, ამიტომ ვერც ხვდებიან, რაზე იფიქრონ.

ღმერთები . . . საინტერესოა ინდური წარმოდგენით როგორ გამოიყურება ღმერთი. მას აქვს უზარმაზარი თავი და ქინძისთავივით პატარა პირი, ღიმილი, ძალიან ღიმილი ტანი, ვეებერთელა მუცლით, პატარა ხელ-ფეხი.

ცხადია, ასეთი პატარა პირით, ამხელა მუცლის ამოვსება საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ის სულ მშობრია, ე.ი. მუდმივ ტანჯვაშია. თუ ღმერთმა როგორმე იშოვა საკვები, რაიმე საწარმო (სხვაგვარი კვება არ შეუძლია), მაგალითად, თავისი მსხვერპლის სისხლი, აქ პრობლემა არ თავდება. მოგესხენებათ, გადამუშავებული საკვები რა გზით გამოიღვენება. ღმერთს, რატომღაც, გადამუშავებული ნაყოფი ცეცხლის სახით გამოსდის ორგანიზმიდან და ამით ის ძალიან უკმაყოფილოა.

– მითხარით, შეიძლება ამ პირობებში სრულყოფაზე ფიქრი?

– რა თქმა უნდა, არა!

ეს კიდევ არაფერი, ქვესკნელში არიან, ე.წ. ტამუები. არაფერს იცის, როგორები არიან ისინი, მაგრამ ცნობილია, რომ ღმერთებზე მეტად იტანჯებიან. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო მეტი ტანჯვა, გაუგებარია, მაგრამ ასეა.

მათაც არაფერზე ფიქრის თავი არა აქვთ.

დასკვნა: სრულყოფა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. ცხოვრების არსი ის არის, რომ მრავალჯერადი გარდაქმნის გზით მივალწით სრულყოფას, გაეზღეთ წმინდანები და ბოლოს მივალწით უნეტარესსა და უღიადეს მღვთმარობას – ნირვანას, სადაც არაფერი გინდა, ვერაფერს გააკეთებ, ვერაფერს ხედავ, ტანჯულს ვერ დაეხმარები, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ღალადი არ გეხმის.

თქვენი არ ვიცით, მაგრამ მე ასეთი პერსპექტივა, ასეთი დიდებული დასასრული სულაც არ მხიბლავს. ინდუსებს, რატომღაც ეს ძალიან მოსწონთ. ჩინელებს კი – არა . . . რატომღაც . . .

ყოველივე ზემოთქმული ჩვენი ევროპული აზროვნებით ბუდიზმის გაგების ერთ-ერთი ვერსიაა.

რა არის ბუდას გასხვივონება?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის ცნობიერების მესამე დონე – ინტუიციური მიდგომა. აქ სუბიექტი მენტალურად ერევა, ენივთება ობიექტს.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ნათლად მიანიშნებს, რომ ყოველგვარი მცდელობა, ჩაწვდეს ბუდიზმის არსსა და სპეციფიკას, ფუნდამენტური გაუგებრობის პრობლემას აწყდება.

მიუხედავად ამ თემაზე არსებული უამრავი ფაქტობრივი მასალისა, ისტორიულ-კულტურული კურონის მოწმე ვხდებით. მეზობელი აზიური, ინდური გააზრების გარდა ყველაფერი გვესმის. იბადება მარტივი კითხვა – თუ მესმის შექსპირის, ანრი ბერგსონის ინტუიციური ფილოსოფიის, ფრანც კაფკასი, რატომ ბოლომდე არ მესმის მსოფლიოს თითქმის ერთ მესამედზე გავრცელებული რელიგიის აზრი?

ალბათ, ეს მაინც ჩვენი პრობლემაა. ალბათ, ადამიანის სულიერი განვითარება ჩვენს პირად პრობლემათა გადაწყვეტის ხარისხით კი არა, გაზრდით, აზრობრივად ამ პრობლემაზე ამალღებით, პრობლემის ზეგავლენის არეალიდან გასვლით გამოიხატება.

რის გადაწყვეტასაც ინტელექტის დონეზე ვცდილობთ, ალბათ, თავისთავად მცირე პრობლემაა. მაგრამ ყველა პრობლემას აზრობრივი გადაწყვეტა არ გააჩნია. ცნობიერების მიღმა არსებობს რაღაც, რაც უნდა გვწამდეს!

ჩვენ ბავშვობიდანვე რომ გამოგვეღო თავი და გვეცადა ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, რომელიც წინ გვხვდებოდა, მაშინ ჩვენი განვითარება დასაწყისშივე შეწყვე-

ბოდა. მრავალი ჩვენგანი გადაუწყვეტელი პრობლემის სიმძიმის ქვეშ ჩაიმარხებოდა. პრობლემის გადაუჭრელობით იწყება ჩვენი ტანჯვა და, მართლაც, პრობლემებს გონებრივი ამაღლებით ვიცვლებთ.

მაგალითად, ბავშვობაში ენატრობდი მქონოდა ველოსიპედი და ეს ჩემთვის უდიდესი პრობლემა იყო. ვიზრდები და პრობლემა თავისთავად კარგავს აზრს, ე.ი. მე ავმალდი პრობლემაზე.

გროვდება ახალი პრობლემები. ამ შემთხვევაში, რატომ არ შეიძლება გონებრივად ამაღლება ისე, რომ პრობლემამ თავისი არსი დაკარგოს? არ არის პრობლემა – არ არის ტანჯვა. ინდუსს ეს ესმის, ჩემთვის კი ბოლომდე მაინც არ არის გასაგები. აი, ჩვენს შორის განსხვავება.

არსებობს მარადიული კითხვები – უცვლელია თუ არა სამყარო, განუყოფელია თუ არა სული და სხეული... ამ კითხვებზე პასუხის „გაცემა“ შეიძლება მაშინ, თუ ნივანული – ზემალაღი ცნობიერების მდგომარეობაში იმყოფები. ანუ პიროვნება ღებდა ამ კითხვებზე მაღლა და ალბათ, აქედან იწყება ბუდას გასხივოსნება. ესაა განსხვავება ჩვენსა და ბუდიზმის მიმდევართა შორის.

აი, რას უყვებოდა თავის მოწაფეებს შრი რაჯნეში:

„ერთხელ, გარიჟრაჟზე, ბუდა სასეირნოდ გავიდა. მას თან ახლდა ანანდა. ის ჩრდილივით დაჰყვებოდა ბუდას, რათა მას მომსახურებოდა.

ბუდას შემოხვდა უცნობი პიროვნება, რომელმაც ჰკითხა:

– არსებობს თუ არა ღმერთი? – ბუდამ წამიერად თვალბრუნებით ჩახედა და მკაცრად უპასუხა:

– არა, ღმერთი საერთოდ არ არსებობს. ის არც ყოფილა და არც არასდროს იქნება, ამოიგდე თავიდან ეს სისულელე!

მსმენელი შოკირებული გაბრუნდა უკან.

ანანდა, რომელსაც ბუდასაგან მრავალი პასუხი ჰქონდა მოსმენილი, მეხდაკრულივით გაშეშდა, რადგან მასწავლებლისაგან ასეთი უხეში პასუხი არასდროს სმენოდა. მან ბუდას სახეზე მხოლოდ უდიდესი თანაგრძნობა ამოიკითხა.

ნაშუადღევს სხვა ადამიანი მიუახლოვდა ბუდას და ჰკითხა:

– არსებობს ღმერთი?

– დიახ, არსებობს, არსებობდა და ყოველთვის იარსებებს. ეძიე და იპოვი – უპასუხა ბუდამ.

ამ პასუხმა კიდევ უფრო განაცვიფრა ანანდა, მაგრამ მასწავლებელს შეკითხვა ვერ გაუბედა, რადგან ბუდას მრავალი მსმენელი ეხვია გარს.

სალამოს ბუდა ხის ძირას იჯდა და მზის ჩასვლის ცქერით ტკბებოდა.

მას მიუახლოვდა მესამე კაცი კითხვით:

– არსებობს ღმერთი?

ბუდას მისთვის არც შეუხედავს, ხელით ანიშნა გვერდით დაძვდარიყო. ისინი ჩუმად, ხმის ამოუღებლად ისხდნენ. მზე ჩავიდა. კაცი წამოღგა, ბუდას უღრმესი მადლობა გადაუხადა პასუხისათვის და წავიდა.

მარტო რომ დარჩნენ, ანანდამ ვერ მოითმინა და ბუდას ჰკითხა: „მასწავლებელო, დილით ერთს უთხარი, რომ ღმერთი არ არსებობს; შუადღისას მეორეს – ღმერთი არსებობს; საღამოს მესამეს დიდი პატივი მიაგე – შენს გვერდით დაჯდომის უფლება მიეცი; თქვენ გარინდულნი ისხედით, მისთვის სიტყვაც არ გითქვამს, მაგრამ რაღაც მოხდა, ის სიჩუმეში ჩაიძირა, შემდეგ მადლობა გადაგიხადა პასუხისათვის და წავიდა. მასწავლებელო, ხომ ვერ ამიხსნი, რას ნიშნავს ყოველივე ეს?!“

– რატომ შემფოთდი? ეს ხომ მათი კითხვები და ჩემი პასუხები იყო, შენ ხომ მონაწილეობას არ იღებდი?!

– მე ყრუ არა ვარ; იქ ვიყავი და მესმოდა.

– პირველი მორწმუნე იყო. მას სწამდა ღმერთი. მას სურდა ჩემგან მიეღო დასტური, რათა შემდეგ ხალხში ეთქვა, - „მარტო მე კი არა, ბუდასაც სწამს ღმერთიო“.

მას საკუთარი მიზნის მისაღწევად ჩემი გამოყენება უნდოდა.

მე იძულებული ვიყავი, მკვეთრი, მტკიცე უარყოფითი პასუხი გამეცა მისთვის, რადგან ის შეპყრობილი იყო საკუთარი იდეით. ის მეცნიერია. კარგად იცნობს წმინდა წერილებს. მე მესმოდა მის თავში აზრთა ხმაური. მხოლოდ მტკიცე უარით შევასმენდი მას. ამ ადამიანს შოკი სჭირდებოდა და ჩემგან ის მიიღო, რადგან მე არ მსურს მხარი დაუეჭვირო ვინმეს რწმენას. ყველა რწმენა შეცდომაა. ცოდნა კი, სულ სხვა რამ არის.

მეორე ათეისტი იყო; მას არ სწამდა ღმერთი; ისიც მეცნიერი იყო; ისიც დატენილი იყო სხვადასხვა იდეებით. ეს ადამიანი პირველის იდეური მოწინააღმდეგე იყო, თუმცა მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვეოდა. **მასაც, პირველივით, საკუთარი მიზნის მისაღწევად ჩემი გამოყენება უნდოდა და საკუთარ ურწმუნობაზე ჩემი დასტურის მიღება სურდა.** ამიტომ, ჩემი პასუხი იყო – ღმერთი არსებობს. მე დავამსხვრეე მისი ურწმუნობის უდრეკი რწმენა.

მესამე კი ჭეშმარიტი მადიებელი იყო. **მას არ ჰქონდა იდეები. ის მოვიდა ღია. ფლობდა დიდ ნდობას. მას უნდოდა, რომ ჩემით „რალაც“ აღმოეჩინა.** ამიტომ მოვისვი გვერდით ხმის ამოუღებლად და, შენ მართალი ხარ, – „მოხდა რალაც“.

მართლაც, დაუეკვირდეთ ბუდასა და ანანდას საუბარს და, მართლაც, ჩვენთვის ბოლომდე გაუცნობიერებელ ჭეშმარიტებას აღმოვაჩინეთ: თუ ორი ადამიანი ერთად მღუმარედ ჯდომას შეძლებს, მაშინ უეჭველად „რალაც ხდება“ და თუ ერთ-ერთი მათგანი დიდია, ძალიან დიდი, მაშინ რალაც გამაოგნებელი, აღმაფრთოვანებელი ხდება.

დარჩით მარტო, ჩუმად ბახთან, დანტე ალეგიერთან, მიქელანჯელო ბუნაროტთან, გალაკტიონთან, მეგობართან და თუ ეს შეძელით, ნახავთ, მოხდება რალაც გამაოგნებელი.

იყავი საკუთარი თავისათვის სანთელი!

დასკვნა: არაფრით გამორჩეულმა, მაგრამ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა ადამიანთა ჯგუფმა, მთავარმა ქვესისტემამ შეძლო იდეის გამარჯვებამდე მიყვანა.

შედეგი: გაუგონარი სიმძლავრის საზოგადოების შექმნა.

ისევ სხვა დრო, ისევ სხვა სივრცე.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი.

საფრანგეთი. პარიზი. სწორედ აქ გაჩნდა ორიგინალურად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ხელოვნებაში ახალი აზროვნება შემოიტანეს. მათ აღიზიანებდათ ფერწერაში გამეფებული, დრომოჭმული მიმდინარეობის დამცველ ადამიანთა აზრი.

ისინი გაერთიანდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი სოციალური წარმოშობა, ტემპერამენტი, პოლიტიკური შეხედულებები განსხვავებული გახლდათ.

იმ პერიოდში გაბატონებული იყო ფრანგული აკადემიის წარმომადგენელთა კლასიკური რომანტიზმის სტილი. იგი რაფინირებულ, სალონურ გემოვნებას შეესაბამებოდა. ტილოები, ძირითადად, ბიბლიურ, ისტორიულ და მითოლოგიურ მოტივებზე იქმნებოდა. ვიქტორ ეჟენ დელაკრუა გახლდათ ევროპის კლასიკური რომანტიზმის აღიარებული წარმომადგენელი. როგორც აღვნიშნეთ, მისი აზრით: „სურათის მთავარი ფუნქცია ადამიანისთვის საიმოვნების მინიჭება უნდა იყოს . . . „

ამ ტილოების ფონზე ეთხოვთ, წარმოიდგინოთ, გოგენის, ვან გოგის, ნიკო ფიროსმანაშვილის, . . . შემოქმედება – ფეთქებადი, ნათელი ფერები, სადაც უფრო მნიშვნელოვანი იყო არა ფიგურათა და ნივთთა მკაცრი რეალისტური ხაზები, არამედ ფერთა და აზრთა თამაში ცვალებადობა, მხატვრული აზროვნება. ცხადია, ასეთი განსხვავებული სტილი მწახველებსათვის შოკირებადი გახლდათ და აგრესიასაც კი იწვევდა.

ამ პერიოდში, ერთი ფრანგი ახალგაზრდა, ვინმე ელუარდ მანე (1832 – 1883) ჯერ კიდევ მეზღვაურობაზე ოცნებობს. ის საზღვაო სკოლაში მოხვედრას ვერ ასერხებს და მამის რჩევით ფერწერით ინტერესდება; მისი მასწავლებელია კლასიკური რომანტიზმის მიმდევარი ფერმწერი თომას კუტიური. მანე 1856 – 1858 წლებში დაუმეგობრდა შარლ ბოდლერს, მოგვიანებით – ემილ ზოლას. მისი ტილო – „აბსენტის მოყვარულები“, რომელიც 1859 წელს პარიზის ერთერთ სალონში იქნა წარდგენილი, ყოურის დაცინვის საგნად იქცა. ეს ნამუშევარი ყოურის წვერებმა და მისმა პედაგოგმა – თომას კუტიურმაც კი უარყოფითად შეაფასეს. ძირითადი შენიშვნა ნახატში პერსპექტივის გაუთვალისწინებლობა გახლდათ. მხოლოდ ეჟენ დელაკრუას იყო გონება ამ ტილოში რალაც ახალი აღმოეჩინა.

ერთხელ „განსწავლულმა მხატვრებმა“ ნიკალასაც იგივე ბრალდება წაუყენეს – „შენს ნახატებში პერსპექტივა არა ჩანსო“. ნიკალამ უპასუხა: თქვენი პერსპექტივის თანახმად, მეგობარი, რომელიც მიყვარს და ჩემგან შორსაა პატარად უნდა დავხატო და ვინც არ მიყვარს და გვერდით მიდგას – დიდად. აბა, ეს რა წესი და რა კანონია? მე თავი დამანებეთ და თქვენი პერსპექტივა თქვენთვის დამითმია, დადექით და „პატარა“ ადამიანები დიდად თქვენ დახატეთო.

დავბრუნდეთ XIX საუკუნის საფრანგეთში. 1863 წელს დელაკრუა გარდაიცვალა. იმავე წელს „განკიცხულთა სალონში“ გამოფენაზე წარდგენილ იქნა მანეს ტილო – „საუზმე მინდორში“, რომელიც საზოგადოების მხრიდან, ასევე, ცინიზმის საგანი გახდა.

თვით ელუარდ მანე საკუთარ თავს იმპრესიონისტებს არ მიაკუთვნებდა, იმის მიუხედავად, რომ იმპრესიონისტები მანეს იმპრესიონიზმის მამად აღიარებდნენ, მანე მათთან ერთად გამოფენაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდა.

მას მხარში ამოუდგა მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი.

ამ მოძრაობის სულიერი მოძღვარი იყო კლოდ მონე (ყოფილი პროვინციელი კარიკატურისტი).

პირველი იყვნენ: მკერავის შვილი, პიერ-ოგუსტ რენუარი; არისტოკრატი ელვარდ დეგა; პოლ სეზანი; კამილ პისარო; ალფრედ სისლეი; გიუსტავ კაიბოტი – სიმპათიური, საზღვაო ინჟინერი, რომელიც პარიზში სასურველი სასიძო იყო; ბერტა მორიზო და მერი კასატი; არმან გილომენი, რომელსაც შემთხვევით ლატარიაში მოგებულმა ფულმა მისცა საშუალება მთელი არსებით ფერწერაში ჩამირულიყო.

უდიდესი პატივისცემით მოვიხსენებთ მათ გვარებს არა იმიტომ, რომ მათ შექმნეს უნიკალური მიმართულება, არამედ იმიტომ, რომ:

ისინი მებრძოლი ადამიანები იყვნენ. მიუხედავად არანაშუი სულიერი ტანჯვისა, დამცირებისა, ირონიისა და ცინიზმისა, მათ შეძლეს საკუთარი იდეის გამარჯვებამდე მიყვანა.

იმუამინდელმა ელიტარულმა ურნალისტიკამ მათ ტილოებს საშინელი ვერდიქტი გამოუტანა – ზიზღი. „ისინი არიან განუვითარებელი ადამიანები, რომლებსაც ტილოზე გადააქვთ დანაშულის პირველი შთაბეჭდილება – იმპრესია“.

ეს შეფასება მხატვრებს არ აღიზიანებდათ, დაცინვას, ყურადღებას არ აქცევდნენ. პირიქით ძალიან მოეწონათ ეს გამოთქმა და დაირქვეს იმპრესიონისტები.

ჩვენ ვაღიარებთ ვართ პატივი მივაგოთ იმ პირველ შემფასებლებს, ვინც ეს იდეა მიიღო. ამ იდეის გამარჯვებისათვის სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა პოლ დიუარ-რიუელი – პარიზელი, ფერწერული ტილოებით მოვაჭრე.

პოლ დიუარ-რიუელმა 1871 წელს გაიცნო მონე და პისარო. სწორედ მისმა ენერგიულმა ქმედებამ გამოიწვია მთელი მსოფლიოს დაინტერესება. მან დაინტერესდა უგანათლებულესი ბანკირი და მისი მეუღლე – ჰეიმიერები, ფელიქს ნადარი – ფოტოგრაფი. ეს მან დაუთმო საკუთარი ფოტოსტუდია იმპრესიონისტების პირველ გამოფენას. აქედან დაიწყო იმპრესიონიზმის განვითარება მთელ მსოფლიოში.

1881 წელს მანე საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი ხდება.

პარიზი ხელოვნების ცენტრად იქცა. გამოჩნდნენ პირველი უცხოელები – მოდელიანი, სუტინა, პასკინი, კისლინგი, ვან-დონ-გენი. 1905 წელს პიკასომ დააარსა ჯგუფი, სახელწოდებით „სკა“. პარიზი იქცა ინტერნაციონალურ დედაქალაქად. იქმნება მიმართულებები – ფოვიზმი, კუბიზმი, ორფიზმი. ეს ტერმინები უკვე აღფრთოვანებული ურნალისტების მოგონილია, შემდეგ – პურიზმი, დადაიზმი, სიურრეალიზმი, პრიმიტივიზმი.

დასკვნა: არაფრით გამორჩეულმა, მაგრამ თავის სიმართლეში დარწმუნებულმა ადამიანთა ჯგუფმა, მთავარმა ქვესისტემამ შეძლო ერთობის დამკვიდრება და იდეის გამარჯვებამდე მიყვანა.

შედეგი: გაუგონარი სიმძლავრის საზოგადოების შექმნა.

დაკვირვებელი მკითხველი აღნიშნულ, ზედაპირულ ისტორიულ მიმოხილვაშიც კი აღმოაჩენს რაღაც საერთოს. კერძოდ – უპირველესია იდეა. შემდეგ, იდეის მიძღვნილი ერთი ან რამდენიმე პიროვნება. შემდეგ, როგორც მინიმუმ – 50-500 შემეცნებით დაინტერესებული, ამაღლებული ასტრალური ველის, მგრძობელობის მქონე მთავარი ქვესისტემა და ნათლად იკვეთება ჩვენ მიერ აღწერილი, სამყაროს შემეცნების მოდელის მიხედვით გზა მიზნამდე. ხდება შესაძლებლობის ველის გარღვევა და ცოდვილ მიწაზე მკვიდრდება უდიდესი სიმძლავრე; მალღდება ადამიანის შინაგანი პოტენციალი. ის უკვე ამაღლებულად, ორიგინალურად ხედავს სამყაროს. ხდება თვისობრივი, კვანტური ნახტომი,

რომელიც ნათლად გამოიკვეთება ახალ, მძლავრ მიმართულებებში და არა აქვს მნიშვნელობა, ეს ხელოვნებაა, ზუსტი მეცნიერება, თუ სოციალური ფილოსოფია.

სიმძლავრის რეალიზება

იცვლება დრო, გადის საუკუნეები, მაგრამ ადამიანის არსი უცვლელია. მიმდინარეობს მუდმივი დაპირისპირება ბუნებრივ, ღვთაებრივ კანონზომიერებას დაქვემდებარებულ ადამიანებსა და იმ სუბიექტებს შორის, ვისთვისაც ზნეობა, უბრალოდ, ანაქრონიზმია.

დღევანდელი რეალობა, ამ მხრივ, უკიდურესად შემადრწუნებელია. არსებული სოციუმი გაუსაძლისი ცხოვრებისაგან დევრადირებულია. დისპროპორციამ, ზნეობრივ და უზნეო ადამიანებს შორის, მაქსიმუმს მიაღწია. უდიდეს პრობლემად იქცა სოციუმის განვითარებისაკენ შემობრუნება.

გავიხსენოთ – გარკვეულ დონეზე შექმნილი პრობლემა ამავე დონის აზროვნებით ვერ გადაწყდება. აუცილებელია უფრო მაღალ დონეზე ასვლა და პრობლემის იქიდან გადაწყვეტა.

შესაბამისად, ზემოხსენებული მოსაზრებები, ინფორმაცია, ჩვენი ყოფის გააზრება პრობლემის გადაწყვეტისათვის საკმარისი არ არის; აუცილებელია ამ პრობლემასთან ბრძოლის ინსტრუმენტი – მეთოდი შევიმუშაოთ. შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ ამ მეთოდის არსი.

ცხადია, ჩვენი ზვალინდელი ცხოვრების მოწყობის ორიენტირი მხოლოდ დღევანდელი რეალობა უნდა იყოს.

რეალობიდან გამოდინარე, მთავარი ქვესისტემის – „მესამის“ პოტენციური წევრისათვის, პალადინისათვის იკვეთება უმთავრესი კითხვა:

ვინ შეიძლება იყოს პალადინი? ვის დაუუჯეროთ? ვის მივანდოთ ჩვენი მომავალი? ვისგან უნდა შეიქმნას ის გარდამავალი, უჩანასახო სოციალური ფენა, რომელზეც თვისობრივად ახალი, ზნეობრივი საზოგადოება აშენდება? არსებობს, თუ არა ადამიანთა ზნეობაში გარკვევის რაიმე საშუალება?

აი, ეს ამოცანაა დღეს ყველაზე აქტუალური. არჩევანის ცივილიზებული ფორმა ჩვენი მოსაძებნია.

ამ ამოცანის ამოსახსნელად შევარჩიოთ უკვე ნახსენები, ჩიკაგოს უნივერსტეტის პროფესორის – **ლუდვიგ ფონ ბერტალანფის** მიერ შემოთავაზებული ანალიზის მეთოდი.

ლუდვიგ ფონ ბერტალანფი ბიოლოგი გახლდათ. მან 1939 წელს ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომელიც შესაძლოა ბოტანიკაში არსებული პრობლემისათვის – მცენარეთა სახეობების დადგენა – გამოდგეს.

მისი თეორიიდან გამომდინარე, სახეობის დადგენისას, უმნიშვნელოვანესია არა მცენარის ფორმა, ფოთლები, ღერო. . . არამედ ის, თუ რა გარემოში გრძნობს კომფორტულად თავს ესა თუ ის მცენარე.

რა თქმა უნდა, მისი თვალსაზრისი თავიდან არასერიოზულად აღიქვეს და დაცინვაც დაუწყეს. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ბერტალანფი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს (კიდევ კარგი არ მოკლეს). ომიდან დაბრუნებულმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა.

ეს თეორია სოციუმისათვის გამოვიყენოთ.

ვიმეორებთ, მისი აზრით, **ყურადღება ექცევა არა კონკრეტულ ობიექტს, არამედ მის გარემომცველ სამყაროსთან დამოკიდებულებას.**

შესაბამისად, მთავარია გავერკვეთ, კონკრეტული ადამიანი რა გარემოში გრძნობს კომფორტულად თავს.

ბერტალანფის მეთოდმა მაღალი ალბათობით უნდა შეძლოს პიროვნების რეალურ თვისებებში, შესაძლებლობებში გარკვევა. მეთოდი იმითაც არის საინტერესო, რომ სიზუსტისაკენ სწრაფვას გამოირიცხავს. მთლიანობის გაგებაში დეტალიზაცია არაფერს იძლევა, მხოლოდ დაგვაბნევს. მართლაც, რას მოგვცემს ევერესტის მიკროსკოპში დათვალიერება? – არაფერს!

ჩვენი მიზანი ადამიანებში გარკვევის მექანიზმების გამონახვაა.

ეს იდეა უფრო ნათლად გავარჩიოთ.

ადამიანში გასარკვევად უამრავი რამ არის განსახილველი: თმის ფერი, სიმაღლე, გემოვნება, განათლება . . . შეიძლება მთელი ცხოვრება შევალთ და ადამიანის პიროვნულ თვისებებზე, ჭეშმარიტებასთან მიახლოებული წარმოდგენა მაინც ვერ შეგვექმნას; ამიტომ, პიროვნებაში გასარკვევად, ნუ მივაქცევთ ყურადღებას მის დალაგებულ მსჯელობას, გემოვნებით შერჩეულ ტანსაცმელს . . . რადგან, ასეთი წვრილმანები ლაბირინთში შეგვიყვანს.

ზოგადად, შესაძლოა ეს საკითხი, არც თუ ისე მნიშვნელოვნად მოგვეჩვენოს; მაგრამ რა ვუყოთ არჩევნებს, როცა გვთავაზობენ თუნდაც ორ სუბიექტს? ადამიანთა გარკვეული ჯგუფი თავგამოდებით ამტკიცებს თავისი წარმომადგენლის ღირსებას, პატრიოტიზმს, პატიოსნებას, განათლებას და ლაფში სვრის მოწინააღმდეგეს. ასევე იქცევა მეორე მხარეც. მათი დისკუსია უსასრულოდ გრძელდება. ორივე მხარე თავგამოდებით იცავს თავის შეხედულებას და მსმენელი ისე იბნევა, რომ საერთოდ ხელს ჩაიქნევს და საკითხის განხილვას თავს ანებებს.

თუ სახელმწიფო მმართველობაში ამ სუბიექტებისგან ერთ-ერთის არჩევა თქვენს ბედს ცვლის, ხელის ჩაქნევა დაუშვებელია. თქვენ იძულებული ხართ ერთ-ერთი მათგანი აირჩიოთ და ეს არჩევანი მონეტის აგდებას ჰგავს. შედეგად, ან პატიოსანი პიროვნება შეგერჩებათ ხელში, ან ისეთი, რომელიც პირწმინდად გაგმარცხავთ.

ამრიგად, სუბიექტის არსში გარკვევის მიზნით, უმნიშვნელოვანესია მისი გარემოსთან დამოკიდებულების განხილვა, რაც სუბიექტის ზნეობისა და ინტელექტის დონეს გამოაშკარავებს.

ჩვენს პირობებში მოქალაქე ფსიქოლოგიურ შეტევას სამი მიმართულებით განიცდის. რეაქციული ოპოზიცია მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს ექსტრემალური პირობების შესაქმნელად იყენებს.

მმართველი ჯგუფი კი პირიქით, თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად არის. აი, ჩაატარებენ რამდენიმე საკადრო ცვლილებას და ხვალ ყველაფერი მოგვარდება. ხვალ თუ არა, უახლოეს მომავალში. სხვა სიტყვებით, ჩვენ, ერთი მხრივ, ექსტრემისტების ზეწოლის ქვეშ, მეორე მხრივ, მოჩვენებითი კეთილდღეობის იმედის სამყაროში ვიმყოფებით და ეს ყველაფერი – საშინელი რეალობის ფონზე. რეალობა – მესამე მდგომარეობა, იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება ეგზალტირებულ ან ილუზორულ სამყაროში დაუფიქრებლად გადადის. ერისათვის ორივე შემთხვევა დამლუპველია.

მართლაც რომ ვთქვათ, ბერტალანფის მეთოდის არსი შემდეგია: თუ ობიექტი კომფორტულად გრძნობს თავს სამხრეთ პოლუსზე (სადაც ტემპერატურა მინუს 70 გრადუსამდე ეცემა), გამოირიცხულია, რომ იგი მერცხალი იყოს. ის, უბრალოდ, პინგვინია და მისი მერცხალთან გარეგნული მსგავსების მიუხედავად (ალბათ, ჩასუქებული მერცხალი პინგვინს ჰგავს), მთელი სიცოცხლის მანძილზე პინგვინად დარჩება.

მართლაც, ჩვენი საზოგადოების „პოლიტიკური“ ელიტის უმრავლესობა კრიმინალური სისტემის გარემოში კომფორტულად გრძნობდა თავს. გაიხსენეთ ყოველი ახლად მოსული მმართველი ბანდის ქმედებები. ისინი წინამორბედს კრიმინალში ადანაშაულებენ და იმავდროულად, თავადაც იმავე კრიმინალური ბანდის ნაწილს წარმოადგენენ.

ეს საოცარი პარადოქსიაა.

მარტივად რომ ვთქვათ, სუბიექტი წლების განმავლობაში ბორდელში მუშაობით ნეტარებას განიცდიდა და ახლა კი თავს პატიოსნებისა და სიწმინდის ეტალონად გვაჩვენებს.

იგივე ითქმის პოლიტიკოსზე, რომელიც თავდაპირველად კრიმინალურ ბანდაში კომფორტულად გრძნობდა თავს და შემდეგ გვიმტკიცებს, რომ ის „პატიოსანი პოლიტიკოსია“ და არსებული ხელისუფლების შეცვლის ზნეობრივი უფლება აქვს. ჩვენც დავიჯერეთ და ხმათა უმრავლესობით გადავეცით მას ჩვენი და მომავალი თაობების ბედის მართვის უფლება. უფრო მეტიც, ერთმანეთს ვარწმუნებთ, რომ ეს სუბიექტები წარმოადგენენ „ქარიზმატულ“ პიროვნებებს და თუ მათ არა, მაშინ უნდა მართონ ქვეყანა?

ცნება „ქარიზმატიკა“ თანამედროვე პოლიტიკაში დაამკვიდრა სოციალური ფილოსოფიის ცნობილმა წარმომადგენელმა მაქს ვებერმა (ჩვენ მის მოსაზრებებს სახელმწიფოს მართვის შესახებ შევეხებთ პოლიტიკურ-სამართლებრივ ისტორიაში). შევეცადოთ ჰერმენევტიკულად, ანუ მისი აზროვნების, ფსიქოლოგიის სამზარეულოდან გავერკვეთ, რამ მიიყვანა ეს პიროვნება ცნება „ქარიზმის“ აპოლოგიასთან, ანუ განდიდებასთან.

ამ ცნებას ვებერის თავდაპირველ ნაშრომებში ვერ ვხვდებით. ის მოგვიანებით ჩნდება.

ვებერი პოლიტიკურად, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის უკიდურესად დასუსტების გამო, ვილჰელმ II-ის რეჟიმს ეწინააღმდეგებოდა. ომის დროს ვილჰელმ II-ის მმართველობას ვებერმა „სისულელის გამოვლინების კლასიკური ნიმუში“ უწოდა. შესაბამისად, ის პარლამენტარიზმის მქადაგებელი ხდება. მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, პოპულარობა იზრდება. ის ცდილობს ერთმმართველის, მონარქის გავლენას რაიხსკანცლერის, როგორც ქარიზმატულის, ანუ ღვთისაგან ხელდასხმულის ფიგურა დაუპირისპიროს. ეს ნათლად გამოჩნდა მის მცდელობაში რაიხსკანცლერის ქარიზმატულობის იდეა ვაიმარის კონსტიტუციაში შეეტანა. მისი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არ მიიღეს. ამან ძალიან იმოქმედა მის პატივმოყვარეობაზე. ვებერი გახლდათ გერმანიის დემოკრატიული პარტიის წევრი. მას თანამებრძოლები პარტიის პოლიტიკურ ბელადად მიიჩნევდნენ. როგორც ხშირად ხდება, მისდამი პატივისცემის მიუხედავად, მისი გვარი უკანასკნელ მომენტში პარტიული სიდიდან ამოგდეს, რამაც მისი ისედაც დასუსტებული ფსიქიკა კინალამ შიზოფრენიამდე მიიყვანა. მას უჩნდება ზიზღი ხალხის მიმართ, რომელიც მხოლოდ „ზეგამდე ფიქრობს“. პოლიტიკას ის განიხილავს, როგორც „ძალაუფლების ხელში ჩაგდებასაკენ სწრაფვას“, შესაბამისად, მასში ქარიზმატულ მმართველზე ოცნება ღრმავდება. მისთვის სახელმწიფო და ძალადობა სინონიმებია. ძალადობრივ ფორმაში ის, ტრადიციების გათვალისწინებით, პატრიარქის და პატრიმონიალური თავადის, მბრძანებლის, კანონით შეუზღუდავი სუბიექტის ბატონობას გულისხმობს. აქ ასეთი „თავადის“ ქარიზმატულობის აუცილებლობა თავისთავად ჩნდება. მან ამ საკითხზე საგანგებოდ შექმნა ნაშრომი: „ქარიზმატული ბატონობა“, სადაც ცნება – „ქარიზმატულობის“ საკმაოდ მკვეთრ განმარტებას იძლევა: ესაა ზებუნებრივი, ზეადამიანური, სხვა მოკვდავი ადამიანებისაგან განსხვავებული, მათთვის შეუცნობადი პიროვნება. მას გააჩნია განსაკუთრებული თანდაყოლილი ძალა და მართვისათვის აუცილებელი თვისებები. „ქარიზმას“ ის განიხილავს, როგორც ღვთისაგან ნაბოძებ მადლს და მისი აზრით, ეს მხედართმთავრებში მჟღავნდება. მისთვის მთავარია, რომ ამ სუბიექტმა ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს, დაიმორჩილოს „ქვემეგრდომები“. ესაა ბელადის ზებუნებრივი უნარი. აქ მთავარი ისაა, რომ გამორჩეულ ადამიანებს საკუთარი რიგებიდან ხალხი კი არ გამოკვეთს, არამედ ქარიზმატული პიროვნება ადამიანებს თავისი უნარით იმორჩილებს – აბრუებს, ათავყვანებს და ამით „აბედნიერებს“ მათ.

დაუკვირდით: ის ქარიზმაში ღვთის იმ მადლს გულისხმობს, რომლითაც ეს პიროვნება ხალხს ათავყვანებს და ამით „აბედნიერებს“ კიდევ. უახლეს ისტორიაში ადამიანების ყველაზე ეფექტურად გამოთავყვანება ჰიტლერმა შეძლო. შესაბამისად, გამოდის, რომ ჰიტლერი ღვთისაგან ხელდასხმულია. დამეთანხმებით, რომ ეს უბრალოდ აბსურდია.

ვებერის მოსაზრებიდან გამოდის დასკვნა: ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, რა თქმა უნდა, ქარიზმატულები არა ვართ და შესაბამისად, საკუთარი ბედის მართვის უნარიც არა გვაქვს.

მართლაც რომ, გამოთავყვანებულნი ვართ.

მაგალითად, ადამიანთა ისტორიაში ერთ-ერთ მკვეთრად გამორჩეულ ქარიზმატულ პიროვნებად იულიუს კეისარი მოიხსენება. ამ ინდივიდს ობიექტურად შევხვდეთ.

კეისარი ცამეტი წლის იყო, როდესაც მისი „ბიძის“, (ჩვენთვის მისი დედისა და ბიძის ურთიერთობის წვრილმანები ნაკლებმნიშვნელოვანია) რომის სრულუფლებიანი მმართველის – გაიუს მარიუსის – პროტექციით იუპიტერის ქურუმად იქნა არჩეული. ასეთი ფალსტარტის მიუხედავად, მას რეალური ძალაუფლების მისაღწევად ორმოცი წელი დასჭირდა.

ორმოცი წელი ძალიან დიდი დრო ხომ არ არის „ყველა დროისა და ხალხის გენიოსათვის“?

ორმოცი წლის იყო კეისარი, როდესაც მოწყენილობისაგან ამოიხსენებოდა – „ეპ, ჩემზე უმცროსი იყო ალექსანდრე და უკვე მთელი მსოფლიო ჰქონდა დაპყრობილი, მე კი ვერ არაფერი გამიკეთებია“. ათი წლის შემდეგ ის გალიის დაპყრობას ახერხებს და მათ დაუნდობლად ანადგურებს. მისი ახირებით ალექსანდრიის ბიბლიოთეკა თითქმის მთლიანად გადაიწვა. მან რომში შემთხვევით გადარჩენილი ეგვიპტური კალენდარი ჩამოიტანა, რომელსაც, „რატომაც“, იულიუსის კალენდარი დაერქვა. მისი ცხოვრება ძირითადად იმ „ემირული“ ინტრიგებისაგან შედგებოდა, რითაც მართვის სადავეები ჩაიგდო ხელში. გალიის დაპყრობის გარდა, რომელიც ხალხის აღფრთოვანების სხვა საბაზი არ არსებობდა. იულიუს კეისარს, მართლაც, არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც მის წინამორბედს არ მოსვლია თავში. მან საკუთარი და რომის ინტერესები კლუბპატრას თუძო-შკერდს გადააყოლა. თუძოცა, კლუბპატრას რეალური გარეგნობა ფილმში მისი როლის შემსრულებელ ელიზაბეტ ტეილორის მომხიბვლელობასთან ახლოსაც ვერ მივიღოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლუბპატრას გონებრივი მონაცემები ქ-ნ ტეილორისა და ბ-ნ კეისარის ერთად აღებულ გონებრივ მონაცემებს ბევრად აღემატებოდა. შედეგიც ნათელია.

მითიური კეისარი მხოლოდ ადამიანთა რეალურ სიზმრებში შეიძლება დაბადებულიყო. მისი ცხოვრება სიკვდილის შემდეგ საოცრად „გასხივოსნდა“; ამრიგად, ბრწყინვალეა არა რეალური, არამედ ლიტერატურული კეისარი. რეალურად ის იყო პიროვნება, რომელმაც თავის „მჩქეფარე“ ცხოვრებაში მეგობრებისა და მტრების გარჩევაც კი ვერ ისწავლა. მან ანდერძით ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ მკვლელს – დეციმ ბრუტუსს დაუტოვა. კეისარს არ ეკუთვნის საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები – „შენც ბრუტუს?!“. ეს სიტყვები მის მაგივრად შექსპირმა თქვა. ესეც თქვენი ყველაზე ქარიზმატული პიროვნება!

ცხადია, ვერავინ გაბედავს ბატონი უინსტონ ჩერჩილი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის უდიდეს პოლიტიკოსთა შორის ქარიზმატულ პიროვნებად არ მოიხსენოს. ისიც, კეისარის მთელიმე ჩვენგანზე ნაკლები არაფრით გახლდათ, იმ განსხვავებით, რომ ჰერცოგ მარლბოროთა შთამომავალი იყო. დედამისს, საკმაოდ განათლებულ ქალბატონს, იმდროინდელ ელიტასთან მრავალმხრივი კავშირები ჰქონდა. მას უპრობლემოდ იღებდა დედოფალი ვიქტორია. ეს პატივსაცემი ქალბატონი მთელ თავის ენერჯიას შვილის კარიერის შექმნას ახმარდა.

ჩერჩილების ოჯახის ხშირი სტრუმრები იყვნენ: ოსკარ უაილი, ბერნარდ შოუ . . . საზოგადოებრივი იერარქიიდან გამოდინარე, უინსტონს განათლება საკმაოდ მაღალი მოთხოვნების იტონის დახურულ სკოლაში უნდა მიეღო; მაგრამ მშობლებმა (დახურულ კარს მიღმა) დაასკვნეს – მისი გონებრივი განვითარების დონე და მომზადება ამ სკოლაში სწავლის იმედს არ იძლევაო და „ჰისროუ“-ს სკოლაში შეიყვანეს, სადაც შედარებით დაბალი მოთხოვნები იყო. ის ამ სკოლაშიც უკანასკნელი მოსწავლე იყო და სწავლა არა ფეხოსანთა, არამედ არაპრესტიჟულ კავალერიის სასწავლებელში განაგრძო. ამ სასწავლებლის შიდა ინსტრუქციის თანახმად, ცხენის საკუთარი სახსრებით ყიდვა და შენახვა აუცილებლობას წარმოადგენდა, რაც, ცხადია, მრავალთათვის მიუღწეველი გახლდათ. შესაბამისად, ამ სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო. უინსტონმა კონკურსის დაძლევა, სწორედ, ამ პირობებით შეძლო. უინსტონი მხოლოდ ერთ რამეზე წუხდა – ახლო-მანლო ომი არ მიმდინარეობდა. მისი აზრით, აუცილებლად ომში უნდა გამოეჩინა თავი. სწორედ, ამ დროს გავრცელდა ინფორმაცია კუბაში ესპანურ-ამერიკული კონფლიქტის შესახებ. მან გამოიყენა არისტოკრატიული ელიტისათვის განკუთვნილი ხუთთვიანი შევსება და კუბაში სამხედრო კორესპონდენტად წავიდა. უინსტონმა, მართლაც, ბრწყინვალედ შეძლო წერა. ამ მოგზაურობის შედეგად მიიღო ესპანური მედალი, ისწავლა სიგარის მოწევა და სიესტა – სადილის შემდეგ გემრიელი შუადღის ძილი. რომანიც კი დაწერა.

და როდესაც ჰკითხეს: რატომ გაცხდა პარლამენტარი, მან პირდაპირ უპასუხა – „პატივმოყვარეობა, აბსოლუტური შიშველი პატივმოყვარეობა, პოლიტიკაში მხოლოდ ამან მომიყვანა“. ის თანდაყოლილ ლიყიანობასა და სიზარმაცეს დაუღალავად ებრძოდა.

პოლიტიკური კარიერა კონსერვატულ პარტიაში დაიწყო. როდესაც, კონსერვატორების პოპულარობამ დაიწყო, სასწრაფოდ გადავიდა ლიბერალურ პარტიაში, რითაც მინისტრის პორტფელიც დაიმსახურა. განაწევნებულმა კონსერვატორებმა შეუთვალეს: – „ბატონო უინსტონ, დაიმსახურეთ, ხომალდს ვირთხები მხოლოდ ერთხელ ტოვებენ“. მოგვიანებით, ჩერჩილი კვლავ კონსერვატულ პარტიაში დაბრუნდა, რითაც დაამტკიცა, რომ ვირთხას ხომალდის ორჯერ დატოვებაც მშვენივრად შეუძლია.

უინსტონ ჩერჩილი მხედართმთავრობაზე ბევრზე დასერილი იყო და ვეღვაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მას ანტვერპენის დაცვის ხელმძღვანელობა ჩაბარებოდა. ის ანტვერპენთან განლაგებული ჯარების სარდლად დაინშნა. მან არ იცოდა და არც დაინტერესებულა გაერკვია, თუ რა ხდებოდა ფრონტზე. მხოლოდ ის იცოდა, რომ ქალაქის გადამრჩენი გმირი უნდა გამხდარიყო.

შედეგი: გერმანელებმა ქალაქი დაიკავეს და ჯარის ნაწილი ტყვედ ჩაივარდა.

უინსტონ ჩერჩილმა ჩაიფიქრა ინგლისის გავლენის ქვეშ თურქეთის მოქცევა და კონსტანტინოპოლის აღების გეგმა შეიმუშავა. შედეგი: დარდანელის სრუტეში დატრიალებული ტრაგედია. ინგლისის ფლოტი განადგურდა და ნახევარი მილიონი ინგლისელი მეომარი დაიღუპა.

უინსტონ ჩერჩილი ორმოცზე მეტი წლის იყო, როცა სამხედრო სამსახურიდან დამამცირებელი პირობით – არასდროს ეთხოვა უკან დაბრუნება – გადადგა.

– ჩემი საქმე გათავებულია – გამოუტყდა ნაცნობებს.

მოგვიანებით, ლილდ ჯორჯთან მეგობრობამ უინსტონს კვლავ მინისტრის სავარძელი არგუნა. თუმცა, მას ისევ პოლიტიკური კატასტროფა ელოდა. უსიამოვნება მისი აპენდიქსის ამოჭრით დაიწყო. არჩევნებზე ჩერჩილის პარტიამ ზნათა არასაკმარისი რაოდენობა მიიღო. მთავრობა დაითხოვეს.

თავის ბიოგრაფიის ამ უმძიმეს პერიოდს ჩერჩილი ასე აფასებს: – „თვალის დასამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ საშუაოს, პარლამენტში ადგილისა და აპენდიქსის გარეშე დავრჩი“. . .

ყოველივე ამის მიუხედავად, ისტორიაში უინსტონ ჩერჩილი, კეისრის მსგავსად, დიდ პოლიტიკოსად დარჩება, რადგან მას გონება ეყო ფაშიზმისა და ბოლშევიზმის გასააზრებლად.

პირდაპირ საოცარია ქარიზმის აპოლოგეტთა ღრმა რწმენა, რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ამ „გმირობებს“ ვერ ჩავიდენდით და ფაშიზმისა და ბოლშევიზმის არაჰუმანურობის გაცნობიერებას მხოლოდ ქარიზმატული შეძლებს.

არ იფიქროთ, რომ ცინიზმი ან მხოლოდ ირონია გვალაპარაკებს. არაფერი ამის მსგავსი. უბრალოდ, ჩვენზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ქარიზმატული მმართველების უმრავლესობა სისხლისმსმელი, პატივმოყვარე, განუვითარებელი ადამიანები იყვნენ. მათ, ჩვენგან განსხვავებით, დასახული მიზნისკენ უსაზღვრო ლტოლვა ჰქონდათ.

შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს მოსაზრება: – იქნებ ესა თუ ის სუბიექტი თავიდან პატიოსანი, ზნეობრივი ადამიანი იყო. შეიძლება კი პოლიტიკურ-კრიმინალურ გარემოში მოხვდა და მისი პატიოსნება ამ გარემომ „შეარყია“.

ვიმეორებთ – გარემო კი არ მოქმედებს ადამიანზე, არამედ თვით ადამიანი მისწრაფვის იმ გარემოსაკენ, სადაც კომფორტულად გრძნობს თავს და ამით ამჟღავნებს საკუთარ არსს.

ჩვენთვის ეს მოსაზრება საღისეულისო არ არის.

ოპონენტი იკითხავს: – მერე რა, თუ ვიღაც გუშინ გარეწარი იყო, ხომ შეიძლება დღეს პატიოსანი გახდეს? განა სავლეს პავლედ გადაქცევის პრეცედენტი არ კმარა? – გეთანხმებით. ჩვენც გვსმენია ფრანცისკო ასისიელისა, მარიამ მაგდალინელის . . . შესახებ.

ერთი მხრივ, ბერტალანფის თეორიიდან გამომდინარე, არ უნდა ენდოთ იმ სუბიექტებს, რომლებიც არაზნეობრივ გარემოში კომფორტულად გრძნობდნენ თავს, მეორე მხრივ, დეგრადირებული სუბიექტისაგან ადამიანის დაბადება შესაძლებელია. თითქოს შეუსაბამობაა.

– არა.

გარკვეული აზროვნების დონეზე წარმოქმნილ პრობლემას იმავე აზროვნების დონიდან ვერ გადავჭრით. აუცილებელია აზროვნების ამაღლებულ დონეზე გადასვლა და ამ პრობლემის ამაღლებული დონიდან გადაწყვეტა.

თუმცა, თუ საზოგადოების ნაწილი არსებულზე ამაღლებული აზროვნების დონის შექმნასა და სისტემის თვისობრივ ცვლილებას შეძლებს, მაშინ ამ დონის შესაბამის რიტმს უკვე ხელეწიფება უკიდურესად დაქვეითებული ზნეობის მქონე სუბიექტშიც კი ამაღლება გამოიწვიოს.

სოციუმში ამაღლებული მიზნის გარეშე დაქვეითებული აზროვნების დონე ბატონობს. ცხადია, თვისობრივი ცვლილებების გარეშე სავლეს პავლედ გადაქცევა შეუძლებელია. მხოლოდ „მესამეს“ – ზნეობრივ, განათლებულ, შეკრულ საზოგადოებას, ცოცხალ სისტემას შეუძლია ადამიანში ადამიანის გაღვივება. შეგახსენებთ, რომ ჭაობიდან საკუთარი თავის თმებით ამოთრევა მხოლოდ ბარონ მიუნჰაუზენმა შეძლო.

სწორედ ამ ამაღლებული აზროვნების დონის შექმნას ემსახურება ჩვენი მატრიცული თეორია. განათლებული, ზნეობრივი სოციალური ფენის – პალადიუმის – გარეშე კი ეს შეუძლებელია. ამრიგად, განვითარებისკენ პირველი ნაბიჯი სწორედ ამ ფენის შექმნაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზნისკენ სვლა შემდეგნაირად მიმდინარეობს:

საერთო მიზნისადმი ამაღლებული ასტრალურობისა და შემეცნების მქონე ადამიანთა ჯგუფი იაზრებს ბუნების კანონზომიერებას და არსებულ დაქვეითებულ რეალობასთან წინააღმდეგობით მათი შინაგანი ალგზნება, ასტრალურობა უდიდეს სიმძლავრეში გადადის. იქმნება მიკროსისტემა, რომელიც გარშემო იკრებს მის მსგავსთ, მისი „ჯიშის“ პიროვნებებს. და ქმნის მიკროსოციუმს;

როცა ეს ამაღლებული ასტრალურობის მიკროსოციუმი გადააჭარბებს ინდივიდთა კრიტიკულ რიცხვს, ნათლად იკვეთება აზრი – ეს ცხოვრება უნდა შეიცვალოს და იქმნება ახალი პარადიგმა – აზროვნების დონე; რაც მიკროჯგუფის ირეალურ სამყაროს პირველ სუბსტანციაში – ასტრალურ ველში – შეღწევას მიგვანიშნებს. მიკროჯგუფს ძალუძს იდეათა ველი გაარღვიოს, სადაც მიზნის შესაბამის იდეასთან დიალექტიკით მიდის, რომლის არსში უკვე კვაზიაპოსტერიორულ ველში (შემდეგ სუბსტანციაში) გადასვლა დევს. ამ სუბსტანციაში მიმდინარეობს აზრობრივი ექსპერიმენტი, რაც იდეის სიცოცხლისუნარიანობის ხარისხს ავლენს. პოზიტიური დასკვნის შემთხვევაში, კანონზომიერებაც იკვეთება; ზერეალური სამყაროდან საკუთარი თავისა და იდეის მიმართ რწმენა უდიდესი ძალით შემოდის. თუ ამას სიყვარულის უნიკალური ფენომენიც ემატება, შესაძლებლობის ველი ირღვევა და იდეის რეალიზება, აღსრულება იწყება. შესაძლებლობის ველში შეღწევა უკვე ნიშნავს, რომ იდეის შესაბამისი სისტემის მთავარი ქვესისტემა – პალადიუმი – ჩამოყალიბებულია. ეს ის სოციალური ფენაა, რომელიც არსში მომავლის სისტემის იდეოლოგიას მოიცავს და არსებულ საზოგადოებასა და მომავალ, მოწესრიგებულ საზოგადოებას შორის გარდამავალ ფენას წარმოადგენს. იდეის მქონე ქვესისტემა, როგორც ატრაქტორი, არსებული სოციალური ფენებიდან მეტ-ნაკლებად აქტიურ ადამიანებს იზიდავს. მიმდინარეობს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის სოციალური აზროვნების ამაღლება.

ქვესისტემის სიმძლავრე იზრდება, რაც, თავის მხრივ, მთავარი ქვესისტემის მიმზიდველობას, ატრაქტორის ხარისხს აძლიერებს და პველის რაოდენობრივიდან თვისობრივში კვანტურ, ნახტომისებურ გადასვლამდე მივდივართ. იწყება სიცოცხლისუნარიანი სისტემის ჩამოყალიბება-დამკვიდრება, ევოლუციის განვითარების სწრაფი პროცესი.

შესაბამისად, **პალადიუმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მიზნის, იდეის, იდეოლოგიის ჩამოყალიბება**, რომელიც მთლიანი სისტემის, სოციუმის მეტ-ნაკლებად ზნეობა და გონებაშენარჩუნებული წევრებისთვის გასაგები და მისაღები იქნება.

ეს, თავის მხრივ, პალადიუმის წვევებისაგან – პალადინებისაგან აქტიურ ქმედებას მოითხოვს. მთლიან საზოგადოებასთან კავშირი და უკუკავშირი ხვეწს პალადიუმს და ის, როგორც მატრიცა, პირველსაწყისი უმაღლესი წესრიგის ხარისხში გადადის.

მხოლოდ ამ სისტემას შეუძლია, ერთი მხრივ, ბუნებრივ, ღვთიურ სამართლსა და პოზიტიურ სამართალს შორის ჰარმონია დაამკვიდროს და მეორე მხრივ, სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ ფორმას მიანიჭოს ის, რაც დემოკრატია საზოგადოების პროგრესის საფუძვლად აქცევს.

დემოკრატია

ჩვენ მიერ განხილულმა პოლიტიკურ-სამართლებრივმა ისტორიამ გვაჩვენა, რომ დემოკრატია, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა, საზოგადოების სრულყოფილი განვითარების ხელშემშლელ ღვეფქტს შეიცავს.

კიდევ ერთხელ გავისხენოთ ჰერაკლიტეს მოსაზრება: „კანონის ფორმირებისა და დამკვიდრებისათვის სულაც არ არის საჭირო საყოველთაო თანხმობა და სახალხო კრება; მთავარია კანონის თანხვედრა ლოგოსთან, ბუნების კანონზომიერებასთან, რომელსაც მოაზროვნე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი შესწავლავს“.

სოკრატეს აზრით, დემოკრატიული პრინციპები არასრულფასოვანია. ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ დემოკრატია სახელმწიფოს ღუპავს, რადგან მართვის სადავეს ხელში იგდებენ ისინი „... რომელნიც არჩეულნი არიან ცნობილი, გავლენიანი პირების მიერ“. . . და ისინი . . . „ვინც ძალაუფლება ჩაიგდო ხელში კენჭისყრით, ძალადობით ან სიცრუით“ . . .

პლატონის აზრით – დემოკრატია, თუ მასში რაღაც არ არის განზავებული, თუ არ ივსება რაღაცით, მაშინ ის თავისუფლებით აუცილებლად თვრება და მისგან მისივე საწინააღმდეგო წარმოიქმნება.

არისტოტელეც მკაცრად აკრიტიკებს უკიდურეს დემოკრატიას, სადაც უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის დემოსს და აქედან ყველა სიმახინჯე გამოდინარეობს.

პოლიბიუსის აზრით, დემოკრატის დროს, ბრბო თანდათან ეჩვევა მათხოვრული ლუკმის მიღებას და სხვის ხარჯზე უბადრუკ ცხოვრებას; ენდობა ყველას, ვინც ოდესმე რამეს მიუგდებს. ამით სარგებლობს ნებისმიერი თავხედი დემაგოგი, აფერისტი, ხოლო თვით ბრბოს სახელმწიფო საქმეები, პოლიტიკა აღარ აინტერესებს. შესაბამისად, დემოკრატიაში დევს ისეთი რამ, რაც მის თვითგადაგვარებას განაპირობებს. ამ შემთხვევაში „სახელმწიფო უკეთილშობილესი, სახალხო მმართველობით ინიღბება, რეალურად კი ხდება ყველაზე ცუდი, როგორც შეიძლება საერთოდ სახელმწიფო იყოს“.

მარკუს ტულიუს ციცირონისთვის: „ხალხი არ არის ადამიანთა ნებისმიერი ნაკრები, ნებისმიერი სახით, არამედ ეს არის მრავალ ადამიანთა ერთობა, რომლებიც ერთმანეთთან საერთო საზოგადოებრივი ინტერესებით არიან დაკავშირებულნი და სამართლებრივ საკითხებზე არიან შეთანხმებულნი“.

არჩევანის შემთხვევაში, მისთვის მისაღება მონარქიული წყობა; დემოკრატია კი ყველაზე არასრულყოფილად მიიჩნევა, რადგან „როდესაც ყველაფერს ხალხი წყვეტს, რაოდენ სამარ-

თლიანი და ზომიერიც უნდა იყოს ის, მაინც თვით თანაბრობაა აქ არასამართლიანი, რადგან ამ დროს საზოგადოებაში არ არის გათვალისწინებული იერარქია (გონებრივი, ზნეობრივი)“.

ედმუნდ ბიორკი – იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიტიკური ხელისუფლება ორგანიზდება ისე, როგორც თქვენ გნებავთ, მისი აღსრულება თვით ძალაუფლების მქონე პირთა ნებაზე იქნება დამოკიდებული. კანონის სარგებლიანობა და პოტენცია დამოკიდებულია იმ მინისტრებზე, რომლებმაც ის უნდა აღასრულონ და ნახავთ, რომ ყველა სიკეთე ქალაქზე დარჩება და „ცოცხალ, ქმედით, ეფექტურ კონსტიტუციას“ ვერ მიიღებთ.

თომას ჯეფერსონი: „კორუფცია ამ ქვეყანაში, ასევე იქ, საიდანაც ჩვენ ჩამოვედით, ჯერ ჩვენს ხელისუფლებას მოიცავს და შემდეგ ჩვენი ხალხის ძირითად მასაზე გავრცელდება. მაშინ, როცა ხელისუფლება ფულით იყიდის ხალხის ხმას და შემდეგ ხალხს აიძულებს ფული უკან დააბრუნოს. ადამიანთა არსი ერთნაირია ატლანტის ოკეანის ორივე ნაპირზე და მსგავსი მდგომარეობისას ერთნაირი გავლენის ქვეშ დარჩება. დადგა დრო, მოვერიდოთ კორუფციასა და ტირანიას, სანამ ის ჩვენ არ დაგვიპყრობს“.

– საჭიროა სახელმწიფოს მართვის ისეთი ორგანიზაცია შეიქმნას, სადაც ტრადიციული, სიმბოლური არისტოკრატია ბუნებრივი ტალანტისა და ნიჭის არისტოკრატიას დაუთმობს ადგილს.

თომას უოდრო ვილსონი – „პოლიტიკური მეცნიერება რეალურ ცხოვრებას შეისწავლის, ამიტომ მისი მეთოდები საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, განსაკუთრებით ფიზიკას, მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს. ხალხი სახელმწიფოს მმართველს ისეთ უფლება-მოვალეობებს ანიჭებს, რომლის გონივრულად გამოყენება ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ამ შემთხვევაში, მმართველის (მაგ., პრეზიდენტის) კაბინეტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელთა როლი უმთავრესი ხდება. საკმარისია, მან ეს ადამიანები პოლიტიკოსებისაგან შეარჩიოს და არა კვალიფიცირებული, ზნეობრივი თანამოქალაქეებისაგან, რომ მაშინვე სახელმწიფოს რეგრესი იწყება“.

საერთო დასკვნა ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს – დემოკრატია სახელმწიფო მმართველობის სხვა ფორმებთან (დიქტატურა, ტოტალიტარიზმი) შედარებით, თოთქოს მცირე ბოროტებაა. სწორედ, დემოკრატიითაა შენობული ის დეფექტი, რომელიც საზოგადოების სრულყოფილებისკენ სწრაფვას აფერხებს. უნებურად გვახსენდება უინსტონ ჩერჩილის სიტყვები – „ვიცი რა საზიზღრობაა დემოკრატია, მაგრამ სამწუხაროდ, უკეთესი არ არსებობს“.

ნებისმიერი დროის დემოკრატია უცილობლად ერთმმართველობაში გადადიოდა. შესაბამისი ანალიზის შედეგად მოაზროვნე ადამიანებში სახალხო მმართველობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მკვიდრდება. საზოგადოების უმრავლესობის შეუზღუდავი, უგუნური თავნებობა ოლიგარქებისა და ტირანების სისასტიკეზე უფრო უარესი აღმოჩნდა.

ერთი მხრივ, ლოზუნგი – ერის ხმა ღვთის ხმაა, თითქოს რაღაც ჭეშმარიტებას შეიცავს; მაგრამ, მეორე მხრივ, თუ სახალხო კრება, ვთქვათ ათენი კუნძულ ეგბეუსის გაძარცვას გადაწყვეტს, ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს, რადგან ეს ბერძენი ხალხის გადაწყვეტილებაა, ანუ ეს ღვთის ხმაა. შესაბამისად, თუ უმრავლესობამ გადაწყვიტა სოკრატეს მკვლელობა, არისტოტელეს გაძევება (სოკრატეს ბედს ისიც ძლივს გადაურჩა), ესეც ღვთის ხმაა. ჩვენი აზრით კი, ეს ღვთის ხმა კი არა, მკრეხელობაა.

მოგვიანებით, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებად დანაწევრება მოხდა, თითქოს დემოკრატია სახე შეიცვალა. ამის მიუხედავად, არსებობს უამრავი მაგალითი, როცა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ხელისუფლებაში მაგ., ნაციისტური ან ბოლშევიკური პარტია მოდის. შედეგი – გაუგონარი სისასტიკე, რომელიც

არც განათლებულ ელიტებს და არც გაუნათლებელ კანიალურ ტომებსაც დასიზმრებიათ. ცნობილია, რომ ხალხი (განსაკუთრებით გაძარცვული და დამცირებული) გაუგონარ გამოთყვანებაში, სიბრძავეში მარტივად გადადის. ეს გასაგებია. საინტერესოა მეორე: აღმოჩნდა, რომ საერთო ე.წ. დემოკრატიული, საყოველთაო კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილება, თურმე, „ხალხის ნებას“ სრულიად არ ემთხვევა და ეს ხმა ღვთის ხმისგან მით უმეტეს შორსაა.

ამ რთულ საკითხზე დაფიქრდა ჩვენ მიერ პოლიტიკურ-სამართლებრივ ისტორიაში მოხსენებული ფრანგი მათემატიკოსი, ასტრონომი, საზოგადო მოღვაწე **ჟან ანტუან ნიკოლა მარკიზ დე კონდორსე**. ის თავიდან ფრანგული რევოლუციის აქტიური მონაწილე, კონვენტის წევრი იყო. კონდორსე გახლდათ საყოველთაოდ ცნობილი დეკლარაციის პირველი ვარიანტის ავტორი. დემოკრატიის არსში ჩადებული დეფექტის არსებობა პირველად სწორედ მან, მეცნიერულად, მათემატიკური ლოგიკით დაამტკიცა. ის მიხვდა, რომ ახალი, ფრანგული რევოლუციის მიერ დაფუძნებული დემოკრატია „მკვდრადშობილი ბავშვი“, ანუ არასიცოცხლისუნარიანი სისტემა იყო.

კონდორსეს აზრით, დემოკრატია რაღაცით უნდა შეეცვოს და მხოლოდ ამის შემდეგ **„ველარავინ გაბედავს დაყოს ადამიანები ორ განსხვავებულ რასად, რომელთაგან ერთს ენიჭება მართვის უფლება, მეორეს კი მხოლოდ მორჩილება, ერთი მოწოდებულია რათა მოიტყუოს, მეორე – იყოს მოტყუებული“**.

კონდორსეს მიერ დემოკრატიის არსში ჩადებული დეფექტის გამოაშკარავების მათემატიკურ დასაბუთებას **კონდორსეს პარადოქსი** ეწოდა.

კონდორსეს თვალსაზრისი ამ საკითხზე მარტივად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

წარმოდგინეთ, რომ არსებობს სახელმწიფო და მის განკარგულებაშია რაღაც საბიუჯეტო განსაზღვრული თანხა. ვთქვათ, ამ ბიუჯეტის განკარგვა დემოკრატიული კენჭისყრით სამ პიროვნებას დაევალა – გიორგის, რამაზს და ქეთევანს. მათი გადასაწყვეტია, როგორ გადანაწილდეს სახელმწიფო ბიუჯეტი, ანუ კონკრეტულ პირობებში მათ უნდა შეარჩიონ თანხის განკარგვის პრიორიტეტი: **თავდაცვა, განათლება, თუ სოციალური უზრუნველყოფა**.

ვთქვათ, გიორგი თვლის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილებისას, უპირველესია განათლება და მისი არგუმენტი, რომ განათლების გარეშე სახელმწიფოს განვითარება შეუძლებელია, თითქოს დისკუსიას არ ექვემდებარება. რა თქმა უნდა, მას ესმის სოციალური უზრუნველყოფის აუცილებლობაც და ის ამ საკითხს განათლების შემდეგ მეორე ადგილზე აყენებს. თავდაცვას კი წინა ორთან შედარებით, უკანასკნელ მნიშვნელობას ანიჭებს.

რამაზისთვის პრიორიტეტები შეიძლება გადანაწილდეს შემდეგნაირად: თავდაცვა, განათლება და სოციალური უზრუნველყოფა.

ქეთევანისთვის – სოციალური უზრუნველყოფა, თავდაცვა და შემდეგ განათლება.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, ცხადია ე.წ. ხმათა უმრავლესობით უნდა მოხდეს.

თუ ხმის მიმცემნი (გიორგი, რამაზი, ქეთევანი) ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ და ეს კი აუცილებელი პირობაა დემოკრატიისთვის, მაშინ მათ წინაშე იბადება რაღაც ჯადოსნური წრე ან სამკუთხედი. მართლაც:

გიორგისთვის პირველხარისხოვანია განათლება, მეორეხარისხოვანია თავდაცვა და მესამეხარისხოვანი – სოციალური უზრუნველყოფა.

რამაზისთვის პირველხარისხოვანია თავდაცვა, მეორეხარისხოვანია განათლება და მესამეხარისხოვანი – სოციალური უზრუნველყოფა.

ქეთევანისთვის პირველხარისხოვანია სოციალური უზრუნველყოფა, მეორეხარისხოვანია თავდაცვა და მესამეხარისხოვანია განათლება.

დაუკვირდით – თავდაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, განათლებაზე გადასანაწილებელი საბიუჯეტო თანხის თითოეული ნაწილი ერთდროულად არის პირველხარისხოვანი, მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი.

უკვე ადგილი აქვს პარადოქსს, აბსურდს, რადგან არ შეიძლება რაღაც იყოს ერთდროულად პირველხარისხოვანი, მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი.

რა თქმა უნდა, ბიუჯეტის გადანაწილება შეიძლება სამ თანაბარ ნაწილად, მაგრამ ამ შემთხვევაში, თითოეული ხმის მიმცემი ჩათვლის, რომ სახელმწიფო მოქმედებს მისი ნების გაუთვალისწინებლად. ესეც თქვენი სახალხო ხელისუფლება, ხალხის ნება, ანუ დემოკრატია.

შევდივართ ჩიხში.

სწორედ ეს გახლავთ კონდორსეს პარადოქსი. ფრანგული რევოლუციის დროს, იაკობინელების ბატონობისას, ეს აზრი მეხის გავარდნას გავდა. გამოაშკარავდა დემოკრატის არსის სიყალბე. დემოკრატის სახელს ამოფარებულმა კრიმინალურმა, სადისტურ-პოლიტიკურმა სისტემამ – იაკობინელებმა კონდორსეზე ნადირობა დაიწყეს. ის გარკვეული პერიოდი მეგობრის ოჯახში იმალებოდა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ამით მეგობარს საფრთხეს უქმნიდა, თავშესაფარი დატოვა. იგი ციხეში გამოამწყვდიეს და სიკვდილი მიუსაჯეს; მან სასჯელის აღსრულებამდე საწამლაგის დალევა მოასწრო. არსებობს ვერსია, რომ კონდორსეს პარადოქსით გაცოფებულმა რევოლუციონერებმა კონდორსეს გვამს გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს. ესეც შენი დემოკრატია და მისი ლოზუნგი – ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

გვამს შეიძლება თავი მოჰკვეთო, ჭეშარიტებას, იდეას კი ვერაფერს დააკლებ.

ჩვენ მიერ განხილული უმარტივესი სიტუაციაა კი ნათლად აჩვენებს, რომ ახალი აზრის დამკვიდრება ურთულესი პრობლემაა. თუ განვიხილავთ რეალურ სიტუაციას, ანუ ამომრჩეველთა დიდ რაოდენობას და განსახილველი საკითხების სიმრავლეს, აღმოჩნდება, რომ ჩიხში შესვლის ალბათობა უახლოვდება 100 პროცენტს, ანუ მარტივად – არავისი აზრი არ გავა. ამით სარგებლობს ყველა უზნეო და ჩნდება ცდუნება, თუ ხალხის ნება კონკრეტულად არ ფიქსირდება, მაშინ ოლიგარქების, კრიმინალური ბანდების ინტერესების დაცვა გაადვილებულია.

შეიძლება თქვენ ეს მშრალ თეორიად მოგეჩვენოთ და იფიქროთ: რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი თავისთავად დალაგდება და ხალხის ნებაც თავისთავად დამკვიდრდება. ასე ეგონათ დიდი ხნის განმავლობაში და ამტკიცებდნენ, რომ კონდორსეს პარადოქსი მშრალი მათემატიკაა და ცხოვრება სულ სხვა რამაა (ანუ უსუსური არგუმენტი – „თუ ძმა ხარ, სად მათემატიკა, სად სოციოლოგია“).

1950 წელს ამერიკელმა მეცნიერმა კენეტ ჯოზეფ ეროუმ გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი დემოკრატის მექანიზმზე, მის ანატომიაზე, რამაც ყველა ზნეობრივი ადამიანი დააფიქრა. მან უმაღლესი ლოგიკით დაამტკიცა, რომ თუ ამომრჩეველი არჩევანში თავისუფალია, ანუ როგორც აღვნიშნეთ, დემოკრატია აქვს ადგილი, მაშინ ჩიხიდან გამოსვლის არავითარი შანსი არ რჩება. მისი აზრით, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ამომრჩეველებზე გარეგანი ზეწოლაა; მათ უმაღლესი უფლების (საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა) ნაწილი მაინც უნდა წაერთვათ. ზეწოლა შეიძლება მოხდეს ეკლესიის (თუ მას მოსახლეობის დიდ ნაწილზე აქვს გავლენა) მხრიდან; ზეწოლა შეიძლება მოახდინოს უმცირესობის (ელიტის) ავტორიტეტმა, შენიღბულმა დიქტატურამ, კატასტროფის ან ომის საშიშროებამ. მისი აზრით, მხოლოდ ამ შემთხვევებში იზრდება ჩიხიდან გამოსვლის ალბათობა, მაგრამ იმავდროულად ქრება თავისუფლებაც.

მეცნიერებაში ეს დასკვნა ეროუს თეორიის სახელით შევიდა. ამისთვის მას 1972 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

კენეტ ეროუს თეორია ამტკიცებს – **თანასწორობა და თავისუფლება, უპირველესი მოთხოვნა დემოკრატისა, თვით დემოკრატის ბოჭავს.** ეს რაღაც უცნაურად ჟღერს, მაგრამ ამ ჩიხიდან გამოსავალი არაა – **დღესდღეობით ეს დასკვნა მეცნიერების უკანასკნელი ვერდიქტია.**

ეროუს, მარქსისგან განსხვავებით, ქმედებისათვის არავითარი სახელმძღვანელო და მანიფესტი არ შეუქმნია, რევოლუციებისკენ არ მოგვიწოდებს, მაგრამ მისი თეორიიდან თავისთავად გამომდინარეობს რეკომენდაცია – გამოსავალი უნდა მოვძებნოთ.

ეროუს აზრით, წესდებათა ნაკრების შემუშავება, რომელიც ინდივიდუალურ ნებას საზოგადოებრივ ნებასთან შეათანხმებს, შეუძლებელია.

ეროუმ მათემატიკურად დაამტკიცა: – „საკუთარი არსიდან გამომდინარე, დემოკრატია არ შეიძლება იყოს სრულყოფილი“.

სხვა სიტყვებით – დემოკრატიის არსში არ არის ჩადებული საზოგადოების განვითარების სრულყოფილი მექანიზმი და რაც უფრო დაქვეითებულია საზოგადოებაში სოციალური აზროვნება, მით უფრო დამანგრეველია დემოკრატიის შედეგი.

მისი აზრით, ამ მდგომარეობიდან გამოსავალი, მარტივად რომ ვთქვათ, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. საზოგადოების ყველა წევრი არ შეიძლება ჩაითვალოს მოქალაქედ;
2. მოქალაქეებიდან კი ყველას არ უნდა ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
3. ყველა მოქალაქეს, რომელსაც აქვს არჩევანის უფლება, მართვის ორგანოებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება არ უნდა ჰქონდეს;
4. ამომრჩეველთა შერჩევის კრიტერიუმები არ შეიძლება ყველასთვის ერთნაირი იყოს. აუცილებელი ხდება ამომრჩეველის არათანაბარი კომპეტენციის გათვალისწინება;
5. დემოკრატიის პრინციპი უნდა გავრცელდეს საზოგადოების მცირე ნაწილზე. ყველაზე სანიშნო სახელმწიფოშიც კი უპირატესობა განათლებულთა დიქტატურას უნდა მიენიჭოს.

მაგრამ, რეალურ ცხოვრებაში ამ პირობების შესრულების გზა მაინც გაურკვეველი რჩება.

სხვა სიტყვებით, დემოკრატიული მმართველობის მექანიზმი გადასინჯვასა და დახვეწას საჭიროებს.

აქ, მართალი ვითხრათ არაფერია ახალი. მთელი პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორია ამ პრობლემის გააზრების ისტორიაა. გაიხსენეთ:

ჯერ კიდევ IV ს. ჩვ.წ.-მდე - ჰერაკლიტე აკრიტიკებს დემოკრატიას იმ აზრით, რომ ის ყველა განუვითარებელს, ბრბოს ანებივრებს და ზნეობრივსა და განათლებულს იქ ადგილი არა აქვს. „ჩემთვის ერთი ათიათასია, თუ ის საუკეთესოა.“ განათლებული უმცირესობის ნება უკვე კანონია.

კანტი ეთანხმება ლოზუნგს – თავისუფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა, მაგრამ იქვე გვარწმუნებს, რომ ამაში არ გულისხმობს ფართო დემოკრატიას და ის მოითხოვს ყველა მოქალაქის დაყოფას აქტიურებად და პასიურებად (რომელთაც არა აქვთ ამომრჩეველის უფლება). ის პასიურს იმ ადამიანებს უწოდებს, რომლებიც საარსებო საშუალებას სხვათა განკარგულების შესრულებით შოულობენ, ანუ ესაა დაქვეითებული, ვიღაცაზე დამოკიდებული საზოგადოება.

შედეგიდან გამომდინარე, არ არსებობს თეორია, რომელიც ამ პრობლემას გადაჭრის.

ამრიგად, კონდორსეს პარადოქსი და ეროუს თეორია გამოსავლის ძიების აუცილებლობაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს.

დემოკრატიული მმართველობის პრინციპი ე.წ. ძალთა წონასწორობის თეორიას ეყრდნობა. ზოგადად, ამ თეორიის ავტორად კარდინალი რიშელიე გვევლინება. როგორც ცნობილია, ევროპის ძირითად პრობლემას სახელმწიფოთა მუდმივი დაპირისპირების შედეგად განვითარებული ომები წარმოადგენდა. ევროპის მშვიდობიანი განვითარებისათვის რიშელიემ წამოაყენა პრინციპი, რომელიც გულისხმობდა ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკური და მილიტარისტული სიმძლავრის თ-

ნაბრობას (ძალთა წონასწორობის პრინციპი), რათა რომელიმე უფრო მძლავრ სახელმწიფოს არ გასჩენოდა სხვა სახელმწიფოს დაპყრობის სურვილი.

მოგვიანებით, ეს პრინციპი იქცა თვით სახელმწიფოს მართვის მექანიზმის პრინციპად; შესაბამისად, წარმოიქმნა სახელმწიფო მართვის სამი შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულებული; პრინციპის თანახმად, ამ სახელისუფლო შტოებს შორის უნდა იყოს ძალთა თანაბარი გადანაწილება. როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიიდან ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში რეალურად ვერ ხორციელდება ძალთა წონასწორობის პრინციპი და ადგილი აქვს ერთი რომელიმე სახელისუფლებო შტოს დომინირებას დანარჩენ ორზე. ეს ნათლად ჩანს საქართველოს მაგალითზე, სადაც აღმასრულებელი შტო იქვემდებარებს საკანონმდებლოსა და მართლმსაჯულებას. საქართველოს უახლესმა ისტორიამ აჩვენა, რომ რაც პრეზიდენტებს ესიზმრებოდათ, იმას ამტკიცებდა საკანონმდებლო ხელისუფლება და მართლმსაჯულება კი ადასტურებდა, რომ ყველაფერი სამართლებრივია. ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოს როდი ეხება, ესაა ყველა არშემდგარი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრობლემა. სწორედ, ესაა საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარების რეგრესის მიზეზი. ცხადია, ეს პრობლემა გადაწყვეტას ითხოვს.

ჩვენი აზრით, არსებული მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც მმართველობის სამ სახელისუფლებო შტოს დაემატება მეოთხე. საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა-განვითარების მიზნით მეოთხე სახელისუფლებო შტოს ძირითადი არსია: არსებულ სამ შტოს შორის ძალთა წონასწორობის დამკვიდრება, სახელისუფლებო შტოებსა და საზოგადოებას შორის ჰარმონიული ურთიერთობის, კომუნიკაციის ჩამოყალიბება, საზოგადოების მმართველებად საუკეთესოთა შერჩევა.

ცხადია, მეოთხე სახელისუფლებო შტოს შექმნა-დამკვიდრება ღრმა გააზრებასა და რაციონალურ მიდგომას საჭიროებს.

ამრიგად, არსებული დემოკრატიული მმართველობა მართვის ასეთი მექანიზმით უნდა შეივსოს.

ეს საზოგადოების აზროვნების დონის ამაღლებას, ახალი პარადიგმის შემოტანა-დამკვიდრებას მოითხოვს, რათა საზოგადოებამ კომპეტენტური არჩევანი გააკეთოს. არჩევანში იგულისხმება, როგორც პიროვნების არჩევა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, ასევე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიდან რაციონალურის ამორჩევა.

მეოთხე სახელისუფლებო შტოს ამოცანაა ჯერ გააანალიზოს და შემდეგ საზოგადოებას ნათლად წარუდგინოს პიროვნების თანამდებობაზე დანიშვნის არგუმენტაცია და ნებისმიერი მიღებული გადაწყვეტილების რაციონალურობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების განვითარების იმედი იკარგება და უფრო მეტი, ადგილი აქვს ახალ პარადოქსს – **არაკომპეტენტურმა კომპეტენტური არჩევანი უნდა გააკეთოს.** ეს პარადოქსი კი არა, უკვე აბსურდია.

როგორ შეძლებენ გაუთვითცნობიერებელნი „მიხვდნენ“, თუ ვის უნდა ანდონ საკუთარი ბედი? მართლაც, თუ ისინი, აღნიშნულ საკითხში ცუდად ან საერთოდ ვერ ერკვევიან, როგორ მიხვდებიან ვის ხელეწიფება სახელმწიფოს მართვა? და საერთოდ, რა აზრი აქვს ასეთ არჩევნებს?

გამოდის – თუ მოქალაქეები ერთმანეთისგან გააზრების უნარით განირჩევიან, მაშინ ისინი თავისი ხმის „წონითაც“ უნდა განსხვავდებოდნენ.

ჯერ კიდევ კენუტ ეროუმდე გერმანიის კანცლერმა ოტტო ბისმარკმა გამოთქვა მოსაზრება, – **არჩევნებისას ხმებს კი არ უნდა ითვლიდნენ, არამედ უნდა წონიდნენ.**

დიახ, გვაქვს გადაულახავი პრობლემა: არჩევანი (ნებისმიერი) კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა გააკეთონ, მაშინ, როდესაც საზოგადოების დამთრგუნველი უმრავლესობა, სამწუხაროდ, კომპეტენტურად ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, ისინი იმ კრიტერიუმებს ვერ გაიაზრებენ, რითაც კანდიდატი უნდა შეფასდეს.

აქედან დასკვნა: ადამიანებს არჩევანის უფლება შეფასების უნარის მიხედვით უნდა მიენიჭოთ.

არჩევნებში საზოგადოების რაღაც ნაწილი არ მონაწილეობს. მაგალითად, მოზარდები. ესეც პარადოქსია, თურმე, ნუ იტყვი და ისინი, ასაკიან ხალხთან შედარებით, არაკომპეტენტურები არიან. აზროვნების დონეს, თითქოს მხოლოდ ასაკი განსაზღვრავდეს.

ამ ლოგიკით დღეს, ჩვენთან, 16 წლის დავით აღმაშენებელი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მსოფლიოში ცნობილი უბრწყინვალესი აზროვნების მქონე ფრანგი მათემატიკოსი გალუა თითქმის თინეიჯერი გარდაიცვალა. . . შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობას ისიც ვერ მიიღებდა; და მიზეზი გამოგნებელი ვერდიქტი — არაკომპეტენტური, ჩამოუყალიბებელი, უგუნური პიროვნება — აღმოჩნდებოდა. შესაბამისად, თუნდაც ასაკობრივი ზღვრის დადგენა არარაციონალურია; რადგან ვერავინ ახსნის, რატომ აქვს ადამიანს არჩევნებში მონაწილეობის უფლება 18 ან 21 წლიდან.

ასევე გაუგებარია, რატომ ირჩევენ პრეზიდენტს ოთხი ან ხუთი წლის ვადით და მაგალითად, მოსამართლეებს 10 წლით ან მუდმივად. ამ ფაქტის ახსნა გამოგნებელია. თურმე, ნუ იტყვი და მოსამართლის მუდმივი დროით არჩევა იმიტომ ხდება, რომ პოლიტიკურმა კონიუნქტურამ განაჩენის გამოტანისას მის გადაწყვეტილებაზე არ იმოქმედოს. რომ იმოქმედოს, მაშინ რა ვქნათ? იმის გამო, რომ მუდმივად არიან არჩეულები, თითქოს ანგელოზებად იქცევიან და ქრთამს არ აიღებენ. მაპატიეთ მარტივი მსჯელობისათვის, მაგრამ ჩემი აზრით, შესაძლებელია ქრთამი აიღონ და თანაც მუდმივად. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, თითქოს სხვა თანამდებობის პირებზე ეს ზეგავლენა გამოიციხულია და მცირე დროით არჩევა მათ პატიოსნებას აკაჟებს. იქნებ პირიქით?!

მეტ-ნაკლებად ბუნებრივ კანონზომიერებას დამორჩილებულ სახელმწიფოებში დემოკრატიის აღნიშნული დეფექტი ისეთ დამანგრეველ შედეგებს არ იწვევს, როგორც ხელოვნურ სახელმწიფოებში, კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში.

დასკვნა ერთია — **ჩვენს მიზანს წარმოადგენს რეგენერაციის, თვითგანვითარების და თვითორგანიზაციის თვისების მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბება-დამკვიდრება და „მესამის“ გააზრება, რაც სახელმწიფოს მართვის დემოკრატიულ ფორმას შეძლებისდაგვარად სიცოცხლისუნარიანს, ეფექტურს გახდის.**

„მესამის“ არსი მხოლოდ ჩვენს მსჯელობაში გაჩნდა, თუ ადამიანთა ისტორიაში მოიძებნება მსგავსი ანალოგი?

მოგახსენებთ — მხოლოდ იმის აღმოჩენა შეიძლება რაც არსებობს. რაც არ არსებობს, ვერც აღმოაჩენთ.

დაკვირვებული მკვლევარისათვის „მესამის“ არსის მქონე ჩანასახები, სხადასხვა სივრცესა და დროში, სხვადასხვაგვარად ვლინდება. ზემოთ მოყვანილი ისტორიული მაგალითების ახსნა ჩვენ სწორედ „მესამის“ არსზე დაყრდნობით შევძელით.

„მესამის“ ხედვის კუთხიდან განვიხილოთ სამართალწარმოების ერთი საინტერესო ფორმა.

„მესამის“ არსს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მიუახლოვდა, რომელიც მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახით ინგლისში გამოიკვეთა.

პირველ ეტაპზე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირებას ინგლისში მონარქის თანხმობა სჭირდებოდა. ამ ინსტიტუტმა აპრობაცია, თავდაპირველად სამოქალაქო საქმეებზე გაიარა, შემდეგ კი სისხლის სამართლის საქმეებზე მოიცვა და საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, როგორც ფენომენზე გამოთქმულ მოსაზრებათა არაერთგვაროვნება და ხშირად, ურთიერთგამომრიცხავი შეფასებებიც კი, პრობლემის სირთულესა და სერიოზულობაზე მეტყველებს.

ერთი მხრივ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ცივილიზებული ლინჩის წესად განიხილავენ; მეორე მხრივ, ის აღიარებული სასამართლო ინსტანციაა და ნაციის ცივილიზებულობის დონეს განსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ რომანოვების რუსეთის იმპერიამ აღნიშნული ინსტიტუტი თავის ტერიტორიაზე დაამკვიდრა. საქართველოში კი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოტანა აიკრძალა, რადგან ჩვენს ქვეყანაში აქტიური საზოგადოების ჩამოყალიბება რომანოვების ინტერესებში არ შედიოდა.

საინტერესოა ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართული არგუმენტები, რაც საბოლოო ჯამში, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს – ის უფრო ახლოა პოლიტიკურ ინსტიტუტთან, ვიდრე სამართალთან, ეს ხალხის სახელმწიფო მმართველობაში ჩარევის დაშვებაა. მმართველ ელიტას მის აკრძალვას, სწორედ ამიტომ ურჩევდნენ.

მოწინააღმდეგე მხარე კი ამტკიცებდა, რომ ეს ინსტიტუტი საერთო განათლების, კულტურის, პოლიტიკის, ანუ ცივილიზაციის განვითარების აუცილებელი პირობაა.

აღსანიშნავია, რომ მასში პოლიტიკურ ინსტიტუტს ორივე მხარე ხედავდა და ეს მეტად მნიშვნელოვანია. აქ უმთავრესია, რომ ნაფიც მსაჯულთა არჩევა საზოგადოების ყველა ფენიდან ხდება, შესაბამისად, საზოგადოების ყველა წევრი გრძნობს, რომ მეორე, ანუ სხვა, მისი პოტენციური მსაჯულია და, პირიქით. აქედან გამომდინარეობს მისი პოლიტიკური ხასიათი.

ნაფიც მსაჯულთა და ძირეული სამართლის ინსტიტუტები ერთმანეთის პარალელურად, ურთიერთკონტროლის პრინციპით მოქმედებენ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი წარმატებით ფუნქციონირებს იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დამკვიდრებული პოლიტიკური წყობა დემოკრატიულიდან ჯერ კიდევ შორსაა; ერთდერით, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირება წარმოუდგენელია, ეს დესპოტური ქვეყნებია, რადგან იქ სამართალი საერთოდ უარყოფილია.

თუ არშემდგარ საზოგადოებაში, სახელმწიფოში, ცივილიზებული ქვეყნებიდან ზეწოლის შედეგად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დაინერგება, ის დაკარგავს საკუთარ არსს და დამსჯელი სისტემის ნაწილად გარდაიქმნება. დღეს საქართველოში სამართალდამცავი სისტემა უტიფრად იყენებს ცრუ მოწმეების „არმიას“; და ცხადია, არშემდგარ საზოგადოებაში არც თორმეტი ცრუ ნაფიცი მსაჯულის მოძებნა იქნება დიდი პრობლემა.

ამაღლებული აზროვნების საზოგადოებაში კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მთელი არსით, მთავრობას აძლიერებს და არა პირიქით. საზოგადოება ნაფიც მსაჯულთა ინსტანციას და მის სამართალს არა როგორც უცხოს, თავსმოხვეულს, არამედ საკუთარ სამართლად აღიქვამს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მთავრობას საშუალება ეძლევა ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა მოიხსნას, ტვირთი შეიმსუბუქოს, რადგან განაჩენი საზოგადოებას გამოაქვს და არა სახელმწიფოს. გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კანონების კორექტირების საუკეთესო საშუალებაა. ამრიგად, მართლმსაჯულება საზოგადოების ზნეობრივი დონის შესაბამისი ხდება.

რა თქმა უნდა, ეს ღვთაებრივი სამართალი არაა; მხოლოდ მისი მიწიერი გააზრების მცდელობა და ის, ცხოვრების მოცემულ ეტაპზე, სულიერი მეტკვიდრების საფუძველზე ჩამოყალიბებულ იდეებს ჰარმონიულად უახლოვდება.

რა საოცარიც უნდა იყოს, ძირეული სამართალი ნაფიც მსაჯულთა სამართალზე უფრო პირფერულია, რადგან ძირეული სამართალი თავის „უზენაესობაში“ დასარწმუნებლად ხალხის ქვენაგრძნობებსა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციას იყენებს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს კი საზოგადოებისთვის თავის მოწონება არ სჭირდება, რადგან ის თვით საზოგადოებაა, ანუ შეძლებისდაგვარად, სამართალს უმაღლესი ხარისხით – დემოკრატიულად და დამოუკიდებლად – ახორციელებს. თუმცა, მის მაღალ-ეფექტურობას ხელს უშლის დემოკრატიის არსის ის დეფექტი, რაზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

თავდაპირველად გაჩნდა აზრი, რომ ნაფიცი მსაჯულები სამართალში საზოგადოების სიმპათიანტიპათიას შემოიტანდნენ. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ნაფიც მსაჯულებს გულთან და გონებასთან ისე ახლოს მიაქვთ პრობლემა, რომ შეხედულებებსაც კი იცვლიან. ხალხი ენდობა ნაფიც მსაჯულთა სამართალს, რომელიც ბრალდებასა და დაცვას შორის ჰარმონიულ წონასწორობას ამყარებს. ნაფიც

მსაჯულთა ინსტიტუტი საზოგადოებას სამართლის სამსჯავროსგან იცავს, რათა უდანაშაულო ადამიანი არ გაიწიროს. ამრიგად, სრულდება სამართალზე დაკისრებული უმაღლესი მისია.

ძირეული სამართლის ინსტანციაში, საზოგადოების მონაწილეობით, მისსავე სასიკეთოდ, დამოუკიდებლობის ხარისხიც მატულობს და ცხოვრებისეული გამოცდილებაც შემოდის.

ცხადია, რაც უფრო დაბალია საზოგადოების განვითარების დონე, მით უფრო მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული ამ ინსტიტუტის ამოქმედება. ის საზოგადოების აღზრდის მძლავრი იარაღი და საზოგადოების სამართალ-შემეცნების პერმანენტულ განვითარებას უწყობს ხელს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ინსტიტუტის შემოტანა თამაში ნაბიჯი იქნება, მისი გამარჯვება კი ყოველგვარ შიშს დაჩრდილავს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება საერთო განხილვა-მსჯელობის საგნად მიგვაჩნია. ცივილიზებული საზოგადოების არსებობის ეს აუცილებელი ელემენტი, ჩვენ სხვა თვალთახედვით გვანტერესებს, რასაც მოგვიანებით შევხებით.

ვიმეორებთ, ერთადერთი, რამაც ეს სამართლებრივი ინსტიტუტი შეიძლება ფიქციად აქციოს, დემოკრატიის არსში არსებული დეფექტია.

აღამიანთა თანასწორობა, აბსოლუტური გაგებით, სამწუხაროდ, აუხდენელი ოცნებაა და მსგავსი რამ ისტორიას არ ანსოვს. ამიტომ, ყველა ისტორიულ თუ თანამედროვე რეფორმატორთა უგუნური ლოზუნგი ასეთ თანასწორობაზე, საბოლოო ჯამში, უკვე დამკვიდრებულ იერარქიაში პირთა და ჯგუფთა ცვლაა. ამრიგად, ერთი სახის უთანასწორობა მეორეთი იცვლება.

საზოგადოება რთული მთლიანობაა, რომლის ფუნქციონირება უცილობლად ზნეობრივ-რაციონალური, ცენტრალური მმართველი ორგანოს არსებობას მოითხოვს.

მთავარია გავერკვეთ – როგორი შეიძლება იყოს თანასწორობის ხარისხი.

რა თქმა უნდა, თანასწორობა იმ თანასწორუფლებიანობას გულისხმობს, რომლის აღსრულება, სამწუხაროდ, დემოკრატია არ ძალუძს. თანასწორუფლებიანობა კრიმინალურ-პოლიტიკური სისტემის მიზნებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

დემოკრატიის არსი, ჩვენი აზრით, უმრავლესობის ძალაუფლება კი არა, ყველას ღვაწლის გაღების თანასწორუფლებიანობა, საერთო სამსახურში თითოეულის მონაწილეობის უფლებაა. სამართლის სამსახური არა ვინმეს პრივილეგია, არამედ ყველას მოვალეობა უნდა იყოს.

სამწუხაროდ, დღევანდელი გაგებით, დემოკრატიაში, ჩვენ მიერ წარმოდგენილი არსის გარდა, ყველაფერი იგულისხმება.

ცხადია, უფლება-მოვალეობის განსაზღვრა ერთია, მისი აღსრულება კი მეორე. შესაბამისად, ამოცანა მმართველობის ისეთი სისტემის შექმნაზე დადის, სადაც, ზნეობა-რაციონალობის თვალსაზრისით, წვერთა მკაცრი შერჩევა იწარმოებს. უმთავრესი, სწორედ, აღნიშნული კრიტერიუმები და კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაა. ეს სოციალურად უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან საზოგადოება არა მხოლოდ სულიერად ამაღლებული, მოაზროვნე ადამიანებისგან, არამედ არასმქონე, არასმცოდნე, ასევე ყველაფრისმქონე და არასმცოდნე ავანტიურისტის სუბიექტებისგანაც შედგება.

ქვეყნის ბედის სამართავად ურთულესი და გადამწყვეტია უკეთესთა შორის უკეთესის ამორჩევა.

„სხვანაირია მზის დიდება, სხვანაირია მთვარის დიდება და სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განირჩევა ვარსკვლავისგან დიდებით“ (I კორ. 15. 41).

სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში „ვარსკვლავებს“ ჭაობში ეძებენ, ვარსკვლავის აღმოჩენას კი ცისკენ ახედვა სჭირდება.

ჩვენი აზრით, „მესამის“ იდეა, რომელიც ნაწილობრივ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტშიც გამოძვლავნდა, საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარებაში უდიდეს როლს

შეასრულებს. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი საზოგადოების შექმნა მთავარ ქვესისტემას – „მესამეს“ – ხელეწიფება.

თუ ერს ზეცასა და მიწას შორის დესპანი, „მესამე“ არა ჰყავს, ის საზოგადოებას და, შესაბამისად, სახელმწიფოს ვერასდროს შექმნის.

ჩვენ შესაძლოა ბევრი რამ გვაკლდეს, მაგრამ ღვთის მადლით, თანდაყოლილი, გენეტიკური ზნეობის გაქრობაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.

ჩვენი ტრადიცია ისაა, რომ საუკუნეთა მანძილზე დესპანის როლი სამშობლოს ბედის მართვაში ბოროტებით, სიკეთის უარყოფით იყო შეზღუდული.

მხოლოდ ზეცასთან ნაზიარებმა დავით აღმაშენებელმა შეძლო სამშობლოს ბედის ზნეობრივი ადამიანებისთვის ჩაბარება, სახელმწიფოში ზნეობრივი არსის ჩადება; სწორედ ამან გადაგვარჩინა და ათასი წელი გაგვადლებინა; ახლა კი, ჩვენ თუ როგორმე ხელს არ შევაშველებთ, სულის შემძვრელ კითხვაზე მოგვიწვევს პასუხის გაცემა:

– საქართველო დასრულდა, შემდეგ რა?! . . .

რათა საქართველო განახლდეს, გამოსავალი ერთია, უნდა შეიქმნას ის „მესამე“, მთავარი ქვესისტემა, სუპერარბიტრი, ის მტკიცე მონოლითური ფენა, რომელიც ზნეობისა და სიმართლის მცველი – პალადიუმი – იქნება.

შესაბამისად, უპირველესი ამოცანა მყარი სუპერსაფუძვლის შექმნაა, რომლის გარეშე რაიმე კონსტრუქციის აგება, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

პაროდიული სახელმწიფოდან – უწესრიგობიდან, რაციონალურ სახელმწიფომდე – წესრიგამდე მისვლის ერთადერთი საფუძველი ეფექტური სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაა, რომლის დამკვიდრება, ჩვენი ღრმა რწმენით, პალადიუმის – „მესამის“ – გარეშე, განსაკუთრებით სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარდამავალ ეტაპზე, წარმოუდგენელია.

სახელმწიფოს მმართველი ადმინისტრაცია, ფაქტიურად, სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზატორია. სახელმწიფოს მშენებლობისას პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ქმედითუნარიანობა და ეფექტურობა, არაწინასწორულ პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, ადმინისტრაცია ან შემოქმედებით, კანონმორჩილ, რაციონალურ ინსტიტუტად ან დამანგრეველი, ირაციონალური კომპარის მუდმივ წყაროდ ყალიბდება.

სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობის აპარატი, ჩამოყალიბებულ, მძლავრ სახელმწიფოებშიც კი მაქსიმალურ საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება და ცხადია, ქაოსური პირობები საზოგადოებრივი კონტროლის კიდევ უფრო გამკაცრებას მოითხოვს.

დიდი ხანია, რაც ადმინისტრაციული ძალაუფლების “პიგმეიდან” “გიგანტამდე” სწრაფვის ანატომია გაიშიფრა. ძალაუფლების მითვისება არაფრით გამორჩეული სუბიექტის მიერ, ხელმძღვანელი პოსტის დაუმსახურებლად დაკავების მომენტიდან იწყება.

შესაბამისად, სახელმწიფო ძალაუფლება იმგვარად დეფორმირდება, რასაც პოლიტოლოგიაში „დემონიას“ უწოდებენ.

ძალაუფლება ძველ ბერძნულ მითიურ „გორგონას“ ჰგავს, რომლის თვალებში ერთხელ ჩახედაც ნებისმიერს ნუსხავდა და საშუალოდ ქვაქცეულ ტყვედ ტოვებდა.

ძალაუფლება – დღეს არსებულ ნარკოტიკთა შორის ყველაზე მძლავრი ნარკოტიკია. ძალაუფლებამდე კეთილი სურვილებით მისულსაც კი დეგრადაციისთვის სატყუარა აღარ სჭირდება, ამ როლს აღვზნებული პატივმოყვარეობაც წარმატებით ასრულებს.

ძალაუფლებისკენ მანიაკალური სწრაფვა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: უპირველესად, არამართო კონტროლისგან გათავისუფლება-განცალკევება იწყება, არამედ საკანონმდებლო-

სასამართლო ინსტიტუტების დაქვემდებარება და საკუთარი ძალაუფლების ორნამენტად ქცევა. შესაბამისად, პარლამენტი პოლიტიკური სუბიექტი კი არა, სახელმწიფოს ხარჯზე არსებული გასართობი კლუბია.

ასეთი ხელისუფალი, პირადი გამორჩენის მიზნით, ცდილობს გამოიყენოს ან პროვოცირება გაუკეთოს საგანგებო მდგომარეობებს, ომებს, ეპიდემიას, სტიქიურ უბედურებებს. მოიგონოს ეკოლოგიური, ეკონომიკური კატასტროფები, მასობრივი არეულობანი, რათა საგანგებო რეჟიმი შექმნას და ამგვარად, კიდევ უფრო მეტად გაამყაროს საკუთარი ძალაუფლება.

მოსახლეობას კი ატყუებენ, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება არსებულმა რეალობამ მოითხოვა. შემდეგ ეტაპზე, როგორც კი ადმინისტრაცია ფინანსურ ბაზას შეიქმნის, აქტიურად იწყებს მისთვის სასურველი პარლამენტარების შერჩევასა და სასამართლო ელიტის დაკომპლექტებას. მის ხელში ისეთი უნივერსალური, მართვადი აპარატი და ინფორმაციის წყაროა, რითაც იძულების, მოსყიდვის ან შანტაჟის განვითარების უსაზღვრო ფანტაზიასაც კი იკმაყოფილებს. ამრიგად, ზეგავლენის ტოტალური სვლა ცენტრიდან პერიფერიებისკენ იწყება.

ვიძიებთ, სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ხელისუფლების სამ შტოს – აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის ძალთა ჰარმონიული წონასწორობის დამყარება, რასაც სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული ფორმა ვერასდროს მოახერხებს. საქართველოს შემთხვევაში შედეგი სახეზეა; მივიღეთ ერთმმართველობა, ანუ დიქტატურა, თანაც დემოკრატიის სახელით. საზოგადოების ნაწილი რატომღაც დარწმუნებულია, რომ მდგომარეობას საპარლამენტო მმართველობის ფორმა (პრემიერმინისტრის ინსტიტუტი) შეცვლის. ეს უსუსური არგუმენტია, თუნდაც იმიტომ, რომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების დამორჩილება პრემიერმინისტრსაც მშვენივრად შეუძლია. მარტივად რომ ვთქვათ, ჭკუა დაუშლის, თანამდებობა, თუ არშემდგარი საზოგადოება? ვიძიებთ, დემოკრატიული მმართველობის დეფექტის გამოყენებას პრემიერმინისტრიც ეფექტურად შეძლებს.

დასკვნა – „გინდ მგელს დაუგლეჯიხარ, გინდ მგლისფერ ძაღლს“.

მმართველობის არსებული სისტემის, რაღაც გონივრულ ჩარჩოებში მოქცევის მცდელობა, ცხოვრებისეულ აუცილებლობას წარმოადგენს. შესაბამისად, გადაუდებელი ამოცანაა სახელისუფლებო ძალაუფლების ისეთი საპირწონეს დაარსება, რომელიც ამ „დემონიას“ შეასუსტებს და **სახელმწიფო აპარატს მისთვის მინიჭებულ ფუნქციას აღუდგენს – ემსახუროს საზოგადოებას და არა იმსახუროს საზოგადოებას.**

მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ

ჩვენთან ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადის და არა თავიდან – თავში და განმკითხავი არავინაა.

შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი ინსტანციის შექმნა, რომელიც ერისათვის დამლუპველ ასეთ უაზრო მმართველობის ფორმას წერტილს დაუსვამს.

სახელმწიფო და სამართალი ორგანული ერთობაა. არ არსებობს სამართალი სახელმწიფოს გარეშე და სახელმწიფო სამართლის გარეშე.

“მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა უძლიურია; ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა – ტირანული; უძლიურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ, რომ ამქვეყნად არ დაილევინა უკეთურნი, უზნეონი. უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებს ზნეობრივთ. ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი ანდა ძალა – სამართლიანი.

ძლიერი სამართლიანობა, სამართლიანი ძალა – ეს არის სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ზნეობის მარადიული იდეალი.“ – ბლენ პასკალი.

სამართლისა და ზნეობის ჰარმონიული თანაარსებობის გარეშე, სრულყოფილი საზოგადოება, ან სიზმარში არსებობს, ან ჯოჯოხეთში და თუ ამაში ჩვენ ვერ დაგარწმუნებთ, მაშინ ჯერ ცარიელი თეფში, შემდეგ კი თეფშის უქონლობა დაგარწმუნებთ.

ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მრავალი „იდეა“ მოგვაწოდეს. ჩვენი უახლესი „პოლიტიკური“ ისტორია ერთი პრიმიტიული ფრაზისაგან შედგება – ამირჩიე და მე საქართველოს გაკაბრწყინებ. მრავალს დაუუჯერეთ და დავედით უმარტივეს დასკვნამდე: გვაქვს „კარგი იდეები“ და ცუდი მენსიერება.

ვიმეორებთ, არსებობს ძალუფლების შენარჩუნების, ქვეყნის ძარცვის უამრავი ეფექტური სისტემა დაწყებული პრეზიდენტის (პრემიერის) ინსტიტუტიდან, დამთავრებული ზედამხედველობის დეპარტამენტით, მაგრამ არ არსებობს ის „მესამე“, ზნეობის დამამკვიდრებელი სისტემა, რომელიც ქვეყანას, ხალხს მმართველობაში მყოფი ყველა ჯურის ავანტიურისტიისაგან დაიცავს.

ღროა მივხვდეთ, რომ სიკეთისკენ მხოლოდ ერთი გზა არსებობს – ცხოვრების წესის ზნეობრივი სრულყოფა.

საიდან დავიწყით? – ალბათ, უმარტივესი ლოგიკური მსჯელობით: თუ ცივილიზებულმა საზოგადოებამ მრავალ წარმატებულ ქვეყანაში, არაფრით გამორჩეულ თორმეტ წარმომადგენელს მიაღწია ადამიანის ყოფნა-არყოფნის ვერდიქტის გამოტანის უფლება, მაშინ ნუთუ ჩვენი მოსახლეობის ზნეობრივ, ამაღლებულ, განათლებულ ადამიანებს, არა თორმეტს, არამედ სამასს და უფრო მეტს, არა აქვს მორალური უფლება ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ზნეობრივი და სამართლებრივი ვერდიქტი გამოუტანოს?!

არსებულ რეალობაში კი ეს უფლება ქართველ ხალხს არ გააჩნია.

არა! ჩვენ ვინმეს სიკვდილ-სიცოცხლეზე ვერდიქტის გამოტანის უფლების მოპოვებას არ ვესწრაფვით! ღმერთმა დაგვიფაროს, რომ როგორც უახლოეს წარსულში, საფრანგეთში ხდებოდა – ვილაცას გილიოტინით თავი მოკვეთოთ, ან ამაზრზენი – მექანიკური მოწყობილობით გავგუდოთ – როგორც ესპანეთში, ან ცოცხალ არსებაში მძლავრი ელექტრული დენი გავატაროთ, ან ადამიანს ვასუნთქოთ თუ შპრიცით შეუუყვანოთ ტოქსიკური, მომაკვდინებელი ნივთიერება – როგორც აშშ-ში, ან ტყვიით შევუნგროთ კეფა – როგორც რუსეთში ან უბრალოდ, ჩამოვანჩოთ – როგორც ინგლისში ხდებოდა.

ჩვენ, განათლებულმა, ზნეობრივმა საზოგადოებამ უნდა ვიბრძოლოთ რეალური, ვიმეორებთ, რეალური და არა მხოლოდ ქაღალდზე დაფიქსირებული უფლებებისათვის – გამოვიტანოთ ვერდიქტი – მიენიჭოს, თუ არა სუბიექტს ან ჯგუფს ჩვენი ბედის, ქვეყნის მართვის უფლება.

დაუკვირდით, რა პარადოქსულია ჩვენი ცხოვრება: კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ გარყვნილ ინდივიდს მოზარდის აღზრდა, ვენერიულ ან ტუბერკულოზით დაავადებულ ინდივიდს კი ბარემნობა აუუკრძალოთ. თუმცა, ნარკომანს, რეციდივისტს, გაუნათლებელს, ეგოისტური გრძნობებით გაუღენთილს თქვენი, თქვენთვის ძვირფასი ადამიანების, შვილების, ერის, სახელმწიფოს დაღუპვის აკრძალვის უფლება კი არა გვაქვს.

იმის მტკიცება, რომ გვაქვს ადამიანთა უფლებების დაცვის სტრუქტურები, სასამართლო, კონსტიტუციით მონიჭებული რეფერენდუმის ჩატარების უფლება, შედეგიდან გამომდინარე, დემაგოგიაა, რადგან აღნიშნული ინსტიტუტები ჩვენთან მხოლოდ ფიქციაა.

ამიტომ უმნიშვნელოვანესია შევქმნათ ზნეობის პალადიუმი, რომელიც ყველა პოლიტიკური კარიერის მაძიებელს მკაცრად მოსთხოვს პასუხს სამ კითხვაზე:

- რა უნდა?
- როგორ?
- რა ზნეობრივ საფუძველზე?

რათა სახელმწიფოში არსებულ სოციალურ დეფექტთა კონცენტრაცია შემცირდეს.

ურთულესია დებრესიული, გაუსაძლისი ცხოვრებისაგან შემეცნებადაქვეითებულ საზოგადოებაში „მესამის“, ქვეყნის ინტერესების მცველი, ზნეობრივი და იურიდიული ვერდიქტის გამოძახანი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რადგან, ვიმეორებთ – ჩვენში არის ის, რასაც ხელით ვერ შეეხებით. ესაა ჩვენი შინაგანი სამყაროს უცნაური მოვლენა, რომლის ანალოგი ბუნებაში არ არსებობს. არა, ოცნება არა გვაქვს მხედველობაში, ის ისეთი უნიკალური, ინდივიდუალური, ფაქიზი ფენომენია, რომ მისი გაანალიზების უფლებაც კი არავის აქვს. ეს არც სიზმარია, სიზმარი ცხოველებსაც ახასიათებს. არა, ეს მხოლოდ ადამიანის მახასიათებელი უნიკალური თვისებაა, იცხოვროს სიზმრით, ფხიზელ მდგომარეობაში, გამოიგონოს არარეალური სამყარო და მასში ტანჯვით, ან ნეტარებით იარსებოს. ანუ **ეს რეალობის სიზმრისეული ჭკრეტაა.**

სწორედ, ამ არარეალურ მდგომარეობაში მყოფნი ვთვლით, რომ ის, რაშიც ვცხოვრობთ, არასრულყოფილია და გვაიწყდება, რომ **ღმერთმა** შექმნა ეს სამყარო და ის სოციუმი, რომლის სრულყოფილებამდე მიყვანისათვის გონება, ზნეობა, ქმედების უნარი მოგვანიჭა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ ვიყენებთ.

ღიას, ვიმეორებთ, ჩვენი უსუსურობის გასააზრებლად, დილით ლოგინიდან ადგომა, თავის წესრიგში მოყვანა და სამუშაოზე წასვლა, ან არწასვლა არაა საკმარისი. აუცილებელია გაღვიძებაც, და ალბათ, მაშინ მიგზვდებით, რომ ის, რაც „არასრულყოფილად“ გვეჩვენება, **ღმერთმა** ჩვენს გასააზრებლად შექმნა, რათა „არასრულფასოვნებაში“ უღიადესი ჭეშმარიტების აღმოჩენის უღიადესი ბედნიერება განვიცადოთ; „არასრულფასოვნება“ სრულყოფილებად ვაქციოთ და დავრწმუნდეთ, რომ საკუთარი ცხოვრების შექმნა ჩვენი ვალია.

დავფიქრდეთ, ჩვენს გარდა ვინ შექმნის ჩვენს ცხოვრებას?

როდის მიგზვდებით, რომ ღმერთმა, მართლაც, უღიადესი ბედნიერება – საკუთარი ცხოვრების მართვის უფლება მოგვანიჭა?

ამ სიზმრისეულ რეალობაში რატომ ვეძებთ გაშმაგებით ნერონებს, კალიგულებს, პიტლერებს, რათა ჩვენი უფლებები მათ გადავებაროთ?

რატომ გადავცემთ ჩვენი ცხოვრების მართვის სადავეებს უზნეოებს, გაუნათლებლებს და მერე გაუსაძლისი, არასრულყოფილი ყოფა რატომ გვაოცებს?

და თუ ბისმარკის ან ლინკოლნის პოვნა გვიჭირს, ისეთ პიროვნებას ვთავაზობთ ჩვენი ბედის მართვას, რომელიც გაოცებისგან შოკში ვარდება და ჩვენზე უფრო ღრმა, რეალურ საღათას ძილში გადადის. მას საკუთარი პერსონა უკვე კვარცხლბეკზე, ცხენზე მახვილითა და გვირგვინით წარმოუდგენია.

გადახედეთ ისტორიას, ვინ რა მოიგო ამით? – ასეთებმა მხოლოდ ნგრევა, სისხლით მორწყული და ძელებით მოფენილი ველები დაგვიტოვეს.

ყველა საღად მოაზროვნე ხვდება და ხვდება, რომ ასეთი პიროვნებებით აღტკინება, ტოტალური ადფრთოვანება და პათოლოგიური სიყვარული, მხოლოდ სიზმრისეულ რეალობაში მყოფ ადამიანს ახასიათებს. მხოლოდ ზიგმუნდ ფროიდი თუ განიცდიდა ნეტარებას ამგვარი პათოლოგიური რეალური სიზმრების ახსნისას.

ჩვენ კი, გაოგნებულებს, ასეთი „გვირგვინოსნების“ გენიალური გამონათქვამებით ადფრთოვანებას გვაიძულებენ; „სწავლა, სწავლა და სწავლა“, „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“, ყველაფერი გავყიდოთ და «საქართველო გაბრწყინდება»

პოლიტიკური ლიდერის ავტორიტეტი და პასუხისმგებლობა პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვეულებისამებრ, ადამიანები პოლიტიკოსის ქმედებას ზნეობრივ ფასეულობათა ჭრილში განიხილავენ და ლიდერის ავტორიტეტი იზრდება, თუ ის ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ეყრდნობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიდერის ავტორიტეტის დასამკვიდრებლად სიცრუეს, ძალადობასა და ავანტიურიზმს იყენებენ.

ვიმეორებთ, ხალხს აქვს უფლება ქვეყნის მმართველ ინსტანციებზე კონტროლი განახორციელოს. ეს თეზისი ყველა ქვეყნის კონსტიტუციაშია წარმოდგენილი და არაერთ მუხლს მოიცავს, თუმცა, შედეგი ყველასთვის ნათელია.

და ასე იქნება მანამ, სანამ საზოგადოება, საკუთარი და ქვეყნის ინტერესების დამცავი ინსტიტუტის – პალატიუმის – ჩამოყალიბების აუცილებლობას ვერ გააცნობიერებს. ჩვენი აზრით, ესაა აუცილებელი და საკმარისი პირობა, რათა გამოირიცხოს დემოკრატიის არსში არსებული დეფექტი; იგი ხელს უშლის საზოგადოების და შესაბამისად, სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარებას, არა მარტო დაქვეითებული სოციალური აზროვნების საზოგადოებაში, არამედ ისეთი ამაღლებული, შინაგანი სოციალური დისციპლინის მქონე ხალხში, როგორც, მაგალითად, გერმანელები არიან.

ჩვენი დასკვნების მეტი გამომსახველობისთვის, შემოგთავაზებთ გერმანელი სამართალმცოდნის და პოლიტოლოგის **კარლ შმიდტის** (1888 - 1985) ნაშრომს – „კონსტიტუციის მცველი“; იგი პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანული პოლიტიკის ანალიზს ეხება.

მოგეხსენებათ, ამ პერიოდში (ვაიმარის რესპუბლიკა) უმაღლეს დონეს მიაღწია იმ სილატაკემ, დეპრესიამ, რამაც ფაშიზმის დაბადების წინაპირობა შექმნა.

კარლ შმიდტი XIX საუკუნეში ლიბერალების მიერ შემოთავაზებული პარლამენტარიზმის დამკვიდრების აუცილებლობის სასარგებლოდ მოყვანილ არგუმენტაციას განიხილავს. ლიბერალებს სწამდათ, რომ ხალხის რჩეულთა შორის ღია დისკუსია პარლამენტს ხალხისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიაღებინებს. კარლ შმიდტის აზრით, ლიბერალების არგუმენტები ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. ის შეახსენებს ამ ინფანტილური აზროვნების ადამიანებს, რომ **თანამედროვე პოლიტიკური საქმიანობა ეყრდნობა დისციპლინირებული, ორგანიზებული პარტიების ქმედებას, რომლებიც შეპირებათ პროპაგანდით ამომრჩეველთა ზმების მოპოვებისკენ მიისწრაფვიან. ამ პროპაგანდის მთავარი იარაღი ხალხის ეგოისტურ გრძნობებსა და ინტერესებზე ზემოქმედებაა.**

შედეგიც სავალალოა: პარლამენტარები, თავისი ქმედებისას შებოჭილნი არიან პარტიული ინტერესების მოთხოვნითა და დისციპლინით. შესაბამისად, გადაწყვეტილებები არა საჯარო განხილვისას, არამედ კომიტეტებში დახურულ კარს მიღმა ერთპიროვნულად, ფრაქციის თავჯდომარის მიერ მიიღება.

შმიდტის აზრით, პარტიების უმრავლესობა არის ასოციაციები, რომლებიც სპეციფიკურ მიზნებს და ამოცანებს ემსახურებიან. მრავალ პარტიას აქვს გაზეთი, კულტურული ასოციაციები, ახალგაზრდული გაერთიანებები და ჰყავს შეიარაღებული რაზმებიც კი. იქნება თითოეული პარტიის არსის შესაბამისი სუბ-კულტურა (საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება) და ამ სუბ-კულტურის დამკვიდრების გააფთრებული მცდელობა მიმდინარეობს; რაც, თავისთავად ცხადია, სახელმწიფოზეც აისახება.

უფრო ნათლად – პარტია ვალშია მათთან, ვინც აფინანსებს, მხარს უჭერს. მიმდინარეობს მათი ეკონომიკური დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, ანუ უბრალო მოქალაქეების ხარჯზე, ამით მდიდრდება მხარდამჭერთა მცირე ჯგუფი. მხარდამჭერთა (ამომრჩეველთა) უმრავლესობა კი მოტყუებული რჩება. ამას მოჰყვება იმედების გაცრუება. საზოგადოებაში დაძაბულობა და პარტიული ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა იზრდება. აქედან გამომდინარე, პარტიები ცდილობენ ახალი, ორიგინალური ტყუილები, შეპირებები მოიგონონ. ერთი მხრივ, მიმდინარეობს პარტიული ზნეობის პერმანენტული დაქვეითება და მეორე მხრივ, ხალხის გამოთავყანება.

კარლ შმიდტი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ლეგალიზაციის (პარტიული საქმიანობის იურიდიულ კანონიერებაზე) საკითხზე. მისი აზრით, თავდაპირველად ჩაფიქრებული ლე-

გალიზაციის რაციონალიზში რეალურ ცხოვრებაში მისსავე საწინააღმდეგოში გადადის. მართლაც, უმრავლესობას, მხოლოდ იმიტომ რომ უმრავლესობაა, შეუძლია საკუთარი ლეგალურობის იურიდიული პარამეტრები გამოიყენოს, უპირველეს ყოვლისა, თავისი შიგა პოლიტიკური კონკურენტების მიმართ, რომელთაც შეიძლება თუნდაც ხმათა 49% გააჩნდეს. უმრავლესობის 51% უკვე საკმარისია, რათა თავისი კონკურენტი არალეგალურად გამოაცხადოს.

“მას შეუძლია კანონიერად მიიხუროს ლეგალურობის ის კარი, რომლითაც თვითონ შევიდა (პარლამენტში) და მოწინააღმდეგე, რომლის ჩექმა ხელს უშლის ამ კარის დახურვას – ჩვეულებრივ დაძაბვად გამოაცხადოს (კ. შმიდტი – „ლეგალურობა და ლეგიტიმურობა“).“

შეგანსნებით, კარლ შმიდტი განიხილავს ამაღლებული სოციალური აზროვნების მქონე გერმანულ სახელმწიფოს. აქედან, ადვილი წარმოსადგენია, რა ხდება ჩვენთან, სადაც მოსახლეობა გაუსაძლისი ცხოვრებისაგან გამოფიტულია.

სამწუხაროდ, კარლ შმიდტი ამ მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას ჩვენთვის მიუღებელი ჰობსისა და მის მიმდევართა პოზიტიური აზროვნების სფეროდან ცდილობს. ის აკეთებს დასკვნას – პლურალიზმი ერთობასა და სუვერენიტეტს ართმევს სახელმწიფოს. ამიტომ შმიდტი გვთავაზობს ისეთი ძლიერი, დამოუკიდებელი პარლამენტის შექმნას, რომლის ინსტიტუციონალური ცენტრი პრეზიდენტი უნდა იყოს, რომელიც მმართველობას ბიუროკრატიისა და არმიის საშუალებით განახორციელებს (ანუ იმას, რაც დღეს ხდება საქართველოში).

მისი აზრით, ძლიერი ავტორიტარული ხელისუფლება აუცილებელი პირობაა „ტოტალიტარულ სახელმწიფოში“ დემოკრატიის შექმნისა და ადამიანთა არსებობისათვის, რადგან ყველაფერი ეს არის დემოკრატიის შედეგი. შმიდტი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. ასეთმა შეზღუდულმა მსჯელობამ შმიდტი ფაშისტებთან თანამშრომლობამდე მიიყვანა. რა თქმა უნდა, როგორც ტოტალიტარიზმის დროს ხდება, ის მმართველ ელიტაში ვიდაცას არ მოეწონა და მიუხედავად მისი განსწავლულობისა (განსწავლული იყო იმაში, თუ რა შეუძლია ავტორიტარულ მმართველს), მაინც დაუშვა შეცდომა, ანუ აღფრთოვანებით ვერ დაუჩოქა მმართველს და ის გაგდებული იქნა ბრალდებით – „არაგულწრფელი“.

ზემოთ განხილული მასალიდან მკვეთრად ყალიბდება დასკვნა:

დემოკრატია, პლურალიზმი, ლიბერალიზმი არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა, მძლავრი, ბუნებრივი, ანუ რეგენერაციის, თვითგანვითარებისა და თვითორგანიზაციის უნარის მქონე სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენს მიერ წამოყენებული „მესამის“, მთავარი ქვესისტიემის, პალადიუმის ინსტიტუტის სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმურ მეოთხე შტოდ დანერგვა, დემოკრატიას სახელმწიფოს მართვის ეფექტურ, რაციონალურ მექანიზმად აქცევს. ვინაიდან, ჩვენს მიერ განხილულ მთავარ ქვესისტიემას აქვს პოტენცია, უნარი მთელი სისტიემის (საქართველოს) იდეა, არსი და მისგან გამომდინარე – განვითარების მთავარი ორიენტირი გააზროს.

რა თქმა უნდა, მთავარი ქვესისტიემა ღია ყველასათვის, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩა ქვეყნის სიყვარული, ზნეობა და განსჯის უნარი. ასეთი ადამიანებისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს მიხვდეს, რომ საქართველოს სასიცოცხლო რესურსების – მიწის, ტყეების, მდინარეების, წიაღისეულის, . . . გასხვისება დაუშვებელია. ყოველივე ეს არა რომელიმე პარტიას, არამედ ყველა ქართველს ეკუთვნის, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება. მიხვდეს იმასაც, რომ ქვეყნის აღმავლობისათვის ის ინტელექტუალური პოტენციალი უნდა გამოიყენოს, რაც უმაღლესმა ადამიანს დაანათლა.

შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს არა გაგანადგუროთ, არამედ უკანასკნელი ძალეობის დაძაბვით განვავითაროთ მეცნიერება, რათა შევძლოთ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება-დანერგვა და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება. არავითარი განსაკუთრებული განათლება არაა საჭირო,

რათა ადამიანი მიხვდეს, რომ ვერ გამოვალთ ამ სილატაკიდან, თუ ჩვენ სულიერ ფასეულობათა შკალაში უმაღლეს საფეხურს ზნეობა და განათლება არ დაიკავეს.

გამოსავალი ერთია – „მესამემ“, პალადიუმმა უნდა წარმოადგინოს საზოგადოების განვითარების უმთავრესი ორიენტირი – იდეოლოგია და ამ მიზნის მიღწევის საშუალებები.

საზოგადოების მხრიდან დადებითი ვერდიქტის შემთხვევაში, სახელმწიფოს მართვის სამივე შტოს – საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და სასამართლოს – რჩება ერთადერთი ფუნქცია: სახელმწიფოს განვითარებისათვის აუცილებელი ზოგადი სტრატეგიის მიხედვით აღასრულოს ყველა კონკრეტული ამოცანა და საკუთარი ეგონისტური მიზნების შესაბამისი გეგმები არ მოიგონოს.

მთავარი ქვესისტემის – პალადიუმის უპირველესი მოვალეობაა განსაზღვროს და საქართველოს მოსახლეობას წარუდგინოს ქვეყნის განვითარების იდეათა, შეხედულებათა სისტემა – იდეოლოგია. კერძოდ: ეკონომიკის, განათლების, თავდაცვის, სოციალური, . . . განვითარების ძირითადი სტრატეგია და მორალური კრიტერიუმები.

კანდიდატთა, ჯგუფთა, პოლიტიკურ პარტიათა მიერ წარმოდგენილმა პროექტებმა აღნიშნული იდეოლოგიის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს. მათ საზოგადოებას უნდა წარუდგინონ კონკრეტული ქმედების პროექტები, რომლებიც მთავარი მოთხოვნის – საზოგადოების, ქვეყნის ეფექტური განვითარების სტრატეგიის შესაბამისი იქნება.

საქართველოს ინტერესების ხედვის კუთხიდან გამომდინარე, პალადიუმი, თავის მხრივ, ანალიზებს მათ მიერ წარმოდგენილ პროექტებს და ახდენს ამ პროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა-გაცხადებას. ამრიგად, სამოქალაქო საზოგადოებას რეალურ სურათზე სრული წარმოდგენა ექმნება და შესაბამისი არჩევნის გაკეთება უმარტივდება.

პალადიუმის სისტემაში იქმნება ინფორმაციული ბანკი, სადაც ყველა შემოთავაზებული ალტერნატიული პროექტია თავმოყრილი. ანალიზის შედეგად გამოიკვეთება აზრობრივად მისაღები პროექტები და იქმნება ე.წ. პროექტთა რეზერვი. რა თქმა უნდა, პროექტთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება ამ პროექტების აღსრულების მოსალოდნელი ეფექტი და აღსრულების მექანიზმების რეალურობა.

ყველა ის პროექტი, რომელიც პალადიუმის მიერ იქნა განხილული და შეფასებული მონაწილეობას იღებს არჩევნებში. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს იმ პროექტებმაც, რომლებიც პალადიუმის მიერ დაწინაურებულია ან პალადიუმის სისტემაში განსახილველად არ იყო წარმოდგენილი.

არჩევნებში გამარჯვებული პროექტის ავტორებს მმართველობის უფლება ენიჭებათ.

მათი მმართველობის დროის განსაზღვრულ ეტაპზე (მაგ., ყოველ მე-100 დღეს), ისინი ვალდებული არიან საზოგადოებასა და პალადიუმს წარუდგინონ აღებული ვალდებულების შესრულების მტკიცებულება ან არგუმენტირებულად ახსნან, თუ რატომ ვერ შეძლეს საკუთარი პროექტის განხორციელება. პასუხისმგებლობა ამ პროცედურის აუცილებელ შესრულებაზე პალადიუმს ეკისრება. პალადიუმის უმთავრესი ფუნქციაა საზოგადოებას წარუდგინოს ყველა ის ზნეობრივი და სამართლებრივი დარღვევის ფაქტები, რომლებიც პროექტის ავტორთა მიერ სახელმწიფოს მართვის პერიოდში იქნება დაშვებული. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომხდარზე ალტერნატიული პროექტების ავტორების (ოპოზიციის) ანალიზს. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, პალადიუმი არგუმენტირებულ დასკვნებს წარუდგენს საზოგადოებას და ექსპრესს-რეფერენდუმს უმოკლეს დროში – 72 საათში დანიშნავს.

ექსპრესს-რეფერენდუმის მექანიზმს მოგვიანებით გაგაცნობთ.

თუ რეფერენდუმის შედეგად საზოგადოებამ მმართველ პარტიას კვლავ ნდობა გამოუცხადა, მათ შეცდომის გამოსასწორებლად კიდევ 100 დღე ეძლევათ. ამ პერიოდში პალადიუმი მმართველთა ქმედებებზე აბსოლუტურ კონტროლს ახორციელებს. თუ მმართველთა მიერ პრობლემა არ გადაიჭრა, პალადიუმს მათი უფლება-მოხილების შეწყვეტის სრული უფლება ენიჭება. შემდეგ პალადიუმი

საზოგადოებას განსახილველად წარუდგენს რეზერვში არსებულ ყველა პროექტს და ჩაატარებს ექსპრესს-რეფერენდუმს. რეფერენდუმის შედეგად შერჩეული პროექტის წარმომდგენ სისტემას ქვეყნის მართვის უფლება მიენიჭება.

შედეგად, საზოგადოების დაძაბულობისა და რევოლუციური ამბოხის გარეშე, მმართველთა ახალი კანდიდატურებით უმტკივნეულო ჩანაცვლება მოხდება.

ამრიგად, პალადიუმის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა რეფერენდუმის კანონის ეფექტური ამუშავება. რეფერენდუმი საზოგადოებას და პალადიუმის სისტემას მთავრობის მხრიდან ძალადობისაგან დაიცავს. ცხადია, პალადიუმის შემადგენლობის ცვლილებაც რეფერენდუმს ექვემდებარება. ანუ იმ შემთხვევაში, თუ პალადიუმის სისტემა არაეფექტურად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, პალადიუმის წევრთა როტაციაზე რეფერენდუმი ცხადდება.

აღნიშნული სისტემის დამკვიდრება ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას და აქედან გამომდინარე, ყოველგვარი რევოლუციების წინაპირობების შექმნას თავისთავად გამორიცხავს.

პალადიუმის წევრთა როტაცია პალადინთა რეზერვიდან ხორციელდება, შესაბამისი ცოდნის მიღების შემდეგ, უკვე დადგენილი ზნეობრივი და მორალური კრიტერიუმების გათვალისწინებით.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენს მიერ წარმოდგენილი მმართველობის სისტემის ზოგადი გააზრებაა. საზოგადოების დაინტერესების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნება ამ სისტემის სრული ვერსია და ცხადია, მის დახვეწაში მონაწილეობის უფლება განათლებული საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირს ექნება.

ნებისმიერმა სკეპტიკოსმა შეიძლება წამოაყენოს არაორიგინალური მოსაზრება – ვინ მოგცემს ამ იდეის აღსრულების საშუალებას?

რა თქმა უნდა, არსებული პოლიტიკური სისტემა და სახელმწიფო მმართველობა ამ იდეის რეალიზებას აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევს.

მართლაც, ვინ მოგცემს საკუთარი კორუფციული ქმედების კონტროლის საშუალებას? დღეისათვის სახელმწიფოს, როგორც ცნების, მისი მახასიათებელი ნიშნების მრავალი განმარტება არსებობს.

სახელმწიფოს ზოგადი ნიშნებია:

- ხელისუფლება, რომელიც გამოყოფილია საზოგადოებისაგან, რომელიც მართავს საზოგადოების ორგანიზაციას თავისი შეხედულების მიხედვით;
- ტერიტორია, შემოსაზღვრული სახელმწიფო საზღვრით;
- სუვერენიტეტი, ე.ი. უმაღლესი ხელისუფლება მთელ ტერიტორიაზე;
- მონოპოლია ძალის ლეგალურ გამოყენებაზე, ფიზიკური იძულების საშუალებები და ორგანოები;

- გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღების უფლება;

- საერთაშორისო სამართლის მიერ სუვერენულ სუბიექტად აღიარება.

ამ განმარტებით, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლებში ასწავლიან და რითაც ხელისუფლება ხელმძღვანელობს, სახელმწიფო არის პოლიტიკური ხელისუფლების იარაღი და სხვა არაფერი. აქ სახელმწიფო არ ჩანს, როგორც უმაღლესი რანგის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მეორე ცოცხალი ორგანიზმისაგან – საზოგადოებისაგან - იბადება, რათა საზოგადოების იდეის რეალიზება მოხდეს.

ადგილი აქვს იმ პარადოქსს, რასაც ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ. მართლაც, ჩვენი უახლესი ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ ეს „მძლავრი იარაღი“ კრიზისისას აბსოლუტურ უსუსურობას ამჟღავნებს. იგი მეგაფონებით, ელექტრონული თუ არაელექტრონული მასმედიის საშუალებით მოუწოდებს მოსახლეობას.

– მე მყავს არმია, პოლიცია, უშიშროების სისტემა, სასამართლო, მაგრამ არაფერი გამოძის. მე ძალიან მინდა კიდევ დიდხანს ვიყო პოლიტიკური ძალაუფლების მფლობელი, მე მინდა კიდევ დიდხანს გმარცვოთ, ამიტომ მოდით მთავრობის სასახლესთან და თქვენი შიშველი ხელებითა და მკერდით დამიცავით იმ თავხედებისაგან, ვინც ძალაუფლებაში, თქვენს მარცვაში მეცილება.

პოლიტიკური კარიერის მაძიებელი (ე.წ. ოპოზიცია) სხვა ჯგუფიც იგივეს ითხოვს – არსებულმა პოლიტიკურმა ელიტამ მარცვით უდიდესი სიმდიდრე დააგროვა, ახლა მეც იგივე მსურს, მაგრამ პოლიტიკური ელიტა თქვენი მარცვის ბერკეტებს ნებაყოფლობით არ მითმობს. სხვა სახელმწიფოების მმართველი ელიტის ნაწილი მე მიჭერს მხარს, და თქვენ გარეშე მაინც არაფერი გამოძის; ამიტომ გთხოვთ, არსებულ პოლიტიკურ ძალას განუდგეთ და თქვენი შიშველი მკერდით მათ განდევნაში მომეხმაროთ.

საოცრება ისაა, რომ მთავრობის სახლისა თუ მერიის წინ ათასობით გამარცვული, გაუბედურებული ადამიანი იკრიბება, არა აქვს მნიშვნელობა ის უსაქმურია თუ პროფესორი; შეკრებილი ხალხი, შემორჩენილი ენერჯის სრული მობილიზებით, გზის ჩასახერგად თუ ბარიკადების მოსაწყობად, ავტობუსებსა და სატვირთო მანქანებს აქეთ-იქით დაათრევს. ამ საქმიანობისაგან თავისუფალ დროს კი ერთი ან მეორე მხარისაგან დარიგებულ „ბუტერბროდებსა“ თუ ფუნთუშებს მიირთმევენ და დანაყრებულნი ამ ტრაგიკომედიაში ახალი ენთუზიაზმით ერთვებიან. იმავდროულად, არც ერთ მხარეს არ ავიწყდება ღრიალით სკანდირება: „საქართველო, საქართველო“, ან „წადით, წადით“. . .

ხდება საოცრება, ვიღაცა მიდის, ვიღაცა მოდის. არსი იგივე რჩება. და შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება.

დასკვნა ერთია – პოლიტიკური ხელისუფლება – რაც უნდა ძლიერი იყოს, რა ძალოვან შემადგენლობას, უახლეს ტექნიკას, თანხებს ან მასმედიასაც უნდა ფლობდეს – პრაქტიკულად ვერაფერს შეცვლის, თუ მთავარი: ავტორიტეტი, სიკეთე, ზნეობა და ამ სიკეთის დანერგვის მექანიზმი არ გააჩნია.

მთავარია, ღირსეული პიროვნების ამა თუ იმ პოლიტიკური სისტემის მიმართ დამოკიდებულება; და თუ სახელმწიფოს პირველადი უჯრედი – ადამიანი – ამ სისტემის სამართლიანობის რწმენას კარგავს, მაშინ სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური ელიტის გადარჩენა შეუძლებელია.

ჩვენს სოციუმში გავრცელებულია აზრი – პოლიტიკურ ელიტას უნდა დაემორჩილო, რადგან მათ ხელშია არმია, უშიშროება, ფული, დასავლეთის მხარდაჭერა. ანუ ქართული ანდაზა – „დათვი რომ მოგერევა . . .“, ეს აზრი არახალია, სოციუმის ნაწილი, ყველა დროსა და სივრცეში, ასევე ფიქრობდა.

გავისხენოთ პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორია.

წმინდა რომის მეორე გერმანული ჰაბსბურგების იმპერია.

ზოგადად, რომის იმპერია მოსვენებას არ აძლევს ყველა ჯურის იმპერიალისტს. მაგ. იმპერიული აზროვნების რუსებისათვის **რუსეთი მესამე რომია, მეოთხე აღარ იქნება.**

პირველი რომი გასაგებია. „მესამეც“ გასაგებია. საინტერესოა რომელი იყო მეორე.

მეორე რომი – ჰაბსბურგების დინასტია – „**გერმანული ნაციის წმინდა რომის იმპერია**“. ასეთი სახელწოდებით უნდოდათ ჰაბსბურგებს ძველი, პირველი რომის იმპერია გერმანიაში აეღორძინებინათ. ეს იმპერია არსებობდა 1273-1438 წლებში პაუზებით. მოგვიანებით, 1438–1806 წლებში, ის ცნობილია როგორც ავსტრიის იმპერია. საბოლოო სახით მისგან წარმოიშვა ავსტრო-უნგრეთის იმპერია (1867- 1918წწ.).

დაბადებიდანვე ის ისეთი მძლავრი სახელმწიფო იყო, რომ მასთან კონფლიქტში შესვლა თვით მონ-ლოლებმა, თავისი უმძლავრესი არმიითაც კი ვერ გაბედეს.

ამ იმპერიას იმდენად მძლავრი არმია, უშიშროების ისეთი სამსახური ჰყავდა, რომ დღევანდელ ევროპასა და აშშ-ის საღაზვერო სამსახურში მათი მეთოდები დღესაც წარმატებით გამოიყენება. ამ იმპერიის მეკვეურებს ფულიც არასდროს აკლდათ. მას დასავლეთის მხარდაჭერა არ სჭირდებოდა, თვით იყო დასავლეთი. გარდა ამისა, მას ჰყავდა იდეოლოგიის დაცვის ისეთი სამსახური, დღევანდელი ტოტალიტარული სახელმწიფოების ოცნებაა. ეს იყო ინკვიზიციური სისტემა.

დაიხ! ის ინკვიზიცია, რომელმაც იან ჰუსი გაიყვანა კოცონზე.

იმპერატორებს მოსახლეობაც უჭერდა მხარს: როდესაც მოხუცმა ქალმა ბოძზე გაკრული იან ჰუსი დაინახა, მას ჰუსის შესაწავად გამზადებული მორების რაოდენობა ეცოტავა. ქალმა ფიჩხი შეაგროვა და მორებს დაუმტა. ამის დანახვაზე ბოძზე გაკრულმა ჰუსმა წარმოთქვა ცნობილი სიტყვები, — **ო, წმინდა უბრალოება!**

დაიხ, ეს ის ინკვიზიცია იყო, რომელმაც ბრუნო დაწვა, გალილეი სულიერად გატეხა. იმის გამო, რომ მან გამოთქვა აზრი, — რაღაცა რაღაცის გარშემო ბრუნავსო. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ბოძზე გაკრული უდრეკლნი რჩებოდნენ საკუთარი რწმენის მიმართ და აღმოდებულნი ლოზუნგებს წარმოთქვამდნენ. ტყუილია. **მინც ბრუნავსო**, ინკვიზიციური სასამართლოდან გამოსულმა გალილეიმ თავისთვის, ჩუმიად ჩაიბურტყუნა. კოცონზე აღმოდებულები ვერაფერს იტყოდნენ (იან ჰუსის შემდეგ), იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ენაზე ფოლადის ბორკილი ევლო.

სწორედ, ამ იმპერიაში გამოჩნდა ერთი არაფრით გამორჩეული ბერი, ადამიანი, რომელმაც სიყალბე ამხილა და ინკვიზიციას არ შეუშინდა.

მან **1517 წლის 31 ოქტომბერს ვიტენბერგში**, ეკლესიის კარზე 95 თეზისი გააკრა, რომლითაც საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. ამ ფურცლების გაკვრა არაფრით განსხვავდებოდა იმ პროკლამაციების, საარჩევნო პლაკატების გაკვრისაგან, რომელიც ჩვენც ხშირად გვინახავს. მართლაც, არაფერია გასაკვირი თუ დღეს ვინმე პრეზიდენტის ან პარლამენტის რომელიმე გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. მაშინ კი ყველა დაინტერესდა — ეს რა წესია, ვიღაც ბერი უკმაყოფილოა და ჩვენი ცხოვრების წესს არ ეთანხმება?! ცხადია, ამ უძლიერეს იმპერიაში პროტესტის გამოხატვა შეუძლებლად ითვლებოდა.

იმ დროისათვის (ცოტა მოგვიანებით) იმპერატორი **კარლ V ჰაბსბურგი** განსლდათ მისივე სიტყვებით, მის იმპერიაში მზე არ ჩადიოდა; და მართალიც იყო. ამ იმპერიას ეკუთვნოდა გერმანია, ნიდერლანდები, ნეაპოლიტანია, ესპანეთი, მისი კუთვნილი ლათინური ამერიკა და ფილიპინები. მართლაც, გაუგონარი რამ მოხდა — ვიღაც ბერმა (მარტინ ლუთერმა) რაღაცის „ბოღვა“ გაბედა. კარლ V-ს უნდოდა, ასე ეთქვათ, შოუ მიეწყო, რათა მის „უღიადეს იდეოლოგიებს“ ეს „უეცი“ ბერი ინტელექტუალურად გაენადგურებინათ.

1519 წელს ლუთერი ლაიციეში სასამართლოზე გამოიძახეს, მაგრამ მას ასსოვდა რა იან ჰუსის ბედი, სასამართლოზე არ გამოცხადდა. ცხადია, ამ ქმედებისთვის რომის პაპმა ლევ X-მ ბერი ანათემასზე გადასცა. ლუთერმა ვიტენბერგის უნივერსიტეტში დაწვა პაპის ბულა მისი ეკლესიიდან მოკვეთის შესახებ. საპასუხო წერილიც მისწერა და თვით პაპი ანტიქრისტად გამოაცხადა. წყევლაც გაუგზავნა და უსურვა: „ისე ჩაგიქრეს თვალები, როგორც ამ წერილის დაწერის შემდეგ სანთელს ჩაგაქრობო“. ამაზე ყოვლისშემძლე პაპი ჭკუიდან კინალამ შეიშალა. პაპს იმპერატორმა დაუჭირა მხარი.

1521 წელს (28 იანვრიდან 25 მაისამდე) ქალაქ ვორმსში კარლ V მეთაურობით წმინდა რომის იმპერიის გენერალური ანსამბლეა შედგა. იმპერატორმა მარცხნივ მოისვა პაპის ლეგატი, გაწვრთნილი ორატორი, თეოლოგი. მარჯვნივ — გერმანული იმპერიის დიდებულები და მეზობელი სახელმწიფოებიდან მოწვეული საერო და სასულიერო პირები. ყველა გართობის მოლოდინში იყო. ადამიანისაგან „ბარბიქიუს“ გაკეთებისათვის მზადება დაიწყო. შემოიყვანეს ეს თავსუდი ბერი. იგი ამ უზარმაზარი საკრებულოს დანახვაზე თავდაპირველად ისე დაიბნა, რომ ხმა ვერ ამოიღო. შოუს ჩაშლა დაეძუქრა. არშემდგარ შოუსზე გაბრაზებულმა კარლმა თავი ვერ შეიკავა და ზიზღით მიმართა ბერს: — „შე უბედურო, ამ სამარცხვინო ადგილზე დგომა გინდობა?“ აქ მოხდა საოცრება. ბერმა ხმა ამოიღო და მისი სიტყვები დღეს ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის: — **„აქ ვლგავარ და სხვაგვარად არ ძალბიძს“** და დაიწყო არსებული მდგომარეობის კრიტიკა. ერთი საათის შემდეგ ნახევარი დარბაზი მის მხარეზე იყო. მას მხარში ამოუდგა საქსონიის ჰერცოგი, რაინდები და 500-მდე დაინტერესებული პირი.

ყოველივე ამის მიუხედავად, 1521 წლის 25 მაისს გამოიცა ვორმსის ბრძანებულება, ედიქტი, რომლის თანახმად ლუთერი ერეტიკოსად გამოცხადდა.

ლუთერმა საჯაროდ დაწვა პაპ ლევ X-ის მიერ გამოგზავნილი ბულა და პაპი ანტიქრისტად გამოაცხადა.

ლუთერს საქსონიის ჰერცოგმა თავშესაფარი მისცა ვარტბურგის ციხესიმაგრეში (1521-1522 წლები).

ბერის იდეები არა მარტო გერმანულ იმპერიაში, არამედ ევროპაშიც გავრცელდა. ამის შემდეგ, ის ჰერცოგის სასახლეში თავისთვის ივლა და ბიბლიას ლათინურიდან გერმანულ ენაზე თარგმნიდა.

აქ საინტერესოა ერთი რამ. ლუთერი თუზისებს წერდა, თუმცა იმპერიის მოსახლეობის 90% წერა-კითხვის უცოდინარი იყო; ხოლო ვინც წერა-კითხვა იცოდა, მას თუზისების გააზრება, არგუმენტების განხილვის და ამ იდეების გათავისების არც დრო ჰქონდა და არც სურვილი. ამის მიუხედავად, შედეგი საოცარი იყო. დაიბადა მძლავრი ძალა.

როდესაც ლუთერს მისი ქმედების რაციონალურობის შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა: – **„მართალია, ხალხმა არ იცოდა რისთვის, მაგრამ ძალიან კარგად იცოდა ვის წინააღმდეგ იბრძოდა!“**

ლუთერის მხარდამჭერი ჯგუფი ადამიანებს ნათლად აგებინებდა „ვის წინააღმდეგ“. გამოიკვეთა ლოზუნგები:

„დავიღალეთ ამდენი კორუფციით, გადასახადებით, უმუშევრობითა და გაჭირვებით“. „მოგვეციტ ცხოვრების საშუალება“.

იწყება თვისობრივად სხვა ცხოვრება.

რა ხდება მერე, ასე ვთქვათ, პოზიციის მხარეს. კათოლიკები, ახალი ძალის წარმოქმნით შემოთეზულნი, არსებული პოზიციების შესანარჩუნებლად ორდენებს ქმნიან.

ჩნდება **დომინიკელთა ორდენი**. მათი მთავარი მიზანი იყო: „იღუვრად ვებრძოლოთ პროტესტანტებს“. იზებირებდნენ ტექსტებს, მაგ., ავეუსტინეს შრომებს. აკრძალული იყო გართობა. კედელზე გამოკრული იყო გასართობთა სია, რომელიც ორდენის წევრებისათვის იკრძალებოდა. რა თქმა უნდა, ამ სიაში იყო იმ დროისთვის გაურცელბული, დღევანდელი ბანქოს მსგავსი თამაშობანი. ბერებმა მშვენიერი გამოსავალი მოძებნეს. მოიგონეს ახალი გასართობი, რაც ცხადია, აკრძალულ სიაში არ იყო. პატარა ქვებზე დასვეს წერტილები. დაიბადა დომინო. ამითაც ცნობილია დომინიკელთა ორდენი.

ფრანცისკელების ორდენს ამ მხრივ სახელი არ გაუთქვამს. ორდენის ბერებს ეცკათ თოკ-შემოჭერილი აქლემის ბეწვის მოსასხამი და ხალხოსნობით იყვნენ გატაცებულნი. ისინი კათოლიციზმს ქაოსურად, შეძლებისდაგვარად, იცავდნენ. არაორგანიზებულმა ქადაგებამ უფრო დააბნია ხალხი, რამაც უარყოფითი შედეგი გამოიწვია.

იეზუიტების ორდენი – ამ ორდენისათვის მთავარი იყო სწავლება. ეს სისტემა ჩამოაყალიბა ყოფილმა ოფიცერმა, ფეხში დაჭრილმა იენატი ლოიოლამ. მან თავისი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ 6 ბერი შემოიკრიბა. ისე გარდაიცვალა, რომ ორდენის განვითარებას ვერ ეღივრა. მოგვიანებით, გამოჩნდა პორტუგალიელი ფრანცისკო კსავე. მან საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. შეიქმნა საკმაოდ მკაცრი, მაგრამ მაღალი ხარისხის მქონე სკოლა, უმაღლესი დისციპლინით (აქ სწავლობდა რენე დეკარტი). ამ ორდენმა გადაარჩინა კათოლიციზმი საფრანგეთის ნაწილში, იტალიაში, ესპანეთში.

თავი დავანებოთ სხვათა ისტორიებს და ჩვენს გავიხსენოთ: ცხრა საუკუნის წინანდელი საქართველო. მთლიანად მოშლილი იყო სახელმწიფო მმართველობა, უკიდურესად იყო დაქვეითებული იდეოლოგიური სისტემა. აბსოლუტურად დეგრადირებული საეკლესიო ელიტის ნაწილი მეფის, ანუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედ საერო ელიტის ნაწილს უჭერდა მხარს. დანარჩენ უმრავლესობას საერთოდ არაფერი აინტერესებდა, არავითარი ამაღლებული მიზანი არ გააჩნდა. გამეფდა მონობის ჭკობი და თურქ-სელჩუკების ბატონობა.

იმდროინდელ თურქებს, როგორც მომთაბარე ტომს, სამშობლო იმ გაგებით, როგორც ჩვენ გვესმის, არ გააჩნდათ. მათი სამშობლო იქ იყო, სადაც თავს კარგად გრძნობდნენ. ეს უმძლავრესი მმართველი არმია საქართველოს იპყრობს, ქართულ დეგრადირებულ, კრიმინალურ ელიტასთან გარიგებას ახერხებს და მოსახლეობის ერთობლივი ძარცვა მიმდინარეობს. ასეთი იყო თურქების ტაქტიკა ყველა მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. გაუსძლიისმა ყოფამ ქართველთა ღირსება თითქმის წაშალა. ხალხი მიუვალ ადგილებში, ტყეებში, მთებში, სოროებში, გამოქვაბულებში ემალებოდა მმართველებს. წინააღმდეგობის გაწევის სურვილი აზრადაც კი აღარავის მოსდიოდა. ადამიანთა გონებაში ლოზუნგმა – **იმათ ვინ სძლევს** – მყარად გაიდგა ფეხვები.

ბაგრატ IV ნათლად აცნობიერებდა ფიზიკურად და სულიერად გატეხილი ერის ასაღორძინებლად ახალი იდეოლოგიის დანერგვის აუცილებლობას. ცხადია, შემუშავებული იდეოლოგიის გავრცელება-დანერგვის ფუნქცია ეკლესიას უნდა ეკისრა. საეკლესიო რეფორმის გატარებას **ბაგრატ IV**, საქართველოში ჩამოსულ საეკლესიო მოღვაწესთან **გიორგი მთაწმინდელთან** ერთად, ჯერ

კიდევ XI საუკუნის 60-ან წლებში ცდილობდა. შეურყეველი აღმოჩნდა დეგრადირებული ეკლესია და საერო კრიმინალური ელიტა.

1104 წელს **დავით IV აღმაშენებელმა** საეკლესიო საზოგადოებაში შემორჩენილი ამაღლებული შეგნების სასულიერო პირები რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მოიწვია. მრავალ საკითხთან ერთად, მიღებულ იქნა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება – შეიქმნა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის ახალი თანამდებობა (მწიგნობართუხუცესი – მეფის კანცელარიის უფროსი, 26 მწიგნობრის შტატით; ჰყონდიდელი – უმაღლესი გავლენის ეპისკოპოსი), ანუ ახალი სახელმწიფო ძალაუფლების ისეთი ფორმა, რომელსაც, როგორც საერო, ასევე სასულიერო საქმეებში ჩარევა შეეძლო. მას ემორჩილებოდა უმაღლესი სასამართლო – „**სააჯო კარი**“. ამ თანამდებობაზე ინიშნება დავითის აღმზრდელი **გიორგი მწიგნობართუხუცესი**. იმავდროულად ყალიბდება უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა – სავაზირო.

შვიდ თვეში იქმნება ძალა, რომელმაც **ერწუხში** გამარჯვება მოიპოვა. თურქთა უზარმაზარი მხედრობა განადგურებულია; კახეთ-ჰერეთი – შემოერთებული; 1110 წელი – სამშვილდე; 1115 წელი – რუსთავი; 1117 წელი – ციხესიმაგრე გიში; 1118 წელი – ლორე, აგარანი. მარტო 1120 წელს – ათზე მეტი ძლევამოსილი გამარჯვება. აღორძინებული საქართველოს სიძლიერის მწვერვალი – 1121 წლის 13-15 აგვისტო – დიდგორი. ანუ შვიდ თვეში იქმნება სახელმწიფო და 16 წელიწადში საბოლოო სახეს იღებს და იმ დროისათვის გაუგონარი სიმძლავრის მაქსიმუმზე გადის.

დღეს „ტვინფრატუნა“ (ვაჟას გამოთქმა) სუბიექტები დიდგორის ბრძოლის მასშტაბებზე ეჭვს გამოთქვამენ და ამტკიცებენ, რომ მომხდურთა „სამოცათსიან“ არმიას ქართველების „თხუთმეტასიანი“ ლაშქარი ვერ დაამარცხებდაო.

ეჭვობა, ეს „ისტორიკოსები“ ისტორიასთან მწყერალად არიან, თორემ არც დაპირისპირებულ მხარეთა რიცხოვნობა აერუოდათ და ომის შედეგიც არ გააოცებდათ; იმასაც გაიხსენებდნენ, რომ თერმოპოლის ხეობაში სამასმა სპარტანელმა ორ მილიონ-ნახევრიანი სპარსელების არმია შეაჩერა; და ლაღატი რომ არა, რითი დამთავრდებოდა ეს ბრძოლა, არავინ იცის. სხვანი გვიმტკიცებენ, რომ ასი-ორასი ჯვაროსანი რომ არ ჩამოსულიყო და დავითისათვის ჭკუა არ ესწავლებინა, ის ვერაფერს გახდებოდაო. ჩვენ კი ვიცით, რომ 56 000 ქართველის პირისპირ 600 000-ანი კოალიციური არმია იდგა, რომელმაც მესობოტამიაში ჯვაროსნები გააცამტვერა; ჯვაროსნების ლიდერი, საკმაოდ გამოცდილი მხედართმთავარი როჯერი ბრძოლის ველზე დაიღუპა; და თუ ომებში გამოწრთობილმა ჯვაროსანთა არმიამ მუსულმანთა კოალიციურ არმიას ევექტური წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მაშ, აქ ჩამოსული ორასი ჯვაროსანი რაღას შეძლებდა? დავითმა მუსულმანებს ახალი საბრძოლო ტაქტიკა დაუპირისპირა და ამით შეძლო რიცხოვნობის დაბალანსება.

გაგებდით, და „ისტორიული კოეფიციენტი“ ცნება შემოვიტანოთ. უფრო ნათლად – რაღაც სოციალური პროცესის განვითარებას სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა დრო სჭირდება. მაგ., არმიის გადაყვანა 900 წლის წინ თბილისიდან გორში შესაძლებელი იყო 20 კმ/სთ; ეს ცხენის გადაადგილების სიჩქარეა. დღეს იგივე პროცესი 80 კმ/სთ-ის სიჩქარით მიმდინარეობს (ოპერატიული მანქანების სიჩქარე). ე.ი. აღნიშნული პროცესი დღეს მინიმუმ ოთხჯერ სწრაფია. ამ შემთხვევაში „ისტორიული კოეფიციენტი“ – $K=4$. თუ ამ კოეფიციენტს გავითვალისწინებთ, გამოაგნებელ შედეგთან მივალთ. დაახლოებით ორ თვეში დავითი ახერხებს ახალი სახელმწიფოს შექმნას, ხოლო ოთხ წელიწადში გადის სიმძლავრის მაქსიმუმზე, აპოგეაზე, რამაც დიდგორის გამარჯვება მოიტანა.

ეს ფაქტია. ისტორიული ფაქტი.

ესეც ჩვენი ლოზუნგის – „იმათ ვინ მოერევა, ძალა და ფული მათ ხელშია“ – აბსოლუტური სიყალბე.

ქართულ სულს შეუძლებლის შეძლება შეუძლია!

აი, ამას ებრძვიან დღეს შეგნებულად თუ შეუგნებლად. მათი მიზანია ჩვენში არასრულფასოვნების კომპლექსის განვითარება, იქამდეც კი დავიდნენ, რომ რუსთაველის გენიის უგულებელყოფასაც ცდილობენ. ვერ შეძლებენ. . .

მართლაც, დაფიქრდეთ, რა ძალა გაანადგურა დავითის გენიამ.

ჩვენ დღეს ვიცით, რა სიტყვით მიმართა ჯარს დავითმა, დიდგოროთან უკან დასახევი გზა როგორ ჩახერგა; თუმცა, არც დაფიქრებულვართ თუ რა მექანიზმით შეძლო მან ორ თვეში სახელმწიფოს აღდგენა და ოთხ წელიწადში წარმოდგენელ სიმძლავრეზე როგორ გავიდა.

ჩვენი მიზანია, გავერკვეთ ასეთი სოციალური სიმძლავრის დაბადების მექანიზმში.

ამას ემსახურება ჩვენ მიერ წარმოდგენილი მატრიცული თეორია.

დასკვნა ერთია – თუ ხალხს ნორმალური ცხოვრება უნდა, ხელს ვერავინ და ვერაფერი შეუშლის.

აქედან კითხვა – გვინდა კი ნორმალური, ადამიანური ცხოვრება?

და თუ გვინდა, უნდა მივხვდეთ, რომ სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების საფუძველი მხოლოდ ღრმად გააზრებული იდეაა; ამ იდეით განმსჭვალული სისტემა შექმნის ახალ წესრიგს და არსებულ კომპლიმენტარულ (ძმაკაცობა, წარმომავლობა, ფული) პრინციპზე დაფუძნებულ იერარქიას შეცვლის იერარქიით, რომლის შერჩევის საფუძველი იქნება პიროვნება, მისი ბიოგრაფია, ცოდნა, პროფესიული კვალიფიკაცია, პატიოსნება და უმთავრესზე უმთავრესი - პატრიოტიზმი.

სამწუხაროდ, სახელმწიფოს არსის, იდეის გააზრება საზოგადოებაში მნიშვნელოვან ბარიერს – საზოგადოებრივ ინფანტილიზმს აწყდება.

მთავარია, როგორ ვიმოქმედოთ ტანჯულთა და გულგრილთა ტვინის ერთ უცნაურ უბანზე? მოგახსენებთ, რა გვაქვს მხედველობაში:

როგორც ცნობილია, ადამიანი ურთულესი ორგანიზმია. მასში მიმდინარე პროცესების ჰარმონიულობის შენარჩუნება სიცოცხლისათვის აუცილებელია. ამას ემსახურება ტვინის ის უნიკალური ნაწილი, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი წაქეზების, ძალდატანების გარეშე, ჩვენს ბიოლოგიურ პროცესებს, გარე ზემოქმედების გათვალისწინებით, მართავს.

უფრო ნათლად, ცნობილია, რომ კოსმონავტებს, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში უწონადობის მდგომარეობაში ყოფნა უხდებოდათ, ერთი შეხედვით, უცნაური პათოლოგია ეწყებოდათ. კოსმონავტების ძვლებიდან გამოიღვენება კალციუმი, რომელიც ძვლის სიმაგრის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. იწყება ძვლების ატროფია. ადამიანის ტვინის ის ნაწილი, რომელიც ჩვენს ბიოლოგიურ პროცესებს მართავს, როგორც უნიკალური რაციონალური მექანიზმი, იგრძნობს რა წონის გაქრობას, წამსვე იღებს გადაწყვეტილებას – შეწყვიტოს კალციუმის „შეყვანა“ ძვლის ქსოვილში. მართლაც, რა საჭიროა კალციუმი, თუ ადამიანის ძვლებს დატვირთვა არა აქვს?

დიდი ხანია ჩვენი თანამოქალაქეთა ტვინის ამ უცნაურმა ნაწილმა სახელმწიფოს, წესრიგის უსარგებლობა (“სიმსუბუქე“, „უწონადობა“) იგრძნო. ამიტომ ტვინის ეს უცნაური ნაწილი ატროფიას განიცდის. ის ასკენის, რომ **სახელმწიფო აღარ სჭირდება.**

რას იზამ, ტანჯულს ჭეშმარიტების ძიების მეცნიერული კვლევა არ ანაღვლებს, მას უნდა, რომ დღეს, არა, დღეს კი არა, ამ საათში, ამ წუთშივე შევბა იგრძნოს; განსჯისთვის თავს არ იწუხებს და, სწორედ, აქ იწყება ტრაგედია.

სადაც მოთხოვნაა, ფსევდოპოლიტიკოსიც მაშინვე იქ ჩნდება და იწყება კარგი ცხოვრების დაპირება.

ტანჯულნი აზროვნებას გაურბიან და რატომღაც **ფსევდოპოლიტიკოსებს** მიჰყვებიან და მათ დანაპირებ კარგ ცხოვრებას უსასრულოდ ელიან. . .

არა, ხალხი არც უნამუსოა და არც ბრიყვი. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ის, უბრალოდ, მშვიდია. ჩვენ გვესმის მათი, რადგან ჩვენც გვინდა სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად; და მართლაც, თუ გვინდა სწრაფად, მაშინ აუცილებელია გარკვეულ საკითხებზე შევთანხმდეთ.

თუ გვინდა სწრაფად, ძალიან სწრაფად, მაშინ:

აუცილებელია სიმძლავრე. მხოლოდ სიმძლავრე ქმნის სიჩქარეს. ამ სიმძლავრეს კი მხოლოდ აზროვნების პოტენციური ბადებს.

ჩვენი უბედურების წარმომშობ მიზეზებში გასარკვევად, აუცილებელია უსახური ცხოვრების ჩარჩოდან აზრობრივად გავიღეთ, თანაც უბრალოდ კი არ გავიღეთ, არამედ ავმადლდეთ, რათა სამყარო მთლიანობაში აღვიქვათ.

საერთო მიზანი ადამიანთა ამბავების უმძლავრესი საშუალებაა.

ამბავება კი ბედნიერებისაკენ მიმავალი ერთადერთი გზაა.

ჩვენი ერთადერთი მიზანი სამშობლოს შენარჩუნება-გაძლიერება უნდა იყოს; ამ იდეით უნდა გავერთიანდეთ; ეს მიზანი ჩვენთვის სიცოცხლის ტოლფასი უნდა გახდეს და მაშინ უძლიერესი იქნება ჩვენი მიზნის შესაბამისი რიტმული ველი.

თუმცა, თუ თქვენ თქვენთვის საყვარელი ადამიანების, შვილების მომავლის ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ, მაშინ ვერავითარი ველი ველარ გიშველით.

პიროვნებაში ინტელექტუალური სიმარტოვის დამარცხების ერთადერთი საშუალება პალადიუმის რიტმია.

მარტობა, ნებისმიერი ფორმით, ეს იქნება პროფესიული, ინტიმური, სულიერი, ინტელექტუალური, ალბათ, ავადმყოფობად ჯერ კიდევ არ ითვლება. ცივილიზებულ ქვეყნებში ამ თემაზე ტრაქტატებს წერენ, ექიმები მარტობის განკურნებას ფსიქონალიზით ცდილობენ (ე.ი. მაინც ავადმყოფობაა!), პოეტები ლექსებს უძღვნიან ამ საშინელებას (ბარათაშვილი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი).

სიმართლის მაძიებელი მარტობას ებრძვიან, როგორც **დონ კიხოტი** ებრძოდა ქარის წისქვილებს, სკულპტორები – ძეგლებს უდგამენ. მარტობის მრავალფეროვანი სახეებიდან სოციალურად საშიშია ინტელექტუალური მარტობა. თქვენს გარშემო ხალხის სიმრავლე მარტობის პრობლემას არ წყვეტს.

ინტელექტუალური მარტობა უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ევროპული და ჩრდილოამერიკული სტატისტიკის პროცენტული მაჩვენებლები, ამ კვლევათა მონაცემების შესახებ, ერთმანეთს საოცრად ემთხვევა.

ფსიქიკის დარღვევა, დეპრესია და განსაკუთრებით კი პერმანენტული, მონოტონური მარტობის შემოქმედება ონკოლოგიური დაავადების განვითარების წინაპირობაა.

ფსიქიკის დარღვევის შედეგების გაანალიზებას, გააზრებას არავითარი სტატისტიკა არ სჭირდება, ეს ისედაც ნათელია. საშინელება ის არის, რომ ასეთი სიმარტოვე შენიღბულია. ამიტომაც, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში საერთო ინტერესის მქონე ადამიანთა კლუბები (გოლფის, ოპერის მოყვარულთა, პოლიტიკური, სპორტული, . . .) იქმნება.

გვერწმუნეთ, ინტელექტუალური ჯგუფის გაძლიერებულ რიტმში თქვენ ეს პრობლემა მოხსნილი გექნებათ; და, სხვა სიკეთესთან ერთად, თქვენ კომფორტულად იგრძნობთ თავს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში გარემოზე რიტმის, რხევის გავლენას „ველის“ საშუალებით აღწერენ. უბრალოდ, ასე უფრო მოსახერხებელია. შევცვალოთ სიტყვა „რიტმი“ – „ველი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ პალადინის რიტმი, ანუ ველი, უფრო ძლიერია, ვიდრე გულგრილი ადამიანის ველი. თუ ეს ასეა, ვაწყდებით დიდ წინააღმდეგობას:

რატომ არის გულგრილობა ან სიზარმაცე უფრო მეტად გადამდები, შემართებასა და შემოქმედებასთან შედარებით?

საქმე ის არის, რომ შემართებას, ქმედებას სუბიექტის პოტენციალის მობილიზება სჭირდება, მაშინ, როდესაც წვრილმანი საქმეების კეთებისა და უსაქმურობისას ენერჯის ხარჯვა თითქმის არ არის საჭირო. ხოლო „ხარი ხართან დააბი . . .“, პრინციპის ამოქმედებას პასიური ადამიანის ველი ეფექტურად ახერხებს. ამ გენიალურ ხალხურ ანდაზაში იგულისხმება „ხარის“ აქტიურობის დაქვეითება, რომელსაც თავისთავად ექნება ადგილი, თუ მათ ერთად დავაბამთ. სუბიექტის გააქტიურებას კი საკმაოდ დიდი ენერჯია, შესაბამისად, მძლავრი ველი სჭირდება.

შესაძლებელია თუ არა ისეთი მძლავრი ველის შექმნა, რომ მან ადამიანს ამადლებისაკენ უბიძგოს?

აი, ესაა მთავარი საკითხი.

დავუბრუნდეთ წინა თავებში განხილულ გულგრილ ადამიანებს – საშუალო რომაელს, არაბს, ინდუსს, მოქალაქეს, . . .

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ მაგალითებში განხილულია გულგრილი ადამიანისა და ენტელექტური ჯგუფის ველის ურთიერთქმედება.

სოციალურ გარემოში ტრანსცენდენტულ-ენტელექტურ-პასიონარული ველის მქონე ადამიანი ყველა დროსა და სივრცეში არსებობდა. მაგრამ რა ძლიერიც უნდა იყოს მისი ველი, ის სისტემის შექმნის გარეშე სოციალურ გარემოს კარდინალურად ვერ შეცვლის. ამიტომ ვერ გამოიწვიეს შესაბამისი ცვლილება უმაღლესი, მძლავრი პასიონარულ-ტრანსცენდენტული ველით დაჯილდოებულმა ადამიანებმა: აპოლონ ტაინელმა, ჰერმეს სამჯერ დიდებულმა, ფილონ ალექსანდრიელმა და სხვა მრავალმა, რომელთა სახელებიც კი უცნობია.

რატომ იმარჯვებენ ერთნი, ხოლო სხვათა სახელებიც კი არ შემინახა ისტორიამ?

– იმიტომ, რომ ისტორია სანაგვე არ არის. მხოლოდ მის გარშემო ყრია გაუფურქნავი ღმერთები, გათელილი კერპები, იდეების ნაგავი, ავტორიტარული წიდა. ისტორია ტრანსცენდენტულს საკუთარი ველის გამოუყენებლობას, მოყვასის უსიყვარულობას არ პატიობს.

ღმერთის ამ უდიდესი საჩუქრის მხოლოდ საკუთარი განდიდებისათვის გამოყენება დაუშვებელია!

ენტელექტური ადამიანი ხვდება, რომ მოძმეთა ბედნიერებისთვის მისი შესაძლებლობა არასაკმარისია. იგი იკრებს თანამოაზრეებს და მთელ ენერჯიას ჩანასახის, მატრიცის შექმნას ახმარს. მხოლოდ ამის შემდეგ, ყველა ერთად აღწევს იმ უდიადეს მიზანს, რომლის შედეგი უკვე ისტორიის ცვლილებაა.

ასეთი ჯგუფი თავდაპირველად ერთი იდეის გარშემო ერთიანდება. მასში არსებული მრავალი რიტმიდან იდეის შესაბამისი რიტმის გამოყოფა-გაძლიერება ხდება. იდეით გაერთიანებული ინდივიდუალური ველები ერთმანეთს აძლიერებენ, პიროვნება რეზონატორი, ანუ ველის გამაძლიერებელი ხდება.

პირველ ეტაპზე, ეს გაძლიერებული ველი ჯგუფის ველის არეალში შემთხვევით, ან მიზნობრივად მოხვედრილ ახალ ინდივიდზე მოქმედებს. მისი რიტმი ჯგუფის ველის გავლენით ორიენტირდება, რაც უკვე არსებულ ტრანსცენდენტულ-ენტელექტურ-პასიონარულ ველს აძლიერებს. იწყება ჩანასახის, მატრიცის კრიტიკული რიცხვის გადალახვა.

დგება მომენტი, როდესაც ველის სიძლიერე კრიტიკულ ზღვარს აღწევს – საკმარისია ერთი პიროვნების დამატება, რომ ეს ველი კონცენტრირდება და ლაზერული გამოსხივების მსგავსი გაბრწყინება მოხდება.

ეს უკვე ისეთი სიმძლავრეა, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება; ყოველგვარი ბოროტება ორთქლდება, ატომებად იშლება, პლაზმურ მდგომარეობაში გადადის.

ეს არ არის ლეგენდა, ეს არ არის საწერ მაგიდასთან გამოგონილი მითი – ეს ბუნების კანონია, რომელიც ბოროტებას გაანადგურებს.

არ გჯერათ?

– აიღეთ ჩვეულებრივი ჭიქა წყლით და მასში ჩაყარეთ შაქრის ფხვნილი; ის წყალში გაიხსნება და უკვალოდ გაქრება. თითქოს არაფერი შეიცვალა, მაგრამ თუ თქვენ შაქრის დამატებას გააგრძელებთ, მოხდება საოცრება, დადგება მომენტი, როცა ერთი პატარა, თვალთ ძლივს შესამჩნევი შაქრის ნამცეცის ჭიქაში ჩაგდება უნიკალურ ეფექტს გამოიწვევს და თქვენ თვალწინ აბსოლუტურად სწორკუთხა, მბრწყინავი, დიდი კრისტალი დაიბადება. სწორედ ეს უკანასკნელი დანამატი იყო ის, რომელმაც წარმოქმნა თვისობრივად სრულიად განსხვავებული რამ.

გაიხსენოთ, რაოდენობის თვისობრივში გადასვლის კანონი; აქაც ნათლად ჩანს, რომ რაოდენობის ცვლილებით თვისების მკვეთრად, ნახტომისებურ გადასვლას (უეცრად კრისტალის წარმოქმნას) განსაზღვრული კრიტიკული რიცხვი სჭირდება (მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება გადაჯერების შედეგად შაქრის დაკრისტალება).

ტრანსცენდენტულ-ენტელექიურ-პასიონარული ველის მქონე ადამიანთა ერთი იდეის გარშემო ორიენტირება ერთადერთი საშუალებაა, რათა უმოკლეს დროში ჩვენი უსუსური ცხოვრება შევცვალოთ.

სწორედ ასეთმა მატრიცამ განაპირობა საშუალო რომაელის, არაბის, . . . სულიერი კომფორტის შექმნა, რამაც მონოლითის შექმნა-განვითარებას შეუწყო ხელი.

რას გვაძლევს მატრიცა? – ცხადია, მან ჩვენი გარე სამყაროსთან, ანუ ცხოვრებასთან დამოკიდებულება უნდა შეცვალოს. რა თქმა უნდა, ეს ცვლილება ჯერ ინდივიდისთვის უნდა იყოს სასიკეთო, შემდეგ კი საზოგადოებისთვის. მან უნდა შეცვალოს ჩვენი ცხოვრების რიტმი.

ესაა ერთადერთი გზა უწესრიგობიდან – წესრიგისკენ.

უდიდესია იმ ჭეშმარიტებათა რიცხვი, რომლის აღქმაც ჩვენს გონებას შეუძლია. ჩვენ „განათლებულნი“ ვართ და იმდენი უმაღლესი ჭეშმარიტება ვიცით, რომ მისი მეთათსედიც კი საკმარისი იქნებოდა, ნებისმიერ ჩვენთაგანს სრულფასოვნად ეცხოვრა, მაგრამ

შეიცნო ჭეშმარიტება და იცხოვრო ჭეშმარიტად, სხვადასხვა რამა!

ერთია გაიგო მატრიცის ქმედების არსი, მეორეა ირწმუნო ის.

და თუ არსებული ქაოსის წინააღმდეგ ჩვენს აქტიურ ქმედებას უტოპიას დავარქმევთ, მაშინ უკვე სოციალური გვამები ვართ, რომელთაც ისტორიაში საფლავის გათხრის მეტი აღარაფერი სჭირდებათ.

მთავარია საერთო მიზანი, რომელიც ჩვენი მომავლის სიკეთეს მოემსახურება.

რიტმის დამთხვევა ნიშნავს, ის „ჩვენიანია“ და არადამთხვევა – „უცხო“; ეს ჰიპოთეზა ყველა კოლიზიას ხსნის.

რატომ არსებობენ XXI საუკუნეში არშემდგარი სახელმწიფოები?

რატომ ისინიც არ ვითარდებიან?

რატომ ქრება ზოგიერთი ცივილიზაცია და რატომ გვეკობნიან რთული ტექნოლოგიებისა და სიმდიდრის შექმნაში ისინი, ვინც სახელმწიფოდ გუშინ ჩამოყალიბდნენ?

როგორც ინდივიდები, ჩვენ იდეალურები არა ვართ. როგორ შევიცვალოთ? როგორ გავხდეთ უკეთესები?

ცხადია, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ურთულესია, მაგრამ ჩვენ უფლება არ გვაქვს, გვერდი აუვაროთ მათ; ეს საკითხები ჩვენი ცხოვრების გაჯანსაღებისთვის გადამწყვეტია.

ცნობიერება არ ცხოვრობს, მაგრამ მოქმედებს. მას რეალურ სამყაროსთან პირდაპირი შეხება არა აქვს. ცხოვრობს და მოქმედებს მხოლოდ ნებისყოფა. ცნობიერებაში გააზრებული იდეა მხოლოდ ნებისყოფის მობილიზებით ხორციელდება.

დავფიქრდეთ, თუ შესაძლებელია სხეულის სილამაზის მიღწევა ვარჯიშით, მაშინ ჩვენი სულიერი ნების, სიმტკიცის გაუმჯობესება რატომ არ შეიძლება? მართლაც, თუ სხეული ჩვენ გვეკუთვნის, მაშინ რა დაამავა ჩვენმა გრძნობებმა, ნებისყოფამ, ლოგიკამ, აზროვნებამ – ისიც ზომ ჩვენია? თითქოს, ისიც იმ რიტმისა მატარებელია რასაც სხეული ფლობს, თანაც უფრო ცვალებადი და ელასტიურია.

ჩვენი აზრით, მატრიცის გარეშე ამაღლება, ნებისყოფის წრთობა შეუძლებელია.

მატრიცას კი რწმენა, მოყვასის სიყვარული, რაციონალიზმი ქმნის.

ვიმეორებთ, სხვა გზა არ არსებობს, ჯერ არავის მოუგონია ის ალქიმია, რომელიც ტალახისგან ბროლის სასახლის აშენების საშუალებას მოგვცემდა.

და ყველაზე მნიშვნელოვანი, მონოლითის წარმოქმნის პროცესში ენერჯის უდიდესი ნაწილი მხოლოდ ჩანასახის, პირველი მატრიცული ფენის შექმნაში იხარჯება, შემდეგი პროცესი, თითქმის თავისთავად, თვითრეგულაციით, თვითორგანიზებით მიმდინარეობს.

მონოლითი თვითრეგულირებადი სისტემაა.

მაგ., ისეთ მონოლითურ სახელმწიფოებში, როგორც არის ა.შ.შ., ნორვეგია, . . . გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტი ბუშია, კლინტონი, თუ რუზველტი, სახელმწიფო მაინც საკუთარ არსს ინარჩუნებს.

ჩვენთან კი, ხელოვნურ სახელმწიფოში, პრობლემა პრობლემად რჩება.

პრობლემა რაიმე საკითხის მოგვარებისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომებში უნდა ვეძიოთ.

მეცნიერებაში უმაღლეს დონეზე აყვანილი განმზოლოების მაქსიმუმი.

მეცნიერება და მეცნიერი ფსევდოპოლიტიკისა და ფსევდოპოლიტიკოსისაგან იმით განსხვავდება, რომ მას თვალთმაქცობა არ ახასიათებს. მას, პოლიტიკოსის მსგავსად, ყველაფრის ცოდნაზე პრეტენზია არა აქვს. მეცნიერმა ან „იცის“, ან „არ იცის“ და იქ, სადაც ძალიან ბევრი „არ იცის“, იგი რეკომენდაციებს არ იძლევა (რეცეპტს ვერ გამოგიწერო). მეცნიერი მტკიცედ პასუხობს: ჯერ აღრეა, კვლევისა და დასკვნისთვის დროა საჭირო. მთავარია, არსებობდეს კითხვა და მერწმუნეთ, რომ მეცნიერება პასუხს ყველაფერზე გასცემს. მეცნიერმა იცის:

სჯობს არაფერი თქვა, ვიდრე თქვა არაფერი.

მეცნიერის ასეთი პატიოსნება ფსევდოპოლიტიკოსისათვის ხელსაყრელია, რადგან იდეის მომხმარებელთა უმრავლესობას მოთმინება არ ჰყოფნის. ასეთი უკვე მომხმარებელი კი არა, პაციენტიცაა. ჩვენ აქ ირონიულად არ ვამბობთ ამ სიტყვას, ის ქართულად ტანჯულს ნიშნავს. როგორ გავაგებინოთ მას, რომ სახელმწიფოს არსის და მისი მართვის ხელოვნების გააზრებას დრო სჭირდება. როგორ გავაგებინოთ მას, რომ სადაც ის ცხოვრობს, არმეძღარი სახელმწიფოა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

გავისხენოთ, ერთხელ, მარკიზი დიუდევანი (ის ცნობილია ვოლტერთან მიმოწერით) კარდინალ პილინიაკუსის საკუთარ თავთან დისკუსიას შეესწრო. კარდინალის მსჯელობის საგანი იყო წმინდა დიონისე. მის გაკვირვებას თამოჭრილი წმინდანის საქციელი იწვევდა, რომელმაც უთავოდ საკმაოდ დიდი მანძილი გაიარა.

– დაწინარდით კარდინალი – ურჩია დიუდევანმა, ასეთ მღვდმარებაში მხოლოდ პირველი ნაბიჯის გადადგმა წარმოუდგენლად ძნელი. . .

ჩვენ არ ვიცით, აწუხებდა თუ არა ჩვენი ქვეყნის ყველა კარდინალობაგანადღებულ ან კარდინალობის მაძიებელს „ლოგიკა“, როდესაც არარსებულ სახელმწიფოში „დემოკრატია“ ამკვიდრებდა, ან დამკვიდრებას აპირებს. ალბათ, აქაც პირველი ნაბიჯია მათთვის ძნელი, თორემ მათი შემდგომი „აღმაველობისკენ“ სვლა რაღა გასაკვირია.

მკაცრად შევხედოთ პრობლემას.

ვიმეორებთ, პაროდიული არმია, პოლიცია, სამართალი, ჟღერადი სახელწოდების სამინისტროები. . . ქმნიან პაროდიულ სახელმწიფოს, სადაც აღმასრულებელი მთავრობა, პარლამენტი,

პოლიტიკოსთა მთელი არმია არსებობს; არ არსებობს მხოლოდ შესრულებული მიზანი და ცხადია, არც შეიძლება იყოს, ჩვენთვის გასაგები ერთი მიზეზის გამო – **ყველაფერი არსებობს, სახელმწიფოსა და ბედნიერების გარდა.**

შესაბამისად, ჩვენი ძირითადი ამოცანაა, შექმნას პირველადი მატრიცა, ანუ გადავცდეთ კრიტიკულ ზღვარს, შემდეგ იწყება თვითრეგულაცია და კითხვა: ახლა რა გავაკეთოთ? – თავისთავად იხსნება. მთავარია მატრიცის შექმნა, იმას კი, თუ შემდეგ რა უნდა გავაკეთოთ, უკვე შენ თვითონ გვეტყვი.

პოლიტიკური ფილოსოფიის მიზანია, შექმნას სახელმწიფოს მართვის რაციონალური თეორია. **პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაა. ჩვენი ფსევდოპოლიტიკოსები, რაღაც არარსებულს მართავენ. ესაა პარადოქსი, რომელიც არც ტანჯულ ხალხს და არც მათ ლიდერებს არ აწუხებთ. კიდევ ერთხელ შევეხოთ ამ პარადოქსს.**

სახელმწიფო – პოლიტიკური ძალაუფლების მექანიზმია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1651 წელს ჰობსმა, პირველადი განმარტებით, ნაშრომში – „ლევიათანი“ სახელმწიფო შეადარა მანქანას, მექანიზმს.

ამგვარად, ჩვენ გვაქვს სახელმწიფო მექანიზმი, სადაც მის ნაწილებს შორის სინქრონიზაცია, შეთავსება, ნორმალური კავშირი არ არსებობს.

ჩვენი სახელმწიფო რეალურად რაღაც ბლოკების, სისტემებისა და ჭანჭიკების უაზრო გროვას წარმოადგენს. ფსევდოპოლიტიკოსების ერთი ნაწილი გვარწმუნებს, რომ ის ამ გროვას ეფექტურად მართავს, ხოლო მეორე ნაწილი გვპირდება, რომ ამას, მათზე უკეთესად მოახერხებს (ალბათ, ასეთი დაშლილი მანქანის ფინიშამდე მიყვანას უშემახერცი და მეც ერთნაირი „წარმატებით“ შევძლებთ). ვიმეორებ:

ჩვენი ფსევდოპოლიტიკოსების მიზანია – გაცამტვერებული, არარსებული სახელმწიფოს მართვა!

მარტივად ასახსნელია ეს პარადოქსი – **უსაფუძვლო შეპირებები ჩვენი ფსევდოპოლიტიკოსების ძირითადი პროფესიაა, ეს ზომ სარფიანი საქმეა.**

იმ ხალხის ლოგიკა, რომელიც ასეთი „ბრძენი“ ფსევდოპოლიტიკოსების ხელმძღვანელობით აწყობს კრებებს, მიტინგებს (სადაც ერთმანეთს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ), პირდაპირ საკვირველია.

ვიმეორებთ, ცხადია, ასეთი ფსევდოპოლიტიკოსების მიერ მართვის სათავეებთან ათრეული ან უკვე იქ მყოფი სუბიექტი, რომელიც მხოლოდ სავარძელს უფრთხილდება, ხალხისთვის არაფერს გვაკეთებს. სურვილიც რომ ჰქონდეთ, მათ რეალური საფუძველი, აღსრულების მექანიზმი არ გააჩნიათ. ტანჯულთ უნდა გავაგებინოთ, რომ:

ჩვენი გადაუღებელი ამოცანაა ჯერ მატრიცის ჩამოყალიბება და შემდეგ სახელმწიფო მექანიზმის თავიდან შექმნა.

ცალკეული ბლოკების, ჭანჭიკების შეცვლა უაზრობაა.

ამ პროცესს წინასწარი მომზადება და თქვენთან ერთად გააზრება სჭირდება და გვერწმუნეთ – **შედგე ყველა მოლოდინს გადააჭარბებს.**

მთავარია, ჩვენი ყოფიერების სრული სურათის აღქმა და მთლიანობის, ერთობის მიღწევა შევძლოთ.

იზიდას როდი აქვს სახეზე საბურველი, ეს ჩვენ გვაქვს ლიბრი გადაკრული თვალებზე.

რათა სიცოცხლის აზრი გავიგოთ, ცხოვრების ჩარჩოდან უნდა გავიღეთ. თანაც, მხოლოდ გასვლა არაფერს გვიშველის, რათა სამყარო მთლიანობაში აღვიქვათ, უნდა ავმალდეთ კიდევ.

მაშინ დავრწმუნდებით, რომ ის, რაც მანამდე უაზრობად გვეჩვენებოდა, უაზრობა იმიტომ იყო, რომ ჩვენ მხოლოდ მთლიანის ფრაგმენტს ვხედავდით. ცხოვრების ფრაგმენტული აღქმა კი ამოცანის არაცალსახა გადაწყვეტაა, ვინაიდან ეს ნაწყვეტი რაღაც მთლიანზეა დამოკიდებული და მთლიანის გაუაზრებლობა ცხოვრების აზრს უაზრობად წარმოაჩენს.

ცხადია, ერთის პირადი ცხოვრება (რომელიც ცხოვრების ცენტრად, ათვლის წერტილად არ შეიძლება მივიჩნიოთ), ბრმა ძალთა თარეშის სავანედ, უაზრო შემთხვევითობათა გადაკვეთის წერტილად მოგვეჩვენება. ადამიანები სფეროს შემადგენელ წერტილებს ვგაყაროთ, რომლებიც ცენტრისკენ, ანუ **ღვთისკენ** ისწრაფვიან.

ვიციტ – ღმერთი სიყვარულია. ისიც გასაგებია, რომ ადამიანის სულის გახსნა, უიძებლოდ დანახვა მხოლოდ მასთან, ცხოვრების პირველწყაროსთან მისვლითაა შესაძლებელი.

რაც უფრო ვუახლოვდებით სფეროს ცენტრს, მით უფრო ახლოს ვართ ერთმანეთთან.

ღმერთთან მისვლა ერთმანეთის პოვნას ნიშნავს.

მთლიანობის დარღვევა ყველას სიკვდილია.

სიყვარული ადამიანთა ცხოვრების საფუძველია, მისი არსია და თუ ადამიანი განცალკევებული და ჩაკეტილია, ეს ნიშნავს, რომ ის სხვისი ცხოვრების ხარჯზე თვითდამკვიდრებას ცდილობს.

ის ადამიანი, რომელიც თავის ნამდვილ არსს მთელში შეიცნობს, მიხვდება, რომ ცხოვრება სიყვარულის გარეშე, უაზრობაა. მიხვდება, რომ ადამიანი გარეგნულადაა შეკრული, სხვისგან გამოყოფილი, ჩაკეტილი სისტემა, შინაგანად, სულით კი მთელს ერწყმის.

ადამიანი საკუთარ „მე“-ს რაც უფრო უკეთ შეიცნობს, მით უფრო ფართოვდება მისი აღქმის უნარი, და ბოლოს, ის გაითავისებს სამყაროს, როგორც მთლიანს, საკუთარ „მე“-ს კი, როგორც ამ მთლიანის ნაწილს.

რატომღაც, ზოგს ჰკონია, რომ ადამიანები ერთმანეთთან „ურთიერთობენ“, როცა შეუსვენებლივ, მუხლჩაუხრელად დარბიან, ერთმანეთს მრავალჯერ ხვდებიან, გაზეთს კითხულობენ, მიტინგებზე დადიან და სიტყვით გამოდიან, ზოლო ისინი, ვინც საკუთარ „მე“-ს უღრმავდება, ხალხს განუდგა. ეს შეცდომაა.

როდესაც ადამიანი გარეგნულ ურთიერთობებზე ხურდავდება და ყველასთან საქმიან ურთიერთობაშია, სწორედ მაშინ არის ის ჩაკეტილი, ყველასგან მიტოვებული, ეულად დარჩენილი! ასეთი ვერასდროს აღიქვამს სხვის ცხოვრებას. ვისაც ადამიანის სიყვარული არ შეუძლია, ჩვენი ნათქვამის აზრს ვერ ჩაწვდება.

გალაკტიონი ღმერთთან და საკუთარ თავთან მარტო რომ არ დარჩენილიყო, ვერასდროს გავიგებდით, თუ რა ძლიერად ვუყვარდით, თუ რა სიმდიდრე დაგვიტოვა.

სწორედ, საკუთარ თავში ჩალრმავეების გზითაა შესაძლებელი ტრანსცენდენცია – მიღმა გასვლა.

ფსევდოპოლიტიკოსის ტელეეკრანიდან ათასებთან ურთიერთობა (ანუ „ჩემზე, როგორც ერთ მეთასეზე, ზრუნვა“) ნათლად აჩვენებს, რომ ათასებთან „მიახლოებით“ ის სამუდამო მარტობაში გადადის. არიან ადამიანები, რომლებიც მას საზოგადო მოღვაწედ აღიქვამენ; ის მათთვის ადამიანის „ბედზე მოფიქრალი“ და „სამშობლოს კეთილდღეობისთვის“ თავგანწირულია.

არც ერთი „პოლიტიკოსის“, „საზოგადო მოღვაწის“, „გრძნობა“, აზრი, ლოზუნგი არ გვასხოვს.

ყველა ჩვენი „პოლიტიკოსის“, „საზოგადო მოღვაწის“ კრებაზე, მიტინგზე, გაზეთიდან თუ ეკრანიდან „გადმოფრქვეული“ აზრები, ადამიანზე „ზრუნვის“ ყველა მცდელობა ერთად აღებული, უსუსური ილუზიაა იმ რამდენიმე სიტყვასთან შედარებით, რაც ნაბადწაფარებულმა, განმარტოებულმა მამულიშვილმა თქვა:

“ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარეც ამას ვდუღუნებ“.

ამ ფრაზას მეორედ წაკითხვა აღარ სჭირდება. ის უკვე ჩვენშია და ცხოვრების ბოლომდე გაგვეყვება . . . და მის შემდეგაც ჩვენში დარჩება.

ეჭვგარეშეა, რომ

**იდეათა პროპაგანდა – იდეის არსებობას მოითხოვს;
იდეის არსებობა მატრიცის შექმნას საჭიროებს;
ხალხისთვის სიკეთის გაღება – სიკეთის ფლობას მოითხოვს.**

ხაბაზს პურის გამოსაცხობად ფქვილი სჭირდება, ფქვილს – ხორბალი. ხორბლის გარეშე, წისქვილის შენებას აზრი არა აქვს.

აბა, რას მოგვიტანს წისქვილის ქვის უაზრო ბრუნვა?

ისინი კი აშენებენ ქარის წისქვილებს, რომლებიც ხმაურით, უაზროდ ბრუნავენ და ავიწყდებათ ერთი „წვრილმანი“ – ხორბლის მარცვლის დათესვა-მოყვანა. იმასაც კი ანადგურებენ, რაც შემთხვევით ამოსულა.

პროცესი მიზნის გარეშე, უაზრო წრებრუნვათა ნაკრებია, რომელიც ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ, უბრალოდ, შეწყდება.

მხოლოდ საკუთარ „მე“-ში ჩაღრმავება, ჩაფიქრება, მიზნით გაერთიანება შეცვლის ბოროტს კეთილით. მხოლოდ ასე მივალთ მთლიანთან, სიცოცხლის აზრთან, რომელიც ყველასთვის ერთი იქნება.

ჩვენი ცხოვრების უკეთესით შეცვლა ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს.

ეს ნაშრომი კიდევ ერთხელ დააფიქრებს იმ ადამიანებს, რომლებიც ხვდებიან, რომ გადის დრო და სასიკეთოდ არაფერი იცვლება. უფრო მეტიც, ჩვენი ფანტაზიისათვის მიუწვდომელი, წარმოუდგენელი რეგრესის ზღვრამდე დავეშვით და ამ კომპარის გავლენით ტკივილს შევეჩვიეთ.

ჩვენი ზნეობა, არსი სასტიკმა სულიერმა თუ ყოფითმა წამებაამაც ვერ გატეხა და ჩვენს ცხოვრებაში იწყება ის პერიოდი, როცა ტკივილის აღარ გვეშინია. გავიზარდეთ, ავმალღლით შიშზე. ჩვენ უფრო სწრაფად ვიზრდებით, ვიდრე ტკივილი. ჩვენი სიჯიუტე შიშზე ძლიერი აღმოჩნდა. ის, რაც საშინელებად გვეჩვენებოდა, უკვე აღარ გვთრგუნავს. ვიზრდებით ყოფიერების ამაზრზენ მდგომარეობას, ვსწავლობთ, ვაანალიზებთ, ვათვალისწინებთ არა შიშითა და ზიზღით, არამედ კრიტიკულად, ისევე, როგორც პროფესიონალი პათანატომი გაზრწნილ გვამს.

იბადება სულიერი წონასწორობა, მღელვარება თანდათან ქრება. ეს ის მდგომარეობაა, რასაც ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა მოუგონეს სახელი – ატარაქსია – აუღელვებლობა, სულიერი სიმშვიდე, რისკენაც გონებაგანსხილი ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს; ამ მდგომარეობაში გაუტეხელი სულის ადამიანი ხვდება, რომ მასში წინააღმდეგობის უნარი იზრდება; ის გრძნობს საკუთარ ძალას, იდეალების სიმტკიცეს და რაც ადრე მასში პათოლოგიურ შიშს იწვევდა, აღარ აშინებს, რადგან მას ზნეობა, თავისუფალი ნება, გონება, სილამაზის აღქმა, სამშობლოს სიყვარული და საკუთარი თავის – სულის პოვნა აძლიერებს.

ჩვენ ისინი ვართ, ვისაც რწმენით ცხოვრება შეგვიძლია. ჩვენ არა ვართ ლოგიკისადმი, პრინციპებისადმი გონება და სმენადანშულნი, არც ბრმანი ვართ.

ჩვენ შეგვიძლია თავი შევიკავოთ ისეთი გამრყენელი ალერსისაგან, რომელსაც უკვე მძორის სუნის ასდის.

ჩვენ სამშობლოს სული ვართ, რადგან ვხვდებით, რომ ადამიანებს კი არა, ღმერთს უნდა დავემორჩილოთ.

ჩვენ გვსურს ასეთი სიმაღლიდან ვუყუროთ მავანთა და მავანთა ამაზრზენ „მიწიერ“ ცხოვრებას და ეს გამარჯვებაა, რადგან ეს ზეციური სიმაღლეა.

და ისინი არა მარტო ჩვენი სიმაღლის, ლოგიკის, ზნეობის, არამედ უდრეკი ნებისყოფის წინაშეც აღმოჩნდებიან.

რატომ არ ეწინააღმდეგებიან ნერონებს, ტირანებს, აფერისტებს? რატომ აძლევენ მათ ყველაფრის უფლებას? – მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი მათზე უკეთესი არ არის.

და თუ ვინმე გააზრების გარეშე გვპირდება, რომ ტირანს გაანადგურებს, ალტკინებულებმა, ნიშნის მოგებით ტირანისკენ კი არ გავიხედოთ, უპირველესად, ყურადღებით დავათვილიეროთ ის, ვინც ამას გვპირდება.

„მე მინდა ვგრძნობდე აუცილებლობას, ვწერო ეს სტრიქონები. თქვენი მოვალეობაა, განმსაჯოთ ამისათვის“ – ვოლტერი.

მართლაც, რა შინაგან აუცილებლობას უნდა ვგრძნობდეთ, რომ გააზრებული ქმედება დავიწყოთ? რა ავირჩიოთ ცხოვრებისეული მიზნებიდან და ფასეულობებიდან მთავარ ორიენტირად? მოდით, უპირველესად, თავიდან მოვიცილოთ შემაშფოთებელი კითხვა – რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, რომ ჩვენი ყოფა უკეთესობისაკენ შეიცვალოს?

კითხვა ასე დავსვათ: რა უნდა გააკეთო მე და რა – შენ?

ერთი შეხედვით, თითქოს სამყარო უცვლელია. თუმცა, ყველაფერი მეორდება და თუ იქ რაიმე შეიცვლება, მხოლოდ შენთან ერთად. აქ არაფერია ბოლომდე განსაზღვრული, სანამ შენს კუთვნილ ადგილს არ დაიკავებ. უშენოდ არ დამკვიდრდება წესრიგი, ჭეშმარიტება, სილამაზე. არ იქნები შენ – არ იქნება არაფერი.

მე ვხედავ, რაც უშენოდ გაკეთდა;

შენ ხედავ, რაც უჩემოდ გაკეთდა;

შედეგი ყველაფერს განსაზღვრავს.

„მრავალნი არიან წვეულნი და მცირეღნი – რჩეულნი.“ (მათე 22. 14).

„შედით ვიწრო ბჭით, ვინაიდან ვრცელია ბჭე და ფართოა გზა, რომელსაც მივყავართ წარსაწყმედლად, და მრავალნი დადიან მასზე. ვინაიდან ვიწროა ბჭე და ძნელია გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ, და მცირეღნი ჰპოვებენ მას“ (მათე 7. 13-14).

მხოლოდ ასეთნი არიან მზად, შექმნან და დაამკვიდრონ უმაღლესი ხარისხის მატრიცა, რის გარეშეც შეუძლებელია საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბება. მხოლოდ ასეთნი უნდა იყვნენ სახელმწიფოს არსის, იდეის მცველი პალადინები.

ქრისტიანული პოლიტიკა

„ყველა ღმერთის მიერ განისწავლება. . .“

(იოანე 6, 45)

„მცირედში სანდო დიდშიც სანდოა.
და მცირედში უნდო დიდშიც უნდოა.“

(ლუკა 16, 10)

მოგეხსენებათ, უკანასკნელ პერიოდში დატრიალებული კომმარტიდან სულიერი სილატაკე და დაგლეჯილი ნერვები გამოგვეყვა. რწმენით ამაღლებული საზოგადოება, საკუთარი ტკივილის გადატანის შედეგ, ლოგიკურ დასკვნას მაინც გამოიჩინა. ჩვენ კი ესეც ვერ მოვახერხეთ, რადგან ურწმუნობაზე დაფუძნებული მორალით კარგისა და ცუდის გარჩევა შეუძლებელია. ჩვენთვის სიკეთისა და ბოროტების მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმი არ არსებობს და შესაბამისად, ძიებისთვის არავითარი ორიენტირი არ გავგაჩნია.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ჯიუტად, მუდმივად, ხმამაღლა შევახსენოთ ერთმანეთს, რომ ეს რწმენაგამოცლილი „მორალი“ იმ უსამართლობის დამკვიდრების საფუძველია, რაც ჩვენს ცხოვრებას გაუსაძლისად აქცევს.

რწმენაგამოცლილი მორალი:

ტყის ბილიკზე ორი მორჩილი მონასატრისკენ მიემართებოდა. როცა ისინი პატარა მდინარეს მიუახლოვდნენ, გადაწყვიტეს შეესვენათ. უეცრად, ახალგაზრდა ქალი შენიშნეს, რომელიც მდინარეზე გადასვლას ტანსაცმლის დაუსველებლად ლამობდა. ერთმა მორჩილმა ქალს დახმარება დაუფიქრებლად შესთავაზა. ის ხელში აიყვანა და მდინარის მეორე ნაპირზე ფრთხილად დაუშვა. ქალმა მადლობის ნიშნად გაუღიმა და გზა განაგრძო.

მორჩილებმაც განაგრძეს გზა. ცოტა ხნის შემდეგ მეორე მორჩილი შეჩერდა, თანამგზავრისაკენ სახის მკაცრი გამომეტყველებით შებრუნდა და აშკარა, დაუფარავი აგრესიით ჰკითხა:

– ეს რა ჩაიდინე?

მეორემ ჩუმი ლოცვა შეწყვიტა და კითხვას კითხვითვე უპასუხა:

– რაზე მეკითხები?

– როგორ გაბედე იმ ქალის გაკარება? ხელშიც კი აიყვანე?! – მის ხმაში ზიზღნარევი უკმაყოფილება იგრძნობოდა.

– აი, თურმე რაშია საქმე! – გაიღიმა მორჩილმა – ის ქალი, რომელიც მე ნაპირზე ერთი საათის წინ დავტოვე, შენ ჯერ კიდევ ხელში გყავს აყვანილი . . .

ამრიგად, ცხადია, შესაძლოა მორალი საკუთარი ნების დამკვიდრების, პირადი მიზნების მიღწევის საშუალებად იქცეს.

არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც მორალი მტკიცე ზნეობრივ საფუძველს ეყრდნობა, პირადი ბედნიერება საზოგადოებისაგან მოწყვეტით არ განიხილება. ეს მიღებული ნორმა და ცხადი ჭეშმარიტებაა. იქ თვითდამკვიდრება საზოგადოების გარეშე, აზრს მოკლებულია.

რელიგიასა და პოზიტიურ მეცნიერებათა შორის ანტაგონიზმი გამორიცხულია, თუნდაც იმიტომ, რომ მათი კომპეტენციები სხვადასხვაა.

ფსევდოპოლიტიკოსი მორალს, ტრადიციებს, ადამიანებს პოლიტიკური მიზნის აღსრულებისათვის წარმატებით იყენებს და „მონანიებასაც“ კი მიმართავს, მხოლოდ არა ღმერთის, არამედ ამომრჩევლის წინაშე. ასეთი სუბიექტები მხოლოდ საკუთარ წარმატებაზე ფიქრობენ და ხალხის ბედი სრულიად არ ანაღვლებთ. ცხადია, ამ ფასეულობათა პოლიტიკური აღზევების მიზნით გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ

ქრისტიანული ჭეშმარიტებით მანიპულირება შეუძლებელია.

თუ არსით ქრისტიანი ხარ, შენი შეცდენა შეუძლებელია.

ცდუნდება ის, ვინც ადვილად იჯერებს მხოლოდ იმას, რაც კონკრეტულად მისთვისაა სასურველი.

სწორედ ამ სისუსტეს იყენებს ფსევდოპოლიტიკოსი, ვისთვისაც მორალი მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა და არა ცხოვრების წესი. მათ მიერ შექმნილი სოციალური წყობა კონკრეტული ადამიანის შესაძლებლობების გამოძღვანებისა და გამოყენების საშუალებას არ იძლევა. ეს კი ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის, ოჯახის, ერის, სამშობლოს სამსახურისთვისაა აუცილებელი. ამგვარად,

კრიმინალური ელიტა უბედურებიდან ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე ბარიერად გვეკლდინება.

და თითოეული ადამიანი უმნიშვნელოვანესი არჩევანის წინაშე დგება – ღმერთს ემსახუროს თუ „მამონას“.

აქ საშუალო მდგომარეობა არ არსებობს.

თუ თქვენ ღმერთთან არა ხართ – მისი წინააღმდეგი ხართ, თქვენთვის ძვირფასი ადამიანის, ოჯახის, ერის, სამშობლოს წინააღმდეგ მიდისხართ.

ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ქრისტიანულ ჭეშმარიტებასთან თვალის გასწორება უძლიერესად აძლიერებს, ჩვენში ინტელექტუალურ-ესთეტიკური ფასეულობა ნელ-ნელა ქრება და ქვეითდება. სწორედ, ამგვარად ხდება მორალური ნიჰილიზმისა და გულგრილობის ანარქული და პირადი კეთილდღეობისაკენ ეგოისტური სწრაფვადა რჩება.

ცხადია, არაქრისტიანულ ცხოვრებას კერპთაყვანისმცემლობის რაღაც ვარიაციებამდე მიყვავართ. ჩვენ მმართველად კეისარს ვირჩევთ და ეს არჩევანი აუცილებლობას წარმოადგენს, რათა პირადი პასუხისმგებლობისაგან გაეთავისუფლდეთ. პოლიტიკური ელიტა კი ამა თუ იმ პირის კეისრად აღზევების ხელსაწყოებს მშვენივრად ფლობს. ჯერ მისგან სიმართლისმადიებელ გმირს ქმნის, შემდეგ მისი ფსევდოტანჯვა და დევნა იწყება, ანუ გმირის კანონიზება მიმდინარეობს, შედეგად ვიღებთ გმირს კრედიტით, ანუ ნისიად.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა ორმაგი მორალის მქონე, მოთვინიერებული, დაპატენტებული გმირი. თუ ამ პიროვნებაში სურვილი და ნებისყოფა არაპროპორციულადაა წარმოდგენილი, მაშინ ის საკუთარ თავში უკვე „მხსნელს“ ხელავს და ეჭვიც კი აღარ ეპარება, რომ ისტორიული მისიის შესასრულებლად მომწიფდა. ის ისტორიული ნახტომის გაკეთებას ცდილობს, უარყოფს თავის შემქმნელს და გვიმტკიცებს, რომ პოლიტიკურ ჭაობში შობილსა და აღზრდილს ტალახი არ მისცხობია; და ამგვარად ცდილობს პოლიტიკაში მომგებიანი ქულების დაგროვებას.

“ნუ გასჯით შეხელულებით, არამედ სამართლიანი მსჯავრით განსაჯეთ“ (იოანე 7, 24).

ვინმეს მხილება ან გაკიცხვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ისინი საკუთარ თავს თვითონვე ამხილენ და მოვა დრო და უფალი განიკითხავს მათ!

ჩვენთვის კი უპირველესია არ დავივიწყოთ, რომ

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.“ ეს არის პირველი და მთავარი მცნება.

„და მეორე ამის მსგავსი: შეიყვარე მოყვასი შენი . . . „ (მათე 22, 37-39)

ეს სამი სიტყვა ათ მცნებას მოიცავს.

ეს უდიადესი პრინციპი საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების მუდმივი საფუძველია. იმ სუბიექტებშიც კი, რომელთა არსში აღნიშნული პრინციპი დასუსტებული ფორმით მაინც ღვივის, „ახლობლის“, „თავისი მსგავსის“ ძიების მოთხოვნილებას წარმოქმნის. ეს იმ ჯგუფის შემქმნის საფუძველია, ვისი ბედიცა და ცხოვრების დონეც ერთ ინდივიდზეა დამოკიდებული, ამ ინდივიდის ბედი კი – ჯგუფზე.

ამაღლებული კულტურის მქონე საზოგადოებაში, ცხადია, ეს პრინციპი უძლიერეს სულიერ საფუძველს ქმნის და ამ საზოგადოების თითოეული წევრი გრძნობს:

– მე მათი სულიერი ცხოვრების ნაწილი ვარ და ისინი – ჩემი.

ესაა შინაგანი სიანდლის, ამაღლებული ინტუიციური გაგების შეგრძნება, რის გარეშეც ცნება „ჩვენ“ არ არსებობს, ეს ერთობის შეცნობაა. ნორმალური საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ ასეა შესაძლებელი.

ამ პრინციპის დამკვიდრება პროგრესის საფუძველი.

“გიყვარდეს მოყვასი შენი . . .“ – ამ სამ სიტყვას ვერც ერთი ფილოსოფიური, საზოგადოებრივი თუ არასაზოგადოებრივი თეორია დაუდგება გვერდით. „დახვეწილი“ თუ „ჭკვიანური“ თეორიებით რეფორმატორთა ქვენაგრძნობების გამართლების მცდელობა, ამ სამსიტყვიან პრინციპთან შედარებით, ალოგიკური, უსუსური და უაზროა.

პროგრესირებადი, სრულყოფილი საზოგადოების შექმნა შეუძლებელია, თუ ადამიანებს შორის ადამიანური დამოკიდებულება არ არის.

თუ ხელოვანი, მწარმოებელი, კანონმდებელი, მეცნიერი ვართ, ეს მისასაღებელია, მაგრამ, მთავარია იმავდროულად ადამიანებიც ვიყოთ.

ცხოვრება უაზრობაა, თუ ადამიანი ადამიანისათვის ადამიანი არ არის.

კაცობრიობის ისტორია „ჭკვიანური“ თეორიების ავტორთა ნაკლებობას არ განიცდის. ამ თეორიებში გამოთქმული აზრი ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

თუ ადამიანს შინაგანი, ღვთისაგან თანდაყოლილი ზნეობა, პრიმიტიულ ან დახვეწილ ძალადობამდე დაშვების უფლებას არ აძლევს, მაშინ საზოგადოების მართვის სისტემაში მისი ადგილი არ არის.

ან, უფრო მარტივად, საზოგადოების მართვა, პოლიტიკა ბინძურია და იქ ზნეობრივ ადამიანს არაფერი ესაქმება.

კაცობრიობის კეთილი ნების ადამიანებს რომ სცოდნოდათ, მათთვის მოპარული სიმდიდრის რა ნაწილი იხარჯება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ არსებობის გამამართლებელი თეორიის შემქმნელ, მეცნიერებად წოდებულ, ზნეობადაქვეითებულ, ინტელექტუალურ იმპოტენტებზე, ამ „დახვეწილ“ თეორიებს სულ სხვა თვალთ შეხედავდნენ.

ასეთ „მეცნიერთა“ აზრი თუ თეორია ვერ ხსნიდა და ვერც ვერასოდეს ახსნის იმ ფაქტს, თუ რატომ, რომ ძალადობაზე, ძარცვაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობა ისტორიულად მხოლოდ მცირე დროით არსებობს (ფაშიზმი, ბოლშევიზმი, . . .); ან მუდმივ ეკონომიკურ-სულიერ სიღატაკეს რატომ განიცდის აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა და მათ შორის – ჩვენიც?

ის ქვეყნები, სადაც საზოგადოებრივი ფენის ნებისმიერ საფეხურზე მდგომ ინდივიდზე ძალადობა არა მარტო მრავალტომიან საკანონმდებლო აქტებში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც უმაღლეს დანაშაულად ითვლება, ეკონომიკურ აღმავლობას აღწევენ (ა.შ.შ., ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ნორვეგია . . .). ამ ქვეყნებში თუ რომელიმე მოქალაქე, თუნდაც ერთხელ, სხვისი ღირსების შელახვას გაბედავს (საკუთარი ოჯახის წევრების ჩათვლით), ის საზოგადოებრივ მმართველობაში არჩევას ვერასდროს ეღირსება.

იკითხავთ – უზნეო თეორიების გამოყენებას ხომ ახერხებდნენ და ახერხებენ, ხომ მოახერხებენ კვლავაც? . . .

– არა, სამსიტყვიან პრინციპს – **გიყვარდეს მოყვასი შენი** – ვერაფერს მოუხერხებენ. მხოლოდ იმ სუსტი ადამიანის სულიერი დაჩლუნგებაა შესაძლებელი, რომელმაც ეს პრინციპი ვერ გაითავისა. ადამიანიდან – ცხოველამდე, აი ამ თეორიების მაქსიმალური შესაძლებლობა.

ჩვენთან ამ „იდელბმა“ ვოლიერის შექმნა მხოლოდ იმიტომ მოახერხა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ამ სამსიტყვიან პრინციპის გათავისება მიუღწეველი აღმოჩნდა.

“ჭკვიანურ თეორიებს” შეუძლია სუსტი ადამიანი ცხოველად აქციოს. მაგრამ დათრგუნოს ადამიანი, რომელმაც ეს პრინციპი და ილია, ვაჟა, გალაკტიონი . . . შეიცნო და გაითავისა – შეუძლებელია.

ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის სადავეები ნებაყოფლობით ჩავაბარეთ მათ, ვისთვისაც მოყვასის სიყვარული კი არა, თვით სიტყვა – „მოყვასი“ დღემდე ბუნდოვანია. მათთვის ადამიანი მხოლოდ ბოროტი მიზნების მიღწევის საშუალებაა.

ეს მათი ჟამია და ბნელეთის მეუფება.

დავუკვირდეთ მათ ლოზუნგებს, რომელშიც მეტაფორაც კი არ იგრძნობა:

“გავერთიანდეთ და საერთო საქმე ვაკეთოთ!” – ამ მოწოდებაში ყველას მხრიდან მათთვის სასარგებლო საქმის კეთება იგულისხმება.

“გვიყვარდეს სამშობლო!” – რას ნიშნავს ჯგუფური სიყვარული, ეს ჩვენთვის გაუგებარია.

სამშობლოს სიყვარული ხომ ისევე ინტიმურია, როგორც ძვირფასი ადამიანის სიყვარული.

ჯგუფური სიყვარული შემწვარი კარტოფილის მიმართაც უაზრობაა.

ცხადია, ამგვარი ლოზუნგები იმ ადამიანის მოგონილია, ვინც ცდილობს ჯგუფში, მასაში შეი-
ნიღბოს, რათა მისი უსახურობა, სიყვარულის უუნარობა, ანუ სულიერი იმპოტენცია მკვეთრად არ
გამომჟღავნდეს. მისთვის არარაობას წარმოადგენს თანამემამულე, მოყვასი, რომელსაც ზნეობა დაა-
კარგვინა. ის საკუთარ თანამემამულეებს აქტიურად ძარცვავს, ფიზიკურად და სულიერად ანადგუ-
რებს და ამას „სამშობლოს სიყვარულს“ უწოდებს.

საკუთარ სულიერ კანიალიზმს ისინი ნიღბავენ ფრაზებით: „საზოგადოებრივი აზრი“, „ქართ-
ველთა პატრიოტიზმი“, „ხალხის მენტალიტეტი“. . . ისინი უგულვებელყოფენ და ჩვენ კი უბრალოდ,
გვაგვიწყდება, რომ:

ადამიანის გარეშე, არავითარი სული, სიყვარული, ცნობიერება არ არსებობს!

ისინი ამგვარ ფრაზებსაც იყენებენ: „არსებობს საერთო აზრი, რომ ესა და ეს პირი, ამა და ამ
თანამდებობაზე დაინიშნოს“. ამგვარად, ნათლად არ ჩანს, თუ ვის სჭირდება ასეთი მინისტრი, ხალხს,
თუ პირადად მათ. ისინი არასდროს იტყვიან – „მაქვს აზრი, ესა და ეს პიროვნება მინისტრად დაინიშ-
ნოს“, რადგან, ამ შემთხვევაში მათ უნდა ახსნან, რომ ხალხს სიკეთეს, სწორედ, ეს დასახელებული
პირი, ამ კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნით მოუტანს.

ასე მარტივად გვატყუებენ და იმის გამო, რომ რეკომენდაციის გაცემი კონკრეტული პიროვნ-
ება არ არსებობს (“არჩევა“ ხომ „საერთო აზრით“ მოხდა), „არჩეული“ პირის მიერ თანამდებობის
ბოროტად გამოყენებისასაც არავინ ისჯება.

ჩვენმა კრიმინალურმა ელიტამ ისიც მოახერხა, რომ კონკრეტული ადამიანი საზოგადოების
მიერ სოციალურ ელემენტად არც კი აღიქმება. ადამიანთა გადაგვარებამ იმ ზღვარსაც მიაღწია, რომ
ხალხს გადაავიწყდა:

**ცნება „ჩვენ“, „მე“-სა და „შენ“-ს შორის სიყვარულით ერთობაა, რაც ოჯახის, ნათესა-
ობის, ერის, სამშობლოს სიყვარულს საფუძვლად უნდა დაედოს.**

**მოყვასის სიყვარულის გარეშე სამშობლოს, ღმერთის სიყვარული მხოლოდ უსაფუძვლო
ილუზიაა!**

სამშობლოს სიყვარული ზოგადი, არაკონკრეტული არ შეიძლება იყოს. ზოგადი განხილვა მხო-
ლოდ აბსტრაქციამდე მიგვიყვანს.

**თუ ცნება „სამშობლოში“ ჩვენს მიწა-წყალთან ერთად, ჩვენი თანამემამულენიც არ ვი-
გულისხმეთ, მაშინ სამშობლოს ცნება აზრს მოკლებულია.**

ეს რომ არ ყოფილიყო, ჩემი და შენი არსი სიტყვა „სამშობლოთი“ არ გაიჟღერებოდა. ვერ გავაი-
გივებდით ყველაზე ინტიმურ სიტყვასთან – დედასთან – დედასამშობლო.

**სამშობლოს შიდა და გარე მტრებს მხოლოდ სამშობლოს ინტიმური სიყვარული ანად-
გურებს.**

ჩვენი სამშობლოს მტერს ჩვენი სისუსტე აძლიერებს;

ჩვენი სისუსტის მიზეზი კი სამშობლოს სიყვარულის არაინტიმურობაა.

საზოგადოებრივი ცხოვრება, ინდივიდუალურ აზრთა შეთანხმებიდან გამომდინარე, გააზრებული
ან სპონტანური ქმედებაა. სხვა ყველაფერი პიროვნებისა და ჯგუფის ინტერესებს, ანუ რეგრესს
ემსახურება და არა ხალხს. შედეგი ის კომმარია, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია.

გამოსავალი შესაძლებელია ორი გზით:

პირველი – გავიხსენოთ ქრისტიანობის ძირითადი ფასეულობა – სიკეთე და სიყვარული.

ღვთის მადლით, ეს მხოლოდ გამოღვიძებაა და თაობათა თავიდან აღზრდას არ საჭიროებს. ჩვენი
საზოგადოების თითქმის ყველა წევრის სულიერი გენეტიკა ხომ უხსოვარი დროიდან ამ უდიდესი
ჭეშმარიტების ზეგავლენით ფორმირდებოდა.

მეორე – სრულყოფით ცხოვრების წესი, იმ უმაღლეს ფასეულობათა რაციონალური გააზრება-დამკვიდრებით, რასაც ამ ნაშრომით გთავაზობთ.

ჩვენი ქვეყნის აღმავლობა მხოლოდ ამ ორი გზის შერწყმითაა შესაძლებელი.

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა ისეა მოწყობილი, რომ რაიმე მიზნის მისაღწევად მარტივ საშუალებებს ეძებს. ისინი აზროვნებასა და ინტელექტის დაძაბვას, პრობლემის ღრმა ფესვების ძიებას გაურბიან. უფრო მეტიც, ისინი ქვეყნის დაღუპვაში ადანაშაულებენ ყველას, ვინც პრობლემაში ღრმად გარკვევას ცდილობს. თავის მხრივ კი არაბუნებრივ, მოგონილ, ავანტურისტულ მეთოდებს გთავაზობენ, რომლის შესახებ ინფორმაცია მესამე პირისაგან აქვთ მიღებული. მათ ისიც არ იციან, რომ:

მაღალი ზნეობისა და განვითარების ადამიანები დიდი ხანია იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მხოლოდ ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმებით ცხოვრების სრულყოფის იმედი საფუძველს მოკლებულია.

უახლოეს წარსულში, თავისუფლებამოპოვებული, იმპორტირებული რეფორმატორული კურსის გათვალისწინებით შეიქმნა სახელმწიფოები, რომლებიც უღარიბესთა რიგებში ავტომატურად აღმოჩნდნენ. ეს კი იმის ნათელი მაგალითია, რომ **დაქვეითებული ზნეობრივი ნორმების მქონე ქვეყნებს მხოლოდ გენიალური რჩევები შედეგს ვერ მოუტანს.**

ერის უსაფრთხოების გარანტი საზოგადოების მყარი სულიერი საფუძველია.

გავისხენოთ, ფეოდალური იაპონია, რომელსაც ორი საუკუნის წინ, ევროპული გაგებით, საკუთარი კულტურის, ზნეობისა და ტრადიციის გარდა არაფერი გააჩნდა, ცივილიზაციის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად იქცა.

მრავალს აკვირვებდა იაპონელი ხალხის „სიჯიუტე“, რაც მათი რთული დამწერლობის შენარჩუნების მცდელობაში გამოიხატებოდა და ვერ ხვდებოდნენ, რომ იეროგლიფში იაპონელის ისტორია, კულტურა და ტრადიციის ჩაქსოვილი და მისი ხელყოფა იაპონელისათვის წარმოუდგენელი იყო, არის და იქნება.

რწმენისადმი, ზნეობისადმი, ტრადიციებისადმი ფუქსავატური მიდგომის შედეგი საკუთარ სულსა და სხეულზე მკვეთრად ვიგრძენით.

ამის მიუხედავად, ალბათ, მრავალი ჩვენგანისათვის ქრისტიანული მრწამსისა და ეკონომიკური აღმავლობის პირდაპირი კავშირი ადვილი წარმოსადგენი არ იქნება.

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ხსნის ორი გზა არსებობს.

პირველი – რელიგიური მრწამსის, ტრადიციისა და ზნეობისაკენ საზოგადოების შემობრუნება.

მეორე – ინტელექტის გამოყენებით ქმედება და ცხოვრების წესის ნორმების სრულყოფა.

რა თქმა უნდა, ამ ორ გზას შორის ანტაგონიზმის არსებობა უაზრობაა. მთავარია მათ შორის ჰარმონიის დამყარება.

მივაქციოთ ყურადღება გავრცელებულ შეხედულებას, რომ ცხოვრების სრულყოფა უფრო ეფექტური და ადვილია საზოგადოების შესვეურების „კანონების დახვეწით“ და კორუფციასთან ბრძოლის „ეფექტური ფორმების“ მოძებნით.

ეს გასაგებია.

გაუგებარია, რატომ ეთანხმება საზოგადოების განათლებული ნაწილი იმ აზრს, რომ ცხოვრებაში ბოროტება მხოლოდ ადამიანთა მიერ ქვეყნის არასწორი წესების შექმნით ან სწორი წესებისა და ნორმების იგნორირებით წარმოიშობა.

დასკვნა ერთია – საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სჯერა, რომ ცხოვრების სრულყოფა პოლიტიკურ-სოციალური რეფორმის გზით არის შესაძლებელი.

შესაბამისად, ნებისმიერი, ვინც საზოგადოებას ამ გზით ბედნიერების მიღწევას პირდება, ჩვენს ცაფიურუნხმელეთურმუხტოვან საქართველოში კერპი ხდება. ხოლო სულიერი პრობლემის მოგვარება, უკეთეს შემთხვევაში, მეორეხარისხოვან ამოცანად მიიჩნევა.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული არსით გააზრებული ცხოვრების საფუძველი სიყვარულია; სიყვარულით სიცოცხლის გაჟღერება, ადამიანის გაკეთილშობილება, სიყვარულის აზრიდან გამომდინარე, აქტიური პროცესია. ეს კი, ეკლესიის ძირითადი ამოცანაა.

აქ, ერთი შეხედვით, სერიოზულ პრობლემას ვაწყდებით.

ჩვენი საზოგადოებისათვის მისაღებია ჩვენი რელიგიის უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზის ნათელ ორიენტირად აღიარება, როდესაც საქმე კონკრეტულად ერთ პიროვნებას, მის სულიერ გადარჩენას ეხება.

ახლა განვიხილოთ კონკრეტული ადამიანებისაგან შექმნილი ჯგუფი, საზოგადოება, ერი, სახელმწიფო. ასეთ სოციალურ სისტემაში სამართლიანობის დაცვის ბაზად ქრისტიანული რწმენის, ზნეობის აღიარებას საზოგადოების გარკვეული ფენა უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ის საკითხისადმი ამგვარ მიდგომას, ანუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მართვაში ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობას, სარწმუნოებისათვის შეუფერებელ აქტად აღიქვამს.

ჩვენი აზრით კი, რწმენის, ზნეობის დეფიციტის შემთხვევაში, პოლიტიკურ-სოციალური სისტემის დახვეწა, გაკეთილშობილება შეუძლებელია.

ამ აზრის განვითარებას – „ქრისტიანულ პოლიტიკაზე“ ან უფრო ნაკლებად რადიკალურ გამოთქამაზე – „ქრისტიანთა პოლიტიკა“-ზე მივყავართ. თუმცა, სიტყვათა ასეთი კომბინაცია ძირითად აზრს კი არ ცვლის, არამედ არბილებს.

მართლაც, აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ეკლესია საზოგადოებრივი ცხოვრების, კანონმდებლობის, სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას ან შეცვლას საერთოდ არ განიხილავდა. პირიქით, ადამიანს სახელმწიფოსაგან თავსმოხვეული უსამართლობის მორჩილად გადატანას ასწავლიდა.

“თითოეული დარჩეს იმ მოწოდებაში, რომელშიც მოუწოდეს“ (I კორ. 7-20).

ჩემი აზრით, ღრმად დაფიქრება გვჭირდება, რადგან:

– „**თუ მოწოდებული ხარ, როგორც მონა, ნუ ითაკილებ, მაგრამ თუ ძალგამს გათავისუფლება, უმჯობესია ისარგებლო“ (I კორ. 7-21).**

– „**ფასით ხართ ნაყიდი, ნუ გახდებით ადამიანთა მონები“ (I კორ. 7-23).**

განსხვავებამ არ უნდა შეგვაშფოთოს.

უმაღლესი ჭეშმარიტება იმით არის უმაღლესი, რომ მასში ეჭვის შეტანა გამორიცხულია. ჩვენ მხოლოდ საკუთარი აზროვნების უნარში დაეჭვების უფლება გვაქვს.

ჩვენთვის ეს, მართლაც, ჭეშმარიტებაა.

თუ ინდივიდი არსით მონაა, სანამ მასში თავისუფლება არ გაიღვიძებს, მისი აღზევება, მისთვის ძალაუფლების მინიჭება უდიდესი შეცდომა იქნება. ადამიანმა მონობისაგან ხსნა თვითგადაღალახვის აქტით უნდა აღასრულოს და არა ვინმეს შემახილით ან „მექანიკური“ დახმარებით.

ქვენაგრძნობების, ფულის, შურის, ნარკოტიკების მონების გათავისუფლებამ და აღზევებამ რა დღეში ჩაგვაგდო, ყველას კარგად მოგვეხსენება. სწორედ ესაა ჩვენი უბედურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

თუ არსით თავისუფალი ხარ, შენი თავისუფლების შეზღუდვა შეუძლებელია;

თუ არსით თავისუფალი ხარ და გაიძულეხენ მონა იყო, განთავისუფლებას უნდა ეცადო, რადგან მხოლოდ თავისუფალნი

„გულმოდგინებით ემსახურებიან უფალს და არა ადამიანებს“ (ეფეს. 6-7).

„ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ. ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ. ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“ (ეფეს. 6-12).

პირადულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის მკვეთრი საზღვრის გავლება შეუძლებელია.

საზოგადოება, სახელმწიფო, როგორც პიროვნებათა გაერთიანება, ზნეობრივი შემეცნების უნარის მქონე ადამიანისათვის უნდა წარმოადგენდეს დიდ ოჯახს, რომლის ცხოვრების წესსა და ნორმებზე, მის შესრულებაზე ოჯახის ყოველი წევრი უნდა იყოს პასუხისმგებელი. ასევე, სახელმწიფოს მმართველი „ოჯახის“, ანუ სახელმწიფოს თითოეულ წევრზე უნდა ზრუნავდეს.

თავის მხრივ, ცხადია, ადგილი უნდა ჰქონდეს უკუკავშირს, რამაც საზოგადოებაში ზნეობის უფრო მაღალი დონის დამკვიდრებას უნდა შეუწყოს ხელი.

ეს ადამიანის თვითგანვითარების, ანუ საზოგადოების ყველა წევრის ქრისტიანული ცხოვრების წესთან თანდათანობით მიახლოების ერთადერთი საფუძველია.

პოლიტიკური ფანატიზმის, ცალმხრივი პოლიტიციზმის და მათ მიერ დამკვიდრებული ბოროტების დასამარცხებლად მხოლოდ ესაა ერთადერთი იარაღი.

„მაშ, იდეებით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილნი“ (ეფეს. 6.14).

გამოდის, რომ საზოგადოების სულიერი და ეკონომიკური აღმავლობისაკენ ერთადერთი ეფექტური გზა არის გზა შიგნიდან გარეთ, ანუ პირადული ცხოვრებიდან – საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ.

ეს გზა სიყვარულზე, თანაგრძნობაზე, ადამიანის პატივისცემაზე, სიმართლის ქადაგებაზე უნდა გადიოდეს. მხოლოდ ასეთი მიდგომა ზღუდავს სიბნელეს, ქაოსს. აი, ასე შეიქმნა ის, რასაც ქრისტიანული ცივილიზაციის კულტურას დამსახურებულად უწოდებენ.

ადამიანი მონობისგან სწორედ ამ გზამ გაათავისუფლა.

ამგვარად, საზოგადოების განვითარებისათვის უპირველესია ზნეობა.

„ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა“ (იოანე 18.36).

სამყაროს ჭეშმარიტებასთან მიახლოება სწორედ ზებუნებრივი ძალებით უნდა მოხდეს; მის გარეშე არ გაკედება არაფერი, მისი ნათელი ამ სამყაროსაკენაა მომართული. არაამქვეყნიური ნათლის ძალა ღრმად იჭრება და კურნავს ქვეყანას.

„მე ვარ ნათელი ქვეყნისა; ვინც გამომყვება, ბნელში კი არ ივლის, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი“ (იოანე 8. 12).

სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

გზა შიგნიდან გარეთ – ესაა ქრისტიანული გზა.

ნუ ღავივიწყებთ, რომ

ის სამი სიტყვა – გიყვარდეს მოყვასი შენი – სახელმწიფო და პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნაზე გაცილებით მაღლა დგას!

ქრისტიანული რელიგიის ეს მთავარი მცნება, მოწოდება, სწავლება, შეგონება კონკრეტული ადამიანის სიყვარულს, ყურადღებას, თანაგრძნობას, პატივისცემას, ღირსების დაცვას, კონკრეტულ ადამიანში ღვთის ანარეკლის დანახვას ემსახურება!

ცხადია, თუ ნებისმიერ სოციალურ ფენაში მყოფი ამას შეძლებს, მაშინ მონობა არა მარტო მასში, არამედ მის ირგვლივაც გაქრება. ქრისტიანული შეგნების ადამიანს ყველას ბელზე პასუხისმგებლობა ეკისრება და რაღა თქმა უნდა, იმ ბოროტებასა და სიბნელეზეც, რაც ჩვენ გარშემოა გაშეშებული.

სიკეთითა და სიყვარულით ბოროტების შეზღუდვა სწორედ კონკრეტულ ადამიანს მოეთხოვება.

მოგესხნებათ, ქრისტიანული შემეცნებით ადამიანთა გაერთიანება მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი. დავუკვირდეთ და მივხვდებით, რომ მხოლოდ ამგვარი გაერთიანებაა უმძლავრესი.

ჩვენი აზრით, ქრისტიანული რელიგია შემოქმედების, რეფორმის, სრულყოფისა და სწრაფვის მარადიული საფუძველია.

„დაინახა გზის პირას ერთი ლელვის ხე, და რაკი ზედ ფოთლების მეტი ვერაფერი ნახა, უთხრა მას: აღარასოდეს გამოგელოს ნაყოფი უკუნისამდე. და მაშინვე გახმა ლელვის ხე“ (მათე 21.19).

აქ დასაფიქრებელია მოძღვარის სიტყვები – „აღარასოდეს გამოგელოს ნაყოფი უკუნისამდე“. მაგანი იტყვიან, – რატომ უნდა განმეს უნაყოფო ხე, ის ჩრდილს მაინც იძლევაო. ზედაპირული მიდგომით, ეს მსჯელობა ლოგიკურად მოგეჩვენებათ.

თუმცა, მათეს 21.19-ის მკაცრ ფორმულირებაში ღრმა ანალიზის შედეგად, ჭეშმარიტებას აღმოაჩენთ.

მოგესხნებათ, რომ ჩვენს გარშემო მრავლად არიან ისეთნი, რომლებიც ინტელექტუალური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მრავალს უჩნდება მათი იმედი და ხსნას მათგან ელის. . . და უსაზღვროა მათი ლოდინი. . . რადგან ამ ინტელექტუალურ იმპოტენტებს შემოქმედებითი ნაყოფის, პროდუქტის შექმნა არ შეუძლიათ. დიახ, ასეთნი პროგრესის საფუძველს ვერ ქმნიან.

შესაბამისად, თუ თქვენ, უმაღლესი ფასეულობის სულიერი ან მატერიალური პროდუქტის შემქმნელი, რეფორმატორი არა ხართ, არც ქრისტიანი ბრძანდებით.

ესაა ქრისტიანული პოლიტიკის საფუძველი.

ვინც ამ „მორჩილების პოლიტიკაში“ უდიდეს რეფორმატორულ ძალას ვერ ხედავს, ის უბრალოდ ბრმაა!

და ეს უბრალო შეცდომა იქნებოდა, ეს სიბრმავე ჩვენს საზოგადოებას ძალიან ძვირი რომ არ უჯდებოდა.

აღმშენებლობასა და რაციონალური წესრიგის დამყარებას ყველა უძლიერეს სახელმწიფოში რწმენა უდევს საფუძველად.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული სიყვარული დისციპლინას, მოთმინებას, სიმამაცეს, აქტიურობას, შრომისმოყვარეობას მოიცავს.

გაიხსენეთ, დეგრადირებული სახელმწიფოების საფუძველია ძალადობა, სიყალბე, შიში, რაც თავის მხრივ, დაქვეითებული რწმენის შედეგია.

ნუ დავხუჭავთ თვალს, რეალობას თვალი გავუსწოროთ და საკუთარი ქვეყნის უსუსურობის მიზეზს – დაქვეითებულ რწმენას – უცილობლად დავინახავთ.

მთავარია სიყვარული. ის ქმნის ამაღლებულ, ზნეობრივ საზოგადოებას და იწყება უნიკალური უკუკავშირი . . .

მოყვასის სიყვარულზე დაფუძნებული კანონმდებლობა, პოლიტიკური რეფორმა, სამართალი იმ ჰარმონიულ არეალს ქმნის, რომელსაც კულტურა უფრო მაღალ დონეზე აყვავს და ზნეობრივი ნორმების დამკვიდრებას აჩქარებს.

საზოგადოების თვითაღზრდა, კულტურის ამაღლება, პროგრესი, ანუ პიროვნების საკუთარი ცხოვრების გააზრებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების გააზრებამდე ასვლა, თითოეული ადამიანის რწმენის გაძლიერების უნიკალური შედეგია.

კაცობრიობის ისტორიაში სწორედ ესაა ძლიერი ერების, ქვეყნების ჩამოყალიბების საწინდარი. საერთაშორისო სამართლისა და ხელშეკრულებათა პაქტების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბება-დამკვიდრება სწორედ მათ ხელეწიფებათ.

კვლავ ვიმეორებთ, სხვა გზა არ არსებობს – ჯერ არავის მოუგონია ის პოლიტიკური ალქიმია, რომელიც ტალახისგან ბროლის სასახლის აშენების საშუალებას მოგვცემდა.

ყველა სხვა გზას პოლიციურ სახელმწიფოში, ძალადობრივად, შესაბამისად, დაუნდობელ წინააღმდეგობაში, სისხლისღვრაში მივყავართ, რომლის საბოლოო შედეგი ტირანია და დიქტატურაა.

ეს უკანასკნელი კი უსაძირკვლოდ მშენებლობის დაწყებას ჰგავს.

აქედან გამომდინარე, როცა მოქალაქე საპარლამენტო არჩევნებში იღებს მონაწილეობას, ან ხმას რომელიმე პარლამენტარობის კანდიდატს აძლევს, ერთი და მეორეც უნდა დაფიქრდეს, რომელ გზას ირჩევს.

ჩვენი მომავლისა და ქვეყნის წინაშე საზოგადოების ყოველი წევრი ქრისტიანულ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს!

საზოგადოებრივ რეფორმებს, წესრიგს, საკანონმდებლო ქმედებას, ნორმებს, კონტროლს, რწმენის, ზნეობის ამაღლების პრინციპი უნდა განსაზღვრავდეს.

სახელმწიფოში, სამართლიანობის დამკვიდრების რაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შეიზღუდოს ადამიანთა ეგოიზმი, შური, ბოროტება, უსამართლობა, ქაოსი.

არ დაიჯეროთ, რომ მას საშუალება უყვარს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

არ დაიჯეროთ, რომ ძლიერი პიროვნებაა, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

არ დაიჯეროთ, რომ ქრისტიანია, თუნდაც ეკლესიები აშენოს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

არ დაიჯეროთ, რომ ჰუმანისტია, თუნდაც უპატრონო ბავშვთა სახლს ორი ყუთი ვერმიშელი გადასცეს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

არ დაიჯეროთ მისი დანაპირები, რომ ხალხს სიკეთეს მოუტანს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

მას ერთი სიტყვაც არ დაუჯეროთ, თუ ეთვისებოდა და კომფორტულად გრძნობდა თავს იმ ადამიანთა ჯგუფში, რომელსაც არა მარტო არ უყვარს მოყვასი, არამედ ძარცვავს და ავიწროვებს მას;

პრეზიდენტად, პარლამენტარად, გუბერნატორად კი არაა, ფილატელისტთა კლუბის თავმჯდომარედაც კი არ აირჩიოთ, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

მას შეუძლია ნებისმიერი როლი შეასრულოს, მაგრამ ამ სიყვარულის გარეშე, ხალხის ბედის მართვის უფლება არა აქვს; რადგან მან და მისთანებმა დაამკვიდრეს ის წყვილი, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია.

მხოლოდ ქრისტიანულ პასუხისმგებლობაზე დაყრდნობით გვენიჭება უფლება:

მხარი დაუჭიროთ ისეთ გონივრულ ქმედებას, რომელიც ბოროტების შემცირების და სიკეთის დამკვიდრების საწინდარია;

მხარი არ დაუჭიროთ პოლიტიკური და სოციალური ფანატიზმის ნებისმიერი ფორმით გამოვლინებას.

ირღვევა ეს პრინციპი – ირღვევა სახელმწიფო.

უდიდეს მნიშვნელობას იძენს აზრობრივი სიფხიზლე, რომლის ფესვები ადამიანის სულის იმ სიღრმეში დევს, სადაც ადამიანის არსი რწმენის ძალას ჰარმონიულად ერწყმის.

ადამიანის თავისუფლება ადამიანის თავნებობა კი არაა, უზენაესი ჭეშმარიტების წინაშე მორჩილებაა.

ჩვენში ღვთის ძალა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ახლოს ვართ ამ ფესვებთან.

სწორედ ეს მიგვიყვანს იმ გააზრებამდე, რომ ძლიერი სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური წყობის საფუძველია მისი შემადგენელი ნაწილების (ადამიანის, ოჯახის, ადამიანთა ჯგუფების, პარტიების, გაერთიანებების) მაღალი მიზნისაკენ სწრაფვა, საერთო ჰარმონია.

ბოროტების შემცირება მხოლოდ ასე შეიძლება.

გვახსოვდეს ქრისტეს სიტყვები:

„ჩემს გარეშე არ გაკეთდება არაფერი“.

– არა, ჩვენ ამ ნაშრომით

ილიასავით ვერ გეტყვით – გწამდეთ!

ვაჟასავით – სამშობლო გიყვარდეთ!

ჩვენ მხოლოდ გავბედეთ თქვენთვის შეგვეხსენებინა ის, რაც ოდითგანვე ცნობილია, მოწოდებულია პოეზიით, მუსიკით, ფერწერით, ხუროთმოძღვრებით, წიგნთა წიგნით – ბიბლიით, უმაღლესი ჭეშმარიტებით – ახალი აღთქმით.

ჩვენ თავს უფლებას ვერ მივცემთ გითხრათ – გწამდეს, გიყვარდეს. . .

ჩვენ მხოლოდ გესაუბრებით, რადგან შენც ჩვენსავით გწამს და გიყვარს, ხოლო ყველა სხვამ უკვე დიდი ხანია ამ ნაშრომის კითხვა შეწყვიტა.

ნებისმიერი ნაშრომი თუ წიგნი იმ ადამიანებისათვის იქმნება, ვისაც თვითგანვითარება ამის გარეშეც შეუძლია. თუ მკითხველს ნაშრომში გამოთქმულ აზრზე, პრობლემაზე, წაკითხვამდე არ უფიქრია, ის მას ვერც გაიგებს.

ამით არიან საშიშნი გაუაზრებელნი; სოკრატეს საწამლავი სწორედ მათ დააღვინეს, დასცინეს მოხუც გალილეს, დაწვეს იან ჰუსი, ბრუნო . . .

გზა ჭეშმარიტებისაკენ კოცონზე გავლით გაიღო!

გაუაზრებლებმა მოგვიკლეს ილია. . .

გზა ჭეშმარიტებისაკენ სისხლით შეიღება!

მართლაც, როგორ უნდა სთხოვო ან უბრძანო – „გიყვარდეს, გწამდეს“, თუ თვითონ არ მიხვდა რწმენას და სიყვარულს ჩვენი მომავლისათვის რა მნიშვნელობა აქვს.

მართლაც, როგორ უნდა სთხოვოს ან უბრძანოს ერთმა ადამიანმა მეორეს გაზრდა?

თუ ეს ქონდრისკაცობა მასზე ძალადობის შედეგია.

სულიერი ქონდრისკაცობა ხომ იმითაა გამოწვეული, რომ პიროვნება გაორებულია – სწამს და იმავდროულად, არც სწამს.

ამიტომ დაგკარგეთ ბუნებრივი განვითარების უნარი. ჩვენი ცნობიერება ნებისყოფასთან შეუთანხმებლად იზრდება. ნებისყოფა ჩამორჩება სურვილს. ჩვენ ვცხოვრობთ საკუთარი არსების – „მე“-ს გარეშე.

ვაღიაროთ:

ჩვენ დაქვეითებული ვვაქვს რწმენა;

ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი შვილები;

ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები;

არ გვიყვარს ოჯახი;

მოყვასი;

სამშობლო!

ღიან! არ გვიყვარს!

ნუ დაგვიწყობთ ამ სიტყვებისათვის გინებას, ნურც დისკუსიას ჩვენს დასათრგუნად, რადგან

შვილის, მოყვასის, სამშობლოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, მათი მომავლისათვის ზრუნვაში გამოიხატება!

შევხედოთ ერთმანეთს თვალებში.

თქვენც გამოიხედეთ, ბ-ნო პარლამენტარებო. . .

თქვენც, ბ-ნო მინისტრებო. . .

თქვენც, პოლიტიკური კარიერის მაძიებელნო. . .

თქვენც, გულგრილნო. . .

აფერისტებო. . .

კაცთმკვლელნო. . .

– თქვენ გიყვართ თქვენი შვილები?!

– რა ქვეყანას უტოვებთ საკუთარ შვილებს?!

ეს ჩვენ შევექმენით ის სოციალური სისტემა, სადაც ნებისმიერი, დიან, ნებისმიერი, ახალ-დაბადებულიც კი სულიერი და მატერიალური შიმშილისთვისაა განწირული!

და ჩვენი შვილებისადმი მწირი სიყვარული ჩვენს მომავალს ისევ ქონდრისკაცებად ზრდის.

შვილის ქუჩაში მათხოვრობისთვის გამეტება არ არის სიყვარული!

შვილის სასწავლებლად ჰარვარდის უნივერსიტეტში გაგზავნა ჯერ კიდევ არ არის სიყვარული!

თუ შვილს ზნეობრივ რწმენაზე, სიყვარულზე დაფუძნებულ სახელმწიფოს არ დაუტოვებთ, არაფერს აზრი არა აქვს. ის თქვენ მიერ დატოვებულ სიმდიდრესაც კი ვერ შეინარჩუნებს.

ქუჩებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში ჩვენზე გაზრდილი ბოლმიანი, დათრგუნული, ურწმუნო და უსამართლო თაობაც ნუ დაგვავიწყდება! ეს ჩვენ შთავაგონებთ მათ ძალადობის იდეალს.

და მერწმუნეთ, მოვა თქვენზე უფრო ღრმად ურწმუნო თაობა და თქვენს შვილს ყველაფერს უფრო მეტი თავხედობით წაართმევს, ვიდრე ეს თქვენ მოახერხეთ.

მაშინ გაიხსენებთ მივიწყებულ ღმერთს და დაჩოქილი შეევედრებით, რომ ეს წართმევა მხოლოდ დაშინებით, მორალური დათრგუნვით მოხდეს და არა ნარკოტიკით, სისხლით, გახურებული შანთით, ფოლადის კასტეტითა და ბრაუნინგის სისტემის იარაღით.

ამ ჯოჯოხეთიდან გამოსავალი ერთადერთია:

– ყოველდღე, ყოველწამს ვიფიქროთ საზოგადოებაში ზნეობის, რწმენის ამაღლებაზე!

უფლება არა გვაქვს საკუთარ თავს გავექცეთ, მკრეხელობაა მუდმივად ურწმუნოდ, უსიყვარულოდ, არათანმიმდევრულად, უმსგავსოდ ვიცხოვროთ!

ამ ჯოჯოხეთიდან ერთადერთი გამოსავალია გულისხმიერება, მოყვასის სიყვარული, აქტიურობა . . .

ამას კი მხოლოდ ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის, ერის, სამშობლოს, ღმერთის სიყვარული შეგვაძლებინებს.

მხოლოდ სიყვარული გვასწავლის უარვესოთ ბოროტება, მივხვდეთ,

რა გვითხრა მან: „ღმერთს – ღმრთისა, კეისარს – კეისრისა“!

თუ მთელი ჩვენი სიყვარული ღმერთს – შვილს, ოჯახს, სამშობლოს ეკუთვნის, კეისარს აღარაფერი რჩება. . .

და ეს აუცილებლობაა, რადგან კეისარი ყოველთვის თავისასაც და ღვთისასაც ითხოვს. ვუთხრათ სიყვარულს „დიან“, ნიშნავს კეისარს ვუთხრათ – „არა“!

“დიან – ადამიანს, არა – ადამიანის ღირსების წამრთმეველს“.

მაშინ მოთავლება მათი ჟამი და სიბნელის მეუფება!

ისინი ამ საშიშროებას ჩვენზე კარგად გრძნობენ, რადგან დასაკარგი ჩვენზე მეტი აქვთ. ამიტომაც ცდილობენ ნაძარცვი ქონების გატანასა და შვილების მაღალი ზნეობის მქონე ქვეყნებში საცხოვრებლად გაგზავნას.

და ჰგონიათ ცხოვრებასთან თამაში მოიგეს?! – ცდებიან!

მათ პრიმიტიულ ცხოვრებაში ეს ყველაზე დიდი მარცხია, რადგან

საქართველო ჩვენი შვილებისათვის ერთადერთი ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური და სულიერი ნიშაა.

ჩვენი სამშობლო ხომ ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სულიერი გენეტიკის ის ერთადერთი არეალია, სადაც ჩვენი შვილების ჰარმონიული განვითარებაა შესაძლებელი.

მართლაც, როგორ არ უნდა გიყვარდეს შვილი, რომ მას სამშობლო წაართვა.

არა აქვს მნიშვნელობა შენს რწმენას, ეროვნებას, ასაკს, სქესს, განათლებას. მნიშვნელოვანია მხოლოდ გულგრილი ხარ თუ არა.

და თუ გეზიზღება გულგრილობა, მაშინ:

ნუ იკითხავ ვის უხმობს ზარი? – ის შენ გიხმობს!

ნუ იკითხავთ – მე რა შემიძლია? – შენ, ჩვენთან ერთად, ყველაფერს შეძლებ.

ჩვენ ერთად მოვებნით უმოკლეს გზას ბედნიერებისკენ.

თუ თქვენში არის შემოქმედებითი სული, შეგიძლიათ აღზარდოთ შვილი და გააკეთოთ მაქსიმუმი მისი მომავლისთვის, შექმნათ სულიერი ან მატერიალური ფასეულობა, დაწყებული ხორბლის მოყვანიდან, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებით დამთავრებული და გიყვართ თქვენს გარშემო არსებული სამყარო, მაშინ თქვენ პალადიუმს ეკუთვინით.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ!

ეს არაა თხოვნა.

ყველაფერი ფასეული მსოფლიო ცივილიზაციაში თქვენნაირების შექმნილია: დამწერლობა და წყლის შესანახი ჭურჭელი, ეგვიპტის პირამიდები და გუთანის, ანტიკური ფილოსოფია და ლურსმანი, რომაული სამართალი და კოსმოსური ხომალდი . . .

ჩვენნაირებმა დადგეს ფეხი მთვარეზე და გამოიგონეს ნაყინი. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი, მაგრამ საკუთარი აწმყოსა და მომავლის მართვას ვერ ვებღავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავის რწმენა გვაქვს დაკარგული.

ჩვენ გვგონია, რომ საკუთარი ბედის მართვას ვერ შევძლებთ, რადგან ამის უფლებას არ გვაძლევდნენ, რადგან ეს ჩვენთვის არ უსწავლებიათ? – გვეშლება!

ადამიანს არ შეუძლია გააკეთოს ის, რაც მისთვის არ უსწავლებიათ? – არა.

ჩვენ ვერ გავაკეთებთ იმას, რასაც ვერ ვგრძნობთ!

ვინ ასწავლა პითაგორას გეომეტრია? ვაჟას – ლექსების წერა? პელეს – ფეხბურთის თამაში? – მასწავლებელმა? მწვრთნელმა? – ვცდებით! მათ რომ ეს შეძლებოდათ, მაშინ ორი რუსთაველი ან ოთხასი პელე მაინც გვეყოლებოდა.

ჩვენ სხვაზე ნაკლებად არ გვესმის განათლების, პროფესიონალიზმის აზრი და ფასი. ჩვენ შეიძლება ერთმანეთს მიზნამდე სწრაფად მისვლა, ანუ შემსრულებლობის ხარისხის ამაღლება ვასწავლოთ, თორემ მიზნის არჩევის, პრობლემაში გარკვევისა და მოგვარების სწავლას აზრი არა აქვს, ის ჩვენში დაბადებიდანვე არსებობს.

საკვირველი ის არის, ერთ-ერთმა ჩვენგანმა ადამიანის ამოღების ბგერებად დაყოფა და თიხის ფილაზე ამოკაწვრა როგორ მოახერხა. სწორედ მან შექმნა დამწერლობა, ანუ ადამიანთა აზრების

დამახსოვრების საშუალება. აი, ამის სწავლაა შეუძლებელი, თორემ კომპიუტერის კლავიატურაზე ასოების აკრეფის სწავლას ორ საათშიც შეძლებთ.

ის ცოდნა, რაც ჩვენს მმართველებს პარტიულ სისტემებში თუ ფასიან უმაღლეს სასწავლებლებში აქვთ მიღებული, თქვენ ორ თვეში შეგიძლიათ აითვისოთ. გვერწმუნეთ, ყველა მათ მიერ ჩადენილი წვრილმანი თუ მასშტაბური სისულელე მათი „განათლების“, „ჭკვიანური მსჯელობისა“ და გადაწყვეტილებების შედეგია. ხოლო ის, რომ მოხუცს საკუთარი თავის დასამარხი ფული არ მოპარო, ან ავადმყოფ ბავშვს კეთილი ადამიანების მიერ საჩუქრად გამოგზავნილი წამალი სისხლის ფასად არ მიჰყიდო, სწავლა-განათლებას არ საჭიროებს.

ჩვენ, მართლაც, ბევრი რამ ვიცით, მაგრამ რად გვინდა ფრთები, თუ ქარი არ ვიგრძენით სახეში.

საჭიროა მხოლოდ გიყვარდეს ის, ვისაც უყვარხარ და მას შურით საფლავი არ გაუთხარო.

შეეძლოთ ერთმანეთის გატანა.

გვჭირდება კიდევ ცოტა რამ: ინდივიდუალური და საერთო დისციპლინის ამბლება. სწორედ ამ დისციპლინის დეფიციტს იყენებენ ისინი თავიანთი ძლიერებისათვის. ისინი, რომლებიც თქვენ ხარჯზე აშენებენ სასახლებს, თითქოს მასში მეორედ მოსვლამდე აპირებენ სიცოცხლეს და თქვენ ხარჯზე ისეთი გამალებით იკვებებიან, თითქოს ზვალ სიკვდილი ელით.

თქვენ იცით რა არის თავისუფლება, მაშ რატომ გეზარებათ იბრძოლოთ მისთვის?!

რატომ ვართ ჩუმად?!

თუ სულელები ვართ, მაშინ სიჩუმე ჭკვიანურია; თუ ჭკვიანები – სისულელე.

ჩვენ კი საკუთარი სიჩუმით ერის განადგურების გეგმას ხელს არ მოვაწერთ!

თქვენ შეიძლება დღეს, როგორღაც ახერხებთ სულიერი ან მატერიალური ფასეულობის შექმნას და ამით ნეტარებას განიცდით, შეიძლება გაუსაძლის ტანჯვაშიც ხართ, მაგრამ განსოვდეთ:

ჩვენ შემოქმედ, თვითგანვითარებად ჯგუფს ვეკუთვით.

ჩვენ ერთი სისხლის ვართ!

ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეგანი. მეორე, პირველზე უნდა იყოს დამოკიდებული.

და როგორიც უნდა იყოს ის ნეტარება ან ტანჯვა, რომელსაც გარედან განვიცდით, მან ჩვენი შინაგანი სამყარო არ უნდა შეცვალოს.

ქვეყნის გადასარჩენად ჩვენი ინდივიდუალური აზროვნების კონსტიტუციის ძირითად ცნებებად გამოვაცხადოთ:

– ჩვენი თავისუფლების ერთადერთი გარანტი ყველას თავისუფლებაა;

– ჩვენი სულიერი ან მატერიალური სიმდიდრის შექმნისა და შენარჩუნების ერთადერთი გარანტი ყველას სულიერი და მატერიალური სიმდიდრეა;

– ჩვენი სიცოცხლისა და ღირსების ხელყოფისაგან დაცვის ერთადერთი გარანტი ყველა ჩვენთაგანის მიერ ღვთაებრივი კანონის უზენაესობის აღიარებაა.

დავფიქრდეთ:

თუ ჩვენ – არა, მაშ – ვინ?

თუ დღეს – არა, მაშ – როდის?

გვანსოვდეს – ღვთის სამსჯავროზე წარდგომამდე შვილებს, საქართველოს უნდა გავუსწოროთ თვალი.

ამიტომ

- ნუ გვეშინია მათი, რადგან მათ გამარჯვება არ იცინან;
- ნუ დაუფერებთ მათ, რადგან სიცრუე მათი არსია;
- ნუ ვითხოვთ მათგან იმას, რაც ჩვენ გვეკუთვნის.

ნუ გვეშინია!

ნუ დაუფერებთ!

ნუ ვითხოვთ!

გავაერთიანოთ ჩვენი პოტენციალი და ეს ჩვენი შვილების, ოჯახის, ერის ბედნიერებამდე მიგვიყვანს.

ამ ადამიანური ოცნების აღსრულების ერთადერთი საფუძველი ჩვენი სიმტკიცეა.

ჯაჭვის სიმტკიცეს მისი სუსტი რგოლი განსაზღვრავს.

ჩვენი ბედნიერების სიმტკიცეს – გულგრილობა.

ნუ იქნება ჩვენი გულგრილობა სამშობლოს დამღუპველი სუსტი რგოლი!

გვანსოვდეს:

აზი აზისებობს სსშობლით
სსშობლიის განდა!

პირთა საძიებელი

ა
აგრიგენტი პოლ – 134
ადამსი ჯონ – 183
ავგუსტინე აგრელიუსი –
141, 142, 225, 356, 428
აგრელიუსი მარკუს – 139
აინშტაინი ალბერტ – 51,
54, 60, 68, 78, 79, 102, 124,
199, 232, 242, 286, 305,
309, 339, 361, 369
ალიგიერი დანტე – 75, 93,
333, 401
ალიოხინი ალექსანდრე –
72
ანაქსაგორა – 140
ანდერსენი ქრისტიან – 281
ანტისტენე – 138
ანტიფონტე – 134, 244
ანტუანეტა მარი – 324
არისტოტელე – 131
არისტოტელე – 82-84, 135,
138, 139, 148, 178, 191, 194,
197, 209, 222, 225-228, 243,
244, 247, 262, 286, 288,
306, 313, 318, 323, 339, 370,
377, 398, 409, 410
არქიმედე – 62
აქვინელი თომა – 142, 225,
288, 370
აქვინელი ფილონ – 393
აღა-მაჰმად-ხანი – 338

ბ
ბაგრატ IV – 428
ბალზაკი ონორე დე – 100
ბარათაშვილი ნიკოლოზ –
305, 306, 315, 334
ბატისტა ჟანი – 324, 390
ბახი იოჰან – 305, 369, 401
ბეთჰოვენი ლუდვიგ – 51,
83, 305
ბეკონი ფრენსის – 178
ბენი გოტფრიდ – 366
ბერგსონი ანრი – 79, 201,
399

ბერტალანფი ლუდვიგ –
254, 317, 319, 403, 404, 408
ბექა-აღბულა – 206
ბიანტი – 129
ბიორკი ედმუნდ – 180, 181,
184, 206, 246, 248, 410
ბისმარკი ოტო – 188, 414,
421
ბოიაი იანოშ – 53
ბოიაი ფარკაშ – 54
ბოილ-მარიოტი – 323
ბოკაჩიო ჯოვანი – 75
ბოლცმანი ლუდვიგ – 287,
320, 371
ბორი ნილს – 76, 87, 199,
254, 255, 320, 334, 369, 371
ბორჯია ცეზარე – 145
ბოსხი ჰიერონიმუს – 76
ბრუნო ჯორდანო – 178,
365, 366, 448
ბრუტუსი დეციმ – 406
ბურჟუა ლეონ – 191, 248
ბუში ჯორჯი – 434

ბ
გაიუს მარიუსი – 406
გალაკტიონი – 59, 73, 96,
98, 203, 224, 241, 305, 314,
323, 334, 359, 360, 369, 401,
434, 441
გალილეო გალილეი – 62,
427, 448
გალუა – 415
გაონი ელიაჰუ – 72
გეილ-ლუსაკი – 323
გერცენი – 65
გილომენი არმან – 402
გოგენი პოლ – 100, 253,
364, 401
გოეთე ვოლფგანგ – 79, 96,
100, 177, 199, 361
გროციუსი ჰუგო – 142, 147,
210, 225, 245, 248, 262, 288
გუდიარი ჩარლზ – 307
გუმპლოვიჩი ლუდვიგ – 262
გურვიჩი გიორგი – 326

დ
დაბენი ნეო ჟან – 194, 248
დავით IV აღმაშენებელი –
221, 305, 306, 315, 415, 418,
429, 430
დალი სალვადორ – 289
დანტე ალიგიერი – 108, 143,
დარვინი ჩარლზ – 358, 366
დ'არკი ჟანა – 306
დეგა ედვარდ – 402
დეკარტე რენე – 73, 76, 235,
241, 253, 292, 366, 428
დელაკრუა ეჟენ – 252, 401,
402
დემოკრიტე – 133, 225, 243,
დემოსთენე – 358
დერენი ფრანსუა – 72
დიდრო დენი – 108, 158, 159
დიოგენე სინოპიელი – 138,
178
დიონისე უმცროსი – 283
დიუარ-რიუელი პოლ – 402
დიუგი ლეონ – 191, 249
დიუდეფანი – 434
დიურინგი – 262
დიურკეიმი ემილ – 191,
დრეიკი ფრენსის – 233, 234

ე
ედისონი თომას – 270
ეკელიდე – 320
ეილერი ლეონარდ – 72
ელისაბედ I – 233
ელიზაბეტი დედოფალი –
183,
ენგელსი ფრიდრიხ – 58
ეპიკურე – 138, 225, 247, 262
ერიკსონი ერიკ – 100
ეროუ კენეტ ჯოზეფ – 412,
413

ზ
ვაგნერი რიჰარდ – 65, 358
ვალა ლორენცო – 143
ვან გოგი ვინსენც – 252,

253, 369, 401
ვან გოგი თეო – 305, 334
ვან-დონ-გენი – 402
ვაჟა-ფშაველა – 60, 73, 83,
91, 93, 96, 98, 100, 178,
197, 203, 206, 209, 216, 221,
224, 236, 237, 241, 288,
305, 306, 314, 319, 320, 323,
334, 359, 360, 369, 387, 429,
441, 448, 450
ვაშინგტონი ჯორჯ – 332,
333
ვახტანგ VI – 206
ვებერი მაქს – 192, 193, 332,
405, 406
ვივალდი ანტონიო – 65
ვილსონი თომას ვუდრო –
184, 248, 410
ვილჰელმ II – 405
ვოლტერი – 100, 155, 158,
159, 248, 288, 434, 438, 446
ვოლფი ქრისტინიან – 288

ზ

ზენონი – 138, 243, 247,

თ

თაღესი მიღეთელი – 129
თემისტოკლე – 72, 131

ი

იასპერსი კარლ – 202, 203
იოფე აბრამ – 72
იუვენალი დეციმ – 392
იულიუს კეისარი – 72, 401
იუმი დევიდ – 193, 373
იუნგი კარლ გუსტავ – 73

კ

კაიბოტი გუსტავ – 402
კვესელავა – 93
კალვინი ჟან – 146, 227
კალიგულა – 196, 421
კამიუ ალბერ – 201
კამპანელა თომაზო – 233
კანტი იმანუილ – 60, 63, 82,
164-168, 189, 193, 203, 209,

214, 215, 221-225, 235, 236,
245, 248, 262, 273, 305,
308, 320, 366, 383, 413
კარლოს II – 339
კარლოს V ჰაბსბურგი – 427
კარნო სადი – 317
კასატი მერი – 402
კატულუსი გაი ვალერიუსი
– 108
კაუტსკი კარლ – 262
კაფკა ფრანცი – 399
კელზენი ჰანს – 194-197, 249
კეპლერი – 377
კერკეგორი სიორენ – 201
კესადა – 276
კიროსი – 72
კისლინგი მოშე – 402
კიუპე ჟორჟ ლეოპოლდ –
76
კიური მარია – 270, 286
კლემენსი სემუელ – 75
კლეობულე – 129
კლეოპატრა – 406
კლინტონი – 434
კლისფენი – 131,
კოლდერინი – 358
კოლუმბი ქრისტეფორე –
232, 233, 308
კონდორსე ჟან ანტუან –
184, 185, 248, 410, 413
კონტი ოგიუსტ – 184-186,
191, 248, 254
კონფუცი – 225, 316
კოპერნიკი ნიკოლოზ – 73
კსავე ფრანცისკო – 428
კუნი თომას – 251, 253
კუტიური თომას – 402
კუროპალატი ბაგრატ – 206

ლ

ლაიბნიცი გოტფრიდ – 154-
156, 164, 180, 248, 340
ლაკტანციუსი ლუცი – 141
ლამბალი – 324
ლაო-ძი – 286, 315, 323, 324,
340, 371
ლევ X – 427
ლენინი – 62
ლეონარდო – 199

ლეშატელიე ანრი – 320,
322, 323, 326, 335, 338, 365,
372
ლიკოფრონე ქალკედონელი
– 134, 243
ლინკოლნი აბრაჰამ – 75,
102, 421
ლობახევსკი ნიკოლოზ – 53
ლოიოლა ეგნატე – 428
ლოკი ჯონ – 153, 156, 175,
183, 225, 245, 262, 288
ლუთერი მარტინ – 146, 247,
427
ლუი XIV – 324
ლუი XV – 158
ლუი XVI – 324
ლუშანი ნიკალას – 199, 200

მ

მაისოფერი ვერნერ – 203,
248
მაკიაველი ნიკოლო – 143-
145, 158, 225, 230, 249
მაკედონელი ალექსანდრე –
72, 226, 328, 329, 339, 406
მანე ელუარდ – 402
მარადონა დიეგო – 309
მარატი ჟან პოლ – 161, 193,
248
მარიტენი ჟაკ – 248
მარლბორო – 406
მარსელი ონორე – 202
მარქსი კარლ – 332, 413
მაჩაბელი – 319
მედისი – 74
მედისონი ჯეიმს – 187
მენდელეევი დიმიტრი – 54
მენდელეევი-კლაპეირონი –
323
მესნერი იოჰანეს – 194, 248
მოაწმინდელი გიორგი –
428
მიქელანჯელო ბუანაროტი
– 61, 305, 334, 360, 401
მიწური ივანე – 241
მოდილიანი ამადეო – 402
მონე კლოდ – 402
მონესპანი – 324
მონტესკიე შარლი – 142,

153, 156, 159-162, 171, 175,
225, 248, 288
მოპერტიუ პიერ – 320
მოცარტი ამადეი – 305, 309
მორი თომასი – 233
მორგანი – 261

ბ

ნადარი ფელიქს – 402
ნაპოლეონი – 58, 75, 78,
164, 177, 269, 270
ნაუკე ვოლფგანგ – 190, 248
ნერონი – 196, 284, 421, 437
ნიუტონი აიზეკ – 154, 185,
213, 255, 319, 320, 323, 339
ნიცშე ფრიდრიხ – 186-189,
201, 218-222, 249, 323, 349
366
ნობელი ალფრედ – 359
ნოსტრადამუსი მიშელ –
274

ო

ოკამი – 292
ოლერო ანდრეს – 190, 248
ორანელი უილიამი – 153
ორელანა – 308
ოსტინი ჯონ – 194,

პ

პასკალი ბლეზ – 268, 419
პასკინი ჟიულ – 402
პეინი ალბერტ – 75
პელე – 309, 450
პერეანდრე – 129
პროთაგორა – 134,
პეტრარკა ფრანჩესკო – 108
პითაგორა – 100, 132, 225,
450
პისარო კამილ – 402
პიტაგი – 129
პიტერსონი ოსკარ – 359
პლანკი მაქს – 84
პლატონი – 52, 54, 64, 87,
100, 104, 133, 135, 139, 148,
191, 194, 197, 209, 225, 243,
247, 292, 314, 319, 383, 390,

409

პლუტარქე – 139, 391
პოლიბიუსი – 139, 247, 409
პლინიუს უმცროსი – 392
პოლინიაკუსი – 434
პოლო მარკო – 308
პომპადური – 159, 324
პრიგოუინი ილია – 254, 318,
375
პროთაგორა – 243

რ

რადბრუხი გუსტავ – 190,
206, 246, 248
რაინერი – 194
რელიე უოლტერ – 330
რენტგენი ვილჰელმ – 320
რენუარი ოგიუსტ – 402
რემარკი – 270
რიშელიე – 91
რიკარდო დავიდი – 164
რიხტერი სვიატოსლავ –
359
რობესპიერი მაქსიმილიან –
161, 162, 248
როსალინი რობერტო – 367
როტშიდლი მაიერ ანშელმ
– 164
როჯერი – 429
რუზველტი თეოდორ – 184,
434

რუსთაველი – 73, 80, 96,
314, 319, 430, 450
რუსო ჟან ჟაკ – 156-159, 161,
162, 167, 210, 225, 262, 288

ს

საეინი ფრიდრიხ კარლ –
210
სეზანი პოლ – 402
სემსონი ედვარდ – 76
სენეკა ლუციუს – 333, 393
სენ – სიმონი – 185, 191,
სენტა – 139
სვიფტი ჯონათან – 76
სისლეი ალფრედ – 402
სკოტი ვალტერ – 358
სმიტი ადამ – 162, 163, 206,

245, 248

სოკრატე – 52, 53, 54, 66,
67, 73, 82, 98, 100, 105,
133, 135, 148, 168, 178, 209,
215, 216, 221, 225, 236, 243,
244, 246, 247, 292, 355,
372, 373, 409, 410, 448
სოლონი – 129
სოფოკლე – 390
სპენსერი ჰერბერტ – 191,
254, 383
სპინოზა ბარუხ – 121, 147,
151-153, 208, 248, 253, 256,
262, 288, 297, 315, 343, 366
სტალინი იოსებ – 196, 255,
328, 329
სტრეიზანდი ბარბარა –
366, 367
სტიუარტი ჯეიმს II – 153,
სუტინა – 402

ტ

ტაინელი ანტონ – 432
ტეილორი ელიზაბეტ – 406
ტვენი მარკ – 102
ტიურგო ან რობერ ჟაკ –
184
ტოლანდი ჯონ – 366
ტოლსტოი ლევ – 100
ტრაიანე – 393, 394

უ

უაილდი ოსკარ – 406
უაიტი ჯეიმს – 358
უილიამსი როჯერ – 182,
248
უინტროპი ჯონ – 182, 248

ფ

ფალმერი – 262
ფეინმანი რიჩარდ – 320
ფეხნერი ერის – 204, 248
ფილონ ალექსანდრიელი –
432
ფილიპ II – 339
ფიროსმანი ნიკო – 252, 253,
270, 323, 334, 401, 402

ფიშერი რობერტი – 307, 350
ფისტე გოტფრიდ – 366
ფლეშინგი ალექსანდრ – 271, 283
ფრანკლინი ბენჯამენ – 100, 183, 248, 332, 333
ფრანსი ანატოლ – 90
ფრანცისკო ასიზელი – 407
ფრასიმაქე ქალკედონელი – 134, 243
ფროიდი ზიგმუნდ – 421
ფურეი შარლ – 233, 306

ქ

ქილონი – 129, 239

შ

შამაი – 393
შელინგი ფრიდრიხ – 57, 358, 361
შარვაშიძე მაია – 130
შარვაშიძე მერი – 334
შექსპირი უილიამ – 399, 406
შილერი მაქს – 176
შლეგელი ფრიც – 201
შლეიერმახერი ფრიდრიხ – 204
შმიდტი კარლ – 421
შოპენჰაუერი არტურ – 100, 179, 186, 201, 366,
შოუ ბერნარდ – 406
შრედინგერი რუდოლფ – 287
შტამლერი რუდოლფ – 189, 190, 248

ჩ

ჩაპლინი ჩარლი – 339
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ – 65
ჩერჩილი უინსტონ – 307 406, 407, 410
ჩეხოვი – 270
ჩინგიზხანი – 327, 230
ჩუან-ძი – 73, 371

ც

ციცერონი მარკუს ტულიუს – 139-141, 228, 229, 243-245, 247, 409

ჭ

ჭავჭავაძე ილია – 319, 334, 341, 369, 441, 448
ჭყონდიდელი გიორგი – 429

ჯ

ჯალალ ედინი – 338
ჯეი ჯონ – 184
ჯეფერსონი თომას – 183 248,
ჯორჯ ლოიდი – 407

კ

კადამერი – 204
კაიდეგერი მარტინ – 203
კაიზენბერგი ვერნერ – 84, 254, 313
კამალილი – 393
კამილტონი ალექსანდრე – 183, 184, 248
კამურაბი – 288
კანიბალი – 234, 239

კარტი ჰერბერტ – 200, 249
კეგელი ვილჰელმ – 54-58, 60, 169, 179, 191, 194, 197, 200, 209, 213, 222, 224, 225, 235-239, 245, 248, 254, 292, 318, 319, 358, 359, 366, 369, 371-373, 379, 408
კემინგუეი ერნესტ – 366
კერაკლიტე – 132, 189, 225, 243, 319, 371, 390, 409, 413
კერმესი – 204, 392, 432
კეროლოტე – 126, 129
კიპია – 134, 243, 244
კიპოკრატე – 348
კიტლერი ადოლფ – 75, 191, 196, 269, 284, 328, 406, 421
კიუმი დევიდ – 119, 164
კობსი თომას – 148, 151, 152, 157, 160, 161, 174, 183, 196, 200, 225-229, 249, 262, 288, 380, 421, 434
კოლი ჯერომ – 191, 248
კომეროსი – 129, 333
კუსერლი ედმუნდ – 60, 232, 320
კუსი იან – 427, 448

სარჩევი

მეხსიერება	14
ნაყოფით იცნობთ მათ	19
სიცოცხლის აზრი	23
სამყარო	33
ინტელექტი	42
ასტრალური ველი	50
იდეათა ველი	52
კვაზიაპოსტერიორული ველი	60
კანონზომიერება	63
ზერეალური სამყარო	66
სიზმარი	73
სიცოცხლის აღსრულება	82
სიყვარული	103
ფსევდოსიყვარული	110
რწმენა	118
მატრიცა	123
პოლიტიკური სამართლის ისტორია	126
პურიტანული პერიოდი	182
ბუნებითი და პოზიტიური სამართალი	205
ეთიკა	213
უტოპია	231
სოციუმის ბუნებრივი კანონზომიერება	239
საზოგადოება და სახელმწიფო	249
მესამე	264
ადამიანის სოციალური არსი	270
პალადიუმი	287
თავისუფლება	298
ბუნების გვირგვინი	303
იეროფანია	310
ალმასი – საქართველოს სიმბოლო	314

კრიტიკული რიცხვი	330
სიჭარბის პრინციპი	356
სინერგეტიკა	374
ერთობისა და რწმენის ძალა	388
სიმძლავრის რეალიზება	403
დემოკრატია	409
ქრისტიანული პოლიტიკა	438
პირთა საძიებელი.....	453

სარედაქციო კოლეგია: მათა ავალიანი, ლალი ბოგველი, ლანა გვალია, მიშა კაკულია,
მარინა ოთარაშვილი, ნინელი უკლება, ნანი ქიქერიძე,
მაია შარვაშიძე, ნანა ხუციშვილი

კორექტორი: ნინელი უკლება

დიზაინი: მათა შარვაშიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მამუკა მოსემღვდლიშვილი

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ნაწარმოები დეპონირებულია „საქპატენტში“;
დაუშვებელია ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოცემა, ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებიდან ციტირება.

პირველი გამოცემა
ISBN 978-9941-0-0364-6